4Love.Ge

Sarah

მეჯვარეები

“...ცხოვრება ხანმოკლეა - დაარღვიეთ წესები.....ადვილად აპატიეთ და ნელა აკოცეთ.....გიყვარდეთ ღრმად, იცინეთ ხშირად და არასოდეს არაფერი ინანოთ - ეს ღიმილს მოგგვრით..... “

დილით ადრე ადგა, ჩალისფერი თმა მაღლა აიწია და სამზარეულოსკენ გავიდა, საუზმე მოამზადა, ჩაი, სუხარი, თაფლი, კარაქი, ყველაფერი მაგიდაზე იდო და პატრონს ელოდა. როცა ცხრა დაიწყო მაშინღა შევიდა ფრთხილად ოთახში, ორივეს ეძინა, საწოლთან ჩამოუჯდა, პატარა 6 წლის გოგონას ასე ღრმად რო ეძინა, თმა შუბლზე გადმოყროდა და ტუჩები ოდნავ გაბურცვოდა ძილისგან, რამდენიმე წამს უყურა მერე ხმა გაიგო მეორე საწოლიდან ბიჭმა დაბურულ ღიმილნარევი სახე შემოანათა.

–ადექი დე დაგაგვიანდება, მზრუნველად მოუსვა თმაზე ხელი და შუბლზე აკოცა.

–ანასტასიას გააღვიძებ?

–ხო დააგვიანდება, მაგრამ ისე თკბილად ძინავს, შეხედე, წარმომიდგენია რა სახე ექნება რო გავაღვიძებ, დემეტრემ დედას გაუცინა და ფეხზე წამოდგა, აბაზანიდან რო გამოვიდა ანასტასია უკვე სუფრასთან იჯდა კარაქიანი პურით ეღრიჯებოდა. ნამდვილი ომი იყო მაგიდაზე დემეტრე და ანასტასია ხელებს არ აჩერებდნენ, ხან საიდან მოხვდებოდა წკლიპურტი პატარას ხან საიდან და უჯავრებოდა თავის უფროს ძმას, ისე სასაცილოდ რო დემეტრე ვერ ითმენდა რო არ გაებრაზებინა.

–ნუ მაბრაზებ თორემ დედას ვეტყვი, უთხრა პატარა ქოფაკმა.

–რას მეტყვი ტასო? ელენემ მხარზე ხელი მოუსვა და სკამზე ჩამოჯდა მის გვერდით.

–გუშინ დემეტრეს მასწავლებელმა უთხრა რო მეტი აღარ გააცდინოს სკოლა, დაფქვა რაც იცოდა და რაც არ იცოდა „გაბოროტებულმა“ პატარამ. ელენემ მხოლოდ გაიღიმა, ნიკაპზე ხელი მოუსვა თბილად და მშვიდად უთხრა.....

–ეგ ხო ისედაც ვიცოდი დედიკო, მაგრამ შენ მაინც მადლობა, ანასტასია გაწითლდა შექების გამო, მაგრამ მიხვდა ნათქვამის უაზრობას და დემეტრესთვის აღარ შეუხედავს სირცხვილისგან. დემეტრეს ლუკმა არ გადადიოდა ყელში, ჩაი ძლივს მოსვა და კბილების გასახეხად ადგა, არ გაკვირვებია დედის ნაბიჯების ხმა რო გაიგონა, თავის ოთახისკენ გადაუხვია , ელენე მშვიდად შევიდა ოთახში კარი გადაკეტა...

–რაო დემე რა თქვა ანასტასიამ? მშვიდად დაიწყო ელენემ.

–დედა არ მინდოდა ამაზე რამე გაგეგო..

–თუ ამიხსნი იქნებ მიზეზი მაინც გავიგო, მხრებზე ხელები დაადო დედამ...

–რამდენჯერმე გაცდენა მომიწია, ძლივს ამბობდა დემეტრე სიტყვებს, ელენე მშვიდად უსმენდა, არ აჩქარებდა და სიმშვიდესაც არ კარგავდა.....

–ახლა მეშვიდე კლასში ხარ დემეტრე, ხო იცი სწავლა როგორი მნიშვნელოვანია, მარტო იმიტო არ გეუბნები რო განათლებული კაცი იყო, ეს ახლა შენი მოვალეობაა და თუ ამას პასუხისმგებლობით არ მოეკიდები ეს იმას ნიშნავს რომ არც რაიმე საქმეს მოეკიდები გულისყურით, ეს შენ პიროვნებას განსაზღვრავს, რამდენად გაქვს მოვალეობის შესრულების უნარი....

–დედა მე ყველანაირად ვცდილობდი არ გამეცდინა, მაგრამ ვარჯიშის გამო... დემეტრემ თავი დახარა, ელენეს სხეულში სიცხემ დაუარა და ეკლებმა დააყარა, მუხლები ძლივს შეიმაგრა.

–დემეტრე ხო გესმის მამამ რო გაიგოს, სიმშვიდე დაკარგა ელენეს ხმამ და ოდნავ აუკანკალდა..

–რა გავაკეთო? ვერ გაიგებს, მაგრამ რომც გაიგოს მე თავს არ დავანებებ..

–დემეტრე არ გინდა წინააღმდეგობა, ახლა და ამ საკითხზე არა.

–მე თამაშს თავს არ დავანებებ დედა, გამორიცხულია მამამ რაც არ უნდა გააკეთოს. კარი მძიმედ გააღო დემეტრემ და გავიდა. ძლივს მიაძახა ელენემ რომ ჩაი დაემთავრებინა. მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ მოახერხა ოთახიდან გასულიყო, ანასტასიას ჩანთა მიაწოდა, თმა გაუკეთა და ორივე დაბლა გააცილა, სკოლის სამარშუტო ტაქსი უკვე მოსულიყო, ანასტასიამ ხელი დაუქნია და სიცილით ჩაჯდა ტრანსპორტში, დემეტრეს მოწყენილი სახე მთელ სხეულს ტკენდა ელენეს, სახლში ძლივს შევიდა, ვერაფერზე ფიქრობდა, ყველაფერი ეწვოდა, სახლი ისე მიალაგა ვერც გაიაზრა, ინსტიქტურად აკეთებდა ყველაფერს, წყლის გადავლებას მორჩა, უნდა ჩაეცვა სამსახურში წასასვლელად, როცა კარის ხმა გაიგო, სხეულში შიშმა დაუარა, ნიკა ოთახში შევიდა და პირსახოცაფარებულ ცოლთან ნელი ნაბიჯით მივიდა, ალკოჰოლის სუნი მაშინვე იგრძნო ელენემ და უფრო მეტად დაეჭიმა სხეული, სქელი ჩაფსკვნილი ხელი ძლიერად მოხვია წელზე და მიიკრა, უსიამოვნო ჟრუანტელმა მოიცვა ელენეს სხეული, ოდნავ ცადა თავის დახწევა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა, პირსაცოხი მალევე შემოეძარცვა ტანს.

–ნიკა მაგვიანდება, მშვიდად უთხრა მეუღლეს, რომელსაც თითქოს არაფერი გაეგონოს, მაშინ ხელი უხეშად კრა პირსახოცი აიღო და ოთახიდან გავიდა, თავზე მაშინ წამოადგა ტაბლეტებს რო სვავდა.

–რატო არ ანებებ მაგას თავს? ყოველთვის მაგას რატო აკეთებ?

–იცი შენ მიზეზი, სწრაფად მოუჭრა ელენემ.

–რისი მიზეზი? იმის რო შვილი არ გინდა? ვერ ვხვდები მესამე რატო არ გინდა, იქნებ ამან ყველაფერი შეცვალოს, გამოსცრა ნიკას.

–შენგან არ მინდა, უფრო კატეგორიული იყო ელენე, მსუქანი, ქონით გატენილი ხელები ისევ შემოეხვა წელზე, ახლა კიდევ უფრო უხეშად და უფრო მეტი ზიზღით.

–ნიკა გაჩერდი, რას აკეთებ? თავიდან ჩურჩულებდა მერე ყვირილი დაიწყო ელენემ. უფრო და უფრო უჭერდა ხელებს მისი ქმარი, ბრაზმა უკიდურეს წერტილს მიაღწია, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხელი კრა და ფეხი სახეში ჩაარტყა.

–არ გაბედო გესმის? მე არ გამიბედო, ღრიალებდა ელენე, ამის უფლებას არასოდეს მოგცემ, ჩემი ნების გარეშე ჩემი მოკვლა მოგიწევს, ნიკამ ზიზღით შეხედა პირსახოცი აიღო და აბაზანისკენ წავიდა. დიდ ხანს ტიროდა საწოლთან ჩაკეცილი, არეული ცხოვრება ყველაფერს ტკენდა, მუდამ თავისდაცვაში ყოფნა აგიჟებდა, ტანჯავდა და ეს ყველაფერი გულს ურევდა, საკუთარი თავი ძულდა ამას რო იტანდა, ყოველდღე თავს რო დამცირებულად და შეურაცხყოფილად გრძნობდა, ქმრის მოსვლა რო აშინებდა, უნდოდა რო უფრო დიდ ხანს ყოფილიყო გარეთ, ღამე რო არ მოდიოდა მხოლოდ უხაროდა, ოდნავადაც აღარ ჰქონდა ეჭვიანობის თავი. მაგრამ მაინც კითხა რო გამოვიდა..

–გუშინ სად იყავი?

–თბილისში, ესეთი პასუხები აგიჟებდა ელენეს. ნიკას ტყუილის თქმაც არ შეეძლო რო ოდნავ მაინც დაემშვიდებინა ცოლის ცხოვრება.

–კონკრეტულად?

–პლეხანოვზე, უხალისოდ პასუხობდა ნიკა და ტანსაცმელს იღებდა კარადიდან მთელი მონდომებით რო იყო ჩამოკიდებული, თეთრ მაისურს დიდ ხანს უტრიალა რო ბოლომდე დარწმუნებულიყო რო სულ სუფთა იყო, ოდნავი მტვერიც არ მიკარებოდა.

–ნიკოლოზ სად პლეხანოვზე? უკვე გრნძობდა როოგორ ეშლებოდა ნერვები.

–სასტუმრო და ნომერიც გითხრა? თუ იმით დაკმაყოფილდები რაც გითხარი?

–ვისთან ერთად?

–ქალთან. ელენეს შუბლი აეწვა ისე აეშალა ნერვები ამ შეურაცხყოფაზე.

–ნუთუ არ დაიღალე ამ საყვარლებით.

–ხარჭებზე თუ ამბობ, მაშინ არა. ნიკამ მაისური გადაიცვა, ფეხსაცმელებს მთელი მონდომებით წმენდდა მიუხედავად იმისა რო უკვე გაწმენდილი იყო, ეს ყველაფერი კიდე უფრო უშლიდა ნერვებს ელენეს.

–საყვარლები, ხარჭები, რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია რო გარყვნილი ხარ, გამოსცრა ქალს და თვალს არ აშორებდა მეუღლეს.

–აქვს მნიშვნელობა, შენ კი შემეშვი რა, ძლივს შეიკრა ფეხსაცმელები იმხელა მუცელი საშუალებას არ ძლევდა თავისუფლად ყოფილიყო, კარი ცხვირწინ მიუჯახუნა და სახლიდან გავიდა. ძლივს მოახერხა ტანსაცმელი ჩაეცვა და სამსახურში წასულიყო, ყოველდრე უძლებდა ასეთ დამცირებას, გულგრილობას, სიუხეშეს, სიმკაცრეს, უკვე ვეღარ გრძნობდა რო ქალი იყო, რაღაც არსებას უფრო გავდა მისი ცხოვრება, რომელიც მხოლოდ შვილებისთვის შეიძლება არსებობდეს.

.....

ყვირილით შევარდა ოთახში, გაოცებისგან ენა ებმოდა, ვერ იაზრებდა, ატეხილი აზრები თავში აწვებოდა და ვერაფერს ალაგებდა, ვერაფერზე ფიქრობდა, ამ სიტოაციაზე ეცინებოდა კიდეც, მაგრამ ბრაზი არ ტოვებდა. როგორ? როგორ შეიძლება კაცს ცოლი დედამ შეურჩიოს? იმდენად უუნარო და დებილი როგორ უნდა იყო, ბალიშები კედელზე ცვიოდა, ბოლოს გულიანად გაიცინა ძლივს მობრუნდა ისე ეცინებოდა. ასეთი რამე, ღმერთო ჩემო.... რა დონის დებილია....ასეთებიც არსებობენ, ჭერისკენ ხელები აწია ელენემ და ისევ სიცილი წასკდა.

–ელენე, ღიმილით შემოვიდა ოთახში დედა.

–დედა გთხოვ ნუღა გამაცინებ მაგ ბიჭზე, მასეთებს ხო იცი ვერ ვიტან, ალბათ დედამისი ურჩევს რა ჩაიცვას დილით, რა ჭამოს, როდის შევიდეს საჭირო ოთახში და მსგავსი რამეები, ცოლის მოყვანაზე აღარ ვამბობ, რა უუნაროა ხვდები? ბიჭი ცოლს თვითონ ვერ არჩევს, ვაიმე მეტი აღარ შემიძლია.

–ელენე მომისმინე, გაჩერდი ნუ იცინი, დამაცადე გითხრა, დედასაც ეცინებოდა უკვე. შენ ჯერ პატარა ხარ 16 წლის, მე და მამა შენ გათხოვებას ჯერ არც ვუშვებთ და ვიცი შენც ეგრე ხარ, მაგრამ უნდა მეთქვა იმ ქალს ცუდად არ უთქვამს, უბრალოდ თქვა რო კარგი იქნებოდა რო ერთმანეთი გაგეცნოთ... უბრალოდ გაგეცნოთ, ჩემი ძველი მეგობარია, ნუ იცინი ელენე დამამთავრებინე.....

–დედიკო გეხვეწები, ნუთუ შენ არ გეცინება, ამ დროში რო ბიჭი ცოლს დედისმიერ გაცნობილი გოგოების გარდა ვერ მოახერხებს მოიყვანოს, როგორ ფიქრობ ის ქმრად გამოდგება? მე მასეთს ავიტან? ხო იცი რო ასეთ რამეებს ვერ ვიტან, როცა კაცს კაცობა არ ეტყობა, ჩვარივითაა სადაც მიაგდებ რო იქ დაგხვდება ოდნავ არ აქვს ინდივიდუალიზმი, თავმოყვარე კაცი ვინმეს მიერ არჩეულ ტანსაცმელს არ ცაიცმევს და ცოლს მოიყვანს, ნუ გამაგიჟეთ, ალბათ მაგ ქალმა სამსახურს თავი დაანება და ამაზეა გადამდგარი..

–ის რომ დედა რაღაცას ურჩევს არ ნიშნავს რომ აუცილებლად ცოლად მოიყვანს, ელენე რა უტაქტოდ ლაპარაკობ რა არის? შენ გგონია ქალი ეგრე უნდა ლაპარაკობდეს, სხვაზე გაქ პრეტენზია შენ კი ისეთი უხეში ხარ, არ ნიშნავს რო ის ბიჭი ნიკოლოზი თუ არ ვიცი რა ქვია ვისაც დედა ხელს დაუდებს იმას მოიყვანს, მაგრამ ეტყობა რო დედის აზრს პატივს სცემს.

–ქალი გასაყიდი ცხოველი ხო არაა რო ასე არჩიოს..

–უხეშო, აღარ დაგელაპარაკები, უტაქტო ხარ...

–შეიძლება მაგრამ ეგ ვირაც ნიკოლოზი ჩვარია, დიახ იმას მოიყვანს ვისაც ძვირფასი დედიკო ხელს დაუდებს მეტი უნარი მაგას არც აქვს, ეგ რო მართლა ღირსეული იყოს ამის უფლებას არ მისცემდა რო მთელ ქვეყანას მასზე ელაპარაკა, რამდენს გააცნობდა უკვე წარმოგიდგენია? და ყველა ხო ამაზე ლაპარაკობს? მაგრამ იმას არ აწუხებს და დედამისმაც ფრთები გაშალა. მე რომ ბიჭი ვიყო ამის უფლებას არავის მივცემდი, ყველა ვინც გაბედავდა ჩემ ცხოვრებაში ცარევას თავისას მიიღებდა, არავის არაფერს მოვუთმენდი ვინც შეურაცხყოფას მომაყენებდა და არც მე მივაყენებდი, ვერავინ გაბედავდა ჩემ ქცევის გაკონტროლებას..... ელენე ისე გაბრაზებული ყვებოდა ამ ყველაფერს დედამისი გაოცებული უყურებდა

–იმიტო არ ხარ! ეს მიაძახა და ოტახიდან გავიდა.

–ბევრიც დაკარგა კაცთა მოდგმამ, ერთით ნაკლები ჩვარი იქნებოდა დედამიწაზე. ელენე თავისას აგრძელებდა რო მიხვდა რო თავის თავს ელაპარაკებოდა გაჩუმდა და ისევ გაეცინა. ეხ ნიკა, ნიკოლოზ, ნეტა რა გეშველება?!.

თავი 2

მანქანის გასაღები ძლივს აიღო ხელი უკენკალებდა, მთელი გზა საკუთარ თავს აწყნარებდა, იმას იხსენებდა რასაც სხვებს ურჩევდა, წარმოიდგენდა რო მასთან მისი პრობლემის ადამიანი რო მივიდოდა და რას ეტყოდა, არაფერი მოქმედებდა თავს ვერ აწყნარებდა, ეტირებოდა, მერე თავის თავზე გაბრაზდა ძლივს გადაყლაპა უადგილოდ გაჩხერილი ბურთი და მხიარულად შევიდა შენობაში.

–თეო სია შემომიტანე დღეს ვინც იქნებიან ჩაწერილები, ჩანთა დივანზე მიდო და სავარძელში მოთმინებით ჩაესვენა, დღის გრაფიკს გადახედა და ხალხის მიღება დაიწყო. ყოველთვის იცოდა რო საქმე და პირადი ცხოვრება ერთმანეთში არ უნდა აერია და ეს ყოველთვის გამოდიოდა, იცოდა რომ ამ შენობაში ფსიქოლოგი უნდა ყოფილიყო და არა ცოლი, არც დედა და არც ქალი, ამიტომ ყველა პრობლემა გვერძე გადადო და ახალგაზრდა გოგონას გაუღიმა.

მთელი დღე ემოციური იყო, თავს რაც უფრო აიძულებდა არაფერი შეტყობოდა უფრო მეტად ითრგუნებოდა შინაგანად. უამრავი შეტყობინება მიიღო სანდროსგან, რო გამოვიდა მანქანასთან მომღიმარი ალექსანდრე დახვდა. ელენემ ძლივს დაფარა გაოცება და სიხარული მისი დანახვისას.

–გამარჯობა! ჩაეღიმა და საკუთარი მანქანისკენ გაიშვირა ხელი.

–გამარჯობა სანდრო, აქ რა გინდა?

–რამდენი შეტყობინება გამოგიგზავნე, არ მპასუხობდი, არ გინდა სადმე სალაპარაკოდ წავიდეთ?

–არა სახლში ბავშვები მელოდებიან ისედაც დავაგვიანე.

–სხვა დროს ისინიც წამოიყვანე, უკეთესი იქნება თუ ერთმანეთს გავუგებთ, რა იცი რა ხდება ცხოვრებაში, ჩაეღიმა სანდროს და წინ გადმოწეული თმა გადაიწია.

–არ მგონია რო ამის საჭიროება იყოს ალექსანდრე, უკვე მერამდენედ გიმეორებ.

–შენ სიჯიუტეზე რამე გსმენია? ვერ წარმოიდგენ მე რა ჯიუტი ვარ, დედა სულ ამაზე მეჩხუბებოდა. ელენეს გაეღიმა, უხმოდ ჩაჯდა მანქანაში და სახლისკენ წავიდა.

როცა ნიკა სახლში იყო ბავშვები ოთახიდან თითქმის არ გამოდიოდნენ, ანასტასია აპარებდა კვარკვალა თვალებს ოთახიდან და დემეტრეს ეხვეწებოდა დედასთვის დაერეკა მალე მოსულიყო. იმ დღეს ელენეს აგვიანდებოდა, ბავშვები მშივრები იყვნენ და გარეთ გასვლა დააპირეს, როცა მამის თვალებს გადააწყდნენ...

–დემეტრე!!!! დემეტრეს ჟრუანტელმა დაუარა ამ ხმაზე.

–ხოო.

–სად მიდიხარ და დაბლა რო დაიხედა თ–ც დააყოლა ანასტასია ძმის ფეხზე იყო ატუზული და მამას უცინოდა.

–გარეთ!.

–არ გახვალთ! ანასტასიას ნიკაპი აუკანკალდა ოთახში გაიქცა რო იქ არ ეტირა. დემეტრე ამაყად მიაბიჯებდა ოთახისკენ და გრძნობდა როგორ მოძრაობდა სისხლი მთელ სხეულში ბრაზისგან ადურებული.

–ასე არ გახვალთ, დაკუჭული გაცვია მაისური და ანასტასიას კაბა, ან გაიუთოვე და ისე გადით ან ვერ გახვალთ, ანასტასია უთოს ძლივს მოათრევდა აცრემლებული თვალებით იცინოდა, მოულოდნელად რო გადაეფიქრა ტირილი. დემეტრემ ტასოს გაუუთოვა კაბა და გარეთ გააცილა თვითონ სახლში შემობრუნდა, ნიკას ხმა არ გაუცია, ჩუმად ყურსასმენებით უყურებდა დემეტრე თავის ოთახში ფეხბურთს, კარისკენ ჰქონდა თვალები რო ნიკა არ შემოსულიყო და არ წაესწრო. ელენეს გარეთ დახვდა ანასტასია და უკვე მოყოლილი ჰქონდა სახლში რო შემოვიდნენ როგორ კარგად მოიქცა დემეტრე, ელენე უფრო ანერვიულდა დემეტრეზე, გრძნობდა როგორ იჩაგრებოდა.

–ანასტასია ხელით ნუ ჭამ! ჭიქა მაგიდაზე მძიმედ დადგა ნიკამ. შეშინებულმა პატარამ მაშინვე ელენეს შეხედა და დასვრილი ხელი ჩანგალს დაავლო და კართოფილს ძლივს „ჩაარტყა“ ნიკამ მძიმედ გადაყლაპა ნერწყვი და წარბებით უცნაური მოძრაობა გააკეთა, ელენემ მაშინვე აიყვანა პატარა ხელში ხელები დაბანა სუფთა ჩანგალი დაუდო და გაუღიმა.

–ესე ჭამე დე. დემეტრე მალევე ადგა ფეხზე ელენემ ნაღვლიანად გააყოლა თვალი შვილს, ანასტასია მაინც უღიმოდა მამას, რომელიც ზედ არ უყურებდა.

–დედიკო დღეს სკოლაში ჩემი დაქალი როა ხო იცი მარი, ფეხი იტკინააა...

–ტასო წამო მე და შენ ოთახში და იქ მომიყევი დაწვრილებით, ელენემ ბავშვი მოარიდა, იცოდა როგორ არ უყვარდა სუფრაზე ლაპარაკი ნიკას. ბავშვებთან ოთახში იყო რო გაიგო როგორ გავიდა გარეთ ნიკა, სახლმა თითქოს ამოისუნთქა.

–დემე ნუ ხარ მოწყენილი დე რა?

–ჩემ გუნდელებს სახლში აიძულებენ რო ვარჯიში არ გააცდინონ, თვალებმოფშვნეტით დადიან, მე ისე მიხარია რო მივდივარ ტანში ჟრუანტელი მივლის, მაგრამ მამას გამო ყველაფერი მშხამდება.

–ეგრე ნუ ამბობ დემეტრე! ყველას და ყველაფერს აქვს თავის მიზეზი.

–ისევე როგორც ჩვენ ტანჯვას ხო, ყველას ვინც ცუდად იქცევა უნდა გავუგო რადგან მიზეზი აქვს?

–ყველას არა მაგრამ ის მამაშენია! ელენეს თითქოს ხმაში ფოლადი ჩაუსხეს.

–ასე მგონია რო რაღაცას ვაშავებ, როცა ბურთს მივდევ, როცა ვგრძნობ რო ყოველდღე უფრო მეტი მოთამაშის მოტყუება შემიძლია, როცა უფრო სწრაფი ვხვდები მგონია რომ რაღაცას ჩავდივარ, რაღაცას ვღალატობ, ეს გრძნობა მაგიჟებს და სიცოცხლეს მიმწარებს.

–სულ ასე არ იქნება, დემეტრე, ვიცი, მესმის შენ გამო არ იცი როგორ ვნერვიულობ, ელენემ ვეღარაფერი უთხრა იცოდა რო შვილი მართალი იყო, ტასოს აკოცა და ოთახიდან გავიდა. შუა ღამეს მოვიდა ძალიან მთვრალი ნიკა, უხმაუროდ შევიდა ოთახში, ელენე ხმას არ იღებდა სანამ საბანი არ გადააძრო უხეშად ნიკამ, კისერში ისე ძლიერად წაავლო ხელი რო განძრევასაც ვერ ახერხებდა ელენე, უფროდაუფრო გრძნობდა რო ვერ ეწინააღმდეგებოდა ძლიერ და მსუქან ხელებს უკითხავად რო დაცურავდა მის სხეულზე, ვერც ყვიროდა სიკვდილი ერჩივნა ბავშვებს ეს ენახათ.

–ნიკა ხელი გამიშვი, გამოსცრა. გული ერეოდა იმაზე რისი მოგერიებაც თითქმის ყოველ ღამე უხდებოდა, სახეში ხელებს ურტყავდა, მომშორდი, ნიკამ გაიცინა და ხელი შეუშვა.

–აქ არ დაიძნებ! მკაცრად უთხრა ელენემ. ნიკა წამოდგა, არც ისეთი მთვრალი ჩანდა როგორც თავიდან.

–რას ეძებ?

–თეთრეულს რო სხვაგან დავიძინო.

–არის სასტუმრო ოთახში გადაკრული.

–ხო მაგრამ ახალი მინდა.

–ახალია არავის ძინებია.

–უკვე გადაკრულია და მტვრიანი იქნება, ჯიუტად ეძებდა თეთრეულს.

–კარგი რა რა მტვერი ახალია.

–ვერ ვიძინებ სხვანაირად, თუ ახალი გადაკრული არაა ან შენი და ბავშვების არაა. ელენეს გაეღიმა.

–არ გადამრიო სხვაგან არ წვები? მერე შენი საყვარლები?

–ჯერ ერთი წოლა და ძილი სხვადასხვა რამაა, თანაც მე მხოლოდ ერთი საყვარელი მყავს, ხარჭებს თუ გულისხმობ ბევრი.

–სულ ცდილობ დამამცირო, მაგრამ მაგას არ გაღირსებ, შენი საყვარლებიანად ჯანდაბაშიც გზა გქონია, მარტო შენთავს ღალატობ რადგან დიდი ხანია მე აღარ მეკუთვნი. ნიკამ თეთრეულის გადაძრობა დაიწყო, ელენემ ვერ მოითმინა და შევიდა.

–მომეცი მე გადაგიკრავ. ნიკა მიუახლოვდა თვალებში შეხედა და თითქმის ჩურჩულით გაიმეორა:

–მხოლოდ დღეს, სხვა ოთახშიც მიჭირს დაძინება.

–და ღამე კოშმარებსაც ხო არ ხედავ? ელენეს თავის ნათქვამზე თვითონვე გაეცინა, მაგრამ არ შეიმჩნია და ოთახიდან მალევე გავიდა. დილით ნიკა საბუთებით ხელში დაადგა ნახევრად სველი თმით.

–რა არის?

–განქორწინების საბუთებია, მშვიდად უპასუხა.

–კარგი. გაკვირვება ძლივს დაფარა ელენემ, –დადე და მოვაწერ ხელს, თუმცა მომეცი ახლავე, სწრაფად მოაწერა ხელი ნახევრად მძინარემ.

–ზეგ გადავალ სახლიდან, არ ვიცი რამდენხანში მაგრამ მალე სხვას მოვიყვან ცოლად.

–შეგიძლია ზეგვე.

–მე შენი ნებართვა არ მითხოვია უბრალოდ გითხარი რო მერე არ გაგკვირებოდა. და კიდევ თუ ჩემთან ერთად ერთ ოთახში ყოფნა არ გინდა შეგიძლია გახვიდე მე არ გავალ! და კიდევ ის ტიპი სანდრო ხო? ცნობილი რეჟისორი არ გამოგადგება.

–რა? თვალები გაუფართოვდა ელენეს. შენ რა გეკითხება?

–კაცმა რომელმაც არ იცის რა ეკუთვნის და რა არა ის ვერც იმას დაიცავს, რაც მართლა მისია.

–ნიკოლოზ ნუ მაცინებ, შენ იცი როგორ უნდა გაუფრთხილდე იმას რაც გეკუთვნის სხვაზე რო ტამამად ლაპარაკობ? ელენეს სიმწრით ჩაეღიმა.

–მერე მე კარგი ვარ?! ჩაიღიმა ნიკამ და კარადიდან მაისური გამოიღო, ფრთხილად გადაიცვა, დიდ ხანს უტრიალა ხო სუფთა იყო და ბავშვების ოთახისკენ წავიდა. რო შევიდა რამდენიმე წამს გაუნძრევლად იდგა, აუჩქარებლად მიუახლოვდა კედელზე ჩამოკიდებულ ტელევიზორს, ანტენა გამოგლიჯა და იატაკზე დაახეთქა ტელევიზორი, ანასტასია აიწურა, დემეტრეს შიში, ზიზღი, სირცხვილი ერთად ჩაუდგა თვალებში და უფრო ნიღბავდა გულის გულში დაფარულ გრძნობებს. ანასტასია დედის ოთახისკენ გაიქცა ატირებული.

–მე გითხარი რო ფეხბურთს არ უყურო!

–შენ მაგას ვერ ამიკრძალავ!

–მე გითხარი დემეტრე!!!!!! ნიკას ხმამ თითქოს კედლები და დემეტრე ერთად გაბზარა. მაგრამ შენ ჩემი არ გესმის როგორც ჩანს! ყველაფერს ისე აკეთებ რო ჩემი საწინააღმდეგო იყოს!

–უბრალო თამაშის ყურებით რა შავდება?

–ყურებით? სკოლის ცდენით ვარჯიშის გამო? თითქმის მთელი დღე ბურთის დევნით და ეს ყველაფერი ჩუმად, საიდან ამხელა თავხედობა დემეტრე? ბავშვი გაქვავებული იყო ვერ იფიქრებდა რო შეიძლებოდა მამამის ცოდნოდა რო თამაშობდა. შენგან ამას ვითხოვდი თუ არა? ნიკამ გვერძე მდგომი მაგიდა ააყირავა და დემეტრეს მიუახლოვდა, კედელზე ისე იყო აკრული ბავშვი თითქოს მის განგრევას მხრებით ცდილობსო. ელენე გულაჩქარებული შემოვარდა, ანასტასია აცრემლებული იდგა კარებთან და პატარა მუხლები უკანკალებდა.

–ნიკა დაანებე თავი, შუაში ჩადგა ელენე.

–შენ ჩემი სიტყვები დაიმახსოვრე, ხშირად გაგახსენდები, ბევრჯერ ინანებ გესმის! ღრიალებდა ნიკა.

–რას ვინანებ? იმას რო ჩემი გშურს? არ გამახარე მთელი ცხოვრება, მიშლი იმიტო რო შენ ეს არ შეგიძლია, შენ იმას ვერ გააკეთებ რაც ახლა მე შემიძლია.

–შენც არ იცი რას ბოდავ! ნიკა ოთახიდან გამოვარდა. ანასტასია დემეტრესკენ წავიდა და ატირებული ჩაეხუტა.

–მამიკოს ეგრე რატო ელაპარაკები?!

–ანასტასია, საწოლზე წამოჯდა დემეტრე და ტასოს სახეზე ხელები მიადო, –შენ არ ინერვიულო, შენი მამიკო უფრო მეტის ღირსია, მაგრამ შენ არ გინდა ამაზე ფიქრი. გაბუტული სახით შეხედა პატარამ.

–მე მინდა რო კარგად ვიყოთ, არ მინდა რო ვჩხუბობდეთ.

–რა უფლებით უყვირი ბავშვებს? გაცოფებული შეუვარდა ოთახში ელენე.

–დამანებე თავი, შემეშვი საერთოდ გესმის!

–თავს გვაძულებ ნიკა რა გჭირს?

–მე კი უკვე მძულხარ, ვერ გიტან, მაღიზიანებ ყოველ წუთს, როცა გხედავ. ელენეს შუბლი აეწვა ბრაზისგან.

–ნუ მაფიქრებინებ რო დემეტრე მართალს გეუბნება, რომ 13 წლის ბავშვის გშურს, საკუთარი შვილის. ნიკას თვალები ბრაზისგან მთლიანად აემღვრა, თითქოს ცეცხლი ედგა, მოქნეული ხელი ძლივს გააკავა.

–ეგ გაკლია და ბოლომდე გადამივლი ყველანაირად, თუ მაგას გააკეთებ ნიკა იცოდე რო უკან ვეღარასოდეს დაბრუნდები, ყოველ დღე შენ სიძლვილში გავატარებ და საბოლოოდ იქცევი ჩემ თვალში ცხოველად. ელენეს სიტყვა არ დაამთავრებინა მასზე მძიმედ დაშვებულმა ხელმა, ლოყა სიმწრისგან ეწვოდა, მაგრამ ეს ტკივილი არაფერი იყო მასთან შედარებით რასაც მისი გული გრძნობდა. თვალები ნელ–ნელა იფარებოდა წყლით, მერე ვეღარ დაიტია თვალმა და სახეზე თვითონ გაიკაფა გზა მარილიანმა სითხემ.

–შენ ჩემთვის ეგ არასოდეს უნდა გეთქვა, დემეტრეს შეეძლო, მას მიზეზი ჰქონდა, შენ არ გქონდა ამის თქმის უფლება, შენ არა გესმის.....

–აღარაფერი მაინტერესებს ნიკა, შენ ჩემთვის მკვდარი ხარ და ვერც ჩემ შვილებს აუკრძალავ ამიერიდან რამეს, დემეტრეს რამდენ ხანსაც უნდა იმდენს ივარჯიშებს, რასაც უნდა იმას გააკეთებს და ყველაფერს გავაკეთებ რო შენნაირ პირუტყვად არ იქცეს. როცა კაცი ქალზე ხელს აწევს მას მხოლოდ ორი არარსებული ფეხი განასხვავებს პირუტყვისგან, ქალს მნიშვნელობა არ აქვს რანაირია. შენი სიტყვებია თუ გახსოვს. ნიკამ თავი ჩაღუნა. თვალები მტკიცედ იმეორებდა ელენეს სიტყვებისგან წამოსულ ბრაზს, ..სიტყვით კი მხოლოდ ეს მოახერხა.

–მაპატიე, დამნაშავე ვარ! ნიკა მთელი დღე გასული იყო, ელენე ბავშვებთან დარჩა, მათ გამხიარულებას ცდილობდა, ანასტასია დედას ეხუტებოდა და კოცნიდა, ხასიათიც გამოუკეთდა, მაგრამ დემეტრე სულ ჩაფიქრებული და დაღვრემილი იყო.

როცა სახლში მოვიდა ოთახიდან არავინ გამოსულა, ანასტასია ცქმუტავდა, უნდოდა გამოსულიყო და მამასთან მისულიყო, მაგრამ ვერ ბედავდა რამის თქმას, ნიკა თვითონ შევიდა, ახალი ტელევიზორი შეიტანა ოთახში და მაგიდაზე დადო, ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა საწოლს და ფრთხილად ჩამოჯდა.

–მე არ ვარ მართალი და ეს ვიცი, არც ერთთან, ამ დროს ელენეს შეხედა, ამიტომ ვფიქრობ რომ უმჯობესია წავიდე, ანასტასიას მაშინვე ცრემლებით აევსო თვალები, დემეტრემაც ვერ დაფარა გაოცება. მე თქვენ მიყვარხართ, როგორც შემიძლია და ისიც ვიცი რო ჩემი ქცევა ხშრად აუხსნელი და გაურკვეველია უფრო კი ამაზრზენი. დემეტრე შენ ყველა მიზეზი მოგეცი რო არ გიყვარდე, მაგრამ არასოდეს იფიქრო რო შენი ოდესმე შემშურდება, ამას ალბათ მაშინ მიხვდები,

როცა შვილი გეყოლება, თუ რამე სიყვარული შეიძლება იყოს ყველაზე უანგარო ეს მშობლისაა, ახლა ალბათ ვერც იმ მიზეზს აგიხსნი რატო არ მინდა ითამაშო უბრალოდ მინდა იცოდე რო არ მინდა ოდესმე ის განიცადო რამაც მე ჩამომანგრია. ელენემ ცრემლები ვერ შეიკავა, ამ სიტყვებმა თითქოს მდუღარე გადაასხა სულზე და სხეული გაუყინა, თავისი სიტყვები გაახსენდა და ახლა იმაზე მეტად ეტკინა ვიდრე ეგონა რო შეიძლებოდა ასე ყოფილიყო. ოთახიდან გავიდა სააბაზანოში დიდ ხანს ტიროდა, როცა გამოვიდა ნიკა უკვე იწვა წიგნს კითხულობდა, გაუბედავად მიუახლოვდა საწოლს და თავის მხარეს მოიკუნტა, მაგრამ ეს სულის და სხეულის შეკუმშვა არ ყოფილა შიშის, იცოდა რო ნიკა იმ ღამეს არ მიეკარებოდა, მაგრამ მაინც იმაზე ცუდად იყო ვიდრე ოდესმე. შუქი ჩააქრო ნიკამ დიდ ხანს ესმოდათ ერთმანეთის სუნთქვა, დუმილით დამყარებული სიმყუდროვე კარზე კაკუნმა დაარღვია, ანასტასია შემოიტუზა ოთახში.

–რა იყო დე? ხო კარგად ხარ, სწრაფად აანთო სინათლე ელენემ ისე რო დარწმუნებული იყო ნიკას ეღვიძა.

–შეიძლება შენთან დავწვე დედიკო? ხმა აკანკალებული ჰქონდა პატარას.

–მოდი ტასო, სიზმარი ნახე? გაეღიმა ელენეს და პატარა მიიწვინა.

–დედიკო შუაში რო ჩავწვე შეიძლება? ჩაჩურჩულა ელენეს ანასტასიამ, თან დედიკო ფეხები დავიბანე და წყალი დამექცა, არ გამიბრაზდე კარგად ვერ მივწვდი.

–რატო დაიბანე? სანამ დაწექი ხო დაგბანე ანასტასია?

–მამიკოს რო არ ეთქვა მაინც, ჩაიკრუსუნა ანასტასიამ და შუაში გადავიდა. ელენე აბაზანაში გავიდა მისალაგებლად, თან იმაზე ფიქრობდა ამდენი სუნამო რატო დაისხა ანასტასიამ. ნიკა ფრთხილად დაიხარა და შუბლზე აკოცა პატარას.

–რა გასხია მა? ანასტასიას თვალები დაექაჩა და სწრაფად აფახულებდა, თითქოს გამოიჭირესო. ნიკას გაეცინა, ანასტასია ხმას ვერ იღებდა იმიტო დაისხა რო იცოდა მამას უკვარდა კარგი სუნი, მაგრამ ახლა ვეღარ გაიგო მოეწონებოდა თუ არ და უკვე იმდენი ესხა თვითონაც აწუხებდა.

–გემრიელი ხარ, ეს უთხრა და ხელები შემოხვია პატარას, ანასტასია ატირებული ჩაეხუტა.

–მომენატრები მამიკო, ნიკა გრძნობდა რო ხმას ვერ დაიმორჩილებდა ამიტო არაფერს ამბობდა ღრმად ისუნთქავდა შვილის სურნელს და იმახსოვრებდა. როცა ელენე ოთახში შევიდა ანასტასიას ფეხები ნიკას ცხვირთან ედო და იცინოდა, დიდ ხანს ვერ იჯერებდა მისი თვალები ნანახს, ნიკას სიცილის ხმა აგრძნობინებდა რო მალე უნდა გამორკვეულიყო, ისევ ის ხმა ეგონა საუკუნე იყო რაც არ გაეგონა, გრძნობდა გული წაუვიდოდა ისე მძაფრად განიცადა ნანახი სწრაფად მივიდა საწოლთან და კიდევ უფრო მოკუნტული დაწვა. დილით რო გაეღვიძა ანასტასია ნიკას მუცელზე ეწვინა და თმაზე ეფერებოდა მძინერეს, იმხელა მუცელზე დაწვენილი თითქოს ჰაერში იყო პატარა.

.....

–ელე გთხოვ სკოლიდან ჩემთან მივდივართ ბავშვები ტენისის სათამაშოდ და შენ ადრე წამოდი რა ჩემთან.

–კარგი ბარბარე, იმდენი რამე მაქ მოსაყოლი, აი მოკვდები სიცილით ერთ ბიჭზე უნდა მოგიყვე. ბარბარე მერხთან ძლივს ჩერდებოდა, ელენე ახალი გადასული იყო მათ სკოლაში და უკვე ძალიან მეგობრობდნენ. სახლში სიცილით შევარდნენ, სამზარეულოში.

–სწრაფად მომიყევი სანამ ბავშვები მოვლენ ბარბარეს ეცინებოდა.

–ერთი ქალია დედაჩემის ძველი მეგობარი და შვილი ყავს ბიჭი ნიკა მემგონი თუ რაღაც ეგეთი, წარმოიდგინე ეს ქალი თავისი შვილისთვის, თვითონ, თვითოს გესმი ეძებს საცოლეს, წარმოგიდგენია ბარბარე? და დედაჩემს უთხრა რას ფიქრობ ერთმანეთი რო გავაცნოთო. აი წარმოიდგინე რა დონის დებილია ის ბიჭი. ბარბარე ჯერ თვალებს აფახულებდა ძალიან სწრაფად, მერე ლამის წყალი გადაცდა და ქანდაკებასავით გაშეშებული იდგა.

–და ის ბიჭი რას საქმიანობს? ძლივს იკითხა.

–რაღაც ფეხბურთელობს თუ მსგავსი არ ვიცი ხო იცი როგორ არ მიყვარს ეგ სპორტი. ელენე ელოდა როდის გაიცინებდა ბარბარე, მაგრამ ზედმეტად სერიოზული იყო ამისთვის.

–ხო მაგრამ ეგ არ ნიშნავს რო ის ბიჭი დებილია ან იმას აკეთებს რასაც დედამისი ეუბნებაა, ყურადრებას ნუ მომაქცევ ელე, ბარბარემ ლაპარაკი გაწყვიტა.

–რამე ხო არ გეწყინა ბარბარე? ვერ მივხვდი რატო ხარ ესე, არადა მართლა სასაცილოა, აი მართლა. ბარბარეს სიცილი აუტყდა.

–ვაიმე ელენე შენ არ იცი უფრო სასაცილო რამე, ბარბარემ ძლივს მმოითქვა სული როცა სამზარეულოში დედა შემოვიდა. ელენე გაღიმებული მიესალმა გაოცებულ ქალს.

–შენ ელენე არ ხარ? ელენე ლორთქიფანიძე?

–დიახ..მაგრამ გაოცებული იყო ელენე, ბარბარე ჩუმად ფხუკუნობდა.

–მე მაია ვარ დედას მეგობარი, გაუცინა ქალმა და თმაზე ხელი ჩამოუსვა. ელენეს ეგონა დენმა დაარტყა, ახლა იმის გააზრებამ რაც ყველაზე გონივრულად ეჩვენებოდა ის იყო რო ეს ქალი იყო ზუსტად ის ვისაც დასცინოდა და ბარბარე იმისი და ვისაც დებილს უწოდებდა, თავზარი დასცა, ყველაფერზე გული ერეოდა. იქ იყო თავის ფეხით მისული სადაც არასოდეს მიადგავდა ნებით ფეხს. ბარბარეს შეხედა გაფართოებული თვალებით.

–აი ამაზე გეუბნებოდი ეს უფრო სასაცილოა. ბარბარე ტავს ვერ იკავებდა.

–რა გჭირს დედა? გაეღიმა მაიას, ხო არ იცი ნიკა სად არის? ელენეს სხეულშ შანტებმა დაუარა, გრძნობდა რო თავს ვერ შეიკავებდა და ყველას მიალანძღავდა,.

–არ ვიცი დედა გარეთ იქნება.

–ელენე შვილო აქ იყავი ჩემი შვილი უნდა გაგაცნო, მემგონი რო მართლა ბედია ასე შემთხვევით მოხვდი ჩვენ სახლში, ელენეს სახე დაემანჭა სიმწრისგან და ამ სისულელეების მოსმენა ცუდად ხდიდა. „ბედი არა ის, მომინდომა, სასწაული პირდაპირ, მაგის შვილისთვის ვარ შექმნილი და მსგავსი სისულელეები, ვაიმე აქ რა ჯანდაბა მინდაააა“ სიტყვებს ძლივს ალაგებდა გონებაში.

–ბარბარე მაპატიე, არ ვიციოდი თუ შენი ძმა იყოო....

–მაგრამ ისე სასაცილოა ნიკას რო ვეტყვი აი იმდენს ვიცინებთ.....

–რას ეტყვი ნუ გადამრიე ახლა, არაფერი უთხრა სირცხვილია გაბრაზდება და ეწყინება, ჯობია წავალ რაა...

–ვაიმე შენ ჩემ ძმას არ იცნობ ამაზე იმდენს ვიცინებთ. ელენე გაოოცებული იყურებოდა და საკუთარ თავს ლანძღავდა აქ რო ფეხი შემოადგა.

–კარგი ახლაააა ბარბარე ნუ ხუმრობ.

–დაიცადე გაგაცნოს.....მალე ხმა გაიგონეს.

–დედა აი ის გოგო რო გეუბნებოდი უნდა გაგაცნო.

–რომელი დედა? იმდენზე მეუბნები სია უნდა მქონდეს რო ვიმახსოვრო, ეგ რომელია მაღალი შავგვრემანი თუ საშუალო სიმაღლის წითური? მხიარულად უპასუხა ნიკამ. და თვალები მოხუჭა წარმოსახვითი სიის წარმოსადგენად.

–არც ერთი თვითონ ნახე, ელენეს ეგონა რო ტვინში სისხლი ჩაექცეოდა თავი გასაყიდი ნივთი ეგონა, მაგრამ ჯერ არ იცოდნენ ამ „ნივთს“ როგორი ლანძღვა შეუძლია.

–ახლა მარტო ის მწადს რო წყალი გადავივლო ასე გოგოს კი არა ჩვენი მეზობლის ძაღლს არ გავიცნობ, გაიცინა ნიკამ. ბარბარე ჩაიკეცა სიცილისგან, ელენეს ეგონა გიჟები იყვნენ გარშემო. დედა არანორმალური, შვილები უფრო მეტად არაადეკვატურები.

–ახლა მაგარი ამბები წავა, ბარბარე ელენეს ჩურჩულებდა.

–ნიკა კარგი ახლა ჩუმად ილაპარაკე აქაა ის გოგო, მაიამ თავზე ხელი გადაუსვა შვილს, რომელსაც სიცილნარევი სახე დამანჭოდა.

–შენ დროს არ კარგავ მაიკო. გაეცინა ნიკას და სამზარეულოში შევიდა „გოგოს“ გასაცნობად. ელენე გაოცებული უყურებდა სპორტულებში გამოწყობილ „დეგენერატს“ ასე ბუნებრივად რო მიესალმა და ბარბარეს თვალებით რაღაცას ანიშნებდა და მერე ჩუმად ორივე იცინოდა.

თავი 3

„რაც უფრო მძიმეა ტვირთი მით უფრო ახლოა ჩვენი ცხოვრება მიწიერთან, მით უფრო ნამდვილია ის“

წასვლით თითქოს ყველაფერი ჩამშვიდდა, გაუსაძლისი, ამაზრზენი, აუტანელი ცხოვრება დამთავრდა და დაიწყო ახალი, უფრო სხვანაირი, განსხვავებული, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ არქმევდა ელენე სახელს ამ ცხოვრებას, მხოლოდ „უჩვეულო“ ეს სიტყვა თუ ასახავდა მის ყოფნას. მისი ცხოვრება მთლიანად ნიკაზე იყო აწყობილი, ახლა გრძნობდა თავისუფლებას, ბუნებრიობას თითქოს ისევ თექვსმეტი წლის იყო, თითქოს ჯერ კიდევ არ არსებობდა ნიკა მის ცხოვრებაში. დემეტრემ თითქოს ფრთები გაშალა, ბავშვობა დაიბრუნა, ყოველი დღე უფრო მნიშვნელოვანი, უფრო საჭირო გახდა, ვარჯიშზე წასვლის არ ეშინოდა, თამამად იყო სახლშიც, სუფრაზეც უფრო მეტი მხიარულება იყო აღარავინ აიძულებდათ ხმადაბლა ყოფილიყვნენ, „წესების დაცვით“ ესადილათ, ევახშმათ, ახალმა ცხოვრებამ სამივეს ის ჩამქრალი ნაპერწკალი გაუჩინა, რაც ასე მნიშვნელოვანია ყოველი ადამიანისთვის, მხოლოდ ანასტასია იყო უფრო მოწყენილი თუმცა იშვიათად მარტო მაშინ, როცა ნიკა მოენატრებოდა, მაგრამ მასშიც იყო წყენის მძიმე ფესვები ღრმად გადგმული.

–დედიკო ჩემი ცეკვის მასწავლებელმა კარგი გოგო ხარო, გაიჭიმა პატარა.

–ჩემი ლამაზი, ელენეს გაეცინა ამ „მოხსენებაზე“ და ჩაეხუტა.

–ლამაზზე მეტად ტლიკინა, გაეცინა დემეტრეს ოთახიდან ახალი გამოსული რო იყო.

–ნუ ეჩრები ჩემი და დედიკოს ლაპარაკში, მე ლამაზი გოგო ვარ და კარგი. დოინჯი შემოირტყა ანასტასიამ.

–და ძალიან მეტიჩარა, დემეტრემ თავზე აკოცა და გარეთ სირბილით გავარდა სპორტულებით.

–დედიკო მამიკო რატო აღარ გვნახულობს? არ ვენატრებით? მე რო მომენატრა?

–მამიკო ახლა საქართველოში არაა ანასტასია, რო ჩამოვა ალბათ გნახავს. ელენემ კალთაში ჩაიჯინა ანასტასია.

–სადაა? რამდენ ხანში მოვა?

–ანასტასია, რაღაც უნდა გითხრა დე და კარგად მომისმინე ხო?

–კარგი დედიკო გისმენ, საიდუმლოდ? მარტო მე და შენ რო ვიცოდეთ? ანასტასიას თვალები გაუბრწყინდა ისე თითქოს განძი აღმოაჩინა. დემეტრეს არ ვუთხრათ ხო დე?

–არა ტასო დემეტრემ უკვე იცის, ანასტასიას ანთებული თვალები ჩაუქრა და დედას მიეხუტა.

–დე ხშირად ადამიენები ერთმანეთს ვეღარ ეწყობიან და შორდებიან, ეს ხო იცი..

–მამიკო როგორც წავიდა? ჩვენ ვერ გვეწყობოდა? თუ ვუყვარდით რატო ვერ გვეწყობოდა? ხო გვითხრა მიყვარხართო?

–ხო დე უყვარხართ, მაგრამ მე და მამამ გადავწყვიტეთ რო ასე ჯობს, მამამ კი იპოვა ადამიანი ვისთანაც უკეთესად იქნება, ახლა მასთანაა და ჩამოვლენ თუ არა მაშინვე გნახავს.

–სხვა ცოლი ყავს? ანასტასიას ხმა აუკანკალდა.

–ხო დე, მაგრამ ეს არაფერს ცვლის შენ და დემეტრე ისევ ისე ეყვარებით.

–შენ? დედიკო შენ? მე რო ძალიან მიყვარხარ მინდა მამიკოსაც უყვარდე და ერთად ვიყოთ, მერე მამიკოს სხვა შვილებიც რო ეყოლება მე აღარ გავახსენდები, ატირდა პატარა, ელენეს გული ლამის გაუსკდა მის სიტყვებზე.

–ღმერთო რა პატარა ხარ ანასტასია, ახლა გული გახეთქვას ჰქონდა ისე უცემდა, გრძნობდა რო ამ ყველაფრის გასაგებად ანასტასია საკმარისზე მეტად პატარა იყო და ყველაფერს უფრო განიცდიდა. –შენ როგორ შეიძლება არ ახსოვდე? შენ ისეთი პატარა და ლამაზი გული გაქ? დედიკო ეგ არასოდეს იფიქრო, როგორ მიყვარხარ ჩემო პატარა, ნუ ტირი გთხოვ. ელენე ძლივს ამბობდა სიტყვებს თვითონაც ეტირებოდა.

 უკვე ექვსი თვე იყო გასული ნიკა ერთხელაც არ შეხმიანებია, მხოლოდ ის იცოდა რო დედამის ეკითხებოდა ბავშვების ამბებს. მათი საწოლის დანახვისას სულ ის საშნელი დღეები ახსნდებოდა, როგორ ყოველ დღე უწევდა წინააღმდეგობის გაწევა, ახლა მისმა ძილმაც სიმშვიდე მოიპოვა, ანასტასიაც უფრო უკეთესად იყო,, ელენე დემეტრეს თამაშებზე დადიოდა და გაოგნებული უყურებდა მის თამაშს, გრძნობდა რო მასში ამ თამაშის სიყვარულს ვერც ერთი მოკვდავი ვერ ჩაკლავდა.

–გამარჯობა ელენე, მოესმა ნაცნობი ხმა ზურგიდან, როცა დემეტრეს თამაშს უყურებდა. ეგონა სისხლმა მოძრაობა შეწყვიტა, მერე იგრძნო როგორ ჩამოჯდა მის გვერდით, მაღალი, გამხდარი სხეული, არ შეუხედავს ისედაც გრძნობდა რო თვალს არ აშორებდა.

–გამარჯობა, ძლივს ჩაილაპარაკა.

–როგორ ხარ? არ მპასუხობ, არ მელაპარაკები, რას შეიძლება დავაბრალო, ვითომ ამინდს? თუ.....

–არ ვიცი, უბრალოდ ასე მირჩევნია.

–დემეტრე კარგად თამაშობს, ძალიან უყვარს არა?

–კი ძალიან, თითქოს სუნთქვა გაეხსნა ეს პერიოდი სულ ბედნიერია.

–ელენე ცხოვრება სცენას ჰგავს, ჩვენ კი მსახიობებს, რომლებიც ურეპეტიციოდ ვთამაშობთ როლს, თანაც მხოლოდ ერთხელ. ამიტო შეცდომების დაშვებას მტკივნეულად აღვიქვავთ, ასევე მტკივნეულია წლების გასვლა, დროის დაკარგვა, მაგრამ უფალმა მაინც მოგვცა საშუალება წარსულში დაშვებული აწმყოში გამოვასწოროთ და მომავალში გავთავისუფლდეთ. მე შენ მთელი ჩემი გულით გთავაზობ იყო მთელ ჩემ გულში ელენე.

–და სანდრო რეჟისორები ვინ არიან ამ სცენაზე?

–რეჟისორები? გაეღიმა ალექსანდრეს, რეჟისორები მსახიობები, რომლებიც რეჟსორები ხდებიან ცხოვრებაში, ისე კი ჩემი აზრით რეჟსორი ამ ცხოვრებაში ბედია, ბედისწერა.

–მე რო ბედისწერის არ მჯერა ალექსანდრე? თბილად შეხედა ელენემ.

– არაფერს ცვლის გვჯერა თუ არა, ის მაინც იღებს ჩვენ ცხოვრებაზე ფილმს თავისი წესებით.

–და ჩვენი არჩევანის თავისუფლება?

–ჩვენი არჩევანის თავისუფლება ჩვენი ინდივიდუალიზმია ამ სცენაზე სადაც ყველაფერი უკვე დაგეგმილია მანამ გამოვალთ.

–საინტერესოა სანდრო ძალიან, ძალიან რთულია როცა შენ ცხოვრებაზე გადაღებული ფილმი ტკივილის მეტს არაფერს გაყენებს.

–სულ ვფიქრობდი რო ფსიქოლოგებს და რეჟისორებს აქვთ საერთო, ორივე პროფესიის ადამიანს უწევს სხვისი ფსიქოლოგიის შესწავლა თავისსას კი შეიძლება უმარტივესი რჩევა ვერ მისცეს. ელენე შენ თავისუფალი ქალი ხარ, ძლიერი, ლამაზი, კეთილი და სათნო, ყველაფერი გაქვს იმისთვის რო ბედნიერი იყო, მე მინდა რო შენი ბედნიერების თანამოზიარე გავხდე...

–სანდრო მე შვილები მყავს ვისთვისაც ყოველ დღე ვიღვიძებ, მთელი დღე მათზე ვფიქრობ და დაძნებისასაც გაღვიძებამდე მათ არსებობა ატრიალებს ჩემ ცხოვრებას, ეს კი ვიცი რო სხვა კაცისთის რთულია.

–რატომ გგონია რო არ ვიცი რო შვილები გყავს? დემეტრე და ანასტასია, ასაკი, დაბადებისთარიღი და მსგავსი ინფორმაცია თუ გაინტერესებს იმასაც გეტყვი.

–სანდრო მე ახლა ამისთვის მართლა არ ვარ მზად, ხომ გესმის. მალე დემეტრე მივიდა მათთან, სანდროს თავაზიანად მიესალმა.

–მარცხენათი კარგად ურტყავ, გაუღიმა სანდრომ.

–მადლობა, გახარებული ჩანდა დემეტრე, სიგიჯემდე უხაროდა დედა რო უყურებდა მის ვარჯიშებს, თამაშს, რო აღარ უწევდა რამის დამალვა. ანასტასია რამდენიმე რიგით ზემოდ იჯდა და გაბუსხული იყურებოდა.

–წამო დე მივდივართ დემე გამოიცვლის და მანქანაში დაველოდოთ. დაუძახა ელენემ ანასტასიას.

–არ მინდა მე, და კიდევ უფრო შორს „აბობღდა“

–ტასო დაბლა ჩამოდი! პატარამ ნერწყვი ძლივს გადაყლაპა და „ჩამოიხლართა“

–ანასტასია რა ლამაზი კაბა გაცვია, გაუღიმა სანდრომ.

–მამაჩემმა მიყიდა, რისხვით გაიმეორა „ქოფაკმა“

–ხო და ძალიან კარგი მამიკო გყოლია. სანდროს ამ პასუხს არ მოელოდა „საბრძოლველად“ გამზადებული ანასტასია და თითქოს ჩაიფერფლა.

–ეს ფეხსაცმელებიც და ეს ჩანთაც, ფეხი ასწია დასანახად და პატარა ჩანთა გულზე მიიკრა. ელენეს ყველაფერი ჩაეწვა ანასტასიას ტყუილებზე, ერთხელაც არ დაურეკავს ნიკას და არ დალაპარაკებია, არადა ყველა ზარზე ტელეფონის სადაც არ უნდა ყოფილიყო გამორბოდა და ელოდა როდის ეტყოდა ელენე რო მამას მასთან ლაპარაკი უნდოდა.

სახლში ისე ავიდნენ ხმა არც ერთს ამოუღია, მარტო მაშნ რო დაბანა და დასაძნებლად გაამზადა ანასტასია ფრთხილად კითხა.

–რატო იცრუე დე დღეს? ხო გახსოვს ტყუილებზე რა გითხარი, მატყუარა ბავშვებს რო ენა უბრუშდებათ და მერე.....

–მე მინდა რო სიმართლე იყოს, ესეც ტყუილია და ამის გამოც უბრუშდებათ ენა მატყუარა ბავშვებს დედიკო? შეშფოთება დაეტყო ანასტასიას აწყლიანებულ თვალებს.

–ახლა არა მაგრამ სხვა დროს არ მოიტყუო კარგი? ანასტასია რატო არ მპასუხობ?

–აბა რაც მართალია ის რო არ მომწონს? არ მინდა ის კაცი შენ გვერდით იჯდეს ხოლმე დედა, მაინც ვეღარ მოითმინა რისი თქმაც სულ უნდოდა.

–ანასტასია შენ ვინ გეკითხება? ყველგან რო მაგ პატარა ცხვირს და გრძელ ენას ყოფ? ვეღარ მოითმინა დემეტრემ.

–ესე ნუ ელაპარაკები გთხოვ! ელენემ ძლივს შეიკავა თავი.

–ხო ეგრე ნუ მელაპარაკები, მე რასაც მინდა იმას ვამბობ.

–კი არ ამბობ იტყუები, ალბათ სკოლაში იმასაც ჭორაობ რო მამა ყოველდღე გირეკავს და გეკითხება როგორ ხარ, მაშნ როცა საერთოდ არ აინტერესებ, ერთხელაც არ უკითხავს ისევ ცოცხლები ვართ თუ არა, სხვა ქალთან წავიდა გესმის, სულ არ აინტერესებ, დემეტრემ მთელი ბოღმა ვერც კი მიხვდა რო სულ პატარაზე ამოანთხია, რომელმაც მარტო ის გაიგო რო მამა სხვაგან წავიდა.

–დემეტრე! ისე დაუძახა რო დემეტრე გაქვავდა, იგრძნო როგორ ზედმეტი მოუვიდა.–გადი ოთახიდან, სიმშვიდის შენარჩუნება დიდ ენერგიას მოითხოვდა.

–შენ არ ინერვიულო მამა ბებოს ეკითხება ხოლმე შენ ამბებს და იცის რო ძალიან კარგი ყავხარ, ძალიან ანასტასია, ვერც წარმოიდგენ იმდენად კარგი, ცრემლებს ვეღარ იკავებდა ელენე. ნელი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან თან დემეტრეს მდგომარეობაზე ფიქრობდა, არ უნდოდა მისთვის გული ეტკინა, მაგრამ ზედმეტი მოდიოდა თავისი საქციელით, თუმცა იმასაც გრძნობდა რო მამის უყურადღებობა ანასტასიაზე მეტად დემეტრეს აწუხებდა, მაგრამ სხვანაირად გამოხატავდა.

–მაპატიე დედა, ვიცი რო ანასტასიასთვის არ უნდა მეთქვა, მაგრამ რაც ვთქვი სიმართლეა.

–ის პატარაა დემეტრე, ექვსი წლისაა და მხოლოდ ის იცის რო დედა და მამა ერთად უნდა იყვნენ, იტყუება იმიტო რო რეალობა არ მოწონს, ის ასე უმკლავდება ამ პრობლემას ბავშვურად და გულუბრყვილოდ, ნუ ატკენ გულს ამ ყველაფერს თვითონაც მიხვდება როცა გაიზრდება, მაგრამ ახლა ნუ ვაიძულებთ რომ ყველა ტკივილი დიდივით გადაიტანოს. დემეტრეს თვალები ცრემლებით აევსო.

–ხო შეეძლო ერთხელ მაინც დაერეკა, უბრალოდ დაერეკა, ისე მოიყვანა სხვა ერთხელ არაფერი აუხსნია ჩვენთვის თითქოს არც ვარსებობდეთ. რატო იქცევა ასე, რატო მექცევა ასე მე ხო არ მიმიცია ამის საბაბი.....დემეტრეს ხმას ეტყობოდა როგორ ჩუმად, ღრმად უყვარდა მამამისი, მაგრამ როგორ უჭირდა ყველაფრის დავიწყება. ელენეს არაფერი უპასუხია მხარზე ხელი დაადო და სამზარეულოში გავიდა.

.....

–გამარჯობა, ნიკოლოზ მენაბდე, ხელი გაუწოდა ნიკამ ელენეს, რომელიც დაზაფრული იყურებოდა, ვერაფერი თქვა და მაია მაშინვე ჩაერია.

–ნიკა ეს ელენეა ლორთქიფანიძე, ჩემი მეგობრებისს შვილი ხო გახსოვს ნინო და ზურა ჩემი კლასელები მათი. ნიკამ ისეთი სახე მიიღო თითქოს ახსოვდა არადა წარმოდგენა არ ჰქონდა ვიზე ეუბნებოდა. სიტყვით არაფერი უთქვამს ტყუილს ვერ ამბობდა. ელენე გრძნობდა რო მისი სახე ეცნობოდა, მაგრამ ვერაფრით იხსენებდა საიდან.

–ბოდიში ასეთ ფორმაში რო ვარ,ვარჯიშით დაქანცულ ნიკას სახე სველი ჰქონდა, ოფლიანი იყო და ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, მაგრამ ხო ხედავ დედაჩემს არ აინტერესებს, მაგრამ ახლა უნდა წავიდე, სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა.

–მაპატიეთ მაგრამ ასე მგონია რო მეცნობით, ელენემ ვეღარ მოითმინა ვერაფრით რომ ვერ გაიხსენა. ნიკას გაეღიმა.....

–ელენე ფეხბურთს ვერ იტანს, ბარბარემ სიცილით თქვა თან აქამდე ირანში ცხოვრობდა.

–ეგ რა შუაშია? გაბრაზდა ელენე. ნიკას ჩაეღიმა „ვითომ არ იცის საიდან ვეცნობი“ ყველაფერი ელენეს კარგად შეფუთულ აფერისტობას მიაწერა, მაგრამ სახეზე საპირისპირო გამოესახა.

–ნიკა ტელევიზიით ან პლაკატებით შეიძლება გეცნობოდეს, ბოლო ბოლო წელს ლიგის ფინალი წააგო.

–შენ არ უშვებ შესაძლებლობას ხელიდან რო აღნიშნო რო წავაგე, გაეცინა ნიკას ბარბარეს ნათქვამზე.

–მაგრამ ლიგის ფინალი წააგე და ეს ბევრს ნიშნავს.

—ხო რა თქმა უნდა, უფრო გწყდება გული.ბარბარე და ნიკა ისე ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს სულ დაავიწყდათ ელენე რო იქ იყო, მაია გრძნობდა რო მათი ეს ლაპარაკი სირბილით დამთავრდებოდა მთელ სახლში და „დროულად“ ჩაერია. ელენეს „ღირსებებზე“ დაიწყო ლაპარაკი და ნიკამ იგრძნო როგორ ატკივდა თავი.

–მე წავედი აბა კარგად, რო გამოვიდა სახე უფრო დაეღრიჯა, თან ეცინებოდა, წყალი სწრაფად გადაივლო, უკანა კარით გავიდა რო კიდე არ შეფეთებოდა. მანქანაში თამაზი ელოდებოდა მხიარულად მიესალმა.

–რა ხდება თაზო, როგორ ხარ?

–სად ეგდე ამდენ ხანს?

–აუ რა ვიცი ხო იცი დედაჩემის ამბავი სახლში მოყავს გოგოები გამაგიჟა, იცინოდა ნიკა.

–მერე უთხარი ცოტა მკაცრად დაგანებოს თავი რაარი.

–რატო მოვუშალო ნერვები? აკეთოს რაც უნდა ერთობა რა გინდა, ეს ერთი თვე ალბათ ნახევარი საქართველო ჩემ სახლში მოვა დედაჩემის „მეოხებით“ ერთ თვეში სეზონი დაიწყება და ჩამშვიდდება ცოტა მაიკო. მე რო აქ აღარ ვეყოლები.

–რა ნერვები გაქ შენ, მშურს, დედაჩემმა რო გოგო გასაცნობად მოიყვანოს სახლში შემოვიხევ ალბათ ტანსაცმელს იმ გოგოს თვალწინ თან ვერ მოვითმენ.

–ნეტა გიჟი არ იყო, შეგრჩება შემოხეული ტანსაცმელი და დაგლეჯილი ნერვები, არ უნდა აყვე აკეთოს რაც უნდა, მაგის გამო როგორ მოვუშლი დედაჩემს ნერვებს, ისეთი სასაცილო და საქმიანია გაგიჟდები.

–აი ყოჩაღ რა სად შემიძლია მაგდენი, ახლა სპორტული კომპლექსი რო გაიხსნა იქ ვართ მიწვეულები თან ბევრმა ჟურნალმა დარეკა და არ ვიცი...

–ჟრნალებმა რეკვა დაიწყეს? მეგონა მარტო მაგათი კითხვა იყო შესაძლებელი...

–აუ ნუ მასხარაობ რა მენაბდე გაჩუმდი რა ვქნათ სად წავიდეთ?

–ყველგან მოვასწროთ, სირცხვილია ცოტა ხანი მივიდეთ კომპლექსში

თავი 4

„რა უნდა მისცეს ერთმა ადამიანმა მეორეს ერთი წვეთი სითბოს გარდა? და რა უნდა იყოს ამაზე დიდი?“

დაძინებამდე ყოველთვის გახედავდა ნიკას მხარეს, როგორ ეგონა მთელი ცხოვრება რომ არასოდეს წავიდოდა, არ დამთავრდებოდა, მაგრამ ცხოვრება მოულოდნელია, როგორ ტკენდა ანასტასიას სიტყვები გულს, როგორ უყვარდა მამა, საკუთარი თავი ძულდა რომ ყველაფრის მიუხედავად უნდოდა მას დაერეკა, მისი ხმა გაეგო. ეს ხო სიგიჟე იყო, ეს ხო ნიშნავდა ელენესთვის რო უპრინციპო იყო, მაგრამ „დაძინებამდე ყოველთვის არის ერთი წამი, როცა ჩვენი თავი ყველამ ვიცით“ სწორედ ამ დროს გრძნობდა რაღაც უჩვეულ ტკივილს, რომელსაც ჯერ სახელს ვერ არქმევდა. ანასტასია გადმობარგდა და მამამისის ადგილას იწვა, ბალიშის პირს არ არეცხინებდა, მამიკოს სუნი უდისო, ნიკა ბევრს ეცადა ანასტასიასთან სხვანაირი ყოფილიყო, მაგრამ მაინც არ გამოდიოდა, ყოველთვის იყო მომენტები, როცა ვერ იმორჩილებდა საკუთარ თავს და ანასტასიას სხვანაირად, გამორჩეულად ექცეოდა, ამ პატარას კი ეს დღეები ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავებივით ჰქონდა გონებაში ამობეჭდილი.

–რა მაგარია, ბებიკოსს და ბაბუკოს ვნახავთ, მერე მამიდაც მოვა, ხო მოვა დე, ბარბარე მამიდა, გუშინ რო მელაპარაკა მითხრა.

–კი დე, თმა მოდი გაგიკეთო გაწეწილი ხარ.

–მაგრამ მაინც ლამაზი ხო დედიკო? ელენეს გაეცინა.

–ულამაზესი და მეტიჩარა, ჩემი პატარა და გრძელი ენის პატრონი.

–დემეტრე შენც ხო წამოხვალ ბაბუკოსთან?

–ეს ბავშვი ყველაფერს „კოს“ რატო ამატებს? გაეცინა დემეტრეს. გაუხარდა რო ანასტასიას წყენა არ ახსოვდა, ყველაზე მეტად საოცარი იმიტო იყო რომ წყენას ადვილად ივიწყებდა და კარგი სულ ახსოვდა, მხოლოდ ასეთს შეუძლია დიდი, ძალიან დიდი სიყვარული.....დაუმსახურებელიც და მაინც.....

–შენ ჩემი ძამიკო ხარ, დემეტრე მოეხვია და გაკეთებული თმა დაუშალა, ამაზე ააკივლა და ეცინებოდა.

–ბოროტი ძამიკო ხარ. მაია და დემეტრე ისე გახარებულები იყვნენ შვილიშვილებბის სტუმრობით, მაგრამ აშკარად ეტყობოდათ რომ რაღაცის თქმა უნდოდათ.

–მე წავალ და საღამოსკენ გამოგივლით, ელენეს ეუხერხულებოდა, თავს უკვე ზედმეტად გრძნობდა ნიკას ოჯახში.

–ვაიმე ელენე რას ამბობ შვილო, მაია გადაეხვია. ახლავე შემოდი, თან სალაპარაკო მაქვს, ელენემ ტელეფონს დახედა ნიკას ნომერი რო დაინახა სულ დაუბრუშდა სხეული.

„ჩამოვედი, როცა გეცლება მითხარი და ბავშვებს ვნახავ“ 6 თვის განმავლობაში მხოლოდ ეს წინადადება და ისიც მოწერილი, ელენეს სიმწრით ჩაეღიმა, ახლა მიხვდა რისი თქმაც უნდოდათ მშობლებს. სახლში რომ შევიდნენ იმ ადგილზე სადაც პირველად იდგა ნიკა რო დაინახა „ის“ დაინახა, ხო იცოდა რო ახლა ის იყო მისი ცოლი, ხო ეგუებოდა ამდენი ხანი ამას, მაგრამ მაინც მოსალოდნელზე მეტად ეტკინა.

–ელენე ეს ლიკაა, ნიკას..... მაიამ ისე ჩუმად დააბოლოა „მეუღლე“ რო ვერავინ გაიგო მაგრამ ყველა მიხვდა.

–გამარჯობა, ელენემ გაუღიმა, ლამაზ, მაღალ და გამხდარ ქალს.

–გამარჯობა, ლიკამ თბილად შეხედა და მერე მზერა ბავშვებზე გადაიტანა. ანასტასია ისე დაქაჩული იყურებოდა ლიკა შეკრთა, დემეტრემ, ცოტა შეანჯღრია რო ადამიანური სახე მიეღო.

–გამარჯობა პატარა როგორ ხარ? ლიკამ ლოყაზე ხელი ჩამოუსვა, ანასტასია დედამის მიეტუზა, არ ესიამოვნა რო ლიკა ლამაზი იყო. დემეტრე მხიარულად მიესალმა. ელენე ისე უხერხულად იყო გაქცევა უნდოდა, მაგრამ ანასტასია მიეკრა და აღარ შორდებოდა.

–ჩემი მამიკო სად არის? ისე დაუქაჩა თვალები თითქოს გველეშაპი იყო ლიკა და მამამისის გათავისუფლება უნდოდა.

–უკანა ეზოშია თუ გინდა დავუძახებ, შენ რო გაიგებს აქ ხარ გაგიჟდება ისე მოენატრე.

–ეგ ისედაც ვიცი რო მოვენატრებოდით ჩემს მამიკოს.

–ანასტასია რა გჭირს? ესე რატო ლაპარაკობ, ელენე ჩანდა რო გაუბრაზდა უხეშობაზე.

–არაფერია ელენე ნუ ნერვიულობ, გაუღიმა ლიკამ.

–მოდი ბებო ჩემთან, ჩემი პრინცესა და ჩემი დედოფალი, ანასტასიას ღიმილი დაუბრუნდა და ბებოს ჩაეხუტა.

–დე მე წავალ და მოვალ წასაყვანად. ელენემ გაუღიმა. თავს საშინლად გრძნობდა იქ ყოფნით.

–გთხოვ დედიკო, არ წახვიდე, მეც წამოვალ. ელენეს მოერიდა ახლა ანასტასიას წაყვანა ამიტო ძლივსღა უძლებდა იქ ყოფნას. მაია გრძნობდა ამას და თვალები აცრემლებული ჰქონდა,

–დემე ბაბუ როგორ ხარ? ჩაეხუტა დემეტრეს ბაბუამისი.

–კარგად ბაბუ ვვარჯიშობ და ვარ, რამდენი რამე მაქვს მოსაყოლი, ბაბუა თავზე ეფერებოდა მოსახელე შვილიშვილს, თუმცა მასაც დარდი ჩადგომოდა თვალებში.

სიცილის ხმა მოესმათ, ყველა გაჩუმდა ნიკა შემოდიოდა ოთახში ეზოდან თან მათეს და თამაზს ელაპარაკებოდა გამწარებული, სამივე იცინოდა, ასეთი ბედნიიერი ხმა წლებია ნიკასგან არ გაუგონია ელენეს, ყველაფერი ჩაეწვა.

–საღამოს გნახავთ და სავაჭრო ცენტრზე მერე ვილაპარაკოთ, ახლა გამოვიცვლი და ბავშვები უნდა ვნახო თორე შევიშლები, ნიკა სიცილით მოდიოდა. ანასტასია ხელიდან ისე გადაუხტა ბებიას რო ვერც შეამჩნია.

–მამიკო, მამიკო, ნიკა გაქვავებული იყო ანასტასიას დანახვახე ხელები ისე ძლიერად მოხვია რო შეეშინდა არაფერი ეტკინა, ბავშვი ჩაიხუტა და შეტრიალდა რო მისი სულისწასვლამდე მისული თვალები არ დაენახათ, გრძნობდა რო ხელს ვერ უშვებდა, უფრო და უფრო იკრავდა გულში.

–ჩემო სიცოცხლე, ჩემო პატარა, ისე ეჩურჩულებოდა თავს ვერ იკავებდა, ანასტასია კისერზე უჭერდა ხელებს და ცრემლები მოდიოდა, ნიკა ზურგით გრნობდა ამდენი ადამიანის მზერას, მაგრამ არ შეეძლო ხელის გაშვება ეგონა სხეულს მოაჭრიდნენ, ორგანოებს ამოაცლიდნენ ახლა რო ანასტასია დაესვა. როცა იგრძნო რომ შეეძლო „მოღალატე“ თვალები დაემორჩილებინა შემოტრიალდა.

–გამარჯობა ელენე, ისე გადაკოცნა ანასტასია ხელიდან არ გაუშვია, დემეტრეს რო გახედა ზედ არ უყურებდა, უხმოდ ჩამოუჯდა გვერდით და თავზე აკოცა. სპორტული შარვალი ეცვა ნიკას და თეთრი მაისური, ფეხზე ბოტასები, ამის დანახვაზე დემეტრეს გული აუჩქარდა, აღარც ახსოვდა მამამისი ბოტასებში, ელენეს გული შეეკუმშა ძველი ნიკას დანახვაზე, თითქოს არაფერი შეცვლი ისევ ისეთი იყო, საგრძნობლად დაკლებული სხეული და თითქოს ამ ყველაფერმა წარსულში დააბრუნა, ამან უფრო მეტად ატკინა გული. საკუთარი სტატუსი ვერ განსაზღვრა და იქ ყოფნის გამო გულისრევის შეგრძნება ეუფლებოდა. წასასვლელად მოემზადა, ანასტასია რო მიეკრა და ხელს არ უშვებდა.

–დედა გამოგივლი ახლა მეჩქარება, ანასტასია გთხოვ... არაფერი შეისმინა პატარამ და მამისა და დედის კალთაში მონაცვლეობდა. თავი გაიგიჟა ნიკას კალთაში ჩაუჯდა და დედამ მაჭამოს საზამთროო.

–მოდი ჩემი საყვარელო მე შეგაჭმევ, გაუღიმა ლიკამ.

–ჩემი დედიკო შემაჭმევს, შენ რა გინდა.....ისეთი სახე ჰქონდა პატარას თითქოს რაღაცას ტაცებდნენ. ელენე ბრაზისგან გაწითლდა, ჯერ ისედაც თავს საშინლად გრძნობდა, ახლა ამას ემატებოდა ანასტასიას ჭირვეულობა და იძულება რომ ნიკას გვერდით მჯდარიყო. ისე შეხედა თვალებში რომ ანასტასიამ ლუკმა ვეღარ გადაყლაპა.

–დემნა როგორ ხარ? დიდ ხანს ცდილობდა დემეტრესტან გამოლაპარაკებას ნიკა, მაგრამ ისეთი სახე ჰქონდა ვერ ახერხებდა. დემნას მხოლოდ ნიკა ეძახდა, ვერ აღიქვავდა, მაგრამ გრნობდა რო ეს სახელი ბევრ, ჯერ კიდევ ძალიან ღრმად ჩამარხულ გრძნობებს იტევდა.

–მადლობთ კარგად, თავად? ნიკა არ მოელოდა, ასეთ უხეშობას, დემეტრემ აგრძნობინა ოფიციალური ტონით, რომ ძალიან შორს იყო მისგან.

–მეც კარგად. კიდევ არაფერ.....

–გადაგეჩვიე! არც კი დაამთავრებინა ისე უთხრა, ნიკას ამ სიტყვამ მთელი სხეული აუწვა, ოთახში მძიმე ჰაერი იდგა, დაძაბულობა უფრო და უფრო იზრდებოდა. დემეტრე ბიძამისთან და ნათლიამისთან ერთად ოთახიდან გავიდა, თან მათ მხიარულად ელაპარაკებოდა. დამსახურებულობის დაღი არ აძლევდა საშუალებას გაბრაზებულიყო. ანასტასია იმით ტანჯავდა რომ ზედმეტად კეთილი და შემწყნარებელი იყო მისი საქციელის მიმართ დემეტრე კი პირიქით, იცოდა რომ არც ერთი დღე არ იყო დავიწყებას მიცემული რითიც სიცოცხლეს საკუთარ შვილს უმწარებდა. მაგრამ არ აპირებდა რაიმეს ახსნას, ან დანაშაულის გამო მობოდიშებას, მით უმეტეს ხალხში. ელენე ტირილამდე იყო მისული ანასტასიას საქციელის გამო. მერე საზამთრო ჩამოეწუწა და ელენემ მოსაბანად გაიყვანა, აბაზანაში შესული არ იყვნენ უკვე თავს ვერ იკავებდა.

–მომისმინე ანასტასია, შენ ნორმალური ხარ? ყველაფერს კარგად ხვდები, ყველაფერი გესმის და მაინც ჭირვეულობ, სად ვერ დარჩებოდი მარტო შენი ნება რომ იყოს უცნობსაც გაყვები და ბებიასთან მარტო რატო ვერ რჩებოდი? გამაგებინე, ელენე ვეღარ ხვდებოდა რო უყვიროდა, კედელთან ატუზული ანასტასია, უფრო იფუზებოდა და კვარკვალა თვალებს ვერ აშორებდა დედამის.

–მაგრამ მე ხო უნდა დამტანჯო, გატუტუცებული ხარ, ყველაფერს კარგად ხვდები, მაგრამ შენსას არ ეშვები, როგორ გამაბრაზე რომ იცოდე, როგორ.....მე ახლა წავალ და ერთი ხმა ამოგიღია გეფიცები ენას ამოგაძრობ იცოდე. ანასტასიას ცრემლები მდინარესავით წამოუვიდა, მუხლები აუკანკალდა, ნიკაპი უცახცახებდა. დედა პირველად ელაპარაკებოდა ასე, შეშინებული იყურებოდა.

–მე, მე მარტო ის მინდოდა მამიკოსთან ვყოფილიყავი და შენ გეჭამა ჩემთვის, საზამთრო სულ არ მინდოდა, კარგი მე დავრჩები, შენ როგორც გინდა.... ხმა უკანკალებდა და ტირილი დაიწყო, ელენეს ხელი არ მოაკიდებინა და აბაზანიდან სირბილით გაიქცა. ელენეს ტირილი აუვარდა, იგრძნო საკუთარ შვილს რა ცუდად მოექცა, ანასტასია ასე ნაწყენი არასოდეს ყოფილა..

–დედიკო მოიცადე გეხვეწები, ანასტასიას ეძახდა ელენე, ის კი მირბოდა ატირებული, დერეფანში ნიკა შეხვდა.

–მამა რა გატირებს? ანასტასია არც ნიკას გაუჩერდა და დერეფნიდან გავარდა სირბილით. ელენე ცრემლებს ვერ იკავებდა, მაგრამ ვერც ანასტასია გააჩერა.

–რა დაემართა ელენე?

–რაღაც ვაწყენინე, არადა რა ძნელია მისი წყენინება, მაგრამ მაინც „მოვახერხე“ ელენე აბაზანაში შებრუნდა რო თვალები ამოეწმინდა სულ ცრემლიანი ჰქონდა. საღამოზე წამოსაყვანად რომ მივიდა ეგონა ყველაფერი დავიწყებული ექნებოდა, მაგრამ ანასტასია ნიკაზე ჩახუტებული იყო და სახე ისევ ისეთი მოწყენილი ჰქონდა.

–დემე ტასო ასეა სულ?

–ხო რაც წახვედი ვერაფრით გავამხიარულე, რამეს რომ ვეუბნები ეტირება. უხმოდ წამოყვა დედამის სახლში, მანქანაში ხმა არ ამოუღა, არადა ყველაფერზე კითხვას სვავდა და ენას არ აჩერებდა.

–დე სადაც შენ გინდა იქ წავიდეთ მითხარი.

–არსად არ მინდა, ჩაიბურტყუნა და დემეტრეს მიეხუტა. სახლშიც უხმაუროდ იყო, ელენე ჭკუიდან ლამის შეიშალა ანასტასიას მოწყენილობაზე, იმის გააზრებაც რომ შესაძლებელი იყო დემეტრესავით დამძიმებულიყო მისი ხასიათი აგიჟებდა, ამას სიკვდილი ერჩვნა, გრძნობდა რომ არაფერი უღირდა ამქვეყნად მისი შვილების ნერვებად, ბედნიერებად. დაბანა და საწლში ჩააწვინა.

–დე თუ გინდა ჩემ ოთახშ დაწექი როგორც ადრე? ანასტასია კისერზე შემოეხვია უხმოდ და ბევრი აკოცა.

–დედიკო ჩაგეხუტები.

–დე ხო მაპატიე? მაპატიე გავნერვიულდი, რა სულელი ვარ...

–არც გავბრაზებულვარ დედიკო შენზე.

ელენე იმ დღიდან აღარაფერზე ფიქრობდა გარდა ბავშვებისა, ყველაფერი უკეთესად იყო, ნიკა ბავშვებს ხშრად ნახულობდა, მაგრამ სკოლის შემდეგ, ელენეს თითქმის არ ხვდებოდა. ის დრო იყო, როცა საღამო ღამეში გადადის, წვიმის ხმა განსაკუთრებულად ამშვიდებდა, წყალი გადაივლო, თეთრეული ლიკას გადააკვრევინა თან ეხმარებოდა და ორივე რაღაცაზე იცინოდნენ, როცა კარზე ზარი გაისმა.

–ვა თაზო მოდი, ნიკას გაუხარდა „ყოფილი“ მეჯვარის დანახვა.

–ნიკა შეგიძლია გამოხვიდე? რაღაც საქმე მაქვს.

–რა მოხდა მშვიდობაა? კარგი ახლავე, ნიკამ გამოიცვალა, ტანსაცმელი სწრაფად, მაგრამ მაინც გულდასმით დაათვალიერა და გარეთ გაყვა.

–მალე მოვალ ლიკა, ცოლს აკოცა და სახლიდან გავიდნენ. თამაზი ნერვიულობისგან ნერწყვს ძივს ყლაპავდა.

–რა მოხდა მითხარი. მანქანას წვიმის წვეთები გამეტებით ეხეთქებოდა.

–ნიკა მისმინე, არ მინდა რომ ინერვიულო, მაგრამ....

–ბავშვები კარგად არიან? ხმა გაებზარა ნიკას.

–კი ბავშვები კარგად. ნიკამ ამოისუნთქა და თითქოს ამის იქით რა მოხდებოდა დედამიწაზე აღარ აინტერესებდა. –მაგრამ ელენეს, ხო იცი ამას წინათ ბავშვები რომ შენ გამოიყვანე სკოლიდან, სახლში რომ არ დაგხვდა.....

–თამაზ მითხარი რა მოხდა?

–ნიკა ელენეს კიბო აქვს, ძალიან მძიმე.....

–არ მაინტერესებს თამაზ მაგ ქალს რა ჭირს, აი საერთოდ რა, გული ლამის გამისკდა ისე დაიწყე.... თამაზი ყურებს არ უჯერებდა ეგონა ყველაფერი მოესმა...

–ბიჭო გეუბნები რომ ელენეს კიბო აქვს, კვდება გესმის, კვდება, რამდენიმე თვე დარჩა და შენ.. შენ ხო არ გააფრინე.

–აუ თამაზ დამანებე რა თავი, წარმატებები, მე წავედი ლიკა მელოდება. თამაზი ცრემლებს ვერ იკავებდა, ამხელა კაცი გაოგნებული იყო გულგრილობით, მეგობრის გულგრილობით, უცხოზე რომ გაეგო მაშინ უნდა დამწუხრებულიყო და ელენე, მისი შვილების დედა, მალე მოკვდებოდა და ამას ისეთი გულგრილობით შეხვდა რომ ამ ყველაფერმა შეზარა. სახლშ მხიარულად ავიდა, ლიკას საყვარელი შოკოლადი აუტანა, ეფერებოდა, ბევრ რამეზე ილაპარაკეს, იცინეს, ნიკა, სახეზე, მკერძე კოცნიდა და ფრთხილად დააწვინა საწოლზე.

შუა ღამეს, შეაკანკალა, გრძნობდა სისხლი როგორ გამეტებით ეხეთქებოდა ძარღვების კედლებს, როგორ ცდილობდა მის „განგრევას“, საკუთარი გულისცემის ხმა ესმოდა და რაღაც, რაღაც უსაშველოდ გაჰკიოდა..... ხელი ტელეფონისკენ წაიღო და მთვარის მკრთალ განათებაზე დაინახა რომ მთლიანად ხელის მტევანი უკანკალებდა, აღებული ტელეფონი ხელიდან გაუვარდა.....

.....

ელენე ნიკას სახლიდან სულ ლანძღვით წამოვიდა, დედამის უხაშად უთხრა რომ ასე ჩარევა შვილის ცხოვრებაში საშინელება იყო, რომ მისი შვილი „დეგენერატია“ დედამის რომ ემორჩილება, თან საკმაოდ ხმამაღლა მოუვიდა. სახლში მივიდა და დედამის ყველაფერი სიცილით მოუყვა, მაგრამ დედამისი მასსავით კარგ ხასიათზე არ დამდგარა.

–ასეთი უხეში გოგო რატო უნდა იყოს გამაგებინე? არანაირი სინაზე, მოკრძალება არაფერი არ არის შენში.

–კარგი რა დე, ეგრეც არ არის, მაგრამ ის ქალი რომ არ მიმელანძღა ალბათ გავსკდებოდი ბრაზისგან.

მეორე დრეს ნათესავის დაბადებისდღეზე იყო წასული, მხოლოდ ახალგაზრდები იყვნენ და თვალებს არ უჯერებდა, როცა ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი, ყველა ნიკასკენ გაიქცა, ეტყობოდათ რომ დიდი ხანი არ ჰყავდათ ნანახი.

–გიო გილოცავ.

–აუ ნიკა როგორ გამახარე რო მოახერხე მოსვლა. ნიკა ყველას მიესალმა, კარგ ხასიათზე ჩანდა, უკან ბარბარე მოყვებოდა, ელენეს გადაეხვია, ბევრს იცინოდა მის „გამოსვლაზე“ დედამისთან.

–არა რა თამადა ახლა გიო გთხოვ რა.

–მენაბდე გთხოვ რა.

–ხო იცი არ ვსვავ, ეგრე არ გამოვა.

–კარგი ნუ დალევ ისე იყავი, რადგან ჩვენი მენაბდე პატივსადემი მიზეზით სარგებლობს, საქართველოს ნაკრების 13 ნომერი გასაგები მიზეზების გამო ვერ სვავს დავუშვებთ პრეცედენტს, რომ თამადამ არ დალიოს. გიორგის ეცინებოდა და იღრიჯებოდა. ელენე ხმას არ იღებდა აღარც ბარბარეს ელაპარაკებოდა, გრძნობდა რომ ნიკამ რაღაცაზე მოიწყინა და ბარბარე უფრო იცინოდა.

–მიდი ბარბარე წყალი გამოავლე გთხოვ.

–აი რა სასაცილო ხარ შენ.

–კარგი იცინე, მაგრამ ჯერ გამოავლე, რაღაც ჩავარდა ისე ვერ მოვსვავ და რომ ვთქვა სირცხვილია, ჭიქაზე მთელი ამბავი ჰქონდათ და– ძმას ატეხილი.

–კარგი რა ნიკუშ, რას არ მოიგონებ. საბოლოოდ ნიკამ მაინც თავისი გაიტანა სიცილით და თავის შეცოდებით.

–ნიკაზე ყველა ქართული ფეხბურთის მომავალ იმედებს ამყარებს, მეორე ქართველია ვინც შეძლო და ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა...

–გიო გთხოვ რა.... ნიკას არ უყვარდა ასეთი ლაპარაკი, ჟურნალისტებსაც მხოლოდ იმიტო ელაპარაკებოდა, რომ ერიდებოდა უარის თქმა, ისე ყველაზე მეტად აუტანელი ყურადღება აგიჟებდა.

–არა ვერასოდეს წარმოვიდგენდი რომ საფრანგეთის კლუბს ასე ვუგულშემატკივრებდი, მაგრამ ფინალზე არ ვიცი საგიჟეთი იყო, მთელი საქართველო გადარეული იყო.

–სამწუხაროდ წავაგეთ, ვცდილობ არ გავიხსენო, მაგრამ რაRაც მომენტში კარგია ჩვენი შეცდომები დავინახეთ და ისიც ვიცით რა მძმეა ფინალის დათმობა.

–შენ ყველაფერი გააკეთე, შენ გოლზე მართლა გეუბნები ღამის პირველი საათი იყო და მთელი უბანი გარეთ იყო ყველა ღრიალებდა, ქალები და ბავშვებიც კი სიხარულით გარეთ იყვნენ გამოსულები. ისევ საფრანგეთში ითამაშებ ხო?

–კი 3 წლიანი კონტრაქტი მაქ, მაგრამ აქ ამაზეე..... ნიკა ისე უხერხულად იყო, მაგრამ მთელი სუფრა ამას ეკითხებოდა, ეს აინტერესებდათ, მხოლოდ ელენე იყო გაჩუმებული და წარმოდგენა არ ჰქონდა ასეთი წარმატებული ფეხბურთელი თუ იყო, ბოლო რამდენიმე წელი ირანში ცხოვრობდა მთელი ოჯახი ძმის გამო იქ თამაშობდა თეირანის ერთ–ერთ კლუბში ამიტო სპორტი აღიზიანებდა, ვერ იტანდა მთელი ცხოვრება იმას უყურებდა როგორ მონდომებით თამაშობდა ცოტნე კალათბურთს, პატარას როგორ აწვალებდა ბურთს ვერაფრით ართმევდა არადა ცოტნე არ ეშვებოდა.

–და ცოლი? ნიკოლოზ ცოლი არ მოგყავს? მაია დეიდა ალბათ გადარეულია.

–გადარეული ცოტაა მაგასთან, მეტზე ვეღარაფერზე ფიქრობს პატარა რეესტრი აქვს გახსნილი, აი ყოველ დღე იმდენ გოგოზე მეუბნება რომ დამახსოვრებას აზრიც არ აქვს, ყველა იცინოდა ამაზე.– სულ იმას მეუბნება ამხელა ხარო შენს ასაკში თუ არ მოიყვანე მერე აღარ მოყავთო და ხო იცი მაიკოს ამბებიიი.....

–კარგი რა 23 წლის ხარ რა დიდი შენ ხარ...

–ჩემ ოჯახშ ეგ სახიფათო ასაკია, მათეს გამო დაშინებულია და ცდას არ აკლებს....

–ნიკაზე საერთოდ არაფერი მოქმედებს, ისე მონდომებით უსმენს, მაგრამ ერთი სიტყვა არ ესმის, ყველაფერს ატარებს, ნერვებს არაფერზე იშლის, მაგრამ საბოლოოდ მაინც იმას აკეთებს რაც უნდა მათე დედას შეასკდება ხოლმე, მაგრამ მაინც იგონებს იმის ნათქვამს, ბარბარე სიცილით ამბობდა.

–ნიკა მერე ამდენი გოგო თუ დგას რიგში კი უნდა მოიყვანო ცოლი.

–ხო და საქმეც ისაა, რომ რიგში ჩამდგარს არასოდეს მოვიყვან, ელენეს შეხედა და ისე დამცირებულად იგრძნო თავი ელენემ რომ ბრაზისგან სახე აეწვა. ახლა მიხვდა რომ ნიკას გონია ძალიან უნდა რომ ცოლად გაყვეს, გრძნობდა როგორ ბრაზდებოდა და თავს ვერ შეიკავებდა მალე. სულ არ აინტერესებდა სად თამაშობდა და ვინ რა იმედებს ამყარებდა, ახლა მარტო იმას ხედავდა რომ ამ ბიჭმა ქალის პატივისცემა არ იცის და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს. ბარბარემ იგრძნო როგორ გაბრაზდა ელენე. ნიკა სადღეგრძელოებს ამბობდა და არ სვავდა, ელენეს ერთი სიტყვა არ ესმოდა, ღრმად სუნთქავდა რომ ნერვები მოეთოკა, მხოლოდ სუნთქვაზე ფიქრობდა, მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როცა მეგობარმა ხელით ანიშნა მანდილოსნების სადღეგრძელოზე.

–განსაკუთრებულად მიყვარს, როცა ამ სადღეგრძელოს ვამბობ, სამწუხაროდ ვამბობ და ვერ ვსვავ მხოლოდ ის ფაქტიც რომ ადამს ქალის გარეშე ვერ წარმოედგინა ცხოვრება, მაშინ როცა ღმერთს არც კი უფიქრია ქალის შექმნა ამტკიცებს რომ მას შემდეგ შეუძლებელია კაცის არსებობა

ქალის გარეშე. სწორედ თქვენ ალამაზებთ ჩვენ ცხოვრებას, სულ სხვანაირები ხართ, ჩემ ცხოვრებაში ორი ქალია ისეთი რომლების გარეშეც არსებობა ვერ წარმომიდგენია, დედაჩემი და ჩემი და ბარბარე. მათგან გრძნომ რომ შენ ყველა ტკივილს და სიხარულს შენნაირად და უფრო მეტადაც კი განიცდიან. ამიტო არაფერი არ მიღირს მათ წყენინებად, მათთან არაფრის დამტკიცება არ მჭირდება. საფრანგეთში ყოფნისას ვხვდები რომ ქართული სიყვარული ქალისადმი და ქართველი ქალი სრულიად სხვაა, სულ სხვაა დანარჩენი მსოფლიოსგან, სამწუხაროდ ჩვენ ქვეყანაშიც ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ მაინც არის იმ დამოკიდებულების სურნელი რაც ასე მეამაყება. ქალი ყვავილს ჰგავს, რომელსაც უნდა მოუფრთხილდე, უნდა დააფასო და საჩუქრად უნდა აღიქვა. ყველა გრძნობდა, რომ ნიკა ქალზე არა მარტო სქესთა შორის ერთ ერთზე კი არ ლაპარაკობდა, არამედ ქალზე როგორც ღირსებაზე. ელენემ ვერაფრით მოითმინა, როცა ბიჭებმა დალიეს ეს სადღეგრძელო ჭიქა აიღო და დაიწყო, ის აგრესია, რომელიც მის ხმას მოყვებოდა მხოლოდ ნიკასთვის იყო განკუთვნილი და შესამჩნევი.

–დიდი მადლობა, მიხარია რომ ასე აფასებთ თქვენ მიერვე შერქმეულ „სუსტ“ სქესს. ყველა ძლიერი სქესის წარმომადგენელი, როგორც კაცი მაშინ ფასობს ყველაზე მეტად, როცა ქალის პატივისცემა შეუძლია, არა იმიტომ რომ ეს ქალი ამას იმსახურებს, უბრალოდ იმიტო რომ თვითონაა ღირსეული. ის რომ დღეს საქართველოში რაღაცები შეიცვალა, ის მოკრძალება, პატივისცემა უფრო გაფერმკრთალდა დიდ წილად სწორედ მამაკაცების დამსახურებაა, თუმცა ამაში ქალებსაც ვერ დავუკარგავთ უარყოფით წვლილს. მე ირანში ვცხოვრობდი ბოლო 4 წელი იქ სულ სხვანაირადაა ყველაფერი, მართალია ქალის უფლებები ნაკლებადაა დაცული, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად ჩანს ასე, სინამდვილეში კი ყველა კაცი ისე იცავს და უფრთხილდება ქალს, როგორც არაფერს დედამიწის ზურგზე, იქ ფერეიდნელი ქართველები ყველაზე მეტად მაოცებდნენ, როცა შორს ჩვენი სამშობლოსგან უფრო აქვთ შემორჩენილი ჩვენი ტრადიციები, ურთიერთობები ვიდრე თავად ჩვენ. რაც შეეხება ქალს, როგორც ყვავილს არ შემიძლია არ დავეთანხმო ბატონ ნიკოლოზს, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ყვავილს აღმოჩენა სჭირდება და ასე ხელისგულზე არაფერი ჩანს და თუ შენ ვარდს აურევ ასკილში, ან ლამაზ ყვავილს სარეველა ბალახში შენ ვერც ვერასოდეს მიხვდები, რომ თურმე ლამაზი ყვავილი იყო, ძალიან მარტივი მიზეზის გამო ის არასოდეს ჩაგთვლის საჭიროდ რომ ეს დაგანახოს, უბრალოდ ამას არ იმსახურებ. ძალიან დიდი მადლობა ყველას, ყველა კაცი საკუთარ თავს სცემს პატივს ქალის პატივისცემით და პირიქითაც შეიძება გავიგოთ. ნიკამ ყველაფერი ისე ზუსტად გაიგო, როგორ ზუსტადაც ელენემ მის გასაგონად თქვა ყველაფერი. გაეღიმა, მაგრამ მართლა შეწუხდა რომ აწყენინა. ელენე მალევე ადგა ყველას დაემშვიდობა და გავიდა.

–ელენე, ერთი წუთით, უკან გაყვა ნიკა.

–მეჩქარება. მკაცრად უთხრა და არ დალოდებია.

–მომისმინე, მაპატიე არ ვიცი თუ რამე ისეთი ვთქვი რამაც გული გატკინა.

–არა, არა შენ გგონია რომ შენ შეგიძია გული მატკინო? შენ ცემთვის არაფერი ხარ ამიტომ მაქსიმუმ რაც შეგიძია გამაბრაზო თანაც საშინლად.

–კარგი მაშინ ბოდიში თუ გაგაბრაზე, ჩემ გამო თუ მიდიხარ...

–ხომ ხედავ რამხელა წარმოდგენა გაქვს შენ თავზე, გგონია რომ შენ გამო შეიძლება წამოვსულიყავი. შენ მართლა გგონია რომ შენ სახლში იმიტო მოვედი რომ შენ დაგეთვალიერებინე? როგორი ამპარტავანი ხარ, მაგრამ მაგ თავს რაც უფრო მაღლა სწევ შენი სიმაყით უფრო ვრწმუნდები რომ ისე დაბლა ხარ, რომ ტალახში დაღოღავ.

–ელენე მე არ მინდა ვინმეს ვაწყენინო, ამიტომ ბოდიშს გიხდი, თუ ჩემ გამო, ანუ ჩემი იქ ყოფნის გამო დაგიკონკრეტებ თავს ცუდად გრძნობ მირჩევნია მე წავიდე. თუ შენ ჩემი ნათქვამი არ გეხებოდა მაშინ არც უნდა გაბრაზებულიყავი და თუ გაბრაზდი ბოდიში.

–საქმეც ეგაა, შენ ვერ ხვდებბი რომ იმას ჩემზე თქვი თუ არა აზრი არ აქვს შენ ისე ზემოდან გადმოხედე იმ გოგოებს ვინც რიგში გიდგას, რომ დავრწმუნდი შენნაირი კაცი ყველა სადღეგრძელოს უგულოდ ამბობს, მარტო იმიტო რომ თქვას სხვის თვალში ამაღლდეს, სინამდვილეში კი საპირისპიროს ფიქრობს და იქცევა. მამაჩემი უკვე მოვიდოდა ვერ ვალოდინებ, ამიტომ ნახვამდის.....

ნიკა დიდ ხანს იდგა და იღიმოდაა.....

თავი 5

„როცა ადამიანისთვის უკვე აღარაფერია წმინდა, მისთვის ყოველივე ხელახლა და კიდევ უფრო ადამიანურად ხდება წმინდა. იგი იწყებს სიცოცხლის იმ პატარა ნაპერწკლის პატივისცემასაც კი, ჭიას, რომ აიძლებს დროგამოშვებით დღის სინათლეზე გამოძვრეს.“

რაღაც ძალიან მძიმე და შავი თითქოს ოთახში შემოჭრას ცდილობდა, რაღაც რუხი, უნუგეშო, უფორმო, რაღაც უფრო ნაღვლიანი ვიდრე ნაღველი ოთახის კედლებს ანგრევდა მთელი ძალით აღწევდა სხეულში, იქ თითქოს ყველაფერს ფატრავდა, ატრიალებდა და ტკივილი მწვერვალს აღწევდა. სხეული გაუხურდა, შემდეგ საშინელი სიცივე იგრძნო ტემპერატურა წამობრივად იცვლებოდა და გრძნობდა რომ კარგად არ იყო. გონებაში მხოლოდ ფრაზები უტივტივდებოდა „კიბო აქვს“ „ძალიან მძიმე, კვდება“ ეგონა მისი სული სხეულიდან გამოსვლას ლამობდა, თავისი არტერიებით, ძარღვებით, კაპილარებით, მუქ ძარღვებში სისხლი არაადამიანური სისწრაფით მოძრაობდა, უდუღდა, ეწვოდა. ყველა მოგონება ისე დაცვივდა, როგორც გაწყვეტილი ძაფიდან მძივები. ვერ იაზრებდა გონებაში შემორჩენილი ფრაზები რეალობას ეკუთვნოდა თუ სიზმარს, ადგომა უნდოდა, მაგრამ ვერ ინძრეოდა, კიდურები არ ემორჩილებოდა, ძლივს მოახერხა სხვა ოთახში გასვლა, ტელეფონი აიღო და აკანკალებული ხელით თამაზის ნომერი აკრიფა, ღამის 4 საათი იყო, მაგრამ არაფერი აინტერესებდა, ვერ არკვევდა რეალობა იყო თუ არა თამაზის სიტყვები, მასთან შეხვედრა.

–თამაზ დღეს მანქანაში საფულე დაგრჩა მგონი ხო?

–რა? ნიკა კარგად ხარ? ღამის 4 საათია თან არაფერი დამრჩენია აქ მაქვს საიდან მოიტანე?

–ანუ იყავი? ამის იქით უკვე აღარაფერი აინტერესებდა, გიჟადაც რო შეერაცხათ.

–რას ნიშნავს ვიყავი? ვიყავი, მაგრამ ნეტა არ მოვსულიყავი შენი რეაქცია.....

–შენთან მოვალ გამოდი, თავბრუ ისე ეხვეოდა ლამის კიბეებზე დაგორდა, გონება ყოველთვის არ იმახსოვრებდა მომხდარს, არ ახსოვდა, როგორ მივიდა თამაზის სახლამდე, კიბეებზე ძლივს ააღწია და დააკაკუნა.

–ნიკა, რა გჭირს? მეგონა მეხუმრე მოვალო.

–მომისმინე, რა მითხარი? ელენეს რა ჭირს? ხმა უკანკალებდა მენაბდეს.

–კარგად ხარ?

–მე კარგად ვარ, მაგრამ გამაგებინე, დაიღრიალა ნიკამ.....

–კიბო აქვს, მესამე სტადია..... ნიკა ჩაიკეცა, ყელზე ხელი ედო ვერ სუნთქავდა..

–ნიკა კარგად ხარ?

–ზუსტად იცი?

–ხო სამწუხაროდ, მაგრამ ელენეს არ უნდა რომ ვინმემ გაიგოს, არ ვიცი გაგიჟდება რომ გაიგოს გითხარი, მაგრამ არ შემეძლო. ნიკას არაფერი ესმოდა, გარეთ გავარდა წვიმდა, კედელს ეყრდნობოდა, რომ არ წაქცეულიყო. თამაზი უკან გაყვა, ნიკას თავზე ხელები ჰქონდა შემოდებული, თავალები ჩაწითლებოდა...

–ნიკა მე.....

–მოკვდეს.....რო მოკვდეს..... სხეული კანკალებდა...არაადამიანური სასოწარკვეთა ამოჰქონდა მის ხმას, მთვარის მკრთალ განათებაზე მისი თვალები შეშლილისას ჰგავდა.....

–მე რომ მომენატროს ვერ ვნახავ, გესმის რო მინდოდეს მისი ნახვა ვერსად ვერ ვიპოვი, არ იქნება, სახე წაეშალა ამის გააზრებაზე, იმაზე რომ ელენე არ იარსებებდა არსად იქნებოდა, ვერ ნახავდა, ვერ დაინახავდა, მთელი ცხოვრება ვერსად იპოვიდა. ნიკა შუა ქუჩაში არაადამიანურად ღრიალებდა, თამაზი ვერ ეკარებოდა, შემზარავი იყო მისი ასეთ მდგომარეობაში ნახვა. გაგიჟებამდე მისული სული, გააზრებული სიკვდილი და ემოწიით დამწვარი სხეული, ისეთი შეგრძნება ჰქონდა რომ იწვოდა, იწვოდა და ღრიალებდა გაუჩერებლად. თამაზი ცრემლებს ვეღარ იკავებდა.....ნანახის გააზრება სუნთქვას ავიწყებდა.

–ნიკა გთხოვ .....

–მეც მოვკვდები, ის თუ მოკვდა მეც მოვკვდები, ვერ ვიცოცხლებ იქ სადაც ის არაა ვერ ვიცოცხლებ. თამაზი გრძნობდა, რომ ნიკას ის რეაქცია რაც პირველად ჰქონდა დამცავი მექანიზმი იყო, ნათქვამი არ გაეზრებინა და არ დაეჯერებინა. იმის გააზრება, რომ შეიძებოდა

ელენეს სხეულს მიწა, მატლი, კუბო დაპატრონებოდა, მათ შორის მარადისობა ჩამდგარიყო სხეულს უწონოს ხდიდა, სისხლი საპირისპირო მიმართულებით მოძრაობდა.

–უნდა ვნახო....

–მოიცადე გაგიჟდი? ბავშვები არ შეაშინო, ჯერ არ გათენებულა, თანაც ელენეს არ უთხრა რო იცი, ხო იცი უფრო ცუდად იქნება რომ იცოდეს რო გებრალება....

–რა მებრალება, კი არ მებრალება მიყვარს, მე საკუთარი თავი მებრალება მის გარეშე... ნიკა წუთებს და წამებს ითვლიდა რომ გათენებულიყო, სახლთან იდგა, საათს დაჰყურებდა და ყველაფერზე ფიქრი, ყველაფრის წარმოდგენა აგიჟებდა, ცხრა რომ დაიწყო მაშინვე გადავიდა, კარი ანასტასიამ გაუღო, ძლივს ასწვდა კარს, საღამურები ეცვა, დათუნიები ეხატა, ნიკა უხმოდ ჩაეხუტა, დემეტრე აბაზანიდან გამოდიოდა, უხალისოდ მიესალმა მამამის და სამზარეულოში გავიდა.

–ანატატია შენ არ ემზადები?

–არა დედიკო არ ამდგარა, მე მარტო ვერ გავემზადები.

–მე გაგამზადებ და დღეს სკოლაში წაგიყვან. ჯერ დაბანა, კბილები გამოახეხინა, ანასტასიას ისე უხაროდა თვალები უბრწყინავდა, მერე კაბა აარჩიეს რაც უნდა ჩაეცვა, თმაც ნიკამ გაუკეთა წინ გადაუწია და შეუკრა, მერე სამზარეულოშ შეიყვანა და რაღაცები მოუმზადა.

–ანატატია დედა რატო არ ამდგარა? გიჟდებოდა ისე უყვარდა, როცა მამა ამ სახელს ეძახდა, თითქოს რარაც საიდუმლო და უჩვეულო იყო, ყველასგან გამორჩეული მარტო მან და მამამ რო იციან და რო ესმით.

–არ ვიცი, რო შევედი ტიროდა და აღარ მიკითხავს, ორი დღეა ასეა ჩემი დედიკო, მე მართლა არ გამიბრაზებია, შესჩივლა პატარამ, ნიკამ თვალები ძლივს დაიმორჩილა და ყელში რაღაც გაეჩხირა. ყიყლიყოების შეწვის სუნზე ელენე გამოვვიდა გაოცებული, სახე ფერმკრთალი ჰქონდა, თვალები დასიებული, საბანი შემოფარებულუ და თმა აბურდული, რო შევიდა ნიკა ანასტასიას აჭმევდა და დემეტრეს ელაპარაკებოდა.

–დედიკო მამა რო იყო კარზე იმიტო გავაღე, ჯერ ვკითხე ვინ ხარ მეთქი და მერე, პირდაპირ კი არ გამიღია, დღეს მამიკო წაგვიყვანს სკოლაში არ გვინდა სკოლის მარშუტკა. „სამარშუტო ტაქსი“ ჩაიბურტყუნა დემეტრემ. „მარშუტკა“ დაეჯღანა პატარა.

–გამარჯობა ელენე, ხმა ძლივს ამოიღო ნიკამ.

–გამარჯობა, მე შევალ ოთახში, ლამაზად ხარ ტასო, ჩაილაპარაკა და სამზარეულოდან გავიდა, ისე უნდოდა მოხვეოდა, ჩახუტებოდა სული მისდიოდა, მის სიცივეზე სხეული ეყინებოდა. დემეტრე გაოცებული იყო პირველად ნახა მამა იმ ტანსაცმელში რაც წინა დღეს ეცვა, პირველად იყო მისი ფეხსაცმელი ჭუჭყიანი, ნაწვიმარი ტალახის წვეთებით, ალბათ დედამიწის ბრუნვის

შეწყვეტას უფრო წარმოიდგენდა ვიდრე ამას, რა უნდა მომხდარიყო ნიკას საგულდაგულოდ არ გაეწმინდა ფეხსაცმელები გასვლისას.

–დემე უყურე დაამთავროს ბოლომდე ტასოს, ნიკა ოთახისკენ წავიდა, ელენეს მოცახცახე მხრების დანახვაზე გული შეეკუმშა, თვალები მაშინვე მოიწმინდა და თავი ჩაღუნა, ნიკა საწოლზე ჩამოუჯდა თავის მხარეს.

–ეს ჩემი ბალიშის გადასაფარებელია, არ გაგირეცხავს? რო დასუნა გაეღიმა.

–ანატატიას სუნი უდის.

–ხო არ გამარეცხინა, აქ ეძინა ხოლმე შენ რომ მოენატრებოდი ამას ეფერებოდა. ნიკამ ძლივს გადაყლაპა ნერწყვი.

–ჩვენი ანატატია ზედმეტად კეთილია ჩემ მიმართ. ელენემ ძლივს მოახერხა გაღიმება.

–ცუდად ხო არ ხარ?

–მე არა? რატო მეკითხები, ელენე შეიმუშნა. ნიკა მიხვდა რომ მტკივნეული იქნებოდა მისთვის იმის ცოდნა, რომ ყველაფერი იცოდა ამიტო არაფერი აგრძნობინა.

–უბრალოდ ისე, შენ ადრე დგებოდი ხოლმე.

–გუშინ გვიან დავიძინე და ალბათ მაგიტო, ისე ძალიან კარგად ვარ. შენ სველი ხარ? ელენესაც გაუკვირდა ამდენი წელია იცნობდადა ასეთ ფორმაში არასოდეს უნახავს, ნიკამ უხერხულად დახედა ფეხსაცმელებს, მაისურს, მხოლოდ ახლა მიხვდა რომ არ გამშრალა. წვიმაშ მოყოლის შემდეგ, მაშინ ხომ სხეულსაც ვერ გრძნობდა ისე იყო მისი სული შეკუმშული.

–ხო წვიმაში მოვყევი. გრძნობდა რომ მეტს ვეღაფერს კითხავდა და ვერ დაელაპარაკებოდა ელენეს, ისე შორს იყვნენ ერთმანეთისგან.

–ბავშვებს მე წავიყვან და წამოყვანითაც მე მივალ.

–კარგი ნიკა. ელენე გადატრიალდა და სახე საბანში ჩარგო.

ბავშვების წაყვანიდან მათ წამოყვანამდე, თვალის დახამხამებიდან მის გახელამდე, ჰაერის ჩასუნთქვიდან მის ამოსუნთქვამდე...ყოველ წამს, მუდმივად მისი სახე, მისი მოგონება ედგა თვალწინ და ხვდებოდა რომ ეს ყველაფერი მისი სასჯელი იყო, სანაცვლოდ ყველაფრის რაც ამ წლების განმავლობაში აკეთა, იმ გულგრილობის, რომელსაც ასე პროფესიონალურად ირგებდა სახეზე, უხეშობისთვის, და ასე იმ დროისთვის უკვე ამაზრზენი უპატიებლობისთვის. გრძნობდა რომ ასე ცუდად არასოდეს ყოფილა, ასე მძიმედ არაფერი განუცდია, არც ფეხბურთი არც ტკივილი, არც იმედგაცრუება, ახლა უკვე იმასაც ხვდებოდა, რომ არც მათი შვილის დაკარგვა. ეგონა არ შეიძლებოდა უფრო ცუდად ყოფნა და უფალი ყოველი დაუნახავი დღისთვის ახლა პასუხს თხოვდა, ყველაზე მძიმედ, ყველაზე მკაცრად. ბავშვები? ელენეს გარეშე ბავშვებს რა ეშველებათ? მხოლოდ ახლა დაფიქრდა ამაზე, მხოლოდ ახლა გაანალიზა, რომ

ანასტასია დედის გარეშე.....გავარვარებული ფოლადი იგრძნო მის სულს, რომ გადაევლო, დემეტრეს ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ელენესთან.....მხოლოდ ერთი რამ ჰქონდა გონებაში...მესამე სტადია.....სადაც მედიცინა თითქმის უძლურია.....

–მაი, როგორ ხარ ? სიხარულით შეიპატიჟა ელენემ მეგობარი.

–კარგად ელე შენ? სახე შეშფოთებული ჰქონდა მაიას. –ფერმკრთალი ხარ.

–როგორ ვიქნები მაიკო, არ ვიცი სულ მეტირება ბავშვებზე ძალიან ვნერვიულობ, ორი დრეა აასე მიყურებენ, ნიკამ წაიყვანა დღეს სკოლაშ, ანასტასია თვითონ გააცილა, უნდა გენახა რა სახე ჰქონდა, თვალები უბრწყინავდა სულ ხტუნაობით ჭამდა საუზმეს.

–ნიკა შეიცვალა არა?

–ხო ძალიან, თანაც დაიკლო. ელენემ თავი დახარა.

–მე ეგ ცვლილება არ მიგულისხმია. გაეღიმა მაიას.

–ხო ვიცი რაც იგულისხმე, მაგრამ....რამდენს ვეხვეწებოდი რას აღარ ვუკეთებდი სალათებს, იოგურტებს ვყიდულობდი, სპორტს რომ თავი დაანება ისედაც მოიმატებდა ცოტას, მაგრამ ძალიან მოიმატა თითქოს განზრახ, სვავდა და ამას ჯიბრზე აკეთებდა თვალებში სულ ეტყობოდა, სმა არასოდეს ყვარებია....

–ელენე ახლა იმის თქმა გინდა რომ იმ ქალმა რა გაუკეტა ასეთი? გაეცინა მაიას.

–მე არაფრის თქმა მინდა....ის ქალი საერთოდ არ მიხსენებია.....ისევ მოიღუშა ელენე და თვალები ცრემლებით აევსო....

–ელე არ ინერვიულო, ყველაფერი უფლის ნებაა...

–მესამე სტადია მაია ხვდები ეს რას ნიშნავსს.....ისევ ტირილი აუვარდა ელენეს. მაია მოეხვია და ძლივს ამშვიდებდა. მალე ნიკაც შემოვიდა სახლში ბავშვებტან ერთად, ანასტასიამ, რომ დედა ისევ იმ ფორმაშ დაინახა გული შეუწუხდა.

–დედიკო რატო ტირი სულ? ვინმემ გაწყენინა? მე ხო არ გაბრაზებ? არც დემეტრე, რატო მოიწყინე? ნიკამ მაია გადაკოცნა და მოიკითხა ელენეს უახლოესი მეგობარი.

–ნიკა როგორ გამხდარხარ.....იქნებ მასწავლო ცოტა მოვიმატე

–არა შენ ცოტა გჭირდება ეს მეთოდი კი დიდ წონაზეა.....

–კარგი ახლა მითხარი, გპირდები რომ შენ საავტორო უფლებას დავიცავ.

–მართლა მპირდები?

–კი აბა...

–ყველაფერი დეტალურად უნდა შეასრულო, ყველა ეტაპი.....მაია მთლიანად ჩართლი უსმენდა.....–არ უნდაჭამო, დამიჯერე ამაზე უფრო ეფექტური რამ ჯერ არ გამომუშავებულა... მაიამ მხარზე ხელი წაკრა სიცილით...

–ნუ იცი ხოლმე ადამიანის დამშვიდება, მე მართლა გეკითხებოდი.

–უნდა ირბინო, ივარჯიშო, ჭამო მხოლოდ უცხიმო, ლუდი არ უნდა სვა და ხო იცი მსგავსი სისულელეები.... ანასტასია ელენეს კალთაში იყო და ეფერებოდა, თმას კიდევ უფრო უბურდავდა. ნიკას ყველაზე მეტად უჭირდა წასვლა, რას არ გაიღებდა, რომ დარჩენა შეძლებოდა, რას არ დათმობდა. დემეტრე უხერხულად იყო მალე ფეხბურთზე უნდა წასულიყო, მაგრამ მამამისის საშინლად ერიდებოდა, ამიტო ოთახში ბოლთას სცემდა.

–დემნა..... დაუძახა ნიკამ ისე რომ ელენესთვის თვალი არ მოუშორებია, ელენე არ უყურებდა ოდნავ შესამჩნევად გაწითლდა და ანასტასიას დაუწყო ფერება.

–ხო.....გაისმა დემეტრეს ყრუ ხმა..

–აღარ მოდიხარ?...

–სად? კიდევ უფრო დაგუდული ხმა ჰქონდა, მაგრამ ოტახიდან უკვე გამოსულიყო...

–იქ სადაც 22 გიჟი ერთ ბურთს დადევს.....დემეტრეს გული აუფართხალდა, ჰაერი არ ყოფნიდა, პირველად შეტავაზა მამამ წაყვანა, მაშინ როცა ტამაშს უშლიდა, ყველა ბურთს რაც ჰქონდა უჭრიდა, რამდენი უოცნებია, როცა მამა მიიყვანდა საფეღბურთო სკოლაში, ყველა მას შეხედავდა და მას მერე აღარც აღარაფერს ჰქონდა აზრი.....

.....

ნიკა დიდ ხანს იღიმოდა, მერე გაეცინა.....–რა უხეშია, გულწრფელად უხეში, გაიფიქრა, ამდენი მლიქვნელის ირგვლივ სადაც ყოფნა უწევდა ერთადერთი ნათელი წერტილივით იყო ელენეს „ნანძღვა“ ბუნებრივობა, ბავშვურობა და მაინც ის მართალი იყო.... ამაზე არ უფიქრია, მაშინ როცა ამას ამბობდა არ უფიქრია, რომ შეურაცხყოფას აყენებდა იმ გოგოებს, იგრძნო რომ ადამიანი იყო, მიწიერი, მისი საქციელიც შეიძლებოდა გაეკრიტიკებინათ პირში და არა ჟრნალ–გაზეთებში, პირდაპირ და არა ზურგს უკან, დაუფარავად და ყოველგვარი მლიქვნელობის გარეშე.....იმ დრეს ბედნიერება იგრძნო, ბედნიერება ჩვეულებრივ ადამიანად ყოფნის.....

–ნიკა დედა გეხვეწები აქ მაინც დაანებე ბურთს თავი, გამიტეხავ, ფანჯრებს ჩამიმტვრევ, სახლშ დაანებე თავი..

–ბარბარე კარში ჩადექი სწრაფად..

–ნიკა ძლიერად არ დაარტყა გეხვეწები დამინდე მაინც შენი და ვარ.....

–თქვენ გადამრევთ, შენ რა ცოლის მომყვანი ხარ, მეხუთე კლასშიც იგივეს აკეთებდი..

–დაიწყოო..გაეცინა ნიკას

–მართლა ნიკა ის გოგო რო გეუბნებოდი მამაშენის თანამშრომლის ბიძაშვილის ცოლის ძმიშვილი არ გინდა ნახო? გაიცნო? დაელაპარაკო?

–კი როგორ არა დე, ძლივს თქვა ისე რომ არ გაცინებოდა, როცა შენ მეტყვი მაშინვე მამას თანამშრომლის ყვავი–ჩხიკვის–მამიდას.....

–ნიკოლოზ!

–მაიკო შენ ხო იცი რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ იტყვი, არაფერზე ინერვიულო, მოდუნდი, შეგიძია ყურადრება გადაიტანო კინოზე, თეატრზე.. არ ვიცი რაც გაგიხარდება..... ხო მართლა ის გოგო რომ გამაცანი, რატო აღარ ახსენებ?

–ვინ ელენე ლორთქიფანიძე? აი ეგ რომ ცოლად მოიყვანო მე დედაშენი აღარ ვიქნები....

–რა? რატო?

–უტაქტო, უპრინციპო გოგოა, ისე მეტლიკინა თითქოს მისი ტოლი ვყოფილიყავი.. ნიკას სახე შეეცვალა...

–რამე გაკადრა? უხეშად?

–მითხრა რომ ქალი გასაყიდი ნივთი არ არის, რომ ათვალიერებდნენ და აფასებდნენ, რომ თითქოს ჩემი საქმე არ არის შენ ვის მოიყვან ცოლად და არ უნდა ვერეოდე, და რომ დეგენერატი ხარ ამის უფლებას რომ მაძლევ, ნიკას ხმამაღლა სიცილი აუტყდა, ხარხარებდა..

–და ახლა უნდა მეუბნებოდე მაგას? აუ რა ტიპია, აბა აქ რა უნდოდა?

–ბარბარეს კლასელია და შემთხვევით მოხვდა, მე ვიფიქრე რომ ეს ბედი იყო, სინამდვილეში კი ერთი გაუზრდელი გოგოა, მიკვირს ნინოს და ზურას შვილი ასეთი როგორაა.....

–აუ მაიკო 16 წლის ბავშვმა რა დღეში ჩაგაგდო..... ნიკა ვერ იკავებდა სიცილს, რა ჩაუტარებია.....აი ვგიჟდები ეგრეთ ტიპებზე..... ბარბარე აწი სკოლაში მე მოგაკითხავ...

–სკოლას მოვრჩით დაგვითხოვეს, თანაც არ მგონია ელენე კიდევ დამელაპარაკოს, გუშინ ისე წავიდა, ძალიან გააბრაზე და ტელეფონზეც არ მპასუხობს.

–დაანებე დედიკო თავი ეგ უხეში გოგოა.....

–შენ დაბადებისდღეზე ხო მოვა ბაბალე? შეეკითხა ნიკა, დედამის ეტყობოდა აღარ უსმენდა, მაგრამ გაღიმებული უკრავდა თავს „თანხმობის“ნიშნად. ბარბარე გვერძე გაიყვანა....

–არ ვიცი ნიკა გუშინ ისე გააბრაზე.. არ მელაპარაკება და ზეგ მაგ დაბადებისდღე.

–მერე ბარბარე შენ არ გესმის ადამიანებთან ურთიერთობის ტექნიკა, შენ უნდა გაუარო სახლში, უნდა მოუბოდიშო რომ გყავს იდიოტი ძმა, თან უნდა დააყოლო რომ სულ ასეთი ვიყავი, მერე უნდა უთხრა რომ დაბადებისდღეზე აუცილებლად უნდა მოვიდეს...

–არ მოვა, შენ არ იცნობ...

–ხო და მაგას გეუბნები უნდა გავიცნო, მაცალე ნუ მაწყვეტინებ, მერე ეტყვი რომ ძალიან გეწყინება რომ არ მოვიდეს, თითქმის ყველა მეგობარი იქ იქნება და ისიც არ იცი მათ რა პასუხი გასცე ელენე რომ არ იქნება...

–და თუ კიდევ არ წამომყვა?

–მაშინ ვიფიქრებ რომ ოდნავი ნიჭი არ გაქ იმპროვიზაციის, როგორ დავიჯერო რომ მეგობარს დაბადებისდღეზე წამოსვლაზე ვერ დაითანხმებ..

–აუ ნიკა რა ჯიუტი ხარრ..

–უჯიუტესი. ბარბარე მე მიგიყვან დღესვე..

–აუ ნიკაااა.....

–აუ არ ვიცი ახლა მე, გამოვიცვლი და წაგიყვან..

–ნიკა დედას არ მოეწონა ხო გაიგონე. ბარბარემ წუწუნით უთხრაა.

–ჩემო დაო ახლა სწრაფად გამოიცვალე და მანქანაში ჩახტი, მეც მალე მოვალ, დედა რა შუაშია საერთოდ ამ საკითხებტან მე ვერ ვხვდები..

–რა რა საჭიროა ყველაფერს უგონებ....

–ეგ გონია თვითონ რომ კავშირშია და ვუგონებ, აბა შეწინააღმდეგებას რა აზრი აქვს? მაგრამ იცოდე, რომ ვერავინ მაიძულებს ამქვეყნად იმის გაკეთებას რაც არ მინდაა..... სწრაფად ბარბარე....

თავი 6

„სინანული ყველაზე უსარგებლო რამ არის ამქვეყნად. გამოსწორება საერთოდ არაფრის არ შეიძლება, თორემ ეს, რომ შეიძლებოდეს ყველანი წმინდანები ბიქნებოდით. ცხოვრება არ აპირებს ჩვენგან სრულყოფილი არსებათა შექმნას, ვინც სრულყოფილია მისი ადგილი მუზეუმშია.“

რემარკი

ისდემეტრე ასე არასოდეს ანერვიულობულა, მანქანაში ძლივს ჩერდებოდა, ახლაღა დაფიქრდა მამამისმა საიდან იცოდა, რომ ვარჯიში ჰქონდა.

–მამა, რა იცოდი, რომ ამ დროს მქონდა? დემეტრე მაშინივე გაჩუმდა, ინანა რომ ჰკითხა.

–ამ დროს მიდიოდი ხოლმე სპორტულებით, მართალია ჩუმად, მაგრამ

–მაგრამ მაინც ამჩნევდი...

–ხო ცუდი მატყუარა ხარ, თუმცა ეგ კარგია..

–ნახევარმცველი ვარ.....გრძნობდა, რომ შეიძლებოდა ყველაფერი რაც დააწყო დაალაგა, ჩამოშლოდა, ცოტათი მოპოვებული მამის ნდობა თავზე ჩამომხობოდა, მაგრამ მაინც ვერ იმორჩილებდა ენას.

–მარჯვენა..

–ხო მარჯვენა ნახევარმცველი, არ უნდოდა ასე ბედნიერი ყოფილიყო, არ უნდა ეგრძნო, რომ ასე ცოტა ჰყოფნის ადამიანს, მაგრამ ჰყოფნიდა იმ მომენტში სხვაზე ვერაფერზე ფიქრობდა, ისევ იხსენებდა წარსულს, რომ არ დავიწყებოდა და მამამისისთვის ყველაფერი არ ეპატიებინა, ამიტომ გაჩუმდა ხმას აღარ იღებდა. სკოლასთან რომ მივიდნენ, ნიკამ თავიდანვე, დიდი ხნის წინ საკუთარ თავთან შეთანხმებული გადაწყვეტილება, რომ შეყოლოდა ვერ შეძლო, ზღურბლთან ფეხი აუკანკალდა, სხეულში ჭვლებმა იწყო „სიარული“ ისეთი შეგრძნება ჰქონდა, როგორც მაღალი სართულიდან გადმოვარდნისას, ატრაქციონზე რასაც განიცდიდა ბავშვობისას. სხეული გაუხურდა, გაეყინა, სახეზე ოფლმა დაასხა, მაგრამ ვერაფრით გადადგა ნატკენი ფეხი. დემეტრე უყურებდა და გრძნობდა მის მცდელობას, ადგილზე სადაც პირველად იგრძნო ბურთი, სადაც ბავშვობის უმეტესი ნაწილი გაატარა ფეხს ვერ ადგავდა, თითქოს ყველა ჭრილობა გადაეხსნებოდა. უკან უხმოდ გამობრუნდა, მანქანიდან უთხრა, რომ გამოუვლიდა. რა მტკივნეული იყო მისთვის ეს მარცხი, საკუთარ თავთან წაგებული, ვერ შეძლო, ვერ გადალახა, არადა უნდოდა, მთელი გულით, შეგნებით. იმ ტაძარში უკითახავად შევიდა მისი სხეული, რომელსაც სულ სირბილით ჩაურბენდა ვარჯიშიდან წამოსული, მხოლოდ იქ შეანელებდა ოდნავ ფეხს, პირჯვარს სწრაფად გადაიწერდა, მხოლოდ ერთ რამეს ჩაიფიქრებდა ყოველ ჯერზე და გზას ისევ ისე სირბილით ბურთთან ერთად გააგრძელებდა. იქამდე ატარებდა სანამ დაქანცულს სიარულის თავიც აღარ ჰქონდა, სახლში საწოლის ქვეშ ყოველთვის ჰქონდა სუფთა ბურთი, როცა დაღლილი იყო ხელით ათამაშებდა რამდენჯერ ასე ჩაძინებია, იატაკზე ბურთის დავარდნის ხმა აღვიძებდა და ეღიმებოდა, ბურთის ხმა ყველაზე ახლო და სასურველი მელოდია იყო.....

დემეტრე სახლში მიიყვანა, ელენე ანასტასიას აბანავებდა და პატარა სასაცილოდ მღეროდა....

–მასწავლებელი მეუბნება კარგი გოგო ხარ, კარგად მღერიხარო დე, დემეტრე მეუბნება გაჩუმდი დამაძინეო, ჩემი ნამღერი რატო არ მოწონს დემეტრეს? ნიკა აბაზანაში შევიდა, ანასტასია სულ ქაფიანი იყო და პატარა ფეხებს ახტუნავებდა და იცინოდა...

–ერთი წამი დედა სულ გამწუწე, ნუ მისმევ ქაფიან ხელებს. ეცინებოდა ელენეს. ოდნავ სველი კულულები შუბლზეც ეყარა პატარას..

–დედიკო თავი არ დამბანო გეხვეწები, ხო დამპირდი, მეშინია სულ ქაფი ჩამივა თვალებში და ამეწვება..

–არ ჩაგივა ტასო, გააჩერე თავი, დამაცადე შამპუნი წაგისვა..... ნიკა აბაზანასთან ჩაიკუზა, აქაფებული ხელები თავზე მოუსვა, ხელები დუშის დასხმისას ისე მიაფარა შუბლზე, რომ თვალში არაფერი ჩასვლოდა, ელენე უსხავდა, ანასტასია კიოდა, ნიკა ამშვიდებდა, რომ არ აეწვებოდა, მამამის მკლავებზე სიმწრით უჭერდა პატარა თითებს, ნიკამ პირსახოცში გაახვია და გულზე მიიკრა აკანკალებული, ელენეც ნახევრად სველი იყო, სახეზე ანასტასიას ქაფები ჰქონდა და ეღიმებოდა, თმა აწეული ჰქონდა და კიდევ უფრო გამოკვეთოდა სახის ნაკვთები, ნუშისებური თვალები, გრძელი წამწამები...ნიკამ ძლივს შეიკავა თავი რომ ეთქვა „რა ლამაზი ხარ“. პირსახოცში გახვეული ტლიკინა ათას რამეზე ლაპარაკობდა აბაზანიდან ოთახამდე, ნიკამ საწოლზე დააყენა და გამშრალება დაუწყო..

–მამიკო შენი ბალიშისპირი კი არ გავარეცხინე, შენი სუნი ჰქონდა, რო მენატრებოდი იქ მეძინა და იმას ვეფერებოდი....

–გთხოვ ანასტასია....ნიკას ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა, წინა ღამის ღრიალისგან და ემოციისგან დატყობილი კვალი. როგორ არ უნდოდა წასვლა, როგორ ყველაფერი ერჩივნა ამას... ეგონა სხეულს ნაწილებს ართმევდნენ, სულს და სხეულს შუაზე უყოფდნენ.....

–დედიკომ შოკმაჟე გამიკეთა, ხომ შეჭამ ჩვენთან ერთად მამიკო? ნიკას გაეღიმა პატარა მსუნაგის სიტყვებზე, ტკბილზე გიჟდებოდა....

–წამოდით ტასო, ჩაიცვი? ოთახში შევიდა ელენე, ისეთი სასაცილო დასანახები იყვნენ, როგორ აცმევდა ნიკა პატარა ფეხებზე შარვალს..

–დედიკო მამისკოსთვისაც ხო გავაკეთეთ შოკმაჟე? ერთად უნდა ვჭამოთ.....

–კი ნიკა წამოდით მე და დემე გელოდებით....ელენეს მოერიდა თქმის, მაგრამ უთქმელობის უფრო შერცხვა.....ტელეფონმა დარეკა, ელენემ სახეზე შეატყო, რომ ლიკა იქნებოდა, უხმოდ გავიდა სამზარეულოში.

–საყვარელო სად ხარ? მისგან სიტყვა „საყვარელოც“ ყველაზე მძიმედ ეჩვენა, ყველაზე მიუტევებლად და არასასურველად, მაგრამ გრძნობდა რომ ვერაფერს შეცვლიდა.

–მალე მოვალ ლიკა.....ხმაჩამწყდარი ხმით უპასუხა მენაბდემ.

–უნდა წახვიდე მამიკო?

–ხო ანატატია, ხვალე გნახავ...

–მეც წამოვალ..

–მერე შოკმაჟე? გაეღიმა ნიკას ცალკე ნათქვამზე და ცალკე პატარას სახეზე....

–დედიკო კიდე გამიკეთებს, თანაც იყოს მოვითმენ ახლა ისე აღარ მინდა როგორც შუადღეს მინდოდა...ნიკა ატყობდა როგორ ცდილობდა პატარა მოეტყუა და ტკბილი რო უნდოდა სულის წასვლამდე დაეფარა.

–დედიკო მამიკოს გავყვები, გეფიცები არავის გავაბრაზებ, გავარდა ოთახიდან ანასტასია.....გხთხოვ რა დე, ანასტასიას ხელები ყელთან ჰქონდა მიტანილი და ეხვეწებოდა.

–მამას უთხარი? გაუკვირდა მაგრამ არ შეიმჩნია ელენემ.

–წავიყვან ელენე თუ შენ.....

–კარგი ნიკა. იმდენი რამე ჩაულაგა ელენემ ტანსაცმელი, რომ ანასტასია გაფართოებული თვალებით უყურებდა.

–თუ შეგცივდა, ანასტასია ამოიღე და მოიცვი, ეს გამოსაცვლელებია, თუ შენ ვერ მოახერხე მამას უთხარი... რამე თუ დაგჭირდა დამირეკე.....მოიცადე შოკმაჟეს ჩაგიდებ სადმე რომ შეჭამო გინდოდა, ანასტასიას სახე გაუნათდა ვერ ამბობდა, ნიკას გაეცინა ისე სასაცილოდ ახედა მამას სიხარულით.

–მამიკოსთვისაც ხოა?

–კი ტასო, მიაწოდა ელენემ ნიკას, შენი დათუნია გინდა? არ მოიწყინო მერე..... რო შეგცივდეს მაშინვე მოიცვი, თუ გინდა ახლავე მოგაცმევ აგრილდა მაინც.....არ იცელქო და კარგად მოიქეცი, დამირეკე... ელენე ვერაფრით ელეოდა, ნიკა ატყობდა როგორ ნერვიულობდა პირველად უშვებდა სხვაგან დასარჩენად, აი ჩემი ტელეფონი წაიღე თუ გინდა და დემესაზე დამირეკეეე....

–ელენე ჩემით დავარეკინებ... ღიმილით უთხრა ნიკამ.

–ხო, მართალი ხარ რად უნდა. კარგი დე მოდი გაკოცო, ბევრი არ ილაპარაკო, ელენემ ისე ჩაიკრა ლამის გაჭყლიტა.....თ უგინდა წაიღე მაინც ჩემი ტელეფონი... მაინც ვერ მოითმინა ელენემ...

–კარგი დედიკო დაგირეკავ რომ მივალ, რომ დავწვები მაშინაც და რომ გავიღვიძებ...

–ჩემი ტკბილი..... კიდევ ერთხელ ჩაიკრა და გააცილა....

პატარა მანქანაში იჯდა უკანა სავარძელზე და თავი წინ ჰქონდა, ნიკა რამდენი შუქნიშანთან მანქანას გააჩერებდა კოცნიდა, ანასტასია იცინოდა და გულში იმეორებდა, არავინ გავაბრაზო, ბევრი არ ვილაპარაკო, კარგად დავიძინო, იმ ქალთან რომ მივიდა მისი გონება სახე დაემანჭა, როგორ არ უნდოდა მასთან მისვლა, მაგრამ უნდა აეტანა თანაც ისე, რომ არ ეუხეშა. კარი ლიკამ გააღო ანასტასიას დანახვაზე სახე შეეცვალა.

–გამარჯობა, მიესალმა პატარა და მამამის ფეხზე მიეკრო.

–როგორ ხარ ანასტასია? გაუღიმა ლიკამ.

–კარგად, ჩემმა დედიკომ შოკმაჟე გამოგვიგზავნა. ორივე მიხვდა, რომ ახლა ეს მარტო იმიტო ახსენა რომ დედის არსებობა კიდევ ერთხელ შეეხსენებინა.

–ძალიან კარგი, შემოდი პატარა, გაგიმზადებ ახლავე. ნიკამ ანასტასია ხელების დასაბანად გაიყვანა მერე მაგიდასთან დასვა.

–მალე მოვალ ტატია.... ოთახში შევიდა სადაც ლიკა ელოდებოდა გაბრაზებული.

–გამაგებინე ღამე ისე წახვედი, ერთი სიტყვა არ გითქვამს, მთელი დღე სახლში არ ყოფილხარ და ახლა იმ ბავშვთან ერთად...ლიკამ იგრძნო, რომ წამოცდა. ნიკას რეაქცია არ ჰქონდა მის ნათქვამზე მშვიდად ისმენდა სანამ ანასტასია არ ახსენა.

–ის ბავშვი ჩემი შვილია და მეორედ, რომ ეგრე ახსენო მარტივად გეტყვი, რომ არ მოგითმენ.

–მაპატიე ესე არ მიგულისხმია, მაგრამ რატო არ გამეცი პასუხი?

–იმიტო რომ სახლიდან გასვლა მომინდა, იმიტო რომ საქმე მქონდა.. და არ დაიწყო ახლა ჩემი გრაფიკის შედგენა, მაინც არაფერი გამოგივა ლიკა, შენ ხომ იცოდი რომ შვილები მყავდა, ხომ იცოდი რომ ჩემი საქმეები მაქვს, ამიტომ ახლა ამ ლაპარაკს აზრი არ აქვს, ანასტასიასთან უნდა გავიდე შენც გამოდი ლიკა. როცა პატარა დააწვინა, საბანი თბილად დააფარა თვითონ გამოვიდა დასაბანად, პატარა შეშინებული იყურებოდა, ეგონა მარტო იძინებდა უცხო სახლში, მაგრამ ხმას ვერ იღებდა, ვერც მამას ეუბნებოდა რამეს, ელენესაც ვერ ურეკავდა, ნერვიულად ეჭირა ტელეფონი და გულში ოცნებობდა რომ დედას დაერეკა, მაგრამ ისიც ახსოვდა, რომ რამდენიმე წუთის წინ ელაპარაკა. როცა ნიკა სველი თმით შევიდა ოთახში, თვალებს სასაცილოდ აკვარკვალებდა შიშისგან პატარა თან ვერც იძინებდა, მამა რომ დაინახა გაეხარდა და მოეხვია, ნიკა გვერდით მიუწვა და ჩაიხუტა.

–მამიკო დედიკომ მგონი რაღაც გამომიგზავნა და ვერ ვკითხულობ... ანასტასიამ მესიჯი აჩვენა რომელიც სანდროსგან იყო....ნიკა გაქვავებული კითხულობდა.

„ელენე როგორ ხარ? ძალიან მომენატრე, რატომ არ მპასუხობ? ძალიან გთხოვ იფიქრე იმაზე რაზეც ვილაპარაკეთ, არ გაჩქარებ, მაგრამ გახსოვდეს, როგორ მიყვარხარ“ მთლიანად დაუბრუშდა სხეული, ძარღვები დაეჭმა და მთელი სხეული გაუხურდა.

–დემეტრემ მოგიკითხა, ტასო. არაფერია ისეთი. ნიკამ ანასტასია ჩაიხუტა და პირველად გრნობდა ამ თვეების განმავლობაში, რომ მშვიდად დაიძინებდა, რომ არა ის მესიჯი. მხოლოდ ბავშვების და ელენეს გვერდით შეეძლო მშვიდი ძილი, ჩვეული სისუფთავის შეგრძნება.

……..

ელენე გაბრაზებული დაბრუნდა სახლში, ასეთი შეურაცხყოფა მისთვის არავის მიუყენებია და არც არავისთის მოუთმენია, ბევრი კარგი რამის გაკეთება შეეძლო ადამიანებისთვის, იყო ზომაზე კეთილიც, მაგრამ წყენაც და გაბრაზებაც იმაზე მეტად იცოდა ვიდრე ეს საჭირო იყო. არც აპირებდა, არც განიხილავდა ნიკას სიტყვების დავიწყებას, არც რაიმე ცუდის გაკეთებას

ფიქრობდა მისთვის ასეთ შემთხვევაში უბრალოდ ამ ადამიანს სამუდამოდ გადახაზავდა გონებაში, მისთვის ეს ადამიანი ვეღარ მოიპოვებდა ნდობას, კეთილგანწყობას და ვეღარც უფრო ღრმა ურთიერთობაზე იფიქრებდა მასთან. გადაწყვიტა ბარბარესთანაც გაეწყვიტა კავშირი ამის გამო, იმასაც უშვებდა, რომ შეიძლებოდა განზრახ მიიყვანა სახლში, მერე თვითონაც შერცხვებოდა თავისი აზრების.

არც მეგობრები და არც ბარბარე არ მოეშვა და ელენე იძლულებული გახდა წასულიყო ბარბარეს დაბადებისდღეზე, თუმცა მაინც ფეხს ითრევდა. ალუბლისფერი, თვლებით სადად გაწყობილი კაბა ჩაიცვა, თმა ოდნავ დატალღული ჰქონდა და შუაზე გაყოფილი თავისუფლად აიწია, ზედმეტი არაფერი სამკაული გაუკეთებია, მხოლოდ შავი ტყავის საათი გაიკეთა, მსუბუქი თითქმის შეუმჩნეველი მაკიაჟი გაიკეთა ისიც მხოლოდ დედამისის ხათრით. რესტორანში მამამ წაიყვანა თანაც შეუთანხმდა, რომ მალე წამოვიდოდა. მიხვდა რომ რესტორანი დაკეტილი იყო სხვა სტუმრებისთვის, შესასველთან ნიკა იდგა, რაღაცაზე ელაპარაკებოდა სხვებს, მის გვერდით რამდენიმე უცხოელი იყო, აქედან ერთი შავკანიანი და ის მაშინვე იცნო ელენემ თავისი ძმის საყვარელი ფეღბურთელი მისი სურათებით იყო ცოტნეს სოციალური ქსელი აჭრელებული, ცოტნე გიჟდებოდა დრამანის თამაშზე და სულ ეს სახელი ესმოდა ელენეს. ცოტა იგრძნო, რომ ანერვიულდა მარტო უნდა შესულიყო, ნიკამ რომ დაინახა მიესალმა...

–გამარჯობა ელენე, როგორ ხარ?

–მადლობა კარგად, ელენემ თავი ჩაღუნა და შენობაში შევიდა. ნიკა არ განძრეულა ისევ გააგრძელა საუბარი თან რაღაც საკითხებს აგვარებდა. ბარბარეს სახე გაუბრწყინდა ელენე, რომ დაინახა. ყველაფერი ძალიან ლამაზად იყო მოწყობილი, სცენა, განათება, სუფრაც კი კანსაკუთრებული ორიგინალობით გამოირჩეოდა. ელენეს დაძაბულობა მოეხსნა, როცა გაანალიზა, რომ ნიკა იქ არ იქნებოდა, თუმცა რამდენჯერმე შემოიხედავდა, ბარბარეს ეკითხებოდა რამე თუ ჭირდებოდა, სულ მეგობრები იყვნენ გარშემო და ელენესაც ხასიათი გამოუკეთდა. ბოლოს ნიკა ხშირად შემოდიოდა, განსაკუთრებით ეშლებოდა ნერვები, როცა მისი კლასელი ბიჭები აღფრთოვანებულები უყურებდნენ, ზოგი ბურთზზე წარწერაზე უთანხმდებოდა, ზოგი იქვე აწერინებდა რაღაცას. ელენემ მაშინვე მამამის დაურეკა, როცა იგრძნო, რომ ერთი სიტყვაც და ვეღარ მოითმენდა ნიკას, რომ რამე ეთქვა. ბარბარეს დაემშვიდობა და დარბაზიდან გავიდა, ნიკა მეორე სართულიდან ჩამოდიოდა, ელენე რომ დაინახა სწრაფად ჩამოირბინა..

–ელენე რამე ხომ არ გჭირდება?

–არა მადლობა, უკვე მივდივარ.

–ასე მალე? მე წაგიყვან.

–ბატონო? ელენემ გაოცება და თან ბრაზი ვერ დაფარა.

–მე ყველა უნდა წავიყვანო, აქ განსაკუთრებული არაფერია მამაჩემის დადგენილი ტრადიციაა, სტუმრები ჩვენვე მიგვყავს სახლში, ვიცი უცნაურია, მაგრამ ხო იცი ტრადიცია ტრადიციაა....

–არა მადლობა ჩემ სახლშიც არის ტრადიცია, რომ მამამ უნდა გამომიაროს და მალე მოვა უკვე.

–არ იყო საჭირო დარეკვა ელენე.

–მაპატიე მაგრამ მე განვსაზღვრავ ჩემ ცხოვრებაშ რაა საჭირო და რა არა.

–მემგონი, რომ წყენას არ გაუვლია.

–მემგონი, რომ თქვენ ვერ გაიგეთ, რომ თქვენ მე ვერ მაწყენინებთ უბრალოდ შეგიძლიათ გამაბრაზოთ.

–ნუ მეკიდები სიტყვებზე ელენე აზრი ხომ გაიგე და რა საძჭიროა.....

–სამწუხაროდ იმ გოგონებმა, რომლებიც თქვენი უდიდებულესობის ცოლის სტატუსის მოპოვების რიგშ დგანან შეიძლება თქვენი ტერმინოლოგია შეასწოროს შინაარსობრივი თვალსაზრისით.

–არ ვიცი რა გაბრაზებს, მართლა არიან ესეთი გოგოები და შენ ასეთი არ ხარ, მაშნ არც უნდა გწყენოდა. მე უბრალოდ ჩემი აზრი ვთქვი, რომ ქალს, რომელიც მარტო იმიტო მოგყვება, რომ წარმატებული ხარ ვერასოდეს მოვიყვან. არ მესმის ასეთი რამ როცა ქალი საკუთარ თავს უპირობოდ გთავაზობს თანაც ისეთ „ვაკანსიაზე“ რასაც ცოლი ჰქვია.

–საქმე იმაში არაა თქვენ რა მოგწონთ, საქმე ისაა, რომ თქვენ ასეთ ადამიანებს შეურაცხყოფას აყენებთ, შეიძლება ბევრმა მოგცეთ ცხოვრებაში ამის საბაბი, მაგრამ თუ შენ ამას გააკეთებ მხოლოდ უფრო ჩაეფლობით იმ ტალახში, რომელშიც უკვე ღრმად გაქვთ გადგმული ფესვები.

–ბევრ რამეს ურევ ერთმანეთში, თუმცა შენი მსჯელობა მომწონს, დავიჯერო იმ ბიჭზე, რომელსაც შეუძლია დედის თქმით, უპირობოდ მოიყვანოს ცოლი ამ პირობას ავრცელებ? ელენემ თავი ჩაღუნა და საშინლად გაწითლდა, ახლა გაახსენდა მისი სიტყვები, როგორ ლანძღავდა და ამცირებდა ასეთ ბიჭებს საჯაროდ.

–და მე კარგი ვარ? ნიკა მოულოდნელმა კითხვამ ჩააფიქრა და ამავე დროს ღიმილი ვერ დაფარა.

–რამდენად კარგი ხარ არ ვიცი, მაგრამ სწორი კი ხარ, ასეთი ბიჭები ყველაფერს იმსახურებენ, უბრალოდ მათ არ შეუძლიათ საკუთარი გადაწყვეტილების მიღება ცხოვრებაშო ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე, თუნდაც ეს მცდარი იყოს.

–უნდა წავიდე მამა მოვიდოდა ალბათ და ვერ ვალოდინებ.

–გაგაცილებ ელენე.

–არა მადლობა, არ შეწუხდე.

ნიკა ისევ აბრუნდა მეორე სართულზე, ოდნავ ჩაფიქრებული ჩანდა. როცა ელენე შენობიდან გავიდა ცოტნე დაინახა მანქანასთან, სიხარულით ეგონა ფრენა შეეძლო, მისკენ დაუფიქრებლად გაიქცა და მთელი ძალით ჩაეხუტა ძმას.

–ვაიმე ცოტნე როდის ჩამოხვედი?

–სურპრიზი მოგიწყე, ვიცი როგორ გიხარია ჩემი ნახვა პირველი ორი საათი მერე დამიწყებ ჩხუბს.

–ნუ ბოდავ, როგორ ხარ? არ ვიცოდი მეგონა ზეგ ჩამოხვიდოდი. მალე უცნობი მიუახლოვდათ, ელენე გაოცებული უყურებდა ნიკასძალიან გავდა, მაგრამ აშკარად არ იყო ის.....

თავი 7

„გიყვარდეთ და პატივი ეცით ქალს. ეძიეთ მასში არა ოდენ ნუგეში, არამედ შთაგონების ძალაც, ზნეობრივი და გონებრივი უნარის წყაროც“ ნიკა არ იყო მაგრამ ძალიან ჰგავდა, მათკენ წამოვიდა და ცოტნეს გადაეხვია. მასავით გამხდარი იყო, უფრო კლასიკურად ეცვა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა ელენეს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ნიკაც ზუსტად ისეთი იქნებოდა. ფიზიკური მსგავსების მიუხედავად აშკარად ჩანდა ხასიათის განსხვავება, მოძრაობაში, მიმიკებში. მათ წინ მდგარი ემოციურად უფრო თავშეკავებული იყო, მაგრამ მტკიცე, ნიკასგან განსხვავებით იშვიათად იღიმოდა, ცოტნესკენ წამოსულს უკვე სახე გაუნათდა. –ვა მათე როგორ ხარ? აქ რა გინდა? ცოტნე გადაეხვია –ჩემების დაბადებისდღეა და მოულოდნელად ჩამოვედი, შენ რა შვები ცოტნე? ხო ყველაფერი კარგადაა. მათე ელენეს მიესალმა და თბილად გაუღიმა, ელენეს არ ესიამოვნა, განსხვავებული მზერა იგრძნო, რომელიც შეიძლება მხოლოდ ქალის მიმართ ჰქონდეს კაცს. –შემოდი რა ცოტნე ჩემ ძმას გაგაცნობ, სულ მაგას გეუბნებოდი ახლა ორივე ევროპაში ითამაშებთ და სირცხვილია ნაკრების მოთამაშეები ერთმანეთს არ იცნობდნენ. მათე უფრო მეტად ელენეთი იყო დაინტერესებული და უნდოდა დარბაზში შეეყვანა. –მე უნდა წავიდე ცოტნე დავიღალე რა. ელენე გაჭირვეულდა, არაფრით უნდოდა შებრუნება ისევ მისი მომღიმარი სახის დანახვა ჯერ კიდევ, რომ ვერ გაარკვია რა ედო გულში ან საერთოდ ჰქონდა თუ არა ის. –სულ ცოტა ხნით, რომ შემოხვიდეთ, მათე მტკიცედ იცავდა თავის ნათქვამს.ცოტნე ერთი გაეღრიჯა ელენეს და ხელით ანიშნა წინ წასულიყო, ნერვები ეშლებოდა ისევ, რომ ბრუნდებოდა, მაგრამ ვერაფერს გააკეთებდა. ნიკა ისევ ორ სართულს შორის იყო გაკრული. მათეს დანახვაზე სახე გადაუფითრდა, მერე გაეცინა.. –შე დებილო არ უნდა გეთქვა? დაგახრჩობ, ერთმანეთს სასაცილოდ გადაეხვივნენ, რამდენიმე წუთი ასე ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს ათვალიერებდნენ, მათე სახეზე ეფერებოდა, ნიკას ეცინებოდა. –ხო ნიკუშ ცოტნე უნდა გაგაცნო, ჩვენ ნაკრებშია კალათბურთის ახლა გამოიძახეს, ირანში თამაშობდა და იქ დავმეგობრდით. –ძალიან სასიამოვნოა, ნიკამ ხელი ჩამოართვა, მე ხშირად ვუყურებ თქვენს თამაშებს.. –ხო მეტი გზა არ აქვს ჩემგან სულ მაგის ლინკები მიდის გაეცინა მათეს, ეს კი მშვენიერი ელენეა ცოტნეს და. ნიკას სახე გაუწითლდა ბრაზისგან, გრძნობდა მათეს გაცნობის მიზეზს.მკლავზე ხელი მოუჭირა და ძალიან მშვიდად თითქმის სიცილით თქვა. –მათიუშ ვიცნობთ ჩვენ უკვე ერთმანეთს, ბარბარეს კლასელია ელენე. მათეს გაეღიმა ნიკას რეაქციაზე, მხოლოდ ის მიხვდა

მისი მშვიდი თვალები, როგორი კატეგორიული და მშფოთვარე იყო. –სად არის იუბილარი? ყურადრება გადაიტანა მათემ მისთვის უკვე ყველაფერი ზედმეტად გასაგები იყო. –დაბლა დარბაზში მეგობრებთან, ჩვენ მაღლა ვართ და მესამე ფრონტი სულ დაბლაა იქ არიან ბიჭები და იქ შედით მეც მალე მოვალ, ბარბარეს კლასელები უნდა წავიყვანო ახლა. ნიკას მანქანის გასაღები ეჭირა და ჩქარობდა. –დემეტრეს ტრადიციაა მოკლედ არ იცვლება ეგ კაცი, გაეცინა მათეს, ცოტნე ესე იგი მამაჩემი სულ რომ არაფერში იყოს კატეგორიული ამ საკითხში ფეხს არ იცვლის, ყველა სტუმარი ჩვენ უნდა მივიყვანოთ სახლში. ელენეს ცოტა ეწყინა ეგონა ნიკამ უბრალოდ უთხრა, რომ წაეყვანა ამ ტრადიციის შესახებ და სინამდვილე რომ იყო არ ესიამოვნა. საკუთარ თავს ამის გამო გაუბრაზდა, უკითხავად წამოსული წყენა ცადა მაშინვე ჩაეკლა. –დაბლა ჩადით, მალე მოვალ. ნიკოლოზი ნერვიულობდა და გასაღებს ატრიალებდა. –მაღლა ავალ ჯერ ჩვენებთან, ნიკას სახე წაეშალა, არ უნდოდა მათეს იქ ასვლა იცოდა რაღაცა მოხდებოდა. მათემ ორივე ზემოდ აიპატიჟა..... მათემ ყველა მონატრებული თბილად მოიკითხა, ბარბარე სიხარულით გაიქცა ზემოთ ნიკამ უთხრა მათეს ჩამოსვლაზე.....ელენეს შერცხვა მაიას დანახვაზე, მაგრამ ქალი თბილად მივიდა და ორივე მოიკითხა, ცოტნე ბავშვობიდან ახსოვდა, გადაირია რამსიმაღლე გაზრდილა და როგორ შეცვლილაო. თამადა ზურა იყო, მათეს მაშინვე არ ესიამოვნა და მიხვდა რატომ არ უნდოდა ნიკას იქ ასულიყვნენ, დამსხდრები არ იყვნენ ზურამ დაიწყო ხმამაღლა, ყველას გასაგონად ლაპარაკი.. –მათე ძმაო ამხელა ხარ უკვე 34 წელი ცოტა არ არის აღარ უნდა მოიყვანო ცოლი? ელენემ სიცილი ძლივს შეიკავა, ეგონა მათეც გაიცინებდა, მაგრამ ბრაზისგან ლამის ბოლი აუვიდა თავზე, ცოტნე ძლივს აკავებდა, ცდილობდა სხვა რამეზე გადაეტანინებინა ყურადრება, მაგრამ არაფერი გამოდიოდა ზურა თავისას აგრძელებდა.... –რა გახდა ერთი ქალი, განა დაილია ქალები, რა ვერ მოიყვანე ამხელა კაცმა. –აი ახლა ამას გავხლიჩავ შუაზე, ჩაიბურტყუნა მათემ და ფეხზე წამოდგომა სცადა, უკვე ელენესაც შეეშინდა ისეთი სახე ჰქონდა, ცოტნე ძლივს აჩერებდა, მაიაც ანერვიულდა თავის შვილს იცნობდა. –ბარბარე ნიკას დაუძახე სასწრაფოდ, ხმა საგრძნობლად შეცვლილი და ანერვიულებული ჰქონდა მაიას. –არაა აქ, ბავშვები წაიყვანა. ბარბარეც დაბნეული იყურებოდა და ნიკას ურეკავდა. –ოთხ წუთში მანდ ვარ, ბარბარე იქნებ ყურადრება გადაატანინო, ან ზურა გაიყვანეთ, ნიკა გიჟივით ატარებდა მანქანას. მათე გრძნობდა, რომ მეტს ვეღარ მოითმენდა, ბარბარე რაღაცას ელაპარაკებოდა, მაგრამ არაფერი ესმოდა...ზურასკენ ნელა მაგრამ მიიწევდა.....ნიკა მალე შემოვიდა დარბაზში, სახე მშვიდი ჰქონდა, მაგრამ სირბილით სუნთქვა გახშირებული, მათეს ხელი მოკიდა და დააჯინა, გვერძე მიუჯდა... –კიდევ ერთი სიტყვა, რომ თქვას ჩემ ცოლის მოყვანაზე ნიკოლოზ და გამაჩერო შენც მიგაყოლებ..... –კარგი რა მათე გაატარე, ხო ხედავ მთვრალია. ნიკამ უდარდელად აიღო ზეთისხილი, ისეთი სახით თითქოს მარტო ზეთისხილზე ფიქრობდა, ტვინი კი გარეგნული სახის სიმშვიდის მიუხედავად გრძნობდა როგორ აწვდიდა საგანგაშო სიგნალებს. –„ქალს არ შეშვენის თვალის ცეცება, პოეტი არ ვარ მეპოეტება“ მათე თუ შენ არ გაინძერი ნამდვილი ქალი თვითონ არჩაგივარდება ხელში, ზურა თავის სტიქიაში იყო. ქალი უნდა მოიპოვო, უნდა იზრუნო ამაზე, უნდა ფიქრობდე, ეძებდე..... –რაო? რა თქვა ამ დეგენერატმა? მათე გაოგნებული იყო. ამან თავის თავს მიხედოს როდის იყო ამის რჩევები მჭირდებოდა საერთოდ რამეში... –მეპოეტებაო, ნიკამ ძლივს თქვა და ყველას ხმამაღლა გაეცინა, ელენემაც თავი ვერ შეიკავა. –იმედია ჩემს რჩევებს გაითვალისწინებ და ასე უცოლოდ დიდ ხანს არ იქნები... მათე წამოხტომას აპირებდა.. –გთხოვ მათე რა დღეს ბარბარეს დაბადებისდღეა,

გთხოვ ნუ გაუფუჭებ რა ხო ხედავ როგორ ნერვიულობს, კარგი რა ამის გამო გული როგორ უნდა ატკინო ბარბარეს, ისეთი გულწრფელი იყო ნიკას სიტყვები ელენე გაოცებული უყურებდა. –კარგი, მაგრამ თუ კიდევ ერთი სიტყვა თქვა მე მივდივარ აქედან. ზურა რა თქმა უნდა არ გაჩერებულა, მათე წასასვლელად წამოიწია, როცა ნიკა ფეხზე წამოხტა, სახეზე ეტყობოდა, რომ ძლივს იკავებდა თავს, მაგრამ გამოდიოდა. –ზურა ერთი წუთით შეიძლება რაღაც ვთქვა, თუ რა თქმა უნდა შენ ამის ნებას მომცემ და შეელევი მათეზე ლაპარაკს. იმედია ყურადღებით მომისმენ და კიდე აქ ყველა ჩვენი ნათესავი, მათ შორის დედაჩემიც გაიგონებს ამას. სულ წელიწადში ორჯერ ხერხდება ისე, როცა მართლა ძალიან ბედნიერი, შევსებული ვარ, ესაა ახალ წელს ზამთრის შესვენების დროს და ახლა, ამ დროს ვნახულობ ჩემს ძმას, მხოლოდ ორჯერ წელიწადში, აღდგომასაც კი ვერ ვახერხებთ ამას, ალბათ ხვდებით რამდენად მნიშვნელოვანი პერიოდია ჩემთვის, რადგან მთელი წელი მენატრება ჩემი ოჯახი, ჩემი ძმა..... ჩემთვის ის ყოველთვის მისაბაძ იყო, 11 წელია განსხვავება და ყოველთის უფროსი მეგობარივით მყავდა სულ მინდოდა, რომ მას ვმგვანებოდი, მე მას ბევრი რამის გამო ვაფასებ, ნიკა თანდათან ხმას უწევდა და უფრო და უფრო კატეგორიული ხდებოდა, მათ შორის იმის გამო, რომ დღეს მას ცოლი არ ჰყავს, ის არის ადამიანი, რომელიც ელოდება იმ ერთს ვინც ნამდვილად მისი ცოლი გახდება, იმდენად მტკიცეა, რომ საკუთარ ცხოვრებაში არავის ჩააყოფინებს საკმაოდ გრძელ ცხვირს, მოქმედებს ისე როგორც სწორად მიაჩნია და მე ვაფასებ ამის გამო, მან იცის როგორი მნიშვნელოვანია იმ ადამიანის პოვნა ვინც მისთვისაა შექმნილი და იმის გამო რომ 34 ისაა ზოგიერთივით ცოლი მარტო იმიტო არ მოჰყავს, რომ უნდა მოიყვანოს, ასეა წესი, საზოგადოებრივი აზრი ამას ღაღადებს, შეკავებული ბრაზი მაინც ჟონავდა ნიკოლოზის სიტყვებში, ხმის ტემბრში.... თუ ასეთი საუბარი ისევ გაგრძელდება და მათე ამის გამო აქედან წავა, მეც და ბარბარეც თან გავყვებით, არავის არ მოვუთმენ რომ ასე ნახვას მონატრებული ძმა ოდნავ მაინც გამიბრაზონ ჯერ ისედაც ბრაზიანია, ნიკამ თავზე ხელი გადაუსვა ღიმილით მათეს. იმედია გაიგეთ თორემ მათეს სხვა მეთოდები აქვს და არ გირჩევთ გამოცადოთ, დედა შენც გეხება. ხო კიდევ ჩემზე, ჩემს ცოლის მოყვანაზე იმდენი ილაპარაკეთ თუ გინდათ სანამ არ დაიღლებით, საერთოდ არ მოქმედებს ეს, მაგრამ იმედია სწორად გაიგეთ ის რაც ვთქვი, იმედია მომავალში გაითვალისწინებთ. მათეს ეღიმებოდა, ზურა დამუნჯებული იყო, აღარაფერი უხსენებია მათეს ქებას მოყვა და ამაზე კიდე უფრო მოშალა ნერვებზე, მაგრამ აღარ გაბრაზებულა. –ნიკა რა სასტიკი ხარ, მოცელე ბატონი თამადა, ბარბარე ზემოდან ედგა ნიკას ხელები მოხვეული ჰქონდა და თავზე აკოცა. –რატო იყო ასე აღგზნებული? გაეცინა ცოტნეს. –ეგ ეგეთია რო თვრება, არადა სხვა, რომ დანიშნო თამადათ მოიკლავს თავს. –ერთხელ რომ გაალამაზებ მერე ვეღარ იქნება ასეთი, მათემ მინერალური წყალი მოსვა. –ეგრე არაა, მათე ყველა თუ გაალამაზე ღმერთს ლამაზებისთვის არ შეუქმნია დედამიწა. ჯობია ჯერ უთხრა და თუ ვერ გააგებინებ მერე, შენ კიდე სულ გალამაზებაზე ფიქრობ. –მე მიყვარს სილამაზე, გაეცინა მათეს. –იმედია ხმას აღარ ამოიღებს შენს ცოლზე რა თქმა უნდა ქორწილამდე, თორემ შეგიძლია რაც გინდა გააკეთო მე მართლა არ შეგიშლი ხელს, ოღონდ ბარბარეს დაბადებისდღეზე არა გადაცდება თუ არა თორმეტს, ბარბარემ თავზე წამოარტყა და გაეცინა. მე წავედი დაბლა ბიჭები არიან, მოკლედ საქართველოში დაბადებისდღე ეს თვითმკვლელობაა ყველას თავის ტელევიზორი აქვს, ამან თუ არ დალია გულის შეტევა მოუვა, იმათმა დაბლაც თამაში დაიწყეს, ცოტნე არ გინდა ესენი, რომ წავლენ სათამაშოდ მივდივართ და შენც წამოდი.... ცოტნეს

გაეცინაა.. –მე ფეხბურთში ისე ვარ, რომ არ გირჩევთ..... –კალათბურთიც ვითამაშოთ, დრამანი გიჟდება მაგ სპორტზე. –ვინ? ცოტნეს რაღაც ლამის გადაცდა, დრამანი აქაა? განელი დრამანი? –ხო რამდენიმე დღეა დაბლა არიან კიდევ რამდენიმე ჩემი გუნდელი და ნაკრებიდან. –აუ მაგ ტიპზე ვგიჟდები ძალიან მაგარია, აი ეგ რო გალათასარაიში თამაშობდა მანდედან მოყოლებული ძალიან გიჟი ფეხბურთელია. –წამოდი ღამის სამზე ვიწყებთ დინამოს გვაძლევენ რამდენიმე საათით, სხვათა შორის შენ გიცნობს, ძალიან მოწონს შენი თამაში.. –კარგი მართლა? ასე უყვარს კალათბურთი? –კი გიჟდება, ერთად ვუყურებთ ხოლმე, რამდენჯერმე ირანშიც ვიყავით შენ თამაშზე, ჩემი ძმა მომკლავდა რომ არ მეყურებინა, მერე უკვე მეც მინდოდა ხოლმე, თან ქართველი სადაც თამაშობს იქ სპორტის სახეობას არ აქ მნიშვნელობა.....დრამანი გიჟდება ქართველებზე, ამბობს უცნაურები ხართ და ყველაფერში ლამაზად ზედმეტი ემოციებით გამოირჩევითო. ელენე გრძნობდა, რომ ცოტნეს იქიდან გამყვანი არ იყო, სახე მოეღრუბლა, ბრაზს ისევ გრძნობდა, არც სიამაყე აძლევდა საშუალებას იქ მჯდარიყო, ნიკა კი ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ურყევდა საფუძველს რაზეც მისი სიჯიუტე და სიამაყე იდგა, „ესე ადვილად არა, ჯერ კიდევ არ მიცნობს“ ეს გაიფიქრა და ფეხზე წამოდგა. –ელე სად მიდიხარ? ცოტნე გაოცებული იყო. –მე ტაქსით წავალ სახლში მეძინება უკვე დავიღალე. ცოტნეს სახე შეეცვალა. –წამო რა ჩვენთან ერთად, ნიკამ ღიმილი ძლივს შეიკავა, ეს ის სიტყვები იყო რასაც ელოდა. –არა ცოტნე ხომ იცი როგორ არ მიყვარს ფეხბურთი, ეს ბრაზით თქვა და ისევ გაბრუნდა. ცოტნეც წამოდგა.. –დამელოდე ელენე... –იყოს ცოტნე ტაქსით წავიდეს არაფერი იქნება გავაჩეროთ და ...ნიკამ გულგრილობის ნიღაბი ისე ოსტატურად და ბუნებრივად მოირგო, რომ ვერც კი შეძლებდა ვინმე მის სახეზე და ხმაზე არაბუნებრივი რამ ამოეკითხა ასე ღრმად რომ იყო ჩასული. ნიკა ვერც კი მიხვდა როგორ უფრო დაშორდა ამით ელენეს, როგორ დაეცა მის თვალში ასე უბრალო, ბუნებრივი გულგრილობისგამო. –არა ქალბატონი ელენეს სახლში გაშვება მარტო არ შეიძლება მამაჩემი გაგიჟდება მივიყვან და მოვალ. ვერც ბარბარემ, ვერც ცოტნემ ვერ შეძლო მისი დატოვება თქვა და დაამთავრა, ნიკა არ ელოდა ასეთ სიჯიუტეს, ასე თუ გაურთულდებოდა საქმე, პირველად იყო, რომ ქალი არაფრად აგდებდა, უთქმელად უბრაზდებოდა პატარა შეცდომების გამო და მისგან სრულყოფილებას მოითხოვდა, ოდნავ შეცდომასაც არ პატიობდა არც თავისი და არც სხვის მიმართ, გრძნობდა, რომ ყველასგან განსხვავებულ არსებასთან ჰქონდა საქმე, რომელიც არც ასე ადვილად ივიწყებს რამეს და არც პატიობს, რაც მთავარია არაფრის ზეგავლენის ქვეშ ექცევა. „ძლიერი ხასიათი“ გაიფიქრა და გაეღიმა..... „ძნელია ადამიანს შეაყვარო თავი, როცა მას ეს არ უნდა“ ამას გრძნობდა ნიკა ელენესგან, მაგრამ ვერაფრით ეშვებოდა ფიქრს, ეს ყველაფერი მარტო იმას დააბრალა, რომ მუდამ ბავშვობიდანვე მიუწვდომელის მისაწვდომად გახდომას ესწრაფოდა, მუდამ უნდოდა იმის გაკეთება, რაც სხვამ ვერ შეძლო, ეს შინაგანად თანდაყოლილი ხასიათი აძლევდა ძალას ებრძოლა თავდაუზოგავად ამ მძიმე გზაზე სადაც ნიჭიც და შრომისმოყვარეობაც ისეა საჭირო, როგორც ველოსიპეტისთვის ორივე ბორბალი. ყველაზე მეტად იმის ეშინოდა ქალი დასაპყრობ მწვერვალად არ ექცია და მერე ისეთი გრძნობა არ ჰქონოდა რაც ალპინისტებს მწვერვალის დალაშქვრისას, მობეზრებული და კმაყოფილი განცდა, კმაყოფილი რომლისგანაც ბედნიერება ისე შორსაა, როგორც ციდან დედამიწა. ფერმიბინდული მთვარეებივით მიმოფანტული ნათურები ერთმანეთში ირეოდა, ელენე ვერაფერზე ფიქრობდა, ჯერ ისევ ბავშვი იყო და გრძნობდა, რომ იმაზე უწევდა ფიქრი რაც არ იყო მისი ასაკისთვის საჭირო, ყველაფერს უფრო რთლად უყურებდა ყველა გრძნობას ეჭვის

თვალით, მის სხეულში გამჯდარი იყო სუნთქვის შემკვრელი დაძაბულობა, ბევრი რამ აეჭვებდა, ბევრი რამის არ ჯეროდა, ვერაფრით ხვდებოდა ნიკას ხასიათს, მუდამ ცდილობდა ხასიათის შტრიხების ამოცნობას, ფსიქოლოგიის შესწავლას. ზოგჯერ ამართლებდა, ზოგჯერ მზად იყო გილოტინაზე გაეყვანა თავის წარმოდგენაში. ერთი ის იცოდა რომ ადვილად მისაწვდომი არც ქალი და არც ბედნიერება იყო მარადიული, ეჭვი ისევ დაცურავდა მის სისხლში შინაგანი სიმტკიცე მთელი ძალით ყალიბდებოდა. თითქოს საკუთარი გული ყველაზე მაღალ მწვერვალზე აიყვანა და მისი შემჩნევა და მოდრეკა ყველაზე რთულად ეჩვენებოდა თვითონაც. ..... „უბედურება აუცილებლად დაგეწევა!“ გულში სევდა საღამოვდებოდა, ენერგია იწრიტებოდა და უსაშველო ტკივილი ნაბიჯ–ნაბიჯ ეპარებოდა მის სხეულს, თანდათან უფრო შიგ აღწევდა და ყველაფერს თავზე ამხობდა. –გამეღვიძა, მორიდებით თქვა ანასტასიამ და ფეხზე წამოდგა. –დედასთან გინდა ხომ? ანასტასიამ გაუბედავად დააქნია თავი, ნიკას სხეული ჩაეწვა, იმის ცოდნა, რომ შეიძლებოდა დედა ამ პატარას დაეკარგა ავადმყოფობის, ცხოვრების მიმართ ზიზღს და აუტანელ განცდას უნერგავდა, სადღაც მათ შორის საკუთარი თავიც დალანდა. –შენთანაც მინდა და დედიკოსთანაც, რო მეღვიძება მინდა, რომ მან ჩამაცვას, მარტო ის მექცევა ისე როგორც მე მინდა, რაღაცნაირად მასთან ისე ვარ რომ არაფერი მაწუხებს, თუ შემაწუხებს დედიკოს ვეტყვი და მერე ის რომ გაიგებს აღარ მაწუხებს ხოლმე, ანასტასია ისე სასაცილოდ ლაპარაკობდა, რომ არა კიბოს არსებობა ნიკას გაეცინებოდა, ახლა თვალები შეემღვრა. –კარგი, ახლა დავიბანოთ, ვჭამოთ და წავიდეთ ტასო ხო? –დედიკოსთან, რომ ვჭამოთ. გაუბედავად თქვა პატარამ, ნიკამ ხელში აიყვანა, სააბაზანოსკენ ჩახუტებული გაიყვანა და ხმას ვერ იღებდა. გრძნობდა, რომ ის წლები ანასტასიაშიც მძიმედ იყო დალექილი და ბარიერად აღმართული. სახლისკენ მიდიოდა, რომელიც მას აღარ ეკუთვნოდა, სახლი არა შენობის, კედლების, ავეჯის განცდა არა, ოჯახის, შიგ დაბუდებული წარსულის, მეხსიერების, ურთიერთობის, გრძნობების ერთობლიობა იყო, სახლი ელენე და ბავშვები.... აღარაფერი იყო მისი და მაინც ახლა ყველაზე მეტად უნდოდა დაკარგულის დაბრუნება, მაგრამ დიაგნოზი მხოლოდ მისი აწეწილი მდგომარეობის დაუჯერებლად საბოლოობის განცდას უტოვებდა. იგრძნო, რომ ჭეშმარიტ უბედურებას თუ შეიძლება მას „ჭეშმარიტი“ ვუწოდოთ, საერთო არ ჰქონდა მოედანთან, ბურთთან, ტრიბუნებთან, ხალხის შეძახილებთან და ბადეში მოხვედრილ ბურთთან, რაღაც უცნაურად გამაგიჟებელ გრძნობას, რომ იწვევდა მაშინ, გრძნობდა, რომ ბედნიერებაც და უბედურებაც შიგნიდან იყო და ამიტო იყო ასე ძნელად დასათმობი და ასე აუტანელი. წამით დაფიქრდა რა იყო უბედურება? განცდა, სასოწარკვეთა, ემოცია, ბედნიერების არ არსებობის შეცნობა....ვერაფერი მიუსადაგა, მერე მიხვდა, რომ ვერც შეძლებდა ამას, რადგან უბედურება ყველასთვის ინდივიდუალურად შესაცნობი იყო, ყველას თავის საზომი ჰქონდა, ყველა სახვადასხვანაირად ეგუებოდა..... უბედურება ელენეს მონატრება იყო..... მლაშე გემო დაუტოვა ამის გააზრებამ, გრძნობა თითქოს ბედისწერა შურს იძიებდა ყველა მისი საქციელის გამო.....იქ სადაც ყველაზე მწარეა, იქ სადაც ტკივილი სხეულის არც ერთ უჯრედს ტოვებს „შეურყვნელს“..... ოთახში თითქოს ბინდი იყო ჩამოწოლილი, დემეტრე სახლში ბურთით თამაშობდა...სასაცილო იყო მათი შეხვედრა, ანასტასია დემეტრესკენ გაიქცა თითქოს საუკუნე იყო ერთმენეთი არ ენახათ, ნიკა თავს იმ დამპყრობლად გრძნობდა ვინც მშვიდობიანი ქვეყანა დაიპყრო, ახლობელი ადამიანები ერთმანეთს დააშორა და ახლა ყოფნიდა თავხედობა და ნანობდა კიდეც, და სინანული როდიდან გახდა თავხედობა? არა სინანული არაა, პირიქით

სინანული ყველაფერია, მაგრამ მის უკან ამოფარებული განცდაა თავხედობა, ისე როგორც მშობელს ამოეფარება მორიდებული შვილი უცხოების, რომ რცხვენია ისე იდგა პატიების მიღების იმედი ატუზული ბავშვივით, მაგრამ ნიკა ბავშვი არ იყო, ნიკა ყველაფერს ხვდებოდა, შეუძლებლობის ჯეგირები საშინელი სისწრაფით ამოიმართა მის წინ, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ელენეს სახეზე მისი ხელი მძიმედ დაეშვა, იქიდან იგრძნო, რომ არაფერს ჰქონდა აზრი ვეღარ ააშენებდნენ, ვეღარ დააბრუნებდნენ ნანგრევებად ქცეულ პატივისცემას, სიყვარულს, მაგრამ იმპერიის ნანგრევებზე ხომ უფრო მეტადაც კი იგრძნობა მისი ძალა? ძლევამოსილება და ყოვლისშემძლეობა, დღესაც ხომ რომის იმპერიის ნანგრევებზე შენდება ცივილიზაცია? დღესაც ხომ იგრძნობა მისი დიდებულება.... მაგრამ ყველაფერი წარსულია, ყველაფერი წარსულშია დარჩენილი, ნანგრევები მარტო იმას მოწმობს, რომ იყო და აღარ არის და აღარც აღარასოდეს იქნება ისეთი.....ისეთი როგორიც ადრე..... –დედიკო სადაა? ანასტასიამ მაშინვე ეს იკითხა. –არ ვიცი მემგონი საავადმყოფოში, მაია ნათლიამ გამოუარა და წავიდნენ. დემეტრემ ისევ გააგრძელა თამაში. –საავადმყოფოში რატო? რამე მოხდა? ნიკამ თავისი ხმა ვერ იცნო ისე იყო უსუსურობით, შიშით გაჯერებული. ეგონა ცუდად ხომ არ გახდა ელენე და მაშინვე იგრძნო, როგორ გაუტყდა სიმტკიცე..... –არ ვიცი არაფერი უთქვამთ. დემეტრე უხალისოდ პასუხობდა შეკითხვებს.... ანასტასია ოთახში შევიდა და მოღუშული წამოწვა, ნიკა შესასვლელში იჯდა დივანზე და გაურკვეველი მიმართულებით იყურებოდა, დემეტრეს ყურადრება არ მიუქცევია მამისთვის, სამივე თავისებურად ელოდა ელენეს, თითქოს მის გარეშე მთლიანად დაშლილები იყვნენ მათ შორის კავშირიც არ წყდებოდა, მაგრამ იცვლებოდა. ელენე რომ მოვიდა თითქოს რაღაც აღდგა, ანასტასია სიხარულით გამოვარდა ოთახიდან და დედიკოს ჩაეხუტა, მაიაც უკან მოყვებოდა, ორივეს შეწუხებული სახე ჰქონდა, ელენე ფერმკრთალი და დაღლილი იყო, კიდევ უფრო გამხდარი და ნანერვიულები. –დედიკო დემეტრემ საავადმყოფოშ არისო, რა მოხდა? ელენეს სახე შეეცვალა... –მაია ნათლიას გავყევი დე, რაღაც საქმე ჰქონდა. ელენე ფეხზე ძლივს იდგა, ნიკა ჩაიწია, რომ დამჯდარიყო.. –შე პატარა, ნათლია არ უნდა მოიკითხო? დაარღვია დუმილი მაიამ და ანასტასია ჩაიხუტა, მშობლების დაძაბულობა ყველაზე ტლიკინასაც გადაედო და იმ დღეს ისე მხიარული აღარ იყო. ნიკა წასასვლელად ადგა მაიამ რომ გააჩერა.. –ნიკოლოზ შენთან საქმე მაქვს, მოიცადე ცოტა ხანი და მერე ერთად წავიდეთ, ჩემი ქმარი ძალიან მაბრაზებს უნდა გელაპარაკო რაღაც სავაჭრო ცენტრის მშენებლობას იწყებს და არაფრით არ ესმის, რომ იქ არ გამოვა არაფერი, იქნებ შენ დაელაპარაკო? მოიცადე და მართლა რაღაცები მაინტერესებს ერთად გავიდეთ, მე ახლა რამეს მოვამზადებ, ეტყობა ჩემ პატარებს შიათ მაიამ მზრუნველად გახედა ორივეს, ელენეს სახეზე ფერი არ ედო და არაფრის თავი ჰქონდა.ანასტასიაც სამზარეულოში გაყვა ნათლიას. ნიკა თვალს არ აშორებდა ელენეს დაღლილ სახეს, მოხრილ მხრებს.....ვერც გრძნობდა რომ თავისი თვალები კიდევ უფრო შეცვლილიყო, მისი სახეც ფერმკრთალი და ნატანჯი იყო, ცდილობდა ელენეს არ შეემჩნია, მაგრამ არაფერი გამოდიოდა.... –როგორ ხარ ელენე? ძლივს იპოვა სიტყვები.... –მადლობა კარგად შენ ნიკოლოზ? ანასტასია როგორ იყო? –კარგად, მაგრამ მოენატრე დილით ერთი სული ჰქონდა წამოსულიყო, თან ლიკას არ წყალობს.. –დაველაპარაკები.. –არა, არა მე მაგიტო არ მითქვამს, ნიკა ახლა მიხვდა, რომ შეიძლებოდა სხვანაირად გაეგო ელენეს, არ დაელაპარაკო არაფერი უთხრა საერთოდ მაგ თემაზე, არაფერი აიძულო, როგორც უნდა ისე იყოს.. –ხო მაგრამ ასე არ შეიძლება, გაკაპასდა ძალიან, ელენემ დაღლილ სახეზე ხელი მოისვა..... –ელენე, ნიკამ ტელეფონი გაუწოდა, გუშინ წერილი მოვიდა,

ტასოს ეგონა შენგან იყო და წამაკითხა, ელენემ ტელეფონს დახედა..... სახე არ შეცვლია, მაგრამ შიგნით უსიამო ჟრუანტელმა დაუარა. –მე არ წავიკითხავდი, რომ არ..... –ვიცი ნიკა.. ელენემ გააწყვეტინა, ისედაც იცოდა, რომ გამორიცხული იყო ნიკას რამე ჩუმად წაეკითხა.....თვალებში გაუბედავად შეხედა.. არაფერი.....საერთოდ არაფერი..... მხოლოდ უუფლებო ეჭვიანობა..... –ნიკა შენ როგორ ხარ? ძალიან შეიცვალე.....ნიკა ამ კითხვას ელოდა და გაეღიმა, გაეღიმა და არც პასუხი იცოდა.. –შევიცვალე? ახლა? მე დიდი ხნის წინ შევიცვალე, ძალიან დიდი ხნის წინ. ელენემ არაფერი უპასუხა, გრძნობდა საითაც მიდიოდა მათი საუბარი ორივეს გაუცნობიერებლად. –ხო ცხოვრება გვცვლის, ზედაპირულად უთხრა, რომ სიღრმეებში არ ჩასულიყვნენ, ნიკამ იგრძნო თითქოს წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა ისეთი განცდა ჰქონდა. გაეღიმა და მშვიდად, ძალიან მშვიდად და ისე როგორც ადრე იცოდა, როცა ერთმანეთი ჯერ კიდევ არ ყავდათ გაცნობილი... ისეთი ხმით უთხრა.. –მე ვიცი, რომ დღევანდელი დღე უმოწყალოდ გლეჯს გუშინდელს. ელენეს სხეულზე ეკლებმა დააყარა ამ სიტყვებზე უხმოდ ადგა და სამზარეულოსკენ გავიდა.. უცნაური და უხეში სიჩუმე იყო, სიჩუმე, რომელიც ყურებში საშინლად ღრიალებდა, ანასტასია თუ არღვევდა დუმილს და დემეტრე რაღაცას აბრაზებდა, ნიკას არაფერი გადადიოდა, წყალს სვავდა შესამჩნევად ხშირად, ანასტასია ცდილობდა სწორად მჯდარიყო, სწორად და უხმაუროდ ეჭამა წვნიანი, არ დაესვარა, იცოდა ნიკას ამით საშინლად გააბრაზებდა, ისეთი დაძაბული იჯდა ნერვიულობისგან ხელი აუკანკალდა და წვნიანს ჩამოკრა, ტანსაცმელიც დაესვარა, ძირსაც დაექცა, ხმაც აუკანკალდა მაშინვე აემღვრა თვალები, სანამ ელენე მივიდოდა მასთან პატარა ძლივს მიწვდა ტილოს სწრაფად დააფიინა იატაკზე აკანკალებული ხელებით, თან გაბზარული ხმით ამბობდა.. –მამიკო ახლავე ავიღებ, ბოდიში რომ დავსვარე, მეტს არ ვიზავ, დედიკო გამომიცვლის ასე კი არ ვიქნები, თან არ ჩერდებოდა პატარა თითებით იატაკს წმენდდა და მაგიდის წვეშ დაფხოწიალობდა, ვერც კი ხვდებოდა, რომ მაგიდისტილოს იატაკს უსვავდა.....შესაბრალისი თვალებით ახედავდა მამამის და თვალებითაც და პირითაც ბოდიშებს იხდიდა, რომ ეს „ჩაიდინა“, ნიკა ვერ ინძრეოდა, მისი სისხლი დასაყრდენს ეძებდა, უყურებდა საკუთარ შვილს და გრძნობდა საკუთარი თავის მიმართ ზიზღს, მის ასეთ დანახვაზე თითქოს ორგანოებზე ვიღაცამ ხელი მძიმედ მოუჭირა და სუნთქვა უჭირდა. ნათლად ხედავდა დაფენილ ტილოზე, აკანკალებულ ხმაზე, ამღვრეულ თვალებზე, ბოდიშებზე, როგორი მამა იყო და თავის მიმართ ამაზრზენი განცდა დაეუფლა, ახლა ისე როგორც არასდროს უნდოდა იქ არ მჯდარიყო, უნდოდა არ დაბადებულიყო, მამობა არ ღირსებოდა.. როდის? როდის იქცა ასეთად? ისეთი იყო, როგორიც სხვები ეზიზღებოდა, როგორ გავდა უგულო ადამიანებს, როგორ გავდა იმ მამებს ვიზეც გული ერეოდა, ნელ–ნელა თავის პატივისცემაც ქრებოდა, ნელ–ნელა ყველაფერი თავზე ენგრეოდა. თითქოს ურიცხვმა ხელმა წაიღო სადღაც დაბლა, ელენე ნიკას უყურებდა და ყველაფერს გრძნობდა.....ვერც კი ხვდებოდა მენაბდე, რომ თვალები მლაშე წყლით ჰქონდა სავსე, მხოლოდ მაშინ, როცა ცხელი წვეთები სახეზე იგრძნო სწრაფად ადგა და გავიდაა..... ელენემ ანასტასია ფეხზე ააყენა.. –არაუშავს დე მე მოვწმენდ, შენ ცოტა ხანი დაჯექი, ელენე ნიკასკენ წავიდა, აბაზანაში დაუკაკუნა, მენაბდე ხელებს იბანდა, თითქოს ცდილობდა წარსულის ჩამორეცხვას, მაგრამ წარსული მეხსიერებაში და არა სხეულზე იყო... –შეიძლება ნიკა? –შემოდი.....სახეზე წყლის წვეთები ჰქონდა ნელა, რომ მიცურავდა კისრისკენ და მლაშე წყლის წვეთებში არეულიყო. ელენე მიუახლოვდა შინდისფერ კედელს მიეყრდნო და ხელსაბანს ხელი ჩამოადო. –მითანაგრძნობ არა? ნიკას სიმწრით გაეღიმა

და პირსახოცი აიღო ხელში. –მაგას რატომ... –მჭირდება, მართლაც სამაგისოდ მაქვს საქმე, „არასოდეს თქვა არასოდეს“ ნიკამ თქვა და ქვედა ტუჩი კბილებს შორის მოიქცია, საკუთარი შვილი..... –მას უყვარხარ ნიკა, მთავარი ესაა.. –მას მამა უყვარს, ის ჯერ კიდევ ზღაპრებში ცხოვრობს, უყვარს ის რასაც მამა გულისხმობს და არა მე.... მისთვის მამიკო ისაა რაც ზღაპრებში ჰყავს ამოკითხული, დემეტრე ამ ასაკიდან გამოსულია და ამიტომ უფრო რეალურად უყურებს ამას, ანასტასიაც მალე მიხვდება, რომ ჩემ მიმართ მხოლოდ შიშს გრძნობს, რომ რამე არ დაექცეს კაბაზე.... ესაა ჩემი ცხოვრება მთავარია გარეგნული ლაქა არ გქონდეს..... –ანასტასია ხომ იცი სხვანაირია ნიკა, არ იდებს წყენას გულში, არაფერი ემახსოვრება უბრალოდ უნდოდა შენთვის ესიამოვნებინა, ამიტომ მოიქცა ასე. შენ უყვარხარ და არა აბსტრაქტული მამა, შენ სუნს ინახავდა შენ ბალიშზე, შენ ენატრებოდი, შენ „გაბრალებდა“, რომ ტანსაცმელი უყიდე, ბავშვები იმდენად კეთილები და სუფთები არიან ხშირად ზღაპრებს ვაბრალებთ იმას, რომ ანგელოზებივით არიან..... –შენ კარგი ფსიქოლოგი ხარ ელენე, ლამის უკვე მიახწიე იმას, რომ ყველაფერში საკუთარი თავი გავამართლო, მაგრამ შენ ჩემთან ვერასოდეს იქნები პროფესიონალი, რადგან კარგად გიცნობ, ისიცი ვიცი, რომ იმის შენ თვითონვე არ გჯერა რასაც ჩემ დასამშვიდებლად ამბობ. –მართლა არ ვამბობ შენ დასამშვიდებლად ასე ვფიქრობ ნიკა. ელენემ უკან გადადგა ნაბიჯი რადგან იგრძნო, როგორ უახლოვდებოდა ნიკა, ჰაერი ერთდროულად იყო უფრო მძიმე და მსუბუქი, მათ შორის არსებული ძაფები თითქოს შეირხა და დაიჭიმა, ელენეს სახე აუწითლდა, ყველაზე მეტად ეს მოსწონდა ნიკას, როცა უახლოვდებოდა, ბავშვური სიმორცხვე აღებეჭდებოდა უკითხავად ღაწვებზე.. –ნიკა არ გინდა, ელენემ ძლივს ამოიკნავლა, ხმაც კი ჩამწყდარი ჰქონდა ემოციისგან...ნიკოლოზმა იცოდა, რომ არ უნდა შეხებოდა, მასთან ვერ იქნებოდა სხვა კაცის ქმრის სტატუსით, ელენე ამას არ აპატიებდა...წინ არსებული დაბრკოლებები დაუჯერებლად საბოლოო განცდას უტოვებდა მის სულში ატეხილი ღრიანცელს.. –თუ გიყვარს და თან სასწაულის არ გწამს დაღუპული კაცი ხარ..... ეს უთხრა მენაბდემ და პირსახოციანა გავიდა.

თავი 8

„ჩვენ წარსულის ქმნილებანი ვართ და უხილავი ძაფი გვაკავშირებს მის ყოველ წერტილთან ძაფი რომ გაწყდეს, რაღა დარჩება ჩვენგან?“

–ნიკუშ რა ხდება? უცნაურად წაბარბაცდა მათე და მხარზე მხარი მიარტყა ძმას.

–არაფერი ისეთი მათე, ვარ ძველებურად ვვარჯიშობ ასე გამუდმებით..

–მაგაზე არ გეკითხები..ახლა თვალებიც მოპუჭა მათემ.

–აბა? ჯიბეებში ხელები ჩაიწყო მენაბდემ და სხვა მიმართულებით გაიხედა თან ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

–ო კარგი ახლა რას გაახურე ხომ მიხვდი რაზეც გეკითხები ის გოგო.. ნუთუ დამასწრებ? ااა? დედა ალბათ სულ გადაირევა ჩემ ცოლის მოყვანაზე...

–არც ესე სერიოზულადაა საქმე, უბრალო, გათამამებული გოგოა, რომელსაც სიკაპასე ღირსებად მიაჩნია.. მათეს გულიანად გაეცინა.

–უბრალო გათამამებული გოგო? კარგი რა ნიკოლოზ არ გიცნობდე მაინც პირველად ვიგრძენი ოდნავ მაინც რომ გამეგრძელებინა ფლირტი გადაირეოდი..ზღვარზე იყავი..

–შენ ჩემი ზღვარი არ იცი, არ გინახავს, ამიტო ნურც ამბობ, ნიკას გაეცინა. მაგრამ მართალი ხარ თავი მარწუხებში მგონია, ისეთი ეკლიანი გოგოა, რაღაცნაირი მათე, აი ვერ ვგებულობ, თავი მგონია დამნაშავე, თითქოს ახლახან მომისაჯეს მკვლელობისთის 20 წელი და ამის გამო მსჯის. ერთ შეცდომასაც არ მპატიობს, უნდა იდეალური ვიყო, მაგრამ რომც ვიყო მაინც არაფრად ჩამაგდებს, თუმცა ჩემზე კარგად იცის რომ იდეალურები არ არსებობენ, ისეთი გოგოა როგორებიც მხოლოდ 16 წლის ასაკში შეიძლება იყვნონ, ზედმეტადთავდაჯერებული, მეოცნებე, მერე ასაკის მატებასტან ერთად ადამიანი ამ უნარს თანდათან კარგავს.... ისეთი ღრმა რწმენა აქვს, რომ ჰგონია მთებს გადადგავს, რომ მოინდომოს და რაც ყველაზე მეტად მხიბლავს ამქვეყნად არაფერს შეუძლია მისი სულის სიმების შერხევა.

–რატო უგულოა? სიგარეტი გააბოლა მათემ.

–არა, გაეცინა ნიკას, ეგ არ მიგულისხმია, რა სულელი ხარ, ზედაპირულო... მე ვიგულისხმე რომ გრძნობების გარდა ვერაფერი შეარხევს მე მატერიალურზე ვამბობ, აი კარგი ვაჟკაცივით გოგოა, ოთარაანთ ქვრივივით „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა“.....

–ნუ დამძაბე ძმაო, ბიჭები და ვაჟკაცები არ გვინდა...

–აუ რა დამპალი ხარ ტო....მე შენ ღრმად გელაპარაკე რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეს ჩემგან, მე შენ იმ აწეწილობაზე მოგიყევი რაც ჩემ გონებაშია, გოგომ დედა გამომილანძღა და მე აღვფრთოვანდი გესმის განა საშიში არაა ამაში რამე? თუ საგანგაშო? ნიკა ხარხარებდა...

–წიკუშ შენ თუ ეს უხეში შეგიყვარდა, როგორც შენ ამბობ ან შენ მორჯულდები ან ის...

–ის.....დამიჯერე ამქვეყნად ყველაზე ნაზი იქნება, ყველაზე მომთმენი და წყნარი, მისი სიფიცხე აალდება, სიკაპასე დროსთან ერთად შეიწოვება, სითამამე კი გაბედულებად გარდაიქმნება და მე ამისთვის ერთხელაც არ მომიწევს ხმამაღლა რამის თქმა ეს თავისთავად მოხდება და თუ ეს ასე არ იქნება მაშინ მე ამ ცხოვრების არაფერი გამეგება....

–რა ფილოსოფოსივით ლაპარაკობ რომელიც ახლახან გამოწერეს საგიჟეთიდან და თავის იდეებს ისევ ისე აფრქვევს.....

–თუ არ გაიტან გაგიტანენ ძმაო, ეს ფეხბურთში დაუწერელი კანონია.....წამოდი გვაგვიანდება, ცოტნე დინამოზე მოვა პირდაპირ, ისე საშხაპეებს ხომ გაგვიხსნიაან? უნდა ვკითხო, ნიკას სახე შეუწუხდა, მათემ გადაიხარხარა...

–ნიკუშ, ნიკუშ ისევ ის წიკუშა ხარ, ვერაფრით იცვლები. ალბათ სამიათასი ბუცი ჩამოიტანე, ვაიდა ვინმეს დაჭირდეს როგორ ათხოვებ მერე ვეღარ ჩაიცმევ ამიტომ გირჩევნია აჩუქოო.

–ადამიანები არ იცვლებიან და წიკუშა არ დამიძახო, გამოსხრა ნიკას...

–ოოოო ანუ გამუდმებით დაგიძახებ მიყვარს რომ გაბრაზებ.

–რაც გინდა ქენი, გაეცინა ნიკას, გამორიცხულია მაგის გამო ოდნავ მაინც გავბრაზდე, ჩემი წყობიდან გამოყვანა ჯერ ვერც ერთმა ადამიანმა მოახერხა და ვერც შენ....ნიკას ისეთი სახე ჰქონდა, რომ მათე მიხვდა განზრახ მიიღო ვითომ გაბრაზებული სახე სახელის დაძახებაზე, სინამდვილეში არ არადარდებდა რას დაუძახებდა. მენაბდეს საკუთარი შეხედულებები ჯერ კიდევ ხუთი წლის ასაკიდან ჩამოუყალიბდა, როცა პირველად შედგა ფეხი საფეხბურთო სკოლაში, ამ სპორტმა ბევრი რამ ასწავლა, უცნაურად განსხვავებულად უყურებდა ყველაფერს, თუმცა მარტო სპორტი არაფერ შუაში იყო მამას გავდა დემეტრეც ასეთი იყო, ხასიათი რბილი ჰქონდა, პრობლემებს არ ქმნიდა, ურთიერთობებს მარტივად და მსუბუქად უყურებდა და არც კონკრეტული გარემოების გამო გამოდიოდა წყობიდან. ნიკოლოზში ყველა ეს თვისება თავიდანვე იყო გამჯდარი და თანდათაან განვითარდა, მათესგან სრულიად განსხვავებული იყო, თუმცა არსებობდა ზღვარი რომლის იქითაც ერთმანეთს გაჭრილი ვაშლივით გავდნენ.

ელენე სახლში მივიდა თუ არა მაშინვე ოთახში შევიდა, ცოტნე, რომ არ იყო მოსული ეს ჩარჩა გულში და ცუდად ეძინა. დილით მისი ოთახისკენ წავიდა გაუაზრებლად, ნახევრად ეძნა, მაგრამ ცოტნე სახლში არ იყო მისული, გული შეეკუმშა და მაშინვე ტელეფონთან მივიდა.

–სად ხარ ცოტნე?

–მეც კარგად შენ?

–სად ხარ–მეთქი? ელენე გაბრაზდა და კიდევ უფრო გამოკვეთა თავისი მძიმე ხასიათ თან ახალგაღვიძებულზე ძაღლივით იყეფებოდა.

–კარგი ვიცი მოგენატრე, მაგრამ არაა საჭირო ასე ადრე მაგისთის გაიღვიძო, მალე მოვალ.

–აუ რა დეგენერატი ხარ ცოტნე.

–მეც მიყვარხარ, მალე მოვალ.

–ვერ გიტან.

–მეც. ელენეს თავი ტკიოდა და შუადღემდე ეძინა ისე ვერც გაინძრა. ცოტნე რომ მოვიდა მაშინვე დაეტაკა, ყველაფერი გამოიძია სად იყო, რა მოხდა, რატო დააგვიანდა.

–ნიკას ფეხი ეტკინა.

–მოუხდებოდა. ჩაისისინა ელენემ, თვითნაც გაუკვირდა ასე გულწრფელად რატო გაუხარდა.

–შენ ნორმალური ხარ ელენე? მესმის რატომაც ხარ ასე დედამ მითხრა, მაგრამ როცა სპორტცმენზე ამას ამბობ ეს მინიმუმ გულქვაობაა და შენ ეს იცი. რა შუაშია ნიკა, რამე დაგიშავა? რატო ვერ იტან? არ ხარ კარგად რა. ცოტნე გაბრაზებული იყო, გრძელ ხელებს იქნევდა აღშფოთებული.

–რა რამე მართლა სერიოზულად აქვს? სხვა დროს ალბათ უფრო უხეშად უპასუხებდა თავის ძმას.

–კი დრამანმა ლამის ფეხი მოაგლიჯა, გაშლილი ფეხით წავიდა და აი არ ვიცი მთელი ღამე საავადმყოფოში ვართ, თან არ შეიძლება რომ კლუბის ექიმის უკითხავად რამე გაიკეთოს და იმას ელოდება.

–რა გინდოდათ შუა ღამისას რომ თამაშობდით, ბურთის ხამები ხართ.

–შედი ახლა ოთახში მანდ არ მომიყვანო.

–ხამებო, ელენეს გაეცინა და ოთახისკენ გაიქცა.

საკუთარი უგულობა უკვირდა, თავისი ძმის „ფრჩხილის“ ტკივილზეც გული უწუხდებოდა, იცოდა რას ნიშნავდა ეს ფეხბურთელისთის, მაგრამ რაღაც აშინებდა, აღიზიანებდა ნიკოლოზში, თითქოს ადამიანის ნაცვლად უფსკრულს ხედავდა და თუ მას ახლოს მოუშვებდა შიგ სამუდამოდ გადავარდებოდა, ამიტო მთელი ძალით, ენერგიით ცდილობდა შორს ყოფნას, შეძულებაც კი დაუშვა, ოღონდ არ ყვარებოდა და ოდნავ არ ჰქონდა დანაშაულის გრძნობა, მხოლოდ უკვირდა, უკვირდა, რომ ასეთი ცივი იყო შინაგანადაც, რადგან მხოლოდ გარეგნულად ტოვებდა ასეთ შთაბეჭდილებას ახლა კი შიგნიდანაც სიცივეს და გულგრილობას გრძნობდა.

მძიმე სიჩუმე იდგა პალატაში, მბრძანებლური დუმილი სამედიცინო იარაღების უჯრედებშიც გამჯდარიყო, სახე მშვიდი და უძრავი, არ ირხეოდა, დივანზე შავკანიანი გოლიათი იჯდა თავი ხელებში ჰქონდა ჩარგული და ყველა ენაზე დაულაპარაკებლად ითარგმნებოდა მისი სასოწარკვეთა, თამაზი ისეთი თვალებით უყურებდა ნიკას ღიმილი გაუკრთა სახეზე, მაგრამ მოლოდინმა მალევე ჩაყლაპა დადებითი ემოცია. მანამდე იმდენი იჩხუბეს ნიკა საავადმყოფოს საწოლზე არ წვებოდა და ფეხზე იდგა ნატკენი ფეხით ჰაერში, სულ გადაირია იქ ვერ დავწვები ვინ იცის რამდენი ადამიანი იწვა ზედო ან როგორი გარეცხილიაო, საბოლოოდ ისე ქნეს რომ ახალი სამედიცინო საწოლი იყიდეს, რომ როგორმე მენაბდე გაჩერებულიყო.

–ცხოველი...გამოცრა თამაზს, პირუტყვი, დრამანმა ვერ თარგმნა ქართული იშვიათი და გამორჩეული, მაგრამ იგრძნო, რომ კარგი არაფერი უთქვამს.

–თამაზ იყავი უფრო მშვიდი ვიდრე ხარ და სანამ შეგიძლია.სუფთად დაწოლილ ნიკოლოზს აღარაფერი აღელვებდა, ნიკამ ფეხს დახედა და გაეღიმა..–მე კარგად ვიქნები, ჩემი ფეხიც და არ ღირს ისედაც განიცდის, დრამანს შემწყნარებლური ღიმილით გაუღიმა და მისთვის გასაგებ ენაზე გაამხნევა. განელმა მხოლოდ გაიღიმა. ნიკა გრძნობდა ეს ორი როგორ ეჭვიანობდა ერთმანეთზე, თამაზი დასანახად ვერ იტანდა დრამანს, თითქოს ეცილებოდა მეგობარს, ამას

მთიული ვერ ეგუებოდა, დრამანიც ხვდებოდა ამას და ფეხბურთელის ჟინიანობით ცდილობდა ბოლომდე გაემწარებინა ბელთაური განსაკუთრებით იმით, რომ გაცილებით მაღალი კლასის ფეხბურთელი იყო თვითონ თამაზი კი მხოლოდ საქართველოში და თურქეთში თუ იცოდნენ ვინ იყო ისიც ძალიან ფეხბურთის მოყვარულთა წრეებში.

–ცოტა რომ გეფრთხილა ახლა აქ არ ვიქნებოდით!

–არ მინდოდა, მეც ვერ მივხვდი ასე რატომ დავეჯახე.....

–შენთვის სიფაქიზე უცხოა ყასაბივით ხარ მოედანზე, რა იყო უბრალოდ ვერთობოდით და თავი რომ არ გაგეგიჟებინა....ბელთაურს ვერც ნიკაც ჩახველება და ვერც გაცინება ამშვიდებდა.

–შენ დამშვიდდი რა, როგორმე თვითონ მოვაგვარებთ და ნუ ცდილობ ყოველ შესაძლებლობაზე მეჩხუბო..

–ეგღა მაკლია რა, ერთი ცხოველური ორგანიზმის ფეხბურთელი ხარ...

–ხო შენ მასეთი ვერასოდეს გახდები...

–ღმერთმა დამიფაროს უბრალო თამაშში მეგობრებს ფეხი მოვუსპო.

–ნუ აზვიადებ ახლა ბელთაური რა ფეხი მომესპო, ისეთი არაფერია, კიდე რომ თქვა თავს მოგაჭრი, გაიცინა ნიკამ. ორივე მიხვდა რომ ნიკას ჭირდებოდა გამხნევება არადა სიტოაციას უმძიმებდნენ..

–არა ისე ვთქვი თორემ არაფერია მალე დაიწყებ ვარჯიშს... გაიცინა თამაზმა..

–ხო თან ჯერ მაინც დრო გვაქ დასვენების, მე ცოტა ხანს კიდევ დავრჩები საქართველოში.. ბელთაურს სახე დაემანჭა..

–ხო და წავიდეთ თამაზმა ისეთი ადგილები იცის უბრალოდ გაგიჟდები საქართველოს ბუნებაზე..დრამანს დავათვალიეროთ ჩვენი „მიწის ნაგლეჯი“ ასეთი მრავალფეროვნება სხვაგან წარმოუდგენელია... ნიკა აღარ ჩერდებოდა, დრამანს გაეცინა..

–ეს კაცი რაც ამ ქვეყანას პიარს უკეთებს..ამომხადა სულიი....სულ საქართველოზე ლაპარაკობს, მეგონა რომ ჩამოვიდოდი.....

–საფუძველი მაქვს მართლა განუმეორებელია ყველაფერი, ზღვა, მთა, უდაბნო ყველაფერი ასე მცირე ტერიტორიაზე და კიდევ ასე რომ არ გგვლეჯდნენ ტერიტორიებს მერე... მერეე ნახავდი.....აფხაზეთს ნახავდი და მიხვდებოდი, რომ ჩემ ქვეყანას პიარი კი არა სწორად შეფასება ჭირდება. ჩვენ ჩვენი არსებობის განმავლობაში მუდამ თავს ვიცავთ და მაინც ვართ მაშინ, როცა ასე გადაშენდნენ ქვეყნები.. და აუცილებლად დადგება დრო როცა საქართველო მოჭრილ ორგანოებს დაიბრუნებს და.....

–ოჰო, თქვენ ჯერ ევროპაზე ითამაშეთ ჯგუფიდან ვერ გაგიხწევიათ.....

–შენი ქვეყანა ხომ მსოფლიო ჩემპიონია რას ამბობ... ბელთაურს კიდევ ერთი მიზეზი მიეცა, რომ დრამანი არ ყვარებოდა...

–ევროპას ალბათ დავდებთ მალე პატივს და ვითამაშებთ და მაშინ ყველა დაინახავს რა შეგვიძლია..... ნიკა ისეთი აღტკინებული ლაპარაკობდა, რომ მის რწმენაში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო.. დრამან აი ნახავ თუ არ გავალთ ვიცი ახლა შეუძებლად გეჩვენება, მაგრამ ჩვენი პროფესიაც ხომ შეუძლებლის შესაძლებლად ქცევაა... „როცა დამიანს რაღაც უნდა მას მთელი სამყარო ეხმარება მის შესრულებაში“ ამიტომ იბადება ადამიანი, მხოლოდ ამიტომ, რომ ოცნება რეალურად აქციოს....და მე ამ „მომსპარი“ ფეხით როგორც ბატონი ბელთაური ამბობს ბევრ კარში გავიტან გოლს ან საგოლე პასს გავაკეთებ...ან ორივე ერთად, ენა გამოუყო დრამანს.... ნიკას უხაროდა, რომ დაძაბულობა ოდნავ გაქრა...

.....

„როცა ერთი დღე მეორეს ჰგავს ადამიანები იმ მშვენიერებას ვერ აჩნევენ, რასაც ცხოვრება სთავაზობს ხოლმე ყოველი მზის ამოსვლის შემდეგ.“

ნიკა მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა მოფუზულ ანასტასიას, გულში სიცარიელე გროვდებოდა და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს ეღიმებოდა? ცინიკოსი.. გაიფიქრებდა ის ვინც მის სახეს დაინახავდა სახეს და არა თვალებს. ორი გზა ან უნდა იტირო ან იცინო.....მენაბდე ღიმილს ამჯობინებდა რატომღაც ახლა ტკივილი იმხელა იყო, რომ შეეძლო ეხარხარა, ცხოვრებაზე, მის ცხოვრებაზე და განვლილ შინაგან და გარეგან საათებზე.....ცოტაც და აცდებოდა რეალობას იმდენად დაუჯერებლად ეჩვენებოდა, დაუჯერებელი იყო ყველაფერი ვინმეს რომ ათი წლის წინ ცალი თვალით დაენახებინა მენაბდისთვის თავისი თავი სიკვდილს ამჯობინებდა....იმის საპირისპირო კაცად იქცა რაც იყო..რაც ეგონა რომ იყო.....

–ანასტასია მამა როგორ ხარ? თავზე ხელი გადაუსვა და პატარა შეკრთა, მერე გაუღიმა გაოცებით მამას, ნიკამაც სანაცვლო ღიმილში დამალა გარეგნულად მისი შეკრთომით გამოწვეული ტკივილი.

–კარგად მამიკო, დედას ველოდები რომ გამომიცვალოს დამესვარაა. ანასტასიამ კაბა მუხლებზე გადაიჭიმა და გაძაძღა, თან კვარკვალა თვალებს არ აშორებდა ნიკას.....დემეტრე გაჩუმებული იჯდა და ნერვები ასკდებოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა..დუმილს მეომარივით იცავდა და უჭირდა ..უჭირდა იმის თქმის გარეშე რასაც გრძნობდა.. მაიამ პატარას ხელი მოჰკიდა და სიცილით წაიყვანა გამოსაცვლელად..

–ხომ ხედავ რას მიაღწიე? გამოსცრა დემეტრეს, როცა მარტონი დარჩნენ, ნიკა არ უყურებდა და ამ სიტყვების გაგონებაზე ისეთი სახით შეხედა დემეტრე გაქვავდა.....

–ასე არ უნდა მეთქვა, მაგრამ შინაარსი ესაა..რისი თქმაც მინდოდა...უნდოდა სიტოაციის გალღობა დემეტრეს..

–დემეტრე არ გაბედო მეორედ.....არავიში შეგეშალო..... ნიკა მაინც მოუშრებლად უტრიალებდა მის სიტყვებს. ისეთი შეგრძნება ჰქონდა დემეტრეს თითქოს კედელი რომლის გადალახვასაც აპირებდა იმაზე მაღალი იყო ვიდრე წამოედგინა და ზედ მას შეასკდა, ეგონა მამა გონებაში გადალახული ჰყავდა, ეგონა ის უფრო დაბალი იყო, მაგრამ მისი სიტყვების მერე აღმოაჩნა, რომ როგორ ცუდადაც არ უნდა ეფიქრა მშობელზე გარეგნულად ამას ვერ გამოხატავდა, ამის უფლებას მენაბდე არ მისცემდა...უფრო მაღალი იყო...უფრო ძლიერი და თავდაჯერებული...ყველაზე მეტად ის აღიზიანებდა, რომ პატივისცემას ვერ აქრობდა... მამა მაინც საყვარელი ფეხბურთელი იყო ჩუმად გულში... ძალიან ღრმად... დამალულად და შეფარულად.....

კარზე ზარი იყო ნიკა გაუაზრებლად წამოდგა, უფრო გაშორება უნდოდა დემეტრესთან, ნერვები ასკდებოდა, გრძნობდა, რომ ადრინდელი მსოფლხედველობა დაკარგა და ახლა უნუგეშოდ მიტოვებული ხასიათის პატრონი იყო... კარი გააღო და თვალები რამდენჯერმე დაახამხამა... ალექსანდრეს სახე და მის ხელში არსებული ყვავილები ყველაზე ამაზრზენი სანახაობა.....დემეტრე მხიარულად გაეგება, შინაგანი დაძაბულობა უმაღლეს წერტილს აღწევდა...

–ელენე სახლშია? მშვიდად იკითხა სანდრომ. მოულოდნელად ნიკოლოზის ბრაზი სადრაც გაქრა, აორთქლდა....

–კი შემობრძანდით...

–დაველოდები მალე უნდა გავიდეთ.. შუბლი აეწვა და გაიღიმა...

–თქვენ და ელენე? სასხვათაშრისოდ იკითხა ყველაზე მეტად საინტერესო მისთვის...

–არა დემეტრეც წამოვა თუ უნდა სპორტულ მაღაზიებში უნდა გავიაროთ და საფეხბურთო სკოლაშიც... ახლა გრძნობდა რომ ელაპარაკებოდა კაცს რომელიც უშნოდ ცდილობდა მისი ვერ შენარჩუნებული ადგილის დაკავებას.. მაგრამ მაინც მისი.....

–რატო? იცვლი სკოლას? დემეტრეს თვალებში შეხედა..

–ხო არ მინდა რამე საერთო მქონდეს წარუმატებლობასთან.....

–შენ ვერც კი გრძნობ, რომ შენი საქციელით წარუმატებლობას გულში იხუტებ...

–სამწუხაროდ დამრიგებელი არავინ მყოლია.....მაშინვე უკბინა მამამის და შეახსენა მისი დანაშაულის სიმძაფრე.. ელენე ოთახიდან გამოვიდა, ისეთი ლამაზი ეჩვენა ნიკას, რომ ნერვები კიდევ უფრო აეშალა....იგრძნო რომ წასასვლელად იყო მომზადებული, იგრძნო რომ ალექსანდრესთან ერთად უნდა გასულიყო სახლიდან... მის მანქანაში ჩამჯდარიყო, შეხებოდა იმ ნივთებს რასაც სანდროს ხელები ეხებოდა... მერე ბავშვებს ამ ხელებით მოეფერებოდა.....სახლში მოსვლისას აუცილებლად დაიბანდა..მაგრამ განა ამ ფიზიკურ შეხებას გულისმობდა ნიკას გონება....ამას ხომ ეშველებოდა, ხო გადალახავდა წყლის და საპნის ურთერთქმედებით, მაგრამ იმას რასაც მისი გონება აეწეწა.....

–რატომ იცვლის ელენე დემეტრე სკოლას? კედელს მიეყრდნო მენაბდე, სახეზე არაფერი ეტყობოდა ისე ბუნებრივი იყო..

–თვითონ გადაწყვიტა ასე..

–დემეტრემ შეიძლება მთვარეზე გაფრენაც გადაწყვიტოს და შენ ხომალდი უნდა აუგო? კიდევ უფრო მშვიდი იყო მენაბდე.

–არა ხომალდი არა მაგრამ, როცა თვითონ ააგებს აუცილებლად გაყვება..ბრაზისგან იგრძოო როგორ მოძრაობდა სისხლი სხეულში, როცა სანდროს ეს სიტყვები გაიგონა....

–და რა თქმა უნდა შენც იქ იქნები უნიჭო ფილმი რომ გადაიღო.... ნიკა აიჭრა სანდროს საუბარში ჩართვაზე და უხეშად უპასუხა...

–უნიჭოს რას ეძახით? გაეღიმა ალექსანდრეს...

–თქვენ უნიჭოს მნიშვნელობა გაინტერესებთ თუ მე რატომ ვთვლი თქვენ ფილმებს უნიჭოდ ბატონო ტარანტინო?

–მიხარია თუ ტარანტინოს რამით მამგვანებთ.....

–სამწუხაროდ საუბარში ბრჭყალებში ვერ ჩასვავ სიტყვას და მსმენელმა ინტონაციით უნდა გაიგოს, თუმცა ამას ჩემზე უკეთ ხვდებით და ამიტომ მიგიტყეპებიათ ცინიკოსის ნიღაბი, მაგრამ ამასაც ნიჭი უნდა თქვენ კი უნიჭოდ გამოგდით..ხო რაც შეეხება უნიჭოს დეფინიციას ჩემთის ყველაფერი უნიჭოა რასაც კრიტიკოსი არ ჰყავს არა იმიტომ რომ უნაკლოა, უბრალოდ მას არ უყურებენ ან ეცოდებათ გასაკრიტიკებლად.... ელენე აიწურა, ნიკა საშინლად იყო აღრენილი... სანდრომ თითები მოკუმა და მთელი ძალით გაუქანა სახეში.....ელენე მაშინვე სანდროს მივარდა და შეეხვეწა გაჩერებულიყო...მენაბდე მაშინვე შეიცვალა ბრაზი სადღაც გადამალა, სახეზე სიმშვიდის სხივები დასთამაშებდა და მშვიდი ღიმილი ამაზრზენ განცდას იწვევდა დემეტრეში..

–რაღაც თქვენც შეგძლებიათ ბატონო ალექსანდრე, ტუჩიდან სისხლი მოდიოდა გარეთ გავიდა, სისხლით დასვრა არ უნდოდა, იცოდა სახლამდე ასე ვერ გაძლებდა, მაგრამ მაინც დაულაქავდა მაისური, პატარა ლაქა პერანგზე უზარმაზარი ლოდივით აწვა, ეგონა შეიშლებოდა ნერვები აეწვა, მაგრამ სიმშვიდემ კვლავ აჯობა.... სახლში რომ მივიდა ტკბილის სუნი იდგა, ლიკა სამზარეულოში იყო ქმარს გაუღიმა და და ლოყაზე ნაზად აკოცა..

–ხომ შეჭამ?

–კი, ცოტას, მალე შემოვალ..

–ნიკა ტუჩზე რა მოგივიდა? ლიკას სახე შეუწუხდა..

–არაფერი ისეთი ერთმა იდიოტმა გამალამაზა...აბაზანაში შევიდა და გადაივლო, მაისური მშვიდად ჩააგდო ნაგავში..რომ გამოვიდა ლიკას უკვე საფენი მოემზადებინა, მთელი საღამო უტრიალებდა, ზრუნავდა თითქოს დაჭრილი ყოფილიყოს, ნიკა არ ეწინააღმდეგებოდა.....

–იყოს ლიკა დაისვენე დაღლილი ხარ....

–კარგი რა ნიკა, ფრთხილად იყავი ხოლმე.

–ვიქნები...გაუღიმა ნიკამ და ხელზე აკოცა.

დემეტრეს სიმწრისგან ყველაფერი აეწვა, უაზროდ დიდი ტკივილი იგრძნო, საკუთარი მამის შერცხვა, მამის საქციელის, სილაჩრის...ეგონაა....ეგონა...სულ სხვანაირად...სხვა რამ.....მამის სილაჩრე ყველაზე აუტანელ განცდად ექცა.

–ბოდიში ელენე ვერ მოვითმინე, თავი ჩაღუნა სანდრომ...

–არაუშავს სანდრო, მაგრამ სხვა დროს გთხოვ....

–მამაჩემი ღირსი იყო.....გამოცრა დემეტრეს...

–მაგას როგორ ამბობ...დაუწივლა პატარა ანასტასიამ კართან რომ იყო ატუზული...

–გოგო შენ ნუ ერევი, რომ არ იცი..

–რა არ ვიცი ეს კაცი ცუდია და ახლა უფრო ცუდი გახდა, ჩემ მამიკოს როგორ გაუბედა..

–შენი მამიკო ერთი არაკაცი ტიპია...

–რატო ამბობ მაგას მამიკო ისე კარგად მექცეოდა გუშინ ჩემთან დარჩა.....ანასტასიას თვალები აუცრემლიანდა.

–ყველა გოგო მამის კუდი რატომაა? ყველა რატომ გიჟდებით...დემეტრე სიმწრისგან ყვიროდა, ანასტასია ტიროდა, ელენე გაუნძრევლად იდგა, სანდროს გაკვირვება, ძლივს დაეფარა.....ყველაფერი ჩამშვიდდა, იმ დღეს წასვლა გადაიფიქრეს ანასტასია არ წაყვებოდა და მარტო ვერ დატოვებდა ელენე.....

–არასოდეს, აღარასოდეს არ გაბედო მეორედ მამაშენზე არაკაცი თქვა..დემეტრეს ეგონა ეს სიტყვა ხმაურში ჩაიკარგა, მაგრამ ტყუილად ეგონა ელენეს ეს გამოეპარებოდა ან დაივიწყებდა და აპატიებდა.....

–არ გაბედო თორემ დემეტრე ისე მოგექცევი როგორც არასოდეს, ცხოვრებაში მეორედ ეს არ თქვა...ელენე ბრაზს ძლივს იკავებდა, გამძვინვარებული იყო ასეთი დემეტრეს არასოდეს ენახა.....

–მე წავალ ელენე თუ რამე დაგჭირდა არ მოგერიდოს, ხმადაბლა თქვა სანდრომ..

–კარგი ალექსანდრე, კარგად..ელენემ გადაკოცნა და სახლში

შებრუნდა.

თავი 9

„თუ უცნაურობის შესახებ არავის ეტყვი, ყველა ჩათლის, რომ შენი უცნაურობა ნორმაა“ ელიფ შაფაქი.

თუმცა არსებობენ ადამიანები, რომლებიც უბრალოდ ამას ხმამაღლა ყვებიან თანაც ისე, რომ „უცნაურობის“ პატრონს არც კი ეკითხებიან.

ნიკა მალე გამოწერეს, კლუბის ექიმი იყო ჩამოსული და საშიში არაფერიაო, უბრალოდ რამდენიმე დღე არ უნდა დაეტვირთა ფეხი, მენაბდეს ხასიათი წაუხდა ვარჯიშს, რომ ვერ შეძლებდა თუმცა არავისთის შეუმჩნევია, ცოტნეც მოსული იყო და ცდილობდა ის ცუდი შეგრძნება, რაც პატარა ტრამვისდროსაც ჰქონდა არავის შეემჩნია...მთავარი იყო საავადმყოფოს სუნს, საწოლს (რომელიც თავად დაადგმევინა თავისი თეთრეულით) მოშორებოდა.

–ხოდა რადგან ვერ ვივარჯიშებ წავიდეთ სადმე, ბელთაური იქნება ორგანიზატორი ძალიან ხიბლავს ეს სფერო, ფუნქციების დანაწილება..ორივეს გაეცინა ჩანდა, რომ რაღაც სასაცილო ისტორია იყო დაკავშირებული ამ სიტყვებთან, სხვებმა ვერ გაიგეს, მაგრამ თამაზს ცოტა ხასიათი გამოუკეთდა...მათემ და ნიკამ უხმაუროდ, შეთანხმებულად ისე, რომ ცალკე ერთმანეთს არ დალაპარაკებიან, თუმცა თვალებით ყველაფერი მოაგვარეს ისე მოაწყეს, რომ ცოტნეს ელენეც წამოეყვანა თანაც ისე, რომ ელენეს არ სცოდნოდა....ცოტნე კი ყველაფერს ხხვდებოდა, ისიც იცოდა, რომ ელენეს საშინელი რეაქცია ექნებოდა, მაგრამ შეგნებულად არ უწევდა წინააღმდეგობას ყველაფერს მარტივად თანხმდებოდა და ელენეს სახეზე უკვე ეცინებოდა.... კახეთი გადაწყვიტეს რატომღაც, ალავერდი, წინანდალი, გრემი, შუამთა, იყალთო, ნეკრესი, თამაზმა ყველაფერი ზუსტად გაწერა სად რამდენ ხანში იქნებოდნენ, რამდენ ხანს დაყოფდნენ, ჯერ სად უნდა მისულიყვნენ, ნიკას ეცინებოდა თამაზი სულ ასეთი იყო დეტალებზე გიჟდებოდა ითვლიდა მანძილს, წუთებს მთელი ბავშვობა ესმოდა მეტრომდე 7 წუთი მეტრო 3 წუთში მოვა მერე იქიდან 4 წუთი დაგვჭირდება, ის ფილაც ზუსტად იცოდა მეტროს, რომელი ვაგონი რომელზე აღებდა კარს....წვრილმანები ისე დეტალურად იცოდა, რომ შედავებას აზრი არ ჰქონდა, ნიკას საერთოდ არ აინტერესებდა ასეთი რამე, ვარაუდით გამოდიოდა სახლიდან თუ სადმე მისვლა უნდოდა და ვერ ასწრებდა ისე სწრაფად გარბოდა

ძლივს ეწეოდა მომავალი მეკარე, სულ იმას ეუბნებოდა შენ თუ ვარჯიში გინდა თქვიო, აბა ასე გვიან გამოსვლა რაარისო. მათი ბავშვობა ერთმანეთზე იყო გადაჯაჭული და თითქმის ერთმანეთის ყველა ეპიზოდში იყვნენ...განხვავებულები..თანაც დიამეტრიულად...სხვადასხვა ინტერესებით, მიდგომებით, მაგრამ ფეხბურთი აერთიანებდა მათ სურვილებს, ერთად ვარჯიში...ადრე ადგომა...კვება, ყველაფერი ..მეგობრები.... გოგოები....მერე უკვე ქალებიც ,თუმცა ნიკამ 16 წლის ასაკიდან შეწყვიტა სერიოზულად ფიქრი და თამაზთან საუბარი... „სუსტ სქესზე“ საშინლად არ უყვარდა ამაზე ხმამაღლა საუბარი, რაღაც უხერხული შეგრძნებები გუდავდა და თითქოს ხელები ტალახით ევსებოდა. მხოლოდ მსუბუქი, ვალდებილებისგან გამოცლილი ურთიერთობები...არანაირი პასუხისმგებლობა..თანაც იმ წრეში სადაც ის ტრიალებდა ასეთი ურთიერთობები უფრო „მშობლიური“ იყო. ამაზე მაია სულ ნერვიულობდა, ერთმა შვილმა ცოლი არ მოიყვანა უკვე 34 ის იყო, მეორე საეჭვოდ გულგრილი იყო „საცოლის“ კანდიდატების მიმართ და თანაც საფეხბურთო სამყაროში ძნელიც იყო ასე არ ყოფილიყო.....ამქვეყნად რასაც შეეძლო ნიკასთვის ადამიანი, როგორც ქალი შეეძულებინა იყო მისი „მეშჩანური“ დამოკიდებულება და მასში მხოლოდ წარმატებული „სასიძოს“ დანახვა...ამდენი წლის გამოცდილებამ შეუცდომელი ფილტრაციის ნიჭი მოუტანა ასეთი ქალების, რომლებიც უკან არაფერზე იხევდნენ, ფულის, წარმატების ხელში ჩასაგდებად, ნიკას თვისებებს, ხასიათს, არაფერს ზედ არ უყურებდნენ მთავარი იყო ის წარმატებული ფეხბურთელია და ამით ყველაფერი მთავრდებოდა, სიყვარულიც ვაჭრობის საგნად იქცეოდა და დიდი იდეალებიდან ტალახიან წუმპეში ცურავდა.....მენაბდეს კი ტალახის წარმოდგენაც ზარავდა.....სულიერი განწყობა გადაეწყობოდა მომენტალურად, როგორც კი ქალს ამას შეატყობდა და მას მხოლოდ რამდენჯერმე შეხვდებოდა და ნელ–ნელა უმტკივნეულოდ და ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე შორდებოდა.....

ელენემ კი ისე ააფორიაქა.

თვითონაც უკვირდა... უკვე გადაჩვეული იყო ქალისგან ასეთ „სითავხედეს“ სიკაპასეს, მაგრამ მაინც სიალალესთან, გულწრფელობასთან უფრო მეტი საერთო, რომ აქვს ვიდრე, გახრწნილ, გამოწოლილ, ანგარებიან და ბინძურ აზრებთან. აფორიაქდა და ცდილობდა დაელაგებინა შეგრძნებები, არ უნდოდა წინასწარ გახარებოდა მისი ასეთობა, არ უნდოდა გადაუმოწმებლად რამე ნაბიჯის გადადგმა, თუმცა გრძნობდა, რომ ყველანაირი უ0რთიერთბა „სუსტ სქესთან“ ფერს კარგავდა იმასთან შედარებით, როცა ელენეს აწეულ წარბებს, გაბრაზებულ მზერას და საკუთარი თავის „უღირსებობას“ გრძნობდა მის თვალებში.

კედები ჩაიცვა, მოკლე შორტი, სადა მაისური და კეპი ...კარებში გასვლისას ჩოჩქოლი ატყდა...

–გამატარეეეე..

–არა ცოტნე დამითმე გოგო ვარ..

–გოგო კი არა ეშმაკი ხარ და ჯაჯღანა დედაკაცი.....ორივე კარებში აწვებოდა ერთმანეთს, თან ეცინებოდათ, ცოტნე ისე მაღალი იყო ელენე აშკარად უთანასწორო ბრძოლაში იყო, რომ ვერ ერეოდა ფრჩხილებით კაწრავდა ამაზე ცოტნე წყობიდან გამოდიოდა დამემჩნევაო....

–კატისებრთა ოჯახიდან ხართ ჯაჯღანა დედაკაცო.....

–ერთი ოჯახი ვართ აყლაყუდავ.....და მე გოგო ვარ გამატარე უზრდელო...

–ქალს თუ არ უთმობენ მან ღირსეულად უნდა დაიჭროს თავი და არა შენსავით გაგიჟდეს....ელენე ახტა და თავზე ხელი წამოარტყა...

–ნუ ბოდიალობ, ელენე გაძვრა და სირბილით ჩავიდა დაბლა, ცოტნე მოდევდა გრძნობდა როგორ ეწეოდა..

–რა ბოროტი ხარ, ამსიგრძე ფეხები რატო გაქ, ყვიროდა თან ეცინებოდა ელენეს..როცა დათქმულ ადგილზე მივიდნენ და ელენემ ნიკას მოკრა თვალი ცუდად ლამის გახდა.....გააფთრებულმა შეხედა ცოტნეს, რომელსაც მშვიდი სახე ჰქონდა და ეცინებოდა.....ბიჭებმა ბარბარეც და მათი მებობარი მაიაც წამოიყვანეს მარტო რომ არ ყოფილიყო ელენე...

–მე მივდივარ! არ წამოვალ! ნიკას გაეღიმა...

–გაგიმარჯოს, ასეთი თავაზიანობაც არ შეიძლება,ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და მანქანას მიეყუდა, წამოსვლისას თვითონვე გარეცხა და ახლა უშიშრად მიეყუდა ლურჯი სპორტული მაისურით.

–არ მიყვარს უცნობებთან ექსკურსია!

–სამაგიეროდ გიყვარს ამის აშკარად გამოხატვა..... ელენემ აღარაფერი უთხრა უკან დაბრუნება სცადა, როცა ცოტნემ მოუღატუნა...

–კარგი რა ელე წამო, კახეთს ვნახავთ, არავინ არაფერს გაიძულებს მე აქ ვარ, მაგრამ ასეთი ბრაზიანიც ნუ ხარ...ცოტნეს ხმაში იმდენი რამე იყო, რომ ელენეს ჩაეღმა, თითქოს ახლა შებრუნებით ძმას აგრძნობინებდა, რომ არ ენდობოდა. ამიტომაც გაუსვა ცოტნემ ხაზი მის იქ ყოფნას.

–ხო და შენ რომ აქ ხარ კიდევ უფრო მეშლება ნერვები, სულ არ ხარ ნორმალური. მე სულ არაფერს მეკითხები. ელენე თითქმის ძალით ჩასვეს სამგზავრო მანქანაში.....ბარბარეს თან თავიანთი თანაკლასელი მაია ჰყავდა წამოყვანილი და მათ დანახვაზე უფრო მოლბა ელენე და მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა. საჭესთან მათე იჯდა, ნიკას ფეხი შეხვეული ჰქონდა და შორტი ეცვა, ლურჯი სპორტული მაისური და კედები, მთელი გზა ხმას არ იღებდა ყურსასმენები ჰქონდა და უდარდელად იჯდა მშვიდი სახით, მაშინ როცა სხვებმა თავზე დაიმხეს იქაურობა, დრამანს არ ესმოდა ქართული და ამიტომ დამტვრეული, გადატეხილი ინგლისური ისმოდა და ჟესტებიც აქტიურ როლს ასრულებდა, ელენე გაოცებული იყო როგორი უბრალო იყო არადა ყველგან მასზე ლაპარაკობდნენ და ყველა იცნობდა...დრამანს არაფერი ეტყობოდა, მხიარული და სასაცილო იყო..თამაზი რუკას ჩაშჩერებოდა და მითითებებს იძლეოდა. ძველი და ახალი შუამთა, რომ მოიარეს მას მერე ჩაერთო ნიკაც.....მანქნააში საშინელი ხმაური იყო ყველა რაღაცას ამბობდა იცინოდნენ, მღეროდნენ, ისტორიებს ყვებოდნენ, მათე

სიცილისგან ძლივს ატარებდა თან ნიკას და ბარბარეს ბავშვობას იხსენებდა ისე სასაცილოდ ელენეც ვერ იკავებდა სიცილს..... ბარბარე ძალიან ცელქი ბავშვი ყოფილა და ერთხელ კედელთან მაგიდა მიუდგავს და იქ ხტუნაობდა კედელზე ლურსმანი ყოფილა და ზედ ჩამოკიდებულა კაბით.....

–რომ შევედი გული კინაღამ გამისკდა, მოძრავი სურათი მეგონა, ხელებს და ფეხებს რომ აფართხალებს გამოაჯავრა მათემ. ცოტნეც იხსენებდა რაღაცებს, უფრო მეტად სპორტულ კურიოზებს, ნიკაც აჰყვა და ისეთ სასაცილო რაღაცებს ამბობდნენ. მოწინააღმდეგეების არ დაძინება სასტუმროში, ყვირილი, სპორტული ტანსაცმელის დამალვა.. ყველაფერი ერთად იმდენი საერთო ჰქონდათ ნიკას და ცოტნეს, რომ ერთმანეთს აღარ აცდიდნენ, დამთავრებული არ ჰქონდათ უკვე ხვდებოდნენ რას გულისხმობდნენ და სხვებისთის გაურკვეველ რაღაცებზე იცინოდნენ. ბელთაური იმითაც კმაყოფილი იყო მის გეგმას, რომ ასრულებდნენ და დრამანი რომ ვერაფერს იგებდა.გადაწყვიტეს ბუნებაში გადასულიყვნენ და იქ შეეწვათ მწვადები, მეთეს ნიკას სახეზე ეცინებოდა...

–ნიკოლოზ შენ ხორცს მიხედავ, ნიკას მშვიდი სახე ჰქონდა, მაგრამ შიგნიდან სიმხურვალემ დაუარა...

–შენ უკეთ გამოგივა მათე ეჭვი არ მეპარება...თვალი ჩაუკრა ძმას და წინა დღით მთელი საათ, რომ რეცხავდა ის „შამფურები“ მიაწოდა

–ჩქარა მოგვშივდა ბიჭებო რა, დაუყვირა ბარბარემ.....ნიკა არ ინძრეოდა და არც ხმას იღებდა.....

–ჩემი წიკუშა როგორ შეეხება ამ ხორცს, გულიც წაუვა, მერე აქ საპონი რომ არაა რითი დაიბანს?..მათე ლამის მიწაზე გაწვა სიცილით და ნიკას გამოჯავრებით.

–გაფიცებ რას ვერ შეეხები? გაეცინა ცოტნეს..

–აჭარბებს, თავშეკავებულად გაიღიმა ნიკამ, თუმცა სულაც არ ეღიმებოდა არ უნდოდა ვინმეს ეს შეემჩნია, მაგრამ მათე ამის საშუალებას არ აძლევდა. ყველა მინდორზე დაჯდა, მხოლოდ ნიკა იყო ფეხზე სანამ რაღაც სუფთა კარდონი არ გადმოიტანა მანქანიდან.

-ჯერ სად ხართ, მანქანაში იმდენი რამ უდევს, ჯერ მარტო ხუთჯერ გამოიცვლის, გაიცინა მათემ, როცა გარშემომყოფების გაკვირვებულ სახეს შეხედა ნიკამ რომ კარდონი გადმოიტანა.-მთელი დილა ალაგებდა შიგნით, მანქანა კი არ გარეცხა გახეხა..უკვე ნიკასაც ესმოდა მათეს ხარხარი. მალე ნიკას სახე შეეცვალა, ჩაფიქრდა, აღარ ლაპარაკობდა, მათემ შეატყო, რომ რაღაცაზე ნერვიულობდა.

–ნიკუშ რა მოხდა? ნიკამ ვერ გაიგონა რა უთხრა ისე იყო ჩაფიქრებული..

–ნიკაااა, რა გჭირს ტო? მათე ცოტა გაუჯავრდა..

–რა? რამე მითხარი მათე? ნიკა ჩაფიქრებული იყო და ვერ გაიგონა.

–რა დაგემართა?

–არ ვიცი, ფეხზე სახვევი მოიხსნა და მუხლი აშკარად გასიებული და დაწითლებული ჰქონდა, მათეს სახე შეეცვალა..

–მივბრუნდეთ, უკან გადადი და გაშალე ფეხი, მათეს დაზაფრულ სახეზე ნიკოლოზს გაეღიმა.

-კარგი ახლა დაჯექი, სად უნდა მიბრუნდე, ჩვენ გარდა სხვებიც არიან, უნდოდა ხმადაბლა გამოსვლოდა , მაგრამ ისეთ სიუჩმე იყო ყველამ გაიგო. თან გამორიცხულია ფეხი ვინმეს დავადო რა ხამობაა.

-ნიკა ნუ მასხარაობ, წამო ადექი, მოდი დამეყრდენი..მე გადმოვალ და მე დამადე. ხო კარგი ჩაგიყვან და ჩამოვალ..ნიკას თვალები, რომ დაინახა მოკრძალებულად დაამატა.

-ნიკა მართლა, ჩვენც წამოვალთ რა პრობლემაა სხვა დროს წამოვიდეთ, ცოტნემ გაუღიმა.

-რა პანიკიორი ხარ მათე დაჯექი გთხოვ, შენი შემწვარი თუ დამწვარი მწვადი გაგიცივდება, გამოაჯავრა ნიკამ. ყველაფერზე ლაპარაკობდნენ, სხვავდნენ კონიაკს, გოგოები ლიქიორს, მათე ბრაზდებოდა თან თვითონ რომ საჭესთან იჯდა და ვერ ეკარებოდა, ნიკამ შეატყო და ეღმებოდა.

-მათე მიდი შენ დალიე მე დავჯდები, მხარზე ხელისასაცილოდ მოუთათუნა ძმას.

-უპრავოები მანქანაზე დაჯდომებს არ ვართ. ელენეს ხმამაღლა გაეცინა იმის წარმოდგენაზე, რომ ნიკას მართვის მოწმობა არ ჰქონდა.

-კარგი როგორც გინდა მათე, მიდი ეწამე ბოლომდე. მთავარია იუმორი იყოს ჯანმრთელი..ნიკამ ლუდი წინ დაიდგა და დალევას აპირებდა მათე ლამის ზედ, რომ გადაემხო და ხელიდან გამოგლიჯა.

-ზოგჯერ დავარღვიოთ წესები რა.

-ნიკა შენს მართვის მოწმობას რა მოუვიდა? ბელთაურს გაუკვირდა რაზე ლაპარაკობდნენ.

-ჩამოართვეს, გაიჯგიმა მათე, ახალი სასაცილო საკითხი წამოიჭრა. შუა რუსთაველზე ასე ყველას თვალწინ..მათე ცდილობდა უფრო დრამატულად დაეხატა ეს ამბავი.

-რას ამბობ როდის? ანუ ვერ ჯდები? ბელთაური ისე ომახიანად აჰყვა თითქოს ამ სადღეგრძელოს დალევას აპირებსო.

-ანუ ის რაღაც 1200 საკითხი უნდა ისწავლოს, უკვე დაიწყო, გუშინ ჩაუჯდა სუპერმენი, მალე დიდი ბიჭი გახდება და მართვის მოწმობასაც დაიმსახურებს..მათე საოცარ ხასიათზე დადგა თან რომ დაინახა ნიკას ფეხი კარგად ჰქონდა.

-როცა გონება გადაჩვეულია რამის სწავლას უჭირს, ნიკას კი არასოდეს უსწავლია, ელენემ ისე ბუნებრივად და ნაზად თქვა ეს სიტყვები, ყველა სასსიამოვნო რაღაცას ელოდებოდა და ბოლოს ყველა გაჩუმდა, ცოტნე თვალებით ხვრეტდა ენაგრძელობისთვის. ელენემ კი მწვადს მთელი ძალით ჩაარტყა ერთჯერადი ჩანგალი და ზედ მიაფშვნიტა.

-არ მეგონა თუ მიცნობდი, უცნობებთან ექსკურსიებზე არ დავდივარო მახსოვს დილით თქვი. ნიკამ ისე რბილად, გაუბრაზებლად მოიგერია მისი ნათქვამი, ბელთაურსაც შეშურდებოდა. თანაც იმ ხმით, რომ ელენეს შერცხვა თავისი სიუხეშის.

-ბოდიში, უბრალოდ ფეხბურთელებზე ესეთი წარმოდგენა მაქ. ეს თქვა და მიხვდა რამდენ ადამიანს აწყენინა თავისი ძმის ჩათვლით, რომელიც გრძნობდა, რომ აქ ფეხბურთელები და კალათბურთელები ერთმანეთსგან არ განსხვავდებოდნენ.

-აღარ დალიო დადე, სასაცილოდ გაუჯავრდა ცოტნე, ვერც მიხვდა, რომ ხელში არაფერი ეჭირა და არც რამეს სვავდა.

-ეგ მარტო შენ არ გაქვს, ბევრი ფიქრობს რომ განათლება სტრიქონების კითხვის რაოდენობით განისაზღვრება და გამოცდებზე სულისშემშლელი სტატუსებით, მეზობელი როგორ აკაკუნებს რაღაცას, რომ არ აცდის მეცადინეობას, როგორ ხმაურობენ გარეთ, თან ამ დროს არც ერთ კომენტარს ამ სულისშემძვრელ სტატუსზე პასუხგაუცემელს, რომ არ ტოვებს ბოლო 4 საათი თუ უფრო მეტი არა და თურმე დროს მეზობელი ართმევს.

-პროფესია მაინც აუცილებელია, რაღაც უნდა გამოგდიოდეს კარგად, რაღაც უნდა იცოდე რომ ტვინის ხვეულები ცოტა გამრავლდეს და მხოლოდ კუნთები არ იღებდეს საზრდოს. ელენე საოცრად შეეცადა მწარედ მოსვლოდა, რადგან აღნიშნული სტატუსებიდან საკუთარის მსგავს ხედავდა.

-მთავარია რომ რასაც აკეთებ იმას ბოლომდე მიყვე, არასოდეს გაჩერდე და არ მოდუნდე. საკუთარ შეგრძნებებს და სურვილებს უსმენდე და საკუთარ თავს პოულობდე იმასი რასაც აკეთებ.ტვინის ხვეულებისთვის კი სხვა უფრო მნიშვნელოვანი რაღაცებიც არსებობს. არავინ არ ერეოდა ამ დაზაფრულ საუბარში, ელენეს ყველა სიტყვა მწარე იყო და ამას იმაზე გადაიტანდა ვინც შეეკამათებოდა. ნიკა კი არ უთმობდა თანაც ისე მშვიდად, რომ ეს უფრო შლიდა ნერვებს.

-ელენე დამშვიდდი შენ შენ ხვეულებს მიხედე, გაუცინა ცოტნემ და თვალები დაუქაჩა. შენ ბევრი რამე გგონია მართალი, მაგალითად ის რომ მე კარებში გზა უნდა დაგითმო. ცოტნემ წარბები აწია და კეპზე ხელი ჩამოკრა.

-დიახ უნდა დამითმო, ამხელა აყლაყუდა, რომ ხარ ქალს გზა უნდა დაუთმო, დილითაც მომიშალე ნერვები.

-სწორად აღნიშნე ქალს და არა შენსავით მგესლავ არსებას.

-მთელი პოემა მოყევი, რომ ბოლოს გეთქვა, რომ მგესლავი ვარ, აი ამას ვამბობდი ტვინის ხვეულებზე. ყველას გაეცინა ნიკას გარდა. ცოტნე კი ძალიან გაბრაზდა. ელენეც მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა და ცოტნეს გამო ძალიან შერცხვა.

-ბევრი თვლის რომ ქალს არ უნდა დაუთმო გზა, ამით თითქოს საკუთარ უპირატესობას აგრძნობინებ და ქალები ამაზე ცუდად რეაგირებენ. სიტოაციის განმუხტვა სცადა მაიამ.

-კაცს ეგ არ ჭირდება ისედაც აქვს უპირატესობები, გაიცინა მათემ და ელენე სულ წამოწითლდა. კაცი თუ ქალს გზას დაუთობს ეს სხვა რამის ნიშანი უფროა ვიდრე საკუთარი უპირატესობის გამომჟღავნების. ამას ევროპაში ქალები ვეღარ აღქვამენ და ცუდი იქნება თუ საქართელოშიც ასე იქნება.

-თუ თანასწორები არიან რატომ უნდა დაუთმოს ერთმა გზა? მხოლოდ იმიტო რომ ეს ტრადიციაა? ბარბარემ სიტყვა ჩააგდო და ნიკას თვალი ჩაუკრა.

-რატომ გგონია, რომ ამით თანასწორობა, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ ირღვევა? სულ გამოვიდა წყობიდან ელენე.

-იმიტო, რომ ირღვევა, რეალურად თუ კაცს თანაბარი ძალისად აღვიქვავთ მას არ უნდა მივცეთ უფლება ასეთ ქცევით დაგვამციროს. ბარბარე არ ცხრებოდა.

-ანუ შენ წარმოგიდგენია სიტოაცია საზოგადოებრივ ტრანსპორტში, როცა კაცები სხედან და ქალები დგანან? მე მასეთ კაცს ვერ აღვიქვავ, უფრო მოკაცუნო არსება მგონია.

-ხო და თუ ვამბობთ რომ თანასწორები ვართ ეგ მოკაცუნო არსებები უნდა ავიტანოთ, და არა ჩვენზე ფიზიკურადაც და გონებრივადაც ძლიერები.

-ახლა გაჩერდი, ფიზიკურობა კიდევ მესმის, მაგრამ გონებაზე არაფერი თქვა და არ დაიწყო, რომ მათ გონება ბევრად უფრო წინ არის, სისულელეა ეგ. უბრალოდ ისინი სხვანაირად ცხოვრობენ და შესაბამისაც სხვა გარემოში უწევთ განვითარება, განსხვავება კი სიძლიერის მიხედვით გონებაში არ არსებობს.

-თუ ამბობ რომ თანასწორები ვართ რატომ უნდა დაგვითმოს გზა?! შენ ხომ ვერ იტან ისეთ ბიჭებს ელენე ქალს რომ ადგილს არ უთმობენ?!

-ბარბარე შენ მართლა ასე ფიქრობ? ელენეს ვერ წარმოედგინა მეგობრის ეს რეაქცია. ფიქრობ, რომ ნორმალურია ნორმალურ სიტოაციაში ბიჭები რომ სხედან და უბრალოდ ვერც ხვდებიან რომ ადგნენ?

-მე ვამბობ, რომ თანასწორობას თუ გავყვებით ეს ასეა, მაშინ ამაზე უარი უნდა ვთქვათ და ვაღიაროთ, რომ უფრო სუსტები ვართ.

-სისუსტე რა შუაშია, უბრალოდ პატივისცემაა, ზუსტად ამ სიტყვას ეძებდა ელენეს გონება. პატივისცემის გამო უთმობენ და არა უპირატესობის.

-სხვათა შორის მეც მაგას ვამბობ, უბრალოდ იმის გათვალისწინებით რომ უპირატესობა გვაქვს, მაგრამ ასეთ წვრილმანზე არ ვამჟღავნებთ. მათემ გაუღიმა მოსაუბრეებს. თამაზი ისევ გეგმას ჩასჩერებოდა, დრამანთან რაღაცაზე კამოთობდა თან. ნიკა ტელეფონზე კლუბის ექიმს წერდა, ისევ აღელვებდა გახურებული მუხლი, თან ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა საუბრიდან. ელენე ღიზიანდებოდა მის კამათში ჩართვას რომ ვერ ახერხებდა და ხმას უფრო უწევდა. ბოლოს ვერაფერმა რომ ვერ ჩააცხრო იქაურობა, უკვე თამაზი და ცოტნეც ყველანაირად იყვნენ

ჩართლები და დრამანსაც უთარგმნიდნენ რაღაცებს ნიკამ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა თქვა, ნეიტრალური პოზიცია დააფიქსირა და ბოლოს ელენეს შეხედა.

-შენ სულ ამდენს ლაპარაკობ ელენე? იმ დღეს მეტჯერ აღარ გასჩენია სურვილი რამე ეთქვა, თითქოს ტუჩები ერთმანეთზე ჰქონდა მიკრული. თითქოს ცეცხლმა ენა დაუწვა და საკუთარმა შინაგანმა ხმამაც ვერ ჩააქრო ეს ცეცხლი, თითქოს იცოდა, რომ მართალი იყო, ძალიან ბევრი და ძალიან უხეშად ილაპარაკა, მაგრამ ესე მძაფრად მის სიტყვებს რატომ განიცდიდა, როცა არავის მიუქცევია ამისთვის ყურადღება ამ ორის გარდა.

.....

„უშენობით დამაორსულე. საშინლად ძნელია ფეხმძიმობის პირველი დღეები, თვეები..ჩემში შენი სულის შემოსვლას ვგრძნობ. რთულია, მიჭირს, მაგრამ როგორმე გავაჩენ უშენობას.“ ქეთათო.

დემეტრე ელენეს სიტყვებმა დათრგუნა და შეგრძნებები აურია, მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ მამამისის საქციელი არ მოსწონდა, არ მოსწონდა, არ ფიქრობდა რომ სწორი იყო, ყველა მოძრაობაში, სიტყვაში, გამოხედვაში ამტყუვნებდა..სიმართლე ყველაფრისგან შორს იყო. ძნელი იყო მისთვის მამის ასეთი თვალით დანახვა, თითქოს სიძულვილამდე ნაბიჯები არც კი იყო დარჩენილი, თითქოს სიძულვილს მოეცვა ყველა უჯრედი... სხეულის ყველა ნაწილი.. ძულდა ის რაც უნდოდა, რომ ყვარებოდა თუ უყვარდა ის რაც უკვე ძულდა..ვერ იგებდა ვერ ერკვეოდა.. ცამეტი წლის იყო და ამ ასაკში კიდევ უფრო რთულდება ფაქტების, სიმართლის, ემოციების დალაგება...ამ პერიოდში მოუწია მამასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა..ვერ ერეოდა..ვერ ლახავდა...

სუფთად ჩაიცვა, ფეხსაცმელი ჩვეულებისამებრ საგულდაგულოდ გაწმინდა, ლიკას დაემშვიდობა და სახლიდან გამოვიდა, მსუბუქად გრძნობდა თავს, რომ სისხლიანი მაისური აღარ ეცვა...ახლა შეეძლო თავისუფლად ყოფილიყო...ახლა შეეძლო ესუნთქა, სულს ესუნთქა....როცა იმ ადგილას მივიდა, მანქანის კარი ფრთხილად დაკეტა, ფეხსაცმელებს დახედა და კორპუსისკენ წავიდა..კარზე ერთხელ დააზარუნა, თავადაც ვერ იტანდა, როცა შეეძლოთ გაბმულად ეზარუნებინათ, რაც თვითონ აღიზიანებდა ცდილობდა, რომ სხვისთვისაც არ გაეკეთებინა...სანდრომ მალევე გააღო კარი, ეტყობოდა, რომ ნიკას ნახვა გაუკვირდა.

-შენ? აქ რა გინდა?

-სახეში ვიღაცის მუშტი მომხვდა და უნდა დავუბრუნო, მშვიდად უპასუხა ნიკამ.

-არ ხარ ძმაო ნორმალური, სანდრომ ხმამაღლა თქვა და კარის მიკეტვა სცადა, ნიკას ფეხი ჰქონდა ჩაყოლებული და სახლში შევიდა.

-მარტო ხარ? ..დუმილის შემდეგ.. სახლში მარტო ხარ სანდრო?

-კი, რა გინდა.

-შენ გულწრფელად მითხარი გეგონა, რომ შეგარჩენდი? არა არ გეუბნები, რომ არ შეგარჩენ..გაეღიმა ნიკას.

-კარგი იქნება შენ თვითონ მაინც იცოდე რა გინდა ამ ცხოვრებისგან. სანდრომ მტკიცედ უთხრა..

-სისუფთავე....ყველგან. თუმცა შენ ამას ვერც გაიგებ და არცაა საჭირო, იმას ვისაც ესმოდა, იმას ვკარგავ და ყველაფერი ფერს კარგავს.. ყველა ფერი....

-არ მესმის რატომ.. ნიკამ მთელი ძალით დაარტყა მუცელში მუშტი.

-გინდა გაიგო რა მინდა ამ ცხოვრებისგან? მინდა რომ შენნაირებს არასოდეს შერჩეს უაზროდ დარტყმული მუშტი, მინდა რომ შენნაირები ამით ქულებს არ იწერდნენ და მეტი, რომ არაფერი შეუძიათ ასე არ ცდილობდნენ თავის გამოჩენას... მინდა რომ ასე არასოდეს მოვიქცე, რადგან გული მერევა, გული მერევა იმ სიბინძურეზე რაც პატივმოყვარეობას, უუნარობას და სილაჩრეს მოსდევს. ნიკამ ისევ ჩაარტყა მუშტი მთელი ძალით, გამეტებით ურტყავდა, სანდრომ რამდენჯერმე დაარტყა უღონოდ სახეში....

-არასოდეს დამირტყავს ვინმესთვის ქალის თვალწინ, არასოდეს.. მითუმეტეს ელენესთან, მე მასთან არაფრის დამტკიცება მჭირდება....მაგრამ შენ რომ მას თავი არ დაანებო არ ვიცი რას გიზავ....ისეთი მშვიდად იყო ნიკა და თან ისეთი გაბრაზებული.. ერთმანეთის საწინააღმდეგო შეგრძნებებს იწვევდა.

-შენ აქ უკვე არაფერი გეკითხება....

-სანდრო შენ ნორმალური ხარ? მეცოდები გესმის, მეცოდები, რა გინდა ელენესთან, რატომ არ ანებებ თავს, იცი არ უყვარხარ, იცი რომ შვილები ჰყავს, ნიკამ უკვე წიხლი ჩაარტყა მუცელში, სახეზე განზრახ არ ურტყავდა, რომ არ დამჩნეოდა.. კიდევ ერთხელ რომ გაბედო და ეგ შენი გრძელი ხელები დამაკარო იცოდე, რომ ძვლებში დაგამტვრევ, გესმის რეჟისორო, აკონტროლე შენი გრძნობები და ზედმეტი არ მოგივიდეს. ნიკა გარეთ გამოვიდა, ხელებზე ეგონა სიმძიმე აწვა ერთი სული ჰქონდა დაებანა.. თვითონაც ვერ გაიაზრა, როგორ მივიდა ელენესთან. სახლში ისეთი სიჩუმე იყო ნიკა დაიბნა, ეგონა არავინ დახვდებოდა....სააბაზანოში სწრაფად შევიდა და რამდენიმე წუთში ოთახში ანასტასია ელენეს ჩახუტებოდა და თმაზე ეთამაშებოდა, მოწყენილი აკუსებდა თვალებს, მამამისის დანახვაზე გაეღიმა, მაგრამ თვალები ისევ ისე ჰქონდა. ნიკამ ჩაახველა, რომ ელენეს მისი მისვლა გაეგო, არ გამოუხედავს, თითქოს არც არავინ შესულა. -ტასო პატარა მიდი რაღაც მოგიტანე შემოსასვლელში დევს, თვალი ჩაუკრა ნიკამ

-რა მომიტანე? ხელები უკან წაიღო და პატარა ფეხები არ გაუნძრევია ისე აამოძრავა ტანი და ლოდინის რეჟიმში გადაერთო, სასაცილოდ აჰყურებდა მამამის და პასუხს ელოდა.

-მიდი ნახე შემოსასვლელში დაგიდე..

-შესასანსლია თუ სხვა რამე? ანასტასია მაინც არ ეშვებოდა. ნიკამ თვალები მოხუჭა, მისკენ დაიხარა და ცხვირზე აკოცა.

-სხვა რამეა, ანასტასიას არ უნდოდა ღიმილი მოშლოდა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო და რაღაცნაირი სახე მიიღო, არც იქით როა და არც აქეთ, ნიკას გაეცინა ხმამაღლა, თავი ვერაფრით შეიკავა, წელზე ხელი მოხვია და პატარა გამობზეკილ მუცელზე აკოცა.

-სხვა რამეა, მაგრამ შესასანსლიც ახლავს თან. ანასტასიას თვალები ლამის აუფეთქდა ისე გაუხარდა, ელენე შოკოლადებს არ აჭმევდა, სულ უშლიდა, ესეც მამამის მიეტუზებოდა, ნიკას მოტანილზე ელენეს დამყარებული იურისდიქცია ვერ ვრცელდებოდა. ხელები მოხვია ნიკას და ჩაეხუტა..

-შეგჭამ ერთ დღეს შენ ძალიან პატარა.

-დედიკოს არ ვუთხრათ, ჩაიქირქილა ანასტასიამ და თვალებით სასუსნავისკენ ანიშნა.

-ხო არ ვუთხრათ, რომ შეჭამ მერე შენი საწოლის ქვეშ შეყარე შორს, რომ ელენემ არ იპოვოს კარგი? ნიკა ძლივს იკავებდა სიცილს, ელენეს სახის წარმოდგენაზე შოკოლადის ქაღალდებს, რომ იპოვიდა და ანასტასიას დამჯერ გამომეტყველებაზე.

-ნიკა რას ეუბნები? გამოხედა ელენემ გაგონილზე. თვალები ცრემლიანი ჰქონდა.

-იმას, რომ შევჭამ მე ამ პატარა წერტილს ერთ დღესაც შევჭამ.

-მერე რომ აღარ დაგრჩებით? დაქაჩა თვალები ანასტასიამ.

-შენ ხარ პატარა ეშმაკი გოჭი, სულ რომ ჭყვიტინებს, ენას, რომ არ აჩერებს. ნიკა ისეთ სასაცილო რაღაცებს ეუბნებოდა ელენე თავს ძლივს იკავებდა უფრო მეტად არ ეტირა.

-ტატია მიდი ნახე, თავზე ხელი გადაუსვა და კარები გაუღო.

ელენესკენ წავიდა. ელენემ თავი უფრო შეატრიალა, რომ ნიკა არ დაენახა.

-ელენე..რაღააც უნდა ეთქვა, როცა მისი ცრემლიანი თვალები დაინახა, იგრძნო რომ ამიტო არიდებდა სახეს.

-რატომ ტირი?

-რატომ? კითხვა შეუბრუნა ელენემ.

-რომ იცოდე როგორ მინდა რომ მე არ ვიყო მიზეზი, ელენეს უფრო მეტად აეწვა ყელში გაჩხერილი ბურთი.- ზოგჯერ ძნელია იმის თქმა რასაც გრძნობ, ზოგჯერ არა სულ, აქ გაეღიმა და თავი კედელს მიადო, ალბათ ახლა ჩემგან ასე ჩანს, ვიცი რაღაც სისულელეებს ვბოდავ იმ იმედით, რომ შენ მის შიგნით სულ სხვა შინაარსის სიტყვებს წაიკითხავ. იმედი მაქვს, რომ იმაზე კარგად მიცნობ ვიდრე მე საკუთარ თავს, იმედი მაქვს, რომ რაღაც უფრო ძლიერი არსებობდა ჩვენ შორის ვიდრე ჩემი საქციელია, სხვანაირად ვერაფერს მოვეჭიდები სხვანაირად დავიკარგები ელენე... ნიკა თავჩაღუნული იჯდა და ისე ამბობდა ამ სიტყვებს ელენესთვის არ

შეუხედავს, ვერ გაბედა შეხედვა, ეშინოდა, რომ იქ სხვა რეალობა დახვდებოდა, რეალობა რომელსაც მთელი 10 წელი მონდომებით აშენებდა.

-ზოგჯერ მეშინია იმდენად მესმის შენი, საკუთარ თავს არ ვუღალატო, ყველაფერში შენ არ გაგამართლო.. უბრალოდ არ ვიცი რა არის სწორი ჩვენ შემთხვევაში, პატარები არ ვართ, შვილებიც გვყავს, ჩვენ ერთხელ ვცადეთ ერთმანეთისთვის ოჯახი ვყოფილიყავით, მაგრამ არ გამოვიდა. მხოლოდ ნანგრევები გვაქვს.

-მინდა რომ, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ, ელენე, ანუ შეიძლება რაღაც ისე ძალიან გინდოდეს გახრჩობდეს, ვერ დაალაგო აზრები, ვერ მოაგროვო სიტყვები და მაინც იცოდე, რომ ის ხვდება.....დაულაგებლად ლაპარაკობდა გრძნობდა, მაგრამ ვერც ჩუმდებოდა, უნდოდა ის ღრიანცელი რაც სულსა და გულში ჰქონდა გამოეტანა გარეთ, როგორმე გამოეშვა, მაგრამ ახლაც ვერ ახერხებდა, ახლაც ვერ შეძლო მისთვის ბოლომდე ეთქვა.

-ჩვენ არ გვილაპარაკია, ამაზე საერთოდ ერთი სიტყვაც არ გვითქვამს, ჩვენი პრობლემა სიტყვების გარეშე ცხოვრება იყო, ვერ ვთქვით ის რაც უნდა გვათქვა და ვამბობდით იმას რაც უადგილო იყო. ეს კი ყველაფერს გვიწამლავს ნიკა, ახლა მინდა რომ სწორად ვიცხოვროთ, შენ იცხოვრო სწორად, ცოლი გყავს და ახლა ჩემს საწოლთან არ უნდა იჯდე..ასე შეცვლილი, რამდენიმე დღემ რადიკალურად შეგცვალა, სულ სხვანაირი გახდი, ისევ ისეთი ხარ და ეს ისე მტკენს..თითქოს ხელახლა განვიცადე თავდაპირველი სიმძაფრით რასაც მთელი ათ წელი ვგრძნობდი.

-ჩვენს! ვერ შეძლო არ შეესწორებინა.. ჩვენს საწოლთან...ნიკა იმ ადგილას დარჩა, იმ ნაცვალსახელს ჩააფრინდა მისი გონება.

-შენ იცი მე რასაც ვგულისხმობ....

-შენ მე მსაყვედურობ ელენე! მე არ ვარ ფსიქოლოგი, მაგრამ რაღაც გამოცდილება მაქვს, რომ ნათქვამის იქით რაღაც სხვა დავინახო....

-და რა არის უცნაური, თუნდაც გსაყვედურობდე და თუნდაც რეალობას გახსენებდე? ან ორივე ერთად, რას არ ელოდი ნიკა, რა გინდა, გგონია შენ მიუხედავად იმისა, რომ შვილები გვყავს ჩემთან ახლო ყოფნის უფლებას მოგცემ? შენ არაფრით განსხვავდები იმ უამრავი კაცისგან ვისაც ცოლი ჰყავს და ვისთანაც ურთიერთობა არ შეიძლება.

-არაფრით? ნიკამ თავი აწია და თვალებში შეხედა, საერთოდ არაფრით? მე შენთვის ის ერთ-ერთი ვარ ვინც ყოველი გამვლელი შეიძლება იყოს ხელზე ბეჭდით?

-მხოლოდ იმით რომ დემეტრე და ანასტასია მამას გეძახიან.

-მეტი არაფრით? კიდევ უფრო დაჟინებული მზერა გაუხდა ნიკას.

-ნიკა, გთხოვ, ჯობია რომ ყველაფერი დინებას მივანდოთ, ცხოვრებას, როცა ჩვენ ვერ ვმართავთ მას, მაშინ მივყვეთ..

-ეს უკვე გავაკეთეთ და მივყევით დინებას და ახლა ვიხრჩობი..

-ნიკა რა გინდა გინდა იგრძნო, რომ ჩემთვის მიუხედავად ყველაფრისა ფერი არ დაგიკარგავს?გინდა გითხრა რაც ისედაც იცი, რომ არ ხარ ჩემთვის ჩვეულებრივი, რომ შენი მოსვლა წასვლა, ახლოს ყოფნა არასოდეს იქნება ჩემი ორგანიზმისთვისაც შეუმჩნეველი, გული ახლაც მიჩქარდება, ვერ ვერევი. ეს გინდა? გინდა მაქციო ადამიანად რომელიც ამის გამო საკუთარ თავს ვერ იტანს?

-მინდა ამაზე ვილაპარაკოთ, მინდა რომ დრო არ დავკარგოთ, ვიცი ძნელია შენთვის ცოლი მყავს, ეს ვიცი შენთვის რას ნიშნავს, მაგრამ სანამ ყველაფერი დალაგდება უბრალოდ საკუთარ თავს მივცეთ საშუალება, რომ ისე მოვიქცეთ როგორც გვინდა....ნიკა მიუახლოვდა და ლოყაზე ტუჩთან ახლოს აკოცა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა.....

-ნუ შემაძულებ თავს ნიკა, ჩემ თავს ნუ შემაძულებ გთხოვ, ეს რომ გავაკეთო, სხვისი ქმრის საყვარლობას ვერ გადავიტან..ელენემ სახეზე აკანკალებული ხელები მიადო და თვითონაც აკოცა. წარმოდგენა არ ჰქონდა ეს ძალა სად შეაგროვა ამ სიტყვების სათქმელად..ნიკას კი ეყო..ეყო იმისთის რომ მის სხეულს მოშორებოდა..

-მაპატიე ელენე, მაპატიე, არ ვიცი რა დამემართა..გაეცინა, გაეღიმა და თვალები ჩაუწითლდა. „სხვისი ქმარი“ ამ სიტყვებმა თთქოს შუაზე გადატეხეს მენაბდე.. სხვა არსებობდა და ამას ვერც ნიკას გონება ახტებოდა, უბრალოდ ზოგჯერ ეგონა, რომ არ შეხებოდა მოკვდებოდა, რამდენიმე წამით წარმოიდგენდა ელენეს გარეშე სამყაროს და ეს ტკივილი ისე წვავდა ორგანიზმს, კუჭს უწვავდა და მდუღარეს ასხავდა, მხოლოდ მისი შეხება, მისი ყოფნა ავსებდა ჰაერით ფილტვებს. წარმოდგენაც კი შლიდა, მისი ერთ დღეს ცხადად ახდომა კი საერთოდ ყველაფერზე ფიქრს ავიწყებდა. მე ბავშვებს გავხედავ. ოთახიდან ძლივს გაიყვანა საკუთარი სხეული, აიძულა რომ იქ არ დარჩენილიყო მისი სული. ანასტასია კიბესთან თამაშობდა და მხიარულად ეტიტინებოდა თავის თოჯინას. დემეტრე გააფთრებით უყურებდა მამამის, ნიკა შეკრთა მისი თვალების დანახვაზე..

-რა არის დემეტრე? ბავშვი ხმას არ იღებდა და ახლოს მიდიოდა.

-დემეტრე კარგად ხარ? ოდნავ ხმამაღლა უთხრა ნიკამ.

-შენ, არ მინდა რომ აქ მოხვიდე ხოლმე.

-როგორ? ნიკამ წარბები აწია და დემეტრესკენ თვითონაც გადადგა ნაბიჯი. პატარა ანასტასია დაჭიმული თვალებით უყურებდა იმ სცენას, სანამ ნიკამ თვალით არ ანიშნა გასულიყო და გაუღიმა. როცა იგრძნო რომ ანასტასია გარეთ გავიდა მაშინ მშვიდად დაიწყო.

-დემეტრე რა თქვი?

-მეზიზღები.....მრცხვენია შენი, მინდა რომ არ მყავდე, მინდა რომ შენ არ გერქვას მამაჩემი..დემეტრე უკვე ღრიალებდა ისეთ დღეში იყო.ყველა ტკივილმა ამოასხა, ბრაზმა და სიძლვილმა ამოხეთქა. ელენე ოთახიდან გამოვიდა.

-დემეტრე გაჩერდი! მშვიდად უთხრა ელენემ.არაფრერი ესმოდა, თითქოს ერთხელ მოიპოვა ამის გამბედაობა და არაფრის სანაცვლოდ დათმობდა. ელენე დემეტრეს ვერ აწყნარებდა, მამამის უყვიროდა და მისკენ იწევდა. ნიკა ჯერ გაოგნებული უყურებდა, უამრავი აზრი აწვებოდა გონებას და მის დალაგებას ცდილობდა, ცდილობდა ბრაზი ჩამოეშალა და ის გაეკეთებინა რასაც არასოდეს ინანებდა.

-ელენე ხელი გაუშვი რას იზავს! ზარებივით გაისმა ნიკას ხმა.

-შე არაკაცო და ლაჩარო.....დემეტრე არ ჩერდებოდა..ნიკამ ელენე ხელით გაწია, ელენე ევედრებოდა, ეხვეწებოდა გაჩერებულიყო, მაგრამ გრძნობდა, რომ აზრი არ ჰქონდა. ნიკა დემეტრეს მიუახლოვდა ხელები მხრებზე ძლიერად მოუჭირა, დემეტრეს ეგონა დაიშლებოდა, რამდენიმე წამს ასე უყურა და მთელი ძალით გაარტყა, იატაკზე ისე დავარდა სახე უხურდა და ეწვოდა, აუტანელი ტკივილი იყო თავიდან უფრო ძლიერი, შემდეგ გაკვირვება და ბოლოს ..ბოლოს საშინელი შეგრძნება დაუტოვა...ვერც გადმოცემდა და ვერც აღიქვავდა, დამცირება, სირცხვილი, შიში, ზიზღი... ნიკამ მაისურში ხელი მოკიდა და ფეხზე წამოაყენა, დემეტრე ტირილისგან თავს ვერ იკავებდა. ნიკა ხედავდა თავის თვალებს 13 წლის ასაკში როგორ ივსებოდა წყლით, როგორ მოუდუნდა სხეული აცრემლებულ დემეტრეს. უჭირდა რამის თქმა, თითქოს საკუთარი თავი ედგა თვალწინ, ფიზიკური მსგავსება იცოდა სადღაც სულშიც იკვეთებოდა და იმასაც ხვდებოდა რას განიცდიდა დემეტრე.

-ეს იყო ბოლო შეხება ჩემი დემეტრე! მაშინ ვერ მიხვდა რას ეუბნებოდა, უფრო სწორად სულ სხვანაირად გაიგო..სულ სხვა რამ ეგონა და მენაბდემ სულ სხვა რამ იგულისხმა..მერე თანდათან მიხვდა რას გულისხმობდა მამამისი.....მისი კარის ხმა რომ გაიგო და იგრძნო რომ წავიდა მაშინვე აბაზანაში გავარდა, სახე მთელი ძალით გაიხეხა, სიმწრით იფხოტნიდა და ხმამაღლა ტიროდა, გული ამოჯდომას ჰქონდა და ვერ წყნარდებოდა...ნიკა კი აუღელვებლად მიადგავდა ნაბიჯებს თითქოს ვერც გრძნობდა, როგორ მოყვებოდა ელენე უკან, თითქოს არა იმ დროს მართლა ვერ გრძნობდა.

-ნიკა გაჩერდი, დამელოდე.

-შედი სახლში!

-ნიკა შენ ახლა ვერ ხვდები, ესე როგორ, ის ხომ დემეტრეა ჩვენი დემეტრე ნიკა....ქალმა ყოველთვის იცის ის სიტყვები რასაც შეუძლია, რომ იმ დროს სხეული გაგიყინოს, მით უმეტეს თუ ეს ქალი ჭკვიანია და მით უმეტეს თუ ეს სიტყვები იცი რომ გულწრფელი.

-შედი სახლში, ელენე.

-გთხოვ ხვალე მოდი დაელაპარაკე დავამშვიდებ დღეს, ხომ იცი ახლა რთული ასაკი აქვს, მეშინია ნიკა რომ რამე მოუვა, რამე ცუდი არ გააკეთოს, ნიკა მომისმინე ამ ასაკში ყველაფერი რთულად გადასატანია, მით უმეტეს მამის ხელი სახეზე.

-ნუ გეშინია ცუდს არაფერს გააკეთებს!

-ნიკა გთხოვ გაჩერდი..

-ამაზე ცუდს რომ მოინდომოს მაინც ვერაფერს გააკეთებს, ამიტო დამშვიდდი ელენე, ყველაფერი კარგად იქნება.

-ნიკა ნუ მაფიქრებინებ, რომ გული არ გაქ..

-შენ ხომ იცი, შენ ხომ უნდა იცოდე ელენე...ამიტო რაც გინდა ის იფიქრე, როგორც გინდა ისე მოიქეცი....

-ჩემი შვილის დატანჯვის უფლებას არ მოგცემ..არც შენ მინდა დაიტანჯო...

-როგორც გინდა ელენე, მაგრამ იცოდე რომ ვერაფერში ჩაერევი, იმაში რაც ჩემი უფლებაა. ნიკას მანქანასთან ბავშვის სლუკუნი მოესმათ, ფეხები ძლივს გადაადგა ჯერ პატარა ფეხები დაინახა, პატარა კოპლებიანი კაბა, მოცუცნული თითები პირზე აფარებული, რომ ხმით არ ეტირა, მაგრამ თავს ვერ იკავებდა გული ამომჯდარი ჰქონდა და პატარა სხეული უხტოდა ბოლოს მისი აცრემლებული, დაძაბული, შეშინებული, ექვსი წლისთვის აუტანელი, ტკივილიანი და უაზროდ კეთილი თვალების დანახვაზე ნიკა მის წინ ჩაიკეცა. ხელის შეხებასაც ვერ ბედავდა ანასტასიაზე, ეგონა დასვრიდა..გააბინძურებდა. პატარამ გაღიმება სცადა, მაგრამ უფრო აეტირა და სახეზე კაბა აიფარა.

-ყველაფერი გამოგიჩნდა მა. სასწრაფოდ გადაიჭიმა კაბა მუხლებზე როგორც სულ იცოდა ხოლმე და ნიკას მიაცქერდა. „როგორმე გავაჩენ უშენობას“ იმეორებდა გულში ელენე...

თავი 10

„მიჰყევი დინებას და ნუ შეეცდები შეცვალო სამყარო, ის მაინც ისეთი დარჩება როგორიც არის“ ჩარკვიანი. ი.

სახლში დაბრუნებულმა ელენემ აღარ იცოდა რაზე ეყარა ჯავრი, ბრდღვინავდა, ბრაზდებოდა, ნერვები მთელი ძალით ეშლებოდა. ზუსტად იცოდა რომ მისნაირ კაცებს ვერ იტანდა, ზუსტად იცოდა ეს! მაგრამ მაინც ფიქრობდა და მოუსვენრად იყო. ნიკას უცნაური „სისუფთავე“ სულ აგიჟებდა. „რა ჯანდაბაა გეგონება ჩვენ ბინძურები ვიყოთ,თვითონ გვყავდეს რა კრისტალურად სუფთა“ „ვერ შეეხება, მწვადს ვერ შეეხება, აუ რა დეგენერატია რა“ ელენეს სულ ისეთ ბიჭები მოსწონდა ექსკურსიაზე ან ლაშქრობაზე განსაკუთრებით ყურადღებით რომ გამოირჩეოდნენ, თავად გოგოების შეწუხების გარეშე,, რომ აგვარებდნენ „მწვადის“ საკითხს, ეს მენაბდე კი იმდენად სხვანაირი იყო ელენე გაბრაზებისგან თავს ვერ იკავებდა, მაგრამ საკუთარ თავსაც ვერ უხსნიდა რაზე გაბრაზდა.

„საახლობლო“ სულ უფრო შეიკრა ვიღაცის ჩუმი „მეოხებით.“ დრამანი მალევე წავიდა, მაგრამ ბიჭები დარჩნენ, ბელთაურს ესეც ჰყოფნიდა ბედნიერებისთვის, ნიკა დასცინოდა ქალი, რომ ყოფილიყავი ქმარს ეჭვიანობისგან კედლებზე სიარულს ასწავლიდიო. იმის გამო რომ ნიკა სხვანაირად დაინტერესდა ელენეთი, ბარბარეც და მაიაც ყველგან დაყავდათ, ცოტნეც ხვდებოდა

ყველაფერს და მოვლენებს არც ხელს უწყობდა და არც უშლიდა. ოჯახები კიდევ უფრო დაახლოვდნენ, მაიამ რადგან თავის შვილს „ადამიანური“ მოწონება შეატყო უკვე ლორთქიფანიძეებს აღარ მოშორებია, აღარ აინტერესებდა როგორ გამოლანძღა პირველივე დღეს ელენემ, მთავარი იყო ნიკას ინტერესი. აღარც გოგოებით აწუხებდა და მენაბდეს გულწრფელად უკვირდა. „დე შენი მინი რეესტრი გოგოების რაღაც შეფერხხებით მუშაობსო“ ამას ეტყოდა და სწრაფად გაიქცეოდა გარეთ, მაიას ანთაბული თვალები, რომ არ დაენახა.

იყო „შემთხვევითი“ შეხვედრები, იყო გააზრებული დამთხვევებიც, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა ელენეს, ვერაფრით გატეხა ნაჭუჭი, რომელშიც ჩაკეტილი იყო...ამან სულ გადარია მენაბდე და გაახალისა. „ჩემნაირები არ მოსწონს“ გულში ეცინებოდა, „პირდაპირ შეუყვარდება“ მაგრამ ეს პირდაპირ შეყვარებაც თანდათან შეუძლებელი ხდებოდა, ნიკას წასვლა უწევდა და ურთიერთობაშიც არაფერი ცვლილება არ იყო. ელენესთვის კი მხსნელად ალექსანდრე მაჩაიძე გამოჩნდა, მომავალი რეჟსორი, რომელიც ელენეს ოჯახთან დაახლოებული იყო და ხშირად სტუმრობდა, ელენე კი აღფრთოვანებით იყო აღფრთოვანებული მისით. წარმოუდგენლად იჩრდილებოდა მენაბდე ალექსანდრესთან ორთაბრძოლისას ელენეს წარმოსახვაში.

-შენ არ ინერვიულო დე, როცა კი მოახერხებ სულაც ორი დღით, რომ ჩამოხვიდე აუცილებლად შეგახვედრებ მაგ გოგოს. ნიკას მიწაზე გაწოლა უნდოდა ისე ეცინებოდა ამ სიტყვებზე, მაგრამ რამდენიმე მიზეზი ხელს უშლიდა 1.მიწა ჭუჭყიანი იქნებოდა (ამის მერე სხვა მიზეზები ცოტა უმნიშვნელოდ მეჩვენება, მაგრამ მაინც აღვნიშნავ)2.დედამის არ ეკამათებოდა მით უმეტეს მის ნათქვამზე არ გაიცინებდა. 3.ძალიან რომ დაფიქრებულიყო სულაც არ იტყოდა უარს ასეთ იძულებით „შეხვედრებზე“. რაც არ უნდა ყოფილიყო პრაგმატიზმი მაინც ჭარბობდა მასში, ეს სულაც არ აწუხებდა. ელენეს კი ჯიუტად არ მოსწონდა ასეთი ადამიანები, ნიკა კი ამის გამო შეცვლას საერთოდ არ აპირებდა, ფიქრობდა რომ ასეთ დროს გამოსავალს გრძნობები პოულობდნენ, თუმცა უჭირდა ამ უხეშ არსებასთან რამის გატანა.

წყნეთში სახლის მეზობლად ყიდვა ეს უკვე ძალიან აშკარა მოქმედება იყო მაიას მხრიდან, რომელიც ლორთქიფანიძეებმა ყოველგვარი აჟიოტაჟს გარეშე „გაატარეს“ და უბრალოდ მართლა გულწრფელად გაუხარდათ ახლობელი ოჯახის დამეზობლება დასვენების დღეების დროს. ნიკას ჩამოსვლის დროს ელენე არ ადიოდა წყნეთში და ის საცოდავად „ბოძებული „ 4 დღეც მის უნახავად გადიოდა. შვებასავით მოევლინა პატარა ტრამვა ნიკას, რომლის გამოც ორი თვე ვერ ივარჯიშებდა და ამიტომ საქართველოში დაბრუნდა. ცოტნეც საქართელოში იყო. ამ ორმა თვემ გამოიწვია ახლობლების შეკრება, მათეც ამის გამო ჩამოვიდა საქართველოში, არ შეეძლო მოვლენების ეპიცენტრისგან შორს ყოფნა, მენაბდეების ოჯახს საზღვარგარეთ შვილების ცხოვრებამ ერთი რამ ასწავლა. „წამები როცა ერთად იყვნენ, ბოლომდე უნდა გამოეყენებინათ“ ამიტომ ბიჭების ჩამოსვლა და ოჯახის ასოციალური გახდომა ერთი იყო. იკეტებოდა ყველა სახლში, რაც არ უნდა სასაცილო იყოს ბიჭების გარდა, ესენი მაინც სულ გარეთ იყვნენ.

ნიკას წყნეთში ყოფნის დროს, ელენეც იძულებული გახდა იქ ჩასულიყო, ცოტნესთან ერთად, მშობლები ქორწინების 23 წლისთავის აღსანიშნავად რაჭაში წავიდნენ, რადგან იქ დაიწერეს ჯვარი, ელენეს კი თბილისში მარტო დარჩენა მართლა მაზოხისტობად მიაჩნდა, ამიტომ თავის

ძმას გაჰყვა წყნეთში. სულ ელოდა ნიკასგან შემოტევას, რომ სულ იმათთან იქნებოდა, ცოტნეს თავს მოაბეზრებდა, მაიას შემხედვარეს ისიც ეგონა ერთ დღესაც მანქანაში ძალით ჩატენიდნენ, მაგრამ ნიკა არც იმჩნევდა. უბრალოდ კარგად მოიკითხა ორივე და მას მერე სახლშიც იშვიათად მოკრავდა თვალს, ნიკასაც დიდად არ მოწონდა წყნეთის იდეა და თბილისში უფრო მეტ დროს ატარებდა.მაია ეჭვობდა ვიღაც გოგოს არსებობას, მაგრამ ჯერ მხოლოდ ქმართან იმჩნევდა, თუმცა ეჭვი ჰქონდა, რომ ის გოგო ოჯახისთვის მიუღებელი იქნებოდა რადგან ასე ასაიდუმლოებდა ნიკოლოზი.

ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ არა ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილება იკვებოს. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ცოტნეს მოშივდა და კიდევ უფრო გასაკვირად ელენესაც, რომელიც ცდილობდა არ შეემჩნია, მაგრამ გრძნობდა რომ რაღაც უნდა შეეწვა ან უნდა დაეწვა. უმოქმედოთ არ უნდა ყოფილიყო. მისმა „ფუსფუსმა“ სამზარეულოში თავდაპირველად ცოტნე დაზაფრა, მაგრამ მალევე მიუშვა ლოგიკით „ქალი კუხნაში“ ეს ხმამაღლა არ უთქვამს, თორემ ამოქმედდებოდა წესი „ტაფა თავში“ რომელსაც მართლა არ ააცდენდა ელენე. ხველებამ გამოაფხიზლა, საშინელი სუნი იდგა, მთელი სახლი კვამლში იყო გახვეული და ვერაფერს ხედავდა, მხოლოდ რამდენიმე წამში შენიშნა სამზარეულოს კართან მოფართხალე სხეული, ელენე კარს ვერ აღებდა და სახლი მალე ცეცხლში გაეხვეოდა.

-ელენე!!! დაიღრიალა ცოტნემ და კარებს მივარდა..ხმას ვერ იღებდა, კვამლი უკვე გონებას აკარგვინებდა.

-გამეცალე კარი არ მოგხვდეს, ღრიალებდა ცოტნე, გრძნობდა, რომ შეიძება საშინელება მომხდარიყო. ელენე თითქმის უგონოდ იყო, გარეთ გაიყვანა, სახეზე ეფერებოდა და ეჩურჩულებოდა გონზე მოსულიყო. მეეზობლები მალე შემოეხვივნენ გარშემო, ცეცხლის სწრაფად ჩააქრეს ერთობლივი ძალებით. მაია და დემეტრე განერვიულებულები დაჰყურებდნენ ელენეს და ცოტნეს.

-როგორ ხართ ბავშვებო? მშვიდად ჰკითხა დემეტრემ, როცა ყველაფერი ჩამშვიდდა.

-მთავარია ვართ, გაიცინა ცოტნემ და ელენეს წყალი დაალევინა.

-ჩვენთან წამოდით, ექიმი უკვე გამოვიძახეთ, გაუღმა მაიამ. ელენეს ფერები გადაუვიდა, მაგრამ შეატყო, რომ ნიკა საერთოდ აღარ ახსოვდა ამ მომენტში მაიას უბრალოდ მართლა სად უნდა გაჩერებულიყვნენ სანამ სახლს არ მოუვლიდა სახანძრო. რადგან მშობლები აქ არ ჰყავდათ, მაიამ ითავა ყველაფერი სახლში სიხარულით მიიღო. მისაღებში არავინ იყო, გვერძე ოთახიდან მოისმოდა ხმაური, მალე ყველა გამოლაგდა გამურული „მეზობლების“ სანახავად, ელენეს ჭვალმა გაუარა, რომ წარმოიდგინა ნიკას სახე მას ასეთ ჭუჭყიანს, რომ დაინახავდა, თუმცა არც ნიკა და არც მათე არ ყოფილან იქ.

-ესენი ჩვენი ნათესავები არიან, ბიძაშვილ-მამიდაშვილები გააცნო ბარბარემ. მართლა სახალისო აურა იყო შექმნილი, რამდენიმე პატარა ბავშვი დარბოდა სახლში, მაიამ ელენე დივანზე დასვა, წყალი მოუტანა და ექიმს ისევ დაურეკა.

-არაა საჭირო ქალბატონო, კარგად ვარ. მაიას არც გაუგონია ისე საქმიანად ელაპარაკებოდა ექიმს ცოტათი ეჩქარა.

-ბიჭები სად არიან ? იკითხა ცოტნემ.

-გუშინ გვიან მობრძანდნენ და ახლა ჯერ არ გაუღვიძათ ალბათ. თქვა მაიამ და ზედა სართლზე აიხედა.

–სახლი თავზე იქნებ დამამხო მათე,აუუუუუუ, დაგჭრი ჩემი პირსახოცის შეხება შენ ბანჯგვლიან ტანზე როგორ გაბედე, საპონიი..მოგკლავ, აი საერთოდ დაგახრჩობ გამოდი ჩემი აბაზანიდან, დეზინფექცია უნდა ჩავატარო.. ყველას სიცილი აუტყდა ზედა სარულიდან ეს ხმები, რომ მოესმათ. აშკარად ეტყობოდათ, რომ არ იცოდნენ დაბლა ამდენი სტუმრის შესახებ.

–ახლა შამპუნსაც დავისხავ და ეგაა, მათემ ქაფიანი ხელები კედლებზე შეაწუწა სიცილით. შენ კედლებს ჩემი ქაფი საოცრად უხდება, ფანთასთიშ. მათე ბოლო ხმაზე ყვიროდა, დაბლა ყველას ესმოდა ორივეს ხმა, მაია თავაზიანად იღიმოდა, რომ არაფერი შეემჩნია, მაგრამ თვითნაც ვერ იკავებდა სიცილს.

–დაგჭრი, იხვო, მოგკლავ, გამოეხწიე და მოაშორე შენი ტარტაროზი სხეული ჩემს საპონს, თორემ გაჭმევ. ხომ არ იცოდნენ, რომ ვინმე უსმენდათ, ჩხუბობდნენ თავგამოდებით, მაგრამ ერთხელაც არ იყო მათ სიტყვებში რამე სიბილწე, ბავშვური მუქარით და გაჯიუტებით გაჰქონდათ ბრაზი. ეს ყველაზე მეტად სიამოვნებდა მაიას.

–მეც ძალიან გაფასებ ნიკო. მათე სიმღერით ამბობდა და უკვე ვერავინ იკავებდა სიცილს.

–მათე გთხოვ გამოდი თორემ გამოგიტან, სხვა აბაზანაში ვერ შევდივარ და ასეც ვეღარ ვძლებ.

–უნდა მიეჩვიო, რომ თუ გუნდში არა სახლში შენზე სწრაფები ცხოვრობენ და აბაზანამდე მიგასწარი. ჩვენი ფორვარდი ფორმაში არაა.

–მათე ჩემი აბაზანა ჩაკეტილია მაგრამ შენი მანქანა ღია, ეს თქვა და საოცარი სისწრაფით გამოიქცა ოთახიდან, კიბეებზე ჩამოსვლა არც უცდია, მოაჯირს ხელი მოკიდა და ჩამოხტა, თვალი ძლივს მოკრეს ისე იყო უკვე გარეთ ნიკა, ზეთის ბოთლით ხელში და მანქანის სალონს მშვიდი მოთმინებით ასხავდა, მათე არანაკლები სისწრაფით გავარდა გარეთ, მაიას უკვე სერიოზულად შერცხვა ამათ არასერიოზული არასერიოზულობის, უკვე ეს ყველა ხუმრობის ფარგლებს ცდებოდა ნორმალურებისთვის, თუმცა ყველა მიმხვდარიყო ძმების არანორმალურობას.

–ნიკოლოზ მენაბდევ! თქვენ დღეს ხართ მკვდარი, ჟარგონზე ტრუპი! მანქანას ისეთ სისწრაფით ურბენდნენ, ყველა გარეთ გავიდა, სიცილის ხმაც არ ესმოდათ ძმებს.

–როგორ იყო, შენზე სწრაფები თუ რაღაც? მგონია რომ ვერ მეწევი თუ მეჩვენება? ნიკა სიცილით იკეცებოდა თან მანქანას ურბენდა მათე რომ არ დაწეოდა.

–იმძიმებ მდგომარეობას! ბარბარე დასამშვიდებლად მივიდა , როცა ყველაზე მეტი ზეთი მას შეესხა და ბიჭებიც მის მხრებს ჩააფრინდებოდნენ და დაუფიქრებლად იყენებდნენ დას ფარად, ბარბარე უკვე კიოდა.

–ნუ გამძლეობაში არაგიშავს, მაგრამ სისწრაფეში იხვი ხარ... მათემ ზეთის ბოთლს თავსახური მოხსნა და ნიკას გადაასხა. მენაბდე გაქვავდა იმის წარმოდგენაზე როგორ უტიფრად ეხებოდა მის სხეულს თხევადი სითხე. მათემ დრო იხელთა და მთელი ძალით გაექანა მისკენ, ბარბარე რომ მხრებით ჰყავდა ჩაბღჯული, სამივე აუზში ისე მონდომებით გადაეშვა მაიამ უკვე მოთმინება დაკარგა.

–ვა მაიკო, შენ სახლში ხარ ტო?! ნიკა სიცილს ვერაფრით იკავებდა, თავი რომ ამოყვინთა.

–არამარტო მე! ბიჭებმა ახლა მოავლეს თვალი ეზოს და ახლაღა შეამჩნიეს სიცილით კარგ ხასიათზე დამდგარი აუდიტორია.

–რა ხდება ნიკო? სახლი კარში რატომაა? გადაუჩურჩლა მათემ.

–დედა გაიტანა, ხო იცი რა მეტიჩარაა, თან ეცინებოდა თან მოერიდა ნიკას.

–თქვენ რა დღეში ხართ გაეცინა ცოტნეს, მეგონა მე და ელენე ყველაზე მეტ საშინელებებს ვუკეთებდით ერთმანეთს, თურმე რეიტინგში გვისწრებენ უნდა გამოვასწოროთ ელე. ცოტნე უხერხულობის განტვირთვას ცდილობდა.

–არა დღეს არიან ასე ჰიპერაქტიულები თორემ სხვა დროს აუზში არ ხტებიან, მაიამ სველ თმაზე მოუსვა ნიკას ხელი და გაეცინა.

–ნუ აკნინებ დედა, აუზი შემოდის ხოლმე სახლში იმდენ წყალს ვასხავთ ერთმანეთს. გაეცინა ბარბარეს მათეს რომ სასაცილოდ ჩაფრენოდა ხელებზე და ჩქმეტდა.

–ფაქტობრივად ნიკოს კართოფილი აკლია და მზეზე ზეთში შემწვარი კართოფილიც გვექნებოდა.

–მათეს ეს რომ არ ეთქვა იუმორი მოგუდავდა. დაიღრიჯა ნიკა და ცოტნე გადაკოცნა.

–ესენი მე–5 კლასში რასაც აკეთებდნენ ისე იქცევიან ახლაც, შვილიშვილების არ ყოლას მე და დემეტრე იმით ვუძლებთ, რომ ესენი არიან ბავშვები და ვერ ვგრძნობთ სახლში თუ პატარები არ დარბიან. მაიამ სამივეს ანიშნა სწრაფად გამშრალიყვნენ, ნიკა უკვე კიბეებზე იყო და აბაზანაში შესვლის წამებს ითვლიდა, რომ როგორმე ეს ზეთი მოეშორებინა.

დამშვიდებული სახეებით და სიცილით დაღლილები ჩამოლაგდა სამივე დაბლა და დივანზე ერთმანეთის გვერდით ჩაეწყვნენ, სამივეს რცხვენოდა ამდენი ხალხის, მაგრამ ნიკა იხტიბარს არ იტეხავდა და ბედნიერი სახით, ზეთმოშორებული მათეს უშლიდა ნერვებს.

–ზურას და ნინოს სახლი დაიწყვა! სიჩუმით ისარგებლა მაიამ და გამოაცხადა.ნიკას წყალი გადაცდა და იმხელა ჩაარტყა მათემ, რომ ძლივს ამოისუნთქა, იგრძნო სამაგიერო უფრო იყო ვიდრე გულწრფელი შიში ძმა არ დახჩომოდა.

–ცოტნე თქვენი სახლი? რა მოხდა? ნიკამ ძლივს გადააბა სიტყვები თან ახველებდა, ელენესკენაც რამდენჯერმე გააპრა თვალი და კვამლიან სახეზე გაეღიმა. ელენეს თვალები აენთო, რომ მიხვდა რატოც ეღმებოდა.

–გაზი დარჩა სუბიექტს ჩართული! თქვა ცოტნემ და ელენეს გადახედა.

–ობიექტმა კი ასანთი გაკრა გაზის სუნის მიუხედავად!დაუბრუნა ელენემ პასუხი ძმას. ისე იყო გაბრაზებული ტყუილსაც არ მოერიდა.

–მოიცა თქვენ ორმა სახლი გადაწვით? მათეს გაეცინა.

–გადაწვა ხმამაღალი ნათქვამია, უფრო სამზარეულოს მოედო ცეცხლი..უნდოდა ელენეს როგორმე შეერბილებინა.

–გადაწვა არა შებოლვა, სახლი ფაქტობრივად შებოლილია ვერ ისუნთქებ, სიცილით დაამატა ცოტნემ.

–ოო ცოტნე ეგრეც არაა!

–როგორ არაა რომ ვერ გამომეყვანე გაიგუდებოდი ისეთ სუნი იდგა, თან სამზარეულოში ჩაიკეტა...ელენე უნდა შეწინააღმდეგებოდა, როცა ნიკას იმ დღეს ყველაზე სერიოზულად ნათქვამი მოესმა.

–კარგად ხარ ელენე?

–კი კარგად აზვიადებს, მაგრამ დედას და მამას როგორ ვუთხრა არ ვიცი, ინერვიულებენ.

–არ უთხრათ მერე, განა რა იქნება ისეთი იქნებ მოვასწროთ ჩამოსვლამდე და გავაკეთოთ, ნიკამ იმათ სახლს გახედა და გარედანაც სულ შავი იყო ბოლოსგან, ეს რომ დაინახა სავარძელში ჩაესვენა და გაჩუმდა.

–მეც მაგას ვამბობ, ელენეს საშინლად გაუხარდა თანამოაზრის პოვნა. არ ვუთხრათ რა ჩვენებს ცოტნე დედა დაიწყებს ხო იცი რამე რომ მოგსვლოდა, ის ჩაკეტვის ამბავი საერთოდ სულ გააგიჟებთ.უცბათ შევღებავთ...

–ესეთი ოპტიმისტი მალე გაფრინდება, რას შევღებავთ უცბათ სამ სართულს? ელენეს თვალები ჩაუქრა...

–რა მოხდა მერე, ჩვენც მოგეხმარებით, ახლავე მუშებს ვუთხრათ მამას ჰყავს ნაცნობები და მალევე მოიყვანს, ნიკას სიტყვები ოცნების ასრულების დასაწყის ჰგავდა ელენესთვის. თითქოს ყველა ასეთი სურვილი მთელ სამყაროს შეუძებლად, რომ მიაჩნდა ეს ორი აასრულებდა,

მთავარი იყო ნიკას ის სიტყვები ეთქვა ხოლმე. გაჰყურებდა სახლს და თითქოს ამ სიტყვებმა მთლიანად მოაშორა კვამლი.

–თან ყველა კედელს არ უნდა შეღებვა, თავისი ჭკუით მიეხმარა ელენე ნიკას პოზიციას. ცოტნემ გადაიხარხარა.

–სხვადასხვა ფერზე დაჯდება და უფრო მიხვდებიან რაღაც რომ მოხდა, მშვიდად თქვა ნიკამ და წყალი მოსვა.

-ელენე ხვეულებზე როგორ იყო? გამოაჯავრა ცოტნემ. ნიკამ ხმამაღლა სიცილი ვერ შეიკავა.

-ზუსტად ისე როგორც ვთქვი, შენ მემგონი დღეს დილით რაღაც მთხოვე და იმდენიც ვერ მითმინე არ გაგებრაზებინე. ცოტნეს ფერები გადაუვიდა, მაგრამ მაინც არ გაიტეხა იხტიბარი და გაიცინა.

-ხო როგორც შენ ამბობ.

სახლი მართლა კარში იყო გატანილი, ვინ საიდან გამოდიოდა, ვინ სად შედიოდა, ვინ რას ყვიროდა ვერ გაიგებდით, ელენემ სწრაფად გადაივლო წყალი ბარბარეს ოთახში, ტანსაცმელი გამოიცვალა და ანერვიულებული რა მოხდებოდა სახლთან დაკავშირებით ჩამოიძურწა მისაღებში, ნაკლებად ენამწარობდა მეტად დამნაშავე. შავი უბრალო მაისური ეცვა და მოკლე ჯინსის შორტი, თმა აწეული ჰქონდა ბოლომდე დაუდევრად შეკრული.

მუშებისკენ არავის გაუხედავს ისე შეყვნენ ლაპარაკს, ამდენ ხალხში უფრო ადვილი იყო უხერხულობის გაფანტვაც. ლაპარაკობდნენ იცინოდნენ, ბავშვებს აწყნარებდნენ, მენაბდეების ბიძაშვილის შვილი ზურიკო ისეთ აუღებელი ბავშვი იყო ყველას თავბრუ დაეხვა და აუტანლად ჯაჯღანებდა თან, ვერავინ ეკარებოდა, ნიკა არ იმჩნევდა და არც აწუხებდა ბავშვის ხმაური, სხვები კი უკვე გადარეულები იყვნენ, ხან რა გადმოაგდო ზურიკომ ხან რა. ნაკრების 13 ნომრისთის, მთავარი ჰარმონია იყო...სასაცილოა ალბათ იმ ხმაურში რა ჰარმონია უნდა ეპოვნა, მაგრამ პოულობდა..ნამდვილად პოულობდა ადამიანური ურთიერთობების ჰარმონიას, ამას კი არაფრის გამო თმობდა ხოლმე, თავად ითავა ზურიკოს დევნა ამის გამო და ვარჯიშიც გამოტოვებაზე იმ დღეს გული აღარც დაწყვეტია.

-ესეთი შვილი რომ მყავდეს მოვკლავ, ჩაიბურტყუნა მათემ.

-ნეტა შენ შვილს მომასწრო და სულ არ დავეძებ არაფერს, გაიცინა მაიამ და ქმარს გაუცინა.

-რა დრო დაგიდგა მათე, გადმოძახა ნიკამ და თან ზურიკოს ბურთი დაურტყა „კარში“, რომელიც ფეხსაცმელებისგან ჰქონდათ გაკეთებული.

-შენ ნუ გგონია არ მოიაზრები მათესთან ერთად, არ აცადა მაიამ.

-მე მაპატიეთ ქალბატონო.

ზურიკომ უკვე ყველა გააოცა „სიცელქით“ უკვე „სიმონსტრის“ დამტკიცებაზე გადავიდა, მათე მართლა გაუსაძლისად იტანჯებოდა ამ ხმაურზე, მერე როგორ უყვიროდა ქეთი ზურიკოს სულ ირეოდა ამაზე, მაინც არ იჯერებდა მონსტრი დედის ნათქვამს.

ძილიც არ ეკარებოდა ზურიკოს განზრახ.

-საწვავი ხომ არ ჩაუსხეს ამ ბავშვს, ეს ვინა�ა, ცოფდებოდა სასაცილოდ მათე. ბოლოს რატომღაც ყველა გაუჯავრდა ზურიკოს და ნიკასთან ინება ჩაძინება..ყველა საძინებლის კართან იდგა და ეცინებოდათ ნიკას სახეზე, რომელიც ცდილობდა ბავშვი გადაესვა , დედამისი ეხვეწებოდა, რომ იმ ოთახში დაეძინა სადაც იყო ნიკასაც, რომ არ გაღვიძებოდა, მათე ისეთ მზერით უყურებდა დახვრეტდა ზურიკო, რომ ვინმეს გაეღვიძებინა.

-არა მე სხვის ოთახში ვერ ვიძინებ, ამოიჩურჩლა ნიკამ.

-აუ ნიკო გთხოვ რა, ეხვეწებოდა ქეთი, რომ შვილს არ გაღვიძებოდა.

-არა არ არსებობს, მართლა არ შემიძლია აქ დაძინება ქეთო რა.

-არ გაინძრე მოგკლავ, დაიდუდღუნა მათემ.

-ამ ბავშვს დავჭრი აქ ვერ დავიძინებ, სულ გადაირია ნიკა. საბოლოოდ მაინც არ დაიძინა რა თქმა უნდა ნიკამ იმ ოთახში სადაც თეთრეულის „წარმომავლობა“ გარკვეული არ ჰქონდა ფრთხილად დააწვინა ზურიკო საწოლზე და გამოიძურწა.

ელენე და ცოტნე მენაბდეებთან დარჩნენ რამდენიმე დღე სანამ სახლი გაკეთდებოდა და მშობლებთანაც აგვარებდნენ ტყუილებით, რომ ყველაფერი კარგად იყო, მაია ნამდვილ თანამზრახველად ექცათ და ძალიან ხალისობდნენ. რაღაცნაირად ელენე სულ მარტო გრძნობდა თავს, ბარბარესაც კარგად ვერ ეწყობოდა ნიკას გამო, არც ამ ოჯახში ყოფნა უნდოდა, ცოტნეც სულ გარეთ იყო ბიჭებთან ერთად. ელენე სულ მოწყენილი და დაფიქრებული იჯდა თავისი სახლის ეზოში და საღამოზე გადადიოდა მენაბდეებთან. ღამე ვერაფრით დაიძინა და წყლის დასალევად სამზარეულოში ჩავიდა, თან ტანსაცმელი ჩაიცვა საშინლად ერიდებოდა სხვის სახლში დაძინება, მერე ღამე ბოდიალი და თანაც საღამურებით, არადა სახლში დღეც არ იხდიდა ზოგჯერ. სამზარეულოში ფეხაკრეფით შევიდა, ჭიქა მთელი მონდომებით, რომ ხმაური არ გამოეწვია გადმოიღო და წყალი დაისხა.. ლამის გადაცდა ფეხის ხმა რომ გაიგონა, თითქოს რამეს აშავებდა ისეთი შეგრძნება ჰქონდა. ნიკა და დემეტრე იყვნენ, ხმადაბლა ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ...

-ელენე შვილო არ გძინავს? გაუღიმა დემეტრემ, წყლის ამოტანა სულ დაგვავიწყდა, დაამატა რომ მიხვდა რის გამოც იყო დაბლა.

-არა რას ამბობთ, არ მწყურდება ხოლმე, მაგრამ დღეს ვერ გავძელი რატომღაც.

-კარგი ძილინებისა, მშვიდად თქვა დემეტრემ და მეორე სართულისკენ წავიდა.

-რატო ხარ ხოლმე მოწყენილი ელენე? ნიკაც სამზარეულოში შევიდა და იქვე ჩამოჯდა.

-არ ვარ მოწყენილი უბრალოდ დედა და მამა რომ აქ არიან და არ ვეუბნებით ცოტა მაწუხებს. თან თქვენთან ვცხოვრობთ, ასე არ ვარ შეჩვეული ადამიანების შეწუხებას.

-მართლა არაა შეწუხება ეს, ბარბარესთანაც ცოტა ცუდად ხარ ასე მგონია, ჩემ გამო თუა მითხარი და რამეს შევცვლი.

-არა შენ ასეთ მნიშვნელოვანიც არ ხარ! არა რა უნდოდა, რატომ ეუხეშა თვითნაც ვერ მიხვდა, ზუსტად იცოდა თავისი ძმა ასეთ საქციელზე გოგოს ერთს კარგად მიალანძღავდა. ამიტომაც მოწონდა ცოტნე, მაგრამ თვითონ რატომ ქაჯობდა.

-მიხარია მე რომ არ ვარ მიზეზი, ისე ჩვეულებრივად ჩაილაპარაკა ნიკამ თითქოს არც არაფერი ეთქვა უხეშად ელენეს. ნიკას სიმშვიდე კი მის „მნიშვნელობაზე“ იყო დამყარებული ელენეს პასუხმა, რომ ვერ დაფარა.

-ზოგჯერ ძალიან აუტანელი ვხდები და ამას მეც ვაანალიზებ, ბოდიში.

-არა რატო? ნიკამ ისეთი სახით უთხრა რომ ელენეს ეგონა მის სიტყვებს აზრი არ ჰქონდა ნიკასთვის. თავი უმნიშვნელოდ იგრძნო და შეეშინდა, შეეშინდა მასთან არ დაკარგულიყო, არ ჩაკარგულიყო მის ხასიათში. ნიკამ შეატყო, რომ ყველაზე მეტად ეს წყინდა ელენეს და გაუღიმა.

-არ ხარ აუტანელი, ჩემგან ასე ჩანს. ელენემ რაღაც დიდი ბედნიერება იგრძნო, საოცარი შეგრძნება ჰქონდა და ვერც მიხვდა რატომ.

-არ მეძინება საერთოდ.

-არც მე, მე ჯერ ისევ საფრანგეთს დროზე ვარ და ცოტა ავირიე.

-ასე რომ არ გაგვეცნო ერთმანეთი შეიძლება ასეთი უხეშიც არ ვყოფილიყავი შენთან. აქ უკვე საკუთარ თავს ძალიან გაუბრაზდა, საშინლად გაღიზიანდა, როცა მიხვდა, რომ ნიკამ მშვიდ საუბარში შეიტყუა.

-ვფიქრობ, რომ საინტერესო იყო ჩვენი გაცნობა, სასაცილოც კი....ელენეს აღიზიანებდა რაღაც ნიკაში საშინლად.

-მე შენნაირები არ მომწონს! არ მინდა რომ რამე საერთო მქონდეს შენთან! ცოტათი უხეში უნდა იყო, ჩემს საქციელს არ უნდა ყლაპავდე, უნდა ვგრძნობდე რომ არის რაღაცები რასაც ვერ გეტყვი.

-ბოდიში ჩემი სამზარეულოდან მე ვერ გავალ და ვერც დედამიწას დავტოვებ ამის გამო. ცოტათი სიუხეშეზე ვერაფერს გეტყვი...უბრალოდ იმას ვერ გეტყვი რასაც ვფიქრობ. ის კი სულ გახსოვდეს, რომ არასოდეს არავის დავაძალებ რამეს.

-ძალიან კარგი მე გავალ შენი სამზარეულოდან და შენთან არ მინდა ურთიერთბა იცოდე. შეიძლება სხვა ვერ ხედავს, მაგრამ მე ვიცი როგორიც ხარ.

-როგორი ვარ მითხარი გაფიცებ ეგ მეც მაინტერესებს ჯერ მეც არ ვიცი.

-ბოროტი! ისეთ შეფარული ხარ ნიკა, რომ ზოგჯერ მგონია ეშმაკი გისახლდება თვალებში. შენნაირები კარგად მალავენ საკუთარ თავებს, მაგრამ მე ვერ გამომაპარებ, შენ ძალიან ცუდი სული გაქვს. იმდენად ბევრ რამეს იგროვებ, რომ ეს ყველაფერი სულზე გაწვება. მგონია, რომ ელოდები როდის მომიქცევ და მერე გამთელავ, შენ თვალებში სპორტულ ჟინს ვხედავ, როცა მე მიყურებს, მე კი ბურთი არ ვარ, არც უსულო საგანი. მგონია, რომ გამანადგურებ როგორც ქალს, ამის უფლებას კი არავის მივცემ. ნიკა თვალმოუშორებლად უყურებდა....ხმა არ ამოუღია ისე გატრიალდა ოთახიდან.

-თუნდაც ის რომ პასუხს არ მთხოვ ამ სიტყვებზე, ნიშნავს იმას, რომ მართალი ვარ.

-როგორც გინდა. სიბნელეში ძლივს არჩევდა მის ზურგს 13 „მენაბდე“

მიდიოდა ნაკრების 13 ნომერი და თავში ის სიტყვები ტრიალებდა რაც ამ თავის დასაწყისს აქვს....გაუღუჩებლად ტრიალებდა რეალობა.

.....

„ერთი, მოკვდავის სევდა, უფრო სრულია, ვიდრე

სამყარო“.ი. ჩარკვიანი.

უყურებდა მენაბდე შვილს და სულ აერია შეგრძნებები, მოეშალა სულიერი წყობა..ვეღარ ითმენდა ყოფილიყო მასთან სხვანაირად შორს, მასთან არ გამოდიოდა, შესაძლებლლობებს ცილდებოდა.

-ჩამეხუტე მამა რა, ნიკამ ძლივს გადააბა სამი სიტყვა,მაშინვე პატარა ხელები იგრძნო კისერზე მთელი ძალით რომ უჭერდა, გახშირებულ სუნთქვას გრძნობდა და პაწია გული ისე უცემდა, ისე ძლიერად, ჩიტვით ფეთქავდა..მისი ბავშვურ სუნზე, ელენესაში არეულზე შეაჟრჟოლა.

-ჩემო პატარა, ძალიან, ძალიან მიყვარხარ, სულ იცოდე. ხომ გეცოდინება მამა? ანასტასიამ თავი დაუქნია და გაუღიმა.

-მეც ძალიან მიყვარხარ, დემეტრეც მიყვარს არ მინდა ასე იჩხუბოთ ხოლმე. ორივესთან მინდა.....

-შენ არ იტირო ხოლმე რა....გეხვეწები.

-ხშირად მნახე და ჩვენთან იყავი..მასე აღარ ამეტირება ...მეც კი არ მინდა ტირილი, ვერ შევიკავე თავისით მეტირება ხოლმე. ნიკამ ხელში აიყვანა და მიიხუტა. ელენეს თვალებში აღარაფერი იყო. ყველა ტკიოდა.

-დედას გაყევი ტატია, მე გნახავ ხოლმე..მენატრები უკვე. ანასტასია მთელი გზა სანამ ელენე შეიყვანდა ხელს უქნევდა გაღიმებული.

დემეტრე ოთახში ჩაიკეტა, მთელი დღე არ გამოსულა, ელენესაც არ შეუკითხავს, არც დაუკაკუნებია, ანასტასიასთან ერთად სამზარეულოში ტკბილეულს ამზადებდა, მაგრამ გული და სული დემეტრესკენ ჰქონდა, როცა უკვე საღამო იყო და უკვე იცოდა ბრაზი მიწყნარდებოდა და მშვიდად ლაპარაკს შეძლებდნენ მაშინ დაუკაკუნა კარზე.

-დე შეიძლება? ანასტასია ოთახში შეტანტალდა და დემეტრეს ჩაეხუტა, იმ ლოყაზე აკოცა, რომელზეც დაინახა მამამ, რომ გაარტყა.

-შემოდი, ჩაიბურტყუნა დემეტრემ. სულ პატარა მეტიჩარას თავზე აკოცა.როგორ არ იცოდა დედა რას ეტყოდა, არ ჰქონდა წარმოდგენა ელენე რას ფიქრობდა მის საქციელზე, ნიკას ქცევაზე....ელენემ ტასოს გაუღიმა და ანიშნა გასულიყო.

-არ მინდა ეგ კაცი კიდევ ვნახო, ელენეს სიმწრით ჩაეღიმა...

-მასე ძალიან ნუ მოინდომებ. მაშინ ვერც დედამისის სიტყვები გაიგო, მერე მიხვდა...მხოლოდ.

-მინდა მოკვდეს, ელენეს სახე წაეშალა..ლამის ტირილი აუვარდა. თავი ძლივს შეიკავა.

-როგორი ძნელია ორივეს გაგაგებინოთ ის რაც ჩემგან ჩანს.

-დედა შენ ხომ ჩემ გვერდით იქნები, ანუ ხომ მე დამიჭერ მხარს? ჩვენ არ გვინდა ეგ კაცი, არაფერში გვჭირდება, მეც შევძლებ რომ გვერდში ამოგიდგე....ყველანაირად ვეცდები რომ ამაყად ვიყოთ მთელი ცხოვრება, მას არ აქვს ამხელა გავლენა ჩვენზე, ჩვენს ბედნიერებაზე, უიმისოდაც შევძლებთ დედა, ხომ გესმის? ხომ ხვდები მე რას ვამბობ? დემეტრესთვის დედამისის ყოველი სიტყვა სამყარო იყო, დედა დარჩა, რომელსაც სულიერად ეჭიდებოდა, დედის არსებობა ხდიდა მის ოჯახურ ცხოვრებას ასატანს, ის აფიქრებინებდა, რომ არსებობენ საოცარი ადამიანებიც იმ უღირსებო და საზიზღარი არსებებთან ერთად.

-მე სულ შენ გვერდით ვიქნები დემეტრე, შენს ირგვლივ, რომ არ დაუშვა შეცდომა.....ვიცი ძნელია შენს მდგომარეობაში ამის გაგება და გადატანა, გგონია, რომ დაგამცირა, გგონია, რომ შენი ღირსება გაანადგურა, ახლა შენ ბევრი რამის დამტკიცება გიწევს და მამა ახლა გეღობება წინ, შენგან ასე ჩანს...

-შენგან სხვანაირად ჩანს? შეეცადა გულგრილად ეკითხა.

-ნიკა ცოტა უცნაურია, ვიცი შენ ვერ გაიგებ, არ იცნობ, მაგრამ, რომ შეეცადო მის ხასიათის გამოცნობას უფრო ბევრი რამ იქნება ნათელი, ის კაცია, რომელსაც ფეხბურთი სიცოცხლეზე მეტად უყვარდა, არაადამიანურად იცი... მისი თამაშისდროს ნიკა სულ სხვანაირი იყო, მე თამაშის პროცესს არ ვგულისხმობ თვითონ მას ვგულისხმობ, როცა თამაშობდა. დიდი ხანი ვფიქრობდი ამაზე ასე რატო შეიცვალა, მერე მივხვდი რომ....დემეტრე სმენად იყო ნაქცევი...ის უბრალოდ ამ ყველაფრით ცხოვრობდა და უაზროდ ბედნიერი იყო, წარმატებული ყველაფერში, არ არსებობდა რამე რასაც შეეძლო ნიკა გაებრაზებინა, მაშინ როცა გავიცანი, იცი როგორი უდარდელი იყო, შეუძლებელი იყო რამეს გაეღიზიანებინა, ყველა პრობლემას სიხარულით წყვეტდა, საკუთარი თავი ბოლომდე რეალიზებული ჰქონდა და ცხოვრებასაც სხვანაირად

უყურებდა, პრობლემებს ცხოვრებისეულ აუცილებლობად აღიქვავდა და მასთან ბრძოლაც უადვილდებოდა, ამ ყველაფერს კი ფეხბურთი აბალანსებდა, უბრალოდ იმის კეთება რაც სიამოვნებდა ძალას აძლევდა ყოფილიყო ისეთი როგორიც უნდოდა.....

-ფეხბურთზე დამოკიდებული იყო, და მის გარეშე არაფერი შეეძლო.!! ბევრი კარგავს ასე თამაშის უფლებას, მაგრამ ადამიანობას არა...

-არა დემე აქ ფეხბურთი ისეთივე უმნიშვნელოა, როგორც კალათბურთი ან ნებისმიერი სპორტი, აქ მნიშვნელობა იმას აქვს თუ რა სიამოვნებას იღებდა საკუთარი საქმისგან, ეს შეიძლება ფასადების ღებვა ყოფილიყო ფეხბურთის ნაცვლად ან ნებისმიერი სხვა სამუშაო. თუნდაც შენს მაგალითზე ავიღოთ, როცა რაღაც გსიამოვნებს და იმას აკეთებ, ეს ხომ გყოფნის რომ სხვა უმნიშვნელო პრობლემებს თავი დაახწიო? ხომ არ გაინტერესებს იმ დღეს ანასტასიამ მიგირია თუ არა ოთახი? დემეტრეს გაეცინა.

-ის ძნელად ეჩვევა და ძნელად კარგავს, მან ფეხბურთში ჩადო ყველაფერი და ერთ დღეს უთხრეს რომ უბრალოდ სახლში უნდა წასულიყო..დემეტრე ყველაფერი შიგ ჩადო, რაც გააჩნდა, სულ ყველაფერი...

-მას ხომ შეეძლო გაეგრძელებინა, ტრამვა ვის არ ჰქონია, რონალდოს ტრამვა ინტერში მან კი მას შემდეგ რეალში თითქმის ყველაფერი მოიგო, ის ფენომენი იყო..ის იყო ნამდვილი მებრძოლი..მამაჩემი კი სახლში დაჯდა..არ იბრძოლა..

-ის 28 წლის იყო, თავისი კარიერის ყველაზე კარგ ფორმაში, მოუწია გაეკეთებინა ოპერაცია, რომლის შემდეგ მხოლოდ 11 თვეში შეძლებდა ვარჯიშს, მხოლოდ ვარჯიშს და არა თამაშს. ამის შემდეგ არ იცოდნენ როგორ ექნებოდა ფეხი, შეიძლება ხშირად შეეშალა ხელი, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა იმასთან შედარებით რის გამოც დაანება თავი ნიკამ, იცოდა რომ ვერასოდეს იქნებოდა ისეთ როგორიც ადრე, უბრალოდ დრო არ ეყოფოდა, 29 წლის ვარჯიშის უფლებას მიიღებდა მხოლოდ იმაზე უარესი ფეხით ვიდრე დაიწყო, 30 წლის ბევრი ამთავრებს თამაშს უკვე და არ უნდოდა ასე გაეგრძელებინა, იმ დროს უამრავი ადამიანი ათენებდა სახლთან, ხვდებოდა ქუჩაში, ტელეფონი არ ჩერდებოდა, მოდიოდა უამრავი წერილი, ყველა ამხნევებდა და ბრძოლისკენ მოუწოდებდა, ყველას ჯეროდა მისი, მის გარდა.

-ეს სისუსტეა უკვე. შეუწყნარებლად მკაცრი იყო დემეტრე განსჯისას.

-ამას მე ვერ გეტყვი, ეს თვითონ იცის, მაშინ სუსტივით მოიქცა თუ არა, მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ის მამაშენია დემეტრე, ასეთია და თუ ერთმანეთს ისეთს არ მივიღეებთ როგორებიც ვართ მაშინ მარტო ცხოვრება მოგვიწევს. უერთმანეთოდ, ფასეულობებისგან შორს, იმ უხილავი მაგრამ ყველაზე ძლიერი ბორკილების გარეშე რაც ჩვენ სულებს სიამაყით ავსებს. ესაა ოჯახი, ეს არის აზრი რაც ოჯახს მთლიანს ინარჩუნებს. ამ ყველაფრის შემდეგ მოუწია ცხოვრება იმ ცხოვრებით, რომელსაც არ იცნობდა, ვერსად ახერხებდა საკუთარი თავის პოვნას და ითრგუნებოდა, მეგობრებს ჩამოშორდა, გადმოვედით აქ სადაც თითქმის არავინ ცხოვრობს, მეზობლები არ გვყავს, მხოლოდ იმიტომ რომ ბავშვების ხმა არ შემოსულიყო როგორ თამაშობდნენ ფეხბურთს, ერთხელაც არ უნახავს თავისი მეგობრები, გუნდეელები, რადგან

ისინი ახსენებს იმას თუ როგორი ბედნიერი იყო, ადამიანს კი ამის გაძლება ცოტა უჭირს. ახლა მას საკუთარი შვილი ხმამაღლა უყვირის და ლანძღავს.. თანაც ამ შემთხვევაში დაუმსახურებლად, იმან თუ აქ პასუხი არ გასცა სანდროს ჩვენ თვალწინ არ ნიშნავს, რომ უპასუხოდ დატოვებდა,თუნდაც ასე ყოფილიყო, ჩვენ ოჯახზე უკვე ვთქვით!! ოჯახში სიყვარულია ყველაფრის მიუხედავად, მოგვწონს თუ არა ერთმანეთი.დემეტრე ამასაც გაცნობა უნდა მისი დანახვა, თანაც სულაც რომ მართალი იყო ამ ქვეყნად მშობლებთან საჭიროა, რომ სხვანაირი მიდგომა გქონდეს, იმას ვერასოდეს ეტყვი, ვერასოდეს მოექცევი მშობელს, როგორც სხვას იგივე სიტოაციაში, უბრალოდ მათ გამო ხარ ადამიანი ცოცხალი,მათ ყველაზე ძვირფასი გაჩუქეს სიცოცხლე. ნიკას ცხოვრება მისი ტრამვა.... ცხოვრებისგან არც ისე კარგი საჩუქარია დემეტრე..ეს ჩანს ჩემგან დედა, ამას ვხედავ მე.....

-მან მე გამარტყა! ეტყობოდა რომ ყველაფერი რომ დაევიწყებინა ამას ვერ შეძლებდა. ცხოვრება გამიმწარა, ყველაფერი ამიკრძალა და ბოლოს ესეც არ ითაკილა, გამარტყა..ესე როგორ დამამცირა...როგორ არ იფიქრა სულ ოდნავ მაინც, როგორ საერთოდ არ ვუყვარვარ? ოდნავ მაინც, უცხო ხომ არ ვარ შვილი ვარ, რა დავუშავე? რამე დავუშავე ცხოვრებაში? რამე შემეშალა? რატომ არ ფიქრობს ოდნავ მაინც ჩემზე.

-მას შენ უყვირე და მისკენ იწევდი! ნუთუ უნდა დაგერტყა, რომ შენი საქციელის სიმძაფრე გეგრძნო? ხომ გაგაფრთხილე რომ არ გეთქვა მისთვის ეს სიტყვები? მამის შეურაცხყოფა ხომ აგიკრძალე დემეტრე? როგორ გგონია რატომ? მე ნიკას ვიცნობ და ვიცი არაფერს იტანს ადვილად, მაგრამ არც სხვას გადაატანინებს. ძალიან ძნელი იქნება რომ ის ისეთი გახდეს, როგორც ადრე..მაგრამ ეს სულაც, რომ არ მოხდეს გახსოვდეს, რომ მამაშენია. აქ ყველაფერი მთავრდება დემეტრე..ნურც სიყვარულს დააყენებ ეჭვქვეშ, როგორც შეუძლია ისე უყვარხარ....და თუ ჩემი ოდნავ მაინც გჯერა იცოდე, რომ შენ გამო არც კი დაფიქრდება ისე გაწირავს თავს.

-არ ვიცი, არ მიყვარს.....

-არ გიყვარს? კარგი მაშინ პრობლემაც არ არსებობს დე, ნიკა არ შეგაწუხებს, იმდენად არ შეგაწუხებს, რომ სისხლი გაგეყინება და გული ძალიან გეტკინება, თუმცა თუ არ გიყვარს არაფერს იგრძნობ..დემეტრე ცოტა დაიბნა ვერ მიხვდა რას ეუბნებოდა ელენე.ხშირად არის ცხოვრებაში ემოციებში, მეხსიერებაში ჩარჩენილი ფაქტები, რომლებიც ისე შორს არის გვგონია..რომ შეიძლება სიზმარიც იყოს და არა რეალობა..ასე იყო დემეტრე..სამ წლამდე ძალიან ბუნდოვნად...უმნიშვნელოდ ახსოვდა მამა..ახსოვდა და სულ ის ტანჯავდა რომ ეს სხვა ადამიანი იყო..ის მამა თითქოს მხოლოდ სიზმრებში არსებობდა..მხოლოდ დემეტრეს ეკუთვნოდა ეს ემოციური მეხსიერება ვერც კი ამბობდა..იცოდა და გრძნობდა მხოლოდ..გრძნობდა განსაკუთრებით მაშინ როცა ბრაზდებოდა, როცა ნიკას უბრაზდებოდა..გრძნობდა რომ მასთან ერთად თამაშებზე ყოფნა ახსოვს, პირველად მამამ ჩაჩურჩულა ყურში ძალიან ღრმად, რომ ფეხბურთელი უნდა ყოფილიყო..მაშინ ძლივს დადიოდა და ბურთსაც ძლივს მიარტყა პატარა ფეხი..მამა რამსიმაღლე ეჩვენებოდა..მზეს სწვდებოდა..ახსოვს რომ მისი ფორმა ხშირად ეცვა ოღონდ თავისი ზომის, ნიკას ნომრით და გვარით..თუმცა გვარი მისიც იყო, ჩაეღიმა..სულ რომ არაფერი მშობელი იმდენ რამეშია დაკავშირებული ჩვენ ცხოვრებასთან, რომ ამ ჯაჭვს ვერ

გავწყვეტთ ყველგან აქვს გადგმული ფესვები.. წვრილმანები, თუნდა ის რომ მის მაისურს ყოველთის „მენაბდე“ეწერება მასავით...წვრილმანები შეადგენენ ცხოვრებას და ეს წვრიილმანები გვაიძულებენ დავფიქრდეთ დავფიქრდეთ იმაზე, რომ არაა მარტივი გძულდეს ის ვინც გიყვარს.

ნიკას ფიქრმა მთელი ენერგია წაიღო, ისე დამძმებული იყო ყველანაირად, რომ მეტი ვერც წარმოედგინა, უკვე აღარ ჰქონდა მნიშვნელობა ერთით მეტი თუ ნაკლები პრობლემა ექნებოდა, უბრალოდ გრძნობდა, რომ ქვევით ძალიან დაბლა მიექანებოდა....საკუთარი თავი დაკარგა, ის ნიკა დაკარგა, რომელშიც ყველაზე ბედნიერი იყო..არადა იცოდა, ჯეროდა, რომ სიყვარულს სულისთვის სიკეთე მოაქვს ის კი დაამძიმა.....დემეტრე! სულ სხვანაირად გრძნობდა ყველაფერს, სულ სხვა რამ იყო მისთვის ის...ვერც კი გამოხატავდა რას უკავშირებდა დემეტრეს არსებობას მის ცხოვრებაში..რას ნიშნავდა მისი პირველი კბილი, ფეხის ადგმა...როგორ ეტკინა...ისე გაამწარა ტკივილმა..სული აუჯანყა, გონება აურია და სხეული ჩამოფხოტნა...პრობლემებს ვერ ალაგებდა, ვერ ფიქრობდა რა მოეგვარებინა რითი დაეწყო..ნუთუ ასეთ დროს მიდიან ადამიანები ხიდთან, ჩაეღიმა..ისე ჩაეღიმა თითქოს ის ის არ იყო და უბრალოდ მის მდგომარეობას უხწერდნენ, მას კი ვერც წარმოედგინა რომ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდებოდა. ელენე კვდებოდა, დემეტრე დაკარგა, ლიკასთან არასწორად ქცევა სინდის უჯანყებდა, ანასტასია....ანასტასია კი ამ ყველაფრის გამო ისე ეცოდებოდა, ისე ტკიოდა, რომ საკუთარი თავი კიდევ უფრო ემეტებოდა ყველა ცუდისთვის. საკუთარი თავი მხოლოდ და არა სხვები, ახლა კი სხვების გამო ტკიოდა მთელი არსებობა. განვლილი ცხოვრება ტკენდა, სხეულს მდუღარეს ასხავდა და შეგრძნებები ალაგ-ალაგ სისხლს უყინავდა. იაზრებდა და გააზრება ყველაზე მძიმე შეგრძნებას უტოვებდა. ვერ ხსნიდა საკუთარ საქციელს, ვერ უმორჩილებდა საკუთარ ხასიათს, თითქოს სხვამ იცხოვრა ეს ათი წელი მისი ცხოვრებით, სხვამ დაუნგრია ყველაფერი, მაგრამ ეს მხოლოდ ადამიანის თანდაყოლილი ინსტიქტი იყო ყველაფერში თავი გაემართლებინა, ისე კი მანაც იცოდა, რომ სხვანაირად არ შეეძლო, ვერ გადალახავდა და ვერც დაივიწყებდა და ვერც შეეგუებოდა. ვერ აპატიებდა! ის უბრალოდ ასეთი იყო და ამას ვერ ცვლიდა, ასეთად ყოფნა უფრო ტკენდა ვიდრე მისი საქციელი..ამას კი ვერაფერს შველოდა. სადღაც გაურკვევლობასა და ბუნდოვანებაში იყო გახვეული მისი გრძნობები, ბრაზი, სიამაყე, სიყვარული, ტკივილი ფენებად ჰქონდა გარშემოკრული მის საქციელს და ახლა უკან მიხედვის ეშინოდა..ეშინოდა რომ დაიკარგა..წაიშალა ის რაც თავის თავში აშენა, ის ნიკოლოზი, რომელიც მის ცნობიერებაში არსებობდა გაფერმკრთალებული იყო და მისგან რადიკალურად და მტკივნეულად განსხვავებული ადამიანი იდგა. ერთი რამ იცოდა და აძლებინებდა ოჯახს ვერ დაკარგავ, შეიძლება მხოლოდ მათ დაგკარგონ შენ...შვილებთანაც იგივე შეგრძნება ჰქონდა..დაკარგვის და გადაჩვევის, დემეტრეს მამის არსი გაუუფერულდა, ამას არ მალავდა და აგრესია ყოველ ამოსუნთქვაში მჟღავნდებოდა, ანასტასია კი სულ სხვა იყო..უფრო დაკარგულად ეჩვენა ნიკოლოზს პატარა ტასო...იცოდა რომ მეხსიერებაში დარჩა, მაგრამ ანასტასიას გონებამ მამის ეს სახე გადამალა და მხოლოდ კარგს ხედავდა..ესეც დროებითი იყო....ესეც წლებთან ერთად თანდათან გამოვიდოდა გონებიდან და მთელ სხეულს, აზროვნებას მოუწამლავდა.ეშინოდა..ეშინოდა ისე როგორც არაფრის ამ ქვეყნად. ანასტასიაში გაუფერულების და გაუბრალოების აზრი გონებას აკარგვინებდა, იცოდა მასთან, მისგან ამას ვერ გადაიტანდა. ყველა ადამიანი ყველა ადამიანთან განსაკუთრებულ, განსხვავებულ

ურთიერთობას აყალიბებს.. მასთანაც განსხვავებული შეგრძნებები აკავშირებდა, აუხსნელი და გადაულახავი, მრავალწახნაგოვანი და ამისი შეცვლა დაშლიდა.

ბრუნდებოდა.....სულში განწირული სიმშვიდე იდგა.....მოგონებები, გზაში გაბნეული წამები, წლებში დარჩენილი და გაჩხერილი იმედები. დასასრული არის დასასრული! როცა გონება ამ სიტყვებს გაჰკივის. ირონია, სარკაზმი, ცხოვრება საოცრად დასცინის სიცოცხლეს და საოცარია ყველაფერი..... ყველაფრით ერთად ცხოვრება მაინც დაუთმობელი და გამოუცნობია. რატომ შეიძლება უნდოდეს ადამიანს სიცოცხლე, როცა მხოლოდ ტკივილს გრძნობს? ნუთუ მხოლოდ ცნობისმოყვარეობას შუძლია დაიფაროს ადამიანი თითმკვლელობისგან? და რელიგია? რწმენა, რომ თვითმკვლელობა ყველაზე დიდი ცოდვაა? კარგია, როცა იცი, რომ სიკვდილი არსად გაიქცევა, ეს ერთადერთი რამაა რაც ადამიანმა ზუსტად იცის....“სიკვდილი ყოველთვის ხელში გვიჭირავს ადამიანი კი ისეთი არსებაა, რომ იმისკენ ისწრაფის რაც ჯერ კიდევ არ აქვს“.....რატომ გვეძლევა ის რაც უნდა დავკარგოთ? რომ ვიბრძოლოთ მის შესანარჩუნებლად? და როცა ეს შეუძლებელია? როცა ეს კიბოა? მესამე სტადია სადაც მედიცინა ხელს იბანს.....სასჯელი.....ტვინმა საგანგაშო სიტყვა სწრაფად მოძებნა და განწირულის სასოწარკვეთილი სიმშვიდით მუხლოკვეთილი მაინც მტკიცედ და შეუპოვრად ჩამოჯდა მთვარის მკრთალი შუქის განათებაზე ტროტუარზე.

გონებაში სირთულის მიხედვით დაალაგა პრობლემები და მიხვდა ერთს.....არ ლაგდებოდა, არაფერი ლაგდებოდა, არც ის ფრაზა შველოდა რამეს „ესეც გაივლის“ არც ყველაზე რთული პერიოდის გახსენება...გონება კიოდა ელენეს ავადმყოფობას და ამის გამო დათრგუნული ვერ აზროვნებდა, მის იქით ყველა სუნთქვის აზრს ჰკარგავდა.

-ვა ნიკო შენ ტო? როგორ ხარ?

-ვარ მათე შენ როგორ ხარ?

-მეც, რა ხდება? რამდენი ხანია არ დაგირეკავს მეშინია დედა და მამა ხომ კარგად არიან? მათემ გადაიხარხარა.

-შენი ხუმრობის კოეფიციენტი ყველაზე მაღალ ნიშნულს ურტყავს რაც კი ოდესმე გქონია.

-კარგად ხარ ნიკოლოზ? მათეს ანერვიულება დაეტყო ხმაზე.

-ჯერ ვარ...მათეს უცნაურმა ჟრუანტელმა დაუარა...

-სად ხარ ახლა? დედა და მამა ესე იგი კარგად არიან? ცადა რაღაც ეხუმრა მათეს..

-მათე ახლა ცხოვრებაში ყველაზე მეტად მინდა რომ ძმა მყავდეს....გვერდით..არ გინდა რა არ იხუმრო, სხვა დროს მათე..ახლა არა....

-თუ რამე გინდა მითხარი მე...მე ყველაფერი მესმის..მერე რა რომ ახლა სხვა ქვეყანაში ვარ...თუ გჭირდება დამელაპარაკე და მალე ჩამოვალ ნიკა...მათეს ხმა გაბზარული ჰქონდა. იგრძნო რომ რაღაც რიგზე არ იყო...

-შენი დახმარება მჭირდება მათე....ესე პირდაპირ ნიკას არასოდეს არაფერი უთხოვია, საერთოდ თხოვნასაც ერიდებოდა ყველასთან, ახლაკი ასე დაუფარავად პირდაპირ, მათე გრძნობდა ნიკას ამღვრეულ სულს.

-მათე „ერთი მოკვდავის სევდა უფრო მეტია ვიდრე სამყარო“

-მე არ ვიცი რა ხდება, მე არ ვიცი მანდ როგორ ხარ, არ ვიცი და არც მაინტერესებს, არაფერს აქვს მნიშვნელობა, არც ერთ სიტყვას და არცერთ ქცევას...ნიკა იცოდე რომ მე შენი ძმა ვარ, იცოდე, რომ შენ გვერდით ვარ ყველანაირად, შეგიძლია როცა მოგინდება მაშინ დამეყრდნო..შეგიძლია ერთად ვიაროთ სანამ გავძლებთ და ვიცი რომ ბოლომდე გავიტანთ, გოლს არა ცხოვრებას გავიტანთ ნიკოლოზ...მე მანდ ვარ შენ გვერდით....ნიკამ გვერძე გაიხედა მხოლოდ ხიდის მოაჯირი დაინახა და მტკვრის ხმა...გალაკტიონის ხიდის მოაჯირი..განათება, რომელიც საოცრად ჰგავდა სტადიონისას, როცა ზემოთ აიხედა, ისევ ის ჟრუანტელი, როცა მოედანს ეხებოდა ბუცებით, ფეხი იხევ ნაცნობი მოძრობით გაასრიალა, როგორც ადრე ბალახზე, ბეტონი იგრძნო.....რატომ არის რომ ხშირად იმაზე მეტია ტკივილი ვიდრე გაძლება შეიძლება...ალბათ ამიტომ მიდიან ხიდთან.

„ადამიანი ადამიანისთვის დღეა“ მათეს წინ დამდგარი სახე თითქოს ამას კიოდა ედვარდ მუნკის „კივილივით“

თავი 11

“IF you can make a girl laugh, you can make her do anything.” Marilyn monroe.

როგორ უნდა დაეჯერებინა მისი ასეთობა?“ ნუთუ მასზე არაფერი მოქმედებს?“ არ წყენია, არ შეცვლილა მენაბდე. ოდნავადაც არ უმოქმედია ელენეს სიტყვებს. ნიკა ისევ ისეთ იყო, უფრო იშვიათად სახლში, მაგრამ როცა მოდიოდა, ის საღამოები, როცა მენაბდები ერთად იყვნენ, ის საუბრები, ზოგჯერ ყვირილი, სიცილი, სახლის გარეთ გატანა, ნათესავებით გამოტენილი სახლი, სიკეთე ბუდობდა შიგნით, სიკეთე ფესვებს იდგავდა და მთელ სახლს ათბობდა. უშუალობა, როგორი თბილი იყო სინამდვილეში მაია..ელენეს ცხვენოდა, რომ გამოლანძღა..სახლში იმხელა სიყვარული იყო ელენეს მენაბდეების სახლი შეუყვარდა. ის უანგარობა და უშუალობა მოსწონდა რაც გარს ეხვია ოჯახის ყველა წევრს, მათი ძაღლის ჩათვლით, რომელსაც ნიკა თითს ვერ აკარებდა და სულ იმაზე უჯავრდებოდა, რომ არ შეხებოდა...ამპარტავნებისგან დაცლილი წარმატება იყო გამჯდარი ოთახების ყველა ჰაერში....

უკვე გრძნობდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სახლში უკვე ცხოვრება შეიძლებოდა, მაინც უმეტეს დროს მენაბდეებთან ატარებდა, ნიკა იშვიათად იყო სახლში ეს ახალისებდა, მაგრამ მაინც ელოდებოდა ყოველ წამს. ის ფრაზები უყვარდა რასაც ერთმანეთს „სროდნენ“ „მათე შენ გაქუცულ ძაღლს უთხარი არ შემეხოს, თორემ მოვკლავ!“ „ბომბორაა მიდი ალოკე ჩვენი წიკუშა!“ იყო მათეს მყისიერი პასუხი. „არც იფიქრო“, დაუქნევდა, ხოლმე ნიკა ძაღლს თითს, ძაღლს აშკარად მათე უფრო უყვარდა, ნიკას სირბილი, ამიტომ ეზო აკლებული იყო.. „არ მომეკაროს, თორემ დავჭრი მათე, მართლა ვამბობ!“ ყვიროდა მენაბდე, თან ნატკენ ფეხზე ანიშნებდა მათეს.

ბომბორა კი კუდის ქიცინით მისდევდა. „ამის ბეწვი, რომ შემეხოს გავაფრენ, მართლა გავაფრენ მათე! გთხოვ რა!“ მათეც მოწყალებას მოიღებდა და ბომბორას „გამოიწვევდა“

ბომბორა მოკვდა.....

სახლში ყველამ განიცადა. ნიკა იმ საღამოს არ ჩამოსულა, ოთახში იყო უხმაუროდ შეკეტილი.

მენაბდე შემოსვლისას იმ მხარეს არ იყურებოდა სადაც ბომბორას სამყოფი იყო ხოლმე....ჩუმად გულში, ისე ეტკინა, ბომბორა, რომ წინ ყოლოდა ჩაეხუტებოდა, ხო ჩაეხუტებოდა მის ბეწვს არც კი შეიმჩნევდა.. თავადაც უკვირდა...

მშობლები უნდა ჩამოსულიყვნენ, სახლი კი გაარემონტეს, მაგრამ საჭმლის გაკეთებას ვეღარ გარისკავდნენ, ამიტომ თბილისში წავიდნენ, რადგან ცოტნეს არ ეცალა, არც მათეს ესენი ბოლო დროს ძალიან დაახლოვდნენ და „საიდუმლო“ ადგილებში ხშირად დადიოდნენ შეთქმულებივით იმ ფრაზით შუბლზე რომ გამოსახვოდათ, რომ „ცოლები არ ყავდათ და ვის რა ეკითხებოდა“ ამის გამო ნიკამ წაიყვანა ელენე თბილისში პროდუქტების და ნამცხვრების საყიდლად. ეს იყო ტანჯვა...ეს იყო არაადამიანური ჯოჯოხეთი მისთვის.. თითი არ გაუნძრევია, არც ერთ ხილს, არც ბოსტნეულს არ შეხებია, მხოლოდ კალათას აგორავებდა. ერთხელ განზრახ თხოვა ელენემ მარკეტში დადებული პომიდორი მოეწოდებინა და ისიც ინანა, ნიკამ მთელი „აუდიტორია“ შეაწუხა ცელოფნის პარკი სანამ არ მიაწოდეს და იმით არ მოკიდა ხელი. ამ ყველაფერს ისე თავისუფლად და ძალდაუტანებლად აკეთებდა სულ აგიჟებდა. ნიკას ხასიათი ოდნავ არ ეცვლებოდა ელენე განზრახ, რომ ავალებდა რაღაცებს რაც „ხელების გასვრასთან“ იყო დაკავშირებული, მერე მიხვდა, რომ ნიკა ამას შეჩვეული იყო, სხვანაირად ვერ წარმოედგინა და ცოტა გაჩერდა. მთავარი ნამცხვრისთვის შემოინახა „შემთხვევით“ რომ დასვრიდა, სასაცილოდ ჩაიქირქილა ელენემ რაღაც იდეალური აზრი.

-ვაიმეეეეეეეეე, იკივლა დიდი ბოდიში არ მინდოდა, გთხოვ მაპატიე რა.. ელენე ძლივს იკავებდა სიცილს ნიკას ნამცხვრით დასვრილ მაისურზე.

-კარგი რა მოხდა ისეთი ელენე, სირცხვილია ხმადაბლა, ნიკამ ნამცხვარი გამოართვა და მანქანის უკანა სავარძელზე გადადო. ელენე მაღაზიაში დარჩა და მეორე შეკვეთას დაელოდა ფიქრებით „არის! ახლა ნახოს ვინაა ბინძური, არ გააწყალა გული თავისი ზესისუფთავით, ჰაჰ..ჰუჰჰჰ“ ელენე ვერც მიხვდა, როგორ აღნიშნავდა ყველასთვის შესამჩნევად მაღლა აწეული ხელებით ამ „გამარჯვებას“ ...შერცხვა....ხალხის, ნიკასი არა... მანქანაში დაბრუნებულს ნიკა დახვდა ტელეფონით ხელში გაღიმებული, თანაც სხვა მაისურით.

-უი, გამოიცვალე? როგორ?

-არ იღლები?

-რატო?

-ასეთ არაადეკვატური სისუფთავით? ნიკას გაეცინა.

-მეტყობა რამე დაღლის? მათე რომ არა ვერ შემამჩნევდით, გუნდში ახლა უკვე დრამანის გარდა არავინ იცის, არც ვინმეს შეუმჩნევია სხვაგანაც, უბრალოდ მათე არ ჩერდება სულ ამაზე იცინის და ამიტომ არის ასე შესამჩნევი.

-ზედმეტად შესამჩნევიი!

-ხო როგორც გინდა, მაგრამ არ შემიძლია სხვანაირად, რომ შემეძლოს რამეს მოვახერხებდი.დაჯექი ელენე, კიდევ რამე ხომ არაა წამოსაღები? გაღიმებული სახით იკითხა ნიკამ, აშკარად ტელეფონიდან, რომ მოდიოდა, მისი კარგი ხასიათი, ელენე გაწითლდა. ახლა გაახსენდა როგორ ჩურჩლებდნენ მაია და დემეტრე ნიკას გატაცებაზე ვიღაც გოგოთი, მაია არ ცხრებოდა, დემეტრე ამშვიდებდა..ბოლოს შეთანხმდენენ მოვლენების განვითარებას დალოდებოდნენ.

-ხინკლის შეკვეთა და მორჩა! უხეშად თქვა ელენემ.

-ვინმემ რამე ხომ არ გითხრა სანამ მანქანაში ვიჯექი? რა გჭირს, რატომ ხარ ესე გაწითლებული და თვალები რატომ გაქ ამღვრეული? რამე მოხდა? ნიკა მართლა ვერ მიხვდა რა დაემართა ელენეს.

-არა არაფერი, ვის რა უნდა ეთქვა, ეგღა მაკლია, მე კი არ ავწითლდებოდი იმას ავაწითლებდი, საერთოდაც არავისი დახმარება მჭირდება პასუხის გაცემაში. არც არასოდეს დამჭირებია.

-ძალიან კარგი! გაიცინა ნიკამ. და ელენეს მართლა აუდუღდა სისხლი ბრაზით, წყობიდან ვერ გამოყავდა, ვერ აბრაზებდა, აგიჟებდა ეს აზრი.

-მაისურზე მართლა ბოდიში.

-არაუშავს არ იცოდი სხვაც, რომ მქონდა წამოღებული. ნიკამ ისე მხიარულად უთხრა, ელენე რამდენიმე წამი იაზრებდა ამ სიტყვებით, ნიკამ აგრძნობინა, რომ მიუხვდა განზრახ გაკეთებულს. ვერ იჯერებდა ასე თუ მიიღებდა. მართლა ვერაფერს უხერხებდა, ვერ აბრაზებდა, ვერ გამოყავდა წყობიდან.

-ჭკუიდან გადაგყავარ!!!!!! დაიყვირა ელენემ. ნიკას საჭისთვის ხელი არ გაუშვია, სავარძელს მიეყუდა, ხელები ბოლომდე გაჭიმული ჰქონდა და მთელი ხმით აჰყვა რეი ჩარლზის სიმღერას “Hit the road jack and don't you come back no more, no more……” ნიკა არ ჩერდებოდა..უფრო და უფრო ხმამაღლა მღეროდა...მერე გაეცინა მთელი ხმით ხარხარებდა.....

-ახლა მგონი მართლა ეშმაკი გგონივარ, თან ტრამვის გამო ცოტასაც ვკოჭლობ და ეგა�ა, ყველა ეშმაკი კოჭლია და რაღა გინდა....

-დამშვიდდი ცოტა და ნორმალურად ატარე!

-no more, no more, no more.....

-what you say? გააგრძელა ნიკამ ისევ და მუსიკის ხმას უფრო აუწია....ბოლოს ელენესაც გაეცინა ისე სასაცილოდ ატარებდა მანქანას, განსაკუთრებით მოსახვევებში, ადგილზე ცეკვავდა, მღეროდა..იცინოდა..ხარხარებდა.....woah, woman! Oh woman don't treat me so mean!!! ბოლოს უკვე ორივე ბოლო ხმაზე მღეროდა..... ფანჯრები ჩამოწიეს, ელენემ ის სათვალები გაიკეთა ნიკამ, რომ მიაწოდა და ხელებს ისე აკეთებდა თითქოს უკრავდა, ძალიან სასაცილო იყო....ადგილზე, რომ მივიდნენ სიცილით ვეღარ სუნთქავდნენ.

-ჰუჰჰჰ, ამოისუნქა ნიკამ და თავი გადაწია....ჩარლზი იყავი ნამდვილი მაგ სათვალეებში, ცოტა თეთრი...

-კარგად თეთრი, არ შეარჩინა ელენემ, მართლა ძალიან გახალისებული იყო....რამდენიმე წამი ასე იყვნენ...

-არ გადადიხარ?

-სად? ახალგაღვიძებულივით იკითხა მენაბდემ.

-მე უნდა წამოვიღო ხინკალი? ელენეს თვალები შუბლზე აუვიდა, გაუფართოვდა და დაექაჩა. ნიკა იმდენად ნასიამოვნები იყო ამ ყველაფრით არ უნდოდა გაჩერებულიყო ამიტომ მშვიდად უპასუხა. თან ახსოვდა ელენეს პასუხები კახეთში, როგორ მოწონდა, როცა ბიჭი მანდილოსნებს განსაკუთრებულად ექცეოდა.

-რა მოხდა მერე? არა თუ ვერ მოერევი გადმოგყვები...სახე წაეშალა, ელენეს თვალები აუფეთქდა... ორივე გადავიდა, კარებთან, როცა ელოდა ლორთქიფანიძე, რომ მენაბდე შეანელებდა ან შეატარებდა, უშნოდ მიარტყა მხარი ნიკამ და თავად შევიდა პირველი. „მოვკლავ" „გავგუდავ"

-10 წუთი უნდა დაელოდოთ. შეწუხებულმა ქალმა უთხრა.

-რაااااა? რა ათი წუთი, ჩვენ 4 ზე შევთანხმდით, ეს რას ჰგავს, ნორმალურები ხართ? ელენე უყვიროდა თანაც ძალიან ხმამაღლა, ნიკა თავიდან არ იმჩნევდა, ისე იდგა „მე ამასთან არ ვარ" მერე რომ ვეღარავინ დააწყნარა ნიკაზე ნერვებმოშლილი ელენე, მენაბდემ მხარზე ხელი გადახვია და მიიხუტა, იმ სუნმა სულ გააგიჟა, არაფრის იყო, არანაირი სუნამო..არაფერი იყო რასაც გონება ჩაეჭიდებოდა და იტყოდა, რაღაც საოცარი სუნი იყო ადამიანის სუნი....სისუფთავის...წყლის სუნი.... შეაჟრჟოლა....

-არაუშავს ქალბატონო, 10 წუთში წამოვიღებ, გაუღიმა ნიკამ და ელენე გარეთ გამოიყვანა....

-მომაშორე რა შენი ხელები. ფხვნილის სუნით ყარხარ. ელენემ თავი გაითავისუფლა.

-ადამიანებს არ უნდა უყვირო! მშვიდად თქვა ნიკამ. ის ქალი არ იყო ამის ღირსი, ძალიან ხმამაღლა მოგივიდა. ელენე დაიბნა, ფეთქებადი იყო, მაგრამ არასოდეს ნდომებია ვინმესთვის დაუმსახურებლად რამე დაეშავებინა....ცრემლები წამოუვიდა.

-გეტყოდი ბოდიშს, რომ გაგაღიზიანე, მაგრამ ვიცი მიპასუხებ, რომ არ ვარ ესეთი მნიშვნელოვანი შენთვის, რომ გაგაბრაზო.

-არ ხარ! ხმადაბლა თქვა ელენემ. რომ შევალ ბოდიშს მოვუხდი და არაფერი აღარ მითხრა!

მანქანაში უხმოდ ჩასხდნენ, ხმას არ იღებდნენ.

დავიღალე რა აქ ლოდინით, ამოილუღლუღა ელენემ მწარედ და აგრძნობინა, რომ მარტო უკეთესად იქნებოდა და მისი იქ ყოფნა აღიზიანებდა. ნიკა ისე იყო გართული ტელეფონში რაღაც რიცხვების ცქერით, რომ მართლა ვერ გაიგო რა უთხრა.

-რას აკეთებ? არ შეგიძლია ტელეფონი დადო? თუ მაგის გარეშე ვერ სუნთქავ. ნიკამ გაიცინა, ეტყობოდა კარგი რაღაც ამოიკითხა.

-ანგარიშებს ვნახულობ, ტელეფონის გარეშე ვერ ვნახავ და შესაბამისად ვერც ვსუნთქავ.

-აუ ესე როგორ ხარ მიჯაჭვული.

- შენ არ იცი რომ ფილტვებთან ჰაერის მიწოდების აუცილებელი კომპონენტია ანგარიშის ცოდნა? მენაბდე გულწრფელად კარგ ხასიათზე იყო და აღიზიანებდა ელენეს.

-ყველაზე უინტერესო მოსაუბრე ხარ, იცოდი? ესე იცის გაუნათლებლობამ.ნიკამ კისერთან ხელი მოისვა და გაეცინა.

-შესაძლოა. თუმცა არ ცდილობ რამენაირად საინტერესოდ დამინახო. ოდნავადაც არ ცდილობ, თორემ რამეს დაინახავდი.

-ეგ მხარე არ გაქვს! ჩაიცინა ელენემ.

-გამოიგონე! სულ გააგიჟა ნიკას პასუხმა. მენაბდემ ხელები კისერზე შემოიწყო და მანქანის სავარძელს მიეყრდნო.

-დავიღალე უკვე, მაშინ კითხვებს დაგისვამ და მიპასუხე, გულწრფელად, პირველი რაც მოგადგება და დაუფიქრებლად.

-კარგი, პროფილური კითხვები არ იყოს. გაეცინა ნიკას. (ნუ 13 წლის წინ პროფილის არსებობა, სოციალური ქსელის და აშშ არ შეიმჩნიოთ, გამოგონილია ამბავიც და ამიტომ რეალობაც გადაკეთებულია) ელენე მოემზადა, წელში გაიმართა და გაიღიმა.

-რისი გჯერა?

-რწმენის.

-რისი გეშინია?

-სხვისი წიგნის დაკარგვის.

-ვინ ხარ?

-მენაბდე.

-რას არ გააკეთებ არასდროს?

-ჩახოხბილს.

-შენი ფერი?

-ჩალის ფერი.

-რას გააკეთებ სიცოცხლის ბოლო დღეს?

-დავიბან ეს უეჭველი ვიცი. ელენემ ძლივს შეიკავა სერიოზული სახე.

-ჯერ ჯერობით ყველაზე გულწრფელი პასუხი გაქვს.

-რა არ მოხდება შენს ცხოვრებაში არასოდეს?მალევე გააგრძელა, რადგან ნიკამ შეფასების გარეშე დატოვა მისი ნათქვამი.

-არასოდეს მომბეზრდება სუნთქვა. არასოდეს მოვიკლავ თავს, ზუსტად ვიცი!

-რისი გეშინია?

-სიკვდილის. ჩემი არა ახლობლების.

-ვინ გინდოდა ყოფილიყავი ბავშვობაში?

-მამაჩემი.

-რას არ დათმობ არასდროს? ელენემ თვალებში შეხედა და აგრძნობინა რომ დრო არ ჰქონდა მოსაფიქრებლად.

-მეგონა ვინ დაგესმოდა.. ელენე გაწითლდა, ნიკა მიხვდა, რომ აქეთ საუბრის წაყვანა დასასრულს მოასწავებდა. ჩემი შვილის პირველ მაისურს, ნაკრების თამაშის შემდეგ.

-შენი ოცნება ბავშვობაში?

-ვყოფილიყავი კაპიტანი. ელენეს თვალებზე მიხვდა, რომ ვერ გაიგო სწორად რაც უთხრა. გემის კაპიტანი, მეზღვაურობა მინდოდა. ღიმილით დააკონკრეტა. გემზე მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა ფეხბურთის თამაში.

-ცხოვრება რომ თავიდან დაიწყო რას გააკეთებ?

-სახლიდან არ გამოვიდოდი. ელენეს ძალიან გაუკვირდა, წესების თანახმად არ ჰქონდა უფლება ჩაკითხვოდა, მაგრამ ვერაფრით მოითნა.

-ვიცი არ უნდა ვიკითხო მეორედ, მაგრამ ვერ გავიგე პასუხი?

-სახლიდან არ გამოვიდოდი და ამით მაინც შევძლებდი ცოტა სხვანაირად მეცხოვრა, იგივე ცხოვრება მომკლავს, ინტერესის გარეშე ყველაფერი აზრს ჰკარგავს მე კი ვიცი, რომ ისევ ბურთს იპოვიდა ჩემი გონება.

-ვინც ყველაზე მეტად გიყვარს?

-ჩემი სიყვარული ჩემიანების მიმართ. ვიცი რა კითხვა დაესმის ჩემს პასუხს, შენ სხვა რამ გაინტერესებდა, მაგრამ სიყვარული გრამატიკის წესების დარღვევას აიტანს, როგორმე.

-ყველაზე დიდი სიგიჟე ცხოვრებაში? ნიკას გაეღიმა.

-ძალიან ბევრია.

-წესებს არღვევ სწრაფად პირველი რაც მოგივა თავში.

-ყველაზე დიდი სიგიჟე წინ მაქვს.

-ნიკა!

-სადღეგრძელოდ ლექსის თქმა, რომელიც არ მახსოვდა, რომ არ მახსოვდა. ეს მხოლოდ შუა „წარმოთქმისას“ გამახსენდა და შემდეგ საკუთარი ინტერპრეტაცია, თანაც ისეთი ტონით და ხმით, რომ არავის გასჩენია ეჭვი მის „წარმომავლობაზე“ ძლივს შეიკავა სიცილი ელენემ.

-ვისთან ერთად ისურვებდი ახალ წელს?

-რეი ჩარლზთან.

-ვამაყობ?

-ეროვნებით.

-ვატყუებ?

-მცველებს.

-ვამაყობ.? განზრახ მეორედ და სწრაფად დაუსვა შეკითხვა.

-სუფთა სინდისით.

-ვკამათობ.?

-არ ვკამათობ.!

-ყველაზე მნიშვნელოვანი რჩევა.?

-„არავინ არის ვალდებული შენთან.“

-წყობიდან გამოვყავარ.?

-არ გამოვყავარ.!

-ღირსი ვარ?

-იმის რასაც ვიმსახურებ.

-არ მინდა.?

-სიბრალული.

-მწყინს?

-მათგან ვინც მიყვარს.

-ვგიჟდები?

-სიცოცხლეზე.

-არავის გავუყობ?

-ჩემს საპონს.

-36 წლის ასაკში...

-ვიქნები 13 წლით უფროსი ვიდრე ახლა ვარ.

-ნიკოლოზ! მთავარი აზრი არის ინფორმაცია შენ კი მათემატიკის ცოდნას ავლენ.

-ეგეც ინფორმაციაა, მაგრამ კარგი არ ვკამათობ. 36 წლის ასაკში მე არ ვიცი რა იქნება...ვიცი რომ ვერ ვითამაშებ და უკვე ცუდ ხასიათზე ვარ ხომ ხედავ, გაიცინა ნიკამ.

-ოცნებობ?

-ოცნების გარეშე არ დავრჩე.

-მძულს.

-სიყალბე.

-ავიტან.?

-ლუდს, ფეხბურთს ტელევიზორში და ბავშვების ხმაურს.

-მეშინია.

-სიცარიელის.

-არ ვგრძნობ.?

-სინანულს.

-მაოცებს?

-როგორ არ ბერდება ბებიაჩემის თვალები. (ეს ჩემი პასუხია, ბებიაჩემს აქვს წარმოუდგენელი თვალები, ულამაზესი ლურჯი, იმდენად კეთილი და ძლიერი, ვიცი, რომ მისნაირი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ არსებობს და არც არსებულა. (ეს ნათქვამიც ძალიან ბავშვური გამომდის, დაახლოებით ისეთი ყველა ბავშვს, რომ დედა ყველაზე ლამაზი ჰგონია) ბავშვობაში არ ვცდილობდი მას ვმგვანებოდი, მეგონა ეს შესაძლებლობებს სცდებოდა. ახლაც ასე ვარ, წარმოუდგენელ რაღაცებს იტევს ეს ქალი. ასეთ სუფთა ცხოვრების, სინდისის ადამიანები არ უნდა ბერდებოდნენ, მაგრამ სამყარომ მხოლოდ თვალებზე დაუშვა ეს გამონაკლისი, მხოლოდ თვალები არ უბერდება, სხვანაირარად ყოველი ნახვა მაიძულებს რომ ვიგრძნო, როგორ სწრაფად გადის დრო.. როგორ ბერდება ბებო.)

-ვაგროვებ.

- დაჭერილ წამებს.

-მსიამოვნებს?

-გულწრფელობა.

-ვუსმენ?

-ჰარმონიას.

-რამე ჯგუფია? გაბრაზდა ელენე რაღაც, რომ არ იცოდა რაც ნიკამ. (თავს ყოველთვის უფრო ჭკვიანად თვლიდა და ამაში არანაირი ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა)

-არა ჩვეულებრივად ჰარმონიას ვგულისხმობ, მსიამოვნებს ამის მოსმენა.

-ვეთაყვანები?

-არაფერს.

-ვის აფტოგრაფს ისურვებდი?

-ნიკოლოზ მენაბდის.

-როგორი თავმდაბალი ხარ, შენ თავს ბევრ ავტოგრაფს უძღვნი?

-ეგ რა შუაში? ნიკოლოზ მენაბდე ბაბუაჩემი იყო და მართლა გულწრფელად, რომ გითხრა არავის ავტოგრაფი მჭირდება მის გარდა, მარტო მას ვიცნობდი მე ისე, რომ მისგან ეს ამეღო! ავტოგრაფებზე თავისი და განსხვავებული შეხედულება ჰქონდა ჩამოყალიბებული, მის თქმას კი მართლაა ერიდებოდა.

-მახსოვს?

-რომ „ადამიანი ადამიანისთვის დღეა.“

-ვინახავ?

-ჩემს „მიყვარხარს“

-არ გითქვამს არავისთვის? ელენემ ყველა წესი დაარღვია ისე გაოცებით იკითხა.

-ელენე!

-თავს კომფორტულად ვგრძნობ?

-როცა აბაზანიდან გამოსული ვიცმევ ჯინსებს და გავდივარ სახლიდან ისე, რომ არსად მეჩქარება.

-ქალი რომ ყოფილიყავი? ნიკას გაეცინა.

-უკვე პროფილურია!

-სულაც არა, არანაირად არ აქვს კავშირი პირად ცხოვრებასთან და არც პროფილურია ამიტომ.

-სულელურია და ამიტომ აღვნიშნე.

-ეგ არ შეიძლება! შეუვალი იყო ელენე.

-წამოდგენაც არ მინდა! ვერ ვფიქრობ.. არასოდეს დავფიქრებულვარ...ნუ.. კარგი ჯანდაბას ვიქნებოდი დედა.

-რის უფლებას არ აძლევ თავს?

-გაიაფების. მხოლოდ სატრანსფერო ფასს არ ვგულისხმობ, გადაიხარხარა ნიკამ.

-რა ღირხარ?

-35 მილიონი, თუმცა ბებო მეუბნებოდა, რომ შეუფასებელი ვარ, ბებოსი სულ მჯეროდა.

-რა არ იციან შენზე?

-ბურთს რომელ მხარეს დავარტყავ.

-რა არ იცი შენზე?

-ბურთს რომელ მხარეს დავარტყავ. გეიცინა ნიკამ.

-შენი ცხოვრება ერთი სიტყვით.

-„ჩვენ“

-რას იტყვიან შენზე წლების შემდეგ.

-იმედი გაგვიცრუა.

-რატომ ამბობ მაგას? ელენემ თავი ვერ შეიკავა.

-წესებს არღვევ.!

-გთხოვ.

-მგონია, რომ არ ვარ ისეთი როგორიც გონიათ, ამიტომ ჩემი რომელიმე გადაწყვეტილება შეიძლება იმ ხალხმა, რომელიც ბევრს ლაპარაკობს ვერ გაიგონ.

-რომ შეგეძლოს ვის ან რას დახატავდი?

-იმას რასაც ნაკრებში გატანილი გოლის შემდეგ ვგრძნობ.

-რას არ აპატიებ ადამიანს?

-მომცელე, ეს კითხვა მკლავს. საშინლად სასაცილოდ დაიჯღანა ნიკა.

-ღალატს აპატიებ?

-უკვე მაჟრიალებს, ამ კითხვას არ ვიმჩნევ. პროფილი in action.

-საშინელი ფრაზა?

-„ხომ გითხარი“

-ვერ ვივიწყებ.?

-ჩემს ძაღლს.

-მრცხვენია.?

-უიმედობის.

-ვფიქრობ.?

-როცა არ მძინავს.

-საყვარელი სურნელი.?

-წყლის.

-ვკარგავ.

-ხმას, როცა საქართველოს ნაკრებს ვგულშემატკივრობ. არ აქვს მნიშვნელობა სპორტს. ფეხბურთის გარდა რა თქმა უნდა რადგან ამ დროს მოთმინებას ვკარგავ, როცა ბურთი ჩემამდე არ მოდის.

-თან ძირითადად ასეა, გაეღიმა ელენეს.

-წესებს არღვევ!

-მაპატიე

-სიუხეშე.

-რა? ვერ მიხვდა ელენე თუ არ უნდოდა იმის გააზრება.

-გაპატიე სიუხეშე. მოუჭრა ნიკამ.

-ვერ ვიტან.?

-სიკაპასეს. ელენე უკვე აიჭრა. ნიკამაც შეატყო და გაეღიმა.

-ჯობს დავამთავროთ.! ელენემ ჯიბრით უთხრა.

-როგორც გინდა, საინტერესო იყო მემგონი, აუცილებლად ერთ დღესაც შენ იქნები ჩემს ადგილას.

-კი მართლა საინტერესო იყო, ბევრი რამის გაგება შეგიძლია ადამიანზე ასეთი სწრაფი პასუხით. მოუთმენლად დაველოდები რას მკითხავ.

-ჯერ დიდი დროა, შეიძლება აღარც გახსოვდეს.

-რატომ თქვი უარი ნაკრების კაპიტნობაზე? მოულოდნელად იკითხა ელენემ. თამაზმა გვითხრა, დაამატა როცა ნიკას გაოცებულ სახეს შეხედა.

-არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

-მემგონი მივაგენი რაც გაგაღიზიანებს, გაეცინა ელენეს.

-არა არ მაღიზიანებს, უბრალოდ ცოტა ისეთ საკითხია...არ ვიცი როგორ ვთქვა არ მიყვარს რა ესეთი რაღაცების ლაპარაკი....უბრალოდ მე 23 წლის ვარ და ნაკრებში არიან ადამიანიები, რომლებიც ჩემზე მეტად იმსახურებდნენ.....კაპიტნობის პასუხისმგებლობა ვფიქრობ, რომ ჩემთვის ადრეა, არც არაფერი მაქვს ჯერ გაკეთებული ისეთი, რომ ვინმეს რამეზე მივუთო, მით უმეტეს იმ ხალხს ვისაც უფრო მეტი აქვთ ნაკრებისთის გაკეთებული...სრულფასოვანი კაპიტნობა კი დამსახურებით მოდის, მეც მირჩევნია ამ დამსახურებისთვის ვიბრძოლო და თუ დავიმსახურებ მერე ალბათ ისევ შემომთავაზებენ....მთავარია სწორად, სწორი ცხოვრებით გქონდეს მიღებული ეს სამკლაური ვიდრე მარტო იმით, რომ საფრანგეთის პარისერჟერმენში თამაშობ..ცოტა შეურაცხმყოფელია...

-მესმის....მთელი შეგნებით მიხვდა რა უთხრა....ქარი უცნაურად აღწევდა მის გაშლილ ჩალისფერ თმაში....

ვერ მიხვდა რა ხდებოდა, ვერ იაზრებდა რატომ ეწვოდა ლოყა, გონება დაძაბა, რომ მისი მოძრაობა გაეხსენებინა, ნიკა ელენესკენ გადაიხარა, თმა გადაუწია და კისერზე ხელი ჩამოადო..ახლა გაახსენდა, რომ შეაჟრჟოლა..მის სუნთქვას ტუჩებთან გრძნობდა მერე ლოყაზე იგრძნო მისი შეხება..არც ის ახსოვს თვალები რატომ დახუჭა, როცა უნდა გაცოფებულიყო...თავად რატომ მიადო სახე....მერე ეწვოდა ის ადგილი ლოყაზე სადაც მენაბდის ტუჩები იგრძნო.... ნიკა რამდენიმე წამი დაელოდა, სანამ ელენე გაიაზრებდა, მერე იცოდა, რომ თავზე დაამხობდა ყველაფერს და გაცინებაც აეკრძალებოდა.

(ჩარკვიანის საავტორო სვეტებიინტერვიუები ამ წიგნის წაკითხვისას გამიჩნდა იდეა ელენეს კითხვების. ბლიც-ინტერვიუ საკუთარ თავთან-აქ არის ირაკლი ჩარკვიანის პასუხები დაახლოებით იგივე კითხვებზე,)

.....

„გეშინოდეთ სინდისის ქენჯნის, თუ ცდუნება დაგძლევთ და შეცდომას ჩაიდენთ, სინდისის ქენჯნა ცხოვრებას მოგიწამლავთ!.“ შარლოტა ბრონტე.

-თუ შენ მანდ ვერ მხედავ ნიკოლოზ მაშინ ჯობს თვალის ექიმთან მიხვიდე, მე მანდ ვდგავარ, შენ გვერდით, მანდ ვარ გესმის....ხომ გრძნობ ნიკა? ხომ გრძნობ, რომ მანდ ვარ? შენთან ვარ! ნიკა!...მათე წყობიდან გამოსული ყვიროდა უკვე. არაფერი აინტერესებდა, არც ის ხალხში, რომ იყო, არც ის, რომ ხმამაღლა ყვიროდა და ტელეფონი მალე ხელზე შემოეფშვნებოდა ნიკას, რომ არ ეპასუხა.

-კი, ვგრძნობ, რომ ხარ მათე.....ვიცი, რომ მყავხარ. „თავს არასოდეს მოვიკლავ, ზუსტად ვიცი“ ამოუტივტივდა ადრე ნათქვამი, ზუსტად იცოდა! არასოდეს მოიკლავდა თავს, ამ მოაჯირთან მისვლის დროსაც იცოდა, მაგრამ ტკივილის გასაყუჩებლად მივიდა, იმ ემოციის შესაგრძნობად რას გრძნობენ თითმკვლელები. მენაბდის ხასიათი ცოტა გაურკვეველია, დაულაგებელია მისი ქცევები და აზრები, მაგრამ ერთი რამ სულ შემორჩა ყველა დროში, აწმყოშიც და წარსულშიც....თუ ერთი ადამიანი მაინც განიცდიდა მის სიკვდილს დედამიწაზე, თუ ერთს მაინც დაწყდებოდა გული, მწარედ...ამოუსუნთქველად, გაუყუჩებელი ტკივილით, გადაულახავად...ის არასოდეს გადადგავდა ამ ნაბიჯს. მიუხედავად ყველაფრისა ეს ადამიანები დარჩნენ, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს ამ ადამიანების რიცხვი არ შეცვლილა, მხოლოდ ანასტასია მიემატა,დემეტრეზეც იცოდა..ზუსტად იცოდა, რომ ყველაზე მეტად ის განიცდიდა თავისებურად, მძიმედ და 13 წლისეულად..მისი 13....ნიკასაც არ ჰქონდა უფლება ბეტონს მოშორებოდა...საოცარი იყო..ათი წელი ანგრია და მაინც იყვნენ ადამიანები, რომლებიც საზღვრებსგარეშე დაიტანჯებოდნენ....სანამ ეს შეგრძნება არ მიატოვებდა მენაბდეს, რომ ვინმეს ტკივილი იქნებოდა, მანამ არც სუნთქვას შეწყვეტდა საკუთარი ნებით.

-ერთმანეთს ვყავართ ნიკო, ჩვენ ერთმანეთს ვყავართ! მათემ ამოისუნთქა. აზრებმა ლამის შეშალა და ახლა ის რაც გაიფიქრა წარმოუდგენელიც ეჩვენა. თავს ვერ პატიობდა ნიკაზე ეს რომ იფიქრა.

-აეროპორტში დამხვდი არ მაინტერესებს მე! ტაქსი-მაქსით სახლში მისვლა არ მინდა, ხვალ ჩამოვალ და მინდა პირადად მომემსახურო! გავარკვევ რეისი არის თუ არა და პირველივეზე წამოვალ. გეყურება წიკუშ?

-როგორც გინდა თავადო!

-ხო მე როგორც მინდა, რა თქმა უნდა, მენაბდე მანდ ხომ ყველაფერი კარგადაა?

-კი ყველა კარგად ვართ.

-ბარბარე?

-ნუ მეკითხები მათე! ისედაც იცი და რატომ..

-ნიკა კარგი რა მართლა ბევრი დრო გავიდა რა ვერ დაივიწყე? ცოდოა, მართლა ცოდოა....

-გამაგებინე როდის ჩამოხვალ, მგონი დროა აქეთ წამოხვიდეთ...

-ნუ ამტეხე რა შენი ჭირიმე ისედაც სული ხელით მიჭირავს ისე მენატრება მანდ დალევა..აი მანდ სულ სხვა გემო აქვს ყველაფერს რაა....

ახლა რაღაც ძალა იგრძნო, თითქოს ის ჟინი, რომელიც ბრძოლის უნარს აძლევდა მთელ სხეულზე მოეკიდა და წვა დაუწყო, ახლა რომ ეს მშიერი და აჯანყებული ჟინი არ გამოეკვება იცოდა, რომ გააგიჟებდა.....ეს ჟინი იმ აზრს მოყვა, რომელიც ფეხბურთს გამოატანა ფიქრმა..

-მე ერთიანად არ მაქ ანგარიშზე ფული, ნუ სკოლის გასაკეთებლად არადა ძალიან სწრაფად მინდა..

-რა სკოლა ტო? მათე დაიბნა...

-საფეხბურთო სკოლა, ახლა ადგილს ვარჩევ, რამდენიმე მიწის ნაკვეთი ვნახე.....მათე გაოცებული იყო.. ნიკამ შორს გაიხედა, გულში გაიფიქრა რომ იქ სადმე მართლა იქნებოდა შესაფერისი ადგილები, სხვანაირად ვერ მოიტყუებოდა, ისიც არ უნდოდა რომ მათე იმას მიმხვდარიყო სადაც იყო, გრძნობდა რომ ეჭვი ისედაც ჰქონდა.

-შენ ფეხბურთი სიტყვა ახსენე? საფეხბურთო სკოლა? შენ? ნიკა, ნიკოლოზ შენ ვერ წარმოიდგენ ....წიკუუუუუუუუ, საღოლ ბრატ!!!! აი უკვე წინ ვართ...პელიტო... ვერ წარმოიდგენ ახლა როგორ ვარ..მათე ხარხარებდა...ჩემი მარადონა, ჩემი პელიტოოო..

-ვერ წარმოიდგენ რომ ხარ ეს რას ნიშნავს....ნიკამ ტელეფონი გათიშა, ჩაეღიმა და მანქანისკენ წავიდა.. საოცარი იყო ყველაფერი, საოცარია რომ 37 წლის ასაკშიც ძმა ისევ ისეთია, საოცარია რომ არსებობს ადამიანი, რომელაც შენი მშობლების სისხლი აქვს ძარღვებში, ალბათ ღმერთს

უნდოდა უფრო მეტად ყვარებოდათ ერთმანეთი ადამიანებს და ამიტომ არსებობენ ადამიანები, რომლებთანაც საერთო მშობლები გვყავს....სულ რომ არ ენახა, სულ რომ არ დალაპარაკებოდა....ზოგჯერ მათე მისთვის დედამიწაც იყო და სამყაროც...უბრალოდ ადამიანი, რომელიც შენთან ახლოსაა ისე რომ არც მოუშვა მაინც ახლოსაა, "დღეა"...ბარბარეს გახსენებამ ყველაფერი ჩაწყვიტა..ამ ტკივილს განელება ვერც ამდენი წლის შემდეგ შეძლო.

....ყველაფერი დალაგდება..თუ არ დალაგდება უნდა დაავალაგო...თუ არაფერი გამომივა მე ხომ ვეცდები...მთავარია რომ ეცადო..მთავარია რომ არ გაჩერდე, იმოძრაო....ყველაფერი გააკეთო და მერე...მერე ....მთავარი უკვე იყო!!! ეს ის სიტყვებია, რომელსაც სულ იმეორებდა ყოველი თამაშის, დაბრკოლების თუ პრობლემის წინ..უნდა მოეგვარებინა მისი მოსაგვარებელი, მაგრამ ისე რომ თავი არ დაეკარგა, უკომპრომისოდ! სულის საზღვრების მოურღვევლად! არ უნდა შეცვლილიყო და დათმობაზე არ უნდა წასულიყო....ძალა ბურთისგან უნდა აეღო, ემოციისგან, რომელსაც მხოლოდ მაშინ იღებ, როცა ბურთი ბადეშია, ბალახის საფარის ხმა, ოფლის წვეთები სხეულზე, ხმა, რომელიც მხოლოდ იქ ისმის, სტადიონის განათება...და შეგრძნება რომ გოლი გავიდა!...გოლი აქ არაფერ შუაშია მთავარი აზრია, როგორ გადის გოლი კარში..აი აქ იყო მთავარი ძალა....ენერგია რასაც მენაბდე იღებდა, მოედანზე შეეძლო ეცხოვრა..ცხოვრება იყო უფრო სწორად მოედანი, სადაც ადამიანები ცხოვრობდნენ, იბრძოდნენ და მხოლოდ..მხოლოდ ერთმანეთის დახმარებით შეეძლოთ გოლის გატანა..იქ ყველა რგოლი საჭიროა, იქ ყველას თავისი ადგილი აქვს...ტაქტიკა..როგორი სასაცილო სიტყვაა, ჩაეღიმა..ხშირად უმეორებდნენ, რომ მისი გონება მწვრთნელის უფრო იყო ვიდრე მოთამაშის..თითქოს ძალა იპოვა! თითქოს? იპოვა!!!!!

ლიკას თითქმის არ ელაპარაკებოდა, ესეც ფიქრის ნაწილი იყო.....ანასტასია იყო ერთადერთი ძაფი რითაც მის ოჯახს უკავშირდებოდა..ყველაზე მთავარი რგოლი.....ტასოს ისე ჩაებღაუჭა როგორც ერთადერთ მიმავალ გზას კარამდე...თანაც სუფთა გზას.... ელენესგან წინააღმდეგობას არ ხედავდა, არანაირს, უკვირდა, მაგრამ მერე ფიქრობდა რომ ელენე მისი ავადმყოფობის გამო შეიცვალა და ცდილობდა შვილებთან ნიკას ურთიერთობის გაუმჯობესებას.. დემეტრე..დემეტრე არც არსებობდა, აღარც არსებობდა..წყენამ ისე შეაღწია სისხლში, რომ ორგანიზმმა შეუკავებელი ნებისყოფა გამოიმუშავა..ყველანაირად, ყველგან, ყველა სიტოაციაში ცდილობდა ნიკა რომ არ ენახა.....მაგრამ შეცვლილიყო! დემეტრესთვის უნდა გამხდარიყო ადამიანი, რომლისგანაც რჩევას მიიღებდა, ამ გზას მენაბდე ბოდიშებით არ დაიწყებდა! არც შეეძლო! ძალიან ეწყინა! საშინლად ეწყინა დემეტრე...არ ეგონა ასე თუ განიცდიდა მის ხმამაღალ სიტყვას, ეგონა მოგუდეს, როცა დემეტრეს უყურებდა, ეგონა მოესმა „არაკაცო" „ლაჩარო" აგიჟებდა ის დარღვეული ზღვარი რაც მამებთან აქვთ. მორღვეულ პატივისცემას ვერ პატიობდა...ვერც საკუთარ თავს...

თავიდან დემეტრეც ასე იქცეოდა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ მამამისისთვის ცარიელ ადგილად იქცა.....საერთოდ..საერთოდ არაფერი არ აინტერესებდა მისი...გამარჯობაც არ არსებობდა.... წინ რომ დამდგარიყო ასე ეგონა ნიკა ისე გაივლიდა მის სხეულში, რომ ვერც შეამჩნევდა..თითქოს არ მდგარა, არ არსებობდა.....ახლა დაფიქრდა ელენეს სიტყვებზე „კარგი თუ არ გიყვარს, მაშინ არც პრობლემაა დე" იმასაც მიხვდა, რომ ელენემ იმიტომ უთხრა რომ დაფიქრებულიყო, უფრო

მძაფრად ეგრძნო, რომ მამამისი სულ ერთი არ იყო მისთვის. ელენე თავდაუზოგავად ცდილობდა დემეტრე არ გაქცეოდა, უკვე ეშინოდა ისე აკონტროლებდა, ფრთხილად, ზოგჯერ ჩუმადაც..კარგად იცოდა ამ ასაკის პრობლემები და ისიც იცოდა ამ ფსიქოლოგიით დემეტრე ვერ გაუძებდა მოწოლილ წნეხს....ასე გაზრდილი შვილის „გაფუჭებას“ ყველაფერი ერჩივნა. ბაბუა ედგა მხარში დემეტრეს ბაბუა, უფროსი დემეტრე მენაბდე, ამ წლებმა ისე დააკავშირა ერთმანეთთან, რომ მის გარეშე ვერ წარმოედგინა, დემეტრე იყო ის უხმო დასაყრდენი, რომელსაც ელენე ეყრდნობოდა..დაუფიქრებლად ენდობოდა. წარმოუდგენელი კავშრი ჰქონდა მოსახელე შვილიშვილთან, ნიკასაც კი, რომლისთვისაც ამდენი წლის განმავლობაში ზედმეტი ხმამაღალი სიტყვაც კი არ უთქვამს არ აპატიებდა მოსახელე შვილიშვილის „უბედურებას“ არავის აპატიებდა.....ნიკასთვის მამამისი ისევ იმ ზღაპრის გმირად დარჩა, რომელიც ბავშვობაში შექმნა. ადამიანი, რომელსაც ჰგავდა..მაგრამ შემდეგ ცხოვრებაში ფეხი აუცდა..დიდ დემეტრეს კი ფეხი არასოდეს არევია..მთვრალსაც კი არასოდეს გადაუხვევია ბარბაცით გზისთვის, სულ უკვირდა ფანჯარაში ყურებისას პატარა ნიკას, თვალები რომ მინებზე რჩებოდა მამამისის გამართულ სიარულს, რომ ხედავდა....მას ღვინოც კი ვერ ერეოდა ამაყად იძინებდა „დაუმარცხებელი რაინდის“ შვილი, სიზმრებში ვერაფერი მოერეოდა....

ნიკა ყველაზე დიდ დროს ბელთაურთან და მათესთან ატარებდა....დაიწყო მეგობრებთან 10 წლის გაწყვეტილი ურთიერთობის აღდგენა და მიხვდა, რომ ეს ურთიერთბა არ არსებობდა!! დავიწყებოდათ ერთმანეთი, გადაჩვევის საშინელი შეგრძნება და ძალა ხელახლა დაწყების. იცოდა შეეძლო, ამის ძალა უნდა ეპოვა...ყოფილ გუნდელებთან შეხვედრებს მოუხშირა..წარსულის გახსენებისას, თამაშების, გოლების, უკვე ვეღარც გრძნობდა რომ მათთან არ იყო ბოლო 10 წელი...ზღვარი იყო გადებული, მაგრამ მიზანიც ის იყო,რომ ეს ზღვარი გაეფერმკრთალებინა.

სპორტულ სკოლას თავისი ხელით აშენებდა, მუშებს თავდაუზოგავად ეხმარებოდა, მათე ისევ დასცინოდა, ყველაფრის დათმობა შეეძლო ნიკას გარდა საშხაპის, დაღლილები, რომ გამოვიდოდნენ ვინმეს, რომ დაესწრო მოკვდებოდა მენაბდე, პირველი შევარდებოდა..ნიკას ეს „ჩვევები“ შეუმჩნეველი იყო ყველასთის, ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე აკეთებდა ამას, მაგრამ როცა მათე მის გვერდით იყო ეს შეუძლებელი ხდებოდა, ყველა იგებდა, რომ ნიკა იყო „წიკიანი“ ავადმყოფურად თან დაბადებით....მათე და თამაზი განზრახ ამის გამო ცემენტებს უყრიდნენ მანქანაში, ნიკამ მთელი 18 კილომეტრი სახლამდე ფეხით გაიარა....მანქანა მთელი მონდომებით გაუწმინდეს..გაუხეხეს, გაუსუფთავეს და ისე მიუყვანეს სახლში..ამის მერე არც კი გაუფიქრებიათ ასეთი რამე..ნიკა კი არც გაბრაზებულა, საკუთარ თავში იპოვა ის რაც ძალას აძლევდა მხოლოდ მისი მიზნისკენ მიმავალ გზას ხედავდა..თითქოს უნდოდა ყველაფეერი მოესწრო ძალიან სწრაფად...ელენეს გამო, მის გამო უნდოდა ყველაფერი სწრაფად.....ლიკას განქორწინებაზე სიტყვა აუგდო რეაქცია აინტერესებდა, ის კი ურეაქციოდ შევიდა ოთახში..ღრმად ჩაფიქრებული და არეული გონებით ესე ადვილად, რომ არ დაათმობინებს კაცს, რომელიც მთელი შეგნებით უყვარდა. არ უნდოდა წინასწარ რამის თქმა, ამიტომ ვერც ელენესთან მიდიოდა და ვერ ეუბნებოდა რომ განქორწინებას აპირებდა, სხვანაირად ელენე ახლოს არ იკარებდა....გაგიჟებამდე იყო მისული იმაზე ფიქრით, რომ ახლა მისთვის ყველაზე ძვირფას დროს კარგავდა.. თამაზს გული გამოაჭამა სანამ დიაგნოზი, არ მოატანინა, მერე ეჭვი

შეეპარა ელენეს ქცევები, სიმპტომები არ ჰგავდა იმ დაავადებას.... ლამის მეცნიერულ დონეზე იცნობდა უკვე ამ ავადმყოფობას, სულ მასზე კითხულობდა და ყველანაირ ინფორმაციას ეძებდა. იმასაც ფიქრობდა რომ წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდებოდა და თავისი ფიქრები აგიჟებდა..გამოსავალს უკვე არარეალურობაშ ეძებდა.ბოლოს ბელთაურმა ექიმმის ნახვა შესთავაზა, როცა შეატყო რომ ნიკა უცნაურად იყო.. ექიმის ნახვამ მისმა სიტყვებმა ხელახლა განაცდევინა ის ყველაფერი რაც პირველად ელენეს ავადმყოფობაზე..

საავადმყოფოდან გამოსული თითქოს მიწას არ ეხებოდა უბედურებისგან...ელენეს მონატრების ტალღამ ისე დაუარა, რომ ეგონა ძვლები დაემსხვრა და სხეულში ჩამსხვრეული შაიშალა.....სახეზე არაადამიანური ფერი ედო..ვერც გაიაზრა როგორ მივიდა სკოლასთან, მერე იგრძნო, რომ დემეტრემ გვერდით ჩაუარა და ანასტასიას ტიტინის ხმაც გაიგონა....

-მამიკო შენც მოხვედი? დედიკოც მოვა მალე, დემეტრემ გამომათრია სკოლიდან არადა მე მინდოდა ყოფნა ლექსები ვისწავლე და ჩემს მეგობრებთან ერთად ვყვებოდი..ხმამაღლა..

-ყვიროდი, შეუსწორა დემეტრემ.

-ვყვებოდი, დაქაჩა თვალები პატარამ..

-ყვიროდით მაშინვე ვიცანი შენი ხმა დერეფნის ბოლოში ვიყავი დაეჯღანა დემეტრე და ცხვირზე ხელი ჩამოკრა. ეგონა მამა რამეს მაინც შეეიმჩნევდა, ხუმრობას მაინც აყვებოდა, ან სულაც ტასოს დაუჭერდა მხარს, ნიკა კი გაუნძრევლად იდგა მანქანაზე მიყუდებული და ძლივს მოახერხა ანასტასიასთვის ჩანთის გამორთმევა.....ელენე მალე მოვიდა, ნიკას სახე რომ დაინახა თვალები აემღვრა..

-როგორ ხარ? რა მოხდა ნიკა, ხომ ყველაფერი კარგადაა? ნიკამ ფეხსაცმელს დახედა, თავი არ აუწევია ისე თქვა ჩამწყდარი ხმით.

-ვარ...შენ როგორ ხარ ელენე? ელენე მიხვდა როგორ ცუდად იყო იმაზე ცუდად ვიდრე ოდესმე..ასეთი არ უნახავს, წაშლილიც იყო, სასოწარკვეთილიც, ნაწყენიც, დაბნეულიც, მაგრამ რაღაცა ჰქონდა მტკიცედ გადაწყვეტილი..რაღაც იყო მტკიცე მის გამოხედვაში..

-კარგად, წამოხვალ ჩვენთან? ელენე ხმას ძლივს იმორჩილებდა, რომ არ ეტირა.. ბავშვები მანქანაში ჩასხდნენ, ნიკამ ფრთხილად მოხვია ხელი ელენეს და გვერძე გაიყვანა.

-ნიკოლოზ რა გჭირს? არაადამიანური სახე ჰქონდა მენაბდეს.

-უშენოდ არ მინდა! ვერ მინდა გესმის! არ შემიძლია, დავბრუნდეთ პარიზში, საერთოდ ყველაფერი მივატოვოთ აქ, აი სულ ყველაფერი ადამიანები, შენობები, გრძნობები, ჩვენ და ჩვენი ორი. ნიკამ ბავშვებისკენ გაიხედა.

-რას ამბობ ნიკა, სიგიჟეა.

-ხომ იცი, რომ არ მაინტერესებს, ხოლმე რაა სიგიჟე და რა არა, მოდი რამდენი ხანიც ვიქნებით ვიყოთ ბედნიერები, მოდი დავივიწყოთ ეს სამყარო, ჩვენი წარსული, ყველაფერი დავივიწყოთ,

ერთად წავიდეთ, იქ უბედურები ვერ ვიქნებით...ჩვენს ბინაში ელენე. არც ასეთი ძლიერი იყო ელენე, რომ ამ ყველაფრისთვის გაეძლო, იმ სიტყვებისთვის გაეძლო რის მნიშვნელობასაც მხოლოდ ეს ორი იყოფთა, „ჩვენ ბინაში“ „იქ უბედურები ვერ ვიქნებით“ აგიჟებდა ეს სიტყვები, მაგრამ აგიჟებდა ისიც, რომ სხვის ქმარს ელაპარაკებოდა, სხვისი ქმრისგან ისმენდა ამ სიტყვებს და არა მისი ნიკასგან. სტატუსი ხშირად ცვლის ყველაფერს.

-არ შემიძლია, გთხოვ ნიკა, გევედრები, თუ ოდნავ მაინც რამეს ვნიშნავ შენთვის გევედრები არ დამაკარგვინო საკუთარი თავის პატივისცემა. ისე ცუდად ვარ შეიძლება გავგიჟდე, შენ ხომ იცი ეს სიტყვები ჩემთვის რას ნიშნავს, შენი სიტყვები ახლა ყველაფერია ჩემთვის, მაგრამ არ შეიძლება, ესე შენც აღარ გეყვარები ეს რომ გავაკეთო, ისეთი არ ვიქნები როგორიც შეგიყვარდი. ისე ვერ გავძლებთ, ადამიანების გარეშე ვერ ვიცხოვრებთ, ვერ მოვიქცევი ისე, როგორც ამას 16 წლის ასაკში გავაკეთებდი, ვერ გავუკეთებ სხვას იმას რაც მე გამანადგურებდა...როგორ მიგატოვებინო ცოლი და როგორ წამოვიდე შენთან? ხომ იცი რომ სულის წასვლამდე მინდა..ასეთს რომ გიყურებ გეფიცები ვფიქრობ, როგორ ვახერხებ ადამიანურად აზროვნებას, გევედრები არ გავაკეთოთ ის რაც სხვას გააანადგურებს, გევედრები არ დავკარგოთ ადამიანების პატივისცემა...

- შენ ვერც კი წარმოიდგენ, შენ ჩემი არ გესმის, შენ ჩემში უნდა იყო ის, რომ გაიგო რას გეუბნები, წარმოდგენაც არ გაქვს რა უმნიშვნელოა იმასთან შედარებით რასაც ვგრძნობ ეს ყველაფერი, როგორ არ მაინტერესებს დანარჩენი სამყარო....ნიკამ რაღაცნაირი გულისწყვეტა იგრძნო, გულისწყვეტა იმის, რომ მას გაცილებით უფრო უყვარდა ელენე.....საკუთარი თავის პატივისცემასაც დაუფიქრებლად „გაიხდიდა“ მენაბდე, სხვების აზრსაც არაფრად მიიჩნევდა, ძლივსნაპოვნ ძალასაც ფეხბურთში დათმობდა, საკუთარ ღირსებასაც დაივიწყებდა ახლა თუნდაც 2 საათის გამო თუ ეს ორი საათი იმ სამი წლის გაგრძელება იქნებოდა. ელენე კი ისევ ჩაფრენოდა მის ღირსებას და ვერაფრით ეთმობინებოდა, მაშინაც კი როცა სიკვდილი უმოწყალოდ აცლიდათ ერთმანეთის თავებს, ნიკა ისევ სხვისი ქმარი იყო.

„ჩვენ ბედნიერები ვართ, უცნაურად ბედნიერები, ასეთი შეგრძნებები მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა შეყვარებული ხარ“ უელბეკი.

ელენემ არ იცოდა რა უნდა ეთქვა..ვერ მიხვდა. მართლა ფიქრობდა რა გაეკეთებინა, უბრალოდ აკოცა ლოყაზე, უმიზეზოდ, მაგრამ ამის გამო ხომ არ გამოლანძღავდა? პრინციპში ისეთ რამეებზე ეჩხუბებოდა ეს ნამდვილად იყო მიზეზი და ბოლო ხმაზე დაიყვირა.

-ხო არ გაგიჟდი რა გინდა? გააფრინე? როგორ ბედავ? ნიკა ცდილობდა ტუჩები არ გაქცეოდა, არ გაცინებოდა, ისეთი ბრაზიანი იყო ალბათ მხოლოდ 23 წლის ასაკში, რომ გაუძლებ, მერე რომ ცხოვრება „გვანადგურებს“ და გვღლის ასეთი ურთიერთობებისთვის. თუმცა იცოდა 60 წლისაც ასე მოუსმენდა გაჩუმებული და „გაუძლებდა“....მისი ხასიათის კიდევ საოცარი გამარჯვება..

-საოცარია, მგონი მართლა იდეალური ვარ! ნიკამ ტაში დაუკრა საკუთარ თავს.ესღა აკლდა ელენეს, სულ გაწითლდა..

-ამპარტავანი, უზრდელი არსება ხარ, ვერ ვიტან კაცუნებს თავს, რომ იქებენ...

-იუმორთან ისე ცხელა, რომ შენი ხვეულები არ გიშვებენ? გაეცინა ნიკას...ის რომ ვერ აბრაზებდა მართლა აგიჟებდა...ადამიანი წყობიდან არ გამოდიოდა...საერთდ ოდნავადაც კი...

-ბოლოს როდის გაბრაზდი? დაუყვირა ელენემ.

-არ ვბრაზობ! ეგრე ნუ მიყურებ, მე არ ვბრაზდები, მართლა გეუბნები, ესეთი ვარ.

-რა დავაშავე..ჯანდაბა რა ჩავიდინე ასეთი...

-ხომ არ აჭარბებ.?

-ჩემგან რა გინდა?

-არაფერი ელენე, მე შენ რამეს გაძალებ? რატომ იცავ თავს ასე გამეტებით, ხმალშემართული ხარ სულ, რატო? ვერ ვხვდები რამე ისეთ გავაკეთე ეს რომ დაგჭრებოდა?

-რატომ მაკოცე?

-ლოყაზე გაკოცე უბრალოდ დილით არ გადაგიკოცნივარ, არის სიტყვები რომელზეც მბურძგლავს აი „გადაკოცვნაზეც“ გამაჟრიალა, კიდევ „საროჩკა“ ....ნიკა ცდილობდა ყურადღება გადაეტანებინა...“რევუტუზი“ ჩაბჟირდა....(მარო-ამს მადლობა ამ სიტყვის გახსენებისთვის ორივეს გვაჟრიალებს) „ნასკი“ ჰუჰჰჰჰჰჰჰჰჰჰ ჯანდაბაااა რეებს ვამბობ, „სუმკა“ აი მკლავს.. „მანქნით“ (ესეც მარო ამის მოწოდებულია ;დ) არ არსებობს.....მე არ ვამბობ!!!!!!!!!!!!!!! „ტყლაშუნი“ აი გავაფრენ!!!!!!!! აუჰჰჰჰჰჰჰჰჰ.....ერთი მსახიობის თეატრში ეგონა ელენეს თავი....ესეთი მხიარულება..

-ადამიანი ესე აცინებდეს თავის თავს ჯერ არ მინახავს..

-აი „პროსტაااა“, ნახე დამბურძგლა....“ზელიონკა“, „კლიონკა“ ვაიმე „გარშოკი“ ჯანდაბااა!!! მე „მე“ არ ვარ.....

-„უბორკა“ ელენესაც სიცილი აუტყდა....

-20 წუთი გავიდა, ჩვენი ხინკალი....აფთიაკში უფსარინ უფსა (ამაზეც დაბურძგლა) ვიყიდოთ ისე იქნება გაციებული....ნიკამ მამომწვევად უთხრა...

-დამანებე თავი, წავალ წამოვიღებ..

-იყავი მე გადავალ, არავინ შემოგელანძღოს!

-შენ თავს მიხედე, შენზე ვიყავი გაბრაზებული, სულ შენი ბრალია... მართლა გადავალ მე და ბოდიშსაც მოვუხდი.. მტკიცედ წავიდა ლორთქიფანიძე, მხოლოდ მაშინ გამოერკვა მენაბდემ შესასვლელთან „კორპუსი“ რომ ჩაუდგა თანაც ისეთი კარგ ფეხბურთელს, რომ შეშურდებოდა არა თუ ელენეს.

წყნეთს გზას მშვიდად მიუყვებოდნენ...keith jarrett-ი ისმოდა მხოლოდ, რაღაც შევსებული და ამავე დროს ცარიელი იყო ელენე....“მანქნიდან“ მომავალი ქარი და მუსიკა „აჯაზებდა“ მხოლოდ....

-მამაჩემი მეც მინდოდა ვყოფილიყავი, მოულოდნელად თქვა ელენემ. ნიკას გაეცინა....

-ესე ადვილად თმობ მანდილოსნობას?

-მე ყოველთვის ბიჭი მინდოდა ვყოფილიყავი... ახლაც..ამაზე არც უცდია თავის შეკავება ისე გაეცინა, ნიკას მიხვდა აზრი არ ჰქონდა თავის შეკავებას, რამდენიმე წამი გაუჩერებლად იცინა, იხარხარა.....

-კარგი ძმაკაცები ვიქნებოდით.

-მე სხვანაირი ბიჭი ვიქნებოდი, სულ სხვანაირი...ერთმანეთს ვერ გავუგებდით.

-მეც სხვანაირი ვარ კაცებთან..ნუ კარგი როგორც გინდა, ნიკა მალე მიხვდა, რომ არაფერი უნდა ეთქვა...

-მე შენ არ გემგვანებოდი, ვიქნებოდი უფრო მეტად მკაცრი, რაღაცას, რომ მუდამ მალავენ..საინტერესოები რომ არიან..ვიქნებოდი ბობოქარი, არავის შევარჩენდი რამეს ყველას მოვთხოვდი პასუხს. ვიქნებოდი მტკიცე, ჯიუტი, შეუპოვარი, არანორმალური, ამაყი , ამპარტავანიც კი.....ელენე ისე აღტაცებული ლაპარაკობდა, აშკარად ეტყობოდა, რომ ასეთ სიყვარულზე ოცნებობდა. ნიკას ეღიმებოდა, რაც არ უნდა ყოფილიყო ამაშიც ბავშვურობას ხედავდა..ცხოვრების „უცოდნირობას“ და ამის გამო სისუფთავეს.

-ამის მერე არ ვიცი გაგიგებდი თუ არა, შენ სულ სხვანაირი ხარ. „დედიკოს ბიჭი“ იცოდა, რომ ამაზე წყობიდან გამოიყვანდა, ყველა გამოდიოდა...ყველااა...მენაბდე ხარხარებდა....თან გულწრფელად, ელენეს არაფერი ხელოვნური შეუნიშნავს და ეს უფრო აცოფებდა თუ აოცებდა ვერ გებულობდა...

-შენ ის არ ხარ ვიცი, ის არ ხარ....დაამატა გამწარებულმა..

-ელენე ნუ გაქვს იმედი ამას, რომ მეუბნები, ოდნავ მაინც ვეცდები, რომ სხვანაირი გავხდე.ბობოქარი!!!!!!!!!! შენ გამოგონილ უფლისწულს დავემგვანო, რაინდუკობა მოვინდომო, მე მირჩევნია კაცუნად დავრჩე, როგორც შენ იტყოდი... და იცი შენი სიტყვებიდან ერთ რამეს მივხვდი. ფერი გადაუვიდა, გამწარდა, გაბრაზდა, ზოგჯერ სიმართლე ჯოჯოხეთივით ცხელი და საშინელია.

-რას მიხვდი? როგორ ცდილობ, რომ თავი ჭკვიანად წარმოაჩინო. არ დაიწყო ახლა, რომ პატარა ვარ, ბავშვური ახირებები მაქვს და ამიტომაც მომწონს ასეთები, არ თქვა რომ დროსთან ერთად ესეც გამივლის, თითქოს რამე დაავადება იყოს, მე ასეთი ვარ, მე სულ ასეთი ვიქნები და თუ გგონია, რომ მიხვდი იმას რომ ზედმეტად ბავშვური ვარ ძალიან შეცდი.

-არასოდეს გყვარებია.! ამას მივხვდი!.თვალი თვალში გაუყარა მენაბდემ. ელენე სულ სხვა რამის თქმას მოელოდა. ნიკასთვის კი არაფერს ჰქონდა აზრი ამ „აღმოჩენის“ შემდეგ, იცოდა რომ არავინ არ არსებობდა, ელენესთვის არ არსებობდა.

-საიდან მოიგონე? დიახ მყვარებია, ახლაც მიყვარს, სანდრო მიყვარს და არც არასოდეს გადამიყვარდება სულ მეყვარება..ისე როგორც გაჯიუტებული ბავშვი თოჯინას, რომ ართმევენ ისე ლაპარაკობდა. ეგონა უფრო გაამწარებდა, ეგონა წყობიდან გამოოიყვანდა, ნიკა კი უფრო მეტად იღიმოდა.

-სიყვარულთან იმდენი მოკრძალება მაინც აქვთ, რომ ამდენჯერ არ გაიმეორონ, თანაც სხვასთან.!

-აფრენ! ხელი აიქნია ელენემ, მართლა აფრენ, საიდან ასკვნი ასეთ სისულელეებს.

-რომ გყვარებოდა, ნამდვილად, რომ გყვარებოდა ისე, როგორც შეიძლება ქალს უყვარდეს, ვერასოდეს დათმობდი ქალად ყოფნას. შენ კი ახლაც ბიჭად ყოფნაზე ოცნებობ. ცისარტყელის ისევ გჯერა.....

სანდრო დაილექა გონებაში...“ხვეულებმა“ ჩაავლეს და მაინც გაუღიზიანეს ეჭვიანობის რეცეპტორები, თუმცა ამას დედამიწის ზურგზე მაიას გარდა ქალი ვერ შეატყობდა.....

-მე მართლა დედიკოს ბიჭი ვარ, ოღონდ იმ გაგებით არა რაინდუკები, რომ უწოდებენ...შენ, რომ მოგწონს ის რაინდუკები....

-როგორი გაგების დედიკოს ბიჭი ხარ იქნებ განმარტო....

-ცუდია, როცა რამეს განმარტება სჭირდება.....

-მართლა როგორი ხარ ადამიანი ვერ გაიგებს.....

-იდეალური თქო ხომ გითხარი, უნდა მისმინო!

-მერე ჩემს იუმორის ნაკლებობას აბრალებ.

-ნამდვილად..

-მე ძალიან კარგი იუმორის გრძნობა მაქვს!

-ეგრე ამტკიცებ ხოლმე? ყვირილით?

-შენთან სხვანაირი ვარ! ასეთი არ ვარ ზოგადად!

-ხო თორემ ასეთ აქტიურ რეჟმში ყოფნას ვერ გაუძლებდი....

-ყველაზე მეტად ფეხბურთი გიყვარს? ცოტა გულისწყვეტით ჰკითხა ელენემ. ნიკას გაუკვირდა, ვერ მიხვდა რა უნდა ეპასუხა..ამ დროს გულწრფელობა ეხმარებოდა.

-არ ვიცი!

-ცოტნეს არ უყვარს კალათბურთი ყველაზე მეტად....ის სხვანაირია..შეიძლება ვარჯიში გადადოს ძველი მეგობარი დაბადებისდღეზე თუ დაპატიჟებს..თამაშზეც დაფიქრდება და გააცდენს სხვა, რომ არ ზარალდებოდეს ამით.

-მე რას ვიზავ როგორ გგონია?

-შენ შეუვალი ხარ! ზოგჯერ მაშინებს შენი დამოკიდებულება.... პირველი სპორტია შენთვის, შენი კვება, გამოზომილი, საათობრივი, დაურღვეველი! ვარჯიში, ყველაფერი, ჯარისკაცული დისციპლინით არის გამჯდარი.

-ელენე არ ვიცი, მართლა არ ვიცი, ჩემები ძალიან მიყვარს მათ გარეშე არაფერი ვარ, ფეხბურთი კი არც კი ვიცი როოგორ ვთქვა..არაფერი მღლის, არაფერს ვაკეთებ დაძალებით და მაინც ვიღაცისთვის ეს შეიძება ჯოჯოხეთური შრომაა, მე კი მსიამოვნებს.....ვერ შეადარებ, მეგობრის დაბადებისდღისთვის კი სხვა გამოსავალიც არსებობს,თუ ვერ ახერხებ ესე იგი იმან უნდა იფიქროს, რომ დედამიწა ბრუნვას შეწყვეტს შენ, რომ სხვანაირად მოიქცე..და თუ ასე იფიქრებს როგორმე დაბადებისდღესაც გადადებს, აბა დედამიწის ბრუნვის შეწყვეტას ხომ არ დაუშვებს, ბრუნო არ აპატიებდა კაცმა კოცონი არ ითაკილა....გაგეცინება ხომ დაბადებისდღის გადადება....მაგრამ შეიძლება, მართლა შეიძლება....იყო რაღაც რაც მოეწონა ელენეს ამ აზრში...ალბათ მენაბდესეული მეგობრობის აღქმა....

-ახსნა ხშრად ერთადერთ გზაა ადმიანებმა ერთმანეთი გაიგონ. მიუბრუნდა დედიკოს ბიჭს თემას ელენე.....

-ყოველთვის იქნებიან ადამიანები, რომლებიც გაგკიცხავენ, შენს ღირსებას ლაქად აქცევენ და შენს ცოდვებს გამოამზეურებენ. ყოველთვის იარსებებენ ადამიანები ვინც შენ წარმატებას

საკუთარი წარუმატებლობის პირობად მიიჩნევენ და შეეცდებიან ნაცვლად იმისა, რომ ამაღლდნენ, შენ დაგამდაბლონ....ეს რეალობაა..ეს ცხოვრებაა და ამასთან გაქცევა ისეთივე სისულელეა, როგორც მასთან შეგუება..

-და მაშინ რა უნდა ქნა? თუ შენივე სიტყვებით ყველა გზა მოჭრილია....ჯერ ნიკას ნათქვამი და თემა ვერ დააკავშირა.

-უნდა შეცვალო! საკუთარი თავი! დააყოლა რამდენიმე წამიანი პაუზის შემდეგ, რადგან საზოგადოებრივ აზრს ვერ შეცვლი, ვერ დაიმორჩილებ, „საზოგადოებრივი აზრი მეძავი ქალივითაა“ და თუ შენ დაემორჩილები მაშინ საკუთარ თავს დაკარგავ, პიროვნულობას გაჰყიდი მლიქვნელობაზე და არაფრის მიმართ არაა ადამიანი ისე უძლური, როგორც ეს მლიქვნელობაა. ყოველთვის მეშინია ამან არ დამაბრმავოს, ყოველთვის, როცა მაქებენ პირველ რიგში ვფიქრობ იმაზე მართლა ვიმსახურებ თუ არა ამ სიტყვებს, ვიქნები გულახდილი და ძირითადად არ ვიმსახურებ. ამის გამო მე ჩემს მშობლებს განსაკუთრებით ვაფასებ.!!!!! არ მაქებენ! ყველაზე ნაკლებად მლიქვნელი ადამიანები არიან! მათ სიყვარულს აქვს განსაკუთრებული თვისება, აუხსნელი და ამის გამო საოცარი,იცი რამდენჯერ მიფიქრია ამაზე, მათ მე ვუყვარვარ, ვიცი ახალს არაფერს ვამბობ, ყველა მშობელს უყვარს შვილი, ყველას თავისებურად, მაგრამ მაინც განსაკუთრებულად, შენ მე ცხოვრებაში ვერ შემიყვარებ ასეთი სიყვარულით, ვერც ვერავის შეიყვარებ, შვილის გარდა.. ნიკას გაეღიმა....

- შენ რა იცი, როცა ასე თავისუფლად ლაპარაკობ იმ ადამიანის სიყვარულის უნარზე, როცა მას არ იცნობ....

-ვიცი ის, რომ მშობელს თავისი შვილი უყვარს ყველა პირობის გარეშე, კარგია, ცუდია, მაღალია, დაბალია, კეთილია, ბოროტია, საზოგადოებაში „გამოსული“ ტიპია, სიტყვა ეთქმის თუ მხოლოდ უბრალო უბნის „ჩმორია“.. არ აქ მნიშვნელობა ბევრი ზედსართავი არსებობს, მაგრამ მათი რაოდენობა და შინაარსი არ განსაზღვრავს სიყვარულს, მათ მე ფეხბურთელიც ვეყვარები და მაშინაც ვეყვარებოდი უფეხო, რომ დავბადებულიყვი და უფრო მეტადაც კი, რადგან საყვარელი ადამიანის ტკივილი სიყვარულს აორმაგებს.....შენ კი არა..... შენ მე ზედაც არ შემომხედავ თუ არ მოგეწონები, თუ კარგად არ ჩათვლი ჩემი ჯერ კიდევ შენთვის გაურკვეველი ხასიათის შტრიხებს, აწონ დაწონი, შემაფასებ, უამრავ გამოცდას მომიწყობ და მხოლოდ ამის მერე მისცემ შენს თავს უფლებას შემიყვარო.....ესეა ელენე.....ეს ცხოვრებაა...ეს კანონზომიერება...ადამიანები შეიძლება კარგად გექცეოდნენ ბევრი რამის გამო მაგრამ მათ სიყვარულს ვერ მოთხოვ თუ შენ არ ხარ კარგი, მათთვის კარგი, ამდენი ადამიანი, რომელსაც ვუყვარვარ შემიძულებს ერთ წამში თუ სხვა გუნდში გადავალ, წარმოგიდგენია როგორი „დამპლური“ შეგრძნებაა, ზოგჯერ მაგიჟებს ამაზე ფიქრი, ზოგჯერ მგონია ბრბო თავზე გადამივლის და მეორე წამს ხელშ ამიტაცებს,წამში როგორ შეიძება ჭეშმარიტი გრძნობა შეიცვალოს! ეს არაა ჭეშმარიტება..სიყალბეაა..მაგრამ მშობელი სხვაა და ამიტომ ამქვეყნად არაფერი მიღირს მათ გულისტკენად...ამიტომ მირჩევნია საზოგადოებამ „იბუინოს“ ჩემზე თუნდაც ამის გამო ერთი სიტყვა მაინც ვუთხრა ჩემებს უხეშად და ამით გული ვატკინო... მე მათთან ჩემი კაცობის, ჩემი პიროვნულობის, უპირატესობის და სიძლიერის დამტკიცება არ

მჭირდება..... თუ დედაჩემი თვლის, რომ ცოლი უნდა მოვიყვანო, თუ ფიქრობს, რომ რეესტრის წარმოებით მეხმარება, იფიქროს, აკეთოს რაც უნდა რატომ დავუშალო, რატომ ვაწყენინო, მე ხომ არაფერი მეცვლება, მე ხომ ისევ მე ვარ ჩემი „მეს“ გადაწყვეტილებებში. მე ხომ ვიცი, რომ ეს საუკეთესო გზაა მისი გადმოსახედიდან, მე ხომ დარწმუნებული ვარ დედამ, რომ მთხოვოს მთიდან გადავხტე ამ დროს დედაჩემს ჩემთვის ყველაზე მეტად კარგი უნდა , ეს მისი გადასახედიდან, ჩემთის ეს გადასახედი უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე თავად ქცევა. გადახტომით კი არ გადავხტები!

-ყველაფერს რთულად უდგები..ცოტა გაოცებული იყო ელენე ამ სიტყვებით.

-პირიქით ვაიოლებ, ცხოვრებას მარტივად ვუყურებ, არაფერია ადამიანის ფასი, ვინც შენნაირად განიცდის შენ მარცხს და წარმატებას ამ ადამიანებისთვის ღირს ცხოვრება, მოთმენა და მთელი ცხოვრება მათ „სამსახურში“ ყოფნა..... ვაიოლებ ყველაფერს, არაფერს ვიღებ რთულად, ყველაფერი, ყველა პრობლემა ცხოვრების შემადგენელია, თანდაყოლილი აუცილებლობაა, ესე რომ არ ვიყო ალბათ ჩემი დამოკიდებულება ჰიგიენასთან გამაგიჟებდა, ჯერ მარტო დაეზარებოდა ადამიანს..ოდნავ არ მიქმნის პრობლემას საერთოდ არ მაწუხებს...დედაჩემს ასეთიც კი ვუყვარვარ..ესეთი წიკიანი...მეტი სიყვარული ალბათ წარმოუდგენელია, ვუყვარდე ასეთი, ცხოვრება გავუმწარე, ჩემს ოთახს ალაგებს თვითონ, სხვებს არ „ენდობა“ მეც არ ვენდობი სხვებს....ამას მარტო იმიტომ აკეთებს, რომ აეროპორტიდან დაღლილმა მშვიდად დავიძინო..მშვიდი ძილისთვის, შეიძლება მთელი დღე ალაგოს, ზოგჯერ ღამეც..ფრენის რეისზეა დამოკიდებული...თანაც ისე, რომ ჩემნაირ წიკიანსაც კი მშვიდად ძინავს.

-მე შემიძლია ადამიანი მიყვარდეს მაშინაც, როცა ის არ მომწონს, ამიტომ განსხვავდება ეს ორი სიტყვა ერთმანეთისგან..... თუ ერთხელ შეიყვარე იქ დამთავრდება, რადგან მე არ მჯერა გრძნობების გაქრობის და ხელახლა გაჩენის, მგონია, რომ ერთხელ გაჩენილი გრძნობები მუდმივად ცოცხლობენ ჩვენს გულში? შეიძლება თვლემდნენ, მაგრამ გამოიღვიძებენ, რადგან სულში ისინი მუდამ არიან. ამიტომ მე თუ ვინმე შემიყვარდა სულ მეყვარება, როგორიც არ უნდა იყოს და თუ ასე არ იქნება, მაშინ არც არასოდეს მყვარებია..ბოლო წინადადება 16 წლის მოზარდის გაჯიუტებით თქვა, მაგრამ ნიკამ შეძლო მასში ქალის უნებლიე პირობა დაენახა, ჯერ კიდევ ისეთი, რომ საკუთარი თავისთვისაც არ ჰქონდა გამხელილი. ამის გამო რთულად მიყვარდება, ერთი ნახვა ხომ გამორიცხულია...

„ერთ კაცივით დაეცა ჯარი ხმელი ფოთლების“ ო. ჭილაძე.

-დე ჩემ კაბინეტში შედით, ბულკები გამომართვი დემეტრე და ამ პატარა ქოფაკს აჭამე თუ არ შეჭამა უთხარი, რომ დამიძახებ, რამე სხვაც ხომ არ გინდათ? წვენიც აიღე დემე და ტასიკოს მიხედე და არა მის კიკინებს, თვალი ჩაუკრა ელენემ და ოთახში შეაცილა.

-არაფერი დედა. ანასტასიას ჩანთა ძირს დადო დემეტრემ და უკვე კივილი ატყდა.

მშობლის როლი განსაკუთრებით დიდი და მნიშვნელოვანია შვილის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში..ეს არის უწყვეტი, კომპლექსური და ერთმანეთთან დაკავშირებული ურთიერთობები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ შვილის ჩამოყალიბებას და

განვითარებას. ცდა იმის, რომ შეცვალოთ რაღაც რაც მათშია, გამოიწვევს იმას, რომ ის ადრე თუ გვიან დაკარგავს საკუთარი თავის რწმენას, მოზარდისთის მნიშვნელოვანია, რომ მშობელი ედგეს გვერდით და არა წინ. ნაბისმიერი მშობლის მიზანი უნდა იყოს მათ განვითარების ხელშეწყობა და არა მათ მიერ შერჩეული გზით სიარული აიძულოს. ხშირია რომ მშობლები იგივე პროფესიის არჩევას აიძულებენ ან...აქ ელენე გაჩერდა მიხვდა, რომ პირდაპირ ნიკა მიიღებდა ამ სიტყვებს..

-ან პირიქით უშლიან იგივე გზით სიარულს, შეიძლება ჰქონდეთ მიზეზი, მაგრამ ეს მიზეზი არასოდეს იქნება ჯანსაღი, რადგან ამ ყველაფერს თავში აქვს სიტყვა „იძულება“ ნიკამ ეს სიტყვები ხმადაბლა, მაგრამ ყველას გასაგონად თქვა.

მთავარი არის, რომ მშობელმა მისცეს „ბუნებრივად“ განვითარების უფლება, აგრძნობინოს, რომ ის თავად მართავს ცხოვრებას, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდატეხის პერიოდში, როცა მოზარდი უფრო მეტად ემოციური, იმპულსური და გაუწონასწორებელია, ეს მხოლოდ გარემო ფაქტორების გამო არ არის, მათში ბიოლოგიურად მიმდინარე პროცესები იწვევს მათი ხასიათს სიხისტეს, დაუმორჩებლობას, წინდაუხედავობასა და აგრესიულობას. თუ ამას მშობელი ფსიქოლოგიურად მომზადებული დახვდება და ზომებს მიიღებს მის მაქსიმალურად უმტკივნეულოდ გადასალახავად, ამ პერიოდის მშვიდად გავლის ალბათბა იზრდება. დამნაშავეების უმრავლესობა სწორედ ამ ასაკში იღებს „დანაშაულებრივ“ ჩვევებს და შემდეგ ეს მათში რჩება. ამიტომ არის არასრულწლოვანთა დანაშაულის მაღალი მაჩვენებელი....

ხშირმა დასჯამ, შთაგონებამ რომ ბავშვი ცუდად იქცევა შესაძლებელია გამოიწვიოს ბავშვის უარყოფითი დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი., შეძლებაც კი. ამიტომ ფრთხილად და ზომიერად უნდა იყოს შერჩეული საყვედური, ასევე გააზრებული საუბარი მასთან დაშვებულ შეცდომაზე.

-დასჯის სწორი მეთოდის შერჩევა როგორ უნდა მოხდეს? დასვა კითხვა „სანდომიანად“ შეღებილმა ქალმა, ნიკას მრავალ „ღირსეებებთან“ ერთად დიდი ადგილი მაკიაჟის „სიძულვილს“ ეკავა..არა მთლად ასე მწვავედ არა, მოსწონდა სწორად „შეღებილი“ სუსტი სქესი, მაგრამ „გადაღებვა“ საშინლად აგიჟებდა. უამრავი კითხვა იყო, რომლებიც გულგრილს არ ტოვებდა ნიკას და ყველაფერი ეკალივით ხვდებოდა..ბოლოს დასჯის მეთოდად იგნორის გამოყენებაზე მსჯელობა, ელენეს განსაკუთრებული რადიკალურობა და ამ „სისტემის“ უმოწყალო კრიტიკა ნიკას გულგრილს არ ტოვებდა.

-რატომ თლით, რომ იგნორი დასჯაა? შესაძლებელია სულაც არ იყოს ასე..

-მაშინ რა შეიძლება დავარქვათ? ელენემ თვალებში შეხედა.

-დაკარგული პატივისცემის გამო წუხილი.

-ადამიანის „არშემჩნევა“ განსაკუთრებით კი შვილის, წუხილი ვერასოდეს იქნება. კატეგორიულობას არ ჰკარგავდა ელენეს ხმა.

-მე კი არ მჯერა ასეთი ურთიერთობის.....უბრალოდ რაც არ უნდა ამტკიცოს ფსიქოლოგიამ, რამდენიც არ უნდა მოახვიოთ ადამიანებს თავს, არიან ისეთები, რომლებისთისაც განსხვავებული საქციელი რაც არ უნდა „დასაბუთებული“ იყოს შეუძლებელია. არ მჯერა, რომ პატივისცემის დაბრუნება ძალით შესაძებელია, არც ბოდიშით..ამ დროს კი შესვენება საუკეთესო გამოსავალია თუ ამას საუკეთესო შეიძება ეწოდოს. ამ ორის გარდა არავის ესმოდა რაზე ლაპარაკობდნენ..ელენემ მალე შეცვალა თემა და აგრძნობინა, რომ მასთან კამათს აღარ აპირებდა მანამდე კი ხმადაბლა დაამატა.

-შვილთან ჯიბრი ყველაზე ცუდი საშუალებაა პატივისცემის დასაბრუნებლად.

-პატივისცემა არ ბრუნდება! ის ან გაქვს ან არა, და როცა აღარ გაქვს იქ ბევრი რამე მთავრდება.

ნიკა იმ დღეს არ მოშორებიათ, მანქანაში ანასტასია ისევ „ტრიბუნაზე“ იდგა.

-მამიკო ყველას ჰყავს მეზობლები ჩვენ არა, ჩემი კლასელები სულ იმათ ახსნებენ, მე არ მყავს....მეზობლები ჩვენი ნინიკო, ერეკლე და ცოტნე არ ითვლებიან? ელენეს და დემეტრეს გაეცინათ მათეს და ბარბარეს შვილების ხსენებაზე, ძალიან შორს ცხოვრობდნენ მათი სახლისგან. ნიკა ხმაურზე გამოერკვა.

-რა მამა?

-ნიკა მართლა კარგად ხარ? ელენემ შეწუხებულმა ჰკითხა.

-კი, ვერ გავიგე რა მკითხე ტასო?

-მოზობლები, ნინიკო, ერეკლე და ცოტნე არ ითვლებიან? სხვა დროს გაეღიმებოდა მაინც. ახლა პატარას უმეზობლობაც თავის თავს დააბრალა და ჩაიფერფლა.

-არა, ისინი ბიძაშვილები და მამიდაშვილია ტასო. გინდა რომ მეზობლები გყავდეს? ელენემ მაშინვე ნიკას შეხედა..

-კი ძალიან, ჩემიმკლასელი გვანცა მინდა იყოს ჩემი მეზობელი და კიდე სალომე, ნატოც და სოფოც, მაგრამ მერე თაკო ცოდოა და ისიც ჩვენთან ახლოს რომ ცხოვრობდეს.

-და შენი სკოლის დირექტორი ჯემალი და დამლაგებელი მაყვალა არა?! დემეტრეს ხმამაღლა გაეცინა.

-არ ვიცი ეგენი ვინ არიან! გაიბუტა ტასო მიხვდა რომ დემეტრემ დაცინა. ნიკას ხმა აღარ ამოუღია, სახლშიც რომ შევიდა უსიტყვოდ დაჯდა დივანზე. თავი გადაწია და თვალები დახუჭა, ძლივსშესამჩნევად მოგორავდა გამჭრვალე სითხე, ელენეს ხმის გაგონებაზე ამ მარილიან წყალს ძალა ემატებოდა, ზოგჯერ ეგონა, რომ გულს გაუნგრევდა. ანასტასიას ტიტინი ელენეს როგორ ეკითხებოდა რაღაც სასაცილო რაღაცებს, ელენეს მშვიდი, გაწონასწორებული პასუხი. ნაზი შეხება შვილებთან, მისი მოძრაობა, როგორ ირხეოდა მისი სხეული, ტანი, გრძელი თითები, მზრუნველად, რომ უსწორებდნენ ანასტასიას თმებს, როგორ უყურებდა დემეტრეს, ელენე სულ სხვანაირი იყო მასთან, როგორ ფრთხილად აკოცა თავზე მოწყენილ დემეტრეს და

როგორ უთხრა რაღაც ჩუმად და როგორ გაეღიმა დემეტრეს, მოწყენით გაეღიმა, ელენეს ღრმა, დარდით და მოთნებით სავსე თვალები, საყვედურს, რომ ნაზად და შეუმჩნევლად გაგრძნობინებს, როცა ასეთ დროსაც ქალურობას არ ჰკარგავს და ამიტომ სისხლი მოძრაობას წყვეტს, იყინება, იყინება და დუღდება, რომ შენ მასთან დგომის უფლება არ გაქვს, არ გაქვს უფლება იყო მის გვერდით, უბრალო, გამამხნევებელი სიტყვა უთხრა და მისი სუსტი მხრები შენსაში მოიქციო. მარტო დატოვე და თავად დარჩი უადამიანოდ დედამიწაზე.მასთან ვერ იქნები, ვერ ატარებ მის ტვირთს, ვერ მიეხმარები..უუფლებო ხარ, უფლებაჩამორთმეული...მისი ჩალისფერი თმა, მხრებზე რომ იყო გადატეხილი, მისი თმის სურნელი, უკვე ზღვარს გადადიოდა ფიქრები..ეს ყველაფერი კი მაშინ, როცა ის ზუსტად ისეთია, ზუსტად ისაა ვინც პირველად დაინახა ნიკამ, როგორიც იფიქრა, რომ ელენე იქნებოდა, ასეთს ხედავდა..მისი სიკაპასის უკან ეს ღრმა და უთქმელი მოთინება იყო, პირდაპირობის უკან ეს მდუმარე საყვედური, რომელიც ორგანიზმს გიშლის იმაზე ფიქრით, რომ მას აწყენინე, რაღაც ძალიან ატკინე. იცოდა, რომ ელენე ასეთი იქნებოდა, მხოლოდ ნიკა გრძნობდა, რომ მისი სიმართლით და გულუბრყვილობით სავსე თვალებში იყო მისი ცოლი, ზუსტად ის ქალი ვისგან მოშორებასაც ვერასოდეს შეძლებდა, ვისი შეძულებაც მის ორგანიზმს არ შეეძლო.სისუფთავის სურნელი მოდიოდა მისი სულისგან, მიუხედავად მისი სიმწარისა, უხეშობის, პირდაპირობის, რასაც ყველაზე მეტად ვერ იტანდა ნიკა ქალისგან, მაინც სისუფთავის სურნელი ჰქონდა 16 წლის ელენეს შემოკრული.. ეს მისი მართალი თვალებიდან მოდიოდა, დაუმალავი გრძნობების, პირდაპირობის და სიბინძურესთან შეუხებლობის ნაყოფი იყო.

თვალდახუჭული გრძნობდა, რომ უახლოვდებოდა, მისი გრძელი კაბის რხევას გრძნობდა და თავისი გულის ხმა ესმოდა. მის სხეულს ისე ახლოს ვერ უმკლავდებოდა.ელენემ ბავშვები, რომ მოაწესრიგა და გარეთ გაუშვა ნიკასკენ წავიდა მის წინ ჩაიმუხლა და მისი თითები მოიქცია ხელებში.. აშკარად დიდი განსხვავება იყო, ელენეს პატარა, სიფრიფანა, ნაზი ხელები ძლივს იჭერდა მისას..თავი ისევ გადაწეული ჰქონდა, მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდა, რომ მარილიანი სითხე სახიდან გაქრა, მაშინ შეხედა.

-ნიკა რა გჭირს?! მითხარი თუ რამე გაწუხებს.. ახლა ანასტასიას მზერა დაიჭრა მის თვალებში და მართლა შეაკანკალა. მის მზრუნველ, დაუმსახურებელ სიყვარულში საკუთარი თავის სიძულვილით ცურავდა.

-მაწუხებს..

-მითხარი ნიკა....ხომ იცი შეგიძლია ჩემი იმედი სულ გქონდეს, თხოვ რაღაც თუ ასე გიჭირს, თუ მარტო ვერ ერევი..მე ვიცი, რომ დამნაშავე ვარ, ამ ათ წელზე მე ვაგებ პასუხს! ნიკამ გააჩერა, ისეთ წაშლილი სახით, რომ არაფერი აინტერესებდა ერთს გარდა...

-ვერ გეუბნები, ვერ ვამბობ, ვიცი რასაც გთხოვ თავხედობაა, მაგრამ როცა სხვა გზა არ მაქვს? გეფიცები არ მაქ სხვა გზა, უნდა გამომყვე, სადმე უნდა გამომყვე სადაც ჩვენ ვიქნებით, არაფერი მაინტერესებს, ისე მიყვარხარ არაფერი მაინტერესებს. მეორედ გთხოვ..დღეს მეორედ....

-მეც მიყვარხარ. ათი წლის მანძილზე პირველად „გამოუტყდნენ“ ერთმანეთს, რაც ისედაც ორივემ იცოდა. ყველაფრის მიუხედავად ეს შეგრძნება არ დაუკარგავთ, არასოდეს ყოფილა მათ ოთახებში გულგრილობა..იყო ცუდი..სიძლვილიც კი...ვერ პატიება....ბედნიერების დაკარგვის წუხილი..უბედურების შეგრძნება.....დამცირება და ამის ღირსეული ატანა, მაგრამ გულგრილობა ერთ დღესაც არ შემოპარულა..ვერ შემოიპარა.

-არ გიყვარვარ, ისე არ გიყვარვარ როგორც მე....

-მაგას როგორ ამბობ, ხმა აუკანკალდა ელენეს, ყველაფერი შეგიძლია მითხრა, მაგრამ მაგას როგორ ამბობ..როგორ შეგიძლია.. ელენემ თითები მუხლებზე დაადო.

-ვერ მპატიობ ცოლის მოყვანას ვერ მპატიობ, ყველაფერი მაპატიე დაუფიქრებლად, ყველაფრის დავიწყებისთვის მზად ხარ, მაგრამ ამას ვერ მპატიობ, ხომ ვგრძნობ. ვერც იმ გარტყმულს მპატიობ, მაშინ გამაფრთხილე, წინასწარ გამაფრთხილე და იმიტომ....მე ხომ ვგრძნობ ელენე....მე ხომ გიცნობ.

-შენ შეძლებდი იმას რასაც მთხოვ? ნიკა რატომ მექცევი ასე? გგონია ამდენი რამის ერთად ასე გადატანა აადვილია? საოცრად სწრაფად შეიცვალე, ერთ დღეში გახდი ისეთი რასაც წლები შორდებოდი....შეძლებდი ყველაფრის მიტოვებას, არ იფიქრებდი იმ ადამიანებზე რომლებსაც იმედს გაუცრუებ? ჩემს ადგილზე რატომ არ წარმოიდგენ თავს?

-შევძლებდი, ელენე შენ მართლა არ იცი მე რას ვგრძნობ, ყველაფერს შევძლებდი, სხვასთან ყოფნასაც გაპატიებდი, ღალატსაც...ელენე გაოგნებული უსმენდა. ქალი რომ ვყოფილიყავი შევძლებდი, მაგრამ კაცი ვარ და ვერაფრით ვუშვებ, იცოდე, ერთ შეხებასაც არ გაპატიებ ვინმეზე, ჩემი ხასიათი მევე მანადგურებს, მაგრამ არ შემიძლია, უბრალოდ ვინმე რომ შეგეხოს, სულ ოდნავ მაინც იმ გრძნობით. გავაფრენ, ჩემს შვილებს, რომ თავს მოახვიოს თავისი სისულელეები...

-ნიკა გთხოვ!

-შენ არ იცი,დამაცადე, სანდრო არაა ცუდი ადამიანი ამაში გეთანხმები, მაგრამ აი საერთოდ არ მაინტერესებს მე მაგისი შინაგანი....ეგ ტიპი საშუალო სულისაა..ყველაზე საშიშები ეგენი არიან, არაფერს რომ არ ემსახურებიან არც იდეალებს და არც დემონებს...ხომ გესმის რასაც ვამბობ....მერყევები..საშუალოები..სანდრო ეგაა, ისეთ იქნება, როგორი გარემოც მის გარშემო, ჯოჯოხეთში ეშმაკი, სამოთხეში ანგელოზი... ვიცი ამას შენ ჩემზე უკეთ ხვდები, ვიცი სანდროს რატოც არ იშორებ, ვხვდები, რომ უბრალოდ თავს იცავ ჩემგან, შენი თავისგან, ვიცი რომ ეს დღეები რამდენჯერმე შეხვდი, აქაც იყო..არ ვეჭვიანობ გეფიცები....არ ვიცი ახლა რასაც ვგრძნობ ეჭვიანობას ცდება..გისაკუთრებ გესმის, მთელი შეგნებით გისაკუთრებ. არ მინდა შენ ვინმესთან გაგიყო, ვიცი შენ მიყოფ მაგრამ ჩემთვის ეს უკვე ჯოჯოხეთზე მეტია. გახსოვს ერთხელ მითხარი, რომ გეშინოდა,რომ ვერ მაპატიებდი ღალატს, გამაფრთხილე, რომ გაგფრთხილებოდი, მაშინ შენი არ მესმოდა..არც შენი შიშის მესმოდა, ახლა ვიცი, ახლა ვგრძნობ, ელენე შეცდომა არ დაუშვა გთხოვ. რამდენიმე წამისთვისაც კი მიღირს ყველაფერზე უარი ვთქვა..სულ ყველაფერზე.

-ნიკა გთხოვ, მანადგურებ...ყველაფერზე ვფიქრობ, მარტო არ ვართ, ვერ მოვიქცევით ასე, დემეტრეც არაა პატარა ასე წამოგვყვეს. მე როგორ გავაკეთო ის რაც ყველაზე მეტად მანადგურებდა? როგორ ვიყო შენთან, როცა ვიცი ცოლი გყავს? ნიკა ეს ყველაზე მეტად მტკენდა გულს, როცა შენი ცოლი ვიყავი, როგორ გავუკეთ იგივე სხვას? ვიცი ამ მდგომარეობაში ჩემ გამო ვართ და ესეც მშლის...ასე არ შეიძლება, ჩვენც საშუალოები გამოვდივართ ნიკა, ამაზე ლაპარაკი არ მინდა, შენ იცი, რომ სანდროსთან ურთიერთობა ჩემი გადასაწყვეტია და შენ არ ჩაერევი! იმასაც მე გადავწყვეტ რა სახის ურთიერთბა მექნება, მე შევაფასებ სანდროს ადამიანობას და შენ ამაში არ ჩაერევი, ცხოვრებაში არაფერი გამიკეთებია მუქარით, თუ ფიქრობ, რომ აქამდე ჩემი ცხოვრება შენთის მისაღები იყო ესეც იმიტომ რომ უბრალოდ ასეთი ვარ..სხვანაირად ვერც ვიქნებოდი ამას შენი მუქარა ვერ მაიძულებს.

-მე არ გემუქრები, მე გეუბნები იმას რასაც ვფიქრობ, გაითალისწინებ თუ არა ეს იმაზეა დამოკიდებული რამდენად მნიშვნელოვანი ვარ შენთვის.

-რატომ არ ცდილობ ის რასაც გეუბნები სხვანაირად გაიგო....რატომ აკვირდები სიტყვებს და არა ხმას და თვალებს როცა ამას გეუბნები!

-ელენე არ ვცდილობ იმიტო, რომ ვიცი რაც იგულისხმე..ვიცი რომ ახლა მითხარი, რომ ძალიან გიყვარვარ, რომ არასოდეს იქნები სანდროსთან, მარტო ჩემ გამო კი არა ეს შენთისაც წარმოუდგენელია, არ შეგიძლია და ამაში ჩემი მუქარა არაფერ შუაშია.....ისიც იგულისხმე რომ სანდროს თავიდან არ მოიშორებ და ამით ყოველ წამს მაგრძნობინებ ცალ-ცალკე ყოფნას...ეს მითხარი, მაგრამ ამ თემაზე არ მინდა აზრების შეფარულობა, პირდაპირ მინდა მითხრა და მეც გეტყვი...შენი ქცევები დაკავშირებულია იმასთან რამდენს ვნიშნავ შენთვის!

-ძალიან ჯიუტი ხარ ნიკა.

-მეშინია, მეშინია, რომ რაღაცას სამუდამოდ დავკარგავ, ვიცი ყველა ადამიანი ცდილობს უკეთესად იყოს ამას იმედი აძლებინებს, ვიცი რომ ადამიანი რთულია მეც რთული ვარ და უფრო რთული ჩემი ატანა იყო ამ წლების განმავლობაში, ისიც ვიცი, რომ ახლა პატიება უხერხული და უადგილოა, ბოდიში მხოლოდ სიტყვაა, რომელსაც შედეგი არ ექნება, მაპატიე უსარგებლო ასოთა "ხროვად" გადაიქცა და მაინც არაფერია იმაზე მეტი ვიდრე ის რომ შემიძლია შენი ფანჯრიდან შენი სილუეტი დავინახო და ვიგრძნო, როგორ მიღიმი...შენ მე ისევ ისე მიღიმი, არაფერი შეცვლილა..შენ მე ისევ მჩუქნი სიმშვიდეს როცა გხედავ, ყველაფრის მიუხედავად, ყველა ტკივილის..შეცდომის...ადამიანური სისუსტის და ღალატის მიუხედავად....ისე არაფერი მდომებია, როგორც ჩემი ღალატისთვის მეღალატა..შენთან დავბრუნებულიყავი მიუხედავად იმისა მიმიღებდი თუ არა...მაპატიებდი თუ არა რადგან ვგრძნობ რომ არაფერია შენთან გატარებულ წამებზე დიდი და ვიცი რომ სიცოცხლის გახანგრძლივებაზე კი არა ამ წამების გახანგრძლივებაზე უნდა ვიზრუნო...ამ წლებმა მხოლოდ ის მომიტანა რომ შენ გარეშე მე მხოლოდ უმისამართო ადამიანი ვარ...ისე მოგეჭაჭვა ჩემი სული, რომ მეშინია ხელიდან არ გამისხლტე მეშინია, რომ დაგკარგო და ისე გავთავხედდი ვფიქრობ რომ ისევ გიყვარვარ.....ხო გიყვარვარ და ახლა უფრო მეტადაც ვიდრე ადრე..... ცხოვრება ერთხელ გვაქვს და მე ამ ცხოვრების, რომელიც ასე ცოტაა და კიდევ უფრო ცოტა როცა გიყვარს ამ ცხოვრების ათი წელი

შენს ტანჯვაში გავატარე და ახლა ორივეს გამო მტკივა....შენ ჩემს დანახვაზე დამალულ მკერდს, აკანკალებულ მხრებს, აბაზანის ჩაკეტილ კარებს,ატკიებულ სხეულს, წამხდარ და იმედგაცრუებულ სახეს ვერ ვივიწყებ და შენ მაინც ჩემზე მაღლა იყავი მიუხედავად იმისა, რომ სულ შენ დამცირებას ვცდილობდი, რომ აღარ მყვარებოდი, მინდოდა გატეხილი და მოტეხილი მენახე ისე, როგორც მე მეგონა რომ ვიყავი, თურმე საოცრად ვცდებოდი მაშინ თავი უნუგეშო რომ მეგონა, ვერ დაგამცირე შენ კიდევ უფრო ღირსეული იყავი და მე კიდევ უფრო ვეფლობოდი ტალახში. არასოდეს დამნებებიხარ, არასოდეს მოგიცია ჩემთვის უფლება თავი უფრო შემძულებოდა და შენ გადამეყვარე, ელენე ეს ყველაფერია...ვერ მოვახერხე მდომებოდა, რომ აღარ მყვარებოდი, გეფიცები ეს, რომ მდომებოდა შევძლებდი გადამეყვარებინე და ასეც აღარ დაგტანჯავდი....მინდოდა მენახა მიზეზი რატოც არ უნდა მყვარებოდი. ვერ მოგიძებნე ათი წელი ვჩიჩქნე, ვძერწე, ვეძებე, რომ მეპოვა რამე რაც დამარწმუნებდა, რომ უნდა გადამეყვარებინე.

არაფერია იმ ადამიანზე უფრო ძნელად ასატანი, რომელიც ათი წელი ჯიბრზე ცხოვრობს, რომელსაც ძალა არ ყოფნის, რომ რაღაცას შეეგუოს და უფრო მეტს კარგავს...ვერ გაპატიე!....მაგრამ გეფიცები ვცდილობდი და არაფერი გამომივიდა.....შიგნიდან ეს რაღაც უფრო ძლიერი იყო ვიდრე მე და ვიდრე ჩემში "ჩვენ", მაგრამ ეს მხოლოდ მეგონა ასეა ადამიანი ვერ ვზომავთ რას ვგრძნობთ სანამ არ ვკარგავთ...აი დაგკარგე და სამყაროზე...არსებულზე და არარსებულზე მეტად მეძვირფასები.....არაფერია ჩემთვის ბურთი..ტრიბუნები, გოლი....ბალახი...მოედანი..არაფერია ეს ყველაფერი უშენოდ...უშენოდ არაფერი არ მინდა, როგორ შეიძლება გიყვარდეს კაცი, რომელიც ამდენი წლის მერე მიხვდა, რომ ათი წლის წინ ყველაზე მეტად იმ დღეს გაუმართლა, რომ შენ არ დაგკარგა და დაკარგა ფეხბურთი... ნიკა ზოგჯერ ეჩურჩლებოდა, ზოგჯერ ხმაჩახლეჩლი ეუბნებოდა ხმამაღლა, ხმის ტემბრი გამუდმებით ეცვლებოდა, ეცვლებოდა მოძრაობა, როცა ელენეს სახეზე შეხებას ცდილობდა, თმაზე ხელს უსვავდა და ეფერებოდა, თითებზე ხელს უჭერდა, ისე, ისე თითქოს სადმე გაშვების ეშინოდა, თითქოს ყველა შეხებას იმახსოვრებდა.

–ნიკა არ გინდა გთხოვ, გეხვეწები, არაფერი გავიხსენოთ არაფერი ამოვქექოთ, მოხდა და დამთავრდა..წარსულია..შორი წარსული..ყველა ტკივილი მიახლდება....

–რაა წარსული? როცა იმას გეუბნები რასაც ახლა, ამ წამს ვგრძნობ ელენე, რაა წარსული....

–ნიკა აზრი არ აქვს...ახლა შენ ცოლი გყავს და მას ჩემთან ღალატობ როცა ამ სიტყვებს მეუბნები.. არ შემიძლია, გევედრები გამიგე არ შემიძლია, ვიცი გავგიჟდები, მაგრამ ამას ვერ შევძლებ, ვერ ვიქნები საყვარელი, ვინმეს საყვარელი.

–მე სიმართლეს გეუბნები.....არ მაინტერესებს ცოლი მყავს თუ არა.....მარტო ის მინდა რომ გაკოცო...მოგეხვიო.....

–ნიკა მე მაინტერესებს ასე არ შემიძლია და შენ ეს იცი...

–მას ხომ შეეძლო.....ელენე გაქვავდა...

–მასთანაც მღალატობდი?

–და კიდევ ბევრთან ისე, რომ ჩამოთვლას აზრი არ აქვს არც მახსოვნან...მათ შესახებ არაფერი მამახსოვრდებოდა არ მაინტერესებდნენ ისინი აორთქლდნენ თითქოს არც ყოფილან. სინამდვილეში მე არასოდეს მიღალატია, გეფიცები მცდელობის მიუხედავად, მე არ მიღალატია, არასოდეს გამიყია შენი სიყვარული სხვასთან გესმის, სხეული მხოლოდ ელენე, ვიცი რომ ეს უფრო გამაღიზიანებელია, მაგრამ მართლა ვერ შევძელი შენი სიყვარულის ვინმესთან გაყოფა, მარტო შენ გეკუთვნოდა, მხოლოდ შენზე ფიქრობდა სულ. ახლა ლიკას სულ ვღალატობ, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქალთან არ ვყოფილვარ, ყოველ წამს ვღალატობ, როცა მთლიანად შენით ვარ მოცული. შენ ყოველთის ჩემი საყვარელი იყავი, ყოველთვის, უბრალოდ ადამიანებმა ეს სიტყვა დაამახინჯეს, სხვანაირად განმარტეს, სულ ამიტომ გიმეორებდი, რომ საყვარლები არ მყავს, მხოლოდ ერთი, მხოლოდ შენ...ვეფხისტყაოსანს არავინ უყურებს, როცა ამ სიტყვას ასე მონდომებით ანადგურებენ და გახრწნილ გრძნობებში ურევენ. ელენეს მეტი აღარ შეეძლო, მეტს ვერ უძლებდა, ამხელა გრძნობებს, ამდენი წლის ნაგროვებს ერთად შემოხეთქებბულს მის სულსა და სხეულში ვერ უმკლავდებოდა....

-უნდა ვიფიქრო, დრო მომეცი, გთხოვ. გევედრები გამიგე...ჩემი გესმოდეს ნიკოლოზ გთხოვ, არ დამადანაშაულო, რომ ნაკლებად მიყვარხარ არ მინდა შენთან დაკავშირებული გრძნობები გარყვნილებაში აირიოს, შენ ჩემი სუფთა სიყვარული ხარ, ეს სიყვარული მიყვარს გესმის, ეს მაძლევდა ძალას ამ ხნის განმავლობაში, ნუ დამიბინძურებ გევედრები, იცი, რომ ვერ შეგეწინააღმდეგები..ამის ძალა აღარ მაქვს, ასეთ ნიკას, როგორიც ახლა ხარ ვერასოდეს გავუწევ წინააღმდეგობას.

ელენე ახლოს მიიწია და ხელები უფრო მოუჭირა..ნიკას გაყინული გაციებული თითების გათბობას ცდილობდა. დიდ ხანს ვეღარ გაძლო ელენეს საკუთარ მუხლებთან ატანა, მისი მზერის და თვალებში ვერ დაფარული სიყვარულის გაძლება, რომ მხოლოდ თითებს შეეძლო შეხებოდა, ვერ პატიობდა დანარჩენ სხეულს.

ნიკამ ხელი წელზე მოხვია და მთელი ძალით მიიკრო....ჰაერი ერთდროულად იყო უფრო მძიმეც და მსუბუქიც, ელენეს სიმწრით ეჭირა ორივე ხელი მუჭად შეკრული ნიკას მკერძე და ძლივს იკავებდა თავს, რომ არ შემოეხვია კისერზე, ერთმანეთს უფრო უჭერდა და მუშტებს უფრო კრავდა,რომ გაეძლო. ცრემლებმა რამდენიმე წამში ჩააღწიეს ნიკას კისრამდე..

-გეხვეწები ჩემ გამო არ იტირო!

-მინდა კარგად იყო ნიკოლოზ, ესე რომ გხედავ, სულ შეიცვალე....თითქოს ისევ ის ხარ და უფრო მიჭირს....

-მეც მიჭირს, უთქვენობა ძალიან ძნელი ყოფილა, წარმოუდგენლად..ასე მგონია გაყოფილი ვარ, გაჭრილი..ზოგჯერ მგონია, რომ მინდა ჩემ ღალატს ვუღალატო, მინდა ყველაფერს ვუღალატო შენი თვალების გარდა, მაგრამ ახლა, ახლაც რომ გეხები ვგრძნობ, რომ მაინც გღალატობ, ვიცი შენ ეს არ გინდა, ვიცი საკუთარ თავს დაიდანაშაულებ, მაგრამ შენ ნუ მომხვევ ხელებს თუ გინდა, შენ ნუ მიპასუხებ კოცნით, ჩავთვალოთ რომ ეს ისევ ჩემი ბრალია, მე გაიძულებ, ელენე

უბრალოდ სულ რამდენიმე წამი იყავი ასე. ელენემ ხელები ერთმანეთში გადახლართა, რომ მოძრაობა არ შეძლებოდა, ნიკას არ შემოხვეოდა დაუფიქრებლად. ნიკამ თმაში ხელი შეუცურა და მის ტუჩებს დააცქერდა, თითქმის არ იყო მანძილი დარჩენილი მათ შორის, როცა მის თვალებს წააწყდა. წინააღმდეგობის ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა, იმ მომენტში ელენეს ნებისყოფა ნულს იყო ჩამოცელილი, მაგრამ იყო რაღაც ისეთი მის გამოხედვაში, მავედრებელ მზერაში, რომ ნიკამ ვერ გაიმეტა, შუბლზე აკოცა და ხელი შეუშვა.

-მხოლოდ მიყვარხარ. მშვიდად ჩაილაპარაკა მენაბდემ. ელენეს მთელი სხეული მოუდუნდა ამ სიტყვების გაგონებაზე, ათი წელი არ ჰქონდა ნათქვამი. „მხოლოდ მიყვარხარ“ ელენეს ნათქვამი იყო. ზოგჯერ როცა ელენეს ეჩვენებოდა ნიკას არაფერი ახსოვდა, რაც მანამდე იყო, მაშინ მენაბდე ეტყოდა ისეთ რამეს რაც ყველანაირად გუდავდა, ახლაც ესე იყო. ისევ იმის შეგრძნება, რომ საერთო მეხსიერება ჰქონდათ, რომ ეს მეხსიერება მუდმივია და ყველაფერი საერთო განცდილი და დამახსოვრებული იყო...ისევ დამუნჯებული ცრემლების მიზეზი ხდებოდა.

-მხოლოდ ის მინდა ბედნიერი იყო ელენე, თუ შენ ეს უფრო მეტ ტკივილს მოგიტანს ყველაფერს გავუძლებ, უბრალოდ მინდა იცოდე, რომ შენს ხელში ვარ, რაც გინდა..როგორც შენ გინდა ისე მოვიქცევი....ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ვალდებული ვარ ის ათი წელი, როცა ადამიანობა შემინარჩუნე დაგიბრუნო.

-მე დემეტრეს ოდნავ ცუდად ყოფნის დროსაც კი არ შემიძლია ოდნავ კარგად ვიყო!

-დემეტრე არ ახსენო! ელენე ეს თემა დაივიწყე..აქ არც კი ვიცი სადამდე მიდის ჩემი სული..მეც კი მაშინებს ჩემი დამოკიდებულება! არაფერს დავუთობ! არ არსებობს ჩემთვის.

ტელეფონს უხალისოდ დახედა, რამდენიმეწუთსწინ შემოსული წერილი გახსნა და თვალები აემღვრა..ემოცია, რომელსაც ვერ იჭერ....საშინელებაა, როცა რაღაც უნდა გიხაროდეს და...და....უკვე აღარ ჰქონდა აზრი პრობლემების დათვლას..უკვე ძალიან მცირე მანილი იყო დარჩენილი საკუთარი თავის სიძულვილამდე.....ის შეგრძნება, რომ საკუთარ თავს არ აძლევ უფლებას გაუხარდეს სიცოცხლე..ახალი სიცოცხლე.

„ნიკა, საყვარელო ახლა საავადმყოფოდან მოვდივარ, ფეხმძიმედ ვარ ნიკა, ნიკა საოცრად ვარ, მენატრები, ერთ სული მაქვს გნახო“

თავი 13

„ჩემს ოთახში უნდა მოდიოდე შენ“ ნ. ჩერქეზიშვილი.

ხინკლის მიტანა გადაიფიქრეს, გასაგები მიზეზების გამო..დანარჩენი ნიკამ იკადრა და გადაატანინა...ოდნავ უშლიდა სიარულში მუხლი ხელს, მაგრამ მალევე გაუვლიდა და ვარჯიშს

დაიწყებდა. ყველაზე მეტად ეს ახარებდა მენაბდეს, მაგრამ საქართველოდან წასვლა განსაკუთრებით უჭირდა, უფრო მეტად რწმუნდებოდა ელენესთან დაკავშირებული გადაწყვეტილების სისწორეში, მაგრამ აჩქარებაც არ უნდოდა..მისი სული მიეკუთვნებოდა იმ ერთ–ერთ იშვიათს, რომლებსაც გულწრფელად, ყოველგვარი ცინიზმის გარეშე, არ სჯეროდა სიყვარულის..იშვიათს, რადგან არც არასოდეს გაკარებია მის გონებას სხვა აზრი..უბრალოდ სხვანაირად აღიქვავდა ყველაფერს..განსხვავებულად..გონების ხვეულები „ცხოვრებაზე“ მარტივად ფიქრით ჰქონდა დაკავებული.

–ნიკა 4 დღეში ცოტნეს დაბადებისდღეა, ალბათ გეტყვის..ბიჭებს დაპატიჟებს..გიჟდება თავის დაბადებისდღეზე ესე გადარეული რატოა არ ვიცი, მაგრამ მინდა იცოდე, რომ მერე დედამიწის ბრუნვის შეწყვეტა არ მოიმიზეზო.

–ოხოხოხო....ახლა არ მომასვენებ არც მე და არც ბრუნოს..ნიკამ რაღაც გადათვალა და გაიღიმა. თუ ცოტნე მეტყვის და არა მისი და როგორმე მოვალ.

–ჩემს ძმას არ აწყენინო და ისე, რომ გაუჩნარდები ხოლმე ისე არ ჰქნა! ელენე თან მაცივარში ალაგებდა რაღაცებს თან ნიკას ტუქსავდა, თვითნაც არ იცოდა რა მიზეზით ან რა უფლებით.

–გეტყოდი ხმას დაუწიე მეთქი, მაგრამ ის მეორე ნაწილი უფრო მომეწონა ჩემს სახლში წასვლა–მოსვლას, რომ აკონტროლებს ყველაზე უჟმური მეზობელი.

–ეგღა მაკლია, შენ მე არ მიცნობ....

–ეს 4 დღე მართლა არ ვიქნები, საქმე მაქვს თბილისში და უჩემოდ არ მოიწყინო. ელენე გაბრაზდა, მაგრამ რადგანაც ნიკასთან მიხვდა, რომ გაბრაზებას აზრი არ ჰქონდა შეეცადა გაეღმა.

–კარგი მადლობა ნიკა...

–ელენე მეორედ ბრაზის შეკავება არ სცადო, განსაკუთრებით გაღიმებით, სულ წითელი ხარ მეშინია ბოლი არ აგივიდეს, ნიკა ხარხარებდა....მაშნ გამოერკვა, როცა მთელი ქილა მაწონი ჰქონდა თავზე დასხმული...

–კარგი მოსწავლე ვარ, ბრაზს აღარ შევიკავებ ხოლმე. სამაგიეროდ მე ბოლი არ ამივა შენ კი მაწვნის სუნით ხარ მოკაზმული. ნიკას ხმა არ ამოუღა ისე გატრიალდა..ელენეს შერცხვა უკან გაეკიდა და მაშინ გაჩერდა როცა ეზოში თავის საყვარელ კაბაზე დილით, რომ მთელი მონდომებით რეცხავდა მაწვნის წვეთები დაინახა გრძელი თითებით „მიტყიპნილი“ ნიკა კი ისე უქნევდა ხელს არც შემობრუნებულა. მაწვნიანი ნიკოლოზის დანახვაზე მათეს თვალები გაუფართოვდა..ვერ გაეგო ეცინა თუ ეთანაგრძნო...

–ჩვენმა მეზობლებმა მაგარი მადლობა იციან..ჩააკვეხა სიტყვა მათემ და გასართობი თემის პოვნით აღტკინებული ზედა სართლზე გაყვა ნიკოლოზს.

– ნიკაა, რა გჭირს? დაეტაკა ბარბარე, თითქოს მაწონი კი არა სისხლი დაენახოს.

–არაფერი ოლღა შენმა კლასელმა გულუხვობა გამოიჩინა და ის ერთადერთი ქილა, რომელიც მამამისისთვის იყიდა სპეციალურად უყვარსო და ძლივს იშოვა, მე დამახარჯა და ამას რომ გაიაზრებს მერე თუ იქიდან კივილი მოგესმა არ შეიმჩნიოთ. მაინც არ თმობდა კარგ ხასიათზე ყოფნას მენაბდე.

–ოლღას ნუ მეძახი!გაჭირვეულდა ბარბარე.

–კარგი როგორც შენ გინდა ოლღა!!ნიკა სირბილით შევარდა ოთახში, მათე და ბარბარეც შეყვნენ, გამეტებით დაეცა საწოლზე ერთი და მეორე ზედ დაახტა...

–ვერ ჩატეხავ მაინც! გამოსძახა აბაზანიდან ნიკამ. მათეს კი მართლა უნდოდა ჩაემტვრია, რომ ნიკას იმის ოთახში დაეძინა იმ დღეს და კარგი სიცილი „გამოეცხოთ“ რადგან ასე ვერ გამოვიდა მათე და ბარბარე შეუსახლდნენ ერთ ღამით..მათე იყო ძალიან ჩუმი წიკიანი...თავისი წიკების დაფარვას კი მუდამ ნიკასაზე ხაზგასმით ახერხებდა.

–ოლღას არ გაპატიებ ნიკოლოზ, ნუ მეძახი ვახ! დაიძახა ბარბარემ ნიკა, რომ გამოვიდა აბაზანიდან.

–გოგო ნუ წიკინებ! ბალიში მიაფარა ნიკამ და დაიწყო ნაცნობი „გაგუდვა“ ბარბარე ფართხალებდა, ფხოჭნიდა.. და ჩქმეტდა....მერე განრისხებული, ნიკა რომ სიცილისგან ვერაფერს აკეთებდა მთელი ძალით აფარებდა ბალიშს და თავგამოდებით ცდილობდა გაგუდვას. იყო ხოლმე იმპროვიზაციის ელემენტები, სიკვდილის გათამაშება..ეს ყველაზე..ყველაზე მომენტი იყო...როცა ნიკა არ ინძრეოდა, მათე სკეპტიკურად უყურებდა, მაგრამ დიდი ხანი სუნთქვის გარეშე ყოფნა და გადატრიალებული თვალები, მაინც აგიჟებდათ, ყვირილამდე რამენიმე წამით ადრე იყო ნიკას სიცილი. ყველაფერზე ილაპარაკეს..საერთოდ ყველაფერზე..ყველა მითი დაამსხვრიეს, რომ კაცები არ ჭორაობენ..არ გაჩერებულან..თუ რამე შეიძებოდა იქვე დაფქვეს და დილით ძლივს ჩაეძინათ. შუადღისას ახალგაღვიძებულმა მათემ იმ სერიოზულ თემაზე დაუწყო ლაპარაკი რაც ყველაზე ნაკლებად უნოდა ნიკას.

–როგორაა შენი ამბები ნიკა?

–ერთ კვირაში შემოწმებას გავივლი და დავიწყებ ვარჯისს.

–ეგ არა, ვნებიან შეყვარებულზე გეკითხები...ვერაფრით დათმო გაღიზიანებული ტონი, არადა უნდოდა.

–ეხლა მოიცადე..! მათე რა ხდება?

–ნიკოლოზ ხშირად მაბნევ და ვნერვიულობ შენზე.

–კარგი რა მათე, მართლა არაფერია სანერვიულო, მე ვიცი რომ არის რაღაცები რასაც არასოდეს გავაკეთებ. ჩემი და ლიკას ურთიერთობაც ამ კატეგორიას განეკუთვნება. მე არ მჯერა სიყვარულის! მართლა არ მჯერა, ამას მარტო იმიტომ არ ვამბობ, რომ შენ დაგამშვიდო ან რაღაც ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს. მე მჯერა გააზრებული გრძნობების, გონების, სულიერი

სილამაზის და სისუფთავის, მე მჯერა რომ ადამიანები საკუთარ განცდებზე ბატონობენ, მაგრამ ხშირად ამას მარტო იმიტო ვერ ახერხებენ, რომ ეს არ უნდათ! უფრო სასიამოვნოა მიჯნურად ყოფნა და მიღებულ ტკივილნარევი სიამოვნება, ვიდრე გააზრებული გრძნობების კონტროლი და ფიქრი. გონება იმიტომ გვაქვს ადამიანებს, რომ ვიფიქროთ, განვსაჯოთ და შევაფასოთ.

–არ გყვარებია შენ! მათემ ისეთ ხმით თქვა თითქოს გაოცება და გაურკვევლობა გამოჟონვას აპირებდა სიტყვებიდან.

–მე სულ მიყვარს! ახლაც! გუშინაც და წინა წლებშიც. მაგრამ ვიცი რომ სიყვარული არაა საკმარისი სულიერი კომფორტისთვის, აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არა. –მეძავის სიყვარული ცოტა სხვა კატეგორიაა!

–ლიკა მეძავი არაა და არ გინდა ისეთ ადგილებზე გადასვლა, რაც...აშკარად შეეტყო ნიკას, რომ მათეს სიტყვებმა იმოქმედა.

–ნიკა, კარგი რა ეგ მართლა იმით არ განისაზღვრება სად მუშაობს, სულით ეგეთა და ნუ მომთხოვ რომ თვალი დავხუჭო, პირდაპირ უნდა გითხრა რასაც ვფიქრობ, არ შემიძლია რამის დაფარვა. ასეა! ასე! და შენც იცი ესეთმა ქალებმა ისე იციან კანში შემოძრომა, რომ ვეღარ მოიშორებ, ძალიან მიეჯაჭვები და ვეღარ შეძლებ მის გარეშე.

–მე ახლაც ვერ ვძლებ!

–შენ ნორმალური ხარ? ვიღაცების ნათრევია, შენ რას გადააკვდი ლამისაა...სულ გაგიჟდი.

–შენ კი არავინ გყვარებიაო, ჩაიცინა ნიკამ. თუმცა თვალებში დაეტყო როგორ აგრძნობინა მათეს მასზე ასე ლაპარაკი არ გაებედა.

–მაშინებ ტო! ცოტა უნდა იფიქრო ჩვენზეც. ეგეთები ყველგან ყრია, ყველა ფეხის ნაბიჯზე..წარმოიდგინე დედა და მამა როგორ განიცდიან ამ ამბავს. კი არაფერი ვიცი შენ არავის ჩარევ შენ ცხოვრებაში ისინიც არ ჩაერევიან, მაგას არ იკადრებენ, მაგრამ ხომ იცი განცდას ადამიანს ვერც დაუშლი და ვერც დააძალებ. –შენ გჯერა ამის მერე სიყვარულის და მე არა ხომ? როცა წინასწარ იცი ვინ უნდა შეგიყვარდეს და ვინ არა, ლიკა არაა მასეთი, სულ სხვანაირია, კეთილი, უბოროტო, სუფთა სული აქვს მიუხედავად ყველაფრისა, გახრწნისგან ძალიან შორსაა. ბევრი ქუჩაში წმინდანებად, რომ მოაქვთ თავი მის ნახევრადაც არ ღირან ღირსებით. მასთან თავს კარგად ვგრძნობ, მგონია რომ პრობლემები არ არსებობენ, მგონია, რომ ყველაფერს შევძლებ, იცი როგორი გულუბრყვილოა შეიძლება ცხოვრებაში ვერ მოიფიქროს ის რასაც ასეთ "წმინდანები" ყოველ ფეხისნაბიჯზე ჩადიან. მას არც ჩემი გამოჭერა უფიქრია და არც რამე აინტერესებს ჩემი. არაფერს მთხოვს გარდა ემოციისა. მეც მაქვს მის მიმართ გრძნობები და ამას არ ვმალავ. რა ვქნა არ ვარ ისეთ მორიდებული ეს გავაკეთო.

–მინდა იცოდე რომ ძალიან მინდა ბედნიერი იყო, მინდა იცოდე ჩემი აზრი მის მიმართ და მინდა ისიც იცოდე, რომ მე ყველანაირად შენ გვერდით ვიქნები, მაგრამ გულისტკივილს

ვერაფერს მოვუხერხებ, რაღაც ღრმად ჩამარხულ წყენას. მათემ სიგარეტს მოუკიდა და ფეხები მოაჯირზე ააწყო.

–მე არასოდეს გაწყენინებ! არც დედას და მამას! არც საკუთარ თავს ვუღალატებ ლიკასთან ურთერთობის "გასერიოზულებით" თითზე ბეჭედს, რომ უწოდებენ. მას ჩემს ცოლთან და ჩემს მრავალწახნაგოვან სიყვარულთან კავშირი არ აქვს! ის სხვაა გულის სხვა ნაწილია, რომელიც ჩაქრება მაშინ, როცა ამას მე მოვინდომებ! ამიტომ გეუნბეი სიყვარულის არ მჯერა თქო! ლიკამ ეს იცის, იცის, რომ ვალდებულებები არ გვაქვს, ამის გარეშე ვერ შევძლებდი არ შემიძლია ვინმეს ოდნავ მაინც მეტს დავპირდე რაც არ შემიძლია.

–ნიკა თუ გიყვარს ამას როგორ ამბობ?!

–იმიტო რომ ვგრძნობ, ჩემს ცოლს საეთო არ აქვს მასთან! მე არ მინდა ჩემს შვილებს შეეხოს ის ქალი ვინც უტიფრად ეხებოდა სხვადასხვა კაცის ტუჩებს თუნდაც დაურწმუნებელი გრძნობებით. არ მინდა გესმის!

–ისე დაახასიათე წმინდანი მეგონა, უმწიკვლო, კეთილი, უბოროტო.. მათე სასაცილოდ დაიჯღანა.

–სიამაყე!

–რა? მათე ვერ მიხვდა.

–მას სიამაყე არ აქვს! ამან აქცია ისეთად, როგორც შენ გეჩვენება. ჩემთვის კი წარმოუდგენელია სიამაყის გარეშე კომფორტი. იმდენად ამაყი უნდა იყოს ბრაზისგან ვგრძნობდე, რომ რომ შეეძლობს თვალებს დამთხრის. უნდა ვიცოდე, რომ არ მაპატიებს, რაღაცებს არ მაპატიებს. უნდა ვგრძნობდე ყველანაირი გაჭირების მიუხედავად, როგორ ამაყად უჭირავს თავი. მაგრამ ისე ზომიერად, ისე შეგნებით უნდა ბრაზდებოდეს, რომ.. აი მათე საყვედურიც კი ნაზი უნდა იყოს, ქალური და სუფთა, ისეთი სისხლი რომ გაგეყინება, მის მზერაზე სადაც ყველაფერს კითხულობ უნდა გრძნობდე, როგორ ჩერდება სისხლი, როცა გიყვარს გაგიჩერდება. როცა იგრძნობ, რომ შენ გამო თავისი სიამაყე ცოტათი გვერძე გადადო, მაშინ მიხვდები, რომ სამყაროზე მეტად უყვარხარ, მას მერე კი ხელს ვერ გაუშვებ. ესაა სინამდვილე, ეს ყველაფერი სიყალბისგან შორსაა და რაც გინდა ამ დამოკიდებულებას ის დაარქვი....

–როგორ შეგიძლია ეს გააკეთო?! სიყვარულს ვერ მოერევი ესე პატარა ბავშვივით რომ ათამაშო.

–უნდა გინდოდეს, მათე როცა გინდა რომ თავი დაანებო, მართლა რომ გინდა და ხვდები, რომ იმსახურებს შენგან შორს ყოფნას დაანებებ და აკონტროლებ, მაგრამ ეს ხშირად არ უნდათ ამიტომ არიან ასე მიჯაჭვულები. როგორც დაპირდა ის ოთხი დღე არ გამოჩენილა წყნეთში, ელენეც უფრო მშვიდად იყო თავისებურად.

ხვეულების ამბავი კი ყველას, რომ დავიწყებული ეგონა, ვერავინ, რომ ვერ შეამჩნია ფორვარდის სახეზე, მხოლოდ ერთ კაცს ახსოვდა იმ ექსკურსიიდან....კახეთი და ხვეულები. ჩამოვიდა ექსკურსიიდან და იმ ღამეს თითქმის არ ძინებია...

ნიკა იმ ადამიანებს ეკუთვნოდა ბოლოს ტომ სოიერი, რომ წაიკითხეს..უფრო სწორად წააკითხეს..არ უყვარდა კითხვა..უფრო გულწრფელად, რომ ვთქვათ ვერ იტანდა, რეალურად კი ძულდა კიდეც. წიგნებისგან მართლა ძალიან შორს იყო. მოშორებით, განყენებულად და არაფრის დეფიციტს განიცდიდა. არ ჭირდებოდა არაფერში, საკუთარი ჩამოყალიბებული იდეები და აზრები კრეატიულობის ნაკლებობას არ განიცდიდა. არც ისეთ საზოგადოებაში უწევდა ყოფნა ამის გამო რომ მორიდებოდა, ამდენ უცხოელთან, ზოგჯერ გუნდელს ნორმალურად ვერც გაიცნობდა ისე გადაყავდათ გუნდიდან წიგნებზე ლაპარაკის დრო არ რჩებოდა..რეალურად არც იყო ალბათბა, რომ ამისთის დრო გამოენახათ...დიდი დიდი იმ ქვეყნის გამორჩეული მწერლის გვარი გაეგო და მეტი არაფერი აინტერესებდა.

ელენემ კი დაძაბა.....სულ ხვეულებზე ფიქრობდა. არა ნამდვილად არ თვლიდა ელენეს მასზე ჭკვიანად, მაგრამ არც იმდენად დაბრმავებული იყო სიამაყით რომ თავისი განათლების სიმწირე არ შეენიშნა და ელენე უფრო "ნაკითხად" არ ჩაეთვალა.

"არა ახლა მე ქალის გამო კითხვა უნდა დავიწყო?!" თავი წამოწია თავის თავს, რომ არწმუნებდა, რომ ეძინა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა. "აი უკვე მეტისმეტია"..თავი ისევ დადო საწოლზე. "ყველა ადამიანისგან შეიძება რაღაცის სწავლა, მაგრამ ეს თუ მართლა პირდაპირი გაგებით დამიდგებოდა წინ" გაეცინა.... "რა მაცინებს, არა თუ კითხვას დავიწყებ..თუუუ..ელენეს გამო არა..არა ელენეს გამო კი, მაგრამ მისი იმ გრძნობის გამო არა (თავის თავსაც არ უმხელდა იმ გრძნობას) უბრალოდ იმიტომ, რომ ეს რეალურად კარგია..ჯანდაბა, იმ სიცხიანივით ვფიქრობ პოეზიის საღამოებსაც რომ არ აცდენს სიცხის გამო..არა მე ვერ დავფიქრდები ასეთ რამეებზე" ისევ გაეცინა.იუმორი ნამდვილად არ იყო მისი სუსტი მხარე. "ჭეშმარიტ" იუმორს მათემ აზიარა. ახლა უარეს აზიარებდა თუ გაიგებდა, რომ ნიკამ კითხვა დაიწყო..ამას ხომ მთელი წყნეთი გაიგებდა ჯერ და მერე დანარჩენი საქართელოც. გიჟივით ერთბაშად არ უნდა გმხდარიყო წიგნის ჭია.. " ერთბაშად, რა ერთბაშად საერთოდ უნდა გავხდე წიგნის ჭია?" ჭიაზე შეაკანკალა..რომ დაენახა მოკვდბოდა....ეტაპობრივად, სთეფ ბაი სთეფ, ფრენის დროს საუკეთესო გასართბია.."უკეთესსაც მოიფიქრებდა კაცი" მაშინვე გააწყვეტინა ხმა მის შიგნით რაღაცას. ყველა საქმეს რაღაც დადებითი უნდა გამოსძალო, ცუდ საქმესაც კი..არადა თვითმფრინავში რა კარგად ერთბოდა სიცილით..მერე ცოტა ხანს წაუძინებდა ახლა კი შექსპირი უნდა ეკითხა..თომას მანი, მარკესი და კოელიო თავისთავად, აბა ისე როგორ იმ საზოგადოებაში სადაც ცხოვრობდა... თუმცა სოციალური ქსელიდან უკვე თამამად შეიძლება ეთქვა, რომ წაკითხული ჰქონდა. "ახლა კი მართლა ჯანდაბა, როგორც სერხიო იტყოდა კარამბა" გააჯავრა მისი მექსიკელი გუნდელი. არა საკუთარ თავზე გაცინება კარგად გამოდიოდა.

....

ადამიანისათვის არ არსებობს უფრო დიდი ტრაგედია, ვიდრე ის, როცა იგი საკუთარ მდგომარეობაში ვერ ერკვევა!

ფოლკნერი

-მინდა ერთმანეთთან დავივიწყოთ, რომ ქალი და კაცი ვართ, მინდა ბავშვებთან ურთიერთობა გააუმჯობესო, მათთან იყო, დემეტრესთან არ იყო ესეთი მკაცრი. გაუგო, დაეხმაროო. უბრალოდ მამა იყო გესმის, ისეთი მამა, როგორიც იქნებოდი რომ არა ის დღე. მინდა აიტანო, რომ სანდროსთან მექნება რაღაცა სახის შეხება, ჩვეულებრივი ურთიერთობა. მე და შენ ვიცით, რომ ჩემი ბრალია ჩვენი ათი წელი.....ამის გახსენება...ნიკამ ტუჩზე თითები მიადო და აგრძნობინა, რომ მეტის თქმა არ იყო საჭირო.

-დემეტრე სხვა თემაა! დემეტრესთან არავის ჩავრევ ელენე. ის მე და იმას გვეხება მხოლოდ! სანდროს რაც შეეხება შენ თავისუფალი ქალი ხარ, რომელსაც ყოფილი ქმარი ვერაფერს დაუშლის, მაგრამ ამ თავისუფალმა ქალმა იცის მისი ყოფილი ქმრის აზრი. იცის და ყველა მისი საქციელი იქნება გააზრებული სადაც შეცდომები არ სწორდება!.კარების ხმამ გამოარკვია ორივე, თამაზი და მაია იყვნენ რაღაცაზე გულიანად იცინოდნენ. ისე ახლოს რომ იყვნენ ერთმანეთთან ნიკას და ელენეს შერცხვათ, ფეხზე სწრაფად წამოდგა ელენე და მეგობრებს გადაეხვია.

-თქვენი პატარები როგორი მოუსვენრები გამხდარან, ანასტასია თავგამოდებით უწიოდა ვიღაც კაცს როგორ თუ საყვარელი ვარო, ამას მარტო მამა მეუბნებაო. ნიკამ ისე სასაცილოდ გადაიხარხარა, თავი ვერ შეიკავა კარგა ხანს იცინა...ასეთ დროს ელენეს საშინლად ამგვანებდა პატარას, ისეთი ბრაზიანი იყო ელენეც, როცა გაიცნო.

-დედას ჰგავს.

-სულაც არა, გაიბუტა ელენე, მაგრამ მაინც მიხვდა მსხგავსების ნამდვილობას. თამაზმა მაცივარი გამოაღო და დიდი იმედი ჰქონდა შიგ საყვარელი „შპროტის“ სალათა დახვდებოდა, გიჟდებოდა და თავს ვერასოდეს იკავებდა.

-თაზო არ მაქ გაკეთებული, მალევე გავაკეთებ თქვენ დასხედით, გაუღმა ელენემ და სამზარეულოსკენ წავიდა.

-ძალიან მიყვარხარ ელენე, კბილები აუკაწკაწდა ბელთაურს. მალე ცოლს მოვიყვა და ასე აღარ შეგაწუხებთ შენ და მაიკოს. არავის გახსენებია სალათა, არც არაფერი ყველა ბელთაურს მივარდა, სავარძელზე დასვეს, ნიკამ წყალიც კი მიაწოდა და დაკითხვა დაიწყეს..

-რა? ვინ? როდის? სად? არ უნდა გეთქვა? დაგახრჩობ, დაბერდი უკვე, რატომ არ მითხარი?

-ამომასუნთქეთ, დამაცადეთ სალათა მინდა.

-დაგჭრი! ჩქარა ახლა რა, შენ ცოლიანი ვერ წარმომიდგენიხარ, მეორე დღეს განქორწინება აღვნიშნოთ, ნიკას მართლა ეცინებოდა.

-როგორ არა, უხხხ, იხუმრა ბიჭმა, მე ცოლს მოვიყვან მალე და არ დაგინახო ქორწილში.

-ისედაც არ დავდივარ ისეთ ადგილებში სადაც ფეხბურთის სუნი მცემს...ბელთაური ჩაიფერფლა....მართლა დაფიქრდა, რომ შეიძებოდა ნიკა არ მისულიყო, რადგან ამდენი მეგობარი

იქნებოდა, ყოფილი გუნდელები და 10 წელია არუნახავს კი გააუმჯობესა ნიკამ ურთიერთბა, მაგრამ ამ მხრივ „არ ენდობოდა“ ბელთაური.

-რას უსმენ ამ წიკიანს თამაზ თქვი რა, გაიცინა მაიამ და ნიკა გამოაჯავრა.

-აუ ეს დაინახეთ რა დღეშია, ორი კილო ძლივს დაიკლო და აღნიშნავს და მერე 5 ს იმატებს.

-დიდი ხანია ვიღაც გახდა? გაბურთული არასოდეს ვყოფილვარ შენნაირი ღიპით, არ შეარჩნა მაიამ.

-არც ჩემნაირი გამხდარი ყოფილხარ ოდესმე და კვდები ისე გშურს, ნიკამ ზუსტად იცოდა რა გააღიზიანებდა. ახლა ის დრო ახსენდებოდათ ნიკა და მაია ერთმანეთს, რომ ჭამდნენ, იმდენს კამათბდნენ სხვას ეგონებოდა დახოცავდნენ ერთმანეთს ბოლოს კი უაზროდ იცინოდნენ.

-შენი ღიპი არ მავიწყდება, მაინც მემახსოვრება სულ....დაუქაჩა თვალები.

-მე კი შენი სიპუტკუნე სულ თვალწინ მიდგას დამახსოვრება არც მინდა..

-მოგკლავ მენაბდე! გაუკივლა მაიამ.

-მე კი მაგრამ კალორიებს ვერ მოერევი! მე როცა მინდა მაშინ ვიკლებ და ვიმატებ და ჩემს ღპს პატივი ეცი რა...

-იცოდე ყველას ვაჩვენებ იმ სურათებს სადაც 25 კილოთი მეტი ხარ!

-ყველა იტყვის, რომ ძლიერი ნებისყოფა მაქვს.! შენ კი....

-გაჩერდით ახლა მოიცადეთ, ელენე თამაზს უყურებდა და ერთი სული ჰქონდა გაეგო ვინ მოყავდა ცოლად.

-ზავი რამდენიმე წუთით, ამ ვაჟბატონის ქორწილზე ნახავ ჩემს წონას. გაიჭმა მაია და გამარჯვებული მზერა ესროლა ნიკას. ორი თითი ჯერ თავის თვალებთან მიიტანა მერე ნიკასთან.

-ქორწილისთვის ან დაბადების დღისთვის იკლებ ხოლმე შენ სულ, მერე ისევ იმატებ ძვირფასო. ჩვენი ქორწილისთვისაც მაგრად მოინდომე და თაფლობისთვის დასრულებისას ვეღარ გიცანით მე და ელენემ.

-მოვკლავ, დაიყვირა მაიამ და ნიკას გაეკიდა.....

-გადი, არ შემახო ეგ ხელები არ შემახო, მაიკო გაჩერდი ვნანობ, გეაჯები გადი ახლა, გაჩერდი, ნიკა ყვიროდა, მაია კი ფქვილში ამოვლებული ხელებით მიდევდა იქვე სამზარეულოში წააწყდა და იცოდა როგორ ეძია შური.

-ახლა ვნახოთ ვინ უფრო მაგარია..

-შენ მაიკო, შენ, გაჩერდი არ შემახო გეხვეწები, აუ გთხოვ რა არ მომეკარო მაგ თითებით, რა თქმა უნდა აზრი არ ჰქონდა, მალე ფქვილი ყველგან ეყარა.....მერე უკვე კვერცხიც, მერე მაიონეზი ესვა თავზე მაიას ფრაზებით „თმებს ბზინვარებას მატებს“ „სასარგებლო არაა კუჭისთვის, მაგრამ თმაზე მიდის“, მერე თაფლიც ესვა ნიკას კისერზე და მაისურზე..ფრაზით „მინდა დატკბე“ მერე თამაზი და ელენეც ჩართეს,, სხვანაირად არ გამოდიოდა, ისედაც გადაასხეს ყველაფერი თავზე, ელენე ყველას ჯობდა, მარტივი მიზეზის გამო იცოდა რა სად ედო....სამივეს მოახვედრა ვაშლის ძმარი ფრაზებით „ფარდებს არ გაეკაროთ“ „ყველაფერს დაალაგებთ“ მძაფრმა სუნმა ნიკა სულ გააგიჟა, ამიტომ რამე უფრო „ჭკვიანურისთვის“ დაიწყო ფიქრი, ყველაზე მეტად მაწვნის სუნი აღიზიანებდა ამიტომ მაცივარი გამოაღო და ხელი სასაცილოდ დასტაცა. მალე მაწონი ელენეს სახეზე იყო მოწიწებით აკრული და თვალებიც არ უჩანდა. „ნიკა მოგკლავ“ სააბაზანოსთან იმხელა რიგი დადგა 4 კაცის გამო, რომ რამდენიმე წუთი ვერავინ შედიოდა.

-ძალიან გთხოვთ შემატარეთ, თქვენ ბავშვებისათი ისარგებლეთ, ნიკა მოწიწებით ისროდა სიტყვებს თან პოზიციებს არ თმობდა. ბოლო ბოლო ჩემი აბაზანაა, ყოფილი..ხმადაბლა დაამატა.

-მენაბდე ისეთი კორპუსი გაქვს ჩადგმული მცველი ვერ გაგეკარება არათუ ჩვენ.

-ბელთაური კარს მიხედე!

ბავშვები სახლში ვერაფერს ცნობდნენ, ანასტასიას სიცილი აუტყდა...

-რას გავხართ, მეც მინდა,..სწრაფად გაიქცა და ფქვილი გამოარბენინა მამამის მიაწოდა დამაყარეო...

-არა ტასო კონკურენტები არ გვინდა ახლა აბაზანაში შესვლაზე.....სულ ნათლიაშენის ბრალია არ იკლებს არ იკლებს,ახლა უკვე ხომ ხედავ სახლი რა დღეში ჩაგვიგდო..მაიამ თავში წამოარტყა...

-ნუ მაცინებ ნიკა ვეღარ ვაკავებ ამ ორს ყვიროდა ბელთაური!

-კარს მიხედე, სულ ამას გიმეორებ მთელი ცხოვრებაა! სულ ამას უყვიროდა ნიკა მოედნის ერთი ბოლოდან მეორეში, იმედიანად ჰქონდა „კარი“ ჩაბარებული მეგობრისთვის.

-ესენი შეტევაში ძალიან მაგრები არიან!... არის მომენტები, როცა ყველაფერი გავიწყდება, ასაკი, წარსული, პრობლემები, ამას კი მხოლოდ იმ ადამიანებთან ახერხებ ვინც მუდამ ჩვენ გვერდით არიან ყველა სიტოაციაში, იქ სადაც ასაკი არ არსებობს სადაც პრობლემებს ერთად უმკლავდებიან.

დემეტრეს ისევ არ იმჩნევდნენ მამის თვალები.

ეს კი კლავდა, არაფერს შეეძლო ესე დაენაწევრებინა, საკუთარ სხეულში უსახლკაროდ მიტოვებულ უპატრონო ბავშვს ჰგავდა, რომელმაც არ იცოდა სწორი, არასწორი, იცოდა მხოლოდ ის, რომ არ იყო ბედნიერი..იცოდა, რომ მას არ იმჩნევდნენ მამის თვალები. უმნიშვნელობის

განცდა მომაბეზრებლად სასოწარმკვეთელი გახდა..დაითრგუნა, დაიჩაგრა და ჩაიფერფლა. უყურებდა მამამის ისეთს, როგორზეც ოცნებობდა, მაგრამ მას არ ეკუთვნოდა, ყველაფერს ირგვლივ, მაგრამ მას არა.

უფრო მეტ ხანს ალაგეს ვიდრე წარმოედგინათ..ნიკა უხმოდ ეხმარებოდა, ახლა იაზრებდა ყველაფერს და სულ აერია ყველაფერი..საკუთარმა შეგრძნებებმა შეაშინა და დაქანცა. დაღალა ამ უაზრო ბრძოლამ..ამ გაყოფილმა ცხოვრებამ..სული იმ განცდამ აუჯანყა, რომ არ უხაროდა, შვილი არ უხაროდა. რამეს კი არ ფარავდა, სხვის დასანახად კი არ იყო ასე გულგრილი , უბრალოდ სხვანაირად არ შეეძლო, ამ ბავშვმა თითქოს ის ბოლო ძალაც გამოაცალა რაც შეაგროვა. ელენემ შენიშნა ეს ცვლილება, ვერ გაეგო რამ შეუცვალა ასე გამოხედვა, მოძრაობა, ხმა..ნიკამ ვეღარ მოითმინა და ელენე ოთახში შეიყვანა. არ იცოდა როგორ ეთქვა, ან ეთქვა თუ არა..

-ელენე....ჩემი ცხოვრება მაწუხებს, ამას ვერ ვუშველი, მაგრამ მე ვცდილობ, ვცდილობ ძალა ვნახო, რომ ცუდიდან და უარესიდან ცუდი ავარჩიო.

-მეც ესე ვარ ნიკა,თითქოს კი არ თქვა ამოხეთქა, ყველაფერმა აზრი დაკარგა, განვლილი ყველაფერი მტკენს, ჩვენი გახსენება მშლის, რომ გხედავ.....მე ისევ ისე... ელენეს სხეული მოუდუნდა და თავი ხელებში ჩარგო, მხრები უცახცახებდა. ნიკა პირველად ხედავდა ასე სუსტს. და პირველად გრძნობდა ასეთ უმწეობას, სინდისის ქენჯნას და უიმედობას.

-ელენე....უშენოდ ვეღარ ვარ....იცი არ მაინტერესებს არაფერი..ვიცი რომ ჩვენთვის ახლა ყველაფერი აკრძალულია, მაგრამ რა ვქნა რომ ვერაფერს ვუკრძალავ ჩემს თავს, რა ვქნა რომ ვერ ვუძლებ შენგან შორს ყოფნას, არ მინდა რომ დრო, ერთი წამიც კი რომ დავკარგო, რომ დავკარგოთ გესმის, მინდა რომ ყველაფერზე ვილაპარაკოთ ოღონდ ასე შორს მყოფებმა არა....

-მე ვარ დამნაშავე! ელენემ მძიმედ ამოაყოლა ჰაერს ეს სიტყვები.

-დამნაშავე არ არსებობს ისევე, როგორც უდანაშაულო.

-ვერ წარმოიდგენ რა მემართება როცა იმ დღეს ვიხსენებ,

-ელენე..

-გთხოვ გეტყვი, მე ვერ გაგიფრთხილდი, მე ვერ დავაფასე ჩემი ცხოვრება, მე არ ვიცოდი ერთგულების, სიყვარულის, ერთად დგომის ფასი, მე გავტეხე ის რაც 10 წელია მანგრევს.... ხო ჩემი ბრალია,ჩემი და შენ ეს იცი, იცი და ვერ მაპატიე...ვერ დაივიწყე, ერთდროულად გძულდი და გიყვარდი....

-მე..ახლა ამის დრო არაა რა ელენე გთხოვ..

-ხო ნიკა, ერთდროულად გძულდი და გიყვარდი, ამიტო მექცეოდი ისე..... ვერაფრით მაპატიე...ვხედავდი, რომ ცდილობდი.. ვხედავდი თუნდაც ის რომ ჩვენ ქორწილს ხშირად უყურებდი ჩუმად, რომ როგორმე ის შეგრძნებები აღგედგინა რასაც მაშინ ჩემ მიმართ

გრძნობდი, ელენე ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა... ცდილობდი მაგრამ არაფერი გამოდიოდა, ვერ მაპატიე, მთელი 10 წელი მხოლოდ ცდილობდი ნიკა....ამიტომ ზიზიღით ეხებოდი ჩემს სხეულს, ამიტომ იქცეოდი ყოველ ღამე მოძალადესავით, მაგრამ ზუსტად ვიცოდი შენთვის ამის ნება, რომ მომეცა გაჩერდებოდი..მაგრამ გინდოდა მეც შემძულებოდი და შენც მე...სულ ამას ცდილობდი..სულ ჩემს გატეხვას....შენს გაუფერულებას ჩემში..

-რომ იცოდე როგორ ვნანობ..

-ეს შენზე არ იყო დამოკიდებული..და ნუ ნანობ... მე დავაშავე და იქ დამთავრდა....არც უნდა მქონოდა იმის მერე რამის იმედი, ყოველ ჯერზე შენი თავლების დანახვისას მეგონა...ველოდი გესმის...რა სულელი ვარ...შენ ხომ მე დაგაკარგვინე ყველაფერი რაც გიყვარდა და ამის მერე როგორ მეგონა, რომ შეგეძლო დაგევიწყებინა..

-ყველაფერი ფეხებზე , საერთოდ ყველაფერი, ორივე ფეხი, ხელებიც, სხეულიც, ფეხბურთიც და სიცოცხლეც შენს გარეშე....როგორ გამმართლებია მხოლოდ ახლა ვხვდები, მაშინ შენ, რომ დამეკარგე...ოდნავ რომ დავფიქრებულიყავი ელენე ამაზე შევძლებდი ისევ ისე გვეცხოვრა....ჩვენი ბედნიერი ჰაერით..გახსოვს..ის სამი წელი...მგონია რომ სიზმარი იყო ზოგჯერ... ელენეს მხოლოდ ის ახსოვდა რაც ნიკამ ამ წამს უთხრა, რომ ახლა იგრძნო, რომ მისთვის ყველაზე მთავარი იყო, ფეხბურთზე მთავარი და თითქოს იგრძნო, რომ ეჭვიანობა სამუდამოდ იქ დაამარცხა.....

-ფეხბურთზე მეტად? ნიკას მთელი სხეული ჩამოეკაწრა...

-ნუთუ იმდენად უუნარო ვარ, რომ ის ვერ მოვახერხე შენთვის ეს მეგრძნობინებინა.....რომ შენ ხარ ყველაზე მეტი ჩემში, ყველაფერი სხვა დამატებები და განსაზღვრებებია.....

-რაც არ უნდა იყოს, რაც არ უნდ აგველოდეს, ჩვენ ღირსეულად უნდა გადავიტანოთ..ხომ გესმის ნიკა.

-კი.

-ნიკა, დემეტრეს თვალები დაინახე, ჩამქრალი აქვს..ნუ იქნები ესეთ მასთან...

-ნუ ჩაერევი! ნიკა ყოველთის კარგავდა საკუთარ თავს ამ თემაზე ლაპარაკისას, ელენე კი არ ეშვებოდა.

-ორივესთვის რთულია..

-ადვილი ყვირილია! ყველაზე ადვილი, არაფერს მოითხოვს, საერთოდ არაფერს უბრალოდ არსებულის გარეთ გამოტანაა.....ადვილია ვიღაცას პასუხი მაშინვე გასცე..ადვილია აჰყვე პატივმოყვარეობას, ყველას თავისი ადგილი მიუჩინო მაშინვე ეს ყველაფერი ძალიან ადვილია, მარტივია გესმის, ამას არ სწავლობენ ელენე, ეს შიგნიდან ყველას აქვს, რთული ამის გადამუშავებაა ყოველთვის, ყოველთვის სწორად სიარული...ისე რომ საკუთარ თავს არ უღალატო. ადვილია იყო წამიერი ვაჟკაცი დაძარღვული კისრით, ფურთხებამდე მისული

გაბრაზებით და იმ სიტყვებით, რომლებიც უბრალოდ არ უნდა თქვა მამასთან! ის კი არა, რომ არ იმსახურებს ელენე..ამას საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა! უბრალოდ არ უნდა თქვა, არანაირ შემთხვევაში, არაფრის გათვალისწინებით! ჩემნაირ უვარგის და უზნეო მამასაც არ უნდა უთხრა. ფეხებზე მ.კიდია ამის მერე ყველაფერი..საერთოდ არ მაინტერესებს ვინმეს სწორად მიაჩნია თუ არა ჩემი საქციელი, ან სწორი ვარ თუ არა....რომ არ გამერტყა ალბათ არც არასოდეს ვნახავდი.....გეფიცები მაშინ, რომ გავარტყი ვიფიქრე, რომ ბოლომდე ვერ გავწირავდი ჩემს თავს დემეტრეს ასე დავშორებოდი..გავარტყი, რომ ოდნავ მაინც შემემსუბუქებინა ის რასაც ვგრძნობ, შემემსუბუქებინა ის კედელი, რომელიც ამ სიტყვებით ამიშენა ცხვირ წინ და ვერ ვახტები..გამამტყუვნე...ვიცი დამნაშავე ვარ....უფრო მეტიც..სუსტი ვარ! ძალიან სუსტი, მაგრამ მოგატყუებ თუ გეტყვი, რომ ამ სისუსტეს არ ვეთანხმები! და ამიტომ ამას ვერც დავამარცხებ, მთელი შეგნებით მგონია, რომ დემეტრე დამნაშავეა..ის, რომ მე უფრო ვარ დამნაშავე მის ბრალს არ ამცირებს! და არც ჩემსას ამსუბუქებს!

-ახლაც უშვებ შეცდომას როგორც ადრე, ნიკა,მაგრამ თუ ახლავე შეეცდები გამოასწორო იმ ცუდ შედეგებს არ მიიღებ..ეს ყველაფერი სანანებელი გაგვიხდება, ამას იმიტომ არ გეუბნები, რომ გაგაღიზიანო ან შენი არ მესმის..უბრალოდ დემეტრე იმაზე მეტად გვიყვარს ვიდრე, რომ იმ შეგრძნებას რასაც შენი დამოკიდებულება გამოიწვევს იმას გავუძლოთ.

-ელე ამაზე ლაპარაკი შევწყვიტოთ კარგი? არ გვინდა რა.....

-კარგი ნიკა, როგორც გინდა უბრალოდ მინდა იცოდე რომ დემეტრეს შენგან განსაკუთრებულად წყინს, და წყინთ მისგან ვინც მნიშვნელოვანია, მინდა გახსოვდეს! უნდა გახსოვდეს!

-მემახსოვრება. მალე სანდრო მოვიდა..ნიკას სახე წაეშალა..ეგონა, რომ მოთმენას ვეღარ შეძლებდა, როცა ელენე სამზარეულოში გავიდა ოთახისკენ ანიშნა და იქ შეიყვანა..თამაზი და მაია არც მისალმებიან რეჟისორს. ელენე ძალიან გაბრაზდა ამ საქციელზე.

-არც ლიკას ვესალმებით! გამოსცრა ბელთაურს და მალე გავიდნენ სახლიდან. ელენე თავს ძლივს იკავებდა, რომ არ წაქცეულიყო.

-მეგონა გასაგებად გითხარი! ნიკამ კედელთან ააყუდა.

-მომისმინე ნიკა, შენი მესმის, მაგრამ მინდა ჩემიც გაიგო, მე არავის არაფერს ვაძალებ გესმის, მე ელენე მიყვარს, იცი რომ მთელი ცხოვრებაა და ახლა შენ გამო უარს არ ვიტყვი, მით უმეტეს, რომ შენ ვერ ვხვდები რა უფლებები გაქვს. ელენე თავად გადაწყვეტს ყველაფერს, მივცეთ მას ამის შესაძებლობა! მან გადაწყვიტოს, საერთოდ ასეა, ჩვენ კი არა ქალები წყვეტენ! საშინლად არ უყვარდა ასეთი შემთხვევები, როცა არჩევანი უნდა ყოფილიყო, არ ესმოდა ქალების ვინც იმდენად გაურკვეველნი იყვნენ გრძნობებში, რომ არჩევანად აქცევდნენ მათზე შეყვარებულებს, სასურველ ვარიანტებად. ეგონა არასოდეს მოუწევდა ასე, მაგრამ 37 წლის ასაკში მოუწია და ჩაეღიმა. მიხვდა რომ ასე იყო,უფრო სწორი იყო..... მიხვდა რომ სანდრო იმაზე მართალი იყო ვიდრე ეგონა, ამიტომ ყელზე მიბჯენილი ხელი შეუშვა და მოშორებით დადგა.

-კარგი, მართალი ხარ! ელენეს გადასაწყვეტია.

-ხო ეგრეა.

-სანდროო... ახლა რასაც გეტყვი კარგად დაიმახსოვრე, შენ მართალი ხარ ამ სიტოაციაში, რის გამოც არ იყავი პასუხი მიიღე და უნდა ვაღიარო რომ ღირსეულადაც აიტანე....მაგრამ...იცოდე, კარგად დაიმახსოვრე, ნიკა მშვიდად და მტკიცედ ლაპარაკობდე. დემეტრეს არსებობა სულ გახსოვდეს!!!! ფანჯარასთან ჩაცუცქულ დემეტრეს ჟრუანტელმა დაუარა. „დემეტრეს არსებობა სულ გახსოვდეს!“ თითქოს ამ სიტყვებმა რამდენჯერმე დაუარა, სხეული დაეჭიმა და შეაკანკალა.

-იშვიათად რომ ვინმეს ვეჩხუბო, კიდე უფრო იშვიათად რომ დავემუქრო, მე მესმის, რომ ყველას აქვს თავისი სიმართლე და რაც მთავარია ღირსება, ამიტომ ვცდილობ არავის მივაყენო შეურაცხყოფა მით უმეტეს თუ სხვებიც არიან, ამიტომ არ გაგეცი პასუხი მაშინ, როცა დამარტყი ჩემი შვილების თვალწინ,ელენესთან ერთად,შენ იმის გააზრებაც არ შეგიძლია რამხელა რამედ დამიჯდა დემეტრესთან ამის მოთმენა..შენ ამას ვერ მიხვდები, შენ არ გყავს ბიჭი, რომელსაც ახლა სჭირდება ყველაზე ემეტად გვერდში დგომა და მე ახლა აღარ შემიძლია შენგან მოთმენილი მუშტის გამო ვუთხრა როგორ უნდა იცხოვროს, მაგრამ არც ისეთი წმინდანი ვარ, რომ საერთოდ შემერჩინა, უბრალოდ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაარქვა. იმ ქცევისთვის მიიღე პასუხი მაგრამ, იცოდე დემეტრეს არსებობას თუ დაივიწყებ გეფიცები მის თავს, რომ შუაზე გაგხსნი...გაგხსნი გესმის! არასოდეს დაგავიწყდეს, რომ ელენეს შვილები ჰყავს, ბიჭი ჰყავს და თუ ოდესმე შენი საქციელის გამო დემეტრეს რამეზე მაინც შერცხვება ცხოვრებაში, თუ ამაყი არ იქნება ელენესთან დაკავშირებით, თუ ოდესმე რამეზე თავის დახრა მოუწევს, იცოდე რომ სიკვდილს სანატრელს გაგიხდი!! გითხარი, რომ იშვიათად ვიმუქრები, მაგრამ ცხოვრებაში არასოდეს დამირღვევია ის რასაც დავმუქრებივარ! გ ა გ ხ ს ნ ი -დამარცვლა ნიკამ. დემეტრეს სიცოცხლეს გეფიცები!

-მესმის, მე ვიცი რომ ახლა ელენესთან უფრო ფრთხილად უნდა ვიყო ვიდრე ოდესმე.

-კარგი სანდრო. მე არ ჩავერევი, ყველაფრის მიუხედავად ვფიქრობ, რომ ღირსეულად საშუალო კაცი ხარ, მიუხედავად იმისა რომ სხვა მხარეს დგახარ...ამას ვაღიარებ....თანაც ყოველთვის. ახლა დემეტრეს ის თამაში გაახსენდა, როცა მამამისმა მოწინააღმდეგის საოცარ გოლზე ტაში დაუკრა, დიდი კრიტიკა გამოიწვია მაშინ ამ ამბავმა, თუმცა ნიკასთვის ამას ხელი არ შეუშლია სხვა სიტოაციაშიც ასე მოქცეულიყო. იცოდე, რომ ჩემი სიტყვები არ დაივიწყო...თორემ გახსენებასაც არ დაგაცლი ისე გადაგხსნი..

გულაჩქარებული გამოიპარა დემეტრე და სახლში შესასვლელიდან შევიდა, უნდოდა მამამის რამე ეთქვა, რადგან ეს მოისმინა იმედი მიეცა, რომ ნიკა სხვანაირად შეხედავდა, და მერე იქნებ..იქნებ..ისე უნდოდაა ჩახუტებოდა სული ელეოდა..მაგრამ ნიკას დემეტრე არ დაუნახავს. არ არსებობდა....იდგა ჩამქვრალი თვალებით დემეტრე და ჰაერი არ ჰყოდნიდა, თვალები აეწვა, ყელში ბურთი მოაწვა....

-დემნა როგორ ხარ? გაუღიმა სანდრომ, ნიკას ტელეფონი ეჭირა და რაღაცას წერდა...თითქოს სახელიც წაართვეს, გაღიზიანდა, დაიბნა,მიხვდა რომ საყვარელი სახელი საშინლად ჟღერდა ყველასგან ვინც მამამისი არ იყო..ოდნავ შეეშინდა, შეეშინდა იმის რასაც გრძნობდა..იმ გავლენის

შეეშინდა რაც ნიკას ამ სახელზე ჰქონდა, იმ ძალის შეეშინდა რაც მამამის ჰქონდა მის ბედნიერებაზე...და უბედურებაზეც.

-მადლობთ კარგად.....ხმაჩაწყვეტილმა თქვა სანდროს ჩაეხუტა, ვერ გაიაზრა რა გააკეთა, მამამის ვერ გაუბედა მოხვეოდა და გაუაზრებლად მოეხვია სანდროს..ოთახში შეიკეტა. როგორ ტკიოდა ახლა...გულგრილობა ყველაზე დიდი სასჯელი ეჩვენა, ყველაზე მწარე და მტკივნეული.

ოთახის გარეთ, მიკეტილ კარებთან..კაცი, რომელიც ინტერესით დაჰყურებდა ტელეფონს სინამდვილეში კი კალენდარს ჩასჩერებოდა ...იდგა....მისი 37 წლის სხეული იდგა და სული....სული წარმოუდგენლად განიცდიდა..სხეულის გარეთ გრძნობდა ტკივილს..მის შეხებას....იმ საშუალო სულის ადამიანთან შეხებას..ჩახუტებაზე გონება აღარ მიაკარა..დემეტრეს თითების მის სხეულზე დანახვამ გადატეხა..იმ თითების..იმ პატარა თითების, პირველად, რომ დაინახა და რომ იცოდა არასოდეს გაუშვებდა ნებით ხელს..ბუთქუნა თითების ახლა, რომ დაგრძელებული და ზედმეტად გამხდარი ეჩვენა..ვერ უშვებდა....სახეზე კი ისევ არაფერი ეტყობოდა... ანასტასია მაშინვე მამამისისკენ გაიქცა და ფეხზე მიეხუტა...ხელში, რომ აეყვანა ზუსტად იცოდა დაუვარდებოდა. თვითონ ჩამოჯდა დივანზე და თავისი გოგო კალთაში ჩაისვა..

-შენ უფრო რატომ გესმის ყველაფერი მამა..ჩაჩურჩულა ხმაგატეხილმა. მისთვის, როგორ უნდა ეთქვა, რომ „ყველაზე პატარას ტიტული“ უნდა დაეთმო, როგორ უნდა ეთქვა, რომ სხვა უნდა ყოლოდა..სხვა ბავშვი....ანასტასია, ხომ ყველაფერს უხვდებოდა..იმასაც მიხვდებოდა, რომ სიყვარული არა, მაგრამ მოვალეობები გაეზრდებოდა და დროც შეუმცირდებოდა. გვერდიდან არ მოშორებია..სანდროს თვალებით კლავდა, ისე ჰქონდა დაქაჩული....სანდროსაც ხელი ჰქონდა ჩაქნეული ანასტასიაზე, მისთვის მხოლოდ დედა და მამა იყვნენ..მხოლოდ ესენი არსებობდნენ ერთად..მხოლოდ ერთად...

რომ გამოვიდა..იცოდა სად უნდა წასულიყო....მაგრამ არ იცოდა, როგორ. ლიკა გამუდმებით ურეკავდა და ვერ პასუხობდა....როგორ ეთქვა, რომ უხაროდა არადა უნდა ეთქვა, ამდენი დაგროვილი ცოდვა შვილებთან უკვე მეტისმეტი იყო მისი სულისთვის და ახალი სიცოცხლის მამობაც არ უნდოდა ესეთი ცოდვით დაწყებულიყო.

-თაზო..

-ხო ნიკოლოზ!

-სადაა ....ნერწყვი ძლივს გადაყლაპა და დაამატა.. -საფლავი. ბელთაური გაჩუმდა..უფრო სწორად ვერ ლაპარაკობდა, არ ელოდა..უფრო სწორად ელოდა მთელი 10 წელი როდის ჰკითხავდა და არ ელოდა იმ დღეს თუ გაიგონებდა ამ სიტყვებს.

-თუ გინდა ერთად..

-თაზო მარტო....

შვილის, რომელსაც არ იცნობდა საფლავთან მისვლა ყველა მწვერვალზე ასვლაზე რთული ყოფილა. ლოცულობდა, რომ არავინ შეხვედროდა, იცოდა უნდა შერცხვენოდა ამ ცრემლების

რაც ასე დაუნდობლად მოდიოდა, მაგრამ ვერ აკავებდა..მარმარილოს შავ ქვაზე მხოლოდ მის შვილს არ ჰქონდა სურათი..მისი დაბადების და წასვლის წლებიც არ ეწერა ერთდაიგივე დღე იყო.....პატარა ჯვარი და ყვავილები....მოვლილი საფლავი..დედას არ მიუტოვებია....სახელიც არ ჰქონდა....უნდოდათ გაბრიელი....როგორ ელოდებოდნენ.....მამა არ მისულა 10 წელი....10 წლის გაბრიელის წარმოდგენაზე სულ დაიშალა....როგორი განცდაც ჰქონდა გაბრიელის არსებობის გაგებაზე და როგორიც ახლა მომავალ შვილზე, სწორედ ამ განცდების განსხვავება იყო ზუსტად ნიკას სულს შორის...10 წლის წინანდელ და დღევანდელ ნიკას შორის....შვილი აღარ უხაროდა და მიხვდა, რომ მოკვდა....გრძნობები გაეყინა. ფეხის ნაბიჯის ხმა და ელენეს სუნი.

თავი 14

„პირველად წაკითხვის ბედნიერება“

ნიკა რა იყო დედა? მაიამ შეატყო რაღაცნაირად, რომ იყო.

–მაი, ბოლოს, რომ გნახე ქართულის თიჩერი იყავი ხომ?

–ხო....მაიამ ცალი წარბი აწია სასაცილოდ.

–როგორი ანაზღაურება გაქვს? პედაგოგები რამეს ხომ არ უჩივით?

–ნიკა ნუ მასხარაობ, რა გინდა, რა ანაზღაურება რამდენი მაქვს..გაეცინა მაიას...საერთოდ, რომ ვმუშაობ ეგეც თუ გახსოვდა არ მეგონა.

–ხომ იცი როგორი მეხსიერება მაქვს. გაიჭიმა ნიკა. მერე მოეშვა და მაიას თმა გაუშალა...

–მენამდე რა გინდა მითხარი! მაია უკვე დაიძაბა.

–მაი უნდა დამეხმარო, შენ ისეთი ლამაზი, ელეგანტური, მამაცი ჭკვიანი ქართულის თიჩერი ხარ რომ..

–ეს ქართულის თიჩერი რა ენაა ამიხსენი? ხომ იცი როგორ ვერ ვიტან ასეთ დამახინჯებებს ნიკა.

–მკაცრი გამომრჩა. დეეეეე აუ მიდი რაააა...ჰელფ მი.

–ნიკა ქართულად! ან ინგლისურად, მაგრამ ეს ორივე საშინელებაა.

– ესე იგი..ხომ იცი ბოლოს ტომ სოიერი, რომ წამაკითხე....ძალით! დააყოლა პაუზის შემდეგ.

–ხო რა დამავიწყებს, კი არ წაგაკითხე წაგიკითხე, თან ბურთით თამაშობდი, წრიალებდი ერთ ადგილზე ვერ გაჩერებდი და მაშინ ჩავიქნიე ხელი...

–როგორც არის მაი..დავივიწყოთ ეს ბნელი წარსული, ნუ გავიხსენებთ ამ უკუნეთს, ვაჩუქოთ ერთმანეთს ამ დღეების დავიწყება...

-მენაბდე რა გინდა მითხარი ადამიანურ ენაზე დაა არა ესე სიცანცარის.

-ოო, რას ვერ მიხვდი ახლა ისე კუდიანი ხარ და ახლა....თვალები დააფახულა ნიკამ.

–არ მითხრა რომ ბიძია თმას ქოხზე გადასვლა გინდა? გაეცინა მაიას.

–შენი სიცილი შენს წინააღმდეგ იქნება გამოყენებული..მერე არ დამიწყო დემეტრე გამებუტა..დემეტრე რაღაც უხასიათოთაა..იქნებ დაელაპარაკო..გადმოურეკე..

–ხო კარგი, გაჩერდი..მითხარი და დაგეხმარები...

–მაოცებ როგორ გიყვარს მამაჩემი..მეც მინდაა..გაეცინა ნიკას.

–რა გინდა ელენეს რომ უყვარდე ასე?

–დედა შენი მიხვედრილობაც შენს წინააღმდეგ იქნება გამოყენებული...ვახ როგორი მოუთმენელი თიჩერი ხარ.

–ნიკა!

–საიდუმლო ოპერაციაა..გახსოვდეს....იცოდე ამ ინფორმაციის გაჟონვას ფატალური შედეგები მოჰყვება....ნიგამ გამჭოლი მზერა ესროლა და ირგვლივ მიმოიხედა.

–კარგი, როდისთვის იწყება ეს ოპერაცია? აჰყვა მაია.

–დღეიდან....მოკლედ მგონია, რომ კითხვა უკეთეს ხდის!..ვინმე ამას იტყოდა უჩემოდაც, მაგრამ მე ჩემით ვთქვი! სწორედ იმიტომ, რომ მე სრულყოფილებისკენ მივილტვი, თავად სრულყოფილებებიც კი მიელტვიან სრულყოფილებას, მინდა ამ გზაზე ფეხი შევდგა და რა თქმა უნდა შენ უნდა შემიდგინო გეგმა..მე მიჩვეული ვარ წინასწარ რაღაცის შედგენას და მერე იმ ტაქტიკით სიარულს დამიჯერე არ გადავუხვევ და შენც არ გადაუხვიო შვილის დანდობის ფარგლებს და არ გამწირო, მთლად წიგნის ჭიად ყოფნა არ მინდა..ლაითად რა.

–არა შენ თუ ვინმე წიგნთან დაგაბავს, მე ხელებს ავწევ..აი ელენეს ტაშს დავუკრავ თუ შენ კითხვა შეგიყვარდა....

–მთლად ეგრეც ნუ გადაიჭრები. შემიყვარდა ცოტა ხმამაღალია..უფრო დაბალი მნიშვნელობის სიტყვებით ვიბაასოთ რაა..

–როგორი ცანცარა ხარ ვინც არ გიცნობს.....მაიამ შვილს სახეზე ხელები მიადო და მერე თმა გადაუწია.

–მე სერიოზული, თავდაჭერილი, სიმპატიური, მოდურად ჩაცმული და დახვეწილი ფეხბურთელი ვარ, სიცანცარე რა მოსატანია...ქალბატონო....

–რთული შრომამოგიწევს, მე თუ მომაკითხე, მაშინ ყველაფერი ჩემებურად იქნება.

–სად შეგვიძლია! მე არ მეშინია სიძნელეების, მაგრამ ნუ იქნები დაუნდობელი...ზომიერება ყველგან საჭიროა.

–სულ ბურთს ,რომ დაატარებდი, სახლში კარში..ეზოში..ყველაფერს რომ ლეწავდი..აქ ზომიერება არ იყო საჭირო? ხომ გიჩიჩინებდი, ხომ გეუბნებოდი..

–არა. მანდ არა, ყველას უნდა ჰქონდეს რაღაც რაშიც ზომიერების შეგრძნებას ჰკარგავს, სხვანაირად წარმატება არ მოდის. სხვანაირად საშუალოები ვართ, მე კი უბრალოდ მინდა უკეთესი გავხდე! ვიცი ჩემზე კარგი წარმოუდგენლად გეჩვენება, მაგრამ ვცადოთ.

–შენთან ამ საკითხზე აზრი არ აქვს, ფეხბურთით ხარ დაავადებული. მომისმინე ნიკა, მითხარი როგორი ჟანრი გაინტერესებს..ინტერესის სფეროთ, რომ დაიწყო კითხვა უკეთესია, ასე უფრო ადვილად შეყვები.

–ჟანრი რა არის? თავი მინც ვერ შეიკავა გაეცინა დედამისის სახეს, რომ შეხედა.. კარგი ინტერესის სფერო ფეხბურთი, ხო ნუმიყურებ ეგრე...ისტორიული უფრო..დეტექტივიც წავა..

–კარგი, სულ პირველად ნიკა თუ გინდა დაიწყო დუმბაძის კითხვით უნდა გააკეთო ეს! რაც სეეხება შენს არჩევანს.. "დავით აღმაშენებელი" "გმირთა ვარამი" "გიორგი ბრწყინვალე" "მარიამ სტიუარტი"....მაიამ იცოდა, რომ რაღაც ქართული უნდა მიეწოდებინა....ზუსტად იცოდა კონსტანტინეს "დავით აღმაშენეებელს" ვერ მოწყდებოდა.."გმირთა ვარამს" რამდენიმე ღამეს მიუძღვნიდა..

-ამ თანმიმდევრობით ნიკა! გააფრთხილა მაიამ. ბოლოს კი მარიამ სტიუარტსაც წაიკითხავდა, მაგრამ მანამდე არა..მიატოვებდა..

–მარტინ იდენი აუცილებლად ნიკა.. ზუსტად შენ მდგომარეობაშია მარტინი..ნუ დაახლოებით...იქ არის ასახული, როგორ იწყებს მთავარი პერსონაჟი ლიტერატურის კითხვას და ბოლოს ქმნის თავად..საოცრად ძლიერია იქ ყველა სიტყვა..ქალის გამო იწყებს იქაც, თუმცა ის ქალი არ ღირს რამედ. იმედგაცრუება დიდია დასასრული...

–ნუ მომიყვები ფლიზ, იმის რისი დასასრულიც ვიცი მხოლოდ ფეხბურთის ყურება შემიძლია.

–"პარიზის ხვთსმშბლის ტაძარი" იქ 100 გვერდამდე პარიზის აღწერაა..

-პარიზი იქაც მეყოფა! ენა გამოყო ნიკამ და მიხვდა ზედმეტი მოუვიდა..ყველანაირად! მაიასთანა რ შეიძლებოდა თან მაშინ, როცა მისი დახმარება ჰაერივით გჭირდება.

- ნიკა ესენი დაიწყე, მე კიდევ უფრო კარგად შევარჩევ, დაგილაგებ და დაგიწერ. საოცრად სიამოვნებდა მენაბდეს დედამისის "საქმიანი" ტონი. ყველაზე დაუზარელი იყო ამქვეყნად..“ყველაზე დედა“, ზოგჯერ ასეც ეძახდა.

–არაფერს დაწერ! არანაირი ნივთმტკიცება..შენ მითხარი არაა პრობლემა ვიმახსოვრებ, არსად დაწერო დედა მათეს ნერვები სად მაქვს. ორივეს გაეცინა....დემეტრე ოთახში, რომ შემოვიდა ნიკამ თვალით ანიშნა, რომ არაფერი ეთქვა, ნიკა მამამისთან მივიდა, რამდენიჯერმე დაატრიალა, ვალს თუ რაღაცას აცეკვებდა და ბოლოს გავიდა..კარი ისევ შემოაღო და "თანამძრახველს" თვალი ჩაუკრა.

პრობლემა წიგნები იყოოო...უმრავლესობა გიჟდება წიგნის სუნზე, ნიკასთვის კი ესეც აუტანელი იყო....წიგნებს ვერ იტანდა, ბავშვობაში, როცა ჯერ კიდევ კითხულობდა რაღაც სათავგადასავლო მოთხრობებს, მეგობრის წიგნი დაეკარგა და იმის ნერვიულობას გადააყოლა მთელი მხატვრული ლიტერატურის სიყვარული. იცოდა წიგნის ახლით შეცვლა და ამით იმის აღიარება, რომ არ გაუფრთხილდა ყველაზე დიდი უზრდელობა იყო, ამიტომ რამდენიმე დღე იმ წიგნს ეძებდა..ბოლოს ვერ იპოვა....

იმ დღის მერე ჯარისკაცული დისციპლინით ასრულებდა „დავალებებს“ ვერ იტანდა, კითხვა აგიჟებდა, ერთ ადგილზე ჯდომა, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი გადაწყვეტილება იყო. ამიტომ მენაბდე ბოლომდე ასრულებდა. მოწონდა, ზოგი აღიზიანებდა, ეზარებოდა, მაგრამ მაინც კითხულობდა....მხოლოდ ნიკამ და მაიამ იცოდნენ..სხვამ არავინ, შეთქმულებივით მესიჯობდნენ, ლაპარაკობდნენ..შეგრძნება, რომ უკეთესი ხდები 16 წლის გოგოს გამო აცინებდა.. მართლა ეცინებოდა ელენეს გამო მის საქციელზე....

ქორწინებამდე პერიოდში რაღაც დაამხახსოვრდა ყველაზე მძიმედ..როცა მანქანით ჩიხი ჩაიარა ატირებული ელენე დაინახა...ეზოში იყო და სახლში შესვლას აპირებდა...მაშინ ვერც მოახერხა ფიქრი იმაზე რას აკეთებდა..მეზობლებთან პირდაპირ შევიდა და ელენეს სწრაფად დაეწია.

-რატომ ტირი? გამარჯობა! არეული მისალმება არც ერთს შეუმჩნევია. ელენეს თვალები სულ ჩაწითლებული და დასიებული ჰქონდა, მენაბდემ გაუაზრებლად აკოცა თვალებზე.

-რა მოხდა? თმა გადაუწია და ცრემლები მოწმინდა.

-არ მინდა სიცოცხლე! ამოილუღლუღა ელენემ. ნიკას მთელი ხმით გაეცინა..მართლა ვერ შეიკავა თავი არადა უნდოდა.....უბრალოდ მიხვდა, რომ რაღაც ბავშვური მიზეზი იქნებოდა..

-რა გაცინებს, ნორმალური ხარ? გაჯავრდა ლორთქიფანიძე.

-მაპატიე, ბოდიში! მითხარი მართლა რა მოხდა..

-სანდრომ ცოლი მოიყვანა...სლუკუნებდა ელენე..ისე ძალიან ტიროდა ნიკა ცოტა დაიბნა..

-ხომ კარგად არის? ცოლი მოიყვანა კი არ მოკვდა..რა გატირებს ესე....

-შენ არაფერი გესმის, დამანებე თავი, შემეშვი რა....მიყვარდა და ცოლი მოიყვანა...

-სისულელეებს ნუ ამბობ! არ გიყვარდა და მორჩა!

-დამანებე თავი, დაიკივლა ელენემ.

-ნუ ღრიალებ! საერთოდ როგორ შეგიძლია გიყვარდეს ის ვისაც არ უყვარხარ? გამაგებინე ეს რა ფენომენია? რა მოიგონე.... ელენე გაბრაზდა და გაოცდა რას ეუბნებოდა..

-შენ საერთოდ არაფერი არ გესმის..ქვა ხარ...

-ელენე დამიჯერე. არ არსებობს სიყვარული, მით უმეტეს ცალმხრივი! აი ესეთი რამე არ არსებობს, ჩვენ ვიგონებთ, გონემა კი ამ გამოგონებების გასაფანტავად გვაქვს, იფიქრე! იფიქრე და მიხვდები, არ შეიძლება გიყვარდეს ის ვისაც არ უყვარხარ! ეს საკუთარი თავის დამცირების უკიდურესი ზომაა!

…….

„არ მისცე შენ ჭრილობებს უფლება გაქციონ ადამიანად, რომელიც არ ხარ“ კოელიო.

    რაღატომ იყო ასე რთული ათი წლის წინანდელის გახსენება, რატომ არ იყო დრო ტკივილსა და სხეულს შორის ჩამდგარი დღემდე სხეული ტკიოდა ამის გახსენებაზე, დღემდე ჰქონდა ძვლების გადამტვრევის შეგრძნება. ელენე მიუახლოვდა და მის გვერძე იპოვა ადგილი მუხლების დასაყრდნობად.

-ელენე რატომ მოხვედი? ჩაკარგული ხმა ისმოდა მენაბდის სხეულიდან.

-თამაზმა მითხრა. არ ვიცი, მაგრამ არ მოსვლას მოსვლა მერჩივნა.

-აქ პირველად ვარ. თვალებშ შეხედა, აღსარებასავით გამოუვიდა.ხმა ნაღლიანი..ოდნავ ბავშვურიც კი და იცნაურად სუფთა ჰქონდა..გულწრფელობის შეგრძნობის ტალღამ დაუარა ელენეს.

-ვიცი ნიკა.

-შენ ხშირად..მე პირველად.! აქაც..მარტო ამითაც შეიძლება ჩვენი განსაზღვრა.

-შენ იმ დღის ყველაფერი დაივიწყე. მესმის ნიკა შენთვის..

-ელენე საკუთარ თავს ვერ ვამტყუვნებ და მგონი ესაა ჩემი პრობლემა..ვერ ვამტყუვნებ იმაში რომ გტანჯე! ვერც იმაში რომ ყველაფერი დავივიწყე, მივატოვე გავანადგურე რაღაცები. მინდოდა ეს ყველაფერი დასრულებულიყო..შიგნიდან მინდოდა თითქოს, მაგრამ რაღაც რომ გჯერა..ხომ გემსის რაღაც, რომ იცი რომ ასე უნდა იყოს..ზუსტად ეგეთი შეგრძნება მქონდა. არ შემიძლია სამაგიეროს გადახდის გარეშე ცხოვრება. სარკესავით ვარ, ყველა ემოციას, ყველა ქცევას ვირეკლავ და ზუსტად ისე ვექცევი.რაღაც ზღვრამდე..შემიძლია ვიყო უპრობლემო, მაგრამ რაღაც ზღვრამდე. გეფიცები, რომ ამ წლების გარეშე ვერ შევძლებდი შენთან ისევ ისე ყოფნას, როგორც თავიდან....ელენე ვერაფერს ეუბნებოდა.

-იმ წლებზე საკუთარ თავს ვერ ამტყუვნებ?

-ხო. ბოდიში..მაგრამ ვფირობ რომ გულწრფელობა ყოველთის არაა გამოსავალი, მაგრამ ყოველთის სწორია.

-მართალი იყავი ნიკა? ელენეს სხეული დაეჭიმა.

-არა. მე არ მოვქცეულვარ სწორად! მე მძულს ჩემი თავი ამის გამო, ეს ცალკე პრობლემაა. მაგრამ საკუთარ თავს ვერ ვამტყუვნებ და რა გავაკეთ ელენე..მინდა..მაგრამ ცფიქრობ, რომ სხვანაირად არ შეიძლება. არ შეიძლება კომპრომისი ისეთ რამეზე რაც წინასწარ არ დაგიშვია. ვიცი არ გესმის ჩემი..ახლა არ გესმის. და მეც ვერ გეუბნები ზუსტად იმას რაც მინდა.

-ცადე..იმიტო, რომ რაც მე მესმის ახლა..ვფიქრობ რომ ადამიანობისგან ძალიან შორსაა..

-ზუსტად! ზუსტად ადამიანობასთანაა ახლოს..მე ადამიანი ვარ! ელენე ადამიანი, რომელსაც ეშმაკიც ჰყავს. აქვს ეგოიზმი, სიჯიუტე, სიამაყე, სამაგირეოს გადახდის სურვილი..აქვს ბნელი მხარეები....

-შური იძიე ჩემზე ნიკა?

-მხოლოდ ის შემიძლია გითხრა, რომ განზრახ არაფერი....საერთოდ არაფერი გამიკეთებია.

-არ ვიცი დღეს რატომ გადაწყვიტე აქ მოსვლა..მაგრამ მე ის შეგრძნება მაქვს, რომ არ უნდა მოვსულიყავი. მეთვითონ ვუშვებ შეცდომებს..არ უნდა გამართლებდე. არ უნდა გპატიობდე იმ სიმწარეს, მაგრამ რაღაც მიზეზები, რომ არა არც არასოდეს გაპატიებდი. ნიკა მიხვდა რა მიზეზიც იგულისხმა..კიბო...და ჩაეგლიჯა ყველაფერი.

-ხომ ხედავ ვერ ვლაპარაკობთ..

- და რატომ? რატომ ვერ ვლაპარაკობთ ნიკა? იმიტომ რომ შენ არ გინდა არც არასოდეს გინდოდა. შენებურად აკეთებ ყველაფერს.

-რატომ არ გესმის?

-რა გავიგო ნიკა, რა გავიგო..ის რომ შური იძიე და არ ნანობ? გინდა გითხრა, რომ წარმატებული იყავი ამ საქმეში? შენნაირად არავის შეეძლო ჩემთვის გულისტკენა, იმიტო რომ ყველაზე მეტად მიყვარდი..ზოგჯერ მეგონა დემეტრეზე მეტადაც..ელენეს ხმა გაუწყდა.

-მეც.

-და ამით მახვედრებ, რომ ყველაფერი მე დავანგრიე..მერე ითხოვ გაგიგო.

-ელენე უნდა გამიგო, რომ მე შენთან გულგრილობა არ შემეძლო, არც სიყალბე, არც შორს ყოფნა..მხოლოდ აგრესია დამრჩა, ხვდები? მხოლოდ აგრესია იყო ჩემი უნარი შენგან თავი დამეცვა..არ შემეძლო მეორე რადგან არ შემიძია ზოგადად! შორს ყოფნა მეტისმეტი იყო ჩემი სულისვთვის იმ დროს..უფრო კი იმიტომ რომ მენატრებოდი და მონატრების მერე ნახვის დროს

აგრესიაც აღარ მრჩებოდა და თავი სიცარიელე მეგონა. ყველაფერი კი ალბათ პირველის გამო ვაკეთე, ეს ათი წელი რომ არა, ასეთი ათი წელი რომ არა გულგრილობა ჩამიდგებოდა სულში, ჭეშმარიტი გულგრილობა თუ ამას შეიძლება ჭეშმარიტი დავარქვა....

-მგონია, რომ ჯობდა! ნიკას ჩაეღიმა და ცრემლებმა ზღვარი გადაკვეთეს..

-მე კიდე ჩემი სიყვარული ისე მიყვარდა გულგრილობის შეგრძნება იმ ბოლო უნარსაც წამართმევდა რაც დამრჩა.

ელენესთვის იმ სიტყვებმა სამყარო გააჩერა. ყველაფერს გამოაცალა საყრდენი....თითქოს ზუსტად ის იგრძნო რასაც ნიკა მთელი ამდენი ხანი...მიხვდა, როგორ აწუხებდა მის ქმარს მაშინ შეგრძნება, რომ უუნაროა...უსარგებლობა..და მაინც ყველაფრის ისე აღქმა, როგორსაც არ ელი. ნიკას ახსნილი ყველა ქცევა აგიჟებდა, მაშინ როცა არ რჩემოდა ადგილი ცოდვაში სუფთა სულით გამმოსულიყო, როცა ელენეს უკვე გადაწურული ჰქონდა რწმენა მისი სულის სისუფთავეზე..იყო გრძნობების მოძრაობები რაც ხსნიდა მისი სულის ადამიანობას.

-რატომ ფიქრობ, რომ უსარგებლო იყავი ნიკა?

-იმიტომ რომ ასე იყო!

-ნიკა მაგას როგორ ამბო,ბ როცა ჩვენთვის ყველაფერი იყავი! შენ ხომ ამბობდი მთავარი ოჯახის სიყვარულია, ის რაც არ შეიცვლება..გულშემატკივრები კი ბრბოა, ჩაგქოლავენ თუ სხვა გუნდში გადახვალ, მაშინ როცა ერთ დროს შენ სახელს ბოლო ხმაზე ღრიალებდენ.

-ისევ არ გესმის! რატომ ფიქრობ, რომ მე თავს უსარგებლოდ და უუნაროდ ვთვლიდი იმიტო რომ თამაში არ შემეძლო! ან ვინმეს აზრი მაინტერესებდა ან გულშემატკივრები მენატრებოდნენ... ელენე მე უსარგებლო გავხვდი იმ დღიდან, როცა ჩემ სულს ვეღარ ვკვებავდი..ვერაფრით, მე საკუთარი თავისთვის ვიქეცი უუნაროდ და არა დანარჩენი სამყაროსთვის. უბრალოდ მე ყველაფერი იქ ჩავდე..საკუთარ თავს არ მივეცი უფლება სხვა რამე მქონოდა, ყველაფერი მას დავუკავშირე და ის რომ დამთავრდა ყველაფერი გაწყდა, გაწყდა მეგობრები, გაწყდა სიკეთე, ხალხი, იმედი, შეგრძნება, რომ სასარგებლო ხარ....ჯარისკაცად არ ყოფნას ვიტანდი იმით რომ შემეძლო მოედანზე მებრძოლა, შემეძლო დროშა და ჰიმნი უფრო შორს გამეტანა ჩემი ვბრძოლით. მერე კი შეგრძნება, რომ არაფერი არსებობს თუ იმას გამორიცხავ.. მე ჩემი მამობაც კი იმას დავუკავშირე..შეიძლება ვინმეს ამაზრზენად ან სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ მე მინდოდა ეყურებინა ჩემ შვილს, რომ რასაც ვურჩევ იმის საპირისპიროდ არ ვიქცევი....მინდოდა ეამაყა..უბრალოდ გახარებოდა, ჩუმად მაინც ეს უფრო ღრმაა ზოგჯერ, რომ მისი მამა ვარ....ჭეშმარიტად ეგრძნო რას ნიშნავს „უკანა კაცისთის წინა კაცი“ ეს შეგრძნებაც დავკარგე....გაბრიელიც დავკაგე... ელენეს სახე აეწვა.. გაბრიელიც დავკარგე და ახლა ჩემი ადამიანობის განმსაზღვრელად „თ“ს ნაკლებობაც კმარა...მე ვერ ვთქვი 10 წელი, რომ დავკარგე“თ“ ...ვერაფრით დაგიდექი გვერდით..

-ნიკა გთხოვ..შენ რომ დაფიქრებულიყავი..სულ ცოტათი, სულ ცოტაზე(ანასტასიას ფრაზა იყო, სულ ცოტაზე) ყოველი დღე რად მიჯდებოდა....ყოველი წუთი ნიკა..რამდენს ვცდილობდი

შენთვის ეს ყველაფერი შემევსო....როგორ მჯეროდა ყოველ ჩემს საქციელზე რომ დაგანახებდი, რომ ჩემთვის ყველაფერი იყავი..მეგონა რომ საკმარისსზეც მეტია ცხოვრების გასაგრძელებლად იყო ყველაფერი სხვა ადამიანისთვის....ჩემთვის და დემეტრესთვის, მერე უკვე ტასოსთვის.

-ელენე მე ვხედავდი....ვხედავდი როგორ იქეცი ჩემთვის იდეალურად, როცა მე უკვე აღარ შემეძლო ნორმალური მაინც ვყოფილიყავი.

-ჩვენ უფრო ადრე უნდა გველაპარაკა....ჰაერი მძიმედ ჩაისუნთქა ელენემ.

-ზოგჯერ მეღვიძებოდა ბედნიერებისგან, შეგძნება, რომ ასეთ დროსაც გიყვარს საკუთარ თავთან არ უშვებს სიძულვილს და სასოწარკვეთას. მე „ჩვენი“ სიყვარული მიყვარს საშინლად და ამას არაფერი შეცვლის..ეს ყოველთვის იქნება ჩვენი აწმყო ყველაზე შორეულ მომავალშიც.

-ჩვენი აწმყო არ არსებობს ნიკა..

-გაბრიელი ისე გამიხარდა...ვერ ვამბობ ისე ძალიან..ჭკუიდან ლამის გადავედი სიხარულით..მაშინ ვერ გაძალებდი მეორეს, სწავლობდი და მესმოდა რთული იყო..სამი წელი უყურე ჩემს საცოდაობას..ორივეს გაეღიმა..

-ვიცი, არ იმჩნევდი, მაგრამ სულ გემჩნეოდა..იმ დროს ყველაფერს მერჩივნა რამე ასე გაგხარებოდა და ამ სიხარულში მე მნიშვნელოვანი ადგილი მქონოდა..

-მე ისიც კი მიხაროდა ასე რომ მიხაროდა შვილი....თითქოს ამითაც ვაფასებდი საკუთარ თავს, მჯეროდა, რომ დადებითისკენ მივდიოდი ცხოვრებაში..დღეს და მაშინდელ ჩემს თავს შორის იმხელა განსხვავებაა, რომ ეს განსხვავება მაშინებს....მაშინებს სადღაც ამ წლებში გაჩხერილ იმედებსა და უიმედობაში ხომ არ გავბოროტდი....ახლა ვფიქრობ, რომ ბოროტმა ადამიანებმა შეიძლება არც იცოდნენ მათი ბოროტების შესახებ.

სახლში მძიმედ მიდიოდა..ყვავილები იყიდა..იცოდა, რომ უნდა ეყიდა ამიტო არც დავიწყებია. თალებგაბრწყინებული ცოლის დანახვაზე ყველაფერი მოუკვდა...ლიკამ კისერზე ხელები მოხვია და მთელი სხეულით მიეკრო..

-ძალიან ბედნიერი ვარ..დედობა საოცრად მინდოდა ნიკა.

-მეც...რაღაც ასაკის შემდეგ ყველაფერი სხვა ფერში გადადის..აღქმა იცვლება რაღაცების, მაგრამ მენაბდე თავს ვერაფრით აიძულებდა ბედნიერი ყოფილიყო...ალბათ ამაზე უნდა იზრუნოს ადამიანმა..ალბათ მთელი ცხოვრება უნდა იწვალოს, რომ ამ მდგომარეობაში არ ჩავარდეს. იმხელა ბედნიერება შვილი იმისგან ვინც გიყვარს, რომ ზოგჯერ ადამიანს არ შეუძლია გაუძლოს, აიტანოს შვილი სხვისგან ვისაც არ ეკუთვნის ეს გრძნობა.....

....

-რა? ნიკა რას ამბობ? ბელთაური აყვირდა..

-რა გჭირს შენ?

-ორსულად? ლიკა? შენ ნორმალული ხარ?

-თამაზ რა გაყვირებს? შენ ხომ არ გაგიჟდი?

-რა მაყვირებს ხო? არც უნდა ჩავერიო, მე ვინ მკითხავს, მე ვინ მაკითხა ეს 10 წელი რა ჯანდაბაც აკეთე, მეგობარი კი არა ერთი ძველი „ტრიაფკა“ ვარ შენთის, საერთოდ არაფერს მიგონებ.

-დაჯექი ახლა, ხო არ გააფრინე? ნუ ღრიალებ სირცხვილია სხვებიც არიან აქ..

-ხო და იყავი ბედნიერი შენ ლიკასთან, მიდი..მიდი აბა თუ იქნები.. ახლა შვილიც გეყოლება. თუ რამე გაკავშირებდა ელენესთან ზუსტად ისეთი რამე დაგაკავშირებს ლიკასთანაც.. მიდი იყავი....

-გეხვეწები ნუ მიმატებ..

-ნუ გიმატებ? ხომ გეჩიჩინე, გემუდარე არ მოგეყვანა ცოლად... ახლა ხომ ვიცი როგორც ხარ, მაგრამ ღირსი ხარ, საერთოდ არ მეცოდები.... ელენე, რომ გაიგებს არც კი ვიცი, როგორ ატკინე გული, ამას ალბათ შენნაირი ვერ მიხვდება..ახლა ჭირდებოდა გვერდით დგომა და შენ უკვე არც მორალური და არც არანაირი უფლება არ გაქვს...

-მეგონა დედაჩემი ყველაზე რთულად აღიქვავდა და შენ რა ყოფილხარ..გაჩუმდი ცოტა ხანი, თავი გამისკდაა რაა...

-შეიძლება კარგიცააა, ელენე, რომ მოკვდება მერე ტასოს და დემეტრესაც შენს ბრწყინვალე ოჯახში წაიყვან, მერე პატარა, მონსტრი მენაბდეც შეგეძინება და იყავი ბედნიერი, ელენეს კი ყვალეფერი დაუნგრიე, არ გაახარე, ხვდები მაინც.....

-თამაზ არ ვიცი შეიძლება მოგკლა თუ კიდევ გააგრძელებ.... მეორედ არ გაბედო და იმ პატარაზე არ თქვა რაც თქვი.....ახლაღა იგრძნო, რომ საკუთარი შვილიც იყო ის ბავშვი და მხოლოდ ის აღარ ახსოვდა ელენე, რომ არ იყო მისი დედა....ელენეს სიკვდილი უბრალოდ არ მიხსენო...ამას გეხვეწები.....გთხოვ, რომ აღარ გაიმეორო არც გაიფიქრო...ეგ არ შეიძლება.....

-ღმერთს ძალიან უნდა უყვარდე ამ სიბინძურიდან, რომ ამოგათრიოს..! ადამიანებს ეს უკვე აღარ შეუძლიათ! მე ვჩუმდები, მაგრამ უჩემოდაც იცი...იცოდე, რომ საშინლად გაბრაზებული ვარ შენზე....ჯობდა, მეც წავსულიყავი შენი სივრცეებიდან ისე როგორც ყველა სხვა მეგობარი....

თავი 15

„გახდი ჩემი ყველა შვილის დედა“

მენაბდეს არაფერი გამოსდიოდა. ელენე ისეთ მიუკარებელი და მიუვალი იყო უკვე შეეშინდა კიდეც. სანდროს ამბავს ძალიან განიცდიდა. რამდენიმე დღე აღარც გამოდიოდა სახლიდან,

ნიკასაც წასვლამ მოუწია. თამაში უჭირდა, რადგან უჭირდა კონცენტრაცია, სულ ელენეზე ფიქრობდა. წიგნების კითხვა იმაზე მეტად შეძულდა ვიდრე მანამდე, მაგრამ მაინც გაუჩერებლად კითხულობდა. მერე მიხვდა რომ რამე უნდა ეღონა, ბევრი ჰქონდა ნაფიქრი და გადაწყვეტილება სწრაფად უნდა მიეღო.

ტელეფონს უხასიათოდ უპასუხა ელენემ.

–ახლა რაღაც დაგილინკე და ნახე, აუცილებლად უყურე.

–მეც კარგად! მოუჭრა ღიმილით, რომელიც მისთვის შეუმჩნეველი იქნებოდა ტელეფონში.

–მიხარია! ხომ გაიგონე რაც გითხარი, მე მალე უნდა გავთიშო!

–გეხვეწები ძალიან დაკავებულ პიროვნებას ნუ თამაშობ!

–ძალიან დაკავებულს არ ვიცი, მაგრამ ახლა მართლა ვთამაშობ! უყურებ ხომ რაც გადმოგიგზავნე? ნიკა ყველაფერს ისხლიტავდა, მხოლოდ შედეგი აინტერესებდა.

–არ ვიცი, თუ მეცალა, გაეღიმა ელენეს და დივანზე ფეხები შეაწყო, წიგნში ის გვერდი დაკარგა სადაც კითხულობდა და ხასიათი წაუხდა.

–ელენე გეცალა არ ვიცი, პირობა მომეცი!

–რა გჭირს? ვნახოთ მეთქი....მერე ხმაური გაიგონა, მენაბდის გვარს ყვიროდნენ და გაურკვეველ ენაზე უძახდნენ..

–გათიშვა მიწევს, პირობა მომეცი!

–ხო კარგი ვნახავ!

ნიკამ დაუმშვიდობებლად გათიშა...ელენე რომ ლინკზე გადავიდა გული შეუწუხდა "ახლა ფეხბურთს უნდა ვუყურო? აუ ეს ვერაა." მერე ნიკას მოკრა თვალი.. "ტიპი მაიძულებს მის თამაშებს ვუყურო, არაა ჯანმეთელი" მეორე ტაიმი იყო..გვერძე ოთახიდან მამამისის და ცოტნეს ხმა ესმოდა, ახლა მიხვდა ისინიც რომ თამაშს უყურებდნენ. უხალისოდ უყურა თამაშს.. რეაქცია არაფერზე ჰქონია....ხმას დაუწია და ფეხებმოკეცილი, წიგნით ხელში გაუაზრებლად, პირობის გამო უყურებდა საძულველ სპორტს. მაშინ გამოერკვა მენაბდეს, რომ ბალახზე მოკრა თვალი.. "ეს ალბათ პირდაპირ აბაზანაში გავარდება, გაესვარა ბიჭს ფორმა" უკვე ხმამაღლა იცინოდა.. "ოოო ჯარიმებს ეს არტყავს? ნახე რა დღეშია!" მთელი წუთი სანამ მსაჯმა სიტოაცია გაარკვია, მოწინააღმდეგეს ყვითელი მისცა და ჯარიმის ადგილი განსაზღვრა, ნიკა მხარზე ხელს ისვავდა და ცდილობდა გასვრილი მაისურის "გასუფთავებას" ღიმილით სახეზე. "ავადმყოფი". გამოსცრა ელენეს.

მეორე ოთახიდან ცოტნეს და მამამისის ღრიალი ემოდა, ვერ ხვდებოდა რა იყო ასეთი მნიშვნელოვანი ამ თამაშში ასე რომ განიცდიდნენ. მეკარეს, რომელმაც ნიკას დარტყმული ადვილად მოიგერია რომ იტყვიან "დედა აღარ ჰყავდა" ცოტნემ ისე შეამკო და ზურამ დაუმატა.

–მაგან დაარტყა ცუდად, მეკარეს რას ერჩით! გასძახა ელენემ.

–აუ იმას რაღა უნდა!, ჩაგქოლავ გოგო გაჩუმდი.! დაიყვირა ცოტნემ.

–სიმართლე მწარეა! გასძახა მწარემ. თამაში, რომ იძაბებოდა ცოტნეს და მამამისის ხმაზე ხვდებოდა, ბოლოს მიხვდა ჯობდა მათთან გასულიყო და დიდ ეკრანზე ეყურებინა. ამსიმაღლე ცოტნე სახლში დარბოდა, რა მოძრაობასაც იქ ფეხბურთელები აკეთებდნენ ეს ტელევიზორის წინ. ნიკას ისე გულშეკატკივრდებოდა უკვე მის სრულ ჭკუობაზე ეჭვის შეტანაც შეიძლებოდა.

–ცოტაც და ვენებს გადაიჭრი! დამშვიდდი რა ხდება ასეთი..ელენე მშვიდად აკონტროლებდა სიტოაციას. ამჯერად ცოტნეს ხმა არ გაუცია..უფრო იმიტომ, რომ ვერ გაიგონა ისე იყო ჩართული. "მიდი ნიკა, ნიკაა.....მენაბდე მიდი, აუ ტო ეს ვინააა მოწინააღმდეგეს წირვა გამოუყვანა,...აუ არ გაატარეს რა..ჯანდაბა პასი მიეცი მაგ...უკვე მოწინააღმდეგის საჯარიმოში იყვნენ, კუთხური უნდა მოეწოდებინათ, მთელი გაწევ გამოწევა იყო, ნიკას ხშირად აჩვენებდნენ,ვერაფრით იგებდა მისი გუნდი არადა ჯგუფიდან გასასვლელად მხოლოდ 3 ქულა ჰყოფნიდა, ეს ცოტნესგან გაიგო.

–მერე ასე არ უნდა მიეყვანა საქმე, მხოლოდ გამარჯვება რომ შველის ეს იმას ნიშნავს, რომ ცუდად თამაშობდნენ. ელენემ თავისი აზრი დააფიქსირა მტკიცედ.

–აუ ეს სურათი ვინმემ გაიტანოს, პროსტა სპორტის აზრზე არაა! ცოტნემ ხელები გაშალა. ელენე მაშინ მიხვდა, რომ დაძაბულობა პიკს აღწევდა წაქცეული ნიკა სწრაფად, რომ დგებოდა თანაც ისე, რომ არ აინტერესებდა გაისვარა თუ არა.

თანდათან ყველაფერი უფრო იძაბებოდა და ცოტნე უკვე მართლა პრობლემა იყო.

-ცოტაც და ტელევიზორში შეხვალ! ჩაიდუდღუნა ელენემ.

-შენ მაცივარში შეგსვავ თუ არ გაჩუმდები! ეს უბრალოდ იმიტო უთხრა გაუაზრებლად, რომ არ შეერჩინა რამე. ესეთი პრინციპით ცხოვრობდა ცოტნე. "დრამან!!!!!!"დაიღრიალა ისე მოულოდნელად, რომ ელენე შეხტა. "რა? რა მოხდა?" არაფერი იყო მომხდარი უბრალოდ დრამანი ბურთით იყო და წააქციეს. "აღქმის პრობლემები აქვს" ხმადაბლა დაიჩურჩლა ელენემ ძმას რომ არ გაეგო. ჯარიმის დასარტყმელად ორივე იდგა ნიკა და დრამანი..ცოტნემ უფრო მეტი ირბინა ვიდრე იქ მოთამაშეებმა. ახლა ჩაცუცქული უყურებდა თამაშს და გოლი რომ გასულიყო ელენემ იცოდა სახლში ჭაღი აღარ ექნებოდათ, ეს რა თქმა უნდა ახტებოდა, თან ამსიმაღლე იყო და უკვე მერამდენედ შეიწირავდა სახლის ნივთებს. გათამაშებული ჯარიმით გოლი არ გასულა, მენაბდემ ბოდიში მოუხადა თანაგუნდელს უხეირო დარტყმულისთვის. მიუხედავად ყველაფრისა მშვიდი იყო და ეს აგიჟებდა ელენეს. ისევ მოწინააღმდეგეებს ჰქონდათ ბურთი. ამ დროს ცოტნეს სახეზე ფერი არ ედო..ჩქარა, სამი წუთი დარჩა...ჩქარა!!!!!!!!!!

-ხომ ხედავ არ ესმით და დამშვიდდი.

-ელენე ნუ მაღიაიანებ, თორემ მოგკლავ.

-უძახე ჩქარა, რას გაიგონებენ!

-კარგი გაჩერდი ვერ გაიგონებენ? მეგონა ესმოდათ! ელენემ ენა გამოუყო ძმას და ყურება გააგრძელა.

 საჯარიმოში ძნელად მიიღო ბურთი, რამდენიმე წამში შემოტრიალდა და სწრაფი მოძრაობით წავიდა კარისკენ..უკვე უნდა დაერტყა, როცა მცველის თავგამოდებულად წასული გაშლილი ფეხი იგრძნო წვივზე და მოძრაობა ვეღარ შეძლო, ბალახზე დაეცა....ცოტნე რატომღაც გაჩუმდა, ხმას არ იღებდა, ვერ მიხვდა ელენე რა მოხდა...9 ნომერი ვერ დგებოდა, მალე საკაცეც გამოიტანეს....ის რომ პენალი დაინიშნა და ეს ცოტნემ არ შეიმჩნია უკვე ძალიან ცუდს ნიშნავდა....

-ტრამვა აქვს? ხმადაბლა იკითხა ზურამ.

-არ ვიცი! ცოტნეს ხმაში ანგარიშის უმნიშვნელობა იგრძნობოდა.

 დრამანის განრისხებული სახე ჩანდა და მოწინააღდეგესთან მიჭრა..... ცვლილებაზეც და საკაცით გაყვანაზეც უარი თქვა, გაუჭირდა და წამოდგა..დრამანს ძლივს აკავებდა და სტადიონი ლამის დაინგრა შეძახილებით... მენაბდემ თავად გამოიყვანა გუნდელი და მოწინააღმდეგეს რამდენიმე წუთისწინ გაშლილი ფეხი, რომ ჩაარტყა მშვიდად გაუღიმა.

-უნერვოა! გაეღიმა ცოტნეს.

პარისერჯერმენის 9 ნომერი იდგა 11 მეტრიან ნიშნულთან..სტადიონი დადუმებული იყო... ბურთი ხელში დაატრიალა და მშვიდად დადო, უკან რამდენიმე ნაბიჯით დაიწია, რომ მანძილი ჰქონოდა დასარტყმელად, მეკარეს არ უყურებდა..ზემოთ აიხედა, მერე კარისკენ გააპარა მზედა და მშვიდად დაარტყა მარცხენა ზედა კუთხეში..რეაქცია არ იყო მშვიდი....გამარჯვების მომტანი გოლის შესამაბისი შეძახილები თითქოს სტადიონს დაანგრევდა. ნაკრების 13 და კლუბის 9 ნომერი უკვე აღარ ჩანდა იმდენად დიდი იყო გუნდელების "ზედახორა". ყველასგან მოულოდნელად მოხდა რაღაც, პირველად გაიხადა მენამდემ მაისური თამაშში აქამდე არასოდეს გაუკეთებია.. და პირველი ყვითელი მიიღო ამის გამო..რაღაც ქართულად ეწერა მის შიგნით თეთრ მაისურზე, კამერები მენაბდის მოძრაობას გაეკიდნენ და სწრაფად დაიწყეს იმის თარგმნა რაც ეწერა....

-მაინც ათარგმინია ქართული რუსებს! იცინოდა ცოტნე და რუსი კომენტატორების მოსმენილზე გაჩერდა მხოლოდ თვალით არც აღუქვია რა ეწერაა.. "ცოლად გამომყევი! გახდი ჩემი ყველა შვილის დედა! " ლორთქიფანიძეებთან რამდენიმე წამი დუმილი იყო.

-ვის ეუბნება? ცოტნემ ხმამაღლა თქვა... ელენე ვერაფერს მიხვდა...

-რა ამპარტავანია ბოლოში კითხვის ნიშანიც კი არ მიაწერა! ვერც კი გაიაზრა როგორ დააკვირდა ამას.

-გოგო რა კითხვისნიშანი ვის ეუბნება? ცოტნემ ელენეს შეხედა.

-მე რა ვიცი ცოტნე ვის ეუბნება, შენ იმედია არა!

-შენ იმედია არა კი არა შენ იმედია ამრთლა არ გეუბნება!!!! დაუქაჩა თვალები ცოტნემ.

-მე?! ხომ გითხარი არ ხარ კარგად. ელენე ოთახში გაიქცა...საწოლი გადაშალა და დაიძინა....გადაწყვიტა რომ დაეძინა...რა დააძინებდა..თავი წამოწია და იგრძნო სიცხემ როგორ აუწია. „ნუთ მართლა მე მითხრა?, ამიტომ დამირეკა?“ ძალიან ანერვიულდა. ინტერნეტში შევიდა, ტელეფონი ხელში ეჭირა რომ ზარი არ გამორჩენოდა.... არ ურეკავდა.! უკვე ყველა ქართულ არხზე იყო რეპორტაჟი..ვერაფრით დაადგინეს ვინ იყო ადრესატი..... ბოლოს ერთ-ერთ ქართულ კომპანიას მისცა რამდენიმე წუთიანი ინტერვიუ მენაბდემ..ელენე ტელევიზორშ ლამის შევიდა.

-იმასაც ამბობენ რომ სანაძლეო წააგეთ და ამის გამო დაიწერეთ მაისურზე? ნიკას გაეცინა.

-ნიძლავზე მეხუთე კლაკსის მერე არ მითამაშია.

-ანუ ნამდვილად თხოვეთ ხელი?

-კი!

-თუ საიდუმლო არაა ვის? ჩააცივდა ჟურნალისტი.

-ჩემს მომავალ ცოლს. ამომწურავი ინფორმაციით გაოცებული ჟურნალისტი ამ პასუხით დატოვა და გასახდელისკენ წავიდა. მაშინვე გარეთ გავარდა, მენაბდეების სახლისკენ გაიხედა, დაინახა შუქი როგორ იყო ანთებული და მაია ტელეფონით ხელში როგორ დადიოდა ოთახებში.

-ჯანდაბა ნუთუ მართლა მე... ვერაფრით იჯერებდა..ძალიან გაბრაზდა, მაგრამ უფრო გაბრაზდებოდა სხვა, რომ ყოფილიყო ადრესატი. მესამე დღეს, ამ აჟიოტაჟიდან ის ზარი გაისმა რასაც ამდენი ხანი ელოდა.

-რას ფიქრობ? მისალმება ისევ განზრახ დაავიწყდა.

-გამარჯობა ნიკა, რაზე?

-იმაზე რომ ისეთი მაისური მეცვა, რომელსაც წარწერები ჰქონდა, თანაც მარკერით, დაბეჭდვას ვერ მოვასწრებდი. პირველად მეცვა ასე მარკერებით დასვრილი მაისური. ნიკა ეხუმრებოდა, რომ როგორმე ელენეს ის ნერვიულობა დაეძლია.

-არ ვიცი, მე მეუბნები?! ხმა აუკანკალდა ელენეს.

-არა ცოტნეს! გაეცინა ნიკას.

-რომ არ მიყვარხარ? ელენემ ენაზე იკბინა.

-გაქვს მიზეზი გიყვარდე?

-არ ვიცი, შენ ხომ იცი რომ მე სანდროზე ვფიქრობ.

-გეხვეწები გაჩერდი! გაიცინა ნიკამ, მაგრამ იგრძნო როგორ აეწვა სახე.

-როგორ გამოგყვე ცოლად, როცა არ ვარ დარწმუნებული რას ვგრძნობ!

-მე არ გაჩქარებ, არც არავინ იცის შენ გარდა ვის ვთხოვე ცოლობა..ვერც ვერავინ გაუგებს თუ ამას ჩემთან ერთად საკურთხეველთან დგომით არ მოინდომებ. შეგიძლია იფიქრო..იფიქრო გინდა თუ არა ჩემთან ერთად ამ ჯვრის ტარება..

ელენემ იმაზე მეტი იფიქრა ვიდრე ნიკა ელოდა....

„გახდი ჩემი ყველა შვილის დედა“ შალვა კილაკიშვილის ლექსიდან არის ფრაზა.

.....

„ჩვენს სულს დააწვა ტვირთად, რადგან დავინახეთ, რომ ჩვენს მისწრაფებებსა და უფროსების სურვილებს შორის ღრმა უფსკრული ყოფილა“ თაგორი.

მენაბდეების მთავარ სახლში დიდი არეულობა იყო, ვინ რას ამბობდა, ვინ რას კიოდა, ვინ ვის ელაპარაკებოდა, ამშვიდებდა, ყველაფერი არეული იყო. უფროსი დემეტრე ჩუმად იყო. მაია რა თქმა უნდა ბორგავდა და წრიალებდა, მაგრამ მას შემდეგ რაც ანასტასია გაუჩერებლად ტიროდა ხმამაღლა ყველამ დაკარგა სიმშვიდე..

-ბე გეხვეწები, ბებიკოს პრინცესა, ანგელოზი ხო ხარ ბებო შენ, რატო, ჩემო პატარა..მაია ანასტასიას ეფერებოდა და გაუჩერებლად ცდილობდა მის დამშვიდებას, ტასო კი მთელი ხმით ტიროდა გულამომჯდარი.....

-მე აღარ გეყვარებით... ყველაზე პატარა აღარ ვიქნები...ამოისლუკუნა..და ისევ გააგრძელა ტირილი..

-რას ამბობ ჩემო ანგელოზო, ჩემო პატარა, შენ მაგას როგორ მეუბნები, ხომ იცი როგორ მიყვარხარ ბებო, მაია უფრო ჰგავდა დასამშვიდებელს ისე განიცდიდა ამას.

-დედასთან მინდა, აქ აღარ მოვალ, არ მინდა აქ ყოფნა, დედა მინდა....ტასო კარისკენ გაიქცა. მაია გვერდიდან არ შორდებოდა, უამრავ თბილ სიტყვას ეუბნებოდა ეფერებოდა, მაგრამ აღარაფერი ჭრიდა. იჯდა ორი დემეტრე ჩუმად, გვერდიგვერდ. მოღუშული სახეებით. დემეტრემ სწრაფად მოიშორა წამოსული ცრემლი. ბაბუამ ხელი გადახვია და მიიხუტა.

-ბაბუ შენ არ ინერვიულო!.დიდი ბიჭ ხარ, კაცი შენ ხარ თქვენს სახლში. ბაბუისგან ამხელა პასუხისმგებლობა იგრძნო და თითქოს მხრები ეტკინა.

-არა, არ ვნერვიულობ ბაბუ.

-დემე სისხლი სისხლია! დამიჯერე, სად აყივლდება არ იცი, სულ გახსოვდეს, ბრაზის დროს, ბედნიერების დროსაც, ყველა გასაჭირში....ვიცი ძნელი იქნება თქვენთვის ნახევარდის ან ძმის შეთვისება, მაგრამ ბაბუ შენ ხომ გონიერი ბიჭ ხარ, არ არის სხვა გზა! დასამშვიდებლად

დათითოვებული შვილიშვილები და ისევ ანასტასიას ტირილი.... რომ ვერაფერი გააწყო დემეტრესთან მივიდა და იმას ჩაეხუტა..

-დემე დედას დაურეკე მოვიდეს წაგვიყვანოს აქედან, აღარ მოვიდეთ აქ! მე აღარ უნდა ვიყო ყველაზე პატარა! ჩვენთან მე ვარ ყველაზე პატარა! იქ ვიყოთ ხოლმე. სასაცილოდ იყვნენ ჩახუტებულები....

-საკუთარი შვილი როგორ მოვკლა! ამოილუღლუღა მაიამ და დივანში ჩაესვენა.....

სვეტიცხოვლობა იყო, 14 ოქტომბერი..მცხეთაში უმრავი ხალხი...."ქვად ქცეული სული" „როგორი უდრეკი ძალმოსილება ჰქონია მათ ოსტატს, რა ძალას დაუმორჩილებია ლოდების უჯიათობა ასე?! მარმარილოსთის სითბო უსესხებია სულს, გრანიტისთის ჰარილისებრი სირბილე". უამრავი მორწმუნე ....ძლივს შევიდა ტაძარში, გადაადგილება ჭირდა, მაგრამ აუცილებლად უნდა შესულიყო...ყველაზე დიდი თხოვნდა ედო გულში და მის სავედრებლად იყო მისული...ბავშვები ნიკას მშობლებთან დატოვა და მშვიდად წავიდა..გრძელი ლურჯი ქვედაბოლო ეცვა, უბრალო თეთრი მაისური და თავშალი, შუაზე გაყოფილი ჩალისფერი თმა უჩანდა...უბრალოებით გამდიდრებული თვალებით ეძებდა ღვთსმშობელს..მასთან უნდა დაენთო სანთელი...ბევრი იწვალა და როგორც იქნა ხალხის ტალღას მიყოლილი მივიდა იმ ადგილზე..მშვიდად დაანთო სანთელი და მხურვალედ გულში ლოცულობდა..ხალხის ნაკადი გაიზარდა...ტაძარში გადაადგილება თითქმის შეუძებელი იყო. აღარ განძრეულა იქ იდგა და ცდილობდა არც ერთი სიტყვა გამორჩენოდა.

-ელენე...თვალები მაშინ გაახილა, როცა მხარზე ხელის შეხება იგრძნო.. ეგონა რაღაც აერია...მერე ძლივს დაალაგა მისი ნაკვთები არეულად ხედავდა ემოციისგან.

-გამარჯობა ლიკა..ძლივს მოახერხა გაღიმება..

-გილოცავ, უფალი შეგეწიოს...ლიკამ თავშალი გაისწორა და მის გვერდით დადგა..

-შენც ასევე ლიკა.

-ნიკაც აქაა, სანთლების საყიდლად გავიდა, იმედია გვიპოვის.....უკვე ინსტიქტურად ლოცულობდა, რომ ნიკა არ მისულიყო.....არც კი უნდოდა წარმოდგენა მის გვერდით ენახა.... მხარზე ხელის შეხება იგრძნო და სახე ძლივს დაიმორჩლა.

-გამარჯობა ელენე, როგორ ხარ? გილოცავ, ნიკა ვერ იტანდა ტაძარში ლაპარაკს, გადაკოცვნაზე ხომ საერთოდ ეკეტებოდა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა იმდენად უნდოდა შეხებოდა გაუაზრებლად აკოცა ლოყაზე.... ჩუმად იდგნენ..უკვე აღარაფერი ესმოდა ელენეს, მარტო გრძნობდა, რომ მის გვერდით იდგა სხვასთან ერთად....ლიკას ფერი დაეკარგა, ძლივს იდგა, ნიკას მკლავზე დაეყრდნო..

-კარგად ხარ? გავიდეთ თუ გინდა..

-არა ვიყოთ ნიკა..კარგად ვარ..

-ლიკა ფერი არ გადევს ჯობია გახვიდე, ელენეს სახე შეუწუხდა..აშკარად ეტყობოდა, რომ ძლივს იდგა ლიკა.

-არაფერია ჩვეულებრივია ჩემს მდგომარეობაში, ცოტა ტოქსიკოზი მაქვს. ეგონა ორგანოები ჩამოეგლიჯა..მთელი ძალით შეეკუმჩა გული, თითქოს ვიღაც ხელს უჭერდა....ყელში ხორხთან გაჩხერილი ბურთმა წვა დაიწყო, ელენე ვეღარ აზროვნებდა...

-გილოცავთ...არ ვიცოდი ლიკა...ღმერთმა გაგიზარდოს..ძლივს გაიღიმა და მომავალ მშობლებს შეხედა...მერე გაუჭირდა იმის თქმა რასაც აპირებდა, მაგრამ უნდა ეთქვა.

-ნიკას ყოველთვის უნდოდა მესამე შვილი....მენაბდისთვის არ შეუხედავვს, თორემ დაინახავდა იმაზე მეტს ვიდრე ელოდა.თითქოს ამით ნიკა აგრძნობინა, რომ არ ბრაზობდა, მაგრამ ისეთი ხმა ჰქონდა ამოყოლილი, რომ მენაბდემ იმხელა ტკივილი დაინახა ყველაფერი ერჩვნა იმას...ყველაფერს გასცემდა ოღონდ იქიდან ელენესთან ერთად წამოსვლა შეძლებოდა..დანარჩენ სამყაროს საერთოდ დაივიწყებდა..

ცრემლების გაჩერებას აზრი არ ჰქონდა..ვერ გავიდოდა ტაძრიდან ხალხში ვერ გაივლიდა...იქ უნდა მდგარიყო , ცრემლები მშვიდად კვეთდნენ მის სახეს, ნუშისებური თვალებიდან დაუდევრად მოედინებოდა სითხე....ნიკა თვალს ვერ აშორებდა....ყველაზე მძიმე მომენტი იყო ელენესთვის, იძულებული იყო მდგარიყო იქ სადაც ემოციას ვერ აკავებდა.....ვერაფრით გააჩერა თავი არ ეტირა.....მენაბდე უფრო მეტ რამეს ხვდებოდა...უფრო მეტად ტკიოდა არსებობა...ლიკას ხმა არ ამოუღია..უთქმელადაც ნათელი იყო ყველაფერი.....ზედმეტად შესამჩნევი ელენეს ცრემლები...გამოსვლისას მშვიდად დაემშვიდობნენ..მანქანამდე მიაცილეს ელენე..სამივეს ესოდა ყველაფერი..ამიტო აღარაფერს ამბობდნენ, აღარც ფორმალურად.....წამოსვლისას ერთხელ შეხედა ნიკას და შეეშინდა იმხელა უბედურება დაინახა მომავალი მამის თვალებში, იმხელა ტკივილი იყო, ელენეს რამე დამამშვიდებლის თქმა უნდოდა, მაგრამ იცოდა არ გამოუვიდოდა...გზაში იყო, როცა წერილი მოუვიდა..რადგან ნიკასგან იყო მანქანა გააჩერა, ჯერ ისედაც ვერ ატარებდა კარგად ისე იყო აფორიაქებული. მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა..და მხოლოდ ამ ერთი სიტყვის გამო ხმამაღლა ტირილი ვეღარ შეიკავა..

„შენგან“

მხოლოდ ეს სიტყვა ეწერა.....ისე ტკიოდა ნიკას მესამე სხვისგან ეჭვი შეეპარა საკუთარი სულის სისუფთავეში, უღირსებობა დასწამა თავს და კიდევ უფრო დამძიმებული მოუალოვდა თბილისს.

ტელეფონმა დარეკა....აიღო თუ არა მაშინვე ანასტასიას ტირილი გაიგონა..

-დედა მოვიდეს უთხარით, წამიყვანოს....არ მინდა მე აქ! დედაااااااااااااااა

-ელენე ვერაფრით ვამშვიდებ, შვილო იქნებ მოხვიდე ბოდიში ტაძარში ალბათ მშვიდად ყოფნა გინდოდა...მაიას ხმა ჰქონდა ანერვიულებული.

-კარგით წამოვალ, არ ინერვიულოთ, ეგ იჭირვეულებს ცოტას..დამალაპარაკეთ..

-დე რამხელა ხმაზე ტირი სულ მესმოდა ....ანასტასიას ხმა ჰქონდა ჩახლეჩილი ტირილისგან და სლუკუნებდა, ვერ ჩერდებოდა.

-დედი კო მოდი. წამიყვანე რაღაც უნდა გითხრაა!

-ტასო ბებიას და ბაბუას რატომ აშინებ? ნუ ტირი მოვალ მალე, ახლა დამშვიდდი ნუ ანერვიულებ, ბებოს როგორი ანერვიულებული ხმა ჰქონდა..მიდი დე დაამშვიდე, უთხარი რომ კარგად ხარ..

-არ ვარ კარგად და როგორ ვუთხრა..ტყუილზე ენა ეყინებათ ბავშვებს..

-კარგი მაშინ ნუღა ტირი, მოვალ და ამიხსენი ხო რა გაწუხებს.. ელენე ისედაც მიხვდა რამ გამოიყვანა ანასტასია წყობიდან...

-მალე მოდი გელოდები დე..

-კარგი, დემეტრე მანდაა ხომ?

-კი....ვერც დემეტრე მამშვიდებს მაინც ვტირივარ! ეს უფრო გახარებული ხმით თქვა ვიდრე ნანერვიულები. მაიამ რა თქმა უნდა შვილსაც მიწერა.

„მალე მოდი ჩვენთან!!!!!!! მარტო!!!!!!!!!!“ ძახილისნიშნებად დაიცალა წერილი...

დემეტრესთან მიტუზული და ჩახუტებული სლუკუნობდა უკვე ხმაჩახლეჩილი, ძალიან დაიღალა ტირილისგან. მაიაც ვეღარ აჩერებდა ცრემლებს უკვე აღარც უნდოდა ძლიერი ყოფილიყო.....სახლში, რომ შევიდა ეგონა მიცვალებული იყო სადმე დასვენებული, კარები არ იყო მხოლოდ ღია, როგორც ამ დროს არის, დანარჩენი ყველაფერი იგივე..სიჩუმე მეფობდა და ამ სიჩუმეში უფრო საზარლად ტკენდა პატარას ტირილი. მენაბდე შევიდა სახლში და არავის შეუხედავს ზედ, მხოლოდ ანასტასიამ შეხედა და ისეთ მრისხანე იყო მისი თვალები არ მოელოდა. კიდევ უფრო ჩაეხუტა დემეტრეს და უკვე თავი მის მაისურში ჩარგო.

-დედა რა ხდება? მაიამ არაფერი უპასუხა. ნიკა ბავშვებთან მივიდა და ანასტასიას ხელზე მოკიდა....მაშინვე გამოაცალა და ზურგი მთლიანად შეაქცია მამამისს.

-ტასო რა მოხდა მამა?

-აღარ დამიძახო მამა....შენ სხვა შვილები გეყოლება და იმათ დაუძახე..მე დედიკოსთან უნდა ვიყო სულ. ცქრიალა და სუფთა ხმა სადღაც გამქრალიყო, ახლა ჩახლეჩილი და გაბრაზებული ბავშვის ხმას გრძნობდა მხოლოდ.

-გეხვეწები დამელაპარაკე, ვილაპარაკოთ ტასო, შემომხედე რა..ესე ნუ ხარ.. ანასტასია დემეტრეს სულ უფრო ეხუტებოდა და ცრემლები გაუჩერებლად მოდიოდა..

-ძალიან გთხოვ მა რა, დამელაპარაკე....

-რამდენმა უნდა დაგიძახოს მამა? მე რომ ერთი მამა მყავს შენ რატომ უნდა გყავდეს ბევრი შვილი?

-კარგი რა ტასო, მერე რა ისევ ისე მიყვარხარ, უფრო მეტად მამა, ძალიან..

-არა! გაკაპასდა ანასტასია, რომ გყვარებოდი არ წახვიდოდი, მე ხომ არ წავსულვარ შენ წახვედი! ხომ გითხარი დარჩი! არ დარჩი! ისე მარტივად აუხსნა 6 წლის ბავშვმა მენაბდეს, რომ ნაძირალა იყო, ისე გასაგებად და სუფთად, რომ მეტი მართლა აღარ შეეძლო.

-რომ დამელეპარაკო არ გინდა? წამოდი ნაყინი ვჭამოთ და ვილაპარაკოთ?

-არ მინდა! დედა უნდა მოვიდეს! მაგიტო აღარ ვტირი! თორემ მთელი დღეა ხმამაღლა ვტირივარ! ჩააბარა ანგარიში მამამისს.

-შოკოლადის თუ კარამელის? ნიკა არ ჩერდებოდა.

-დედიკო წამიყვანს მარწყვის ნაყინზე!

-შენ რომ შოკოლადის გიყვარს? ანასტასიას ელენე სულ უშლიდა შოკოლადისას.

-მერე რა! აღარ მეყვარება! თავს დავანებებ!

-ესე რომ გიყვარს როგორ დაანებებ?!

-შენც გიყვარდი მეუბნები, მაგრამ თავი დაგვანებე! წახვედი და არ გიკითხივართ, მეც ეგრე დავანებებ! ის წინათგრძნობა, რომ ანასტასიას არაფერი დაავიწყდებოდა ახლა თავზე გადაესხა.

დემეტრეს ისევ არ იმჩნევდნენ მამის თვალები.

მანქანის ხმაზე ანასტასია გარეთ გარბოდა ნიკამ რომ ხელი მოკიდა, ხეფებს ისევ ისე სწრაფად ატრიალებდა, როგორც სირბილისას თუმცა ჰაერში იყო უკვე. უკანა ეზოში გაიყვანა და ჩაეხუტა.

-ანატატია, ძალიან გთხოვ, აი სულ ძალიან, სულ ცოტაზე მაინც მაპატიე..სულ სულ ცოტაზე..მამის აბრჭყვიალებულ თვალებში თავისი თავი დალანდა.

-მე სულ გეყვარები? ნიკას ცრემლები წამოუვიდა.

-ტატია..აბა მაგას როგორ მეკითხები.

-რა ვიცი დემეტრე მგონია არ გიყვარს, აღარც დედა.... პატარა ჯალათივით იყო ანასტასია. ისე აწამებდა, რომ თავად არ ისვრებოდა.

-არავის უთხრა რასაც ახლა გეტყვი კარგი? ანასტასიამ თვალები დაქაჩა და ყური მიწია ნიკას ტუჩებთან.

-ყველაზე და ყველაფერზე მეტად მიყვარხართ თქვენ სამნი, როცა თქვენთან არ ვარ მაინც თქვენზე ვფიქრობ. სულ ჩემში ხართ....

-დედაც გიყვარს? უკვე გადაეწმინდა სახე ანასტასიას და პრანჭვა დაიწყო..

-ძალიან მიყვარს..

-ლიკაზე მეტად? პატარა ანასტასია დიდ ინტრიგნად იქცა.

-მე ელენე მიყვარს! ანუ სხვა არავინ! ეს ვერ გაიგო, ვერ მიხვდა ანასტასია...

-ხო ლიკაზე მეტად, ბევრად მეტად.

-მაშინ ჩვენთან წამოდი და აღარ გყავდეს სხვა შვილები!

-ხომ გითხარი ტასო სულ შენთან ვარ, გეფიცები, სულ თქვენზე ვფიქრობ!

-ესე არ მინდა, მოიღუშა ანასტასია. დედა დაინახა და მისკენ გაიქცა.

-დედიკო დავიღალე წავიდეთ, მხარზე თავი დაადო და თვალები დახუჭა.

-დაიღლებოდი ისე ტიროდი, არანორმალური რომ ხარ იცი, გაუცინა ელენემ და ბევრი აკოცა კისერში..

-ყველაზე კარგად შენთან ვარ დე..

-მეც ყველაზე კარგად დედაშენთან ვარ! ნიკა უკვე ვეღარ აკონტროლებდა რას ამბობდა.ორივე ძლივს ამშვიდებდა პატარა ანასტასიას არგუმენტები რკინის ჰქონდა. „მე პატარა აღარ ვიქნები“ „მე რომ ერთი მამა მყავს, შენ რატომ უნდა გყავდეს ბევრი შვილი“

-დემეტრესაც ეს რომ ეთქვა ტასო შენზე ხომ გეწყინებოდა? ელენეს ამ ნათქვამზე დაიძაბა, ვერ მიხვდა რატომ აღარ ჰქონდა არგუმენტები. „დემეტრე..!!დემეტრე...მე..ის ვერ მიხვდა!!“ ბოლოს ამოიძახა ტასომ. ორივეს გაეღიმა.

-რას ვერ მიხვდა? ჩაეძია ელენე.

-იმას, რომ ერთი დედა და მამა რომ გყავს იმასაც ერთ უნდა ჰყავდეს ერთი შვილი.

-შენ რომ მამიდა ბარბარე ძია მათე და ცოტნე გყავს ესე არ უნდა იყოს? უფრო და უფრო გაიხლართა ანასტასია...მოულოდნელად ტირილი დაიწყო.

-დედა რატომ ტირი?

-მერე მე რომ მომენატროსის ბავშვი სხვა სახლში რომ იქნება? შენი შვილი რომ არ იქნება დედიკო....ჩემნაირად რომ არ ეყვარები..იმას რომ მივეჩვიო და სხვაგან იცხოვრებს? მე და დემეტრეს რომ ერთ ოთახი გვაქვს? ერთად რომ ვჭამთ და ერთად ვუყურებთ ტელევიზორს? ბავშვებმა ყოველთვის ზუსტად იციან რა უნდათ! ყოველთვის და ამას დიდებისგან განსხვავებით ყოველთვის პირდაპირ ამბობენ..ალბათ ამიტომაც არიან წარმოუდგენლად სუფთები იმ ადამიანის გადმოსახედიდან ვინც უკვე საკმარისად გასვრილია ცხოვებით.

მხოლოდ ბოლოს თქვა ანასტასიამ ის ნამდვილი მიზეზი, რომლიც გამოც ტიროდა ასე გაუჩერებლად.

-დედას გეფიცები ძალიან მინდა ვიმსახურებდე იმ ცრემლებს! ნიკამ ელენეს მკლავში ფრთხილად მოკიდა ხელი და ეზოს ბოლოსკენ წაიყვანა.

-იმსახურებ, რომ მეტირებოდა თანაც ისე, რომ სხვანაირად არ შემეძლო ესე იგი იმსახურებ!

-ძალიან მინდა ის დღე არ არსებობდეს!

-შენ არ იცი მე როგორ, ძალიან მრცხვენია, მრცხვეენია იმ ბედნიერების, რომელიც დავკარგეთ. რაც არ უნდა იყოს ნიკა ბედნიერი არც ერთი ვყოფილვართ, არც ახლა ხარ ბედნიერი და ძალიან ვწუხვარ, ყველაფერი მტკივა რომ გაგაუბედურე...იმდენი ვიწრიალე ფეხბურთი დაგაკარგვინე.

-მთავარია შენ არ დაგკარგო....ფეხბურთი კი ცალმხრივია, მხოლოდ მე მიყვარდა მე კი საკმარისზე მეტად ამაყი ვარ რამე ცალმხრივად მიყვარდეს....უბრალოდ არ მჯერა ასეთი რამის არსებობის.... ელენემ ხელები წელზე მოხვია და ჩაეხუტა...

-ზუსტად ის სუნი გაქვს რაც 16 წლისას...ნიკამ ხარბად შეისუნთქა ელენეს ჰაერი....

-ჩემთვის ისიც კი საკმარისია, რომ ხარ. მინდა კარგად იყო, მინდა ბედნიერი იყო, ისეთი გნახო ოდესმე როგორმაც ერთმანეთს ხელი გავუშვით. შენ არ ინერვიულო რომ მე ამას განვიცდი..მამობა ბედნიერებაა..იმდენად დიდია, რომ არ აქვს მნიშვნელობა ვინ არის დედა....ანასტასიასაც გაუვლის, ხომ იცი რა ეჭვიანია....დემეტრე ძალიან მეცოდება ნიკა, ვიცი შევთანხმდით რომ არ ვილაპარაკებდით ამაზე, მაგრამ მართლა ძალიან მეცოდება. არ იცი როგორ დარდობს...თითქმის აღარ ჭამს..მხიარულებისდროსაც კი მოწყენილია.

-ელენე! ხომ იცი აზრი არ აქვს!

თავი 16

„მხოლოდ დიდ სიყვარულს სჩვევია ამგვარი უგულისყურობა“ შავი ჭირი. ა.კამიუ.

მაშინ ქორწილი მოკრძალებულად გადაიხადეს, ელენეს „დამსახურებით“ ბევრ რამეს იმიზეზებდა, პირველ რიგში კი არ უნდოდა ბევრს ენახა როგორ არ იყო ბედნიერი ქორწილის დღეს. არც კი იცოდა როგორ დაიყოლია ნიკამ, უფრო სანდროს აბრალებდა, ფიქრობდა, რომ მისი თავიდან ამოგდებისთვის ნიკასთან ურთიერთობა დაეხმარებოდა. ეს არ დაუმალავს მენაბდისთვის და მენაბდე სულ უფრო რწმუნდებოდა გადაწყვეტილების სისწორეში მიუხედავად იმისა, რომ გრძნობდა ელენეს გულგრილობას. იმ დღემდე, როცა ელენე თანხმობას ეტყოდა ორი დღით ადრე ძალიან წვრილმანმა, ყოფითმა და თითქმის უმნიშვნელომ დაარწმუნა, რომ თანხმობა უნდა ეთქვა. ნიკა 4 დღით ჩამოვიდა, ყველანი წყნეთში იყვნენ. ბარბარემ ელენეს მოსვენება არ მისცა, ეხვეწებოდა ემუდარებოდა.

-გთხოვ რა ელე, გეხვეწები!

-კარგი ახლა რას ამბობ ბარბარე, არ შეიძლება ღამე სად უნდა წახვიდე? ვინ არის საერთოდ?

-გეხვეწები, გეგამ ძალიან მთხოვა კონცერტია კლუბში, ცოცხალი შესრულება, აუცილებლად უნდა წავიდე..

-მთელი ღამე ბარბარე? კარგი რა!!

-მომისმინე 2 ისთვის მთავრდება, მაგრამ სახლში ვერ მოვალ ამ დროს და ამიტომ მთელი ღამე თორემ ისე 2 ზე წამოვალ.

-სად წახვალ? იმ შუა ღამისას რა უნდა აკეთო უცხო ბიჭთან ერთად!

-უცხო არ არის, კარგი რა! თბილისში მივალ სახლში, მაქვს გასაღები.

-უთხარი ნიკას ან მათეს და გამოგივლიან, მე ცოტნეს ვეუბნები ხოლმე ასეთ დროს!

-კარგი რა მათეს, სულ გაგიჟდება! ელენე დაფიქრდა და მართალი იყო ბარბარე.

-ნიკას უთხარი, ის ხომ სხვანაირია!

-ხო სხვანაირია, შენ მაგას არ იცნობ, გამიცინებს, გამიშვებს და თავადაც გამომყვება.

-კარგი რა!

-მართლა გეუბნები, მათეს ვეტყვი და აი საერთოდ გაგიჟდება ღამის ორზე სვაგან ამაზე გადაეკეტება, მერე ნიკა ეტყვის კარგი რა ძველმოდური და რაღაცნაირი ხარო, მერე მე გამიცინებს და მეტყვის შემიძლია სადაც მინდა იქ წავიდა და მერე დააყოლებს! გამორიცხულია, რომ არ დაამატოს, რომ თვითონაც გამოგვყვებიან და საბოლოოდ ისე იქნება როგორც მას უნდა მე, გეგა, ნიკა და მათე ერთად კონცერტზე, რომელიც საშინლად არ აინტერესებს ჩემს ძმას. გეფიცები, ნიკა მათეზე უარესია დამიჯერე! ის იყვირებს, ახტება დახტება და ბოლოს შეგიძლია მაინც ის გააკეთო რაც გინდა ნიკა გაყვირებს, არ შეგეწინააღმდეგება, მაგრამ მაინც იმას გააკეთებს რაც უნდა!

-მერე უფრო სწორი არ არის თავადაც წამოგყვეს!

-გეხვეწები რა ელე..გთხოვ ხომ იცი ამ ერთხელ მინდა დახმარება.

-კი მაგრამ ეს როგორ გავაკეთო ვინმე რომ მიხვდეს?

-არავინ მიხვდება, შეიძლება დედამ ან მათემ დაგხედოს, იციან ხოლმე ძილისწინ შემოსვლა, მაგრამ შუქს არ აანთებენ, შენ ვითომ გძინავს, ხმა არ ამოიღო ვერავინ მიხვდება, რომ შენ მე არ ხარ, გაიღიმა ბარბარემ.

-არ მინდა ასე გარევა რა ამ საქმეში! ელენეს არაფერი დააცადა ბარბარემ, 10 საათისთვის სახლიდან გავიდა, ელენე მის ოთახში დატოვა, ძალიან ინერვიულა ლორთქიფანიძემ, თვალი

ვერაფრით მოხუჭა, რაღაცნაირად ერიდებოდა, რომ ატყუებდა..ნიკას რომ ატყუებდა, მაგრამ მერე თავი დაამშვიდა, რომ ბარბარე მისი მეგობარი იყო, მეგობრები კი ხშრად აკეთებდნენ ასეთ რამეს. უკვე დამშვიდებული იყო იფიქრა დილამდე პრობლემა არ იქნებოდა არაფერი, როცა კარის ხმა გაიგო, სუნთქვა გაწყვიტა, სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა ვიღაც და მის საბანში შეძვრა.

-ბაბი გღვიძავს? ელენე შეიშმუშნა და ცოტა მიიწია რომ მის სხეულს მოშორებოდა.

-გაგაღვიძე? ბოდიში რა..ელენე არ განძრეულა. -ჰა ახლა გაიღიძე საქმე მაქვს ოლღა! წაკრა ხელი სასაცილოდ. ელენემ ჩაიკრუსუნა, თითქოს ახლა გაიღვიძა და აგრძნობინა ამის გამო გაუჯავრდა და ხმის ამოღებას არ აპირებდა.

-იმედია ფეხები დაბანილი გაქვს, თორემ დღეს უკვე მეხუთედ შევედი აბაზანაში, ნიკამ სასაცილოდ ჩაჩურჩლა და ფეხისთითებით მოუღატუნა, ელენე ღრიალს აპირებდა, როცა გაახსენდა, რომ ბარბარე იყო! საცოდავად მოიკუნტა და ერთიანად დაპატარავდა.

-გოგო მისმინე,ხო იცი ხვალე მამას დაბადებისდღე როა, დედამ მე და მათე დღეს არ ვიცი ჯვარს გვაცვა.. არ დამიწუწუნია! დაამატა ნიკამ, უბრალოდ გვინდა, რომ ორივეს სურპრიზი მოვუწყოთ რომანტიკა და რამე! ხო და შენ მაია უნდა გაიყვანო რა მომსახურების ზონიდან, თვალს არ გვაშორებს სულ რაღაცას გვავალებს, მე და მათე ვერ ვასწრებთ კრეატიული იდეების დალაგებას და ხვალე დედა წაიყვანე რა უთხარი საქმე გაქვს რაღაცის ასარჩევად რამე მოიფიქრე. კარგი? ელენემ სწრაფად დაუქნია თავი. ნიკა ადგომას არ აპირებდა, ელენე უკვე ცუდად იყო ნერვიულობისგან.

-ბარბარე! ამ ბოლო დროს უცნაურად ხარ, სულ ტელეფონზე წერ, დაბნეული გახდი, ისე აღარ აგვეტორღიალები ხოლმე მე და მათეს გირჩევნია ცალკე იყო, ადრე ფეხს ვერ ვადგავდით შენი შიშით კივილით მოგვდევდი, მესმის ეს ჩვეულებრივია შენს ასაკში..დადებითი, არ ვეჭვიანობ გეფიცები, გაეცინა ნიკას...მაგრამ ოლღა ხომ იცი, რომ შეგიძლია მითხრა ყველაფერი, თუ ვინმე არის, უბრალოდ მითხარი, მე არც მამა ვარ და არც ბუზღუნა ძმა..იმედია ასეთად არ მთვლი. უფრო მიიხუტა ბარბარე ნიკამ, სინამდვილეში კი ელენე....ვიცი ახლა დამოუკიდებლობა გინდა და მესმის შენი, მე არ ჩავერევი, არც რამის აკრძალვა, დაშლას ვაპირებ უბრალოდ მინდა იცოდე და იმანაც იცოდეს რომ ჩვენ ვართ! თუ ეს არ გინდა ამასაც გავიგებ, იმდენად გენდობი, რომ გავიგებ თუ საჭიროდ არ ჩათვლი არ ვიცოდე ვინაობა, მაგრამ მაშინ შენ უნდა იყო დარწმუნებული...ვიცი ახლა 16 წლის ხარ და შენი წილი პეპლები საოცრად აფარფატებულები არიან, ვიცი ამ წლების სასიამოვნო სიმსუბუქე, რწმენა, სიცოხლის და მომავლის, აფრიალებული ფიქრები და მთელ სხეულში არეული შეგრძნებები მისი დანახვისას..მაგრამ მინდა ისიც გახსოვდეს რომ ყოველთვის ერთხელ ხარ 16 ისაც და 30 ისაც, ცხოვრებაც ერთი გაქვს და მინდა იგრძნო საკუთარ თავთან შენი პასუხისმგებლობა, მინდა დააფასო შენი თავი! გახსოვდეს ვინ ხარ ჩვენთვის, როგორი მნიშვნელოვანი ხარ და მხოლოდ ამის ფარგლებში მისცე ადამიანებს უფლება დაგიახლოვდნენ, მინდა ყველაფერი ლამაზად იყოს შენს ცხოვრებაში. ელენე გრძნობდა, რომ დაძაბულობის ნაცვლად მთიანად მოეშვა და ყველა სიტყვას იმახსოვრებდა, უსმენდა გაოცებული. სულ უფრო მეტად გრნძობდა დამნაშავედ თავს იქ რომ იყო, ბარბარეს,

რომ დაეხმარა..საკუთარ თავზე იმედი გაუცრუვდა, ტყუილს ვერ იტანდა და ახლა სხვის საწოლში სხვად გასაღების გამო თავი ყველაზე დიდი მატყუარა ეგონა. ელენემ თავი დაუქნია, რომ ყველაფერი გაიგო. ნიკამ ხელები მოხვია და თავზე აკოცა.

-ოლღა შენ შამპუნი შეცვალე? რაღაც სხვანაირი სუნი გაქვს! ელენე აიწურა..

-მეზობლების რჩევებს აჰყევი, რა ხართ ეს ქალები.. ელენე სუნთქვა გაუწყდა, თალები ისე დაექაჩა როგორც ანასტასიამ იცოდა, მეძებარი ძაღლივით იყო ნიკა სუნზე, ადამიანებს სუნით ცნობდა, მაგრამ იმდენად წარმოუდგენელი იყო მისგან ბარბარეს უნდობლობა, რომ საკუთარ სუნთქვის ორგანოს სიმცდარე დასწამა, საკუთარმა რწმენამ მიიყვანა აზრამდე, რომ მეგობრებმა მსგავსი შამპუნი ურჩიეს ერთმანეთს ან ათასგვარი შესაძლო ვარიანტი, ოღონდ არა ის, რომ ბარბარე იმ დღეს ბარბარე არ იყო..

-გავედი ახლა მე, ოლღა აბა შენ იცი, იფიქრე..ხომ იცი შეგიძლია მითხრა ნებისმიერი რამე..კარგად დაფიქრდი, არაფერი გამოტოვო მის ხასიათში, არაფერზე დახუჭო თვალი, ყოველშემთხვევაში იმაზე რაც იმ აფრიალებული გრძნობის გარეშე აუტანელი იქნებოდა! აღარ მოგაცდენ ჩემი „ბრძნადმეტყველებით“ იცი რასაც ვგულისხმობ ბარბარე..

ელენე ფიქროდა, მთელი ღამე ფიქრობდა, ვერ გაერკვია გრძნობებში, გაიხლართა, მაგრამ რაც არ უნდა იყოს სიამოვნებდა, საშინლად სიამოვნებდა ამ ასაკში მისთვის შეთავაზებული ცოლობა, ასეთი ფორმით, რაც არ უნდა ყოფილიყო ნახევარი ევროპა ამაზე ლაპარაკობდა და მხოლოდ მან და ნიკამ იცოდნენ ადრესატი, მხოლოდ მათი იყო ის სიტყვები. ეშინოდა, რომ არ შემცდარიყო, სულ ცდილობდა ასეთ რაღაცებს არ აყოლილიყო, ვერ იტანდა „ხმამაღალ“ საჩუქრებს, ვერ იტანდა სერენადებს და მსგავს რაღაცებს, ეგონა რომ ვერ იტანდა ასე საქვეყნოდ აღიარებულ გრძნობებს, ცოლად გაყოლის თხოვნაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, მაგრამ მაინც დაიბნა. ეს არ ყოფილა ვულგარული, მოძველებული, გაცვეთილი ან ამპარტავნული ხელის თხოვნა, არც საკუთარი მდგომარეობის გამოყენება და „გამარიაჟება“ ეს უფრო სხვა რამ იყო, საიდუმლო, რომელიც მხოლოდ ორმა იცის მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი მსოფლიო მის გარკვევას ცდილობს. მხოლოდ ერთი რამ დაადგინეს ჟურნალისტებმა, რომ ის გოგო ქართელი იყო, ისიც იმით, რომ ქართლად ეწერა მაისურს.

მისთვის ნათქვამი თანხმობა, ნიკას არეული მზერა, მშვიდად ჩახუტება გულში, მოკრძალებული ქორწილი, ჯერ კიდევ გაურკვეველი გრძნობები..სვეტიცხოვლის აღმოსავლეთ ფასადთან იდგნენ..ელენეს მისი ხელები ეჭრა და ნერვიულად უსმევდა თითებს.

-ნიკა, არ ვიცი, რომ არ შემიყვარდე? მაპატიე, რა დებილი ვარ, ვიცი, რომ ძალიან ცუდად ვიქცევი, ახლა ამ დროს ამას არ უნდა გეუბნებოდე, მაგრამ ძალიან მეშინია, რომ ისე ძალიან არ შემიყვარდე როგორც მე წარმომიდგენია ქმრის სიყვარული? ნიკა მშვიდად უყურებდა, ჩოხაში გამოწყობილი უჩვეულოდ ეჩვენებოდა ელენეს, ვეღარ გებულობდა რას გრძნობდა, იმ დღეს ფიქრობდა, რომ უბრალოდ მოწონდა, უბრალოდ მხოლოდ სიმპატიურად თვლიდა მომავალ ქმარს და სხვა არაფერი.

-გამორიცხულია ელენე, გაუღიმა ნიკამ.

-რა? რა არის გამორიცხული?

-რომ არ შეგიყვარდე. ელენეს გაეღიმა..

-შენ გიყვარვარ? არც შენ არ გითქვამს ეს სიტყვები..

-მე შენ ცოლობა გთხოვე, ახლა როგორ გითხრა, რომ მიყვარხარ, როგორ შევამცირო პირველი მეორით?! იმ სამ წელიწადში მთლიანად გაიგო ელენემ რა უთხრა მენაბდემ, რატომ თვლიდა ცოლს ყველაზე და ყველაფერზე მნიშვნელოვნად, რატომ იყო მართლა მისი ნახევარი ნიკა, მის გარეშე სუნთქვაც კი არ იყო ისეთ, როგორიც მასთან ერთად. როცა მას ხედავდა მხოლოდ მაშინ იყო მთლიანი, სხვა დროს კი ნახევარი დადიოდა, ნაწილი რომელსაც სულ ენატრებოდა მეორე, სულ წარმოუდგენელ მონატრებას გრძნობდა.

მძიმედ დაწყებული ოჯახური ცხოვრება ჰქონდათ, ნიკას იდეალურობა ელენეს ისე აღიზიანებდა, რომ უკვე აღარაფრის გაძლება შეეძლო. მისი სიმშვიდე, აუღელვებლად მოგვარებული პრობლემები, წარმატება სპორტში სულ აგიჟებდა..რამდენიმე თვე სახლს არც ალაგებდა, დამხმარე ქალი გააშვებინა განზრახ, იცოდა ამით მაინც გამოიყვანდა წყობიდან, მაგრამ აქაც შეცდა, როცა დაინახა თვითონ როგორ ალაგებდა ნიკა ყველაფერს, კაცის სამზარეულოში და ცოცხით დანახვა ეს უკვე ელენესთის კოშმარი იყო..ნიკასთვის კი საჭმლის გაკეთება ჩვეულებრივი მოვლენა, ჭურჭლის გარეცხვა საერთოდ არ ანაღვლებდა, პირიქით მერე მიხვდა, რომ მის გარეცხილ ჭურჭელს მენაბდე არ ენდობოდა და იმ ჭიქას, რომლითაც უნდოდა დალევა ან თეფშს თავად რეცხავდა მაინც. ის წიკები, რომლითაც ნიკა არავის აწუხებდა ყველაზე მეტად აწუხებდა ელენეს. მხოლოდ ერთხელ თხოვა ნიკამ სუნამო არ დაესხა, საერთოდ არანაირი, აგიჟებდა რამის სუნი მენაბდეს. ელენე კი ამის გამო პარფიუმერიული მაღაზიებიდან არ გამოდიოდა, ადრე თავადაც არ მოსწონდა სუნამოს გამოყენება, მაგრამ ახლა უკვე ზედმეტად ბევრი ესხა. ნიკას მას მერე ხმა არ ამოუღა ამ საკითხზე და ეს კიდევ უფრო აგიჟებდა.

თამაზის ნიკას გუნდშ გადმოსვლა მთელი ზეიმი იყო....ელენესაც უხაროდა, ასე მოშორებით ქართველის ნახვა უკვე ძვირი სიამოვნება გახდა მისთვის.

დედამისთან გამუდმებული საუბრები, ნინო ამშვიდებდა, ეუბნებოდა, რომ თავიდან ყველას უჭირს ელენე კი სულ უფრო გიჟდებოდა. ვერ დაეჯერებინა ნიკას ასეთობა, არ შეიძლებოდა ადამიანი ასეთ ყოფილიყო, ამიტო ყველანაირად ცდილობდა წყობიდან გამოეყვანა, ნიკა კი თავისი უპრობლემობით უფრო აგიჟებდა. უნდოდა მკაცრი მეორე ნახევარი, უნდოდა ისეთი სიძლიერე ეგრძნო მისგან, რომ მის სიკაპასეს სუნთქვა არ შეძლებოდა ნიკა კი ყველაზე მეტად აძლევდა უფლებას ყოფილიყო ჭირვეული.

-ძალიან რბილია, მშვიდია, მეშინია თავს რომ ვინმე დაგვესხას ჩემგან დასაცავი არ გახდეს, რადიკალურობა არ შეუძლია, არ შეუძლია რაღაც მაიძულოს, მე კი ამის ატანა არ შემიძლია დედა, არ მომწონს ასეთი გენდერული თანასწორობა, თითქოს ვერ ვენდობი, ვერ ვეყრდნობი დედა, არ ვფიქრობ, რომ ჩემზე ძლიერია, სუსტია, ჩემზე სუსტია, მგონია, რომ დავჩაგრავ და ეს მაგიჟებს, მგონია ყველა სურვილს იმიტომ მისრულებს, რომ რაღაც დამალოს, რაღაც ნაკლი აქვს დედა, ასეთი რბილი, რომ არის ეტყობა მაგას მალავს, ეტყობა არ არის ისეთი მამაცი,

ვაჟკაცური...მე ესეთ ქმარი არ შემიძია დედა, ქმარი რომელსაც მხოლოდ ის ანერვიულებს აცვია თუ არა სუფთა წინდები. უნდა ნახო ავადმყოფია, ჩემ გარეცხილ ჭქას ხელახლა რეცხავს, არ მენდობა! ამის იქით სამყაროს ვერ აღიქვავს, მხოლოდ ბურთი და ჰიგიენა, მე სად ვარ ამ დროს? მე ყველაფერს მისრულებს, მაგრამ არაფერი მინდა მისი, მისი შეხებაც კი აუტანელი გახდა! არ ვიცი როგორ ვუძლებ იმ კაცის შეხებას, რომელიც არ მიყვარს. მაგრამ არ მაძლევს საბაბს რამეზე გავუბრაზდე, ამის გამო თავს დამნაშავედ ვგრძნობ და უფრო ცუდად ვარ, დედა ასე შორს ყოფნა არ მინდა საქართველო მომენატრა, აქ არ მინდა მასთან ყოფნა. იქიდან ნინომ მიწასთან გაასწორა ელენე, შვილი ისე დატუქსა ელენეს შერცხვა..შერცხვა. ნინოს ხმა მას უკვე აღარ გაუგია, არ გაუგია არც ხალხის ხმაური ბინიდან გამოსულს, არ გაუგია მანქანების ხმა, არც საკუთარი სუნთქვა, ეგონა არც დედამიწას ეხებოდა და არც სუნთქავდა..უბრალოდ მიდიოდა, მიდიოდა მშვიდი სახით, ჩაფიქრებული, უღიმოდა ისევ ისე იმ ხალხს ვინც ცნობდნენ, არ დაზარებია პატარებისთვის ბურთზე წარწერა გაეკეთებინა, არც სახელის კითხვა არც კეთლი სურვილების ასრულება...არც გვერძე მეგობრის ხმა ესმოდა.

ნიკას ყველა ქცევა, უმოქმედობა, უემოციობა, სიმშვიდე სიძულვილს იწვევდა. ის ხომ ყოველთვის, ხმამაღალ, დაძარღვული კისრითა და შეშლილი თვალებით დამტკიცებულ სიყვარულზე ოცნებობდა. ხომ წარმოიდგენდა ჯერ კიდევ იმ ასაკიდან გამოუსვლელი, როგორ ესხმოდნენ თავს და როგორ იცავდა მისი რჩეული, მაშინ იმ წარმოდგენაში თვალები ისეთი დაბინდული და ამღვრეული იყო ბრაზისგან ელენეს შიშისგან ენა ებმოდა, ვერაფერს ამბობდა. ახლა უყურებდა საკუთარ ქმარს და რცხვენოდა. "ნუთუ შეიძლება კაცი არ გაბრაზდეს? იყოს ასეთი მორჩლი? უპრეტენზიო და უინტერესო?!" ელენე ტირილისგან ჩაიკეცა. მძიმე იყო იმის გააზრება, რომ მისი ქმარი მისთვის ყველაზე საძველი პიროვნებების პროტოტიპს წარმოადგენდა. თურმე ვის გაჰყვა, სიმშვიდის და თავის ხელში აყვანის ხორცშესხმას, მას კი ბობოქარი, მტკიცე და ძლიერი დასაყრდენი ჭირდებოდა. მათ ოჯახში დამყარებული გენდერული თანასწორობა გულს ურევდა. არ შეეძლო გაეძლო ასეთი ურთიერთბისთის, არ უნდოდა მასზე სუსტი მეორე ნახევარი, რომელსაც დაჩაგრავდა. ფეხბურთელი, რომელსაც ორი წიგნი არ აქვს გადაბმულად წაკითხული ეს სულ აგიჟებდა. მთელი ცხოვრება იმას უყურა როგორი ძლიერი იყო მამა, როგორ პატივს სცემდნენ ერთმანეთს მშობლები, მაგრამ მამამისის სიტყვას როგორ გააზრებულად ემორჩილებოდა დედა. ეს უნდოდა, მის ცხოვრებაშიც ეს უნდოდა, რომ ქმარი ძლიერად დადგომოდა მის სიანჩხლეს, სიჯიუტეს, არ მიეცა უფლება ელენესთვის თავისი გაეტანა, გულში ამაზე ოცნებობდა, ნიკა კი ყველა სურვილს უსრულებდა, პრობლემას ოდნავ არ ქმნიდა და ამით სულ აგიჟებდა. ელენემ იცოდა მისი გრძნობების გაგება შეუძლებელი იყო ყველას გიჟად მოეჩვენებოდა ქალი, რომელსაც ასეთი ქმარი არაფრად ჭირდება და მკაცრ შეუბრალებელ და მტკიცე ნახევარზე ოცნებობდა. მასთან ჩხუბსაც ვერ ახერხებდა, ნიკა ამის საშუალებასაც არ აძლევდა, ვერ საყვედურობდა. ელენე დაიძაბა. "ნუთუ ვერ ვეჩხუბები?!" დაფიქრდა და რაღაც აეწვა. "უბრალოდ არ ამყვება, თორემ ისე მეტსაც გავუბედავ!" გაამხნევა თავი. ამ ფიქრებში იყო კარის ხმა რომ გაიგო. ნიკას ღია ჯინსი ეცვა და კედები. სპორტული ჩანთა ფრთხილად დადო და ფეხზე გახდა დაიწყო. ელენეს გაუღიმა და მიესალმა. აშკარად ეტყობოდა ვარჯიშიდან საშინლად დაღლილი მოვიდა და ძლივს ახერხებდა განძრევას.

–სად იყავი?! ელენეს ხმა შეუბრალებლად ცივი იყო. ნიკა არ გარხეულა, თავი ნელა აწია ზემოთ და ელენეს შეხედა.

–ვარჯიშზე! მემგონი მეტყობა და ჩანთისკენ გაიხედა.

–ესე უხმოდ დადიხარ სულ. არაფერს ამბობ...მე რა ვიცი..ელენე უკვე ყვიროდა. ნიკა ფეხზე წამოდგა, სულ უფრო უახლოვდებოდა, ცოლმა იგრძნო, რომ ლაპარაკი აღარ შეეძლო, კისერზე ცხელ ტუჩებს გრძნობდა და ტუჩები ნიკას ხელებმა დააკუმინა, ვერც კი შეამჩნია, როგორ აღმოჩნდნენ საძინებელში, ვერც ის გაიგო როგორ იპოვა ქმრის ტუჩები და მთელი ვნებით აკოცა, გრძნობდა მის ჯერ კიდევ სველ წაბლისფერ თმას, მისი შამპუნის სუნს და ნიკას გრძელ თითებს მის მკერძე და გახურებულ ტუჩებს, მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ნიკა ზემოდან დააცქერდა უძრავად. თვალები ძლივს გაახილა. მისი ქმარი მშვიდი იყო, აუღელვებლად ყოველგვარი ვნებისა და სიყვარულის გარეშე ანთებული თვალებით დასცქეროდა და მის გამორკვევას ელოდებოდა.

–მეორედ ასეთი ფორმით და ტონით არ მკითხო სად ვიყავი! ეს თქვა და მშვიდად მოაშორა სხეული. საკუთარ თავს გამოტყდომა, რომ სული პატარა ბავშვივით გაეტირა მისი ქმრის განიერ მხრებს, გრძელ თითებს, მის სხეულში განგაშს ტეხდა. "არაუშავს ახლა მასთან ყოფნა არ მომიწევს?“ თავი აიძულა ბედნიერება ეგრძნო.ფეხზე წამოდგა და სარკეში ჩაიხედა, უნდოდა დატანჯული ქალის სახე ჰქონოდა, რომელიც იძულებულია ქმარს დანებდეს, იტანდეს ნივთად ყოფნას, მაგრამ სარკეში ვნებამორეული და მიტოვებული ქალი დაინახა, რომელიც ქმარს ჩუმად და ამაყად გაეტირა.

ფორთოხლის წვენის გამოწურვას, რომ მორჩა საათს დახედა და ტელევიზორი ჩართო. მშვიდად იჯდა მენაბდე, თან წვენს წრუპავდა და ფეხბურთს თვალს არ აშორებდა. ელენე მტკიცა ნაბიჯით გავიდა სამზარეულოში.

–არ გინდა? ნიკამ გაუღმა და წვენისკენ ანიშნა. თითქოს არაფერი მომხდარიყო ისეთ სახე ჰქონდა მის ქმარს. "ნუთუ საერთოდ არ ვიცნობ?!" გააჟრჟოლა ელენეს, როცა ნიკას სახე დაინახა. ოდნავ არ შეიძლებოდა მასზე ემოციების კვალის ამოკითხვა, როგორ შეეძლო ასე დაფარვა, ელენემ წვენს ხელი მოკიდა და მასთან ერთად გადაწყვიტა ფეხბურთის ყურება. ნიკას ბედნიერი სახე ჰქონდა სასურველი ანგარიშის გამო, მაგრამ მალევე გაიტანეს მათ გუნდის უმთავრესმა მოწინააღმდეგეებმა გოლი და თვალებიც ჩაუქრა.

–რა ფერებისკენ ხარ? ისეთი სასაცილო და ბავშვური კითხვა დასვა ელენემ, რომელსაც მხოლოდ ბავშვობაში ან მოხუცებულობაში სვამენ, ნიკას გაეცინა და წამით დაავიწყდა ანგარიში.

–წითლების. ესენი ჩვენ ჩემპიონატში მეოთხეადგილას არიან.

–ლურჯები რომელზე არიან?

–პირველზე,მძიმედ გადაყლაპა სითხე.

–შენ? ელენეს უკვირდა ასეთ დაინტერესება ამ სპორტით.

–მეორეზე, და თუ ლურჯებმა აქ სამი ქულა დაკარგეს 1 ქულით გადავასწრებთ.

–ამიტომ გინდა წითლების მოგება, გაეცინა ელენეს და ტელევზორს მიაცქერდა.

–ხო ამიტომ, გაუღიმა ნიკამ. ელენეს ყველაფერი დაავიწყდა, სად იყო, ვისთან ერთად, რატო იყო, ვინ იყო, მხოლოდ ფეხბურთს უყურებდა და ისეთ ხმაზე ყვიროდა და ოთახში დადიოდა, რომ ნიკა გაოგნებული უყურებდა.

–ჯანდაბა მიეცით პასი.. რა ჯარიმა. ეს მსაჯი არაა ნორმალური!!! ელენე ბოლო ხმაზე ყვიროდა.

–გამომეცალე ელენე ვეღარ ვხედავ წინ მიდგახარ! ეცინებოდა ნიკას. ელენეს ნახევარი არ ემოდა, ნახევარს არ იგონებდა.ნიკაც ამის გამო ფეხზე იდგა და ერთმანეთს ეჯიკავებოდნენ..

–ვერ ვხედავ ელენე მართლა დამაცადე, არადა ხვალე ამის განხილვა გვექნება.

–ნიკა ხომ ხედავ ხელს მიშლი! დაჯექი მიდი, ან სხვა ოთახში გადი საყურებლად.

–ბოლო წუთზე ვერსად გავალ! მაცადე დავინახო, თამაში ისეთ დაძაბული იყო და ისეთი პრესინგს აწყობდა ელენეს ფავორიტი გუნდი თვალს ვერც ერთი აშორებდა და ნიკა ვერც ელენეს სხეულს აშორებდა ტელევიზორს.

–ვერაფერს ვხედავ, მარტო მესმის! აუწიე ცოტა კიდე! ნიკა სიცილით ძლივს ითქვავდა სულს. ელენეს ფრანგული არ ესმოდა და ამიტო არც ხმაზე დარდობდა.

–გოოოოოოოოოოოოოოოოოოოლლლლლ. გოოოლ!!!!!!!! მოიგესს, წითლებმა მოიგეს ნიკა. როცა მენაბდე დარწმუნდა, რომ თამაშგარე არ იყო და გოლი ითვლებოდა, მხოლოდ ამის შემდეგ აღნიშნა მისი გუნდის პირველი ადგილი, რომელიც მალე შეიცვლებოდა თუ ორი დღის შემდგომ გასამართ თამაშს არ მოიგებდნენ. ელენე ისე გამეტებით და გახარებული ეხუტებოდა, რომ საკუთარი თავი გარედან, რომ დაენახა ვერ დაიჯერებდა. ეს იყო უფრო ბავშვური ჟინი, რაღაცის გამარჯვების ვიდრე გააზრებული სიხარული.

–რა მაგარი ყოფილა! აი მესმის ადრენალინი, გავგიჟდი ისე ვინერვიულე. აი ფეხბურთი რატომ არის თურმე ასე საინტერესო. შენზე უფრო ვინერვიულებ, შენ რომ იქ იყო.ელენე ისე პატარა ბავშვივით ატლიკინდა ნიკას წვენი ლამის გადაცდა.

–შენ ცოტნეს თამაშებს არ უყურებდი?

–არა მაგას ხომ საერთოდ ვერ გავუგე ვერაფერი. რა მაგარი ყოფილა, კიდევ როდის იქნება?

–ზეგ არის ელენე, ნიკამ ჭიქა დადო და საძინებლისკენ წავიდა.

.....

„ყოველ ღერ ბალახს თავისი რომანტიკული ისტორია აქვს, საკუთარი თავგადასავალი“. რემარკი.

-ნიკა მაოცებ! გული მართლა არ გაქვს? ნუთუ იმას აპირებ რაც ბარბარესთან გააკეთე! დემეტრესთან ამის უფლებას არ მოგცემ გესმის, შენ გამო უბედურია! მოწყენილი დადის, ნუთუ ვერ ხვდები, რომ შვილთან მით უმეტეს ბავშვთან ჯიბრი არ შეიძლება!

-მე არავის ვეჯიბრები!

-აბა რას აკეთებ? ნიკა დაფიქრდი გთხოვ!.

-მე ვცდილობ არ ვიყო ყალბი! მე ვაკეთებ იმას რაც შიგნიდან ვარ! თუ გავუცინებ, თაზე ხელს გადავუსმევ და შუბლზე ვაკოცებ, ამით მხოლოდ მოვატყუებ! ეს გინდა? ვატყუებდე, მაშინ როცა ეს არ მინდა, არ მინდა გავუცინო, არ მინდა თავზე ხელი გადავუსვა!! არ მინდა! არ ვთვლი საჭიროდ, ვფიქრობ რომ ბევრი გვაქვს მე და დემეტრეს გასარკვევი, ბევრ რამეზე სალაპარაკო დასალაგებელი, მაგრამ ჯერ არ მინდა არ ვარ ამისთვის მზად, მინდა საკუთარი თავის არ მრცხვენოდეს, როცა დაველაპარაკები, მინდა ვიცოდე, რომ რაც გააკეთა აღარ განმეორდება!!! დარწმუნებული უნდა ვიყო რომ ეს არ განმეორდება, სხვა შემთხვევაში შეიძლება გავგიჟდე მე თუ კიდევ მოვისმინე მისგან! ვიცი შეიძლება მოგეჩვენოს, რომ ვჭირვეულობ, მაგრამ მე ვცდილობ შეცდომა აღარ დავუშვა! აქამდე ვცხოვრობდი ჯიბრით, მაგრამ აახლა არა..ერთ სიტყვასაც არ ვამბობ დაძალებით. ვცდილობ ის რწმენა დავიბრუნო საკუთარი თავის რაც ადრე მქონდა.

-ბარბარესთან 13 წელი ვერ მოიპოვე ის რწმენა რომ დალაპარაკებოდი, 13 წელი ნიკა..ზოგჯერ მგონია, რომ არ მიყვარხარ! უფრო სწორად როგორ უნდა მიყვარდე?! მიკვირს რა უნდა მიყვარდეს შენი, მაშინებ! მაგრამ ბოლომდე ვერასოდეს ვფიქრობ, რომ სულით გასვრილი ხარ, უცნაური ხარ...ბარბარე...

-ბარბარე სხვაა..მისი ქცევაც სხვა! მან ჩემი არსებობა დაივიწყა და მეც დავივიწყე!

-როგორ დაივიწყა დღესაც თვალებში გიყურებს, დღესაც ელის შენგან ერთ, ნიკა ერთ წინადადებას, რამეს, ზოგადად რამეს რომ ეტყვი, მაგრამ უშედეგოდ, ეს რა სიყვარულია? ეს ხომ ბოროტებაა ნიკა, ადამიანს ამწარებ! ბოლომდე ამწარებ!

-შენთანაც მჭირდება ამის ახსნა? შენ ხომ იცი რომ არაფერი იყო ადვილი ჩემთვის, შენ მაინც ხომ იცი რომ ბოლომდე მხოლოდ მე გავმწარდი! რა გავაკეთო ელენე? მირჩიე რამე? მითხარი როგორ ვაიძულო თავი იმაზე რაც არ მინდა? 13 წელი გავიდა და ვერ ვპატიობ! არ შემიძია, რა გავაკეთო? როგორ ვაიძულო თავი! როცა არ შეგიძლა მორჩა! მე არ მწამს დიდსულოვნების, არ მჯერა! უბრალოდ არ შემიძლია და მორჩა! როცა შევძლებ ამასაც არ დავმალავ!

-უნდა გაიაზრო რომ არ ხარ მართალი! თ ამას მიხვდები მაშინ..

-ვფიქრობ, რომ მართალი ვარ, რატომ არ გესმის მე თავს არ ვთვლი დამნაშავედ, ვფიქრობ, რომ ბარბარეს უნდა ეფიქრა, რომ ჰყავდა ძმები, ჰყავდა მამა! საკუთარ თავს იმაზე მეტად ვტანჯავ ვიდრე სხვა შეიძლება ამით იტანჯებოდეს, ამით ალბათ სინდისის ქენჯნას არ ვუშვებ ჩემამდე!

-არ ვიცი ეს თემა 13 წელია მოუგვარებელია, მაგრამ დემეტრესთან არ მოგცემ ამის უფლებას! როგორც გინდა რანაირადაც გინდა, სადაც გინდა ეგ რწმენა შეაგროვე და ჩემს შვილს დაელაპარაკე! არ ვიცი როგორც გინდა, თორემ ისე გაგამწარებ ნიკა, ისე გატკენ გულს, რომ ახლანდელი მდგომარეობა სანატრელი გაგიხდება!

-არ დამემუქრო! ელენე ყველაზე ნაკლებად ეს ტონი გიხდება და ყველაზე ნაკლებად ამის ატანა შემიძლია!

-შენ არ იცი რა შეუძლია დედას თუ ხედავს, რომ მისი შვილი იტანჯება!

-ნუ ჩაერევა ეს დედა მამის და შვილის საქმეში! აზრი არ აქვს გითხარი, ყველგან შენ ხარ გარდა დემეტრესთან ჩემი ურთიერთბისა, ყველგან შენ ბატონობ მაგრამ აქ არა! თუ ამას დავკარგავ მაშინ მართლა მოვკვდები!

-ელენე მოდი შვილო, დაუძახა მაიამ! ეგ დარჩეს მანდ!

-მაგას სახელი აქვს, რომელიც გაგიკვირდება და შენ დაარქვი! არ შეარჩინა ნიკამ.

-ნუ მაღიზიანებ თორემ ყველას ვეტყვი კითხვა როგორ დაიწყე! დაემუქრა დედამისი..

-როგორ დაიწყო, დაინტერესდა ელენე!

-მაიკო რაც გინდა ის ქენი, ამის მერე მეცოდინება პირობას როგორ ასრულებ!

-არაფერი, ეს ვის რას ათქმევინებს. გაჯავრებით შეხედა შვილს და სახლში შევიდა. ნიკა მამამის მიუჯდა გვერძე და მაშინ მიხვდა რომ ძალიან შეტოპა, როცა დემეტრე გვერძე გაიწია.

კიბეებზე ტერფებს ძალას ატანდა, რომ ასულიყო, მუხლები ეკვეთებოდა იმ

ის გამო რაც იცოდა დახვდებოდა, ეშინოდა, რომ დაუძლეველ რეალობას შეასკდებოდა. სულ იმის ნერვიულობაში იყო დემეტრეს არაფერი შეშლოდა, სულ მის კონტროლში ათენებდა, არ გაქცეოდა, ამ ასაკში არ მიეშვა სადავეები..თანაც ისეთ დროს, როცა ყველა ცალ-ცალკეა, მამასთან ასეთი დამოკიდებულება, სახლში სულ წუხილი, ელენე უკვე ვეღარ ახერხებდა მხიარული ყოფილიყო, მოჩვენებითად მაინც. დირექტორის ზარმა და პოლიციის ხსენებამ სულ აურია შეგრძნებები.კარებთან მისული არ იყო ნაცნობი ხმა, რომ გაიგონა, ეგონა მოესმა, ძლივს შეაკავა მუხლები.

–გია რამე სერიოზული თუა მითხარი რა.

–მგონი მართლა სერიოზულადაა საქმე ტელეფონით ამიტომ აღარ გითხარი. დემეტრეს პრობლემები აქვს. კლასელებთან და უკვე უფროსკლასელებთანაც. ბოლო ჩხუბში პატრულიც ჩაერია, საბედნიეროდ მალე დაიშალნენ და კონტროლზე არ აუყვანიათ. ელენეს არაფრის თავი აღარ ჰქონდა.

–რა სახის?! ჩვეულებრივი ხმით იკითხა ნიკამ.

–ფულს ხშირად თხოვენ, ამის გამო უწევს უსიამოვნო შეხვედრები, სწავლასაც საგრძნობლად...

–ფულს ვინმეს აძლევს?! ხმაზე შეეტყო რომ სწავლა და დანარჩენი არ აინტერესებდა მენაბდეს.

–არ ვიცი, არ მგონია, ჯერ მე როგორც მითხრეს არავისთვის მიუცია ამის გამო ჩხუბი უწევს და ის დანით გაკაწვრაც.

–გია არაფერი დამიმალო და არ შემიმსუბუქო სათქმელი, შენ მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალს ადევნებ და გარკვეულწილად პასუხისმგებლობა შენც გეკისრება! ამიტომ ყველაფერი რეალურად მითხრა მირჩევნია. თუ ფული ვინმეს მისცა სხვანაირად დაველაპარაკები! ეს ყველაფერს ცვლის!

–ნიკა არ გრცხვენია, რაც ვიცი ყველაფერს ვამბობ! იმ უფროსკლასელებმაც ესე თქვეს. ჯობია დაელაპარაკო დაარიგო, დემეტრე კარგი მასალაა და დარიგებით მოგყვება.

–მათეს ვეტყვი, ნათლიამისსაც დაელაპარაკებიან, ნიკას ხმამაღლა ფიქრივით გამოუვიდა.

–შენვე ჯობია.

–მე ახლა ვერ შევძლებ რაღაც არეულობა გვაქ! შენ ის მითხარი ვინ არიან ისინი? აი ის ვინც ფულს თხოვს! აშკარად შეეტყო, რომ ეს ამბავი ვერ გადახარშა.

–თუ გინდა შეგახვედრებ.

–აუ არა რას შემახვედრებ გია 13 წლის ბავშვებს რა საქმეები ვურჩო მე, მაგათ მშობლების საკონტაქტოები მითხარი.

–აი აქ წერია, მთავარი ეს ლევან ყიფიანია.

–ოოო, ყიფიანი!!!!! მენაბდენ წარბები აწია.

-გვარს არცხვენს!

-დავით ყიფიანს ისე ჰყავს გვარის საქმე დაყენებული, რომ ძნელად შეარცხვენენ! ნიკას საყვარელი ფეხბურთელი იყო დავით ყიფიანი, ყველა დროის საუკეთესოდ თვლიდა მთელი გულით, ყოველგვარი ეროვნულობის გარეშე! ყველაზე მეტად ინტელექტუალური მოთამაშე იყო, ზომიერი და ჭკვიანურად ჭკვიანი.

-შენ მაგას არ იცნობ! ხელი ჩაიქნია გიამ.

-მერე გია დედამისის ნომერი და მისამართი რად მინდა, კარგი ახლა ქალებს სად ვდიო გაფიცებ, მამამისის სამსახურის ან რა ვიცი რამის მისამართი მომეცი სადაც არის ხოლმე.

–მამა არ ჰყავს. დედა ჰყავს მთელ დედამიწაზე მხოლოდ და იმ დედასაც ძალიან არცხვენს.

–კარგი არ გინდა. ნერწყვი მძიმედ გადაყლაპა ნიკამ. მომისმინე, ყველაფერი გამაგებინე დემეტრეზე, ყველაფერი გესმის! და კიდევ ელენეს არ უთხრა ასე მწვავედ, უბრალოდ უთხარი,

რომ დაძაბული სიტოაციია არ აანერვიულო რა გთხოვ, მოვაგვარებ არ მგონია რამე ისეთი საგანგაშო იყოს. არც ის უთხრა, რომ ვიყავი, ისევ ტელეფონით ვიკონტაქტოთ, დღესაც მეგონა ძალიან საგანგაშო იყო და ამიტომ მოვედი. მთავარია დემეტრემ ფული კი არა კალამი, რომ კალამია ის არ მისცეს ვინმეს, თუ ეს შეატყე იცოდე მაშინვე მაგებინებ და მერე არ ვიცი რომლით დავიწყებ! ხო კარგი ვხუმრობ გაიცინა ნიკამ და დირექტორის ოთახიდან გამოვიდა, ელენეს ეგონა ვეღარ მოასწრებდა თვალს მიფარვოდა, მაგრამ ნიკა სხვა გასასვლელისკენ წავიდა და არც შეუმჩნევია. იმაზე ფიქრს ვერ ასწრებდა, რომ ნიკა ყოველთის აკონტროლებდა დემეტრეს ქცევებს, მხოლოდ იმას იაზრებდა თუ როგორი მნიშვნელოვანი იყო მამა ბიჭების ცხოვრებაში და დემეტრეს პრობლემებს ჭკუიდან გადაყავდა. ჭკუიდან გადაყავდა იმასაც რომ ზუსტად იცოდა ამის მიუხედავად ნიკას და დემეტრეს ურთიერთბაში არაფერი შეიცვლებოდა, ბარბარესაც უფრთხილდებოდა, ზრუნავდა, უყვარდა, მაგრამ მაინც არ ელაპარაკებოდა 13 წელი ხმა არ გაუცია!

არც დაფიქრებულა ისე წავიდა იმ მისამართისკენ სადაც ლევან ყიფიანი ცხოვრობდა, წარმოდგენა არ ჰქონდა რა უნდა ეთქვა, მხოლოდ ის იცოდა, რომ დემეტრეს არც დაცვას და არც მისგან ჩამოშორებას მოსთხოვდა, საერთოდ არ უნდოდა დემეტრეს პრობლემების საკუთარი სახელით მოგვარება, აუცილებლად დაუტოვებდა მის წილ მოსაგვარებელს, მაგრამ არ უნდოდა რამე საგანგაშო შეცდომის დაშვება შვილის ცხოვრებაში. მთელი დღე იქ იდგა სახლთან, ბიჭი გვიანობამდე არ გამოჩენილა, ტელეფონით აგვარებდა თუ შეიძლება ასე ეწოდებინა ყველა საქმეს რაც თავზე ეყარა და გადაბმულად რამდენიმე საათი 14 თუ 13 წლის ბიჭს ელოდებოდა სახლთან "ჩასაფრებული" თან მისი სურათი ეჭირა და უკვე ყველა ნაკვთი დეტალურად შეესწავლა.

ტელეფონი გაბმულად ურეკავდა ბოლოს აიღო თამაზის ნომერი.

–რა გინდა? ბოლო საუბრისაც ნაწყენი დარჩა ბელთაურთან.

–სად აგდიხარ? რამდენი ხანი გელოდები, ამოეხწიე რა სკოლაში ბევრი საქმე გვაქვს, ფორმებზე და ბურთებზე არიან მოსულები. ის იტალიელი ტრენერებიც ჩამოვიდნენ, მთელი გეგმა და ბიუჯეტი გვაქვს გასაწერი.

–არ მცალია რა თაზო მართლა. გადმომიგზავნე სურათები და ავარჩიოთ ერთად მიდი რა არ იბურდღუნო. ბიუჯეტის პროექტიც გამოაყოლე, რაღაც დრაფტი დაგიტოვე, მეილზე გადმოგიგზავნე და იმას არ გასცდეთ.

-მერე არ დაიწყო ეს ფორმა არ ვარგა, ის ყვირის, ეს მუქია, ის ასეთია, როგორც იცი რა! შენ ტანსაცმელთან და ფორმასთან ისეთი ხარ ყველა ქალზე მეტად უარესი.

-კარგი ახლა მთავარია ბარსელონას ფორმას არ ჰგავდეს!

-დაგჭრი!

-კარგი უნდა აღიარო, რომ სულ ყველაზე მაგარი რომც იყოს ფორმაში უგემოვნობის ზენიტში არიან.

-ხო აბა რეალია დახვეწილი.

-რუსთავის მეტალურგი!. გეაცინა ნიკას ბელთაურის რეაქციაზე.

–სად ხარ მართლა?

–მომისმინე, დემეტრეს უნდა დაელაპარაკო.. დაარიგე რა თან ისე უთხარი მე არ გამრიო არაფერში სასხვათაშორისოდ ილაპარაკე რაა... ნიკა ყველაფერს მოუყვა ყოფილ მეკარეს.

–მოიცა ახლა 14 წლის ღლაპს უსატკავებ? ბელთაური ხარხარებდა.

–ვიცოდი შენთვის მეორე ნაწილი, რომ უფრო საინტერესო იქნებოდა. გაიგონე რაც გითხარი რა ძმურად. ნუ იღრიჯები!

–აი უბრალოდ რა, 34 წელია გიცნობ და ვერ გაგიცანი მგონი, ყველა მნიშვნელოვანი შეხვედრა ახლა იმიტომ გადადე, რომ 14 წლის ბავშვის სახლთან იდგე? ამ იტალიელებზე იმდენი იწვალე და ახლა ..ჯანდაბა..ჰაჰჰჰ..

–იცოდე დაგჭრი უაზრო სიცილისთვის თუ გაგეცინება.!

–ბრავო! აი საღოლ რა! მართლა ყოჩაღ! თამაზი თავს ვერ იკავებდა და რეალური ემოცია ცოტა იუმორში გაუშვა სხვანაირად საშინლად შერცხვებოდა.

–ხელები არ გეტკინოს შენ ტაშის რტყმით, გირჩევნია რაც გითხარი გააკეთო და ნათლულს მიხედო.

-აი მართლა ვჩუმდები! ფორვარდი ხარ ჭეშმარიტი.

-ნეტა ეგ რა შუაში იყო ის დამადგენინა ახლა!

-ბლა ბლა ბლა.....ფორმას ვარჩევ მე!

-თუ არ მომეწონა შევაცვლევინებ, ამიტომ ძალიან ნუ იბარსელონებ!

-შენ 13 -14 წლის ბავშვებს მიხედე კაცების საქმეში ნუ ერევი რა!.. ნიკას ისე გულიანად გაეცინა..ბელთაური გაუჯავრდა.

-იუმორში შენ ძაან! უკვე ყიფიანი დაინახა და სწრაფად დაემშვიდობა ბელთაურს. გზაზე გადმოდიოდა, არ იცოდა რა გაეკეთებინა.. ეს ბევრად ერჩივნა რაიმე გეგმის არსებობას, ამ დროს რაღაცას ყოველთვის იფიქრებდა..მანქანა დაქოქა..გაზს რბილად და ძლიერად დააჭირა....მხოლოდ მაშინ გააჩერა მანქანა, როცა ძირს დავარდნილი ლევან ყიფიანი დაინახა.

-როგორ ხარ? მოჩვენებითად დაფეთებული მივარდა...

-ნორმალურად ატარე რა ძმაო! გაისმა გაღიზიანებული ხმა.

-აუ ბოდიში რა ტელეფონზე ვლაპარაკობდი ვერ შეგამჩნიე, ახლა კარგად ხარ?

-ხო და შენნაირებს რომ ყავთ მანქანები იმიტომ ვართ კარგად!

-წამოდი საავადმყოფოში წავიდეთ! ნიკა არ ეშვებოდა.

-აუ საავადმყოფო არა სალონი! შემეშვი კარგად ვარ!

-მაგას იქ გავარკვევთ, წამოდი! ისე ვერ მოვისვენებ აზრი არ აქვს თუ არ დავწრმუნდი!

ლევანი მიხვდა აზრი არ ჰქონდა და გაბრაზებული სახით გაჰყვა უკან. ნიკამ ხელით ანიშნა სად უნდა დამჯდარიყო.

-ვა რა მაგარი მანქანაა! ჩაისისინა ყიფიანმა და მანქანაში დაუდევრად დადებული ორმოცდაათლარიანი ჩუმად დაკუჭა ხელში.

-ხო კარგი მანქანაა, ცოტას წვავს და თან არც მაწვალებს.

-როცა ამ მანქანას ყიდულობ მემგონი წვაზე არ უნდა იწუწუნო! მორიგი ჭკვიანური წინადადება თქვა ყიფიანმა.

-ხო შეიძლება, მაგრამ მე მაინც ჩემს აზრზე ვარ, როცა შეგიძლია რამეში რამე დაზოგო უნდა დაზოგო! ჩემი ძმის საავტორო უფლებებლით სარგებლობს ეს წინადადება.

-შენნაირები არიან დღეს რომ გრიალებენ! სიმწრით გაიმეორა ლევანმა. კრიჟანი იდიოტები! მარიაჟი ტიპები და მაგარი ჩმორიკები.! გაზის რიგში, რომ დგანან სწრაფი მანქანებით! რა იდიოტიზმია როცა მანქანას სისწრაფის გამო ყიდულობ და მერე გაზს ასხავ, უფრო სწორად ტენი.

-მოიცა მე მეუბნები? ლევანი ცოტა დაიბნა ნიკას მზერაზე, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა.

-გამიჩერე გადავალ!

-ახლა საავადმყოფოში მივალთ და მაგ თავზე ტომოგრაფიას თუ რაღაც ჯანდაბას გადაიღებ! ჩავთვლი რომ დარტყმის ბრალია ის რაც ახლა ილაპარაკე! ყიფიანმა ორმოცდაათლარიანი ჯიბეში ჩაიცურა და მშვიდად გახედა გზას, სავარძელზე ბოლომდე მიყუდებულმა.

-მართალი ხარ როცა ზოგჯერ სამყაროში არათანაბრად ნაწილდება რესურსები! მაგრამ ეს უფლებას არ გაძლევს ვიღაცებს შეურაცხყოფა მიაყენო, მინიმუმ მაშინ მაინც როცა არ იცნობ!

-შენნაირებს კარგად ვიცნობ! დაფეთებულ ტიპებს, რომ არ გიჩივლო ახლა საავადმყოფოში მიმარბენინებ. შეგიძლია მშვიდად იყო, არსად მისვლას არ ვაპირებ, მით უმეტეს ჩაშვებას.

-მე კი შენნაირებზე არ მაქვს წარმოდგენა! საერთოდ ტელეპატიის არ მჯეროდა აქამდე, მაგრამ შენ ისე ზუსტად აღმწერე რომ! ნიკას გაეცინა.

-იცინე იცინე, მეტი რა შეგიძლია...

-თუ გინდა იქიდან რომ გამოვალთ მანქანაზე შენ დაჯექი. ლევანს ნერწყვი ლამის გადაცდა..

-არ მაქვს პრავა!

-ეგ არაა პრობლემა ისეთ ადგილებზე წავიდეთ სადაც პატრული არაა!

-არ მინდა!

-კარგი, როგორც გინდა, ალბათ მამაშენი იმდენჯერ გსვავს, რომ ყელში გაქვს ამოსული. ნიკას ეტკინა თავისი ნათქვამი, მაგრამ უნდა ეთქვა!

-მე არავისი დასმა არ მჭირდება, ჩემ თავს ისედაც მივხედავ! საბედნიერპდ არსებობენ ადამიანები ვისი მდიდარი მამიკოებიც დამსვავენ!

-შენ არ გინდა, რომ შენით მიაღწიო, არავის მდიდარი მამიკოს გარეშე!

-მერე ეს ხალხი უფუნქციოთ რჩება, გაეცინა ყიფიანს, საერთოდ დაიმახსოვრე თუ ვინმე რამეს გაბედინებს უნდა გააბედინო! უნდა წაართვა თუ ამის უფლებას გაძლევს! უნიათების ადგილი ცხოვრებაში არაა! აუჰჰჰ ნიკა მიხვდა, რომ ცოტა სხვა ფენომენთან ჰქონდა საქმე, მეოცე საუკუნის შემთხვევა, საქართველოს მძიმე მენტალობა ამ საუკუნეში და ჩაჟანგებული მიდგომები!

-მართალი ხარ ხო იცი შენ! აჰყვა ყივიანს და ავერსის კლინიკასთან გააჩერა.

თავი 17

-ზღვა ღელავს? -კი, მაგრამ, არც ისე, რომ ვერ გადავცუროთ. მთელი ეს პერიოდი მისთვის ჯოჯოხეთი იყო, ან ეგონა, რომ იყო....არ მოსწონდა არაფერი რასაც ნიკა აკეთებდა ან ეგონა, რომ არ მოსწონდა, ვერაფრით უთმობდა თავს, რომ შეეყვარებინა, ვერაფრით დგავდა საკუთარ სულში ამ ნაბიჯს, მერე იცოდა, რომ ვეღარ დაიხევდა უკან..მერე იცოდა, რომ მის გარეშე ვეღარ იქნებოდა..ელენეს კი ეშინოდა იდეალურობის, მისთვის იდეალურობის..ეგონა ამის უკან აუცილებლად რაღაც იქნებოდა, აუცილებლად გაუცრუვდებოდა იმედი.... პარიზის ერთ ერთ უნივერსტეტში ჩააბარა, ისიც კი აგიჟებდა ნიკა როგორ სერიოზულად ეკიდებოდა მის სწავლას....სახლში წუწუნი დაიწყო, რომ ვერ თარგმნიდა, ინგლისურად სწავლობდა, მაგრამ ფრანგულიდანაც ჰქონდა რაღაცები.... ნიკას შეეძლო, მთელი დღის დაღლილს მისი სამეცადინო ეთარგმნა, თან ისე, რომ მთელი გუნდი ჩართული ჰყოლოდა ამ საკითხში, დრამანი სულ გააგიჟეს, ღამე აღარ ასვენებდა ნიკა, ელენე ამასაც არ იმჩნევდა მადლობას ეტყოდა და მეტი არაფერი, თითქოს მას ადანაშაულებდა სხვა ენაზე, რომ უწევდა სწავლა, ნიკა ამას გრძნობდა.....ელენე სულ გადაირეოდა სადმე რომ მიეტანა სათარგმნელად..ის სიამოვნებდა ნიკას, რომ ტანჯავდა და წიგნებთან ათენებინებდა..... -შენ მაინც არასოდეს გისწავლია! -როგორ

არ მისწავლია, გაეცინა ნიკას, უკვე საკმარისად დაგროვილი ჰქონდა ცოდნა, უკვე არ ერიდებოდა კამათს... -პროფესია არ გაქვს...! მოუჭრა ელენემ. -როგორ არ მაქვს, ნუ სტუდენტი ვარ, მალე მექნება! ელენემ გაოცება ვერ დამალა. -სად ხარ სტუდენტი? -სპორტის უნივერსტეტში, მწვრთნელთა ფაკულტეტზე. -ეგ არსებობს? თუ შენ დააარსე! -სხვათა შორის იუმორი ქალის საქმე არაა, ასე ვფიქრობ, განსაკუთრებით თუ ეს იუმორი დაცინვა უფროა.... -არ ვხუმრობ, მართლა არსებობს ეგ ფაკულტეტი? თუ მათემ ჩადო ინვესტიცია? -საქართველო ნუ გგონია ყველა ქვეყანა, იქაც კი არსებობს ისე ეგ ფაკულტეტი.. -ანუ რომ დაამთავრებ მწვრთნელი გამოხვალ? გაეცინა ელენეს. -არა რომ დავამთავრებ არა..მერე შეიძლება.. -რამეს სწავლობ? -რასაც მაძლევენ იმას!. -მოგწონს? -რომ არ მომწონდეს არ ვისწავლიდი, მაზოხიზმისგან შორს ვარ! -რატომ მეუხეშები? მოულოდნელად ჰკითხა ელენემ. -იმიტომ, რომ იგივეს აკეთებ, მე კი არ მინდა რამე დაუბრუნებელი დამრჩეს! ასეთ საუბრები ხშირი იყო..მერე ეს საუბრებიც გაქრა, იმ დღდან როცა დედამის გული გადაუშალა ელენემ... ნიკა სულ თავშეკავებული იყო.... იმ დღესაც თამაშის ყურების შემდეგ უხმოდ გავიდა საძინებელში...ელენეს ეს გულგრილობა საშინლად აგიჟებდა. ვერ ხვდებოდა ასე გამეტებით რატომ წყდებოდა გული ნიკას ოთახიდან გასვლაზე. მენაბდე კი ურეაქციოდ იყო საოცრად გულგრილი და ჩვეულებრივი.ელენე ადგილს ვერ პოულობდა სადაც თავს მშვიდად იგრძნობდა, ოთახიდან ოთახში გადიოდა. ბოლოს დაასკვნა, რომ „ მიუხედავად სიუხეშისა ძალიან კეთილი ვარ და ვერ ვეგუები ასე რომ არის“ ამიტომ მტკიცედ შევიდა მის ოთახში, ნიკა ტანზე იცვლიდა, მოკლე სპორტული შარვალი ეცვა და წარწერებიანი მაისური „Be the change you want to see in the world”. –განდის ეს სიტყვები ძალიან მიყვარს, გაიღმა ელენემ სასაუბრო თემა, რომ იპოვა. –არ ვიცოდი განდის თუ იყო, ჩაიბურტყუნა მენაბდემ. –მე მიყვარს ცნობილი ადამიანების გამონათ.. –ყველა სრულყოფილი ვერ იქნება. ელენეს ეგონა ნიკამ სახეში მთელი ძალით გაარტყა არადა არც შეუხედავს ისე ისუფთავებდა სპორტულ ფეხსაცმელებს. –საწყენად არ მითქვამს. –არ მწყენია. გაუღიმა ნიკამ და კიდევ უფრო გაოცებული სახით დატოვა ელენე ოთახში. ვერაფერი გაეგო, ვერ ხვდებოდა როგორ შეეძლო ემოციების ასეთ დონეზე კონტროლი. წამებში ასეთ ცვლილება. ბოლოს გადაწყვიტა, რომ მეორე დღეს უნივერსტეტში ლექტორს დაელაპარაკებოდა თავის მდგომარეობაზე იქნებ რამე ერჩია. აქამდე ეგონა, რომ ფსიქოლოგიაში რამე გაეგებოდა, მისი ქმარი კი არაფერს ემორჩლებოდა. საშინლად მოუნდა მისი მაისურების ნახვა. აქამდე არასოდეს ენახა წარწერა მის ტანზე. ვერ იტანდა მენაბდე ასეთ რაღაცებს და ვერც რაიმე ბრენდის ლოგოს თუ ეს სპორტულ ტანსაცმელს არ ეხებოდა და რეკლამიდან და გუნდის ინტერესებიდან არ გამოდიოდა. ნიკას გარდერობის ოთახში, რომ შევიდა ისეთი სასიამოვნო სუნი იგრძნო ჩაეღმა. ყველაფერი ისეთ ზუსტად და სუფთად იყო ჩამოკიდებუყლი. აკურატულად ეკიდა უამრავი გამზადებული მაისური, რომლებზეც ერთ წარწერაც არ იყო. შემდეგ დაბლა დაიხედა თაროზე და დაინახა იგივე წარწერებიანი რამდენიმე ფერის მაისური, რომელსაც ავტორი ოდნავ პატარა შრიფტით ეწერა. მიხვდა, რომ მენამდემ მხოლოდ იმიტომ იცრუა ავტორის არ ცოდნაზე, რომ ელენესთვის დაენახვებინა, რომ ცოდნა ყოველთვის არ არის „მართალი“ რომ ცოდნის გამოყენებასაც ცოდნა სჭირდება და მისით ამპარტავნება ისე ამცირებს ადაიანს, როგორ დამცირებასაც ალბათ ვერც ერთი უწიგნური ვერ „დაიმსახურებს“ Excellence is not a singular act but a habit, you are what you are repeatedly do” წარწერას შაკილ ონილის ავტოგრაფი ჰქონდა. ელენე მიხვდა, რომ ნაჩუქარი იყო, სხვანაირად გამორიცხული იყო ნიკას ვინმეს ავტოგრაფი წამოეღო თუ ბაბუამის ნიკოლოზ

მენაბდეს არ წამოაყენებდნენ საფლავიდან. მერე გაახსენდა, რომ ნიკას მკვდრის წარმოდგენაზეც გული მისდიოდა, არათუ მისი ავტოგრაფით წამოეღო მაისური სახლში. სიცილი ხმამაღლა აუვარდა, მთელი გულით ეცინებოდა, ბოლოს შერცხვა ქმრის მოსახელე ბაბუასთან და მხოლოდ ღიმილს დასჯერდა. ყველაფერი ისევ ისე დადო, ქმრისთვის უკვე შეემჩნია, რომ აგენტივით ყველა გადაადგილებულ ჭიქას, მაისურს, დატოვებულ ღია კარების გრადუსს გამეტებით იმახსოვრებდა ამიტომ „უფრო ჭკვიან ელენეს“ არ უნდოდა ნიკას გაეგო მისი იქ შესვლის ამბავი. თავადაც არ იცოდა რატომ მიუჯდა ასე მონდომებით კომპიუტერს გადაწყვეტილი გადაწყვეტილებით მის შესახებ ბევრი გაეგო, სოციალურ ქსელში უამრავი მისი პროფილი ამოუგდო მიხვდა არც ერთ იქნებოდა ნამდვილი გულშემატკივრების გაკეთებულს ჰგავდა, სულ ამაზე ილანძღებოდა ცოტნეც სახლში. მერე youtube-ზე ჩაწერა, ყველაფერი ამოუგდო..მაშინ ეგონა ვერ მოასწრებდა ამ ყველაფრის ნახვას, დღის ბოლოს უკვე ყველაფერი ნანახი ჰქონდა...გოლები..ემოცია..ეგონა არ იცნობდა სტადიონზე სულ სხვა ნიკას ხედავდა....ისეთს რომ არ გაიქცეს, ემოცია რომ არ გამოხატოს, გუნდელებმა "ზედახორა" რომ არ გააკეთონ გოლის შემდეგ გული, რომ შეიძლება გაუსკდეს..ასეთი ემოციური არავინ უნახავს, ცოტნეც არ იყო..ნიკას კი ღრიალისგან, სიგიჟისგან და ბედნიერებისგან სახე სულ შეცვლილი ჰქონდა..ყველა კბილი უჩანდა ხელები ჰაერში ჰქონდა და მთელი ტანით ჰაერში იყო... „ამას ყველაზე მეტად ეს უყვარს“ საწყლად ჩაილაპარაკა ელენემ. დიდხანს ელოდებოდა, ვერ ისვენებდა. ვერც მეცადინეობდა. ბოლოს ტელევიზორი ჩართო და ქმრის დანახვაზე ორივე თვალით მიეწება „ფერად ყუთს“ ნიკას ინტერვიუ იყო, ელენე გაწითლდა ჟურნალისტი ქალის დანახვაზე და მათ მხიარულ ინტერვიუზე, ამას ემატებოდა ის რომ ფრანგული არ ესმოდა და სულ გადაირია. „ეს მახინჯი, რამხელაზე აქვს პირი დაღებული რომ იცინის, ეს ვაჟბატონი დაღლილი და ნატანჯი ჩანდა აქ, ვარჯიშიდან მოსული და მშვენიერ ხასიათზეა“ ელენეს ფიქრები აუფეთქდა, ნიკას მზერაზე ამ ქალს, როგორც უყურებდა სულ დაავიწყდა ყველაფერი. ენის უცოდინრობა სულ აგიჟებდა, ბოლოს ჟურნალისტის კარებში ჩადგომამ და ნიკას ბურთთან მისვლამ შეგრძნებები სულ აურია. „ არა რა მეტიჩარაა, რას ჩადგა კარებში, ამას თუ ვეღარ გაუტანა. ხომ იცის რომ მოინდომოს ბურთიანა მიაკრავს ბადეს, ეს მოკლე შორტი არსად დაკარგოს, ვის გაუგია მოედანზე მაღალი ქუსლები და დეკოლტე“ ელენე ტელევიზორს მთელი მონდომებით ეჩხუბებოდა. ნიკას რბილად დარტყმულზე და ბურთის ხელებში მისვლაზე სულ გადაირია. „უნდა მიეტყლიჭა ძელზე იმ უაზრო მაკიაჟიანა, გაშპაკლული, რომ აქვს მთელი სახე და როგორ იღიმის, შეხედე, ვერც ინძრევა, რას გაინძრევა 20 მეტრიან ქუსლებზე. ეს დეგენერატი კი, როგორ თავაზიანად ურტყავს ბურთს, ესაა მაღალი დონის ფეხბურთი? ვერ გაუქანა სახეში მთელი ძალით, მაგრამ ბურთს მერე ამის წითელ პომადას ვინ მოაცლიდა“ ელენემ ვერც კი შენიშნა მაცივრიდან გამოღებული ლუდი, რომ ბოლომდე დაცალა და უკვე ვაშკაცურ ჩხუბზე რომ გადავიდა კამათიდან. ნიკა რამდენიმე საათში მოვიდა. ელენე ბოთლით ხელში დახვდა. –როგორ ხარ? გულგრილად მოიკითხა და აბაზანისკენ წავიდა. –აღტკინებული. ნიკა ყველაფერს მოელოდა ამ „აღტკინებულის“ გარდა. – მიხარია. –რატომ არ გაგიხარდება მშვენიერი ინტერვიუ გამოგივიდა დარტყმაზე აღარ ვამბობ. – უკვე გავიდა? გულგრილად იკითხა და ხელების დაბანა დაიწყო. – გადაცემა კი, გოლი ვერა. –არ მინახავს, ჩაიბურტყუნა ნიკამ. –ხვალე ფრანგულის მასწავლებელი უნდა მოვიდეს, არა დღესვე, ესე მეგრელებივით ხართ, მე არაფერი მესმის რას ლაპარაკობთ. ბოთლი სასაცილოდ აწია ელენემ. –დაურეკე მერე და უთხარი. ღიმილი ვერ შეიკავა ნიკამ და სახეზე წყალი შეისხა. –

იმდენი მაკიაჟი ჰქონდა ისე იყო გაშპაკლული, რომ ალბათ დღეს მთელი დღე ვერ მოიშორებ. –იმას, რომ მაკიაჟი ესვა მე რა? პირსახოცს დასწვდა მენაბდე. –შენ არაფერი ხომ? ისიც არაფერი ბურთი ხელებში რომ მიუვიდა, ისე რბილად და ნაზად დაურტყი, რა მაგარია არა როგორ აგიღო, ბრავო!!!! ბელთაურს ჩაანაცვლებდა ქალი, რომ არ იყოს. –რა გინდა ელენე, აბა როგორ დამერტყა? –მთელი ძალით. საჩვენებელი თითი შემართა და ომახიანად დაიძახა ლორთქიფანიძემ. –კარგად ხუმრობ. გაუღიმა ნიკამ და აბაზანიდან გამოვიდა. –სულ არ ვხუმრობ, გაიცინა ელენემ, მართლა ვამბობ გეფიცები, იცი როგორ გამიხარდებოდა, აი მაგრად. –კარგი ახლა ელენე ვერც გაინძრეოდა. –რას გაინძრეოდა „ციდან სამ მეტრზე“ ქუსლებით იდგა. შენ კი ნამდვილი გმირი ისე ჰაეროვნად დაურტყი. პირდაპირ ხელებში, როგორი ამაყი იყო, დაინახე თვალს არ გაშორებდა! –რომ სვავ იცი, რომ ლუდის სუნში ვერ ვიძინებ? ნიკა ელენეს ეჭვიანობას გადაახტა. –სულაც არ მეძინება მე, ხელები კისერზე შემოხვია ელენემ. დიდ ხანს იდგნენ ასე გაუნძრევლად, ნიკა არაფერს აკეთებდა, ელენესაც არ აძლევდა სიამაყე თუნდაც მთვრალი უფლებას რამე გაეკეთებინა. იმის გააზრება, რომ ნიკა უარს ეტყოდა ყველაფრის ძალას აძლევდა. ხელები ჩამოწია, ბოთლი მაგიდაზე დადო და ხელისგულები თეძებზე ნერვიულად ჩამოისვა. –მე დავიძინებ სხვა ოთახში თუ შენ ლუდის სუნში ვერ იძინებ. ეგონა ზარებივით უნდა ყოფილიყო ეს წინადადება ნიკასთის, ეგონა ამ წინადადებას მთელი გადატრიალება უნდა მოეხდინა ქმრის სახეზე, მაგრამ არაფერიი. საერთოდ არაფერი. –თუ შენთვის არ იქნება არაკომფორტული ელენე შეგიძლია სხვა ოთახში დაიძინო. ეგღა აკლდა ელენეს იქ თავი დაემცირებინა და ეგრძნობინებინა რომ ეწყინა. –ძალიან კარგი მეტისმეტად კარგ ხასიათზე ვარ ძილისთვის გაიცინა ელენემ და სამზარეულოში გავიდა. ნიკა ურეაქციო სახით შევიდა ოთახში და მალევე ჩაეძინა. საშინელმა შეგრძნებამ გამოაღვიძა ხმაურის, რომელიც ხმაურსაც კი ახშობს, ყველაფერს მოიცავს და შეგრძნებებს რევს, მუსიკის ხმა, რომელიც არ უნდოდა რომ დაეჯერებინა ის იყო, მაგრამ უკვე ნათლად არჩევდა ნაცნობ მელოდიას და გემოვნება ატკივდა. ატკიებული გემოვნება უკვე გულს აჭამდა, სასტუმრო ოთახში ბოლო ხმაზე აწეულ ცენტრთან ერთად ჩართული ტელევიზორი, ლუდით ხელში წამოწოლილი ელენე, ფეხებს, რომ სასაცილოდ ათამაშებს და კომენტატორის განწირული ხმა. –ელენე! მშვიდად დაუძახა, ელენეს უნდოდა გაეღიმა თავისას, რომ მიაღწია და გაამოიყვანა, მაგრამ ვითომ ვერ გაიგონა. ნიკა ოთახში შევიდა და ცენტრი თვალების ფშვნეტით გამოაძრო კაბელით. ტელევიზორის ხმასაც დაუწია. –ნიკაააა, რამე მოხდა? რატომ გამომირთე? –სურამელაშვილის შემოქმედებას პარიზის ამ კორპუსის მოსახლეობა ჯერ არ იცნობს და არ გინდა საიდუმლოდ დავტოვოთ?! სასაცილოდ იფშვნეტდა ნიკა ნამძინარევ თვალებს. ელენეს გაეცინა. იცოდა სხვა სიმღერაზე უფრო ძნელად გამოიყვანდა ქმარს ოთახიდან. –კარგი საიდუმლოდ დავტოვებ, ისე მე კი ვგიჟდები ისე მომწონს. ელენეს უნდოდა ბოლომდე გაემწარებინა. –მეც მაგრად მომწონს, ყველა სიმღერა ზეპირად ვიცი მთვრალი მათეს დამსახურებით. –როგორი დახვეწილია არა? ნიკას ის ამშვიდებდა, რომ მიხვდა ელენე მას აბრაზებდა, სხვანაირად ერთ-ერთ არჩევნად თავით გადახტომას ხედავდა. –ძალიან. საერთოდ რაც კარგი გვაქვს უნდა კარგად შევინახოთ და არაა საჭირო საფრანგეთში გაიგონ ამ განძის არსებობის შესახებ, შეიძლება წაგვართვან. ელენეს საოცრად ახალისებდა ნიკას იუმორის გრძნობა. მიხვედრილობა და სიმშვიდე. –მადლობა, ეგ ვერ გავითვალისწინე..სხვა დროს გავუფრთხილდები. –არაფერს, რამე ხომ არ გჭირდება? მე ისე მეძინება მხოლოდ ამ ხარისხის მუსიკას შეეძლო ჩემი და ჩემი ბალიშის დაშორება. –მაღვიძარად დაგიყენებ. ნიკას გაეცინა. –

დილისთვის ზედმეტი შოკი იქნება. ელენე გაწითლდა მოულოდნელად, არც ბრაზისგან არც ნერვების მოშლისგან, რაღაც უფრო სხვა რამ იყო. –ბოდიში რა. ვიცი ასე არ უნდა მოვქცეულიყავი, შენ მართლა გეძინა და ასე ქაჯივით გაგაღვიძე. უბრალოდ ვერ ვხვდები რაღაც მოხდა, ძალიან შეიცვალე ეს ორი დღეა. მგონია, რომ გაწყენინე. თან არაფერს მეუბნები, ვეღარ ვგებულობ რა გავაკეთ, რომ გავიგო რა მოხდა. ნიკა საწოლზე ჩამოჯდა, კისერზე ხელი მოისვა და ღმილით დაიწყო. –ვფიქრობ. –რას? –როგორ შეიძლება გული არ გატკინო და ისე დაგშორდე. ნიკას სახე ისეთი მშვიდი იყო ყურებს არ უჯერებდა ელენე. –რატომ ამბობ ამას? –ამას მე არ ვამბობ, ელენე, არის რაღაცები რასაც ვერ ვიტან, თან განსაკუთრებით მაჟრიალებს, ესეთ არის სხვისი ლაპარაკის მოსმენა, ცხოვრებაში არ გავაკეთებ ამას, ამაზრზენია, მაგრამ ამ ორი დღის წინ მომიწია რა, სახლში ისეთ დროს მოვედი შენ ოთხაში ლაპარაკობდი დედასთან და გავიგონე ყველაფერი. მაპატიე ესე არ მინდოდა, მაგრამ გამოვიდა. ელენე აილეწა, მთლიანად დაიწყო ნაკვთებმა მოძრაობა, გულის ხმა ესმოდა და სხეული აეწვა. –რა? რა გაიგონე? –ყველაფერი, ჩაიღიმა ნიკამ. –რა ყველაფერი ნიკა დედაჩემს დღეში ათჯერ ველაპარაკები რომელი ლაპარაკი გაიგონე? –უნდა დავაკონკრეტო? ანუ იმდენი ინფორმაცია გაქვს მიწოდებული რომ.. რა მნიშვნელობა აქვს ელენე, მთავარი ისაა, რომ შენ ჩემთან არ ხარ კარგად და მე ამის მერე კარგად ვეღარ ვიქნები. –ერთხელ ველაპარაკე ისეთ რაღაცებზე რაც არ ვიცი რა დამემართა, რამ მალაპარაკა დაშენ თუ ის გაიგონე ნიკა, გეხვეწები მითხარი. –აზრი არ აქვს დაისვენე ახლ,ა ხვალე უნივერსტეტში მიდიხარ, მეც ვარჯიში მაქვს. ამ საკითხს კი მოვაგვარებთ, სხვა დროს. –რა სხვა დროს ნიკა, გამაგებინე გთხოვ. –ელე, მისმინე, ვწუხვარ თუ ასე გამოვიდა და ვერაფრით შემიყვარე,ბოდიში თუ მაშინ ზედმეტად დარწმუნებული ვიყავი ჩემს თავში, მართლა მეგონა შემიყვარებდი...ბოდიში თუ სულ სხვანაირ ადამიანზე ოცნებობდი შენს გვერდით... ძალიან ვწუხვარ თუ ასე იტანჯებოდი,ეს შეგეძლო პირდაპირ გეთქვა, მაგრამ კარგია, რომ გავიგე და თვალთმაქცობა არ მოგიწევს, არც იძულებით ჩემთან ყოფნა, ცხოვრებაში ეს არავისთვის დამიძალებია, ძალიან შემრცხვა დედაშენთან, როცა ამას ეუბნებოდი, ელენემ თითქოს სისხლის გაჟონვა იგრძნო ტვინში.... განქორწინებაც არ არის პრობლემა, მაგრამ მწყდება გული რომ ესეთ პატარა ხარ და ამხელა იმედგაცრუება ნახე. მაგრამ მე არ შემიძლია იმის სიყვარული ვისაც არ ვუყვარვარ, სულ რომ მოვკვდე შენ ამას ჩემგან ვეღარ იგრძნობ..... –ნიკა რა განქორწინება, მამაჩემი გადაირევა სულ 3 თვეა რაც დავქორწინდით, ესე ვერ ვეტყვი, ცოტა ხანი მაინც გავიდეს. –კარგი ელენე როცა გინდა, როგორც გინდა, რანაირადაც გინდა, განქორწინებას მაშინ მოვაწერ ხელს, როცა წინ დამიდებ. შენ არც იმაზე ინერვიულო, რომ ოჯახი დაეჭვდება, თუ გინდა 5 წლის შემდეგ გამეყარე. –5 წლის მერე? ენა ჩაუვარდა ელენეს. –ხო, 5 წლის ან 10 თუ გინდა, უბრალოდ ჩვენ გვეცოდინება, რომ ცოლ–ქმარი აღარ ვართ. არც რამეში შევბოჭავთ ერთმანეთს, მე ისედაც არ ვარ ეჭვიანი და ახლა საერთოდ, შენ თავისუფალი ხარ და შენი ქცევა შენი სინდისი იქნება, არც ჩემზე მოგიწევს ფიქრი და არც ჩემს ღირსებაზე.... ელენეს გული ერეოდა უკვე ნერვიულობისგან. –და შენ? შენც ესე უნდა იყო? თავისუფალი? ვერაფრით აბავდა თავს ეთქვა ნორმალური წინადადება. –ვერ გავიგე ელენე? –ანუ მე მაგალითად შემიძლია ნებისმიერ კაცთან ვიყო? სული ჩამოეკაწრა ამ სიტყვების თქმაზე, იმდენად ამაზრზენად ეჩვენა, მაგრამ ვერაფრით კითხა ის რაც აინტერესებდა. –ხო შენ შენი სინდისი გაქვს, თუ სხვა არაფერი არ გაბრკოლებს მაგ საკითხში მე საერთოდ არაფერში ჩავერევი. ცოტაც და გული გაუსკდებოდა ელენეს. –ანუ მეც ვერ ჩავერევი? მე რომ....მოიცადე შენ თავისუფალი კაცივით უნდა იცხოვრო? ელენემ ერთმანეთს

მიაყარა ის რაც ყველაზე მეტად აინტერესებდა და რის გამოც დასვა ის ამაზრზენი კითხვაც. ნიკაც მიუხვდა, მაგრამ არაფერი შეუჩნევია. ელენესთის წარმოუდგენელი იყო ნიკა ვინმე სხვას შეხებოდა, იცოდა შეიძლებოდა... –ამაზრზენია გენდერული ბალანსი, მაგრამ ჩვენთან ასეა, ამიტომ რისი უფლება შენც გაქვს იმისი მაქვს მეც. საკუთარი სიტყვების ამ კონტესქტში გაგონებამ სულ გამოაცალა ძალა. –რაღაც არ ვარ კარგად ნიკა, ელენე ყელზე ხელს იდებდა და ფერები გადადიოდა. გრძნობდა ცოტაც და გონებას დაკარგავდა..ნიკამ აბაზანაში გაიყვანა ხელში აყვანილი, წყალმა ცოტა უშველა....არაფრით უშვებდა ელენე ხელს, თითქოს ფეხზე ვერ იდგა და ამის გამო ებღაუჭებოდა მკლავზე ქმარს.... ნიკამ ხელში აიყვანა და სარეცხის მანქანაზე დასვა, სველი პირსახოცით წმენდდა სახეს.... –ასე არ მინდა...ბუტბუტებდა ელენე. ეს რას ჰგავს, რა საქციელია, რა ოჯახია, ეს რა არის, ასე არ შემიძლია. ამას ვერ შევეგუები, არ მინდა, არ მესმის... –მითხარი რა გინდა ელენე? მითხარი და ხომ გითხარი ისე მოვიქცეთ. მე მგონია, რომ შენთვის როგორც უკეთესია ისე ვიქცევი. –ეს ხომ სიყალბეა, არ მინდა...ტიროდა გულამომჯდარი. –ელენე შემომხედე, რა გინდა? მითხარი რა გინდა, ეს გავიგე რომ არ გინდა! –სანამ შენი ცოლი ვიქნები, ფორმალურად, ნერწყვი ძლივს გადაყლაპა. არ მიღალატო! ჩემს ღალატზე იცი, რომ ლაპარაკიც ზედმეტია, არ მინდა რა ესე ცხოვრება! თუნდაც ფორმალურად, რომ ვიყოთ ერთად მაინც უნდა მიერთგულო! ისეთი მტკიცე იყო ელენე აღარ ჰგავდა იმ ფერწასულ სუსტ არსებას. ნიკამ თავი დახარა და ღრმად ჩაისუნთქა. შენ ჩემით სარგებლობ, იცი, რომ არ გიღალატებ, უბრალოდ იცი, რომ ესეთ რაღაც არ შემიძლია და ვითომ მაძლევ უფლებას, ამით კი მხოლოდ საკუთარ თავს უთავისუფლებ გზას, მე კი ეს არ მინდა. არ მინდა ჩემი ქმარი, თანაც ყველა გიცნობს, ყველამ იჭორავოს რომ მღალატობს! ამ ბოლო მოფიქრებამ სიამაყით აავსო ელენე. დამპირდი!. ნიკა მძიმედ სუნთქავდა... –არ შემიძლია, იმას ვერ დაგპირდები რასაც ვერ შევასრულებ! –რას ნიშნავს ვერ შეასრულებ? გინდა ყველამ ჩემზე იჭორავოს. –გეფიცები, რომ ამას საერთოდ ვერავინ გაიგებს დედამიწის ზურგზე, ამაზე არ იღელვო. –ნიკა, გავაფრენ, ცუდად ვარ, ტიროდა ელენე, ჩემი სიამაყის ასე გათელვის უფლებას არ მოგცემ. სენ ხომ სხვა რამეს დამპირდი ქორწილის დღეს, ახლა რატომ ვერ დამპირდები, ნუთ ასეე ძნელია? –ელენე მე შენ შეიძება თუ მოინდომო 10 წელი არ გაგშორდე და ათი წელი ერთგულება...ბოდიში ვერ წარმომიდგენია. –უნამუსო ხარ, ყველანი ერთნაირები ხართ, გახრწნილები, ერთ ქალი არვგაკმაყოფილებთ. –რომელი ერთი ქალი ელენე? შენ ოდნავ მაინც გგონია, რომ იმ სიტყვების შემდეგ შენთან მოკარებას შევძლებ?! სამყარო დატრიალდა, დედამიწას ღერძი გამოეცალა და ახლა გულს ვერ გადაეწყვიტა ისევ გამეტებით განეგრძო ცემა თუ გაჩერებულიყო. არც ერთ კაცს შეეძლო ასე მშვიდად მიეყენებინა ასეთ ტკივილი, შეუძლებლობის მარწუხებს შემსკდარი მიხვდა, რომ ქმრისგან პატიება წარმოუდგენლობის კატეგორიაში გადიოდა. მხოლოდ ახლა მიხვდა მისი სიმშვიდის მიღმა, როგორი დაუნდობელი და უპატიებელი მშვიდი ხასიათი იმალებოდა. მიხვდა და სული გაუმწარდა. სწრაფად ჩამოხტა და ოთახში გაიქცა... ..... „ცხოვრება არ აპირებს ჩენგან სრულყოფილ არსებათა შექმნას, ვინც სრულყოფილია მისი ადგილი მუზეუმშია.“ რემარკი. ნიკამ ანასტასია სახლში მიიყვანა და მამამისის იქ დანახვა ცოტა გაუკვირდა... თუმცა სულ იცოდა, რომ უკვე 70 ათ წლამდე მყოფი დემეტრე მამის როლს ასრულებდა მის ოჯახში, ყველაფერს აკეთებდა, რომ დემეტრეს არ ეგრძნო უმამობა...რაც შეეძლო და რაც არ შეეძლო ყველაფერს აკეთებდა, ამას სულ გრძნობდა ნიკა და სულ უხერხულად იყო ამის გამო... დემეტრეს არეული მდგომარეობა სკოლაში და გაჩენილი პრობლემები ბაბუამისისთვის პირველ

პრობლემად იქცა.. ნიკა გრძნობდა, რომ უნდა წასულიყო, მაგრამ ფეხს ვერ ადგავდა, ახლა ყველაზე მეტად ის დრო ეძვირფასებოდა რასაც ელენესთან ერთად ერთ ოთახში სუნთქვის დროს ატარებდა..ბაბუა შვილიშვილებთან ერთად იჯდა და უამრავ რამეს უყვებოდა, ანასტასია სულ კითხვებს უსვავდა, თან ძალიან სასაცილოდ. ყველაფერზე „ბაბუკოს“ აყოლებდა, თავისი ძმა სულ ამაზე დაცინოდა, მაგრამ ვერაფრით გადააჩვია, ნიკა სამზარეულოში ელენეს ეხმარებოდა და რაღაცებს ელაპარაკებოდა, ზოგადად ყველაფერზე და არაფერს კონკრეტულს, უბრალოდ მხოლოდ იმ დროს გრძნობდა მასთან რომ იყო შინაარსი კი არ აინტერესებდა. დემეტრე ნაღვლიანად აპარებდა თვალს მამისკენ, რომლისთვისაც უკვე საკმაოდ დიდი ხანი იყო დემეტრე არაფერს ნიშნავდა.... -ნიკა დემეტრეს სხვა სკოლაში გადაყვანა მინდა! მშვიდად დაიწყო ელენემ. ნიკას სხეული დაეჭიმა. -არა ელენე გამორიცხულია! -იქ უკვე ვეღარ გავაჩერებ, იმ დღესაც იჩხუბა, თვალი ჰქონდა ჩალურჯებული... -მერე რა....თუ იჩხუბა ესეიგი რაღაცაში დაჭირდა..ახლა სხვა სკოლაში გადაყვანა საერთოდ გამორიცხე. -რა მერე რა ნიკა, კარგი ახლა.. -ელენე, შენ ფსიქოლოგი ხარ! ვინმე რომ მოსულიყო მსგავსი პრობლემით რას ეტყოდი? გინდა გითხრა რას..იმას, რომ არ შეიძლება შვილებს ასწავლოთ როგორ გაექცეს პრობლემებს! მათ უნდა ასწავლოთ როგორ მოაგვარონ ისინი, ან გვერდით უნდა დაუდგეთ ამ პრობლემის მოგვარებისას! -ნიკა ხომ მაგრამ დემეტრე ძალიან მეცოდება, ბევრგან იბრძვის, თითქმის ყველგან და ამან სულ გაუფუჭა ხასიათი, შენ აქ არ ცხოვრობ, შენ არ უყურებ....გუშინ ტასო შეშინებული შემოვარდა ღამე ოთახში დემეტრე ძილში ყვიროდა, სულ ბორგავს და ვერ ისვენებს, როცა ღვიძავს მოწყენილი და დაფიქრებულია...ანასტასია ძლივს დავამშვიდე, იქით ვეღარ იძინებს....ვიცი სხვას რასაც ვეტყოდი, ვიცი თუნდაც ამ ათ წლის პრობლემას სხვას როგორ მოვაგვარებინებდი, მაგრამ საკუთარ თავზე ძნელია, ძნელია მოექცე მკაცრად შვილს, რომელსაც ყველა და ყველაფერი მკაცრად ექცევა, მისი ცხოვრების საყრდენს ეს წლები უნდა შეადგენდეს ნიკა, ამ წლებს უნდა შეაფაროს თავი, როცა ცხოვრებაში გაუჭირდება, ბავშვობა უნდა ჰქონდეს ძლიერი, რომ მერე თვითონაც ძლიერი იყოს, თუ ეს წლები არ ექნება ბედნიერი, მერე ვეღარ დაეყრდნობა პრობლემებისდროს. დემეტრეს კი არ აქვს ბედნიერი, არ არის ბედნიერი...კარგად არ არის, უკვე უამრავ წამლებს ვასმევ, ძალიან ნერვიულობს, გეხვეწები შენ მაინც დაელაპარაკე, ეგ მაინც არ ჰქონდეს სადარდებელი..... -ვიცი რომ არაა ბედნიერი, ნიკა ცოტა ხანს გაჩუმებული იყო ხმას რომ არ ეღალატა. ვიცი მაგრამ გამოსავალი არაა ჩემი დალაპარაკება, მით უმეტეს სკოლიდან გადასვლა. მირჩევნია ვერ დაეყრდნოს ამ წლებს მომავალში ვიდრე ახლა ვასწავლო, როგორ უნდა გაიქცეს, იქ უნდა დაალაგოს თავის სიტოაციაში ელენე, თავის ასაკში, დემეტრე არაა ისეთ სუსტი რომ ეს ვერ შეძლოს.. -ყველაზე ჯიუტი ხარ დედამიწის ზურგზე! -ყველაფერი კარგად იქნება, გაუღიმა ნიკამ..სურფა ერთად გაშალეს, ყველა ჩუმად იჯდა, მხოლოდ ტასო ლაპარაკობდა.....უკვე დიდი ხანი იყო რაც რაღაცის თქმა უნდოდა, იქიდან მოყოლებული, როცა მამამისის და სანდროს ლაპარაკი გაიგონა, იქიდან მოყოლებული სულ ტანჯავს ეს შეგრძნება, რომ რაღაცას ვერ მიუხვდა.. დაიწყებდა თქმას და გაჩერდებოდა, ბოლოს ვეღარ მოითმინა.. -შეიძლება გელაპარაკო? უფროსმა დემეტრემაც, ელენემაც და ტასომაც ნიკას შეხედეს, მას კი არ ჰქონია რეაქცია, თითქოს არაფერი გაეგონა, არაფერს ხედავდა. -მამა! ეგონა ყველაზე რთული სიტყვა წარმოსთქვა, შეიძლება გელაპარაკო? ანასტასია გაოცებული იყურებოდა.. -მამიკო დემეტრე გეძახის ვერ გაიგონე? ჩამქრალი თვალებით უყურებდა დემეტრე, ელენეც კი ვერ უძლებდა შვილის ასეთ მდგომარეობას, ურეაქციო იყო მენაბდი სახე....არაფერი, საერთოდ

არაფერი, თითქოს მართლა ვერ გრძნობდა ვერაფერს. -რა ტასო? არ ვიცი მე არაფერი გამოგონია. -მამა გთხოვ დამელაპარაკე, ბოდიში თუ გაწყენინე....ხმა ჩაუწყდა..გაუჭირდა, მაგრამ მაინც უთხრა, მიხვდა რომ აზრი არ ჰქონდა. არც თხოვნას შეეძლო ზეგავლენის მოხდენა, არც ბოდიშს, ნიკამ წყალი მოსვა და ურეაქციოდ გააგრძელა ყოფნა. იმ მომენტში ყველაზე მძიმედ გრძნობდა თავს დემეტრე, არარაობად, რომელსაც ოჯახის თვალწინ არ იმჩნევსს მამამისი, მარტივად არ იმჩნევს, თითქოს არ არსებობს, თითქოს ჰაერი იყოს.. ელენემ იცოდა გამორიცხული იყო ნიკას ყურადღება მიექცია თითქოს არ არსებობდა..... უფროსი დემეტრე დაიძაბა, ნიკამ მზერა აარიდა იმდენად ძნელი იყო მამამისის გაძლება. ფეხზე წამოდგა, დემეტრეს კისერზე ხელები ჩამოადო და მტკიცედ თქვა. -ნიკო საღამოზე ჩვენთან მოდი უნდა გელაპარაკო.! -კარგი, თავი დახარა ნიკამ და ხმადაბლა თქვა. -თუ შენ შენს შვილს არ იმჩნევ მაშინ არც მე შევიმჩნევ ჩემსას! ეს იყო მთელი ამ წლების განმავლობაში ყველაზე კატეგორიულად ნათქვამი, ეს იყო ერთადერთ შემთხვევა, როცა დემეტრემ თავისი შვილის უმსგავსობა შეიმჩნია და იცოდა ნიკამ რას ნიშნავდა ეს, როგორ იყო გაბრაზებული მამამისი ეს რომ თქვა. ისე უკითხავად შეანათა ნიკას თვალებმა მამამის იმხელა ზეწოლა ჩანდა, ისეთი დაუძლეველი და მრავალწახნაგოვანი, სასოწარკვეთლებამდე დადიოდა მენაბდის მზერა, მაგრამ ეს სასოწარკვეთა არ იყო ნათქვამისგან გამოწვეული ეს იყო იმ რეალობის რაც ამ ნათქვამს მოყვებოდა! არ აპირებდა შვილთან შეცვლას, შვილის შემჩნევას რაც გულისხმობდა, რომ მამამისიც ისევე მოექცეოდა, 37 წლის ასაკშიც კი წარმოუდგენლად რთული იყო მისთვის, წამით გაეპარა ფიქრი რომ 13 წლის ბავშვს ზედმეტად დიდი ტვირთს კიდებდა, მაგრამ მალევე დაახშო. 13 წლისამ კი შეძლო ოთახამდე ამაყად, უცრემლოდ ევლო, ოთახს გადაცდა და წყალმა იპოვა თავიისი გზა მის სახეზე. უფროსი დემეტრე ელენეს და ტასოს დაემშვიდობა და სახლიდან გავიდა. კარზე ზარი იყო..ახლა დემეტრესთვის ეს შვება..სწრაფად მოწყდა ადგილს და კარი გააღო.. -გამარჯობა, სრულწლოვან წევრს შეგიძლიათ დაუძახოთ რომ გზავნილი ჩაიბაროს? -ელენე მალე მივიდა კართან და ხელი მოაწერა.. დემეტრემ როცა კონვერტზე დრამანის გვარი წაიკითხა იმის მერე არაფერი ახსოვდა. -მისგან არის..დაიჩურჩულა..გახსენი არ აჩვენო თორემ დახევს ხომ იცი..ემუდარებოდა ელენეს. -არ შეიძლება დემეტრე, - კარგი რა დედა ყველაფერს ხევს, ამასაც არ დატოვებს, მამა აქ ხომ არ ცხოვრობს და ვითომ სხვა დროს მოიტანეს ეგრე ვუთხრათ, მაინტერესებს რა არის გთხოვ დე რა გთხოვ.. -ხო მაგრამ არ შეიძლება გახსნა, ჩვენი არაა..დემეტრემ არ დაამთავრებინა კონვერტიანა ოთახში შევარდა...წერილი იდო და რამდენიმე ბილეთი..წერილს ვერ გადათარგმნიდა მხოლოდ მარტივ რაღაცებს გაიგებდა, მაგრამ ბილეთები მიხვდა რომ მისი გამოსამშვიდობებელი თამაში იყო..შეაკანკალა..დრამანის ბოლო თამაშის ბილეთები რომ წარმოიდგინა ყველაფერმა აზრი დაკარგა და საწოლზე ისე შეხტა ვერც იგრძნო....თითქოს უკვე წაროიდგინა იქ ყოფნა სადაც მამამის ყველაზე მეტად უყვარდა, თითქოს ამან დააახლოვა, როგორ არ იცოდა, მაგრამ უფრო ახლოს იგრძNო თავი მამამისის წარსულთან. ისეთი ძნელი იყო ემოცია დაეფარა და სიხხარულით არ ეყვირა..ამ ბილეთებს არაფრის ფასად დათმობდა.. ოთახში ნიკას ანასტასიას და ელენეს სიცილის ხმა შემოდიოდა..ძლივს გაბედა გასვლა..... -ტასომ პეპის როლი უნდა შეასრულოს, კიკინები, ცალი წინდა, რა სასაცილო იქნება, გაეცინა ელენეს და ანასტასიას ლოყაზე ხელი მოუსვა.. -ჭირფლებს მიგახატავენ და ისეთი მოუსვენარი ხარ ვეღარც გაგარჩევთ პეპისგან მამა. ანასტასია ისეთ დღეში იყო დაფრინვდა სიხარულით ორივე რომ მის გვერდით იყო და მის ზეიმზე ლაპარაკობდნენ. დემეტრე ფრთხილად მოუახლოვდა და ბილეთები წინ

დაუდო... -შენ გამოგიგზავნეს, მისი ბოლო თამაშია...წერილი ელენეს მიაწოდა, და თვალებით თხოვა წაეკითხა..ეგონა ახლა მაინც დაარღვევდა ნიკა დუმილს, გაუბრაზდებოდა მაინც რომ რატო გახსნა, მას კი რეაქცია არ ჰქონია, არც ბილეთებისკენ გაუხედავს, ისე იყო თითქოს დემეტრე არც შემოსულიყო. -ნიკა დრამანი გთხოვს რომ მის გამოსამშვიდობებელ თამაშზე ითამაშო 9 ნომრაად, როგორც ადრე, ბილეთებს კი ჩვენ გვიგზავნის. ნიკა ფეხზე წამოდგა და სამზარეულოში გავიდა წყლის დასალევად..ელენეც გაჰყვა, დემეტრემ სწრაფად გადაუღო სურათი წერილს და ისეთი სახით დაჯდა დივანზე „ამის მერე ყველაფერი წყალსაც წაუღია“ ეღიმებოდა, თავისი თავით კმაყოფილი იყო. -დემეეტრეს უნდოდა ძალიან რომ ენახა, იცოდა შენთვის რომ მოგვეცა დახხევდი, ისე ვერც გავიგებდით რა ეწერა. -არ დავხევდი, აღარ დავხევდი..მძიმედა გადაყლაპა წყალი, ელენემ უცნაურად შეხედა. -შენ? წახვალ? ითამაშებ? -არა, მხოლოდ წავალ, პირობა მაქვს მიცემული, ჩაეღიმა ნიკას, ერთმანეთის ბოლო თამაშზე აუცილებლად ვიქნებოდით....განაში რომ ვიყავი ზუსტად მაგ წელს...მაგის გამო გამომიგზავნა თორემ ისე ჩემი დანახვა არ უნდა არ მელაპარაკება, რამდენიმე დღის წინ ვცადე მიმეწერა, არც მიპასუხა, მიშელმა მომწერა, რომ აზრი არ ჰქონდა, ვუთხარი სანახავად ჩავიდოდი, მაგრამ უფრო უარესი იქნებაო.....ნიკას ისე წამოეშალა მოგონებები, რომ იგრძნო წალეკვით ემუქრებოდა..მაგრამ იცოდა უნდა გაეძლო..უნდა გამოეყვანა მოგონებები ჩაკეტილი ოთახებიდან, რომ მასთან ბრძოლა შეძლებოდა. -რთულია მისთვისაც, თუ მოთმინებით მოეკიდები, არ მოეშვა, სულ ცოტა ხანსაც რომ გელაპარაკოს მნიშვნელოვანი იქნება თქვენი ურთიერთოისთვის. -რომელი ურთიერთობისთვის? აღარ არსებობს, მესმის მისი ძალიან ცუდად მოვიქეცი, ახლოს ვიყავით და ერთიანად მოვიშორე თავიდან, ძალიან ახოლოს ვიყავით..ნიკას ოდნავ ჩაუწითლდა თვალები. -გინდა მე მივწერო? დაველაპარაკები, ავუხსნი რაღაცებს. თუ დრამანმა არ მოინდომა მიშელს დაველაპარაკები. ნიკას გაეღიმა. -არა ელენე, მადლობა, ვნახავ ახლა ამ თამაშზე, თუმცა არ მგონია შემხვდეს..უფრო სწორად დამელაპარაკოს. -აუცილებლად გაგიგებს, ნიკა უნდა დაუახლოვდე, ხომ ვიცი როგორ გიყვარდა, უიმისოდ ვერ ძლებდი, ისიც ვერ ძლებდა. თუ შეძლებ ამ ყველაფრის აღდგენას იქნებ იმის გადალახვაც შეძლო, დრამანს მართლა დაველაპარაკები, ვეტყვი რომ ბევრი რამე ჩემი ბრალია.. -ელენე გთხოვ გაჩერდი, არაფერია შენი ბრალი, ახლა უკვე აღარაფერი. -დემეტრე ხელში ჩამაკვდება ის ბილეთები რომ არ დაუტოვო, გაეცინა ელენეს. -როგორი წინდახედული და მებრძოლი დედა ჰყავს დემეტრეს. -ხო რას ვიზავთ როცა სხვა გზა არ გაქვს მერე სხვანაირი ხდები.... -ხოო? ნიკას ელენეს სახეზე გაეცინა.. -ხოოო იძახე და იქ რომ არ წავიდეს მართლა მოკვდება, ვერ დაინახე რა გაბრწყინებული სახე აქ.. -დავინახე....ვიზაზე გაგირკვევთ..... -დიდი მადლობა ბატონო ნიკოლოზ,ზოგჯერ როგორი კეთილი ხართ და ხოგჯერ როგორი შეუვალი საკუთარი შვილის მიმართ ოსკარი გეკუთვნით.....ელენე მხარზე მიეხუტა.. -ჩემო ძვირფასო შეგიძლია თავი გამარჯვებულად ჩათვალო რადგან მე არ ვაპირებ წინააღმდეგობის გაწევას...ყველაფერი რასაც მეტყვი, არ აქვს მნიშვნელობა როგორ გააკეთებთ ამას, ყველაფერი შეგისრულდებათ..გარდა დემეტრესთან ჩემი დამოკიდებულების გაუმჯობესების..ამიტომ მინდა წინასწარვე იცოდეთ სადამდეა თქვენი შესაძლებლობები შეზღუდული.....თქვენი მაცდუნებელი ღიმილიც ვერ შეძლებს ამ საკითხში ჩემი იმპულსურ გადაწყვეტილების მიღებას. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში შეუდარებელი ბრძანდებით. -როგორ გიყვარს რომ სიტოაციას შენ აკონტროლებ! -ვგიჟდები! ნიკამ კედელს მიეყუდა და თავი ელენესკენ მიწია. -თანაც ისე თითქოს საერთოდ არ

გაინტერესებს და თითქოს ყველაფერი ისე იქნება როგორც მე მინდა...ჩაიბურტყუნა.... -ისე იქნება როგორც შენ გინდა, ჩემთან შეთანხმებით. -ლიკასთან არ მექნება უხერხულობა..... ელენემ ძლივს თქვა ისე გაუჭირდა.... -თუ ლიკა წამოვა სხვა ადგილას იქნება, ამ ბილეთებით არა....ახლა იგრძნო ელენემ რომ ცალ-ცალკე მოუწევდათ წასვლა, ნიკაც ხომ მის გვერდით იქნებოდა....არ ეგონა რომ ასე ეტკინებოდა ისევ.. არადა თავის თავს აჯერებდა ყოფელ წუთს რომ ეს გაეთავისებინა და ასე მტკივნეულად არ მიეღო. -ახალი წელი როდის მოვა? შემოვიდა სამზარეულოში ანასტასია. მინდა სურვილები მაქვს ჩასაფიქრებელი, და თვლის ბაბუკომ უნდა ამისრულოს. -რა გინდა ტასიკო? გაეცინა ნიკას. -რომ გითხრა და არ ამისრულდეს? თან ახალ წელს უნდა სურვილების ჩაფიქრება როდის მოვა? -ჯერ ორი თვეა დარჩენილი.. -კარგი მაშინ დაველოდები. ჩემი მეგობარი ნატო მეუბნება ზეგ არისო და ეს ზეგ ორი თვეა? -აუ ესენი მაგრად არიან, გაეცინა ნიკას და ანასტასიას წელზე ხელი მოხვია. -დედა არა, ჯერ დიდი დროა ახალ წლამდე, წინასწარ გეტყვი და დაწერე სურვილები, შარშან, როგორც გავაკეთეთ, გაუღიმა ელენემ. -არ მინდა ისე! რატომღაც ნიკაპი აუკანკალდა ტასოს. წინა ახალწელზე ნიკას გაახსენდა, რომ საშინლად იჩხუბა სახლში, ელენეს ეჩხუბა სახლის მორთვაზე, მხოლოდ ესღა მოიფიქრა. ყველაფერი აღიზიანებდა და არც კი მიუტანია სახლში რამე..ახლა ანასტასიას თვალებიც გაახსენდა, რომ შევიდა საჩუქარს ელოდებოდა მამისგან, მოკლე ჯინსის ქვედაბოლო ეცვა თბილი „რევუტუზზე“ამის გახსენებაზე ისევ შეაჟრიალა და ვარდისფერი ზედა, ტატია უფრო მოკლე იყო ვიდრე ახლა, გამობზეკილი მუცელი და ვარდისფერი დათუნებიანი ფეხსაცმელიც გაახსენდა. კიკინებიც და იმედგაცრუებული სახეც, როცა მამა ისევ მთვრალი მივიდა ამ დღესაც თანაც ხელცარიელი. არ შეეძლო დიდ ხანს ამის გაძლება და ოთახში შევიდა სწრაფად, 12 ისთვის არც გამოუხედავს, მერე დემეტრეს თვალებიც აღიდგინა და უკვე ეჭვი შეეპარა საერთოდ იყო თუ არა რამეში მართალი.. -რატომ ანასტასია? მაშინ ხომ დავწერეთ, შენ ხომ გიხაროდა..ელენე იმ დღეს განსაკუთრებულად ეცადა ახალი წელი მისი შვილებისთვისაც მოსულიყო. ისე წვავდა ყელშ ბურთი, რომ სუნთქვაც გაუჭირდა მენაბდეს. -იქიდან არაფერი ამისრულდა, აუცრემლიანდა თვალები ტასიკოს, მერე ეს წერილები დაწვეს და ამიტომ ელენემ არ იცოდა რა ჩაიფიქრა. -დე ხომ გითხარი ხმამაღლაც უნდა თქვა ის რასაც დაწერდი, ელენე საშინლად დაითრგუნა. ის ბარბის სათამაშო ოთახი ხომ მოგიტანა თოვლის ბაბუმ.. -ეგ არ დაგვიწერია, ტასომ რადგან წერა არ იცოდა დემეტრეს დააწერინა, სხვა რამე დავწერეთ....დემეტრეს არ უნდოდა, აზრი არ აქვსო, მაგრამ მაინც დავაწერინე, თურმე მართალი ყოფილა, მე კიდე ვიტირე და გავუბრაზდი. ნიკას აგიჟებდა ელენეს მონდომება შვილებს არ ეგრძნოთ ის რაც ორივეს ანადგურებდა, სულ უკვირდა როგორ დეტალებსაც კი აქცევდა ელენე ყურადღებას, თუ დემეტრეს და ტასოს რამე უნდოდათ სულ უმნიშვნელოც კი, ისეთი სხვამ რომ შეიძება დროც არ დაკარგოს ამას ელენე მთელი მონდომებით და შემართებით აკეთებდა. შეიძლებოდა ღამე მარტო იმიტო გაეთენებინა, რომ სახლი ისე ყოფილიყო როგორც ანასტასიას წარმოეგინა, ფილმებში და მულთფილმებში ენახა, ნიკამ კი ეს ყველაფერი იმ დღეს ჯოჯოხეთად აქცია, იმ სამმა ხმადაბლა აღნიშნეს ახალი წელი, მაშინ ელენეს თავი მსახიობი ეგონა, მსახიობი, რომელიც შვილებისთვის თამაშობდა ბედნიერი დედის როლს. ყველაზე მძიმე მენაბდისთვის იყო ის რომ არაფერი რჩებოდა შეუმჩნეველი უნდოდა, მაგრამ მაინც არ ეპარებოდა მათი მზერა, მათი შეშინებული თვალები, ყველაფრის მიუხედავად ვერაფრით გააქრო სიყვარული ელენეს თვალებში, ვერაფრით წაშალა, ბრაზთან ერთად ამასაც ხედავდა, ეს უკვე აგიჟებდა, იცოდა, რომ

ელენეს უყვარდა, ძალიან რომ უყვარდა, მაგრამ ამდენს მართლა არ მოელოდა, არ ჯეროდა, რომ შეიძლებოდა ასე ძალიან შეეყვარებინა მაშინ 16 წლის ასაკში..ანასტასიას თმაზე აკოცა და დემეტრეს ოთახისკენ წავიდა, რამდენიმეწამს იყოყმანა, მაგრამ მაინც ვერ შევიდა....უკან გამობრუნდა. -ანატატია რა ჩაიფიქრე შარშან? -უნდა გითხრა? დაექაჩა თვალები ტასოს. -თუ გინდა. გაუღიმა ნიკამ და მიიხუტა. -მომავალ ახალ წელს, რომ ერთად შევხედრილიყავით, შენ რომ არ გაბრაზებულიყავი და ჩვენთან ერთად, რომ დაგერტყა წრე ნაძვისხისთვის. მაშინ ჩემი ბრალი იყო სახლი, რომ მოვრთეთ, შენ რომ გეწყინა დედიკოს მე ვთხოვე, მერე დედიკო მთელი დღე ტიროდა ჩუმად შენ რომ გაუბრაზდი. -იმ დროს გძულდი ტასო? ანასტასია დაიბნა. -მე? არა, უბრალოდ ვიფიქრე არ გინდოდა ჩვენთან ყოფნა თან ხომ გაგაბრაზე და ჩემი ბრალი იყო..ელენე ცრემლებს ვეღარ იკავებდა.. -ძალიან მინდოდა, ძალიან მინდოდა თქვენთან ყოფნა. ნიკამ ტასოს თხოვა დემეტრესთან შესულიყო თვითონ კი ელენეს მოკიდა ხელი და სწრაფად გავიდნენ სახლიდან. -ნიკა, რას აკეთებ, მოიცადე.. -ცოტა ხანი, მალე დავბრუნდებით... -გთხოვ ნიკა გაჩერდი არ მინდა წამოსვლა, ბავშვებს მარტო ვერ დავტოვებ. ნიკას არაფერი ესმოდა, ელენე მანქანაში ჩასვა და სწრაფად დაქოქა. -მაშინ მინდოდა თქვენთან ერთად! მაშინ სახლში მოვედი, რომ ახალი წელი მომელოცა! მაგრამ, რომ დაგინახე, რომ ვიგრძენი რომ მელოდებოდი... ძალიან გავბრაზდი, გხედავდი ძალიან ვბრაზობდი, რაღაც შიგნიდან მჭამდა, ვერაფრით ვიყავი ისეთ როგორიც სინამდვილეში, ელენე შენ ხომ გჯერა რომ მე ისეთი არ ვარ! აი ის კაცი მაშინ, რომ შემოვიდა, რომ იჩხუბა უბრალო სახლის მორთლობაზე, ახალ წელს, რომ გაუბრაზდა, ყველაფერს, რომ გაუბრაზა, შენ ხომ იცი რომ ისეთ არ ვარ! ჯანდაბა, სახლში ლამის ყველაფერი იმიტო დავლეწე, რომ გინდოდა ჩემი ასეთობა ნაძვისხის წვიმებით გაგელამაზებინა ჩვენი შვილებისთვის. ვერაფრით გაპატიე, რომ გაბრიელი არ გახსოვდა..თუნდაც წამით.. -ნიკა სწრაფად მიდიხარ, გეხვეწები დამშვიდდი, გააჩერე ვილაპარაკოთ. -მე როგორ უნდა ვიყო ადამიანი, მე არ მინდოდა ასეთობა, ვერც წარმოვიდგენდი, ასეთად გახდომას ვერ წამოვიდგენდი, გეფიცები ჩემს გონებაში ოჯახი სულ სხვანაირი იყო, გეფიცები ასეთი მამობა არც მღირსებოდა მერჩივნა, მერჩივნა სადმე უსახელოდ მოვმკვდარიყავი, გამოსვლისას რამე დამჯახებოდა ოღონდ იმ ბავშვისგან ასე გულიბრყვილოდ არ ვისმენდე რომ ნაძირალა ვარ! შენ წამით და მე წლებით დავივიწყე შვილები..ეს არ მომასვენებს, მე ვიცი არ მომასვენებს, ვიცი ჩემი თავი, ვიცი როგორი უმოწყალოა ასეთ დროს. ნიკა უკვე მანქნაში ღრიალებდა, ცრემლები უკვე უკითხავად მოდიოდა. -გააჩერე გთხოვ! გემუდარები, ნიკა ნელა. დამშვიდდი, ვილაპარაკოთ, ყველაფერი გავარკვიოთ, ჩემი ბრალია შენი არ არის ასეთ რომ იყავი, სულ ჩემი ბრალია მთიანად ნიკა, შენ სულ სხვანაირი იყავი, მე გაქციე ისეთად, მე გაგაწვალე ამ ცხოვრებაში, გთხოვ, ახლა გააჩერე, გევედრები ჩვენი შვილების გამო, ნუ დატოვებ ორივეს გარეშე! ბოლო წინადადება ისე ძლიერად მოხვდა, ნიკამ დაამუხრუჭა და გზიდან გადავიდა. რამდენიმე წამი მანქანაში იჯდა და მერე კარი გააღო. ელენე ფრთხილად მიუახლოვდა და ჩაეხუტა. -მეც ძალიან მინდოდა იმ ახალ წელს შენთან ერთად, ვერაფრით მოვახერხე დამეფარა როგორ გელოდებოდი, ყველა ახალ წელს და ყველა დღეს, უშენოდ ძალიან გამიჭირდა, იმ ნიკას გარეშე ასე უმოწყალოდ რომ შემიყვარდა.. -არ შეიძლება, არ უნდა გყვარებოდი...რომ არ გყვარებოდი უკეთესი იქნებოდა, გულგრილობა ჯობდა ამ ყველაფერს... -შენც ხომ გიყვარდი, შენც ხომ ვერ იყავი გულგრილი, ნიკა თუ წარსულს თავს არ დავანებებთ ვერასოდეს ვიქნებით მომავალში უკეთესად. გეხვეწები დამშვიდდი, ნუ განიცდი ასე.. -მე ისეთი მამა ვარ როგორიც არ ვარ გესმის! ეს იცი რას ნიშნავს? მე ასეთი არ ვარ,

არ ვყოფილვარ, არ მინდოდა, გული მერევა, სულ სხვანაირად ჩაფიქრებული ოჯახი, სულ სხვანაირად ელენე....რამდენს ვფიქრობდი, რამდენ რამეს ვუკავშირებდი შვილებს..რა გამოვიდა, მე ხომ ისინი დავტანჯე, მხოლოდ დავტანჯე, მაგრამ არ შემეძლო, მართლა არ შემეძლო, მაშინ თავი უნდა მომეკლა, რომ ასეთი არ ვყოფილიყავი..შენ ბედნიერებას ვერ ავიტანდი...ვერ შევეგუებოდი რომ გახარებული ყოფილიყავი.ვიცი ჩემი გულწრფეობა გულს გირევს, მაგრამ ასეა..მირჩევნია გითხრა..ვერ ვიტანდი იმას რომ ცოტაც გყოფნიდა ბედნიერებისთვის, მაშინ როცა მე არაფერი მშველოდა, უნდა დამეტანჯე რომ ეს გადამელახა..შენთვის რომ ისევ ისე შემომეხედა. -ახლა ხომ დამთავრდა, ახლა ხომ შეგიძლია წარსული დაივიწყო.. -მაგრამ შენ აღარ მყავხარ. მაშინ ცოლობა, რომ გთხოვე პირველად, სტადიონზე, მაშინ მართლა ვერ ვიფიქრებდი, რომ ჩემი ყველა შვილის დედა არ იქნებოდი.. -ხო ეტყობოდა კითხვისნიშანი არც კი იკადრე. ნიკას გაეცინა.. -ვერ გაკარდე უბრალოდ. იმ გადმოსახედიდან ახლანდელ ჩემს მდგომარეობას ჯოჯოხეთი სიტყვაც კი ვერ გაუმკლავდება. -ნიკა, ეს არაფერს ცვლის დამიჯერე, მე და შენ არაფერი შეგვცვლის, რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, რამდენ ხანსაც არ უნდა ვიცოცხლოთ, რამდენი შვილიც არ უნდა გვყავდეს ერთად თუ ცალ-ცალკე, არაფერი შეცვლის არაფერს....არც ერთად ყოფნა არაა საჭირო, მე ახლა ვერ წარმოიდგენ როგორი ბედნიერი ვარ, ვერ წარმოიდგენ ჩემთვის რას ნიშნავს შენთან ასე ახლოს ყოფნა, სულით ასე ახლოს ყოფნა, ახლა იმ ქალს ვგავარ მშობიარობის შემდეგ ყველა ტკივილი, რომ ავიწყდება.... -როგორ მინდა უბრალოდ სადმე, შორს, ტყეში, საერთოდ ყველაფრისგან შორს იყოს ჩვენი სახლი, მე შენ და ჩვენი ორი.... -ჩემს სულში სულ ესეა, ძალიან ლამაზია ის ადგილი სადაც ჩვენ ვართ.. -ზღვა არის? ჰკითხა ნიკამ და შუბლზე აკოცა. -კი ჩვენი სახლიდან 10 წუთიც არაა საჭრო, ზედა სართულის ბოლო ოთახის სარკმლიდან ჩანს ყველაზე კარგად. -ეგ ოთახი ვისია? -გაბრიელის, თვალებში შეანათა ელენემ, აწყლიანებული და აღელვებული იყო.... -ყველაზე მეტად მაგ ოთახში შესვლას ვერიდები.. -იქ ხშირად ხარ, ვართ ხოლმე ნიკა.. -ზღვა ღელავს ? -კი, მაგრამ არც ისე, რომ ვერ გადავცუროთ. მეორე დღეს ყიფიანი ანალიზებზე წაიყვანა, განზრახ არ ააღებინა იმ დღესვე, რომ ისევ შეხვედროდა..რიგი სადაც დიდი იყო იმ ექიმთან მიყავდა, დრო რომ ჰქონოდათ. -რას დამარბენინებ! არაფერი მჭირს! -კარგი გაჩერდი, გაიცინა ნიკამ. ანალიზები და მორჩა რა! რატო ჰქმნი პრობლემას უბრალოდ მინდა მშვიდად ვიყო..... -იყავი, ჯანდაბა ეს ორი დღე არაუშავს სკოლაში მაინც არ მინდოდა..სკოლის ხსენებაზე ნიკა დაიძაბა. -მოგწონს სიტოაცია კლასში? -ვგიჟდები, დებილები სხედან, ბიჭები ჩმორიკები, გოგოები შკოლნიკები.. -მარტო შენ ხარ ნათელი წერტილი, თქვა მაგრამ მართლა არ უნდოდა, წამოცდა, ამით უფრო გააღზიანებდა. -მაგას არ ვამბობ, უბრალოდ..ჯანდაბა წავედი რა მე შენ რას გაიგებ... -ისე ესე რომ მომმართავ ცოტა არ გიტყდება? გააჩერა ნიკამ. -პირიქით ვცდილობ გაგაახალგაზრდავო! -ოჰ, ვინ გითხრა, რომ თავს ხანშიშესულად ვგრძნობ. -არც ჩემი ტოლი ხარ, წავედი ახლა რა, რა დაელოდება... -მოიცადე ახლა ლევან დაჯექი! ვილაპარაკოთ. -რაზე? -ვარსკვლავების განლაგებაზე, რავიცი რაზეც შენ გინდა.... -შენთან ვერაფერზე ვილაპარაკებ ზედმეტად წესიერი ჩანხარ! -შენ ზედმეტად უწესო ხარ? სულაც არ ვთვლი ესე, მერე რა რომ ის ორმოცდაათლარიანი ამაცალე მანქანიდან, თავად გამოგიწვია! გამომწვევად იდო! ლევანი გაფითრდა, არ ელოდა..ნიკას გაეღიმა... -რა ჯანდაბა გინდა!!!! -14 წლიდან უკვე იწყება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა! ამას ისე უბრალოდ გეუბნები, არც მე არ მიყვარს ჩაშვება, მაგრამ არც ის მიყვარს, როცა ვიღაც რამეს მართმევს თანაც ისე, რომ იდიოტი ვგონივარ! -მე ჯერ არ ვარ 14-ის

ორ თვეში ვხდები! ეს გაუაზრებლად თქვა... -ხო მაშინ დედაშენს მოუწევს საკმაოდ დიდ ხანს სირბილი პოლიციაში და თანხის გადახდა! შენ ვერავინ შეგეხება! ყიფიანი გაწითლდა დედის ხსენებაზე ფერი მთლიანად გადაუვიდა და ნიკა მიხვდა, რომ ამაზე ჩაჭიდება შეიძლებოდა. -არ გაბედო, იცოდე მოგკლავ! სახე ახლოს მიუტანა და კბილების ღრაჭუნის ხმა გაიგო მენაბდემ. -ძალიან გთხოვ სტომატოლოგთან არ მარბენინო კიდევ, საკმაოდ ძვირი მიჯდები! -მართლა მოგკლავ! ჯიბისკენ ხელი წაიცურა მენაბდემ რომ დაუჭირა! .ანალიზებს არც დალოდებია ისე მოკიდა ხელი მშვიდად და შენობიდან გამოვიდნენ, ისეთ ადგილზე გააჩერა მანქანა ხალხი, რომ არ იყო და გადასვლა ანიშნა. -შენ მე არ გემუქრები, არ გემუქრებოდი, მაგრამ იცოდე სიკვდილს სანატრელს გაგიხდი თუ ისევ ეგრეთ ტონით დამელაპარაკები. მეორედ არ გამიბედო ასე ლაპარაკი! შენ შენ ტოლებში არ აგერიო პატარა დანით, რომ აშინებ მაგ დანას გადაგაყლაპებ იცოდე! ისეთ დღეში ჩაგაგდებ ციხე სანატრელი გაგიხდება, მაგრამ თუ არ გაჩერდები ყველაფერი ერთად დაგატყდება თავს! პოლიცია კონტროლზე აგიყვანს, მერე შენი შემოსავლის წყაროც შეწყდება და დედაშენიც ირბენს შენს ამბებზე, თუ რა თქმა უნდა რამედ გთვლის..ლევანი გაწითლდა.. -გაჩუმდი, დაიყრიალა! მე თავად გიჩივლებ! მანქანა დამაჯახე შენი ბრალი იყო.. -დიდი დიდი 200 ლარი გამომიწერონ ჯარიმა! თანაც გაგიჭირდება რამის დამტკიცება..მე კი ძალიან იოლად გადავაყოლებ შენს ცხოვრებას იმ ორმოცდაათლარიანს. ლევანი საშინლად მძვინვარებდა. -რა გინდა? ეს უკვე ესიამოვნა მენაბდეს. -მინდა მემსახურო! -რა? -მე სკოლა მაქვს, და იქ თანამშრომლები მჭირდება, ჯერ არ გახსნილა, მაგრამ მალე გაიხსნება! -დირექტორი გჭირდება? გამოცრა ყიფიანს. -არა იმისი მოადგილე, გაუცინა ნიკამ და მერე მშვიდად დააყოლა, კაბინების, საშხაპეების, უნიტაზების, მინდვრის და სხვა მსგავსი საქმეების დამლაგებლების დირექტორის მოადგილე! -არაფრის დალაგებას არ ვაპირებ! ეგღა მაკლია მერე ვინმემ მაგის გამო რამე წამომაძახოს! -მე შენ შრომას გთავაზობ, იმ ფულის სანაცვლოდ რაც მომპარე! არ მაინტერესებს ამას შენ თვლი თუ არა წამოსაძახებლად, მე სხვა რამეები უფრო მგონია დამცირება, მაგრამ ამაზე შენთან ლაპარაკს არ ვაპირებ. უბრალოდ მარტო იმას დაგპირდები, რომ ვერავინ გაიგებს, თუ თვლი და არ გინდა, რომ ვინმემ გაიგოს, შენმა მეგობრებმა ან სკოლელებმა, როგორც გინდა მე არავის ვაძალებ რამეს, უბრალოდ მინდა დავიბრუნო რაც დავკარგე. -იმ 50 ლარს ისე დაგიბრუნებ მუშაობის გარეშე! ნიკას გაეცინა. -50 ლარზე გაცილებით მეტი გაქვს ჩემი ვალი, საავადმყოფო, დამცირება, ჩემი გაჩუმებაც რაღაც ღირს...ლევანი გაწითლებული უყურებდა.. -ადვილი ყოფილა ვინმე, რომ ასე გექცევა? დააყოლა ნიკამ და მანქანისკენ ანიშნა. ხმას არ იღებდა ყიფიანი ახლა მისთვის რაღაცის დალაგება ყველაზე დიდი დამცირება იყო..... -დედაჩემს არაფერი უთხრა და რამდენ ხანსაც გინდა იმდენს ვიმუშავებ! ამის გაგონებაზე ცოტა მოერყა სიბრაზე მენაბდეს, მაგრამ შეეცადა არ შეემჩნია! -ეგღა მაკლია სკოლა გაცდენინო, და მერე ვინმემ დამაბრალოს არასრულწლოვნის ექსპლუატაცია! შენს ნიშნებს თავად შევამოწმებ..ყიფიანი სულ აიჭრა.... -რა ნიშნებს! მართლა ეგღა მაკლია გაკვეთილი მოვყვე! -ხო რა ვიცი, მე არ ვითხოვ, რომ მოყვე, მე ვითხოვ რომ შენი ნიშნები არ გაუარესდეს ჩემთან მუშაობის გამო! -სულ 6 ები მყავს, გაიცინა ყიფიანმა. -ხო და ერთხელაც, რომ ჩამოცდე მაგ ქულას მერე გირჩევნია ჩემს ფანტაზიას არ ენდო იძულებითი ღონისძიებების გატარებაში. -მაგაზე დაბალს არ დამიწერენ რაც არ უნდა გავაკეთო, გაეცინა ყიფიანს. -ვნახოთ! ჩაიღიმა ნიკამ და უკვე საკუთარი ფანტაზია აგიჟებდა, როგორ იფიქრა, რომ განზრახ დააწერინებდა დაბალ ქულებს მასწავლებლებს. -მაგრად მაღზიანანებ. გადასვლისას თქვა

ყიფიანმა. -მეც მაგრად! ხვალე მოხვალ ამ მისამართზე, სკოლის შემდეგ, შესასვლელში იტყვი ვინც ხარ და უკვე დაიწყებ.. -შენ სად ზიხარ! -ჩემს კაბინეტს თავად ვალაგებ და ამიტომ შენი შემოსვლა არ გახდება საჭირო, თვალი ჩაუკრა ნიკამ. -არასრულფასოვნების კომპლექსი გაქვს და წუწიანი კაბინეტის დემონსტრაციას ახდენ! -კომბინიზონი არ დაგავიწყდეს ლევან! რას იფიქრებდა ყიფიანი მისი ახალი უფროსი მართლა თავად თუ ალაგებდა ყველაფერს. -კომბინიზონი? შენი სკოლა ისეთი დაბალი დონისაა თავად არ უზრუნველყოფს ფორმებს დირექტორის მოადგილეებისთვის? ნიკას გაეცინა, უყვარდა რაც არ უნდა ყოფილიყო იუმორის გრძნობა ადამიანში. -იქ ჩაცმა არ დაგავიწყდეს ეგ ვიგულისმე, თვალი ჩაუკრა ნიკამ. კომბინიზონი სად უნდა ეშოვა ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი....

თავი 18

„ალბათ იმიტომ მიყვარხარ მხოლოდ, რომ საქართველო გქვია სახელად“ ნ.დუმბაძე.

ელენე გაცოფებული უყვიროდა ოთახიდან.

-დღესვე წავალ აქედან! მე აქ რა ჯანდაბა მინდა თუ შენთვის არაფერი ვარ, არავისი აზრი არ მაინტერესებს დღესვე გაგეყრები! ეგ როგორ მითხარი, ტიროდა ელენე....თან ბარგს ალაგებდა, ნიკამ ჩემოდანი ხელიდან გამოართვა და კარი გადაკეტა.

-გაჩერდი ახლა..გთხოვ, დააყოლა რამდენიმეწამიანი პაუზის შემდეგ.

-მე ამის უფლებას ვერ მოგცემ! უბრალოდ ვერ დავუშვებ! ვერ მომეკარები ხომ? მაშინ აქ წამითაც არ მინდა გაჩერება, არც მე მინდა იმას ვიტანდე ვინც მე ვერ მიტანს! არც მე მინდა ცალმხრივობა!

-ახლა ვერსად გაგიშვებ ხომ იცი, რატომ ჩხუბობ, რა გითხარი საჩხუბარი? შენ ხომ იძულებით იტანდი ჩემს შეხებას? მე ეს არ მინდა გესმის..არ მინდა ვინმეს რამე ვაიძულო....ბოდიში, მაპატიე არ ვიცოდი თუ ესე ძნელი იყო შენთვის პირველი ღამე, მეორეც, მესამეც.....

-გაჩერდი.....

-ელენე, დრო გაქვს, შეგიძლია კარგად დაფიქრდე, არ გაჩქარეებ, მაგრამ არც ის შემიძლია დაუმსახურებლად, იდიოტივით მხოლოდ გავცე!

ელენეს ნიკაპი აუკანკალდა, თავისმა სიტყვებმა შუაზე გაუხლიჩა ორგანოები....იცოდა ნიკასთან ტყუოდა იცოდა და ოთახში მშვიდად შევიდა, საწოლამდე ვერ შეიკავა თავი, მუხლები მოეკვეთა და ყველაზე ცუდად იყო რაც კი დარჩენილი 16 წლის მანძილზე.....ტიროდა თითქმის მთელი ღამე, ახსენდებოდა მისი ნათქვამი და აგიჟებდა.....დილით ჩაი გაუმზადა, ძალიან ადრე ადგა, რამდენჯერმე გაუცივდა, სანამ ნიკა გამოვიდა.... აბაზანიდან აღარ გამოდიოდა პირსაცოხით მენაბდე სულ ჩაცმული იყო და სწრაფად გადიოდა სახლიდან..

-ჩაის არ დალევ? გაუბედავად ჰკითხა.

-მადლობა ელენე, არა მეჩქარება, ბაზაზე ვისაუზმებ....

-კარგი.....უკვე მერამდენედ რჩებოდა გაციებულ ჩაისთან, მენაბდის მიკეტილ კარებთან, მის სიცივესთან და მაინც მის სიმშვიდესთან.....ყველა სუნამო გადაყარა..ყველაფრის სუნი შეძულდა, მხოლოდ მისი ენატრებოდა.....დაბადებისდღეზე ტელეფონი გამორთო, თავისები გააფრთხილა, რომ ასე იზავდა, რომ არ ენერვიულათ.....საწოლიდან არ ამდგარა, მხოლოდ ტიროდა....ნიკა ეგონა წასული იყო ხმაური, რომ მოესმა, ტელევიზორი იყო და ფეხბურთი..... მენაბდე ოთაში შევიდა..

-ელენე კარგად ხარ? მის მხარეს მივიდა და საწოლზე ჩამოჯდა..

-კი, ჩაიბურტყუნა ელენემ...

-ტელეფონი რატომ გაქვს გამორთული?

-შენ რა იცი? დამირეკე? სახლში ხარ და..

-ხო დაგირეკე სანამ შემოვიდოდი, უნდა მომელოცა შენი 17 -ი ....

-მადლობა.... ახლა ძალიან უნდოდა ნიკას ლოყაზე მაინც ეკოცნა, უბრალოდ რომ შეხებოდა, მაგრამ მენაბდე აკადემიურად ცივი იყო.

-სადმე გინდა წასვლა? ელენე დაიძაბა, ვერაფრით მოატყუებდა და ვერ ეტყოდა, რომ მასთან ერთად არ უნდოდა წასვლა..სადმე...არ ჰქონდა მნიშვნელობა სად....

-არ ვიცი დღეს თამაში გაქვს, იქ წამოვალ! ნიკას გაუკვირდა, რომ იცოდა, აქამდე ესეთ რამეები არ აინტერესებდა ელენეს.

-არა არაა საჭირო, თავს რამე აიძულო, თან შენ დაბადებისდღეს, ახლა აქ რომ მეგობრები არ გყავს გადავწყვიტე შენებისთვის მეთქვა, ვიცი გენატრებიან, მე სულ მენატრებიან ხოლმე ჩემები, დღეს ჩამოვლენ 3 ზე, ნიკამ საათს დახედა, ცოტნეც იქნება.....მე თუ მოვასწარი აუცილებლად მოვალ, დაბლა მძღოლი დაგელოდება აეროპორტში და მერე რესტორანში მიგიყვანს შენებთან ერთად.

-კარგი, მაგრამ ჩემით მივალ არ მინდა მძღოლი!

-კარგი როგორც შენ გირჩევნია, თუ რამე დაგჭირდა დამირეკე, 3 დან 5 მდე თამაშის პერიოდია ვერ გიპასუხებ, ჩემმა აგენტმა შეიძლება გიპასუხოს და თუ რაღაც სასწრაფო იყო ის გამაგებინებს.

-კარგი, უკვე იმდენად იყო დათრგუნული ნიკას საქციელით, რომ თავისების ნახვის სიხარულსაც ვეღარ გრძნობდა....

-უფალი გფარავდეს....გააყოლა სიტყვები ქმარს.

-შენც ელენე. უკან არ მოუხედავს ისე უთხრა და სახლიდან გავიდა

მშობლებმა შეავსო, ერთბაშად გამდიდრდა სულით, ცოტნეს დანახვაზე ეგონა სიხარულით გაგიჟდებოდა, ისე ძალიან მოენატრა ოჯახი, ტირილი ვერ შეიკავა, ნინო სულ ელოდებოდა განმარტოებით დალაპარაკებოდა..

-გილოცავ ჩემო დებილო, ცოტნემ ხელები მოხვია და ლამის ძვლებში დაამტვრია.

-მადლობა ჩემო შტერო აყლაყუდავ...

-დაგახრჩობ სიხარულო....

-ნუ ხარ ასეთ უხეში ჟირაფო...

-მეც ძალიან მომენატრე ჯუჯიკო! ეს იყო დიალოგი, რომელიც მშობლებისთის იმდენად ჩვეულებრივი იყო, შეუმჩნეველიც დარჩა.

-ჯუჯა მე კი არა შენ ხარ ახმახი რა! გაბრაზდა ელენე.

-ოჰო, ეს პატარა თითები ვისია? ცოტნემ არ დაინდო.

-ვისია და შენი არ არის, შენ ხარ უშნო!!!!! და სულაც არაა ჩემი თითები მოკლე, პირიქით, ელენემ მინას მიადო თითები და შუქზე გახედა.. არაა, ნამდვილად არაა მოკლე!

-დებილი! ჩაიფხუკუნა ცოტნემ. რესტორანში მივიდნენ, იქ მათე დახვდათ და ძალიან გაუკვირდათ.

-ჰაიიიი!!!! როგორ ხართ...

-ვაა მათე, ცოტნეს აღარავინ ახსოვდა ახლა დარწმუნებული იყო მაგრად გაერთობოდა.

-როგორ ხართ, ელენე გილოცავ, მათემ ელენეს მიულოცა და თმა აუჩეჩა.

-მადლობა მათე!

-რა გინდა შენ აქ?! შენ აქ საიდან მათუშ? ცოტნე გახალისდა.

-ნიკამ ჩამომათრია, გინდა თუ არა ჩამოდი მე არ ვიქნებიო. ელენეს სულ ჩაეწვა ყველაფერი, ის ბოლო იმედი რომ გვიან მოვიდოდა ისიც დაკარგა.

-რა არ მოვა? იკითხა ცოტნემ.

-თუ მოასწრო, მაგათმა თუ მოიგეს თამაში მერე აღნიშნავენ ხოლმე და არ ვიცი..ქართული კერძები, რომ მიიტანეს სუფრაზე ზურას გაეცინა.....

-ხო აქ ნიკას პატარა საქართელო აქვს მოწყობილი, მიუხვდა მათე, ლობიო ცვეტშია პარიზში. ყველას გაეცინა.....

-აქ ტელევიზორი ხომ არის, ჩავრთოთ რა თამაშის ყურება მინდა, თქვა ცოტნემ და პულტის ძებნა დაიწყო....

-ნიკამ ეგეც გაითალისწინა და ტელევიზორი მოახსნევინა, გაეცინა მათეს..

-თქვენ მაგრად აჯაზებთ რა....ფული ჯოჯოხეთს ანათებს მართლაც, ჩაიდუდღუნა ცოტნემ.

-ეს ჩვენი რესტორანია ამიტომ ჩვენ ვანათებთ....

-სად შეგვიძლია. გაეცინა ცოტნეს.

-ჩემი ძმა მართლა ვერ ჭამს ყველაფერს, აქაური საჭმელი ცოტა აღიზიანებს და ამის გამო გამაკეთებინა ეს რესტორანი, არადა წამგებიანია ძალიან. ბევრი ქართველი არ არის აქ და თითქმის ხალხი არ შემოდის, მხოლოდ ნიკა დადის მგონი....თან ეგ ისეთია აბა როგორ ქართული რესტორანი, რომ არ იყოს სადაც ცხოვრობს ჩაბჟირდება, სადმე თუ საქართველოს დროშა არ ფრიალებს ისე როგორ იქნება...

-სწორია მერე, თქვა ზურამ, აბა ცოტნეს საერთოდ არ აინტერესებს რას ჭამს.... თან ეროვნულ საქმესაც აკეთებს.

-არ წააქეზოთ, თორემ ისეთ რაღაცებს გამახსნევინებს აქ, რომ გამაგიჟებს...ელენე მოწყენილი იჯდა, ფანჯარაზე მიკრული თვალებით, საათს დაცქეროდა და სულ რაღაცას ელოდებოდა.

-შენ რას გაგახსნევინებს, ნუ ბლატაობ თავადაც გახსნის რომ მოინდომოს, გაეცინა ცოტნეს.

-როგორ გეკადრება! ნიკას ხელფასის 80 პროცენტი ჩემს ფირმას ერიცხება ოფიციალურად, პრემიები და რეკლამებისგან შემოსული მთლიანად.

-რატომ? მე არავის გადავურიცხავდი! გაიჭიმა ცოტნე.

-ეგ ვიცით, ზურას გაეცინა.

-მე ვიყენებ ნიკას ფულს ბიზნესში, ვაბანდებ. ჩემი ძმა ისეა ფეხბურთზე ჩაციკლული თამაშს, რომ დაანებებს თავს თუ კლუბი არ ვუყიდე ისე ვერ გადარჩება და ამისთვის ბევრია საჭირო.

-მაგარია..გაეცინა ცოტნეს.

-ელენე მოგვიყევი როგორ ხართ, ნიკა როგორაა, ძალიან გადატვირთლია სულ თამაშები აქვს, ზურამ შვილს ხელი დაადო და მოეფერა.

-კარგად მამა, ხო ნიკა იღლება ძალიან. მეც ვსწავლობ, ცოტა მიჭირს, ძნელია, მაგრამ იმედია დავძლევ.....უზარმაზარი თეთრი ვარდები შემოიტანეს, ელენეს გაეღიმა.....სწრაფად ნახა ბარათი, ძალიან უხაროდა, უხაროდა, რომ მისგან იყო..ბარათმა ყველაფერი ჩამოკაწრა....

-რა იყო ელე? ცოტნემ სერიოზული სახით ჰკითხა. ვისგანაა?

-დრამანისგან, გაიღიმა დაძალებით ელენემ.

-ვااა სად შეგვიძლია, მერე რატო მოიღუშე?

-არ მოვღუშულვარ ცოტნე, უაზრო რაღაცებს ნუ ამბობ..

-ნიკასგან გეგონა..

-დედა უთხარი გაჩუმდეს!

-კარგი შენ მართლა გგონია დრამანმა გამოგიგზავნა? იმას არ იცნობ, ასეთ რამეს უბრალოოდ არც ჩათვლის საჭიროდ მოიფიქროს! ნიკასგანაა რა! ალბათ რაღაც მოახერხე და აწყენინე, იმან კი ბოლომდე ვერ გაგიმეტა. ცოტნემ გაიცინა და თვალი ჩაუკრა.

-მაგ თვალებს ამოგთხრი ცოტნე! ნუ ბოდიალობ.

-მოვარტყვი! გადაიხარხარა ცოტნემ. ეგაა რა! ზურა ცოტა დაიძაბა და ამიტო ცოტნეც გაჩერდა.

-ელენე ჩემი საჩუქარი როდის მოგცე? ჰკითხა ცოტნემ.

-არ მინდა შენგან არაფერი.

-ჩათვალე მოგეცი ისედაც არაფერი წამომიღია!

-დიდად დამავალე!

-ვიცოდი გაგახარებდი.....

-თქვენ რა დღეში ხართ, გაიცინა მათემ.... ელენე სულ უფრო მოიღუშა, ლამის იტირა... ცოტნემ რომ შეხედა ყველაფერი ჩაეწვა, საცეკვაოდ გაიყვანა ძალით და ჩაეხუტა....

-რა მოხდა ელე? ასე რატომ ხარ?

-შენ გამაბრაზე....დაიდუდღუნა ელენემ.

-კარგი რა, შენ ხომ იცი, რომ მე ვიცი როგორი ხარ... ნიკასთან რა ხდება? არ მინდა ჩარევა, მაგრამ თუ ისე არ იქცევა....

-რას ამბობ ცოტნე!

-მე პირადად მისი იმედი უფრო მაქვს ვიდრე შენი, ვიცი შენ როგორი რთულიც ხარ, მაგრამ თუ ის რამე საზღვარს გაცდა იცოდე შეგიძლია..

-არა ცოტნე..ჩემი ბრალია, ვაწყენინე, აეტირა ელენეს და ცოტნეს მიეხუტა, ცრემლები, რომ არ შეემჩნიათ.

-ძალიან თუ ისე რა?

-ძალიან!

-რა მოუსვენარი ხარ ელენე.... მათემ დიდ ხანს უყურა და-ძმას, რომ არ ჯდებოდნენ, ელენე უკვე შესამჩნევად ტიროდა და ცოტნემ გარეთ გაიყვანა.

-სად ხარ?

-მადლობა მოვიგეთ მათე, დაიყვირა ტელეფონში ნიკამ....

-სად ხარ მართლა!

-რა იყო რამე მოხდა?!

-არ ვიცი, მაგრამ შენი ცოლი თავის დაბადებისდღეზე უკვე შესამჩნევად მოწყენილია და ....

-რატოა მოწყენილი რამე მოხდა?

-ნიკა მე რა ვიცი რატოა მოწყენილი, მე მგონია შენ უნდა იცოდე.. მოდი რაც არ უნდა იყოს..

-ხო მოვდივარ, გზაში ვარ ისედაც....

ცოტნემ ცოტა დაამშვიდა ელენე, თმაზე ეფერებოდა და აცინებდა....

-არ მინდა შემამჩნიოს, რომ განვიცდი..

-რატომ გინდა იფიქროს, რომ ფეხზე გ.კიდია? ეს უფრო სწორია?

-ცოტნე კარგი რა.....შევიდეთ, თორემ მამა მიხვდება, რომ შევიდნენ უკვე ქართლი სიმღერაც იყო ცოცხალი შესრულებით, მართლა ძნელი იყო გეგრძნო, რომ საქართველოში არ ხარ.....ნახევარსაათში ნიკაც მოვიდა, ელენე მთლიანად დაიჭიმა, სულიც და სხეულიც, რაღაცნაირად დაეძაბა..... შავი ჯინსი და კუბოკრული პერანგი ეცვა, მხიარულად შემოვიდა, ზურას და ნინოს მიესალმა, ყველაზე მეტად დედამისის და ნიკას შეხვედრის ეშინოდა ელენეს, ნიკას არაფერი შეუმჩნევია, ცოტნე გადაკოცნა და მათეს თავზე აკოცა....

-რა ხდება ნიკა, რა ქენით არ მაყურებინეს თამაშს?

-მოვიგეთ, დიდი არაფერი იყო, აუთსაიდერს ვეთამაშეთ.

-გოლი ვინ გაიტანა? შეეკითხა მათე.

-დრამანმა გაიტანა ორი, ჭკუაზე არ იყო! ძლივს გამოვექეცი.....

-ბელთაური არ გადირკეს?

-კი, უნდა გენახა იმისი სახე წაშლილი იყო, მაგრად გაუტყდა იმ გუნდისგან. თან პირველი იმათმა გაიტანეს და სტადიონი ლამის დაინგრა....

-აუ მინდოდა ყურება რა...

-არ იყო საინტერესო, მართლა..საერთოდ არ იყო სანახაობრივი.....

-რატომ არაფერს ჭამ? მოულოდნელად იკითხა ელენემ, თანაც ისეთ ხმით თითქოს დიდი ხანი ემზადებოდა და ბოლოს ხმა ვეღარ დაიმორჩილა....

-გადავიღებ, მადლობა..ნიკამ სალათა გადაიღო, მანამდე კი მათესთან გადაამოწმა ჩუმად მისი თეფშის „წარსული“. მათემ აგრძნობინა, რომ სულ ახალი იყო თან 2 ჯერ გარეცხილი.

ბოლოს მათე და ცოტნე ერთად წავიდნენ კლუბში, ნიკამ თავი გაიგიჟა არაფრით გაუშვა ნინო და ზურა სასტუმროში..... ელენე გრძნობდა, რომ ასეთ ცუდი დაბადებისდღე არასოდეს ჰქონია, გრძნობდა, რომ ასეთ ცხოვრებას შეჩვევა არ უნდოდა....მორიდებით გაიხადა ტანზე და სწრაფად გადაიცვა ღამის პერანგი..

-მათემ მითხრა, რომ დღეს მოწყენილი იყავი..

-არა არ ვყოფილვარ....

-მათე არ იტყუება ხოლმე, არც ცდება.... ელენე მართლა თავს ძალიან დამნაშავედ ვგრძნობ, ძალიან უხერხულად, თუნდაც შენს მშობლებთან....

-რატომ? შენ რატომ გრძნობ თავს დამნაშავედ....

-საკმარისი პასუხისმგებლობით არ მოვეკიდე ეტყობა ამ საკითხს, შვილები არ მყავს, მაგრამ მყავს და და ვიცი, როგორი ძნელი იქნება უყურო ცოტათი დამწუხრებულსაც კი..წარმომიდგენია ცოტნე და მამაშენი დღეს ძალიან იმედგაცრუებულები იქნებოდნენ, დედამ ხომ ისედაც იცის.....მართლა არ მინდა ვინმეს უბედურების მიზეზი ვიყო, არც მოჩვენებითობა შემიძლია..ისიც ვიცი, რომ სანდრო თავს არ განებებს, ელენეს სხეული დაეწვა.. ცოლს გაშორდა და აქაც იყო ჩამოსული....

-მე..მე... ელენე სულ დაიბნა..

-ვიცი, ვიცი რომ თავიდან მოიშორე, თანაც ძალიან მკაცრად და ამის გამოც არ ჩათვალე საჭიროდ მე გამეგო, ისიც ვიცი, რომ სწორად მოიქეცი. მაგრამ თუ შენ მის მიმართ, ანუ ხომ ამბობდი, რომ გიყვარდა..ნიკას მართლა გაუჭირდა ამის თქმა. ელენეს კი თვალები აენთო..

-რა? რისი თქმა გინდა პირდაპირ თქვი ნიკა!

-თუ გიყვარს ჯობია მასთან წახვიდე! ელენემ მთელი ძალით გაარტყა, ისეთ მრისხანება ჰქონდა ჩადგმული თალებში ნიკა გაშრა....

-შენ მე ნივთი ხომ არ გგონივარ? გასაყიდი საქონელი? ცხოვრელი რომელმაც არ იცის რა უნდა? შენ ვერ მასწავლი სად ჯობია ყოფნა, შენ მე ვერ მომექცევი ასე უსულო საგანივით, რას ნიშნავს თუ მიყვარს ჯობია წავიდე? რას ნიშნავს ეს ქმრისგან გამაგებინე? რას მეუბნები ამით? შენ გგონია მე იმდენად გარყვნილი ვარ შენი ცოლი რაც გავხდი იმაზე საერთდ ვფიქრობ? საერთოდ ვინმეზე, ელენე მარტო იმიტო არ ყვიროდა, რომ მშობლებს არ გაეგოთ....

-მეორედ არ გაბედო ხელის გარტყმა!!!! და გაჩერდი!

-გავჩერდები, საერთოდ არ გამცე ხმა! საერთოდ არაფერი მითხრა თუ ამის გარდა სხვა არაფრის თქმა არ შეგიძლია, გული მერევა, გული მერევა იმაზე რაც მითხარი....

-გული მხოლოდ ამაზე გერევა? მე ბევრ რამეზე!!!!!!

ელენეს გაბრაზების თავიც არ ჰქონდა, საბანი აიღო და დივანზე გადავიდა დასაძინელბად....

რამდენჯერმე ჩაეღიმა ნიკას, ელენეს სიტყვებს ისეთი წყლის სუნი ასდიოდა, რომ ვერაფრით გაბრაზდა....ვერაფრით დათმო იმ დღის მშვიდი ძილი.

ელენეც სულ შეიცვალა, ბრაზმა სულ გააგიჟა, არ აქცევდა ყურადღებას, არც ნიკა, არც არაფერს უდუღებდა და აღარც ჩაი უცივდებოდა, სწავლობდა ძალიან ბევრს, ოთახში მხოლოდ მაშინ შედიოდა ძალიან , რომ ეძინებოდა, არც ერთმა დათმო ოთახი, ამიტომ ერთად ეძინათ.

-შენი მხარი გადმოცდა ჩემს ნახევარს!

-არ უნდოდა აპატიე, დაღლილია!

-გაიწიოს! თითით სასაცილოდ ანიშნებდა ელენე, ნიკა თვალებს გადაატრიალებდა და ნახევარ მხარზე იძინებდა. ელენე კი გამარჯვებული იღიმოდა.

-თითები გაწიე ჩემს ბალიშზე გიდევს! ელენეს თან ეძინა და ეს სიტყვები ჩაესმოდა.

-დამენებე თავი მეძინება!

-ხო და შენს ნახევარზე დაიძინე!, გაბრაზებული შეალაგებდა ხელებს თავის ბალიშში.

უნივერსტეტში ბევრი მეგობარი გაიჩინა, მთლიანად სწავლაზე გადაერთო, ფრანგული ცოტა ესმოდა უკვე და ისეც აღარ იტანჯებოდა, წვეულებებზე სიარული დაიწყო, სადაც კურსელები მიდიოდნენ, ნამდვილი სტუდენტობა ჰქონდა, ევროპული....გვიან სიარულს ერიდებოდა, მაგრამ ცოტათი მისი გაბრაზებაც უნდოდა, ვერაფერს ახერხებდა, არ გამოდიოდა ნიკას გაბრაზება...

-დღეს მივდივართ კურსელები ბარში, რამე ხომ არ გინდოდა?

-მე? არა რა უნდა მინდოდეს, ჩვეულებრივად აიჩეჩა მხრები ნიკამ და წვენი დაისხა...

-აი აქ, ელენემ ფურცელი გაუწოდა დემონსტრაციულად, ნიკამ უხალისოდ დახედა ფურცელს, სადაც ბარის სახელი ეწერა, ელენე ვერაფრით გამოთქვავდა.... სახე ცოტა წაეშალა, მაგრამ მალევე დაიმორჩილა..

-თუ გინდა მძღოლს ვეტყვი..

-არა არ მინდა, გაღიმებული ელენე ოთახში შევიდა, მუხლზე ოდნავ ზემოთ იყო მისი ატმისფერი კაბა, თმა გაშლილი ჰქონდა და დატალღული, მკვეთრი, მაგრამ უპრეტენზიო მაკიაჟი გაიკეთა და ოთახიდან გამოვიდა, ისე გამოდიოდა, რომ ნიკა ვერ დაინახავდა..ესე წასვლაც არ უნდოდა, მერე აზრი ეკარგებოდა მთელ მონდომებას..

-ნიკა?

-ხო? სამზარეულოდან გამოძახა არც გამოსულა....

-შენ სახლში იქნები თუ გასაღები წავიღო....

-სახლში ვიქნები. ისევ იქიდან გამოძახა მენაბდემ. როგორ ეზიზღებოდა ის სამზარეულო, რომ უბრალოდ არსებობდა..რომ იქიდან არ გამოსულა.....როცა ბარში შევიდა უხერხულად იგრძნო თავი, აშკარად არ უნდოდა იქ გაჩერება, არ იყო ჩვეულებრივი სიტოაცია, ნახევრად შიშველი ქალები სასმელით ხელში დადიოდნენ, ალკოჰოლის და ნიკოტინის მჭახე სუნი რაღაცისაში იყო არეული....ამაზრზენი ხმაური იყო, დაბინდული განათება, მამაკაცების ცეკვა.....ყველაფერი აეწვა, რა ჯანდაბა აუნდოდა იქ....მეგობრებმა არც დააცადეს რამე ეთქვა სანამ ელენემ რამის თქმა მოახერხა იმათ ენაზე, შიგნით ღრმად შევიდნენ და ცეკვა დაიწყეს, ელენეს უკვე ყველაფრისგან თავბრუ ესხმოდა, ძულდა თავი იქ რომ იყო, ალბათ ცოტნე გაგიჟდებოდა იქ, რომ თვალი მოეკრა ელენესთვის...მერე უაზრო შეხებები იგრძნო, ვერც არკვევდა ვინ იყო..იმდენი ხალხი ირეოდა და ისეთი განათება იყო....გასასვლელსაც ვეღარ ხედავდა, ჩანთა ძლივს გახსნა და ტელეფონი ამოიღო, ძირს დაუვარდა, რამდენიმე წუთი იმას ეძებდა ჩაცუცქული, ვიღაცები დაეჯახა, ხალხი წააქცია, საშინელი ხმები ესმოდა. თავს იწყევლიდა იქ რომ შედგა ფეხი.... ხვდებოდა, რო ჩვეულებრივ ბარში არ იყო, ამაზრზენი მუსიკა და ვნებამორეული კაცები სცენას თვალს რომ არ აშორებენ, არ ენახა აქამდე, სადამდე იყვნენ ქალები მისულები, ისეთ ქალები, ახლა კი უნდოდა რაღაც ძალას ის ბოძები მოენგრია და სადღაც ქვესკნელში ჩაეტანა..არც იცოდა სად მიდიოდა, მაგრამ უნდოდა იქაურობას მოშორებოდა, კურსელს ტელეფონი გამოართვა, თავისი ვერ იპოვა..ნიკას გარდა ვერავისთან დარეკავდა, სულ მარტო იყო იმ ქალაქში.

-ნიკა, ნიკა შენ ხარ?

-ხო ელენე საიდან მირეკაავ?

-მეგობრის ტელეფონია ჩემი დავკარგე, ნიკა გევედრები მოდი რა აქ, ფურცელზე რომ გაჩვენე იქ ვარ....მანდ რა ხმაურია?

-მოვიდე? მშვიდად შეეკითხა ნიკამ.

-ხო, გეხვეწები მოდი, ახლა არ მაქვს ჯიბრის თავი.

-ანუ მოვიდე? გაეცინა ნიკას..

-კი ნიკა მოდი, მანდ რა ხმები მესმის სად ხარ ხომ მითხარი სახლიდან არ გამოხვიდოდი?

-რაღაცა როლების შეცვლის სუნი დგას, მაგას ქმრები ამბობენ ცოლებს, რომ სახლში ტოვებენ.

-ნიკა გეხვეწები დღეს მოდი და სხვა დროს აღარ დამჭირდება შენი დახმარება, გეფიცები....

-მართლა გინდა მოვიდე?

-ნიკა. გეხვეწები, ახლა არ ვიცი სად ვარ შეყუჟული, ქალების ოთახია თუ რაღაც არც ვიცი, გეხვეწები მოდი იქ გასვლა არ მინდა, ვიღაცები მიკაკუნებენ,საწვავის ფულს დაგიბრუნებ..

-მხოლოდ საწვავის ფული? მომსახურება? ტანსაცმხლის გამოცვლა, სახლიდან გამოსვლა, მანქანის დაქოქვა..მერე საათნახევარი გზაში ყოფნა..

-რა ამდენი ხანი სად გელოდო? რა გავაკეთო? ნიკა ცუდი სუნია აქ, ვერ ვძლებ...

-თან ცუდი სუნიც ყოფილა, აბა მანდ რა მინდა ელენე...

-ნიკა ნუ გამაგიჟებ! ატირდა ელენე,მოდი არ ვიცი სად ვარ, ძალიან ცუდად ვარ, არ მინდა აქ ყოფნა.....სახლში მინდა, გეხვეწები... ნიკას შეეცოდა ისეთ ხმა ჰქონდა....

-კარგი ელენე გამოდი, გარეთ ვარ!

-რა აქ ხარ? ნიკა უკვე აქ ხარ? ახლავე გამოვალ, შენც შემოდი ცოტაზე, კარგად კი ვერ გამოვაგნებ, არ ვიცი გასასვლელი საითაა, რაღაც უცნაური ადგილია..შემოდი გეხვეწები.....

-გამოდი ოთახის გარეთ ვარ და უკვე მერამდენედ გიკაკუნებ ელენე!

-შენ აკაკუნებ? ისეთი ძალით გამოაღო კარები ეგონა გამოგლეჯდა....

-აქ ხარ?

-ხო, ნიკას ხმა გაიგონა და უკვე ამ ადგილმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა.

-ხელი მომკიდე, ელენე გაფაციცებით ეძებდა ნიკას....

-კარგი დამშვიდდი, ნიკამ მხრებზე ხელი დაადო და გასასვლელიკენ გაიყვანა... ელენე ძლივს სუნთქავდა, მანქანაში სწრაფად ჩაჯდა....ნიკა კი ტანსაცმელს იფერთხავდა, და საშინლად იჯღანებოდა იმ სუნზე რაც იმ ადგილიდან გამოყვა, იმ სიცივეში ჩამოწეული ფანჯრებით იმგზავრეს, ნიკას სხვა რამე არც დაუშვია, ელენეს არ გაუპროტესტებია.

-არ ვიცოდი ასეთ ადგილი თუ იყო. დასჯილი ბავშვივით თქვა....

-მეგონა საერთოდ იცი ხოლმე სად მიდიხარ, ამიტომ აღარ გითხარი.

-შენ რა იცოდი? ელენე დაიძაბა.

-ხო მაგრამ რა აზრი ჰქონდა შენთვის თქმას.

-მაგას კი არ გეუბნები, ესე იგი იცოდი ანუ დადიხარ ხოლმე? რაა ჯანდაბას აკეთებ იქ!!!! ელენეს ეტყობოდა, რომ ჩვეულებრივად ეჭვიანი არ იყო, უფრო რთლ კატეგორიაში გადიოდა.

-როგორ? ნიკამ ისე ჰკითხა, რომ აგრძნობინა ეს მისი საქმე არ იყო....

-არ ხარ შენ კარგი ადამიანი!

-ისე მირჩევნია პირში მითხრა ხოლმე და არა ზურგს უკან! ელენეს ყველაფერი ჩამოეკაწრა.

-გარყვნილიც ხარ! ნიკას გაეცინა....უკვე შესამჩნევზე მეტი გახდა ელენეს ეჭვიანობა.

-იმედია არ ფიქრობ, რომ მასეთ ადგილებში ფეხს მაინც ვდგავ, შენგან განსხვავებით, დააყოლა....

-სად შეგვიძლია, მენაბდე როგორ...როგორ იკადრებს....

-არ ვიცი, შეგიძლია იხუმრო რამდენიც გინდა, მაგრამ ამ ეტაპზე ერთადერთი ხარ ამ ქალაქში ვის გამოც მასეთ ადგილზე შევიდოდი, იმიტო რომ ახლაც ეს გულისრევის შეგრძნება მაგიჟებს, მხოლოდ ის მინდა რაც შეიძლება სწრაფად შევიდე აბაზაანაში და ეს ტანსაცმელი გადავყარო.. ელენე გაჩუმდა....პირველად იგრძნო, რომ ნიკას წიკები მისი მეგობარი იყო ამ შემთხვევაში, თანამზრახველი.

-სხვა არავის გამო შეხვიდოდი? უკვე ესიამოვნა.

-არა! შენ აქ მარტო ხარ, სხვა ვერავის დაურეკავდი, ვერავინ დაგეხმარებოდა, თან ჩემს ცოლად ითვლები და მართლა არ მინდა ამ დროს ისეთ რამე მოგივიდეს სადაც ჩემი ბრალი იქნება რამე. „ცოლად ითვლები“ იმაზე მტკივნეული იყო ვიდრე იფიქრებდა, ელენე ამ სიტყვებს შეახმა. სახლში უხმაუროდ ავიდნენ, აღარაფერი უთქვამთ, ელენეს აღარ ახსოვდა მის გამო, რომ გამოიპრანჭა, არც ნიკას მზერა დაუნახავს რამდენიმე წამი თვალი, რომ ვერ მოაშორა, აბრჭყვიალებული თვალებით შევიდა აბაზანაში....ძალაგამოცლილი იყო, მშვიდად გადაშალა საბანი და შიგ გაეხვია...

-ნიკა..

-რა იყო ელენე...

-შენ იქ იყავი..ეს ჩაიბურტყუნა დაწოლიდან დაძინებამდე შუალედში და მკვდარივით ჩაეძინა, ნიკამ საბანი კარგად დააფარა და გაეღიმა....

.....

„როცა არ იცი საით წახვიდე ნაბიჯი გადადგი წინ“

საღამოს წყნეთის გზას დაადგა, იცოდა მძიმე იქნებოდა, იცოდა შეიძლებოდა მის ნებისყოფას ვერ გაეძლო....გარეთ არავინ დახვდა, არც ვინმე შეხვედრია, დემეტრე კაბინეტში იჯდა და მხოლოდ ხელით ანიშნა შესულიყო.

-დაჯექი ნიკოლოზ! დემეტრე კარებთან მივიდა და გადაკეტა. ნიკა სავარძელში ჩაეშვა და დაელოდა მამის სიტყვებს.

-მე არ მინდოდა, არ მინდოდა ამაზე დალაპარაკება, მაგრამ აღარ შემიძლია ასე ვუყურო ჩემს შვილიშვილს! შენ მე კაცი მგონიხარ, მგონია ასეთად გაგზარდე, შენ კი 13 წლი ბავშვს ეჯიბრები, არ უთმობ, პირველი ნაბიჯი იმან გადმოდგა ესეც არ მიიღე...ნიკა არ მინდა დაგავიწყდეს, რომ

მამა ხარ, მამა გესმის, ვერ წარმოიდგენ რამხელა პასუხისმგებლობა გადევს მხრებზე. დემეტრეს რას ერჩი? თუ შენ ფეხბურთი დაკარგე იმან რა დააშავა? რა შუაშია ის ბავშვი რომელსაც 3 წლის ასაკიდან ისე ექცევი თითქოს კაცი იყოს, ბავშვია გესმის! ბავშვი რომელსაც მამა არ ჰყავს!

-ვიცი, რომ მამა არ ჰყავს, ისე მელაპარაკა თითქოს იმისი უბნის ბიჭი ვყოფილიყავი! ნიკამ რისხვით გამოკვეთა ეს ფრაზა.

-რა ასწავლე? რა ასწავლე და რა ვერ ისწავლა? რას ითხოვ რაც არ მიგიცია? მითხარი რამე ჩადე იმ ბავშვში შენ კონკრეტულად, რომ შენ მიგეღო რამე? შენ რა იცი როგორ წვალობდა ელენე! შენ წარმოდგენა არ გაქვს, არაფერი გაინტერესებდა, არც ის, რომ სიცხისგან იკრუნჩხებოდა, არც ის რომ შენს სახელს ბოდავდა ხოლმე შენი შვილი, შენ კიდევ ხან რომელ ქალთან გიპოვიდით და ხან რომელთან! დემეტრე უყვიროდა. რა კააკეთე ამ წლების განმავლობაში სრულყოფილებას, რომ ითხოვ ოჯახისგან? რა დაიმსახურე ასეთ გამარკვიე? ჩემი შვილი ხარ, მაგრამ მეც არ მესმის შენი, სხვას როგორ მოვთხოვო? ელენე დატანჯე, აწამე ნიკა, რასაც ჰქვია აწამე, მაგრამ ჩემთან ერთხელაც არ უთქვამს, მხოლოდ ის ვიცი რასაც ვხედავდი, რა უმსგავსოდაც იქცეოდი..

-მამა გთხოვ რა, მე ეს ყველაფერი ვიცი და ახლა არ გინდა...

-ნიკა ვცდილობ გამოგაფხიზლო, ვცდილობ გაგრძნობინო, რომ შვილი არ უნდა დაკარგო, შვილებს არ კარგავენ!!!! თუ კარგავენ თავადაც იკარგებიან, იშლებიან ნიკა!

-მამა ნუ ყვირი გთხოვ!

-რამ მიგაჯაჭვა ასე იმ ფეხბურთს, რამ გადაგიტრიალა ტვინი! რა ნახე ასეთ იმ თამაშში, რომ ყველა და ყველაფერი იმას შესწირე, ყველა გვაწამე ამის გამო...

-მამა..

-ხო მეც, დედაშენიც, მათეც, ელენეზე და მის ოჯახზე აღარც კი ვამბობ, შენს შვილებზე უბრალოდ აზრი არ აქვს, შენ იმათ ფსიქოლოგია დაუმახინჯე, რას უყურა დემეტრემ? უყურა მთვრალ მამას, როგორ ჩხუბობს, როგორ არ სცემს დედამის პატივს როგორ ყვირის ყველაფერზე, როგორ ექცევა დედამის, როგორც ნივთს, როგორ აიძულებს ცოლს მასთან დაწოლას!!

-გაჩუმდი!!!!! დაიღრიალა ნიკამ...

-ეგ არასოდეს უნახავს!!!! ეგ არ გაიმეორო!!!!!! დემეტრეს არ უნახავს, არა.....ნიკას ფერი სულ დაეკარგა და გალურჯდა, ხელები გაეყინა....რამე გითხრა? მამა რამე გითხრა დემეტრემ? რამეს ხომ არ ხვდებოდა? ძალა აღარ ჰქონდა მაგრამ მაინც არ ჩერდებოდა. დემეტრე უძრავად უყურებდა შვილს. თვალები წყლით აევსო, მზერა რომელმაც ნიკა გაყინა...მამამისი თვალს არ აშორებდა და თითქოს გრძნობდა როგორ დაეხვრიტა სხეული, როგორ ხვრეტდა უმოწყალოდ მამა....

-შენ რა მართლა აიძულებდი? კითხვის ფორმით ჩამოყალიბებული სასჯელი იყო ეს წინადადება....

-არა არასოდეს გამიკეთებია, მაგრამ ვტანჯავდი...ძალიან ვტანჯავდი, იმ ყველაფრის გამო, ნიკა გაჩერდა, მერე სიმართლის თქმა მოუწევდა და არ უნდოდა.. დემეტრემ მთელი ძალით გასცხო.....

-ჩემი გვარიც კი მეზედმეტება შენთვის! მეზედმეტება ის, რომ ჩემი შვილიშვილი მაინც შენთან დალაპარაკებაზე ოცნებობს, მეზედმეტება ჰაერი, რომელიც ფილტვებს გივსებს, მინდა გაგგუდოს! ნიკა ისე იყო დაშლილი, დანაწევრებული, რომ წამოდგომას არც ცდილობდა..

-დემეტრე აუცილებლად იქნება უკეთესად! მაგრამ მე არ ვაპირებ შევიცვალო მასთან, ვერ გადავხარშე ჯერ მისი ნათქვამი, ისე გარჩეული საქმე თითქოს მისი ძმაკაცი ვყოფილიყავი, თანატოლი, ისე აგდებით მელაპარაკებოდა....ვიმსახურებდი თუ არა ეს ცალკე საკითხია....არ ყოფილა ერთი დღე სახლში როცა არ მიყვარდნენ! არ უნახავთ ბავშვებს მე და ელენეს უსიყვარულოდ ცხოვრება! სიყვარული ჩვენთან იყო, იყო მაგრამ სხვანაირად, მაგრამ მაინც იყო! ეს უნდა ესწავლა, უნდა ესწავლა, როგორ დაენახა ის რაც უფრო ღრმად არის ვიდრე ჩანს..ანასტასიამ შეძლო, მაგრამ დემეტრემ ვერ!!!!შენ წარმოდგენაც კი არ შეგიძლია მე როგორ ვიყავი, რომ წარმოიდგინო მაშინ შენ უნდა იყო მე, ამას ვერავინ გაიგებს,ამას ვერავინ ახსნის და ყველა მე გამამტყუვნებს, გამამტყუვნებს იმიტო, რომ ადვილია ადვილია სწორი და მართალი გაარჩო, როცა ასე უმოწყალოდ არ გაგლიჯავს ემოციებს, ორგანოებს ის განცდები, როცა სასოწარკვეთა არ ღრიალებს სხეულში, როცა რწმენა გაგიცამტვერდა.. ნიკა დაჭიმული და დაძარღვული ლაპარაკობდა, ხმამაღლა მაგრამ ყვირილის გარეშე.... რომ გაიღვიძო და არც ერთ კიდური არ გქონდეს, რომ არ გქონდეს ის ყველაფერი რასაც აშენებდი, გეგონა აშენებული იყო და თურმე არა, თურმე არავინ გენდობა, ის ერთი არ გენდობა ვისი ნდობაც იყო ყველა. მამა შენ ამას ვერ გაიგებ ვერც ვერავინ გაიგებს და არც მინდა, მე მე ვარ....ჩემი წარსულით, ჩემი წაშლილი ცხოვრებით, აყროლებული და დამპალი სინდისით..მაინც ვერავინ გაიგებს, ვერავინ მიხვდება რას ვამბობ, იმიტო რომ ვერავინ განიცდის იმას ისე, როგორც მე!!!!! დემეტრე გაქვავებული იდგა, ვერც კი დაიჯერა რომ გაარტყა, ეს ვერც შვილის მზერაში და ვერც ლაპარაკში დაიჭირა.....ნიკა მძიმედ წამოდგა და ოთახიდან გავიდა, მანამდე ნახევრად შემობრუნდა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა.

-შენ მხოლოდ მართალი ხარ მამა.... ეს იყო სიტყვები რომლის მოსმენც უნდა ყველა შეცდომის შემდეგ ადამიანს, ეს იყო საქციელი, როგორიც უნდოდა ნიკას მისი შვილისგან, ახლა იგრძნო უფროსმა დემეტრემ რას მოითხოვდა ნიკა დემეტრესგან.....არც კი დაუშვია, რომ მამამისთან ამის გამო ხმას აუწევდა, არც ის გარტყმული ჩაუთვლია მის გონებას ზედმეტად, შეგრძნებები კი დამცირების ყველაზე ღრმა ფორმას ღრიალებდა სულში.

მანქანა სკოლასთან გააჩერა და კომბინიზონიანა შევიდა შენობაში..

-სად ხარ პელიტო ამდენ ხანს? მათე კარგ ხასიათზე ჩანდა.

-რავიცი დამაგვიანდა ხომ..გაბრუებული იყო ნიკა.

-დაგაგვიანდა კი, მაგრამ არაუშავს მე საქმის კურში ვარ და ყველაფერს ვაკონტროლებ....

-სად შეგვიძლია.....ბელთაური სად არის?

-მოედნის საფარს ამოწმებს. ფორმები ავარჩიეთ, მათემ წინ სურათები დაუდო..

-კარგია, მთავარია ბარსელონას ფერები არაა.

-არც რეალის, ოთახში თამაზი შემოვიდა და ჩაიცინა.

-ავი ძაღლი!!!!

-არა კონფლიქტის აცილების საოცარი ხერხი....

-ურო...

-მე კმაყოფილი ვარ! თაროზე ჩამოჯდა ბელთაური..

-თაზო დღეს სკოლის მერე ლევანი მოვა და მიაქციე ყურადღება, მეორე სართულზე არ ამოვიდეს, არაა საჭირო. ძალიან ბევრ საქმესაც ნუ მისცემთ, მაგრამ არც მარტივი იყოს.

-ეს ლევანი ვინაა? ჩაეკითხა მათე.

-გლავნი როჟაა 13-14 წლის ასაკიანებში, ახლა ნიკა მაგ ასაკში ერკვევა მაგრად, სად ცალია დიდების საქმეებისთვის, ხახარხარდა ბელთაური..

-რას ბოდავს?

-რა გინდა მართალს ამბობს, გაეცინა ნიკასაც.

-ნიკა ეწევა აღმზრდელობით ღონისძიებებს!

-არაფერს ვეწევი, უბრალოდ ის მაინც ვიცი ზუსტად, რომ დრო აღარ დარჩება სხვა საქმეებისთვის.

-რა გაუკეთე აქ რომ დაგთანხმდა?

-მაცალე, საიდუმლოა, რომ მოვა გამაგებინე, ახლა საქმე, რომ გვაქვს ვერ გრძნობთ? საშხაპეებში დასამონტაჟებელია რაღაცები სანტეხნიკოსი რომელზე მოვა? მწვრთნელების გასაუბრებისთვის ოთახი მოამზადებინეთ და უკვე მიღება გამოვაცხადოთ....

-რა სწრაფი ხარ შენ, გვაცალე ცოტა....

-კარგი გაცდით უბრალოდ ეს ყველაფერი გავაკეთოთ ჯერ!

-რა ტიპია, არ შეგეწინააღმდეგება, მაგრამ მაინც თავისი გააქვს, ჩაიხითხითა თამაზმა, გვაცდის, აცადე გვაცდის, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, ეგ რა დაცდაა თუ შეიძლება აგვიხსენით.

-ბელთაური შენ ენერგიას ხიხია რაღაცებზე ნუ ხარჯავ....

-ჩემს ცოტნეს და ბარბარეს ერეკლეს, სხვათა შორის შენს დემეტრესთან ერთად აქვთ თამაში, ორ კვირაში.. ნიკას სიცილი აუტყდა.

-ორი კვირის მერე თამაშზე ახლა მეუბნები..

-მაცალე შენ ახლა, ჩემს ცოტნეს და ბარბარეს ერეკლეს ძალიან უნდა, რომ დავესწროთ, შენს დემეტრეზე აღარაფერს ვამბობ!

-მათე ეს აკადემიური წინადადებები არ გინდა რა..

-ნუ მეტლიკინები შენზე უფროსი ვარ, ორი კვირის მერე არის თამაში და ძალიან მინდა წამოხვიდე....მერე არ მოიმიზეზო.

-ვნახოთ რა....რაღაცები გადაშალა მენაბდემ და რიცხვებს ჩააცქერდა.

მენამდე ლევანს არც შეხვედრია, კომბინიზონი დაახვედრეს და საქმეც მისცეს, ყიფიანი ელოდებოდა, როდის ჩამოეხწეოდა მისი უფროსი, მაგრამ არც ჩამოუდგავს ფეხი, მთელი დღე მუშაობდა და იმაზე ფიქრობდა სკოლის გახსნისთვის, რომელი ფეხბურთელის ჩამოყვანა შეიძლებოდა.... ყიფიანი მთელი დატვირთვით ამუშავეს და სახლში დაღლილი და განადგურებული წავიდა, გულში სულ იგინებოდა და ილანძღებოდა. „კრიჟანი იდიოტი“ გაიძახოდა გონებაში ყიფიანი.

ანასტასია სახლში კრუსუნობდა, ოთახიდან ოთახში წუწუნის სურნელი იღვრებოდა..

-რატო ოხრავ ტასო? გაუცინა ელენემ

-მეზობლები მინდა, დემეტრე გაიზარდა აღარ მეთამაშება, მე რა ვაკეთო ამ დროს?

-მე და შენ ვითამაშოთ რაც გინდა, მერე ჩემთან სამსახურში წავიდეთ იქ ხომ ხატავ და ერთობი თამრიკო დეიდასთან ერთად.

-სულ არ ვერთობი მე....სხვა გზა არ მაქვს უბრალოდ, ჩემი კლასელი ნატო და თაკო ახლოს ცხოვრობენ და სულ ერთად არიან. მერე მე იმდენს არ მელაპარაკებიან ხოლმე, თითქოს იქ არც ვარ....

-გინდა აქ დავპატიჟოთ დე? ნატო და თაკო აქ მოვიყვანოთ, ნამცხვარს გამოგიცხობთ, შოკმაჟე, კითხე კიდე რაც უყვართ და მთელი დღე აქ ვიყოთ.. ანასტასიას სახე გადაეწმინდა..

-ერთხელ ვუთხარი და ასე მითხრეს მშობლები არ გამოგვიშვებენ შორს ცხოვრობთო...

-მე დაველაპარაკები მშობლებს, ვეტყვი რომ მერე ჩვენ მივიყვანთ სახლში ბავშვებს...შენ არ იარო ასე გაბუსხულმა ოღონდ.... ძალიან სასაცილოდ იფუზები..

-გვანცასაც ვეტყვი მაშინ და მარისაც, დაიგრიხა ტასო..

-კარგი უთხარი შე პატარა, ხომ მომეხმარები? ანასტასია მთელი დილა დახტუნაობდა, ფქვილიანი ხელები ეწყო პატარა ჯამში და ვითომ აკეთებდა რაღაცას, არადა იმ მომენტში მართლა ეგონა თუ დაიღლებოდა და აღარ გააკეთებდა მერე ელენე ვერ მოასწრებდა, არც კი დაუწუწუნია....

პატარა დაქალებს მაგიდა გაუშალა, ტელევიზორში მულთფილმები ჩაურთო და ასაწყობი სათამაშოები ოთახში გაუტანა. სამსახურში დარეკა, რომ ვერ მივიდოდა....დემეტრეს ცოტა დააგვიანდა და ძალიან ანერვიულდა, მერე მაია მოვიდა და ცოტა დაამშვიდა...

-კარგი ელენე ასე ნუ ნერვიულობ, ბიჭია სადმე გავიდოდნენ.

-მაი კარგი რა ამ ბოლო დროს ცოტა აურია დემეტრემ, სკოლაში დაეძაბა ურთიერთბა, აღარ მიყვება რაღაცებს, არც მინდა, რომ ძალიან ჩავაცივდე და ყველაფერი მითხრას, ვიცი არაა საჭირო მაგრამ მერე ვეღარ ვისვენებ.

-იმაზე რა ხდება? აათამაშა თვალები მაიამ.

-რაზე? ვერ მიხვდა ელენე.

-იმ ქალბატონზე, ლიკატერინეზე, როგორაა მომავალი დედა?

-მაიკო ნუ ამბობ ესე..

-რას ნუ ვამბობ, ძალიან თავხედია, შენ კი შტერი.

-მაია!

-ნიკა ახლა შეიცვალა, ახლა შეიძლებოდა ყველაფერი უკეთესად ყოფილიყო, შენ კიდე არაფერი გააკეთე, წმინდანივით ნუ იქცევი რა ცოტა უნდა გაინძრე, მინიმუმ როგორც ის მოგექცა ისე მაინც უნდა მოექცე.

-ხო არ გაგიჟდი, ქალი ფეხმძიმედაა, მე ხომ მაინც ვიცი როგორი რთული პერიოდია, რა უნდა გავინძრე.

-მე ახლა არ გეუბნები, მანამ ფეხმძიმედ იქნებოდა მანამდეც კდემამოსილება იყავი.

-გაჩუმდი გთხოვ, არ გაიგონონ ბავშვებმა.

-არ უნდა გაგეშვა! ნიკა არ უნდა გაგეშვა, ან როცა შეიძლებოდა უნდა მიგეცა უფლება დაგბრუნებოდა..

-როგორ დამბრუნებოდა როგორც იმისი ქმარი? მაპატიე, მაგრამ ამას სიკვდილი მირჩევნია.

-ხო და იყავით ისე! შენ აქ გადასარევად ის იქ უბედნიერესი, მოგებული მხოლოდ ლიკატერინეა.

-მაია რა გინდა გამაგებინე, ახლა რამეს შევცვლი? ვერა ხომ? ამიტომ ნუღა ვილაპარაკებთ ამაზე, არაა საჭირო ერთად ვიყოთ, მე ახლა უფრო მეტად ვარ ნიკასთან ახლოს ვიდრე ამ 10 წლის განმავლობაში. და ამის გამო ბედნიერი ვარ დარწმუნებული ვარ ისიც....

-წარმომიდგენია ნიკა როგორი გახარებულია, აი წარმომიდგენია, პლატონური სიყვარული 37 წლის ასაკში აი სულ ამაზე ოცნებობდა ჩვენი მენაბდე.....სიმწრით ჩაიცინა მაიამ.

-ამაზე ვილაპარაკეთ, მართლა ასეა, ჩემში სულ ერთად ვიქნებით ზღვისპირა სახლში, შორს ყველაფრისგან, მე ნიკა და ბავშვები, სულ..ჩემთვის ესეც საკმარისია, ყველაფერზე მეტია..

-უკაცრავად სად? სიზმარში, წარმოსახვაში? ილუზიაში? რად გინდა ესე ელენე, დრო ხომ იცი, რომ ცოტა გაქვთ, რატომ ვერ ახტები რაღაცებს, ნუთუ ეგ პრინციპები გირჩევნია, მაშინაც როცა წარმოიდგენ, რომ შეიძლება ვეღარასოდეს ნახო, იმან ვეღარ გნახოს, ისევ იმ მოშორებულ ზღვისპირა სახლზე ფიქრობ? შენ იჯექი იმ სახლში და ალაგე, ხომ იცი ნიკას არ უყვარს არეულობა..

-მაია დამცინი?

-არა, გული მტკივა უბრალოდ....თუმცა შენ როგორც გინდა ისე ჩათვალე. ისე იქცევი თითქოს ჩვეულებრივ სიტოაციაში იყო თითქოს ეს ავადმყ....

-გაჩუმდი, მაია გაჩუმდი, მეც ვიცი, მეც მახსოვს, მაგრამ ნუღა მახსენებ.....

თამაშისთვის მთელი სკოლა ემზადებოდა, დემეტრე, ცოტნე და ერეკლე ძირითადში იყვნენ, სკოლის დირექტორისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, საქართელოს მთელ ტერიოტორიაზე ტარდებოდა შეჯიბრი და გამარჯვებული ქვეყნის პირველი სკოლა იქნებოდა ფეხბურთში. ლევანიც ნაკლებად აწუხებდათ, სკოლამ თითქოს ამოისუნთქა. ისე დაღლილი იყო ყიფიანი სურვილიც აღარ ჰქონდა ზოგჯერ რაღაცები ემტკიცებინა, თუმცა მაინც არ თმობდა პოზიციებს.

-დღეს ლევანიკომ, მაგრა დააგვიანა, შევიდა თამაზი ნიკასთან, ნიკას სახე ისე ეცვალა თითქოს ახლა უთხრეს ამერიკის ჯარები ავღანეთში შევიდნენ და კონტიგენტს საქართველოს ხარჯზე ზრდიანო. ფეხზე წამოდგა და უთქმელად წავიდა გასახდელებისკენ.... ლევანი მშვიდად იცვლიდა ფორმას.

-გამარჯობა!

-ვაა, იკადრე!!!!!

-შენ რამე ხომ არ გეშლება? შენ მე აქ ისე დამელაპარაკები როგორც უფროსს და ერთი ადგილი დააყენე! ენას ზედმეტად ნუ დაიგრძელებ! ლევანი გაშრა...

-კარგი ბოდიში! რაღაც მოტეხილი ეჩვენა ყიფიანი და ვერ მიხვდა რატომ.

-დააგვიანე!

-ვერ შევძელი მოსვლა!

-ხელფასი ჩამოგეჭრება..

-ძალიან გთხოვ არა, ახლაღა იგრძნო ბავშვის ხმა ყიფიანისგან.

-რატომ დააგვიანე? შენი ნიშნებიც არაა დამაკმაყოფილებელი! ეს უკვე პირობების დარღვევაა ბატონო ლევან!

-არ დამიკავო ხელფასი, უფრო მეტს ვიმუშავებ, ისიც რომ დაგიბრუნო და მეც რომ დამრჩეს, თუ შეგეძლება რამდენიმე თვე ისევ ვიმუშავებ თუ გინდა ნახევარ ხელფასზე.

-ყიფიანი რამე მოხდა? რა შარში გაყავი თავი!

-არაფერი, უბრალოდ ახლა ფული ძალიან მჭირდება თან აქ კარგად მიხდიან.

-კარგი შეგიძლია გააგრძელო, მაგრამ დღეის დაგიკავდება! ნიკა შეუბრუნებლად გამოტრიალდა.

იმ დღეს გვიანობამდე იმუშავა ყიფიანმა, თითქმის ყველაფერი გააკეთა რაც ევალებოდა და რაც არ ევალებოდა, ნიკამ წასვლისას რომ გადაამოწმა ისევ იქ იყო ცოტა დაიბნა, ერთ ერთ საშხაპეში იყო და საღებავით დასვრილ კაფელს წმენდდა.

-ისევ აქ ხარ? ლევანი შეკრთა...

-ამასაც მოვრჩები და წავალ, ნუ გეშინია არაფერს გავაყოლებ ხელს, უკვე ვიცი ყველაფერს იმახსოვრებ!

-მაგიტო არ გეუბნები, შენ სასწავლი არაფერი გაქვს? სკოლა რა გგონია სამსახური არაა?

-მოვასწრებ.

-უკვე რვა საათია, სახლში 10 მდე ვერ მიხვა, და რომელზე?

-ასე ძალიან რატომ გაინტერესებს ჩემი სწავლა!

-შენი სწავლა არ მაინტერესებს, მაგრამ არ მინდა შენს გამო ვინმემ ბრალი დამდოს არასრულწლოვნის იძულებით შრომაში. ამიტომ სკოლის ნიშნებს მიხედე, უკვე მერამდენედ გეუბნები. „აუ ნეტა თავს დამანებებდეს“ ჩაიდუდღნა ყიფიანმა.

-მიდი გამოიცვალე მე გაგიყვან სახლში. ლევანი დაიბნა..

-გელოდები ცოტა დრო მაქვს მიდი.. უკვე ღამის თბილისში იყვნენ მანქანით, ლევანი ისე დაღლილი იყო ვერ ლაპარაკობდა..

-მე არ მინდა ესე გადაიღალო.

-თქვენი ბრალი არაა, მე მინდოდა, დღეს ისედაც დამაგვიანდა....

-ძალიან შეცვლილი ხარ და მითხარი თ რამე შეგემთხვა, სკოლაში რამე ხომ არ მოხდა?

-არაფერი....

-იცი დღეს ჩემთან წავიდეთ, წყნეთში, ცოტა ხნით, რაღაც საქმე მაქვს და მერე მიგიყვან სახლში..ლევანს არ უნდოდა წასვლა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია....მენაბდეების მთავარ სახლში უკვე ბუხარი დანთებულიყო, ნიკა სახლში მისვლას სულ გაურბოდა და ამიტომ თავთანაც რომ არ ყოფილიყო მტყუანი ათასხვაგვარ საქმეს იმიზეზებდა, ლიკაც არ აწუხებდა ძალიან. სახლის დანახვაზე თვალები გაუფართოვდა, ყველაფერი გემოვნებით იყო, უზარმაზარი შესასვლელი, მინიმალისტური სტილი, ბუხარი, სიმშვიდე და თბილი სუნი....

-დედა სად ხარ, სახლში დაიძახა ნიკამ. მათე და ბარბარე გამოვიდნენ სამზარეულოდან, რაღაცაზე იცინოდნენ, ნიკას ბარბარესთის არ შეუხედავს მათეს დაუძახა....მაიამ თავი მოიკლა სუფრა გაუშალა სტუმარს, მათეც თბილად ექცეოდა, რას წარმოიდგენდა მის შვილსაც თუ ეს ბიჭი აწვალებდა, ნიკას არც უთქვამს....სანამ ხაჭაპური მთლიანად არ შეაჭამა მაიამ მანამ არ მოისვენა, ლევანს უკვე მეტი აღარ შეეძლო, დემეტრე ოთახიდან ერთხელ გამოვიდა, სტუმარს მიესალმა, ნიკამ გაუღიმა, უფრო იმიტომ მივიდა, რომ მამამისს სინდისის ქენჯნა არ ეგრძნო.....ბარბარე და მათე ისე ძალდაუტანებლად, მხიარულად და თბილად ელაპარაკებოდნენ ლევანს, რომ დაძაბულობა მთლიანად მოეხსნა. წამოსვლისას იგრძნო, რომ დაღლილიც აღარ იყო..

-ძალიან კარგი ოჯახი გყავს, ხომ არ ელოდნენ სტუმარს, მაგრამ არც შეუმჩნევიათ რამე უხერხულობა...

-ხო, ეგ დედას დამსახურებაა, სულ ფაციფუცობს, ჩემი მეგობრებთან ერთად სულ იქ ვიყავით, არავინ გრძნობდა უხერხულობას..

-ხო, მეც არ მიგვრძნია...

-შენ არ მიგყავს ხოლმე მეგობრები შენთან, ლევანმა თავი დახარა..მენამდეს სულ უნდოდა მასთან მეგობრებზე ლაპარაკი.

-არა მე არა.

-რატომ როგორ გეკადრება თუ წამოგაძახებენ?

-არა მე შემრცხვებოდა ჩემს სახლში ვიღაცის მიყვანა, თქვენი კი ძალიან ლამაზია....ახლა იმდენად უცნაური შეგრძნება ჰქონდა ნიკას, ისეთ უცნაური, ვერც გამოხატავდა, თითქოს საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ადამიანები არიან ადამიანები და ყველას თავისი სიმართლე აქვს, ყველა მართალია თავისებურად, ყველა იმსახურებს დაფიქრებას და მხოლოდ ამის მერე განსჯას.

-ხვალე არ დააგვიანო, მშვიდად უთხრა და სახლისკენ მოატრიალა მანქანა.

"-არ ცდილობ საინერესოდ დამინახო!

-ეგ მხარე არ გაქვს!ჩაიცინა ელენემ

-გამოიგონე!"

ისე მშვიდად დიდი ხანი იყო არ ძინებია, ბავშვივით უდარდელად ეძინა. ადრე გაიღვიძა, ნიკას ჯერ კიდევ ეძინა, რამდენიმე წამს დაჰყურებდა გაღიმებული, მერე იგრძნო რომ ასე გააღვიძებდა და ფეხზე წამოხტა, მაშინვე სახე დაიბანა, თმა გაისწორა, იგრძნო, რომ იპრანჭებოდა, თავის თავს გაუბრაზდა და მაინც გაღიმებული გამოვიდა....მენაბდე უკვე ამდგარი იყო და ჩაის იმზადებდა. „ ჩემი გამზადებული არასოდეს არ უნდა და ისე სულ იმას სვავს“ გაიფიქრა ელენემ და გაბრაზდა. ნიკა საათობრივ კვებაზე იყო და მოკვდებოდა და იმას არ დაარღვევდა. ეს ყველაფერში სიზუსტე ცოტა აშინებდა ელენეს..

-გუშინდელზე დიდი მადლობა. ძლივს ამოღერღა.

-არაფერია სამადლობელი, ველოდები საწვავის ფულს....ელენე დაიძაბა და მხოლოდ მაშინ მოეშვა ნიკას, რომ გაეცინა.

-რატომ მაწვალე, თუ იქ იყავი რატომ მახვეწნინე?

-შენი მდგომარეობა, რომ ბოლომდე შეგეგრძნო, არ დააყოვნა მენაბდემ.

-იქ რატომ იყავი? თანაც ასე შეუმჩნევლად....შენ უკან დამყვები ნიკოლოზ სხვა დროსაც შეიძლება ასე ხარ? ისეთი სახე ჰქონდა ელენეს ვინმეს, რომ გამოიჭერენ, სამზარეულოს ბარზე შეხტა და ფეხები აათამაშა.

-ხო უკან დაგყვები! მშვიდად გაუღიმა ნიკამ. ახლა ამას არ მოელოდა, უფრო სხვა რეაქცია ჭირდებოდა.

-რატომ? რატომ დამყვები?

-აბა დაფიქრდი უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში საჭიროა თუ არა ადამიანი გამოგყვეს, თანაც მაშინ, როცა ისეთ ადგილზე მიდიხარ, მოკლე კაბით! ნიკამ ენაზე იკბინა.

-ჩემი კაბა არ იყო მოკლე! გაეცინა ელენეს.

-ხო არ ვიცი შეშინებული კი იყავი, მე საკმაოდ დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, მე შენი დევის და კონტროლის არც დრო მაქვს და არც სურვილი ელენე, მაგრამ როცა ვიცი, რომ ისეთ ადგილზე მიდიხარ თავს ვალდებულად ვთვლი ვიზრუნო, რომ მინიმუმ მთლიანი მოხვიდე სახლში..

-მართლა აღარ გიყვარვარ? მოულოდნელად ჰკითხა ელენემ.

-როდის მითქვამს რომ მიყვარხარ?

-ხომ მითხარი, რომ ცოლობის თხოვნა იგივე იყო..

-იგივე როგორაა, სულ სხვადასხვაა.

-შენთვის ცოლობის თხოვნა უფრო მეტი იყო..

-მერე ეს თუ იცოდი, ეს თუ გახსოვდა....ნიკა გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ გაჩერდა, ახლა იმას ვგრძნობ რასაც შენ, ყოველთვის ასე იქნება..არაფერი ზედმეტი..

-ნიკა, არ მინდა ასე! წავიდეთ თბილისში და გავეყაროთ.

-ახლა ვერსად გამოგყვები, სეზონი არ დამთავრებულა და ეროვნულ ჩემპიონატში საკმაოდ დაძაბული სიტოაციაა, შენ თუ გინდა წადი და საბუთები გამომიგზავნე, ხელისმოწერას არ დაგზარდები.. ან ზაფხულამდე მოიცადე და მერე წავიდეთ.

-ზაფხულამდე მოვიცდი.

-მოიცადე, კარგი გავედი ახლა მე. წარმატებები უნივერსტეტში ჩვენ ფეხბურთელებს სად შეგვიძლია სტრიქონების ზუთხვა....

-მე არაფერს ვიზუთხავ!!! ვიაზრებ, მშვიდად დააყოლა.

-ხო როგორც გინდა!

-სპორტის უნივერსტეტი მომიკითხე თუ არსებობს, მწვრთნელთა ფაკულტეტი, თქვენ გამოცდები როგორ გაქვთ? ლექტორებს ათამაშებთ სწორი ტაქტიკით? თუ როგორ....

-ხო ზუსტად ეგრე, ნიკა უკვე ფეხსაცმელებს იცვამდა....

-გამოცდებზე ძალიან ნერვიულობთ ალბათ...

-არა, ყველაფერს სწორად ვგეგმავთ და მერე პრობლემები არ გვაქვს, ვანაწილებთ შრომას...

-ხო ეგეც ტაქტიკაა, სად შემიძლია მე მასე..

-რას ვიზავთ თუ არ შეგიძლია სწორი გზით სიარული, მრავამლნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა ნიკამ და მოღუშული ელენე დატოვა სახლში.

„შენ გიჩვენებ როგორ უნდა არ გიყვარდე, ცოტაც დამაცადე“ ეღიმებოდა, ეცინებოდა მენაბდეს და მშვიდად ჩაჯდა მანქანაში, ზუსტად იცოდა ფანჯრიდან ელენე დაჰყურებდა არც აუხედავს ისე დაუქნია ხელი და ელენე სულ გაგიჟდა. „თავხედი, არა გონია ვუთვალთვალებ, ჯანდაბა რა დეგენერატია“ ლამის ჩამოაგდო ფარდა ისე გაწია.

14 თებერვალი ახლოვდებოდა, ელენეს არასოდეს მოსწონდა ასეთი დღის არსებობა, მაგრამ ხალხის დამოკიდებულებამ, აჭრელებულმა სოციალურმა ქსელმა სულ შეცვალა.....მაგრამ ალბათ ყველაზე მეტად ნიკას არსებობამ შეცვალა იმ დღეს. ელოდებოდა რაღაცნაირად უნდოდა სხვა წყვილებივით ესეირნა, სულ ცოტაც ეყოფოდა იმ დროს, ნიკას სახლში ყოფნაც საკმარისი იქნებოდა. მაგრამ იმ დღეს უჩვეულოდ ადრე გავიდა სახლიდან მენაბდე, ელენეს ეძინა და მხოლოდ კარის ხმა გაიგო.

ის რომ მისთვის სხვანაირი იყო აგიჟებდა..ის რომ ის დღე მის გარეშე ჩაივლიდა არ აძლევდა საშუალებას ჩვეულებრივად ყოფილიყო..ცუდად იყო, მართლა ცუდად, ძნელია ადამიანი თან არ უტყდებოდე საკუთარ თავს თან საკუთარი თავი გტეხავდეს ყველაფერში. ყველგან სიყვარულის დანახვა აგიჟებდა, ქუჩებში, სოციალურ ქსელში, საერთოდ ამ დღისადმი არაფერი განცდა არ ჰქონდა..მაგრამ ხალხის რეაქციამ დამოკიდებულებამ მაინც იმოქმედა და ჩათვალა ამ დღეს გათხოვილი ელენე არ უნდა ყოფილიყო მისი ნიკას გარეშე. ახლა ამის გაფიქრებამ "მისი ნიკა" იმდენად გააბედნიერა, რომ შეეშინდა, შიგნით არსებულის შეეშინდა...არც გამოუცვლია, საღამურებით დადიოდა უაზროდ მთელ სახლში.იცოდა რამდენი გოგო იოცნებებდა პარიზში ყოფნას..იმას კი გასვლა არ უნდოდა..ახლა ხომ ერჩივნა წყნეთის სახლში, მენაბდეებს, რომ გადაჰყურებს თუ მესამე სართულის მარცხენა კედლის ბოლო ოთახში შეხვალ.....ყვავილები არ უყვარდა, არც საჩუქრები...."მერე რა, არც ერთი მიყვარს", მაგრამ გიჟდებოდა იმ დროზე რასაც ამ ნივთების შეძენაში ხარჯავდნენ, იმ ემოციაზე გიჟდებოდა რაც მას მოყვებოდა, გაკერპებულ, ქალაბიჭა ელენეს ქალური სენტიმენტები ეუცხოვა და პლედში გახვეული ფანჯარაზე ჩამოჯდა....როცა გამოერკვა ნიკას მაისურებს გულში იხუტებდა და ცდილობდა ყველა მისი შეხება გაეხსენებინა..პირველი ღამის უემოციო ელენე ახლა ხელახლა იხსენებდა ყველაფერს და ეგონა იმ დღეს გაგიჟდებოდა მონატრებისგან..შეგრძნება, რომ წლებია არ გინახავს..შეგრძნება, რომ ამ წლების განმავლობაში წუთი არ ყოფილა მისი არსებობა, რომ არ ცოდნოდა და არ მონატრებოდა ეს ყველაფერი მაშინ, როცა ნიკა რამდენიმე წუთის გასული იყო.

კარზე ზარი იყო, საშინლად დაიბნა მუხლები უკანკალებდა სიჩქარისგან და სარკეში არსებული რეალობა ოცნებას არ უშლიდა, რომ ნიკა არ ყოფილიყო, რომ ასე არ დაენახა. ყვავილების თაიგულის დანახვაზე შეაკანკალა, ზუსტად ისეთ თეთრი ვარდები დაბადებისდღეს რომ აჩუქეს,..მერე ბარათიც მოაწოდეს.მადლობა ძლივს მოახერხა და კარები სწრაფად მიკეტა. ოღონდაც სანდროსგან არ ყოფილიყო და ყველაფერს გაიღებდა, მერე მიხვდა, რომ მარტო ის უნდოდა ნიკასგან ყოფილიყო, ატირებულმა გახსნა ბარათი.

"ამ დღეს არ ვთვლი მნიშვნელოვნად, მაგრამ არც ის მინდა სამყაროს დავუპირისპირდე, ვფიქრობ, რომ ყველა დღე ამ დღისაა, მაგრამ მაინც არ მინდა დღეს ყვავილები არ გქონდეს საფიქრად, არ მინდა შენმა 17-ე თოთხმეტმა ბარათის გარეშე ჩაიაროს....მინდა პარიზმა შენც შეგიქმნას დღე..ალბათ ის კაცი გარეთ, რომ არის და შენ, რომ ფრანგულად ძლივს მოუხერხე მადლობის თქმა ქართველია და შენი დღის შესაქმნელად სულ რაღაც 300 ევროზე დამთანხმდა..მე 1000 ევრო მივეცი და ვუთხარი, რომ გაიზრდებოდა იმდენჯერ რამდენჯერაც შენს სახეზე ამის გამო ღიმილს დავინახავდი. რა მარტივია არა, როცა იხდი იმდენს რამდენიც გჭირდება და ასე უმოწყალოდ შეგიძლია ფულის მომატება?..როცა ეს ჩემთვის არაფერია, მაშინ,

როცა თბილისში ახლა..რუსთაველზე ოპერასთან, ოპერის შემდეგ და მანამდეც...უამრავი წყვილი დადის და ბიჭების უმრავლესობის გონებაში ის რთული რიცხვები ტრიალებს მარტივი მათემატიკით რამდენად ეყოფათ ფული იმ სურვილის შესასრულებლად გზაში, რომ ხატავენ ხელიხელჩაკიდებულები! მათი 10 ლარი ბევრად მეტია, განუზომლად მეტია ვიდრე ნებისმიერი თანხა, რასაც მარტივად იხდი.....მათი 10 ლარი ზოგჯერ მათივე ყველაფერია და ამას დაუშურებლად იხდიან..ჩემნაირისთვის კი მხოლოდ დასტური იმისა, რო "ყველაფერი რისი ყიდვაც ფულით შეიძლება იაფია"

მე მშურს ამ ბიჭების! მათ აქვთ სურვილები რომლებსაც ვერ იყიდი! მე მაქვს ფული, რომლითაც არაფრის ყიდვა შემიძლია!. დღეს მე ყველაზე ღარიბი კაცი მქვია, რომელსაც ჯიბეში რკინის ფულიც არ უყრია, არც რამე ოცნებები აქვს, ყველაფრით ღარიბი, ეს კი მანდ, რომ კაცია გარეთ და შენ, რომ ფრანგულად ძლივს მოუხერხე გამარჯობა და ქართველი, რომ არის ეს კაცი, სწორედ ამ ქართველი კაცის თვალებში ამოვიკითხე, როცა 1000 ევრო შევთავაზე. ჩემი სიღატაკე ჩემივე უნარობა იყო გადამეხადა უცხოსთვის ფული ჩემი ცოლისთვის დღის ყველა სურვილი შეესრულებინა..გაუკვირდა, ალბათ იმ მომენტში გაიფიქრა, რა ბედნიერი იყო თავად, დღის ბოლოს ეს კაცი შენ, რომ ფრანგი გეგონა და სინამდვილეში ქართველი, რომ არის მეუღლესთან ერთად პარიზით დატკბება..ქართული ღვინო იქნება აუცილებლად..ღიმილი.. ჯაზიც....და ყველაფერი რასაც ფულით ვერ იყიდი...

მინდა რომ ეს დღე არ იყოს შენთვის ცარიელი სახლის სუნთან, მოწყენილობასთან და გულისწყვეტასთან დაკავშირებული..მინდა პარიზში იპოვო ის თბილისური ბედნიერება ქართულს, რომ ვეძახით ქართველები....მინდა უბრალოდ სიყვარულზე შეყვარებული ქალი იყო და არა გათხოვილი ქალი, რომელსაც არ გაუმართლა...

დღეს გახსოვდეს, რომ მხოლოდ უყვართ.....არაფერი საშუალო....

ბარათს მეორე მხარეს გაკრული ხელით ეწერა.

" ოდნავ მაინც, რომ მგონებოდა გაგიხარდებოდა ალბათ მოვიდოდი."

იმ დღეს არ მივიდა, არც ელენე გასულა სადმე, სპექტაკლის ბილეთები ნიკამ, რომ გამოუგზავნა იმ კაცს აჩუქა გაბრაზებულმა....

-თქვენ გქონდეთ!

-მადლობა გალბატონო, მაგრამ...

-ვინც გამოგატანათ გადაეცით, რომ მხოლოდ მასთან ერთად წავიდოდი! ასე გამოგზავნილი არაფერი მინდა, ეს ყვავილებიც გაუგზავნეთ უკან და სახლში არ მოვიდეს! მიაჯახუნა კარები ელენემ. რამდენიმე წამში ისევ გააღო..

-უკაცრავად, მაპატიეთ გავნერვიულდი, თქვენ ხომ იცით ნიკას კლუბის ბაზა, ახლა იქ იქნება, წამიყვანეთ იქ. ელენემ მოკლე ჯინსი ჩაიცვა, თმა გაიშალა და მხიარულად ჩაჯდა მანქანაში.

-ამ ყვავილებს რა ვუყო ქალბატონო?

-ნიკას უნდა მივართვა, გაიცინა ელენემ და სათვალე გაიკეთა. იქ არ დახვდა, ლონდონში იყო წასული გუნდელებთან ერთად ჩელსის თამაშზე. ელენე სახლში მივიდა და აღარც გამოსულა.....ნიკა არ იცვლებოდა....იმდენად გულგრილი გახდა ელენე უკვე მართლა ვეღარ გრძნობდა რა დროს იკავებდა ემოციებს და რა დროს უბრალოდ არ გააჩნდა. ზაფხულის მოახლოება ტკიოდა, ტკიოდა განქორწინების გამო..მაგრამ ისიც მოვიდა, თბილისში დაბრუნდნენ....ნიკა არაფერს ახსენებდა და არც ელენე იხსენებდა..... ერთ დილას სახლში დიდი ხმაური ატყდა....მათე გაცოფებული იყო და ღრიალებდა, დემეტრეც არ ამშვიდებდა...

-რა? გოგო რა ჯანდაბას ამბობს ეს ტიპი? ხო არ გაგიჟდით.....გამძვინვარებული მათე არ წყნარდებოდა, ყველა დაბლა ჩავიდა, ნიკა გარეთ იყო და ცოტა მერე შემოვიდა.....ბარბარე აცრემლებული იყო..... მათე არავის აცდიდა რამეს, ჩხუბობდა და ღრიალებდა....გეგა გაბრწყინებული თვალებით იდგა, ზუსტად ის უნდოდა რასაც ხედავდა.... ხმები მოესმა და სახლში შევიდა ნიკოლოზი..

-რა სხადნიაკია აქ, რა გაყვირებთ, მშვიდად დაიწყო ნიკამ ცადა სიტოაციის განტვირთვა სიცილით, მაგრამ მალევე მიხვდა რომ აზრი არ ჰქონდა...

-გამარჯობა! გეგას ხელი ჩამოართვა, მათე სულ გადაირია ამაზე. მაგრამ ხმა არ ამოუღა.

-რა ხდება? მათე რა არის? ნიკამ მშობლების სახეც რომ დაინახა მიხვდა, რომ სერიოზულად იყო საქმე.

-ბარბარე რა გატირებს ოლღა, გაიცინა ნიკამ....დედა რა ხდება ხმა ამმოიღეთ, რა გჭირთ ტო....

-ბარბარე მიდის! ხმაჩახლეჩლმა თქვა მათემ.

-სად? დასასვენებლად უნდა ოლღას წასვლა და არ უშვებთ, ჩვენც წამოვალთ ბარბარე, ნიკამ ელენეს შეხედა და გაიღიმა, ახლა ელენეს ბარბარეს სიტყვები გაახსენდა, ნიკაზე რომ ამბობდა ყველგან წამოგყვება თუ არ გიშვებენო..ახლა ძალიან შეეცოდა ქმარი იმის გამო რაც უნდა გაეგო.

-სულ მიდის...

-მათე მითხარი ახლა მთლიანად რა ხდება!

-ამ ტიპს მიჰყვება, უფრო სწორად უკვე გაყვა....ნიკამ გაიღიმა, მათესთან ხელი ჩაიქნია და ბარბარეს შეხედა..

-ეს მეხუმრება ხომ? რაღაცას იგონებს, რას ნიშნავს მიდიხარ, რას ნიშნავს უკვე გაყვა? ამ დროს ჩვენ რას ვაკეთებთ? სად ვართ ბარბარე?

-არ უნდა ამას სენტიმენტები, თუ გინდათ დარჩეს, გაიცინა გეგამ, მათემ მთელი ძალით გაუქანა მუშტი....

-ამ არსებისგან რაც მოვისმინე მითხარი რომ მომესმა!!! მენაბდემ საფეთქელთან რამდენჯერმე დაატრიალა საჩვენებელი თითი, ნიკა მხოლოდ ბარბარეს უყურებდა...ამ ელემენტს რა უნდა შენგან გამარკვიე?

-ნიკა, ეს ტიპი ერთხელ სადღაც შემხვდა და მოკლედ მეუხეშა, მე არაფერი შევარჩნე, არც მახსოვს..და ამის გამო ბარბარესთან დაუწყია ურთიერთობა, ეს შტერიც....მათე წყობიდან გამოდიოდა...

-იმდენ ხალხში დამამცირე! არ მოერიდე არაფერს, ახლა მე დაგამცირეთ მთელი ოჯახი! გეგა ჩაწითლებული თვალებით ლაპარაკობდა.

-რომ გაჩუმდე დამავალებ ცოტა ხანი! ნიკამ გეგას ანიშნა.

-შენ ეს კაცი გიყვარს? ნიკამ ბარბარეს შეხედა, მაპატიე კაცი წამომცდა..ეს მოლაპარაკე რაღაცა გიყვარს, აი ეს..ეს ტიპი ახლა, რომ უტიფრად დგას აქ და მიწასაც, რომ არ რცხვენია მასზე რომ დააბიჯებს.? ბარბარე ეს ელემენტი გიყვარს?

-მიყვარდა..ძლივს ამოიღო ხმა ბარბარემ.

-კარგი, ძალიან კარგი, ახლა შენ წახვალ და აღარასოდეს მოხვალ გესმის! ჩემს დას არ გაეკარო, ხომ გაიგონე უყვარდი, დამთავრდა!!!!!

-ვუყვარდი არა! წარსული ხომ? თქვენდა სამწუხაროდ აწმყოშია ფეხმძიმედ ბატონო ნიკოლოზ! გეგა ისევ ისე უტიფრად ლაპარაკობდა, აქ უკვე ნიკა შეირყა....იმის წარმოდგენა, რომ ბარბარემ ეს გაბედა, იმის გააზრება, რომ ასეთი რამის გაკეთება შეეძლო.. მათემ თავი ვერ შეიკავა და ძლივს გამოგლიჯა დემეტრემ ხელიდან გეგა.

-ეს როგორ გააკეთე? ღრიალებდა მათე, ეს როგორ გაგვიკეთე, არ ხარ ადამიანი? არ გაქვს გრძნობები? ერთ წამით მაინც არ იფიქრე...

-შენი ბრალია ყველაფერი მათე, შენ დასთან არაფერი მესაქმებოდა შენ რომ არა..

-საერთოდ არ გვიცნობ გეტყობა? ადამიანის პატივისცემაზე არ დავიწყებ, გეტყობა საკუთარ თავს არ სცემ პატივს, არც გეცოდება.. მამაცი ყოფილხარ! ასეთ მამაცობას სიბრიყვესთან უფრო მეტი საერთო აქვთ. შენ ამის მერე მშვიდად ვეღარ იქნები, ჰაერში აგწევ! მათე მუქარაზე იყო გადასული..

-ამ ბავშვის ხათრით თქვენ დას წავათრევ.....ყველა მენაბდეს სისხლი ლამის ჩაექცა თავში...კიდევ დიდ ხანს ისმინა ჩხუბი ნიკამ, რადგან დემეტრე ხმას არ იღებდა თავად დაიწყო, ცდილობდა ყველაფერი ისე დაელაგებინა, როგორც გრძნობდა, ცდილობდა არც ერთის სიტყვა ყოფილიყო გადაჭარბებული და უთქმელი, ფიქრობდა, როგორ ეთქვა ის რაშიც ძმა და მამა არ ეთანხმებოდნენ,მაგრამ ისე, რომ სხვის წინაშე მათ არ შეწინააღდეგებოდა. სულ იცოდა, რომ ოჯახი ერთი იყო, საერთო გუნდი სადაც ადამიანები სიცოცხილის ბოლომდე თამაშობენ, ამ გუნდში არ შეიძლებოდა ყოფილიყო საწინააღმდეგო აზრები და ქმედებები..ან ყოფილიყო,

მაგრამ სხვისი დანახვის გარეშე მოეგვარებინათ, ეს იცოდა და ამის ჯეროდა..ჯეროდა, რომ კაპიტანი ყოველთვის მართალი იყო, როგორიც არ უნდა ყოფილიყო. ახლა მამას ელოდებოდა, მაგრამ რადგან დემეტრე იმდენად მძიმედ იყო ვერაფერს ამბობდა თვითონ თქვა ის რაშიც იცოდა მამამისი გულით დაეთანხმებოდა.

–გეგა ხომ? მშვიდად დაიწყო, შენ ალბათ ხვდები, რომ რაც შენ გააკეთე შეურაცხყოფის ფარგლებს გასცდა...არც იმის შესაბამისია, რაზეც ასე გაბრაზდი...გიყურებ ახლა და ერთ რამეს ვგრძნობ, ვგრძნობ და ვიცი, რომ ჩემს დას კი არა დედამიწის ზურგზე არც ერთ ცხოველს გავიმეტებ შენთან საცხოვრებლად, მეზობლის ძაღლსაც ვერ გაგატან ჩემსას, რომ თავი დავანებოთ. არ ვიცი რა გეგონა, რას ფიქრობდი, როცა ამას აკეთებდი, მაგრამ მე ჩემი და ამისთვის არ გამიზრდია, ხო მე გავზარდე..ამ ხელებით, რომელსაც ძლივს ვაკავებ, რომ შენ სახეზე სამუდამო დაღი არ დატოვოს...მტკიოდა, როცა ტკიოდა...მხოლოდ მის სისხლს შემეძლო შევხებოდი, რომ გადაღვლეპილი მუხლებიდან როგორმე ეზოს ჭუჭყი მომეშორებინა...მან იცის, უნდა სცოდნოდა, ნიკამ ბარბარეს გახედა, ორივე თვალიდან, რომ მტკივნეულად დამუნჯებული ცრემლი რომ სცვიოდა, უნდა სცოდნოდა, რომ ჩვენ, მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ შეუძლია ყველა შემთხვევაში დაგვეყრდნოს, ბოლომდე გესმის, სიცოცხლის ბოლომდე შეუძლია ჩვენ გვერდით იყოს...მე შენს საჯიჯგნად არ მემეტება არავინ, მითუმეტეს ჩემი და, ვიცი შენთან რაც ელის, უპატივისცემლობა, ზიზღი, ცხოვრების აუტანელი სიმსუბუქე, უბედურების ყოველწამიერი განცდა, და შენ მასში ჩაკლავ ყველაფერს რაც ქალური აქვს, აქცევ უსულო არსებად, რომელსაც არ შეუძლია იგრძნოს რომ ქალია და მას სხვა რაღაც აკისრია ცხოვრებაში ვიდრე შენი აყროლებული წინდების რეცხვაა! არასოდეს იფიქრო, რომ მას, როგორც არ უნდა მოიქცეს ოჯახი გამოეცლება! შენ იმის იმედი არ გქონდეს, რომ ხელს ვკრავთ! შენ არ გეგონოს, რომ ბარბარე იძულებული გახდება შენთან წამოვიდეს, გეგა გაოგნებული უყურებდა, არ ეგონა რომელიმე მენაბდისგან ამას თუ მოისმენდა.

– შენ ვერასოდეს იგრძნობ მამობის ბედნიერებას, რადგან შვილი არასოდეს ყოფილხარ, ვერასოდეს იგრძნობ ქალის პატივისცემას, რადგან შენ არავისთვის გიცია პატივი, არასოდეს შეგიყვარებს ქალი ისე ანგარიშმიუცემლად, რომ შენთვის თავი გაწიროს, გაპატიოს ყველა შეცდომა, რაც მის წინაშე გაქვს, გაპატიოს ისე რომ არაფერი შეიცვალოს მის მზერაში...რადგან შენ თვითონ ეს არ შეგიძლია, ამას კი ადამიანები გრძნობენ, გრძნობენ ფილტვებით, როცა შენ აყროლებულ სინდისისგან მომავალ სუნს შეიგრძნობენ!

ბარბარეს არ უნდოდა დაეჯერებინა, დაეჯერებინა ის რაც მის ირგვლივ ხდებოდა რამდენიმე წუთში ყველაფერი თავზე ჩამოენგრა..ნიკას სიტყვებმა სულ მოშალა, სულიერი წყობა აურია..ვერაფერს ამბობდა, ვერაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ გრძნობდა, გრძნობდა, რომ ცხოვრებაში ყველაზე დიდი შეცდომა დაუშვა. არც დემეტრეს და არც მათეს არაფერი უთქვამთ, თვითონაც მიხვდნენ, რომ ნიკა მართალი იყო..შეწინააღმდეგებასაც არ ჰქონდა აზრი..მაინც ისე იქნებოდა, როგორც უკეთესი ჩანდა ამ გაურკვეველი სიტოაციიდან. ელენემ იმხელა ძალა იგრძნო...ტერფებიდან დაუარა ამ უჩვეულო გრძნობამ და მთელ სახეზე მოედო, მთელ სახეზე მოედო სიამაყე, რომელსაც ნიკას გამო გრძნობდა, თავისი ქმრის სიტყვების გამო..ვერც კი წარმოედგინა, რომ სხვა რამ შეიძებოდა ყოფილიყო უფრო სწორი...არც ფიქრობდა ამაზე,

მხოლოდ წელში გამართული, გაშლილი მხრები და აწეული თავი..ასე არასოდეს გახარებია..ასე არავიში შემცდარა ასე სასიამოვნოდ.... ნიკა კედელს მიეყრდნო და თავი დახარა, ფეხსაცმელებს დაჰყურებდა და ეჩვენებოდა, რომ სულ ტალახიანი ჰქონდა, მერე შარვალიც ისეთივე ეჩვენა და მაისურიც.....რამდენიმე წამს სიჩუმე ჩამოვარდა, არავინ იღებდა ხმას..

-ბარბარე ჩემთან ერთად წამოდი, ხმა შერბილებული ჰქონდა გეგას.

-მე შენ რა გითხარი? მშვიდად აწია თავი ნიკამ.

-ვერ გაიგონე? ჩემს დას არ გაგატან! გესმის რას ნიშნავს, შინაარსობრივად ეს სიტყვები თუ განგიმარტო, თითქოს დამცინავი უნდა ყოფილიყო მისი სიტყვები, მაგრამ ტკივილი უფრო ჰქონდა ვიდრე ირონია. ისიც იცოდა, ბარბარეს რომ საშინლად არ უნდოდა მას გაყოლოდა.

-მე ვრჩები გეგა... მისი წასვლის შემდეგ არავინ იღებდა ხმას, ნიკა ისევ იმ ადგილას იდგა, მერე ადგილიდან ისე დაიძრა თითქოს იატაკზე წებო ესხა და მოძრაობა უჭირდა..

-ვერ წარმოიდგენ რას ნიშნავს შენი სიტყვები ჩემთვის! ბარბარემ ნიკა ხელით გააჩერა გულთან ახლოს, რომ გაშლილი თითები მიადო. ნიკას არ შეუხედავს...

-ჩემი სიტყვები საერთოდ რამეს ნიშნავს შენთვის?! უკან დაიხია, რომ ხელი მოეშორებინა და ზედა სართულისკენ დაიძრა. ერთიანად იგრძნო ყველა გაწყვეტილი ძაფი რაც ძმასთან აკავშირებდა, ერთიანად აიწყვიტა ამ შეგრძნებებმა და გაუჩინარდა. დაღამებულზე ელენე მორიდებით შევიდა ოთახში, ნიკა უკვე მერამდენე საათი აბაზანაში იყო..

-ნიკოლოზ როგორ ხარ? ფრთხილად მივიდა კართან და ხმადაბლა ჰკითხა.

-სველი.. ყრუდ მოესმა ხმა..აბაზანიდან ჩაცმული გამოვიდა, თმა სულ სველი ჰქონდა და აბურდული.. ელენე საწოლზე ჩამომჯდარი ელოდებოდა..

-ბოდიში, შენც შეიძლებოდა შესვლა გინდოდა, ეს ჩაილაპარაკა და საწოლი გადაშალა.

-დღეს ნიკა..

-გთხოვ ელენე..

-უნდა გითხრა ნიკა, დღეს ვერ წარმოიდგენ, შენ სიტყვებზე.....ბარბარე ბედნიერია შენნაირი ძმა რომ ჰყავს. ნიკამ შუბლზე ხელი მოისვა, მძიმედ ამოისუნთქა და ფეხები საბნის ქვეშ შეალაგა.

-თუ ლაპარაკი დაგჭირდება ნიკა, გთხოვ იცოდე, რომ მე მოგისმენ..

-მადლობა ელენე, მაგრამ შეიძლება ეს შემდეგ სხვებმაც გაიგონ, მე კი ნამდვილად არ მინდა ჩემი სულიერი მდგომარეობა განსჯის საგანი იყოს, ისევე როგორც ჩემი ჰიგიენის საკითხები! ელენეს სახე აეწვა.

.....

მამაჩემმა გვითხრა, რომ დათოს სახლს რაღაც ტკივა და ცოტა ხანი ჩვენთან დარჩება, ან რამდენი ხანიც თვითონ მოუნდება. ამ ლექსში ვერ დაეტევა მამაჩემი. ნ. ჩერქეზიშვილი.

ახლა ისე იყო ფეხით ჩავიდოდა პარიზში ან მცხეთაში, ან წყნეთში..ყველგან, ყველგან წავიდოდა გარდა იმ ადგილისა სადაც უკვე რამდენიმე თვე იყო სახლი ერქვა და სადაც ცოლი და ახლა უკვე მომავალი შვილიც ელოდებოდა. საერთოდ ყველაფერში ცდილობდა ბოლომდე დახარჯულიყო, ან არ აკეთებდა ან აკეთებდა სულ..სკოლაც ეს კატეგორია იყო, სულ იმაზე ფიქრობდა ყველაფერი კარგად უნდოდა გამოსვლოდა, სახლში მისვლისგანაც ამით იცავდა თავს, ეს არც ერთი დღის და არც ორის ნაფიქრი იყო, ამაზე მთელი ცხოვრება ფიქრობდა, უნდოდა ევროპული სტანდარტის სკოლა ჰქონოდა, უნდოდა რაღაც სხვა რამ გაეკეთებინა ქვეყნისთვის გარდა იმისა, რომ თამაშობდა ნაკრების ფორმით და გულით, მერე ეს ფორმა ჩამოერთვა და ყველაფერი დაივიწყა, დაავიწყდა ყველაფერი, ან არ უნდოდა იმ მტკივნეულ ადგილს არ შეხებოდა, არ გაკარებოდა, ორგანიზმი ამაზე ფიქრისას განგაშს ტეხდა... და ეს სპორტი ისე მოკვეთა ცხოვრებისგან, როგორც კიბოს კვეთენ..მეტასტაზები კი იმაზე ღრმა და ბევრი იყო ვიდრე იფიქრებდა, მთლიანად სხეული ჰქონდა დამპალი ამ სპორტით, მაგრამ მხოლოდ გულში და მხოლოდ ელენემ იცოდა, რომ აქ ფეხბურთი ისეთი დამნაშავე არ იყო, როგორც რამდენიმეწამიანი უნდობლობა....მოწყენილი იყო ლიკა, ჩაფიქრებული და ნამტირალევი...კარზე ზარი, რომ გაიგო ცრემლები სწრაფად მოიწმინდა და მხიარულად გაუღო კარი..

-გამარჯობა, ხელები კისერზე მოხვია და ჩაეხუტა.. დღეს არ მინახიხარ ადრე გახვედი..

-ხო საქმე მქონდა, ლიკა როგორ ხარ? რამე ხომ არ გინდა? ამ დროს ხომ იცი....

-პოპკორნი მინდა საშინლად.....

-კინო?

-ეგ ისე რა....აი ის კი მინდა..

-კარგი მე წავალ და მოგიტან..ახლა იქიდან ასანთის ღერის მოსატანადაც კი გამოვიდოდა, ოღონდ იქიდან გამოსულიყო..უკვე საკუთარი გული გულს ურევდა, რომ ვერ ახერხებდა ლიკასთვის მაინც ყოფილიყო უკეთესი, ყველგან უვარგისობას ხედავდა და ტკივილში იხლართებოდა.

-კარგი ნიკა ესე არ მინდა, რომ წახვიდე...მოვითმენ..ან მეც წამოვალ, კინოში წავიდეთ....ახლა გრძნობდა, რომ კინო ძულდა..ვერ მიხვდა რატომ, მერე კი სანდრო გაახსენდა....უკვე მანქანაში ისხდნენ ლიკა ტელეფონში აფიშას ნახულობდა..

-მანდარინები, ყველა აქებს ნიკა არ გინდა ამაზე წავიდეთ?

-ეგ მოყოლილი აქვს თაზოს, მაგრამ წავიდეთ დამაინტერესა, თამაზი ცოლს ირთავს მალე და მეხუთეკლასელივით კინოთეატრში დადიან პაემნებზე...

-სულაც არაა მეხუთეკლასელების გასართობი ეს, თან ჩვენც მივდივართ.

-ჩვენ პირველად ან მეორედ აღარ მახსოვს და ის იქიდან არ გამოდის, მართლა აინტერესებს ფილმები იმის გამო კი არ დადის, იმ გოგოს აღარ უნდა ამას კი მაინც დაყავს, ლიკას გაეცინა.

მოსმენილის ყურება იყო მენაბდისთვის ამ ფილმის ნახვა, ძლივს ჩერდებოდა ადგილზე, საშინლად არ მოეწონა. ვერ ხვდებოდა რატო გადაირია ხალხი..ერთი უმსგავსო ტყუილად ჩათვალა..ისტორიულად გაუმართლებელ ფილმად და თავისი შეხედულებები აღარავისთვის გაუზიარებია, ერთი ჩაიბურტყუნა.

-ჩეჩნები ასე არ იქცეოდნენ! არ აპატია რეჟისორს ჩეჩენი „გმირის“ არსებობა ფილმში..რეჟისორს არაფერს პატიობდა იმ დღეს..არც სხვა დღეს..თუმცა დაკარგულად არ ჩაუთლია ის დრო რაც ყურებისას დახარჯა, რაც არ უნდა ყოფილიყო სიუჟეტი და ფილმი მოეწონა, მოეწონა, მაგრამ ზედმეტად ქართველი იყო იმაზე გაგიჟებულიყო..დილაუთენია მივიდა სკოლაში, მათე უკვე იქ იყო, სულ აგიჟებდა თავისი ძმა, მხიარული საქმის კაცი იყო, საბუთებით დადიოდა მათე ოთახებში, მასაც ძალიან უნდოდა ნიკას სკოლა სხვანაირი ყოფილიყო, უნდოდა ის ათი წელი რაც ნიკას დახმარების სურვილი კლავდა ახლა ამ სკოლაში ჩაედო, მხოლოდ ახლაღა მისცა მენაბდემ დახმარების უფლება და უნდოდა, უნდოდა მისი წილი ბედნიერებისთვის ყველაფერი გაეკეთებინა....

-ეს რა არის მათე?

-გადასახადი ცოტაა? გაიჯგიმა მათე.

-რაა ცოტა? შენ გგონია 20 ბავშვი მაინც იქნება სკოლაში?

-მეტს ვერ დავწევ ნიკა, თვითღრებულებაა გეფიცები, მწვრთნელები, ფორმები

გადასახადები,ამასაც არ ეყოფა...

-მათე სკოლა ესეთი ძვირი რომ იყოს მხოლოდ მდიდარი მამების გატუტუცებული შვილები

ივლიან.

-რა გავაკეთო? ნიკა სხვანაირად არ გამოდის..ოთახში ბელთაური შემოვიდა...

-საბჭო შეკრებილა....

-ჰეი თაზო მოდი, დაჯექი. მათე უნდა დავწიოთ, სხვანაირად არ მინდა..

-ოო ნუ აბაკუნებ ფეხებს, 100 ლარი არაა ძვირი... მინიმუმია, ამაში ფორმა, მწვრთნელი, ბურთები და რა ვიცი ყველაფერი შედის.

-არ მინდა! არ მინდა და მორჩა! ასე ვერ მივიღებ იმას რაც მინდა, თუ იმას ვერ მივიღებ არაფერი მინდა..

-ზარალზე წავიდეთ?

-ყველაფერი ნუ გაქვს ესე დაყოფილი ან ზარალი ან მოგება..ეს სხვა რამეა, ბავშვები ვისაც უბრალოდ უყვარს თამაში მათე, ქვეყანამ აქეთ უნდა უხადოს ფული რომ ითამაშონ..ასეთი ბავშვები ხელისგულზე უნდა ატაროს სამყარომ, რომ მერე ამათმა არაფერი დაზოგონ ქვეყნისთვის, არც ხელისგულები და არც ფეხის, არაფერი საერთოდ არაფერი...

-მერე შენ რომელი ქვეყანა ხარ?

-შენ სხვაგან ხარ, აი საერთოდ სხვაგან რა.....ეკონომისტები მაგარი ხეები ხართ რა!!! რიცხვები, სტატისტიკა და მეტი არაფერი....

-ის ფასი რაც შენ გინდა მეც ძალიან მინდა, მაგრამ არ გამოდის....

-კარგი გრანტები გავზარდოთ მაშინ..

-არ გამოდის ნიკა..

-რა არ გამოდის მათე, ეს ჩემი ფულია, არ მაინტერესებს, გადასახადი 50 მდე დაიყვანე, გრანტები გაზარდე, მინდა ვისაც კი უნდა ისწავლოს აქ! ამისთვის კომერციული მიზანი არ მჭირდება.....

-დააწერე საქველმოქმედო ფონდი „მენაბდე და კომპანია“ მართლა გულწრფელად გაეცინა მათეს.

-„მეშჩანი მათე და სტატისტიკა“ ან „მათე-კრიჟანი“ ესე უფრო ჟღერს...

-მე გითხარი და შენ როგორც გინდა ნიკო, სად მაქვს შენი თავი..ჩემი ცოტნე უნდა ვატარო ამ სკოლაში და მადლობა ხელმისაწვდომობისთვის..... ხუმრობას შეყვნენ ნიკას, რომ ტელეფონმა დაურეკა.

-ხო გია? როგორ ხარ, რამე მოხდა?

-ნიკა, ლევანი ისევ ისეა, ძალიან აშინებს ბავშვებს, რამდენიმე მოვიდა ჩემთან! ფულს თხოვს, დანით დამუქრებია, არ ვიცი ახლა ზუსტად შეიძლება აჭარბებენ, მაგრამ სულ ტყუილი არ იქნება.

-დემეტრე მოვიდა? ნიკა ფეხზე წამოდგა და ცალკე ოთახში გავიდა.

-არა დემეტრე არა, მენაბდემ ამოისუნთქა...

-დღეს ხვდებიან გლდანში სადღაც დაუმთავრებელი კორპუსი, რომ არის იქ, დემეტრეც....არ ანებებს ყიფიანი თავს, დღესაც იჩხუბეს....შესვენებაზე სკოლის ეზოში, ორივე ჩემთან დავიბარე...

-რომელ საათზე ხვდებიან?

-სკოლის მერე. მე ვაპირებ იქ წასვლას....

-არ წახვიდე გია, არ ჩაერიო..

-არა ნიკა ეს უკვე მარტო დემეტრეს არ ეხება, ბევრნი იქნებიან, ყიფიანის ძმაკაცებიც და დემეტრეს კლასელებიც....

-ერეკლე და ცოტნე??

-ხო ეგენიც....

-კარგი, ცოტა ხანში დაგირეკავ, არ მინდა მიხვიდე...რამე სხვა ჯობია....ნიკამ ტელეფონი გათიშა და იგრძნო, როგორ აეწვა საფეთქელი.... ელენეს შეშინება არ უნდოდა, ტელეფონით იცოდა შეაშინებდა ამიტომ სამსახურში მიაკითხა.... ტრენინგზე იყო..ნიკას მართლა არ შეეძლო მოცდა, კარზე დააკაკუნა და მორიდებით შეიხედა....

-თუ შეიძლება, ელენე ცოტა ხანი... ელენეს სახე ეცვალა, ბოდიში მოიხადა და რამდენიმე წუთით გავიდა..

-ნიკა რამე მოხდა....

-როგორ ხარ ელენე?

-კარგად, შენ როგორ ხარ ნიკა, რამე მოხდა?

-ელე, არაფერი ისეთი, მაგრამ დემეტრეს დაურეკე ახლა და კითხე დღეს სკოლის მერე ხომ სახლში მოვა, საელჩოში მიდიხართ ვიზის გასარკვევად..

-ეგ ხომ გაარკვიე..

-ახლა თქვენ უნდა გაარკვიოთ, მიდი დაურეკე, ახლა..მეც აქ ვიქნები.....

-რა მოხდა? რამე მოხდა? ნიკა მაშინებ, პირდაპირ მითხარი..გეხვეწები..

-არა რამე რომ მომხდარიყო ასე მშვიდად ხომ არ ვიქნებოდი....უბრალოდ მინდა სკოლიდან სახლში მოვიდეს...ელენემ დარეკა და დემეტრემ უთხრა ვერაფრით მოვიდოდა....

-ეს თუ ამ საქმეზე ვერ მოდის, ეს იმას ნიშნავს რაღაც ძალიან სერიოზულია ნიკა, დემეტრე აფრენს ისე უნდა წასვლა და არც დაფიქრებულა ისე მითხრა რომ ვერ მოვა... ნიკამ სახეზე ხელი მოისვა..

-კარგი, ელენე არ ინერვიულო, მართლა არაფერია სერიოზული,

-კარგი ახლა დებილი გგონივარ..საჩხუბრად მიდის? მე გამოვალ მალე და დაველაპარაკები..

-არაააა...არა რას დაელაპარაკები..

-აბა? ასე ვიყო? ჩემი შვილი ახლა არის ყველაზე რთულ ასაკშიც და რთულ სიტოაციაშიც, ამიტომ ძალიან გთხოვ ახლა არ ჩაერიო...

-გეფიცები, არაფერი მოუვა, მართლა გეფიცები, დამიჯერე..დამიჯერე თუ ოდნავ მენდობი, ახლა აქ დარჩი, არ ინერვიულო, საღამოს დაგირეკავ.....ნიკამ ლოყაზე აკოცა და შენობიდან გავიდა.

„მაცადე ლევან, შენ თუ არ მოგივლი ნახავ, ცოტაც დამაცადე ყიფიანი....“ ნიკა ხმამაღლა ლაპარაკობდა მანქანაში და სადღაც რეკავდა....

-თაზო შენი ბიძაშვილი ბექა..გვარი არ მახსოვს, ხომ პატრულია?

-კი ბექულიუსი, პატრული კი არა საპატრულოს უფროსი გახდა შენ ტელევიზორსაც უნდა უყურო ხოლმე....

-აუ მაგარია ..გაეცინა ნიკას..

-კი კი გრძელი ენა აქვს მაგრამ მაგარია..

-ეგ კი არაა მაგარი ეგ რომ საპატრულოს უფროსია ეგაა მაგარი..შენ აზრზე არ ხარ თან ისეე....

-რა გინდა? სადმე გაიხლართე?

-მე არა, ვიღაც სხვა გაიხლართება, თან მაგრად..ტელეფონის ნომერი მომწერე, იმედია ვახსოვარ!

-აუ რა ახსოვხარ ვერ გიტანს შენ! შენ გლანძღავს სულ.....თან ეგ ენას ვერ აჩერებს.....

-კარგი ახლა მაგას რაღა დავუშავე.....

-გაუტყდა თამაში, რომ არ გააგრძელე.....

-აუ თუ ძმა ხარ რაღა დროს ეგაა, მომწერე ნომერი.....გავუგებთ ერთმანეთს.

იმ დღეს, შეხვედრამ მშვიდად ჩაიარა, ლევანი პატრულმა დააკავა, დანარჩენები კონტროლზე აიყვანეს....დემეტრე სახლში გაფითრებული მივიდა და მაშინვე ელენეს უთხრა, იცოდა ისედაც დაურეკავდნენ და გააგებინებდნენ, ერჩივნა თავად ეთქვა....ანასტასიამ პატრული, რომ გაიგო სულ გადაირია..

-დაგიჭერენ? წაგიყვანენ? აღარ მოხვალ? პატარას სულ პატრულით აშინებდნენ, მათი სახლის გუდიანი პატრული იყო და ახლა სულ გადაირია....

-დემეტრე ოთახში შედი, შემოვალ მალე....ტასიკო შენ ნუ განიცდი ყველაფერს, არავინ წაიყვანს, მოდი ჩემთან, ელენემ ხელში აიყვანა და პატარა ცხვირზე აკოცა...

-მერე კიდევ რომ დავცოტავდეთ, დემეტრე რომ აღარ იყოს ჩვენთან..სულ მარტო, რომ დავრჩე...

-არა დემეტრე მაგ სიამოვნებას არ მოგანიჭებს, შენს კიკინებს არასოდეს დაანებებს თავს და სულ გაგწუწავს ქაფიანი წყლით, მოუღატუნა ელენემ და სულ სულ ბევრი კოცნა....

-შენ რომ ხარ დედიკო, მე სულ კარგად ვარ..

-ყველას ამას ეუბნები, ...ნამდვილი ნიკა ხარ, ოღონდ გოგო....ისიც ეგრე იყო..ყველას იმას ეუბნებოდა რაც სიამონებდა...შენ როგორ გავხარ ნეტა იცოდე....

-არა მარტო შენ გეუბნები ამას! იცინოდა ტასო..

-ხო აბა..ეშმაკუნა მე ვარ ხომ?

-ხოოოო....

-კიდე ტკბილი....

-კიიიი..მოხვია ტასომ ხელები და ჩაეხუტა...

-მარწყვი....

-ეგეც შენ ხარ დე...

-საქმიანი ტლიკინა. სულ ყველაფერი რომ აინტერესებს, სულ რომ დატანტალებს და პატარა ფეხებს აბაკუნებს....

-ეგ მე ვარ...ანასტასიას ხასიათი გამოუკეთდა და თოჯინებს მიუჯდა...ელენემ კარზე დააკაკუნა და ისე შევიდა, დემეტრეს ისევ არ ედო ფერი, ოთახში დადიოდა გაუჩერებლად....

-მოდი დემე, მითხარი კარგად რა მოხდა....

-დედა, არ ვიცი, იმან რა ერთია სკოლაში გააწყალა გული რა სულ რაღაცას მთხოვს, ხოდა წავედით სხვაგან უნდა გველაპარაკა და გაგვერკვია.....ბევრნი ვიყავით...პატრული მოვიდა, ის წაიყვანეს და ჩვენ აღრიცხვაზე აგვიყვანეს..

-ვინაა ის ბიჭი?

-ჩემზე ერთი წლით დიდია, ვცდილობდი არ მიმექცია ყურადღება, მაგრამ არ მასვენებდა....

-კარგი მე გავარკვევ ყველაფერს, დავრეკავ....შენ ფერი სულ არ გადევს...დემეტრეს ნერვიულობით პირი გაუშრა და გალურჯდა, ხელები გაეყინა...

-არ მინდა განერვიულო დე, მაგრამ გეტყოდნენ ისედაც..

-რას ამბობ დემე, გეხვეწები არაფერი დამიმალო, მერე რა ეს ჩვეულებრივია, შენ გგონია მარტო შენ გაქვს ეს პრობლემები ამ ასაკში? სულ ესეა დემე, ყველა დროს, ყველგან....ნუ განიცდი ასე...

-შენ გამო განვიცდი გეფიცები, შენ თუ არ ინერვიულებ მეც არ....ელენეს გაეღიმა და დემეტრეს თითები ტუჩებთან მიიდო..

-როგორი კარგი მყავხარ, როგორი ბედნიერება ხარ ჩემი....ელენემ კალთაში ჩაიჯინა, ისე პატარას, რომ იჯენდა ხოლმე...აცრემლებული დემეტრე მოეხვია....

-ყველაზე მეტად მეიმედები და ყველაზე მეტად არ მინდა შენ გაგიცრუო იმედი დედა....სულ ის მინდოდა მამას გამო მწუხარება როგორმე მომეშორებინა შენთვის, მე კი ამდენ პრობლემას ვქმნი....

-დემეტრე ამას რომ მეუბნები არ გრცხვენია, შენ რა პრობლემას მიქმნი ნუ გამაგიჟე, უბრალოდ შენზე შენი სულის გამო კი არ ვდარდობ, მე ვიცი როგორი კარგი ხარ, ვიცი როგორი სუფთა ხარ, უბრალოდ სხვების გამო მეშინია, ვიცი ცუდს შენ არ გააკეთებ, მაგრამ ძალიან მეშინია სხვამ არ გაგიკეთოს....გამხდარი გრძელი მკლავები დედის კისერზე ჰქონდა მოხვეული და უკვე სისხლმაც ჩვეულებრივად დაიწყო მოძრაობა, უკვე ნაკლებად განიცდიდა, უკვე აღარ ფიქრობდა არაფერზე, მთავარი იყო, რომ დედა ენდობოდა....

ნიკა ადგილს ვერ პოულობდა, მარტო მაშინ ჩერდებოდა თუ ოთახში ვინმე შემოვიდოდა, მშვიდად ჩახედავდა საბუთებს და ერთ სიტყვასაც ვერ კითხულობდა. ლევანის მოსვლა რომ უთხრეს საათი დანიშნა, ძლივს ითმენდა, ძლივს აკავებდა თავს მაშინვე არ ჩასულიყო....

ნახევარ საათზე მეტი ვერ გაძლო, ლევანი კომბინიზონში იყო და რაღაცებს წმენდდა.

-გამარჯობა ლევან...ათ წუთში ჩემთან ამოდი ზევით....არა ეს ათი წუთი რაღა იყო, ხუთი ეთქვა..ვერაფერი მოუხერხა თავს, ლევანი მშვიდად შევიდა..

-რატომ აგვიანებ?

-ვერ მოვახერხე!

-რა ვერ მოახერხე, მერამდენედ აგვიანებ! სად იყავი..

-არ გეხებათ ეგ თქვენ... ნიკა აიჭრა..

-რაც მეხება იმაზე არ მცემ პასუხს და იძულებული ვარ.

-ბოდიში..

-როდის გამოგიშვეს? ლევანი გქავავდა არ ეგონა, რომ იცოდა..

-ერთი საათისწინ....

-ახლა რომ სხვა რაღაცა დავამატო, ხომ იცი მაგარ შარში რომ ხარ? მაგარი ტიპი გგონია თავი შენზე პატარებს, რომ ჩაგრავ? თუ სამყაროში მათი ადგილი არ არის ვინც სუსტია? სადაც გაგდის უნდა გაიტანო? შენი ფრაზა არაა? ახლა შენი გასრესვა შემიძლია, გამდის და გავიტანო? მითხარი, შემიძლია ცხოვრება ამოგიყირავო, გავაკეთო? დაგჩაგრო? გადაგიარო?

-ბოდიში....

-რას მებოდიშები, პასუხი გამეცი.. შენ ვინ მოგცა უფლება ვინმეს რამე წაართვა....შენ საერთოდ ვინ ხარ რაღაცებს რომ ითხოვ....საერთოდ არ გაქვს ძალა იბრძოლო? სხვა გზით მიიღო ის რაც გინდა? ხომ შეგიძლია იშრომო? ხომ ხარ აქ? შენი შრომით აღებული ფული გეხამუშება? დანის ტრიალისას მიღებულს სხვა მუღამი აქვს? უნამუსო რომ ხარ ეს არ შევიმჩნიოთ? დედაშენს დაველაპარაკები, მე აქ ამდენს არ მოგითმენ ან დამიბრუნებს იმ ფულს ან ჩემი ხელით წაგათრევ განყოფილებაში..ლევანი ნიკასკენ წავიდა და ძირს დაემხო....

-ოღონდ ეს არ გააკეთო...ნიკა ადგილიდან ისე წამოხტა თითქოს დენმა დაარტყა..ვერაფრით გადალახა მის ფეხსაცმელს რომ შეეხო.....

-ლევან რას აკეთებ ადექი.....

-გევედრები...

-ლევან ადექი ახლა ადექი არ გამაგიჟო, ვინ გითხრა.. რას აკეთებ...

-ძალიან გთხოვ..

-ლევან ადექი ისე ვილაპარაკოთ, ეგრე არ შემიძლია.... ლევანი წამოდგა....ნიკამ მხრებზე ხელი მოკიდა და ახლოს მიიზიდა.

-რა გჭირს? ესე რატომ განიცდი? ახლა საკუთარ თავზე გული მერევა თუ ამ ზომამდე მე მიგიყვანე....არადა სულ სხვანაირი ხარ...

-უბრალოდ გეხვეწები დედაჩემს არ უთხრა...დაგიჩოქებ!!!!

-არ ვეტყვი!!!! არ ვეტყვი, ოღონდ ეგ არც გაბედო გავაფრენ, შენ არ იცი მართლა გავაფრენ, ასეთ რამეებზე ჭკუა მეკეტება!!! მენაბდეს ისევ ისეთ ერჩივნა, ახლა სულ დაიბნა არ იცოდა რა გაეკეთებინა.....

-ვიმუშავებ, არავის არაფერს წავართმევ....

-კარგი მეც ეგ მინდა, ჩემგან ვერავინ გაიგებს რამეს, მაგაზე არ ინერვიულო, თუ რამე ისეთია მითხარი მართლა.....

-მადლობა, ლევანი ძლივს დადიოდა...

ლევანი შეიცვალა სწავლობდა კიდეც, ნიკამ იცოდა რომ ეს ყველაფერი მისი დამსახურება არ იყო, სხვა რაღაცაც ხდებოდა მის თავს. მაგრამ ყიფიანი ცოცხალი თავით არაფერს ამბობდა...

სკოლის ნაკრებში მარტო იმიტომ ჩასვეს, რომ ძირითად მოთამაშეებს არ შეეძლოთ დაზიანების გამო თამაში, გიას კი არ უნდოდა ის გამარჯვება, რომელზეც აბოდებდა ამის გამო დაეთმო....დემეტრე საშინალად გაბრაზდა ეს რომ გაიგო, მაგრამ ხმა არ ამოუღია, გუნდში აშკარად არავინ სცემდა ლევანს პატივს...არავინ შეხვედრია სიხარულით, ცალკე იყო ყიფიანი ყველასგან....იმ თამაშზე ორი კვირისწინ, რომ მათე აფრთხილებდა ნიკას მთელი საგვარეულო

წავიდა, მათემ ყველას სათითაოდ ჩამოუარა, ნიკა ყოველთვის ფიქრობდა, რომ საოცარი მამა იყო მისი ძმა, შვილის თამაშზე მთელი სანათესაო შეკრიბა, მეგობრები, ახლობლები...ნიკა კი არ მივიდა.....დემეტრე თვალს სულ იქით აპარებდა, მაგრამ პირველი ტაიმის მერე იმედი გადაეწურა....მათი სკოლა ძალიან რთულ მეტოქეს ხვდებოდა....წინ მათეს ცოტნე იყო, ფორვარდათ ათამაშებდნენ, დემეტრე მარჯვენა ნახევარმცველი, ბარბარეს ერეკლე მცველი იყო და ლევანთან ერთად უწევდა თამაში....იქ ნამდვილი ომი იყო გუნდის შიგნით....ლევანმა წინა დღეს ძალიან ინერვიულა..ნერვიულობდა ყველაფერს, გრძნობდა რომ გარიყული იყო.... მათე ბოლო ხმაზე ღრიალებდა, ისე სასაცილოდ უჭერდა მხარს მის ბიჭებს, დემეტრეს განსაკუთრებით ამხნევებდა, მაგრამ ისე მოწყენილი იყო..ისე ტკიოდა მის ყველაზე მნიშვნელოვან თამაშს ნიკა რომ არ ესწრებოდა, მხოლოდ ელენეს იქ ყოფნა აიძულებდა ცოტა უკეთესად ყოფილიყო და ტასოს გაბრწყინებული სახე, ყვირილით „ჩემი ძმა ყველაზე კარგია“ ელენე ძლივს აჩუმებდა..ის კი მაინც კიოდა....უკვე მოწინააღმდეგეების გატანილმა გოლმა ფსიქოლოგიურადდაც და ფიზიკურადაც გატეხა გიას სკოლის გუნდი...მათე სულ გადაირია....იმათ მწვრთნელს უყვიროდაა..

-მე არაფერი გამეგება ამ სპორტის, მაგრამ ამ დროს ჩემი ძმა ამბობდა ხოლმე რომ მწვრთნელმა რაღაც უნდა შეცვალოს!!! თან თვალებს უქაჩავდა..

-უთხარი, რომ სივრცეები შეავსონ, დიდ მანძილს აძლევენ, დაუყვირა ბელთაურმა.

-გაიგონე, მათე უკვე დაბლა ჩავიდა და მწვრთნელს მიუჯდა გვერდით.. ეს ბელთაურია! მისტერ თაზო! ანუ სივრცეები ამოავსონ უთხარი.....

-ძალიან არიან დაღლილები.....

-თაზო აქ ჩამოდი და შენ უთხარი ბავშვებს რა გააკეთონ, მათე ისე სასაცილოდ ჩაერთო ბავშვების სპორტში, მოკვდებოდა მისი შვილის გუნდს რომ არ მოეგო. მალე მათეც გამოუშვეს იქიდან, არ შეიძლებოდა. სულ გადაირია....რასაც თამაზი ამბობდა იმას ყვიროდა მათე....იმ ბავშვებს 5 მწვრთნელი და ჭკუისდამრიგებელი ყავდა და უკვე აღარავის უჯერებდნენ...

-ეს ჩემი შვილი არაა წინ გასაშვები, მეც კი ვხვდები, რა უნდა ახლა იქ სულ კარისკენ აქვს ყურადღება, ოღონდ თავისი, მათე ქოთქოთობდა...

-მათე რამხელას ყვირიხარ, შენ ჭაღარას მაინც ეცი პატივი...

-შენ მოეთრიე ხო, სად ხარ ამდენ ხანს 15 წუთიც აღარ დარჩა. დემეტრემ იქითკენ მარტო იმიტომ გაიხედა, რომ ცოტნე ხელს უქნევდა ნიკას....როგორ უნდოდა მამამის ენახა, როგორ გაუხარდა და შერხვა იქ რომ იყო და აგებდა, ნიკამ ლევანს თვალი ჩაუკრა. იმ დღეს ალბათ ერთადერთ იყო ვინც ყიფიანი შეიმჩნია....ადამიანებს კი გარიყვა ყველაზე მეტად კლავს, ანადგურებს, რწმენას უცამტვერებს....დემეტრეს კი არაფრით იმჩნევდა მისი თვალები..

-ნიკა ამ ჩემს შვილს რამე ანიშნე, თორემ გამაგიჟა..

-ეხლა გაჩერდი დამანებე თავი..

-ტყუილად ვიწვალე შენი მწვრთნელის დიპლომის აღებაზე, ძლივს წაგათრიე რომ აგეღო...ნიკას გაეცინა, მართლა ასე იყო....წაათრია....

-ცოტნე არაა თავმდამსხმელი, სულ საკუთარ კარზე ფიქრობს, მისთვის მთავარია გოლი არ გაუტანონ და არა ის, რომ თავად გაიტანოს..

-მეც მაგას ვამბობ, წარმოგიდგენია რა გონიერი ვარ, იქ რა უნდა..ნიკამ ცოტნეს ანიშნა ამოწეულიყო, ის ორი მცველი დაანახა ვინც უნდა გაეტყუებინა, ცოტნე კი ვერაფერს გრძნობდა სულ იმაზე იყო გადართული გოლი ისევ არ გაეშვათ.....უკვე მერამდენედ ანიშნებდა მენაბდე რომ წინ უნდა ყოფილიყო....მცველები ანიშნა რომლები იყვნენ მასზე მიმაგრებულები, მაგრამ აზრი არ ჰქონდა, დემეტრე კი არც თვალს და არც გონებას აშორებდა მამამისის ჟესტებით ნათქვამს.....

-ახლა ამათ ბარსას სტილის თამაში ჭირდებათ, მოკლე პასები, ვიღაც ვინც ბურთს დაიჭერს ცენტრში... ბელთაურმა მაინც მოახერხა და ბარსელონა ახსენა..

-ოხ, ბარსელონა არა ის, ახლა ამათ რეალ-ური საგოლე გადაცემა სჭირდებათ..ნიკამ არ შეარჩინა....ამ ხუმრობაში იყვნენ, და არ შეუმჩნევიათ როგორ გაუცვალა დემეტრემ ადგილი ცოტნეს.....ნიკა ლევანზე გადაერთო და ანიშნებდა გრძელი გადაცემის გაკეთებას, ამაზე ბელთაური ირეოდა მაინცდამაინც მოკლე გადაცემები უნდოდა და ბურთის დაჭერა...

ლევანმა უკვე წინ ყურება დაიწყო და სასურველი გადაცემისთვის გუნდელს არჩევდა...მხოლოდ მაშინ, როცა მენაბდის მოძრაობა შენიშნა, როგორ გადაიყვანა მცველები სხვა მხარეს და სწრაფად მეორე მხარეს დაიწყო მოძრაობა მაშინ ძლიერად და რბილად გადააწოდა ერთი ბოლოდან მეორეში.....დემეტრე უკვე მეკარის პირისპირ იყო, მხოლოდ რამდენიმე ცრუ მოძრაობა გააკეთა და უკვე სხვა მხარეს გადამხტარი მეკარის კარში მისი გუნდის პირველი გოლი შეაგდო.....ყველა გადაირია, მათე სულ გაგიჟდა...ახლა რაც ახსოვდა ძნელი განხსვავება იყო 13 წლის ნიკასა და დემეტრეს შორის, იმხელა მსგავსება დაინახა, თითქოს წლების წინ დაბრუნდა, იქ სადაც ნიკას დაყვებოდა ხოლმე თამაშებზე...ყველამ შეიმჩნია, ყველას სიხარულმა, ყველას ოვაციამ, ნიკა კი მშვიდად წერდა რაღაცას ტელეფონზე....როცა იგრძნო რომ გაიტანდა, მარტო ის უნდოდა მისი რეაქცია ენახა...დაენახა მისი სახე, როცა გოლს გაიტანდა.....მამამისი კი იმდენად გაციებული იყო დემეტრეს სურვილიც აღარ ჰქონდა აღენიშნა...გახარებული ბავშვები ერთმანეთს ახტებოდნენ, გათანაბრებული ანგარიში და ისევ ხელახლა დასაწყები მოგებისთის ბრძოლა, ყველამ აღნიშნა, ყიფიანი კი არავის მოუკითხავს, არავინ მიულოცა, არავის ჩაუხუტებია, არადა ნიკამ ხომ იცოდა ამ დროს, რომ არ გამოხატო, რომ არ გაუზიარო.....თავჩაღუნული ყიფიანი მშვიდად დაუბრუნდა თავის ადგილს.....ბოლოს თერთმეტმეტრინებით გაიმარჯვა გიას გუნდმა, არც ეს გამარჯვება მიულოცა ვინმემ ყიფიანს, იდგა თავჩაღუნული და თვალები უკვე ცრემლებით აევსო..როცა დემეტრემ ნიკა დაინახა დაბლა ჩადიოდა მათთან იგრძნო რომ გულის ხმა ესმოდა, რაც უფრო უახლოვდებოდა ნიკა, გრძნობდა რომ ემოციას ვერ ერეოდა, თვალს ვერ აშორებდა მამამის, ნიკა კი მტკიცე ნაბიჯით უახლოვდებოდა, დემეტრემ მძიმედ ჩაისუნთქა ჰაერი.....შვილს ისე ჩაუარა არც შეუმჩნევია მენამდეს,თითქოს იქ დემეტრე არ იდგა, იქ არ უთამაშია...არც არასოდეს ყოფილა, თითქოს არ

ჰყავდა მამა.....ნიკა ლევანს მიუახლოვდა და მოეხვია, იმანაც გაუაზრებლად მოხვია წელზე ხელი და ცოტაღა დააკლდა ხმამაღლა არ ეტირა....დემეტრე თვალს ვერ აშორებდა როგორ მოეხვია მამის ხელები მისთვის ყველაზე არასასურველ გუნდელს, როგორ ჩაუარა მას....როგორ არაფრით არ იმჩნევდნენ საყვარელი ფეღბურთელის თვალები.

თავი 20

"რაც უფრო მეტად მეყვარები გეტყვი მით ნაკლებს" შექსპირი.

-ძალიან მრცხვენია ამის გამო. ძლივს ამოილუღლუღა ელენემ. ნიკა წამომჯდარი იყო, საწოლზე ჩაცურდა და მეორე მხარეს გადატრიალდა.....თმა, რომ სველი ჰქონდა ამაზე ფიქრობდა ელენე, ახლოს მივიდა ნიკას თავზე ხელი მოუსვა..მენაბდე ისეთი გადამწვარი იყო, ისე შეეცოდა ელენეს..

-ყველაფერი დალაგდება ნიკა..გაუზარებლად მიწია სახე და ლოყაზე აკოცა. ძლივს მოახერხა თავი გამოეწია, ძლივს აიძულა თავი მოშორებოდა, მენაბდე კი არც გარხეულა... ფანჯარა მიკეტა და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო ძილთან ბრძოლის დათმობა. დილით თმა ისე ჰქონდა, როგორც ეძინა, არეული და აბურდული, ვერაფრით დაალაგა და ისევ წყალს მიუშვირა თავი..... ელენეს, რომ გაეღვიძა ნიკა უკვე გასული იყო..არაფერი დაუბარებია, არაფერი უთქვამს ისე დატოვა. დაბლა სწრაფად ჩავიდა, სახლი სარიტუალო სახლს ჰგავდა, სადაც გარდაცვლილი მხიარულება იყო, მის გარეშე კი ყველა რაღაცას გლოვობდა. მათე და ნიკა ხმადაბალი საუბრით გამოვიდნენ კაბინეტიდან. თუმცა მალევე შეწყვიტეს..მათე ოდნავ დამშვიდებული იყო, უხმოდ მიუსხდნენ მაგიდას....ხმა არავის ამოუღა, ყველა იმიტომ ჭამდა, რომ ის წესი არ დაერღიათ რასაც შეიძლებოდა, ხმის ამოღება დაჭირებოდა, ვინმეს დაელაპარაკა.....

-გუშინ მემგონი ძირითადი საკითხები გავარკვიეთ! დაიწყო დემეტრემ. ბარბარე ჩვენთან იქნება, უნდა შევძოთ, რომ ყველაფერი ისევ ძველ სახეს დავუბრუნოთ.

-მამა ამას ვერ შევძლებთ. მათემ ჭიქა მტკიცედ დადგა.

-მაშინ ისე მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ საუკეთესო გამოსავალი ვნახოთ ერთად ცხოვრებისთვის. მშვიდად თქვა დემეტრემ. მაიას ცრემლები მოდიოდა.

-შევძლებთ მათე, მთავარია ყველა ცოცხლები და ჯანმრთელები ვართ, სხვა დანარჩენი უმნიშვნელოა, დრო მაინც დაალაგებს ყველაფერს....ნიკას ეტყობოდა, რომ ცდილობდა სიტოაციის განტვირთვას.

-ღვთის წყალობით, მაიამ თბილად გაუღიმა ნიკას.

-შენ უჩემოდ არ წახვიდე იცოდე, მათემ ხმადაბლა დაუძახა ნიკას, მხოლოდ ის ამჩნევდ ამ მშვიდი სახის მიღმა, როგორი გაბრაზება იყო, დაუმორჩილებელი წყენა.. მხოლოდ თავი დაუქნია და ეზოში გავიდა. მალევე წავიდნენ ბიჭები, დემეტრემ იცოდა სადაც...ელენე ძალიან

აფორიაქდა და ტაქსით ჩუმად გაჰყვა უკან..ნიკა იჯდა საჭესთან და გაუკვირდა, მათესთან ერთად არასოდეს ჯდებოდა, სულ ერჩვნა გვერძე ყოფნა.....გვერძე რაღაც მანქანას ამოუდგა და ფარებით ანიშნა გაეჩერებინა, იმ მანქანიდან დაინახეს როგორ ამოყო ვიღაცამ ხელი და შუა თითი აჩვენა, ტაქსის მძღოლმა გადაიხარხარა....საშინელი სისწრაფით მოწყდა ადგილს მენაბდეების მანქანა, საშინელი სიგნალი ატყდა....ელენე დაიძაბა.....მანქანა არ აჩერებდა ნიკა გამეტებით მიდევდა, შუქნიშანთან წინ გაუჩერა და გაცოდებული გადმოხტა მანქანიდან, მაგრამ მალევე დაძრა გეგამ მანქანა და ისევ გაიქცა, ნიიკა სწრაფად დაბრუნდა..

-ძალიან გთხოვთ უკან მიყევით, გეხვეწებით..ელენე ტიროდაა ისე ეშინოდა.... ვერაფერი მოუხერხა ნიკამ, ვერაფრით გააჩერებინა მანქანა, ძალიან სწრაფად მიდიოდანენ, ქალაქში დიდი მოძრაობა იყო და საშიში ხდებოდა ყველაფერი..მხოლოდ იმის დანახვა მოასწრო ელენემ როგორ გადმოწია ნიკამ ხელი, შავი გრძელი რაღაცა ეჭირა და მთელი ძალით გადაარტყა იმ მანქანის წინა მინას..

-ჯანდაბა ესენი გიჟები არიან. ტაქსის მძღოლი ემოციებს ვერ აკავებდა...

-საჭე გეჭიროს, ცოტა ახლოს მიწიე, უყვიროდა ნიკა მათეს და უკვე მეორედ გადარტყმულზე მინა ჩაუმსხვრია....მანქანა ისევ არ გაჩერებულა..

-ამათ იტყუებს სადღაც, ტაქსის მძღომა ჩაილაპარაკა...

-რა? რას ამბობთ, ელენე სულ გადაირია, ნიკასთან დარეკა სასწრაფოდ, მაგრამ რას უპასუხებდა, მანქანაში ორივე ყვიროდა ბრაზისგან..

-რაღაც ადგილზე გვიტყუებს ნიკა!

-ვიცი, მაგრამ მოვკვდები რომ არ ავახიო სახე, ფეხებზე ვის დამახვედრებს. ხელებს ურტყავდა საჭეს და ღრიალებდა... დავახრჩობ!!!!!!!! სადღაც ძალიან მიყრუებულ უბანში შევიდა მანქანა და მენაბდეებიც მიყვნენ.....

-ისე რომ არ დაგვინახონ, ისე გააჩერეთ მანქანა, ჩაილაპარაკა ელენემ.

-ეგენი იმათ გარდა ვერავის ხედავენ ახლა..უპასუხა მძღლმა და მანქანა გააჩერა.... ორივე გადმოხტა მანქანიდან, ნიკას სიმშვიდის არაფერი გააჩნდა, გამოსული იყო წყობიდან, კორპუსიდან რამდენიმე ბიჭი გამოვიდა, რკინის ჯოხები ეჭირათ და რკინას წვეტები ჰქონდა...

-ფეხებში ურტყით მეორეს დაიყვირა გეგამ!

-ეს ნიკა მენაბდე არაა? ჩვენი ნაკრების ფეხბურთელი, რას აკეთებენ...მოვკლავ ამათ იმ ბიჭს რომ ფეხზე რამე მოუვიდეს, მაგის იმედი მაქვს, მაგაზე ვამყარებ იმედებს ჩვენს ნაკრებში, აღრიალდა ტაქსის მძღოლი და დასახმარებლად გადაიჭრა, ელენე ტიროდა იცოდა არ უნდა მისიულიყო, იცოდა ამას შეიძლება უარესი შედეგი მოყოლოდა, ძლივს იჯდა მანქანაში.... მხოლოდ ის დაინახა, როგორ გაუქანეს ნიკას ფეხზე რკინა და როგორ დაესვარა შარვალი სისხლით, ამის მერე ქმარს ვერ ცნობდა, ნიკა ის არ იყო ვისაც იცნობდა, როგორ ექცეოდა ადამიანებს, როგორ

სასტიკად, არ ინდობდა არც ერთს, ვინც ფეხში ჩაარტყა სახეში მთელი ძალით ჩაარტყა მუშტი მერე ძირს დავარდნილს ფეხი გადაუტეხა ღრიალით, მათემ მთელი ძალით არტყმევინა თავი ბეტონზე ერთ-ერთს, მძღოლი გაღმებული უყურებდა იქ დატრიალებულ ამბავს, როცა მენაბდე შემდეგს დაეტაკა, თავგამოდებით ურტყავდა და მერე თითები ისე დაუჭირა რომ ერთი მოძრაობით მოტეხავდა მისი ღრიალი მოესმა..

-გევედრები კალათბურთელი ვარ!!!!! ელენეს ისე შეეშინდა, ისე შეეშინდა რომ ვერ მოეზომა...ამას რა მოყვებოდა, ნიკამ ხელი ისე გაუშვა თითქოს დენმა დაარტყა, ხელები გაუთავისუფლა, მაგრამ ცხვირში მთელი ძალით ჩაარტყა...გეგა გამოქცევას აპირებდა, როცა მიხვდა, რომ ძალიან სწრაფ ფორვარდს თან ასე გამწარებულს ვერ გამოექცეოდა, როცა ვეღარავინ დგებოდა ფეხზე მაშინ მოვიდა გეგას ჯერი, ნიკამ რკინა ხელიდან გააგდო, აღრიალებული მივარდა და წარმოუდგენლად ურტყა...მათე მიხვდა, რომ მოკლავდა ცოტაც რომ გაგრძელებულიყო შემოაკვდებოდა..

-გაჩერდი ნიკა, გაჩერდი....მაგ შუა თითს..დაიღრიალა ნიკამ და გადაუმტვრია.....გეგა ფეხზე ვეღარ დგებოდა, ღრიალისგან ხმა აღარ ჰქონდა..ელენე სულ გადაირია, მანქანაში ვეღარ გაჩერდებოდა, ნიკასკენ გაიქცა, მაგრამ მიხვდა, რომ ვერაფერს ხვდებოდა მენაბდე, მხოლოდ გეგას ხედავდა...

-მოგკლავ, მოგკლავ შე ახვარო..შენი..... ძლივს აკავებდა ნიკას მათე და მძღოლი..

-დამშვიდდი შვილო, რა გაგიკეთა ასეთი შენ წყობიდან გამოსული არავის უნახიხარ, მოხუცი კაცი გამეტებით ამშვიდებდა....

-შენ როგორ შეეხე ჩემს დას, შენ როგორ მიეკარე...შენ რა ადამიანი ხარ.... როგორ უნდა ატაროს ჩემმა დიშვილმა შენი სისხლი, როგორ....გეფიცები, გეფიცები, რომ შენს სისხლს გამოვაცლი და სხვანაირს გადავუსხავ, შენს აყროლებულ სულს გამოვაცლი, ყველაფერს გავაკეთებ ღირსეული იყოს....მოვკვდები და არ დაგამგვანებ! მენანება ყველა ის წვეთი რაც შენი იქნება, მაგრამ არაფრით გემგვანება!!!! მოგკლავ სადმე რომ შემხვდე, თვალებს ამოგიღებ.....ნიკა არ ჩერდებოდა ღრიალებდა და ისევ ურტყავდა სახეში.....მათემ ძლივს გამოგლიჯა..

-დამშვიდდი შვილო მთელ საქართველოს შენი იმედი გვაქვს, გაგივლის, ახლა გაბრაზებული ხარ.....მოხუცი მძღოლი ისე საოცრად ამშვიდებდა ნიკას რომ გაეგონა ბრაზს ვეღარ იგრძნობდა, მაგრამ იმ მომენტშ არაფერი ესმოდა.....

-შენ როგორ უნდა იყო მამა....შენ ჩემი ნებართვის გარეშე ვერც ერთს ნახავ!!!! სასამართლოში რომ ფეხი შედგა შენს გვარს ამოვატრიალებ...დედაშენს და შენს დას მოვკლავ გესმის, უკვე მათეს ძალიან შეეშინდა ნიკას მდგომარეობის გამო, არანორმალურად იყო....გეგა აიჭრა...

-ვერ დაგპირდები რომ შენს დას იგივეს გავუკეთებ! არ შემიძლია, ესეთ რამე არ შემიძლია, მაგრამ გპირდები რომ მოგიკლავ!!! ამას მართლა შევძლებ თუ შენ ჩემს დას შეეხები....ელენეს მეტის გაძლება აღარ შეეძლო, ნიკას სახეზე ხელებს უსვავდა, აკანკალებულ თითებს მის

გახურებულ სახეზე დაატარებდა, საშინელ ტკივილს ხედავდა მის თვალებში, არაადამიანურ მწუხარებას, დაგლეჯილი იყო მთლიანად მენაბდე.....

-არ გაიმეორო გევედრები,ნიკა გაჩერდი გევედრები, ელენე მთელი ძალით ჩაეხუტა, ეგონა ნიკას კაპილარებიც კი დაუსკდებოდა, გული ისე გამეტებით უცემდა.....თანდათან მოდიოდა მენაბდე გონს..

-უნდა წავიდეთ, პოლიცია მოვა, მათემ ძლივს თქვა.. ელენე დაიხარა და ფეხზე დახედა....ნიკა მოდიოდა აზრზე და გიჟდებოდა სისხლიანი, რომ იყო.....მაისური აგიჟებდა გასვრილი რომ ეცვა, შეიშლებოდა....

-მათე გთხოვ საბარგულში ზედა მიდევს მომაწოდე რა..... მერე ხელებიც სისხლიანი ჰქონდა და ამაზე სულ გადაირია....

-ნიკა ფეხი არ ვიცი როგორ გაქვს, ჯობია საავადმყოფოში წავიდეთ...ელენე ვერაფრით ანებებდა მის ფეხზე ფიქრს..

-შენ აქ რა გინდა!

-რა დროს ეგაააა, ნიკა...ინფექცია არ შეგეჭრას, ნაკერები დაგჭირდება ღრმაა ჭრილობა...

-შვილო გეხვეწები ახლა ექიმთან წადი, დინამო თბილისის მერე თასების თასის..იმის მერე მე ბედნიერი არ ვყოფილვარ, შენი იმედი გვაქვს, ოღონდ შენ კარგად იყავი და ამ იმედს ნუ წაგვართმევ...ნიკას გაეღიმა და მოხუც მძღოლს ხელი გადახვია..

-სხვანაირად არ შემეძლო..ისე ცუდად ვარ მგონია გული გამისკდება....ისეთი ვინმე დავკარგე, ისე მიყვარს....ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიკეთა, ესე როგორ მომექცა, არასოდეს მიმიცია საბაბი რამე დაემალა, გეფიცები არასოდეს ვყოფილვარ მკაცრი, ჯიუტი, გაუგებარი მასთან, ერთ დღე არ ყოფილა მასზე არ მეფიქრა..სულ ყველანაირად ვცდილობდი ბედნიერი ყოფილიყო, ისე მომექცა თითქოს არ ვიყო, ჩვარი ვიყო....

-შვილო ახლა გაბრაზებულ გულზე ასე ჩანს, მერე დამშვიდდები..

-არა, თქვენი სახელი?

-მახო..

-მახო ძია, არ ვარ გაბრაზებული და საქმეც ესაა, არც რამე გამიკეთებია ცხელ გულზე, მე სულ ასე ვიქნები...და ეს მაგიჟებს.....დავკარგე დავკარგე და მიყვარს.....არ იქნება ადვილი...რა გავაკეთო.....ყველას შეძულება მეგონა შეიძლებოდა და და როგორ შევიძულო, მიყვარს და ამიტომ ვერ ვპატიობ, ასე რომ არ მიყვარდეს ალბათ ვაპატიებდი..ელენე ჩაეხუტა....

-გეხვეწები წავიდეთ ექიმთან, არაფერი მოგივიდეს ნიკა....

-ელენე აქ რა გინდა? რატომ მოხვედი, ან როგორ....

-გამოგყევი, კარგი ახლა რა დროს ესაა, წავიდეთ..

-აბა თქვენ იცით, მახომ ხელი დაუქნია, ელენემ ფულის აამოსაღებად ჩანთა გახსნა...

-არა, აბა როგორ, გამორიცხულია მე თქვენ რამე გამოგართვათ..

-არა ისე არ შემიძლია რას ამბობთ..გაჯიუტდა ელენე.

-არა მენაბდე ჩემი იმედია, იმედს კი ფულს არ ართმევენ..

-მე ხომ მენაბდე არ ვარ, მისი ცოლი ვარ..

-იმედის ცოლს ხომ მით უმეტეს, გაეცინა მახოს.. ნიკამ ფული ამოიმღო და მიაწოდა..

-მართლა არ შემიძლია, მახო ძია გამომართვით, ჩემთვის ეგეც საკმარისია....თქვენ უკვე არ გამომართვით, ახლა მე მინდა..

-არა ნიკა, აბა რას მეუბნები, ჩემი ოჯახი მომკლავს ეს რომ გაიგოს შენ ფული გამოგართვი, ჩემი მეგობრები ხომ საერთოდ, ისე გიყურებ ხოლმე, ისე მეიმედები, მგონია, რომ იქ ყიფიანი, მესხი, დარასელია..იქ არიან შენთან მოედანზე....შენ არ იცი რას ნიშნავს ამდენი წლის მერე ისევ ის იმედი..ჩემს შვილიშვილს ამ ამბავს რომ მოვუყვებიი დავაყოლო რომ ფული გამოგართვი? აბა როგორ.. ეს აბა როგორ უკვე მერამდენედ და ისე საყვარლად ახსენა.

-მახო ძია ძალიან კარგი ხართ, ძალიან დიდი მადლობა, ღვთის წყალობა, თქვენნაირები არიან გულში.....

-გულში შენ ხარ!.....მახო თავის ყვითელ ტაქსიში ჩაჯდა გაღიმებული და მალევე გადმოვიდაა...

-რამე დაგავიწყდათ მახო ძია?

-ჩემი შვილიშვილი არ დამიჯერებს, რომ გნახე და იქნებ წარწერა დამიტოვო..

-რამე გაქვთ? სადაც გინდათ..

-ფურცელს ვნახავ..დატრიალდა მახო, ნიკამ საბარგული გააღო და ბურთი გადმოიღო..

-მაგ ფურცელს ფასი არ ექნება და ბურთს თქვენი შვილიშვილი გამოიყენებს.....რა ჰქვია?

-მახო..გაიჭიმა მძღოლი..

-მაგრად მომწონს რა შვილიშვილს ბაბუის სახელი რომ ჰქვია, მეც ესე ვარ, ბაბუაჩემი იყო ნიკოლოზ მენაბდე.

-ხო რა გენაღვლება ნიკა ერქვა აბა სილიბისტრო რქმეოდა, სილიბისტრო მენაბდე ჟღერს რა გინდა გაეცინა მათეს.

-იუმორი მიეძალება ხოლმე ჩემს ძმას....თავად მამაჩემის მეგობრის სახელი ჰქვია, იმ წელს დაიღუპა მათე რომ დაიბადა და ბაბუაჩემი ჩუმად მძვინვარებდა მამამ, რომ მისი სახელი არ დაარქვა, იმის მერე 11 წელი მელოდნენ, შვილი არ უჩნდებოდათ, ბაბუაჩემმა მე რომ დავიბადე ამოისუნთქა, მოკლედ ოჯახში ყველას მაგრად ვუყვარვარ. მათემ თავზე ხელი სასაცილოდ წამოარტყა და გაუცინა..

„მახოს, ისეთი ბაბუა ჰყავს მენაბდის ავტოგრაფი არაფერში ჭირდება“

დაუწერა ნიკამ ბურთზე..

-აბა ეს რა არის? აბა როგორ!

-სიმართლე! აბა როგორ! გაუღიმა ნიკამ და მანქანაში ჩაჯდა. ფეხი დინამოს ექიმმა გადაუხვია, არ უნდოდათ სავადმყოფოში მისვლა, ჟურნალისტები და მერე შეიძლება გამოძიება დაეწყოთ....სანამ ეს ტანსაცმელი არ მოიშორა მანამ ლამის გაგიჟდა. ნიკა ისევ ცივი იყო ელენეს მიმართ..ელენეს ეს აგიჟებდა....სახლში შეთქმულებივით შევიდნენ, არვის არაფერი ეტყობოდა, მხოლოდ 5 წუთი იყვნენ დემეტრესთან შესული ბიჭები, ყველაფერი უთხრეს და გამოვიდნენ. ელენე ნიკას ისე დაფოფინებდა, გეგონება ფეხზე უბრალო ნაკერი კი არა ფეხი მოაჭრეს.....როცა კედების გასახდელად დაიხარა მენაბდენ მაჯებში წაავლო ხელი..

-რას აკეთებ? ელენეს არც უფიქრია რომ რამე განსაკუთრებულს აკეთებდა, უბრალოდ უნდოდა და ეხმარებოდა..

-დაიღლებოდი, ფეხები დაასვენე..

-მაგას არ გეუბნები რას აკეთებ?

-ვცდილობ ფეხსაცმელი გაგხადო, რომ ფეხი დაასვენო..

-ეგ მეორედ არც გაბედო და არც გაიფირქო!

-რატო მეუხეშები, უბრალოდ შენი დახმარება მინდოდა და თუ ეს არ გინდა არაფერს შეგეხვეწები, რაც გინდა ქენი...

-მაინც მიაღწიე არა შენსას, მაინც უყურე როგორ ვბრაზდები, ახლა ალბათ მოისვენებ, შენ ხომ გსიამოვნებს, როგორ ჰკარგავენ ადამიანები კონტროლს, ახლა მზად ხარ ფეხსაცმელიც გამხადო, როცა შენთვის ყველაფერს ვაკეთებდი, როცა შენნთის განუზომელ ძალას ვიტანდი, ყველანაირ კაპრიზს მოთმინებით ვხვდებოდი, მაშინ ხომ გულს გირევდი..

-ახლა შენ ჩემი ცვლილება ამ დღეს არ დააბრალო ძალიან გთხოვ.

-მე დღეს რაც მნახე ასე მხოლოდ ერთხელ ვიყავი, 20 წლის ასაკში, როცა ნაკრებში ვიღაცის გადახდილი ფულის გამო ძირითადიდან ამომაგდეს..მხოლოდ მაშინ გავბრაზდი და ის ვინც ძირითადში ჩასვევს ფულის გამო ისე ვცემე თამაშის წინა დღეს, ერთი თვე ბურთს ვერ გაეკარა....და დღეს ვიყავი ასე, სხვა დროს მე არასოდეს დამიკარგავს კონტროლი, საერთო ჯამში

მე არ ვარ ისეთი შენ რომ ოცნებობდი, არც შეცვლას ვაპირებ, უფრო მეტიც გულს მირევს შენი გემოვნება, გულს მირევს ის ადამიანები ვინც თავს ვერ აკონტროლებს..ეს ყველაზე ადვილია, დღეს და მაშინ მე ყველაზე მარტივად მოვიქეცი, მოვიქეცი ისე როგორც მოიქცეოდა 99 პროცენტი, და ახლა გულს ჩემი თავიც მირევს იმ ერთ პროცენტში რომ არ ვარ.

-შენ მე სხვა რამეს დამპირდი ცოლად, რომ მოგყავდი, არაფერი დამიძალებია, არაფერი მომიტყუებია, არც თავი წარმომიჩენია ისეთად, როგორიც არ ვარ....მე არ შევცვლილვარ, ასეთი მომიყვანე, ახლაკი რატომ მსაყვედურობ ვერ ვხვდები....მე ხომ არაფერს დაგპირებივარ.....უბრალოდ მართლა ძალიან შეგეჩვიე, ჩემთვის არ ხარ ჩვეულებრივი, მე მართლა გაფასებ.....

-კიდე თუ მეტყვი, რომ შემეჩვიე სხვადასხვა ოთახებში კი არა სხვადასხვა სახლებში დავიძინებთ, რომ გადამეჩვიო...მირჩევნია მითხრა, რომ გძულვარ, მირჩევნია მილიონჯერ მოგიხადო ბოდიში რომ თავი ვერ შეგაყვარე და ამას დაგპირდი, მაგრამ მაგ სიტყვაზე ჩემი სხეულიც კი გონებას ჰკარგავს....საერთოდ გადის ჩემი ტვინი მომსახურებიდან და ძალიან ძნელად წაიშლება ეგ სიტყვა...

საერთოდ სხვანაირი გახდა, ელენე ვეღარ ცნობდა, თითქოს სხვა ადამიანი ჩაასახლეს მის სხეულში, ნიკა არაფერზე რეაგირებდა, ჯიუტად ასრულებდა ყველაფერს რაც ცხოვრების წესი ჰქონდა, ყველასთან იყო იგივე.. ელენე კი, ელენე თითქოს ცალკე წერტილი იყო, რომელზეც ნიკას ხასიათი აღარ ვრცელდებოდა, თავი გარეთ ეგონა, მოშორებით. ქმარი მის არსებობას ვერ ამჩნევდა, არაფერი იყო ისევ ისეთი რაზეც საყვედურს შეძლებდა, რომ ამის გამო მაინც დალაპარაკებოდა. ამასაც კი არ უტოვებდა. ეს ყველაზე ძნელი იყო, ამას არ ელოდა და ამიტომ ეს ყველაზე მეტად უჭირდა, ყოფილიყო არაფერი მისთვის. იმდენად ერთბაშად გამოეცალა ნიკას სითბო, რომ ეგონა სხეულს ნაწილები აკლდა, ვერშეუმჩნევლად გამთბარი სული ახლა გაუცივდა და სულ დაცარიელდა, ყოველთვის გრძნობდა ამ ვერდაუტეველ სიცარიელეს ქმარმა, რომ დაუტოვა და თავსაც ვერ უტყდებოდა. თითქოს რაღაცას უღალატებდა ეს შეგრძნებები, რომ მისი გონებისთვის ეღიარებინა, ეგონა გაუვლიდა, ნიკაც რამდენიმე დღის მერე ისევ ისეთი გახდებოდა ბრაზს რომ გადალახავდა და ელენეც შეუმჩნევლად ყველაფრის აღიარების გარეშე ნიკას აგრძნობინებდა, რომ უკვე სულ ერთი არ იყო მისთვის. ნიკას კი არაფერი ეტყობოდა, არც დრო, არც ელენეს მუდარით სავსე თვალები არაფერი მოქმედებდა.მზრუნველი მზერა, ყოველდილით გამზადებული საუზმე და ისევ ხელმოუკიდებელი ყველაფერი. სულ მოწყენილი დადიოდა, მენაბდე კი ისევ ისეთ იყო, ბარბარე და ელენე საერთოდ ამოშალა, თვითონ კი ისევ ისე იქცეოდა სანამ ელენე ცოლად გაჰყვებოდა, მხიარული, ზომიერი იუმორი, უპრობლემო, წიკიანი..ზუსტად ისეთი.

....

"იგის მაინც ტკივილი ურჩევნია წუხილს" ქარჩხაძე.

ლევანი გაშრა არ ელოდა, მაგრამ იმდენად უნდოდა ვინმეს ყურადღება მიექცია, დალაპარაკებოდა..უბრალოდ ეგრძნო, რომ ვიღაც მის გვერდითაც არსებობდა....ნიკას უფრო და უფრო უჭერდა ხელებს, თვალებს მალავდა, რომ ცრემლები არავის შეემჩნია.... ელერკლე და ცოტნე ბიძამისისკენ გაექანნენ.. მათე ენას არ აჩერებდა..ნიკას ლევანისთვის ხელი არ გაუშვია, ცოტნემ და ერეკლემ ნიკა მოიკითხეს და ისევ უკან დაბრუნდნენ, აშკარად იმათაც შეეტყოთ როგორ არ ესიამოვნათ ლევანის ისე ახლოს ყოფნა.....დემეტრე არაფერს დალოდებია ტანსაცმლის გამოსაცვლელად წავიდა უხალისოდ მხრებჩამოყრილი, ტასიკოს ყვირილი თუღა ახალისებდა..

-დემეტრე აქ ვარ მოვედი.....სულ გიყურე....შენზე ამბობდნენ რა კარგად ითამაშაო...

-ტასო დამშვიდდი სახლში უთხარი დე...

-სახლშიც ვეტყვი და აქაც. ატლიკინდა პატარა. ბავშვები მოგების აღსანიშნავად მიდიოდნენ, ლევანისთვის არც უფიქრიათ, რომ შეეთავაზებინათ..ნიკამ მანქანისკენ ანიშნა და ერთად წავიდნენ.. ტელეფონზე გამძვინვარებული მათეს წერილი დახვდა. „არ იუ ჯანმრთელად? შტო ეტა? დაგჭრი იცოდე, დემეტრეს რანაირად ეგცევი? ეს რას ნიშნავდა? შენ ისე იწრიალებ ყველას დაგვკარგავ, ჩემი ძმიშვილი როცაა შენ არც მახსვხარ, ეს გახსოვდეს და რომ გეცლება დამირეკე, მე ბავშვები უნდა წავიყვანო სადაც უნდათ, ყველაზე მაგარი მამა ვარ მსოფლიოში, ბიძაც!“ ნიკას არაფერი უპასუხია, ორივე ჩუმად იჯდა..

-არ ვიცოდი დემეტრე თუ თქვენი შვილი იყო..

-რომ გცოდნოდა რა შეიცვლებოდა..

-არაფერი.. ალბათ ჩემზე ბევრ ისეთ რამეს..

--ჩვენ არ ვლაპარაკობთ, მით უმეტეს შენზე....

-თუ რამეს გეტყოდა ცუდს, მართალია..

-არ გადამრიო, გაეცინა ნიკას, შენ გგონია არ გიცნობ? არავის თქმა მჭირდება..

-ძალიან კარგად თამაშობს, ძალიან მაგარი გოლი გაიტანა, თქვენი თამაშიც ვნახე, მომეწონა...ვერაფრით ვიგებ რატო არ გააგრძელეთ.

-ლევან მაგაზე არ გვინდა რა....ყიფიანი გაჩუმდა, ხმა აღარ ამოუღია.. მხოლოდ გადასვლისას ძლივსშესამჩნევად ჩაილაპარაკა. „მადლობა“

-ლევან ხვალე ჩვეულებრივ გელოდები, ცოტა ხანი ხმა არ ამოუღია და მერე დაამატა..შენი პასი იყო საოცარი, დამბურძგლა, ძალიან იშვიათად მემართებოდა ყურებისას და გონებაზე მეტად მე ამ შეგრძნებას ვენდობი..საოცრად ჭკვიანი ხარ....ამას მხოლოდ გონიერი ფეხბურთელი გააკეთებდა..ლევანი გაწითლდა და მერე გაყვითლდა, სულ გადაირია ამ შექებაზე, თვალები აუბრჭყვიალდა და სახლისკენ წავიდა სწრაფი ნაბიჯით.

დემეტრე მთელი საღამო უხმაუროდ იჯდა, მოწყენილი, ბიჭები იცინოდნენ აღნიუშნავდნენ..

-დემე მამაშენი ხომ კარგადაა? იმ ტიპტან რა უნდოდა? ჰკითხა ცოტნემ.

-არ ვიცი..აიჩეჩა მხრები და წვენი მოსვა....

-უნდა დაველაპარაკოთ, იცის მაგან როგორ გვაწვალა..ჩაერთო ერეკლე ლაპარაკში....უთხარი რა დემე ეგ ლევანი რა ნაგლიცაა...

-არ აქ აზრი.

-რატო? მამაჩემი სულ მისმენს და მითვალისწინებს.. ისე გულუბრყვილოდ ატკინა ცოტნემ გული დემეტრეს, ისე ბავშვურად და ალალად, რომ გასაბრაზებელი ობიექტიც კი აღარ ჰქონდა, მხოლოდ ტკივილი, ტკივილი იმის გამო რომ მას არ ჰყავდა ჩვეულებრივი მამა.....მამა და ამ ბოლო პერიოდში მამაც არ ჰყავდა საერთოდ. ელენეს მალევე დაურეკა და სახლში წაყვანა თხოვა..ძალიან შეწუხდა ელენე, ასე რომ იყო..

-დემე რატომ წამოხვედი ასე ადრე? ახლა ხომ უნდა აღგენიშნათ, ესე არ შეიძლება....

-არ მინდა, ასე გაურკვევლად ვარ დედა, მირჩევნია მეჩხუბოს ვიდრე ასე იყოს, სულ არაფერს ვნიშნავ..დედა შეიძლება არც ვუყვარდე?

-არა დემეტრე ძალიან უყვარხარ..იმისი იმხელა სისუსტე ხარ, რომ სულ გაგირბის, ვერ გელაპარაკება..დიდ ხანს შენთან ვერ ჩერდება ხომ გრძნობ..დემეტრე ახლა ჩაფიქრდა და გაეღიმა....

-რა გავაკეთო, როგორ ვაიძულო დამელაპარაკოს? თუნდაც უფრო ცუდად დავშორდეთ ერთმანეთს მირჩევნია ამ გაურკვევლობაში არ ვიყო.....

-ყველაფერი უთხარი, სულ ყველაფერი რასაც გრძნობ, რის გამოც იყავი აგრესიული, რაც დაგიგროვდა, უთხარი რომ შენთან რაც არ უნდა იყოს არაა მართალი, დემე შენთან არაა მართალი, ჩემთან მართალია მაგრამ შენთან არა....სულ მოუყევი ის რაცას განიცდი, სულ ყველაფერი, გულწრფელად, მხოლოდ ის უთხარი რაც მართლაა, უთხარი რომ გჭირდება მამა, უთხარი რომ მასაც ჭირდება შვილი, გადადგი უფრო დიდი ნაბიჯი თუ შენ პატარა პირველ ნაბიჯზე ვერ გადალახა, დაანახე რომ შენ ისეთი ხარ როგორზეც იოცნებებდა ნიკა, ისეთ სუფთა და ღირსეული ხარ....ნუ დააგროვებ ამდენ სათქმელს, უთხარი მშვიდად, აგრესიის და ყვირილის გარეშე, მასთან არ გაგივა ესე, ყვირილით მის კანამდეც კი ვერ მიაღწევ, როცა გულწრფელობით შეიძლება ტკივილისგან შეშალო. დემეტრე ისე უსმენდა, ისე დაწვრილებით, გრძნობდა რომ მართალი იყო ელენე, ახლა მხოლოდ ნიკასთან ლაპარაკი უნდოდა..

-როდის დაველაპარაკო?

-როცა გინდა..

-ახლა მინდა...ელენემ ტელეფონი აიღო და ნიკასთან დარეკა....

-ხო ელენე.....

-როგორ ხარ? სპორტის უნივერსტეტში ტყუილად არ გივლია, დღეს გამოჩნდა....ნიკას ხარხარი გაიგონა..

-არ გინდა, არ დაიწყო ახლა....

-შენ კი მაინც მტკიცედ ამტკიცებდი რომ „ის მაინც არსებობს“

-ნუ დაცინი ელენე, მწვრთნელთა ფაკულტეტი შენი საუკეთესო გასართობი იყო ერთი პერიოდი. მადლიერება მაინც გამოიჩნე კარგად გაგართო თავისი არსებობით.

-იქ შენ ერთობოდი როგორც მახსოვს, დადიოდი და დამასხარაობდით, თუმცა მე მაინც მშვიდად ვიყავი გოგოები არ იყვნენ ბევრი.....

-მზაკვარი ხარ. დაუნდობლად უსწორდები ჩემს უნივერსტეტს....

-ნიკა სად ხარ? რაღაც საქმე მაქვს.....

-წყნეთში, თუ გინდა მოვალ, გამოვდივარ ისედაც...

-არა, არა მე მოვალ დამელოდე...იქ მივიდნენ, ელენე არც გადასულა, დემეტრეს დაემშვიდობა, წარმატება უსურვა და თვითონ სახლში დაბრუნდა.....კენჭებს ითვლიდა სახლამდე მიმავალი დემეტრე....კარი გააღო და მაიას კივილი გაიგონა..

-ჩემი ბიჭი, როგორ მომენატრე....

-ბე სად დამინახე ჯერ არ შემოვხულვარ უკვე ყვიროდი.....

-შენ ბებიაშენის შესაძლებლობებში ეჭვი ნუ გეპარება, გაუცინა დემეტრემ და შვილიშვილს ჩაეხუტა....საოცარი სიტოაცია იყო სახლში, დემეტრეს არ იმჩნევდა ნიკა, ნიკას არ იმჩნევდა უფროსი დემეტრე და მაია უკვე ბრაზისგან აღარავის იმჩნევდა, მარტო ქოთქოთობდა.

-დედა წავიდა, აქ დამტოვა. ჩაილაპარაკა დემეტრემ...ნიკა ფეხზე წამოდგა და დაუმშვიდობებლად წავიდა, დემეტრე უკან გაჰყვა და მანქანაში ჩაუჯდა....

-გადადი! პირველი სიტყვა იყო რაც ამ დროის განმავლობაში უთხრა.

-არა!

-გადადი!

-არა! ნიკამ თვითონ გააღო კარი და გადადიოდა, როცა დემეტრეც გადმოყვა....არ უნდოდა სახლში შებრუნებულიყო იქ დედამისი გადაირეოდა, როგორ თუ დემეტრეს არ ელაპარაკებოდა....ფაქტობრივად ალყაში იყო მენაბდე და უკვე სუნთქვა უჭირდა, მანქანაში დაბრუნდა.....

-მანქანის ტარებას მამები ასწავლიან! მე ბიძამ და ბაბუამ მასწავლა...ალბათ ამიტომ არ ვიცი.....ნიკამ ფანჯარა ჩამოწია და კევი აიღო, კისერზე ხელს ისვავდა საშინლად დაცხა..

-მამა....ნიკა ხმას არ იღებდა, სავარძელი გადაწია და მიეყუდა და თვალები დახუჭა..

-ალბათ იმიტომ განვიცდი ყველაფერს შენთან დაკავშირებულს, რომ მე სხვანაირიც მახსოვხარ....ნიკას გაუმართლა, რომ იჯდა..მხოლოდ ამიტომ არ დაკარგა ძალა ფეხებში, ან დაკარგა და არაფერი შეეტყო..

-ზოგჯერ მგონია, რომ სიზმარი იყო, ზოგჯერ ჩემი სურვილი, მერე საკუთარ თავს ვუტყდები, რომ მეხსიერებაა....ძალიან ბუნდოვნად, მაგრამ მაინც გარკვევით მახსოვს, როგორ დავდიოდი შენთან ერთად სტადიონზე, როგორ მბანდი სულ ხელებს სიცილით, სულ როგორ მედექი გვერდით, როგორ მეფერებოდი როცა ვჭირვეულობდი, როგორ მიყვარდა მაშინდელი ახალი წელი და ჩემი სახლის თოვლის ბაბუ, როგორ გეჯინე სულ კისერზე როგორ ჩამჩურჩულებდი ხოლმე, რომ ფეხბურთელი უნდა გამოვსულიყავი, როგორ უხაროდა დედას შენი მოსვლა, როგორ მახსოვხარ ტელევიზორში რომ გიყურებდით და ერთხელ შუქი, რომ ჩაქრა როგორ ვიტირე მამაჩემი ტელევიზორში გაიჭედა, იმ დროს მხოლოდ შენმა ხმამ დამამშვიდა ტელეფონით, ყველაფერი ეს ვერაფრით წავშალე, მახსოვს როგორ მაძინებდი და როგორ მიყვარდი იმ დროს. თვალები არც გაუხელია, იცოდა წყალი გადმოეპარებოდა...

-ერთ დღესაც ყველაფერი შეიცვალა, არც შენ კისერზე იყო ჩემი ადგილი და არც გულში, ან იყო, მაგრამ არ ჩანდა....სახლი შეიცვალა, ფერები გაქრა, მამა სულ მოწყენილი იყო დედა სულ ტიროდა. ამ წლების განმავლობაში იმდენჯერ გავბრაზდი და იმდენჯერ მძულდი რამდენჯერაც იმედი მიცრუვდებოდა, რომ ისევ ისეთს გნახავდი....რამდენჯერაც გელოდებოდი, რომ მომეფერებოდი, იმდენჯერ გამიცრუვდა, შენ კი ან მთვრალი მოდიოდი ან გაბრაზებული უფრო კი ორივე ერთად....როცა მოდიოდი ვიძაბებოდი....უკვე აღარ მინდოდა შენი მოსვლა....შენ კი სულ მოდიოდი, მაგრამ არც ერთხელ დაგიძინებივარ, არც მომფერებიხარ მე კი მინდოდა, მერიდებოდა, მაგრამ მინდოდა..ვერ ვიხსენებდი რა დაგიშავე, წლები რომ გავიდა ამასთან შეგუება დავიწყე....ვერაფრით ვისწავლე....მამა მე რომ შენ არ მხსომებოდი ისეთი უფრო გამიადვილდებოდა, ტასოს არ ახსოვხარ, არ იცის როგორი იყავი და ისეთი მიგიღო, როგორიც მაშინ იყავი, მე კი არ შემეძლო ისეთი მიმეღე როგორიც არ ხარ. მაპატიე თუ იმ დღეს არ მოვიქეცი სწორად, მაპატიე, რომ გიყვირე, ბოდიში.. არ მინდა რომ არ მესალმებოდე, მეტს არ ვითხოვ, მხოლოდ ვგრძნობდე, რომ გრძნობ, რომ ვარსებობ..წარმოდგენა არ ჰქონდა როგორ შეიკავა თავი ნიკამ არ ჩახუტებოდა, ალბათ ისე, როგორც ამ წლების განმავლობაში იკავებდა, მაგრამ ახლა ძალიან გაუჭირდა....

-თუ დაამთავრე გადადი.... დემეტრემ კარი გააღო და გადავიდა... გზაში ყველაფერი ერთმანეთში ერეოდა წყლისგან, მალევე გააჩერა და მთელი ხმით იღრიალა მანქანაში, ტიროდა მთელი შეგნებით, ტიროდა ცამდე მართალ შვილს, იმ მდროს ვერ გრძნობდა, რომ საჭეს მთელი

ძალით ურტყავდა ხელებს, თავს და ბოლოს შუბლი ძლივს დაადო, ისე იყო დაღლილი, აღრიალებული შეგრძნებები ახრჩობდა.....როცა ამ ყველაფერმა გაუარა, ცოტა რომ იგრძნო სიმშვიდე, ოდნავ რომ ენდო თავს, რომ მასთან არ აეტირებოდა მაშინ დაბრუნდა მხოლოდ. დემეტრეს ტელეფონზე დაურეკა.....

-ხო, გული საშინლად უცემდა....

-დემეტრე გამოდი გარეთ მოვალ მალე.. ძალიან მალე გავიდა, ნიკა გადაიხარა და კარი გაუღო....დემეტრე უხმოდ ჩაჯდა..იქვე მოედანი იყო მანქანა გააჩერა და გადავიდნენ.... იმ დროს არ აწუხებდა, რომ ძირს ჩამოჯდა, არც მტვერზე ფიქრობდა....მოედნის ცენტრში დაჯდა ორივე და დიდ ხანს უყურეს ერთმანეთს..

-მგონია, რომ აზრი არ აქვს გელაპარაკო, შენთან იმდენად დამნაშავე ვარ, რა უნდა გთხოვო, ან რა უნდა მოგთხოვო. ვცდილობ ეს პერიოდი ჩემი თავი იმ პიროვნებად შევაგროვო ვინც იმსახურებს შვილმა მამა დაუძახოს.. ვცდილობ შენთან სათქმელი დავიმსახურო, მაგრამ შენ იმაზე მეტად სუფთა ხარ ვიდრე ჩემი სურვილები.. მე ძალიან გავბრაზდი და ბრაზს ვერ ვიმორჩილებ, ამ დროს ვიცი, რომ უბრალოდ არ მაქვს უფლება გითხრა თბილი ქურთუკი ჩაიცვა, ამის უფლებაც არ მაქვს, მაგრამ ვბრაზობ...ვბრაზობ იმაზე, რომ ის სიტყვები არსებობს იმ ხმით რაც მაშინ მითხარი, იმაზეც ვბრაზობ, რომ იქ დედაშენი იყო, როცა ამას მიყვიროდი, ანასტასიაც....მეც ხომ გეჩხუბებოდი, მეც ხომ გიყვიროდი, შეიძლება ახლა ამას ფიქრობ, მაგრამ მე შენს ღირსებას არ შევხებივარ...შენ კი იქ ჩემი ქცევები არ გაგილანძღავს, მე დამამცირე, მთლიანობაში დემეტრე...მე როცა გეჩხუბებოდი გეჩხუბებოდი ქცევების გამო ვერ გაიხსენებ ოდესმე შენს თვისებას და ღირებულებას შევხებოდი.. საერთოდ სულ გახსოვდეს ადამიანი არ გადახაზო, არ უთხრა არაკაცი, უთხარი, რომ მისი ქცევაა არაკაცური, ასე ყოველთის მართალი იქნები, გახსოვდეს, რომ იმ ქალთან ვინც უყვარს არასოდეს დაამცირო ვინმე, გვერძე შეგიძლია ნებისმიერი რაც გინდა უთხრა. დემეტრე თვალს არ აშორებდა..

-მე ბევრი რამ არ მომწონს შენი, მაგრამ ვერ ვგრძნობ, რომ რამის უფლება მაქვს..

-მითხარი....

-დღეს საშინლად არ მომეწონა შენი თამაში. დემეტრე გაოცდა...

-რატო?

-ისე გადაცვალე ადგილი მწვრთნელისთის არ გიკითხავს, იმას რომ თავი დავანებოთ, რომ უფლება არ მოუცია. ყველა გადაირია იმ გოლზე, ჩემთვის კი ეს ყველაზე ცუდი თამაში იყო შენი რაც კი მინახავს..

-გინახავს?

-ბევრი, ამაზე სხვა დროს, დღეს ბევრი რამის შემეშინდა...შემეშინდა და ამიტომ მივედი ლევანთან...

-რატომ აყენებ სხვებს ჩემზე წინ? დემეტრეს სულ უდნოდა ამის თქმა..

-რომ დაფიქრდე გაიხსენებ, რომ შენც აყენებ ჩემზე წინ სხვებს....დემეტრე სულ იცი რაზე ვფიქრობ, სულ რა არ მაძლევს მოსვენებას..სანდროს რატომ იღებ? მითხარი ამას როგორ აკეთებ? ვიცი არ ვარ ღირსი მოგთხოვო მასზე წინ დამაყენო, მაგრამ შენ თუ არ მაყენებ ეს მაინც შენს ნაკლს მიუთითებს...დემეტრე 6 წლის, შენზე ორჯერ პატარა ანასტასია ხვდება, რომ სანდრო და ლიკა სხვები არიან, ანასტასია გრძნობს ამას, ტასო უყურებს მათ ისეთი თვალებით როგორც ყველაზე დიდ მტრებს, შენ ამ დროს რა გჭირს? როგორ ვერ ხვდები რომ ისინი სხვები არიან? სულ სხვები, საერთო რომ არაფერი აქვთ იმ ოჯახთან შენ რომ გახსოვს და ანასტასიას, რომ წარმოდგენა არ აქვს. რატომ უშვებ, რატომ იღებ? დემეტრე შენ უფრო მეტი მოვალეობა გაქვს ამ ცხოვრებაში მარტო იმიტომ რომ კაცი უნდა გერქვას....ძალიან რთულია ზოგჯერ ამას კითხვისნიშანი არ გაუკეთონ სხვებმა..დემეტრე მინდა მეტი იფიქრო....არ შეიძლება სანდროსთან იყო კარგად, არ უნდა იყო გესმის, არც ლიკასთან, რომ იყო უნდა მიხვდე, რომ რაღაცას არასწორად აკეთებ, მაშინ რომ ჩაეხუტე..

-შენც ამიტომ დღეს ლევანთან.....

-არა, არა დემეტრე საერთოდ არაა ეგ შუაში....გეუბნებოდი, რომ დღეს შემეშინდა, მართლა გულწრფელად შემეშინდა, რომ შენს გვერდით არ ვიყავი, არ გარიგებდი არ გირჩევდი, ისეთად არ გზრდიდი, როგორიც მე მინდოდა.. მხოლოდ იმიტომ მივედი ლევანთან, რომ შემეცოდა, შემეცოდა და თავი დამნაშავედ ვიგრძენი შენს გამო..

-იცი ეგ როგორი ცუდი ადამიანია? მამა ყველა გაამწარა..

-ვიცი დემეტრე ვიცი, მაგრამ ხომ გითხარი ადამიანები არ გადახაზო, შენ კი წაშალე, მამა თუ გინდა კარგი ფეხბურთელი დადგე, ჯერ კარგი ადამიანი უნდა იყო, ძლიერი, ადამიანებს შრომა არ უნდა დაუკარგო, თუ სულ მცირე, ძალიან პატარა შრომასაც თუ დაუკარგავ იცოდე, რომ ეს დანაშაულია..იმან შენ დღეს ისეთ პასი გაგიკეთა, ისეთი გადაცემა, რომ მხოლოდ მაგიტომ უნდა მიგელოცა, შენ კი არ მოუშვი..გარიყე..ეს კი ნიშნავს, რომ გუნდი არ გყავს.... „არასოდესაა ჯაჭვი იმაზე ძლიერი ვიდრე მისი ყველაზე სუსტი რგოლი“ გუნდი ერთია, იმ ერთის გაყოფა კი სისუსტე... თუ შენ მადლობას არ ეტყვი ყველას ვინც ოდნავ მაინც გეხმარება, მაშინ ვერ დადგები ის ფეხბურთელი ვისაც მე ყურში ჩაგჩურჩულებდი... შენ ჩემი სახით იმხელა დაბრკოლება გადალახე როცა თამაში არ შეწყვიტე მეგონა 13 წლის ბავშვი კი არა თავდაჯერებული, საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანი იყავი, ასაკის გარეშე....არ ვიცი, შეიძლება ამის გამო იმაზე მეტს მოვითხოვ შენგან ვიდრე ზოგადად ამ ასაკისგან....უბრალოდ შენ მე უფრო ძლიერად დაგინახე ვიდრე სხვები ამ ასაკში....მინდა იცოდე დემეტრე, რომ ადამიანები უნდა დაიმეგობრო..იმ დღეს შეგეძლო მთლიანი გუნდი გამხდარიყავით, მაგრამ მაინც გარიყეთ. დემეტრე როგორც არ უნდა

შევიცვალო მე, იცოდე, რომ არ იცვლება ჩემი „შენ“ ჩემში, მაგრამ არ შემიძლია ეს ყველაფერი ესე გადავიტანო, ვერ ვივიწყებ შენს ხმას, გპირდები რომ ამას მოვახერხებ, უბრალოდ ცოტა ხანიც რა..სულ ცოტა ხანი, მინდა მეც ისე ვიყო სულიერად, როგორც მამაჩემი ჩემთან ურთიერთობისას, ახლა ძალიან გატეხილი ვარ, დაშლილი და ბრაზი არ გადამდის....შენთან სხვანაირი მინდა ვიყო....ისეთი როგორიც სულ მინდოდა..28 წლამდე...

თავი 21

ვერ იქნება ჩემი სახლი ის სადაც ერთმანეთს შეეჩვივნენ, ოჯახი არ იქნება სადაც ერთმანეთი ცოტათი უყვართ.

ელენე ნიკას საქციელზე ბრაზდებოდა, ითრგუნებოდა, წყინდა..ყველაფერი ზედმეტად მოქმედებდა მასზე. ბარბარეს მდგომარეობა უარესდებოდა, სულ ჩაკეტილი იყო, ტიროდა, საკუთარ თავს ბევრ რამეში ადანაშაულებდა, ელენე ცდილობდა მას მაინც დახმარებოდა, ოთახში დიდ ხანს ლაპარაკობდნენ ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ ნიკა არ ელაპარაკებოდა ბარბარეს, ელენეს ამას არასოდეს უშლიდა..უფრო მეტიც წლები რომ გავიდა გრძნობდა ელენე, რომ ნიკას საშინლად სიამოვნებდა მისი ყურადღება ბარბარეს მიმართ. მაია მოვიდა ელენესთან, თან ბარბარეს გამხიარულებაც უნდოდათ, ნიკა და ის პატარა ბავშვებივით კინკლაობდნენ, სულ პუტკუნა ლოყებზე დაცინოდა მენაბდე….მაგრამ უნდა ეღიარებინა, რომ ლამაზი იყო, მართლა ძალიან ლამაზი….უბრალოდ გრძნობდა, რომ მაიას ყველაზე მეტად ეს აღიზიანებდა და ამას არ ეშვებოდა. ხან რას ეძახდა და ხან რას, ბურთი, ბუთქუჩა, გორგოლა….ფანტაზია მის ხასიათზე იყო დამოკიდებული.

-ელენე რა გჭირს რა მოწყენილი ხარ? ბარბარე, ელენე და მაია ერთად იკეტებოდნენ ოთახში როგორც ადრე…

-არ ვარ მოწყენილი…გაიბუსხა ელენე.

-შეხედე შენს ქმარს, რა დღეშია ორი წუთის მოსულიც არ ვიყავი წყობიდან გამომიყვანა უკვე….შენ კი ესეთ დაღვრემილი რატომ დადიხარ, ფერიც არ გადევს…..

-მაგისი ბრალია არ მირიგდება…შენთანაა მხიარული მე არც მელაპარაკება…

-ოჰოოო, რაღაც შენ სხვანაირად ლაპარაკობ ელენე…ორი ვარიანტია ან ფეხმძიმედ ხარ ან შეყვარებული, ან ორივე ერთად…ელენეს სახე წაეშალა….

-არ ვიცი, რომც მიყვარდეს გადამიყვარდება ისე მექცევა…გაჯავრდა ელენე…

-და პირველი არა? უკვე საკმაო დროა გასული დაქორწინდით.

-არა, გამორიცხულია ეგ.

-რატომ? გულწრფელად გაიკვირვა მაიამ.

-მე და ჩემი ქმარი უმწიკვლოდ ვცხოვრობთ, თავადაც გაეცინა ელენეს..ნიკას სახეს, რომ მოკრა თვალი, ოთახში შემოდიოდა და ალბათ გაიგონა, იმასაც გაეცინა….

-ყველა ქალი ერთნაირია რა, მოკლედ ამოვდიოდი უნდა მეთქვა დაბლა მაიამ გაშალა რაღაცები და სანამ დაიკივლებს ჩამოდით, მაგრამ ვხედავ, რომ უფრო მნიშვნელოვანი თემები გაქვთ განსახილველი..და რა თქმა უნდა ჩემი საკითხი რიგგარეშედ განიხილება..

-ნიკა მე არაფერი გამიგონია, ხელები გაშალა მაიამ..

-ხო არაფერი გაგიგონია, მე გავიგონე იქითა ოთახში ისმის თქვენი ხმა….ელენეს შეეშინდა, ახლაღა დაფიქრდა, რომ ისევ მათ ურთიერთობას უყვებოდა სხვას და ძალიან შეეშინდა ნიკას ისევ არ წყენოდა..მაგრამ მენაბდე ისე იყო გახალისებული რაღაცით მაიას უკვე სიცილის თავი არ ჰქონდა..დაბლა რომ ჩადიოდნენ, ნიკამ ხელი მოკიდა და ცოტა ხანი გააჩერა…

-რომ გიყვარდე გადაგიყვარდებოდი? ძალიან გაუმართავი წინადადებაა…

-როგორი ბედნიერი ხარ თვალებზე გეტყობა, გააჯავრა ელენემ.

-უფრო გახალისებული….შენ იტყოდი აღტკინებულს…..

-რამ გამოიწვია ასე შენი გაბედნიერება, მითხარი ხოლმე იქნებ მოწყალება გავიღო..

-ალბათ ერთადერთი ხარ ამ დედამიწაზე ამდენ ტლიკინს რომ გითმენ..თან ასე გაღიმებული..

-ალბათ ეგაა იდიოტიზმი….

-შაქარი ბევრი ჩაიყარე ხოლმე იქნებ დატკბე..

-მე მივხედავ ჩემს თავს..თან ასუქებს….

-მერე უნდა ივარჯიშო შაქარს კი არ უნდა მოერიდო შენი ენის პატრონი..

-საკუთარ თავს თავად მივხედავ, როგორმე! მენაბდე შენ დამშვიდდი აშკარად ღელავ..

-მე მოგხედავ შენ, საკუთარ თავსაც ვერ იცნობ, ვერც ვერავინ გიცნობს ისეთი საოცარი იქნები, მხოლოდ ისეთ მე რომ გხედავ….სულაც არ ვღელავ ვნავარდობ..

-ნიკა შენ ცოტა ნასვამი ხომ არ ხარ? მენაბდეს სახე წაეშალა. სულ დაავიწყდა ყველაფერი.

-რა სუნი მაქვს? ისეთი სახე ჰქონდა განაჩენს, რომ ადამიანი ელოდება.ელენემ სიცილი ვერ შეიკავა….იგრძნო, რომ აქ უკვე დაუმარცხებელი იყო…

-კი სუნიც გიდის და თან სისულელეებსაც ლაპარაკობ….ნიკას სახე წაეშალა.

-თავს მოვიკლავ!!!! შენს ძმას და ჩემსასაც მოვკლავ, 5 ჯერ გამოვიხეხე კბილები …..

-ჩემს ძმას ნუ ემუქრები..იმას მეც ვეყოფი..

-ხო ნუ ვემუქრები და სულ ძალით წამიყვანეს..აყროლებული თევზი იყო რამ მაჭამა.

- შენ თუ რამე არ გინდა მაგას ვინ გაგაკეთებინებს.

-შენ არ იცი მთელი წელი სკაიპში, რომ გიგზავნიან ჭიქებს, სადღეგრძელოებითურთ, რომ გიწვრილებენ გულს…ბუბლა თუ ჯანდაბა თევზს…რამ მაჭამა ლუდზე…. მართლა გავაფრენ….არა სუნი არ მიდის, თორემ ვიგრძნობდი, გამორიცხულია, ნიკა ისე სასაცილოდ იჯღანებოდა..უკვე თავის თავს ელაპარაკებოდა..მართლა ეტყობოდა, რომ სამყაროში ამაზე მეტი პრობლემა არ ჰქონდა.

-კარგი გეხუმრე, კბილის პასტის სუნი გაქ, მართლა..უბრალოდ ისე არეულად ლაპარაკობდი იმიტომ გკითხე….

-კარგი შენ დაბლა ჩადი…..მე მერე ჩამოვალ.

- გეხუმრე ახლა წამოდი, ნიკა ისე მტკიცედ მიიწევდა აბაზანისკენ, რომ აზრი არ ჰქონდა არაფრის თქმას. გრძნობდა, რომ სასმელი ზედმეტად მხიარულს ხდიდა, არაადეკვატურად მხიარული და ლმობიერი იყო ოჯახისწევრების მიმართ, ეს კი არ უნდოდა….ამიტომ სახლიდან უხმოდ გავიდა, მხოლოდ მაიას ანიშნა ლოყებზე სასაცილოდ და მისი განრისხებული ყვირილის მოსმენა ძლივს მოასწრო.. ელენეს გული დაწყდა..იგრძნო, რომ ჩაწყდა,რაღაც, უკვე აღარ აინტერესებდა როგორ ჰქონდა თმა, ან რა ეცვა….მოიწყინა ისევ….ისევ იქამდე სანამ ის მოვიდოდა…..ის კი არ მოსულა…..სახლში დარეკა, რომ თამაზთან რჩებოდა..იცოდა მენაბდემ სასმელი მის ნებისყოფას, როგორ ამცირებდა და არ უნდოდა ცოლის გვერძე ასე ყოფნა, მერე მისი შეხედულებები ძალას ჰკარგავდნენ და შიშველი გრძნობები თამამად ჩანდნენ მის სახეზე….მეორე დღიდან კი საკუთარ თავს დაუბრუნდა..საკუთარ თეთრეულსაც და მთელი დღე ეძინა….ელენეს უკვე მეტი აღარ შეეძლო, ნიკას ისევ იმ მდგომარეობაში დაბრუნება მეტისმეტი იყო…

-რატომ იქცევი ასე ნიკა? ვერ გრძნობ ამით ვშორდებით ერთმანეთს.

-როგორ? თან მაისური გადმოიღო.

-არ მთვლი რამედ, თითქოს არ ვარსებობ, ისე დგები მიდიხარ, მერე მოდიხარ არ მეკითხები, როგორ ვარ, დღემ როგორ ჩაიარა. ეს არის ნორმალური ურთიერთობა? ამის გამო მეც ვერ ვგებულობ რას აკეთებ..ასე უნდა გაგრძელდეს? გგონია ამის ატანა მინდა? გგონია ამას შევეგუები და ხმას არ ამოვიღებ? გუშინ არ მოსულხარ, ეს ნორმალურია, მთელი ღამე არ მძინებია..

-ადამიანებს თავიდან ქცევები არ აშორებს ერთმანეთს, ადამიანების დაშორების შედეგია ყველა ქცევა. რაღაც არის და შეიძლება მერე აღარ იყოს. ან როგორ შეიძლება დაშორდე რამეს, როცა მასთან არც ყოფილხარ? რას ითხოვ? იცი მაინც რა გინდა? მე ეჭვი მეპარება… ოდნავ არ იყო მის

სიტყვებში ცინიზმი….და ეს უფრო ცინიკურს ხდიდა ყველაფერს. ნიკამ ჩამქრალი თვალებით შეხედა ელენეს.

-როგორც გინდა ელენე, მე არაფერში გზღუდავ, ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე მოგყვები..

-ნიკოლოზ მე არც ერთი დასახელებული არჩევანი მინდა, მე მჯერა რომ ადამიანები თავად ქმნიან ცხოვრებას. თავად განსაზღვრავენ ცხოვრების ხასიათს, ამიტომ მე გადავწყვეტ როგორ მოვიქცევი..

-ეგეც არჩევანია, მიხარია შენი სიმტკიცე, როგორც გინდა ელენე.

-მე მინდა შენ მოიქცე ისე, როგორც ქმარი და არა ბუტია ბავშვი! მოვითხოვ! ისეთი მტკიცე იყო ელენე ისეთი თავდაჯერებული, ნიკას ცოტა გაუკვირდა.

-იცი ყველაზე მნიშვნელოვანი რაიმე გადაწყვეტილების მიღება ან მისი სურვილი კი არაა, მისი აღსრულების შესაძლებლობა! სასამართლოებიც კი უფრთხიან იმ გადაწყვეტილების გამოტანას ან პოზიციის დაფიქსირებას რაც მათ აღსრულებას ეჭვქვეშ დააყენებს. ძალიან მაინტერესებს ამ შენ მოთხოვნებს როგორ დაიკმაყოფილებ, თუ მე ეს უბრალოდ არ მინდა!

-ჯიუტი ხარ საშინლად, რასაც დედა ამბობდა მართალია, მათე იყვირებს, გაბრაზდება, მაგრამ იმას აკეთებს მაინც რაზეც ბრაზდება, შენ კი, შენ ისეთი ჩუმი ჯიუტი ხარ, ყველაფერზე თავს აქნევ და ადამიანი ვერ გაგაკეთებინებს იმას რაც არ გინდა.

-ელენე დაისვენე, მემგონი გაგაღვიძე….

-რატომ გარბიხარ ოთახიდან?

-არ გავრბივარ, გავდივარ..ნიკამ დაბლა დაწეული ორივე ხელი კარებისკენ გაიშვირა და დაგაუღიმა..

-მელაპარაკე..

-რატომ ისე ვერ იძინებ? წიგნები რომ არ მაქვს წაკითხული ეს შენთვის ცოტა უხერხული ხომ არაა საუბრისას? ეს ხომ მნიშვნელოვანი საკითხია? მასთან ურთიერთობა ყვავილების კრეფას ჰგავდა, როდის შეერჭობოდა ეკალი არ იცოდა…ახლაც ეს შეგრძნება ჰქონდა. მისი ქმარი არც ერთ სიტყვას, მზერას, ქცევას არაფერს ტოვებდა შეუმჩნეველს. როცა ეგონა, რომ ვერაფერს მიხვდა, შეიძლებოდა ერთი თვის მერე შეეხსენებინა ის რომ გაიგო, მიხვდა, მაგრამ მაშინ არ დაწვრილმანდა. უკვე ეშინოდა, უკვე გრძნობდა, რომ ნიკა ბევრ რამეს ინახავდა.

-მე არ მითქვამს იავნანა მიმღერე თქო. ნიკას არ უნდოდა ეკამათა, არადა ელენე ამისკენ უბიძგებდა.

-მითხარი რა გინდა ელენე, რომ დავწყნარდეთ. მე და შენ, შენ და მე..

-მინდა ისევ ისეთი იყო..

-ისეთი როგორიც შენ დამახასიათე? ნუთუ? ისეთი როგორიც ადრე? ნიკას ჩაეღიმა.

-ხო ზუსტად! ელენემ სახე ახლოს მიუტანა…

-თითქოს თავისუფალი, მაგრამ მაინც დაკომპლექსებული, რბილი ხასიათის, რომელსაც არ შეუძლია, რამეზე საკუთარი აზრი დააფიქსიროს, მკვეთრად გამოკვეთოს რა უნდა, იყოს რადიკალური, მომთხოვნი, მტკიცე და ზოგჯერ უხეშიც. ქალს აგრძნობინოს საკუთარი სიძლიერე მტკიცედ, მაგრამ ნაზად და ქალმა ვერ შეძლოს შეწინააღმდეგება, ადამიანი, რომლისთვისაც ყველაფერზე მთავარი ისაა აცვია თუ არა სუფთა წინდები დანარჩენში არაფერში ვარ რადიკალური…. არ შემიძლია ვიყო კაცი, რომლის გვერძეც ქალი იგქძნოობს სიძლიერეს, შენნაირი ქალი ვერასოდეს შეეგუება ისეთ ნახევარს ვისაც დაჩაგრავს, ვინც თავისზე ძლიერი არ იქნება. როცა ქუჩაში ერთად მივდივართ შეიძლება იფიქრო, რომ ვინმეს თავდასხმის შემთხვევაში შენ უფრო დამიცავ ვიდრე მე შენ. ასეთ კაცთან ცხოვრება შენნაირი ქალისთის ძნელია! ასეთი კაცები, ხომ კაცებად არ ითვლებიან! ნიკამ ლამის სიტყვა სიტყვით გაიმეორა ის რაც ელენემ თქვა….ესაა ჩემი ფსიქოლოგიური პორტრეტი..ეს დაინახე ამ თვეების განმავლობაში, მხოლოდ ამის ასე დანახვა შეძელი.

-გთხოვ გაჩუმდი, არ თქვა, არ გაიმეორო, არ იფიქრო..გთხოვ….ელენეს სხეული აეწვა ნიკას ტუჩებზე ხელის მიდება უნდოდა, რომ ეთქვა გაჩუმებულიყო, მაგრამ ვერ გაბედა…იმის წარმოდგენა, რომ ნიკამ ეს გაიგო, საკუთარ თავს აძულებდა..

-მე ჩუმად ვარ, არ ვლაპარაკობ ამ თემაზე ელენე, ამით არ ვწვრილმანდები, მაგრამ შენ მთხოვ ამას, შენ არ გავიწყდება. არ გეგონოს, რომ ასეთ საქციელით რადიკალურობას ვცდილობ, ან მინდა დაგანახო თითქოს სხვანაირი ვარ და გაჩვენო როგორი მტკიცეა ჩემი ნებისყოფა, ეს ყველაფერი ძალიან მეიაფება და რა ვქნა, გულს მირევს, მე არც ისეთი პატივმოყვარე და არც ისეთი ამპარტავანი ვარ, რომ თავი სრულყოფილი მეგონოს, მაგრამ დედამიწის ზურგზე არავის გამო ვაპირებ შეცვლას და ვიცი ამას ვერც მოვახერხებ. მე ასეთად დავრჩები…. სულ ასეთი ვიქნები, ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, ვწუხვარ, რომ ჩემმა ცოლობამ მოგიწია, გეფიცები ძალიან ვნანობ, არ მინდოდა ასე გამოსულიყო, არ მინდოდა შენ ასე გენანა, არ ვიცი ალბათ ამის გამო თანახმა ვარ ყველაფერზე, შენ როცა გინდა, როგორც კი მოგინდება მაშინვე შეგიძლია გამეყარო, ან დროის გასვლას დაველოდოთ.. არ ვიცი შენ გადაწყვიტე. უბრალოდ მინდა იცოდე, რომ შენი დატანჯვა ყველაზე ნაკლებად მინდოდა..

-ნეტავ შეგეძლოს ჩემში იყო, გაიგო რას ვფიქრობ..ელენეს გაუაზრებლად ცვიოდა ცრემლები, მთელი სხეული ეწვოდა და ტკივილი ყველაფერს ფარავდა. სრულიად საპირისპირო შეგრძნებები რასაც ნიკა ამბობდა, სულ სხვა რამეს გრძნობდა, სულ სხვანაირად ეჩვეენებოდა და საკუთარი ხმა, სიტყვები, ყველაფერი ძულდა. -შეგეჩვიე, მენატრები, სულ შენზე ვფიქრობ ნიკა..რაღატო მექცევი ესე, ხომ შევიცვალე…

-ელენე,შენ თავად არ გესმის საკუთარი თავის, მე რა უნდა გავიგო. ვცდილობდი შენ გაგებას, საქციელის ახსნას, გარემოს ცვლილებით, ოჯახს მოშორებით და ხისტი ხასიათთ ვხსნიდი ყველაფერს, ვითვალისწინებდი, რომ ჯერ პატარა ხარ სულ 16 წლის და საკუთარ თავსაც

ვადანაშაულებ, რომ შენს ასაკზე უნდა მეფიქრა, ვცდილობდი ამეხსნა რატომ იყო ეს ყველაფერი გაუგებარი შენთვის, რატომ იყო გაუგებარი შენთვის როგორი ვარ. საერთოდ არ მიცნობდი და არც ცდილობდი ოდნავ მაინც დამახლოვებოდი იქნებ უფრო მეტი საერთო გეპოვა. მაგრამ ელენე მე არ შემიძლია ვინმეს რამე ვაიძულო, საკუთარ თავსაც კი. მე შენ ვერც თავის მოწონებას დაგიწყებ პატარა ბიჭივით და ვერც თავს მოვიტყუებ. უბრალოდ ასეთი ვარ, მეც არ ვიცი როგორი უბრალოდ ასეთი. არის უბრალო, მარტივი რაღაცები, წვრილმანები, რომლებსაც უბრალოდ, ვერასოდეს გავაკეთებ, რადგან ეს ყველაფერი მღლის და მაბინძურებს, მაბინძურებს ყველაფერი რასაც იმიტო არ ვაკეთებ, რომ მინდა. მე კი აღარ მინდა რამე გაიძულო, აღარ მინდა შენი სხვა მხრიდან დანახვა ვცადო. არ მინდა ამით დაგტანჯო და თავი მოგაბეზრო. არ მინდა შემეჩვიო და რაღაცები ამაში აგერიოს, რაღაც გრძნობები ჩემმა შეჩვევამ აგირიოს. საერთოდ ცხოვრებაში ან უყვართ ან არ უყვართ! შუალედი არ არსებობს, შუალედი დამღუპველი ორპირობა და სიყალბეა,მე კი ამისთვის საკმარისად ამაყი ვარ ეს ავიტანო. ვერ იქნება ჩემი სახლი ის სადაც ერთმანეთს შეეჩვივნენ, ოჯახი არ იქნება სადაც ერთმანეთი ცოტათი უყვართ, რადგან უბრალოდ ესეთი რამ არ არსებობს, ყველაფერი შეიძლება ალბათ ამქვეყნად გარდა ცოტათი სიყვარულისა. ეს ბოროტებაა, ბოროტებაა ორი ადამიანის ერთმანეთის მიმართ. ყველაზე დიდის დაკნინება და გაუფასურება, რასაც ცხოვრება არ პატიობს! გრძნობების გაიაფება და თუ არ იცი გეტყვი რომ ეს კლავს! კლავს ადამიანს ადამიანში, მე კი სიკვდილს არ ვაპირებ, არც ჩემი გრძნობები და განცდები აპირებენ სიკვდილს და არც შენ მინდა ეს განიცადო. ადამიანები ყველაფერს ეჩვევიან მე კი არ მინდა რაღაცებს შევეჩვიო. ასე ცხოვრებას შევეჩვიო..

-შენ ცდილობ ამ ყველაფრით უპირატესობის მოპოვებას. მართალი ხარ და ახლა უფრო მეტად შეგიძლია მაგრძნობინო როგორ შევცდი.არ უშვებ უპირატესობას, ახლა ვხვდები რატომ ხარ წარმატებული, შენ არანორმალურად შეგიძლია საკუთარი თავის დაფასება, მაგრამ მანამდე არანორმალურად იხარჯები და ამიტომ ყოველთვის მართალი ხარ, იდეის დონემდე ხარ მართალი, შენ მე არც ერთ სიტყვას მაპატიებ, არც ერთ ცივ გამოხედვას, შენ ამ ყველაფერს ინახავ და რკინის ნებისყოფით ჭრი ყველაფერს. ანადგურებ გესმის ნიკა, ცოტა უნდა გაუგო ადამიანებს, ვიცი მეტყვი, რომ ჩემი გესმოდა და მართალიც ხარ შენ უბრალოდ იდეალური იყავი ყველანაირად, მაგრამ მე ვერ გავიაზრე ეს ყველაფერი, უფრო ვერ დავიჯერე, ოდესმე ალბათ აგიხსნი., მაგრამ ამის მიუხედავად მე არ მოგცემ უფლებას შენ ჭკუაზე მატარო, არ მოგცემ უფლებას გაუცხოვდე და შეიცვალო, მოგთხოვ იყო ჩემს გვერდით! მოგთხოვ! არ მოგცემ უფლებას გულში ჩაიხვიო რაღაცები ყველაფერი უნდა მითხრა, უნდა დაიცალო რომ არ დაგრჩეს რამე, რომ ისევ სუფთა ფურცელი იყოს შენში ჩვენი ურთიერთობა, მე არც გაგეყრები და არც შენთან უმნიშვნელო არსებასავით ცხოვრებას ვაპირებ, მე შევიცვლები! შენ თუ ვერ ახერხებ ამას მე გავაკეთებ! ბოლო სიტყვებმა მთლიანად დააფიქრა ყველა მის ნათქვამზე..

-შეიცვლები?

-კი, შევიცვლები, იმ ფარგლებში რასაც ვფიქრობ, რომ არასწორია, ჩვენ ურთიერთბაზე არასოდეს, გესმის არასოდეს დაველაპარაკები ვინმეს, ვერავინ გაიგებს ისეთ რაღაცებს რაც შენ გაიგონე. ვიცი ეს როგორი არასწორია, შენი სიფაქიზეც მომწონს ამ საკითხის მიმართ. ვიქნები თავშეკავებული, სანამ რამეს ვიტყვი ყველაფერს გავაანალიზებ..ვეცდები ვიყო უფრო ქალური, ნაზი, ვეცდები გრძნობების პირდაპირ გამოხატვა ვისწავლო და მათ გადაფარვას არ ვეცადო საპირისპირო ქცევებით. ვეცდები ისეთი ვიყო, როგორსაც შენ მამჩნევდი. ნიკა გაოგნებული უსმენდა, საერთოდ არ მოელოდა.

-შენ ამას ვერ შეძლებ? უნდოდა ამ კითხვითვე ელენეს გაცოფებული პასუსით მოეკლა ის აზრები რაც ელენემ თქვა.

-მე აუცილებლად შევძლებ ამას ნიკა, გაუღიმა ელენემ. დიდი რამის გაღება შემიძლია ურთიერთოისთვის, ყველაფრისაც კი, თუმცა სამაგიეროს ვითხოვ შენგანაც.

-მევაჭრები? ცალი წარბი აწია და მისკენ ნაბიჯი გადადგა.

-არა გთავაზობ გამოსავალს, რაღაცას რაღაცის სანაცვლოდ, ამას ახლა შენ წყეტ, ყველაფერზე კარგად დაფიქრდი, თანახმა ხარ შეასრულო ჩემი მოთხოვნები იმის სანაცვლოდ რაც ვთქვი?

-შენ ვერ შეასრულებ!

-მით უკეთესი თქვენთვის, შეთანხმებას თუ მე დავარღვევ და ზიანის ანაზღაურებაც მე დამეკისრება.

-ელენე..

-თანახმა ხარ? ხელი გაუწოდა ელენემ, ბატონო ნიკოლოზ თანახმა ხართ დადოთ ჩემთან ეს ხელშეკრულება? მე თქვენ ყველაზე ძვირფას გთავასობთ ჩემთვის, ჩემს სიჯიუტეს! თქვენს წინაშე, რომ აღარ სურს ჩემთან ყოფნა, რომ თავადაც თვლის, რომ ზედმეტია. გთავაზობთ, რომ ჩემი პირდაპირობა აორთქლდება და არ ვიცი ალბათ სიკაპასესაც თან გაიყოლებს, თან გაიყოლებს ყველაფერს რაც კი ოდნავ მაინც მაშორებს შენს თავს. ელენეს თვალებს ასე არასოდეს შეუხედავს, მაშინ იგრძნო, რომ უყვარდა, ელენეს ისე ძლიერად უყვარდა უკვე ნიკა, როგორც მას უნდოდა..ისეთ ბავშვური და მტკიცე იყო, რომ ჯერ თავადაც არ ჰქონდა ამის შესახებ წარმოდგენა ისე გულუბრყივილოდ დაეტყო თვალებზე, თვითონაც არ იცოდა ელენემ როგორ შეუმჩნევლად ამოიკითხა ნიკამ მის თვალებში ის რასაც ამდენი ხანი ელოდებოდა. მენაბდემ რაღაცის ჩამსხვრევა იგრძნო სხეულში, მაგრამ მაინც ვერაფრით იპოვა ჰაერი სულისთვის. ნიკამ მისი ხელი აიღო და თითები ტუჩემთან მიიდო, ოდნავ, ძლივს შესამჩნევად აკოცა.

-ცოტა დრო მომეცი ელენე, გადამივლის.. ახლა მართლა არ შემიძლია, გეფიცები ძალიან მინდა, ვაფასებ ყველაფერს რაც მითხარი.. უბრალოდ არის მომენტები, როცა ურთიერთობას ამოსუნთქვა სჭირდება, ვიცი შეიძლება ფიქრობ, რომ ცოლ-ქმრის ურთიერთობა აქ გამონაკლისია, მაგრამ დამიჯერე სწორედ ამ დროს თუ გულმა არ ამოისუნთქა, თუ სიტყვებმა არ გადაიარა სხვანაირად სიყალბე გამოდის. შენ იცი ჩემი ხასიათი, ყველაფრის მარტივად გადატანას ვცდილობ, მაგრამ სიყალბით ვერა, ეს თავისთავად მოდის, ახლაც მოვა, მაგრამ ჯერ არა, არ მინდა ოდნავ მაინც ისე არ იყოს ყველაფერი როგორც შენი ცოლად მმოყვანის დროს ვფიქრობდი, ამაზე კი ძალიან ბევრი მაქვს ნაფიქრი, ძალიან ბევრი. ალბათ არაფერზე მიფიქრია ამდენი. მე ყველა შენს სიტყვას, თავისი სასვენი ნიშნებით, სიტყვებს შორის შუალედით და დაძაბული სხეულით, ემოციით, რომელიც მას მოჰყვებოდა,ვაფასებ რაც ახლა მითხარი.

-ძალიან გაწყენინე.ნიკაპი ოდნავ, რომ აუკანკალდა ქმარმა შეატყო. არ გამიბრაზებიხარ, გაწყენინე და ეს უფრო გვიან გადის. შენ ჩემზე ნაწყენი ხარ, ძალიან ნაწყენი, ვიცი რომ ძალიან გატკინე, დაუმსახურებლად..

-მალე გადამივლის, გადამივლის და აუცილებლად დაგთანხმდები…..ძალიან მაინტერესებს როგორი იქნება ჩვენი ცხოვრება ამ შეთანხმებით.

-კარგი, დაგელოდები ნიკა. ოთახიდან აუჩქარებლად გავიდა…..მათესთან ერთად თითქმის მთელი ღამე ილაპარაკა.

……..

“ადამიანი ადამიანისთის დღეა”……..დღე…….

-შენგან ძალიან მწყინს ყველაფერი, თავი ჩაღუნა დემეტრემ, შენს ერთ სიტყვასაც ისე განვიცდი, შენს ერთ გამოხედვასაც…

-მეც დემეტრე, მეც შენგან ყვეელაფერს სხვანაირად აღვიქვავ, ზოგჯერ მეც არ მესმის ჩემი თავის, მაგრამ ასეა, სულ სხვანაირად მხვდები გულზე, მგონია რომ აღარაფერს აქვს მნიშვნელობა თუ შენთვის გავუფერულდები, შეიძლება არ გექცეოდე სწორად და ამ დროს მიბრაზდებოდე, მაგრამ ეს მირჩევნია, მირჩევნია იმას, რომ ჩემს მოსვლას სახლში, ოთახში, სტადიონზე..ყველგან უბრალოდ არ ჰქონდეს მნიშვნელობა შენთვის.ამას მირჩევნია გძულდე ვიდრე უმნიშვნელო ვიყო შენთვის….სიძულვილიდან უფრო ადვილია სიყვარულზე გადასვლა ვიდრე გულგრილობიდან, რადგან ზოგჯერ უბრალოდ გვგონია რომ გვძულს არადა გვიყვარს, მაგრამ ვაცნობიერებთ, რომ არ იმსახურებს.

-მე ყიფიანთან ვერ მოვახერხებ კარგ ურთიერთობას, არ მინდა მერე გეწყინოს….

-მე კი არ მინდა რამე დაძალებით გააკეთო, ვერც გააკეთებ, არც ჩემი აზრის თავს მოხვევას ვცდილობ, უბრალოდ მგონია ის რაც გითხარი შენგან არ ჩანდა, თუ შენ ამას დაინახავ და უგულებელყოფ არაფერია პრობლემა, უბრალოდ უნდა ხედავდე. ვიცი, რა ძნელია გამოეყო ჯგუფს, ვიცი შენ რომც გდომოდა გაგიჭირდებოდა ყიფიანისთის მიგელოცა, მოგეშვა, მაშინ ხომ გუნდი შენც გაგრიყავდა…დემეტრე აიწურა..

-მე ელენესნაირად არ მესმის ადამიანის ფსიქოლოგია, მაგრამ კარგად მესმის ის რაც 28 წლამდე ვაკეთე, ფეხბურთი ცხოვრებაა, იქაც შენ რომ გუნდს შეწინააღმდეგებოდი იფიქრებდი, რომ იგივე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდი..

-მე არ მინდოდა დავპირისპირებოდი….

-დემეტრე ყოფელთვის უნდა აკონტროლო შენი წონა იქ სადაც ხარ, უნდა ფიქრობდე რისი გაკეთება შეგიძლია გუნდში, თუ შენ თვლი, რომ რაღაც სწორია უნდა გააკეთო და მერე უნდა ეცადო ის მხარე სხვასსაც დაანახო..შენ ისე უნდა იყო, რომ შენს ნათქვამს, გაკეთებულს ადვილად არ წამოარტყან ხელი, თუ შენ ლევანს მიიღებ არ უნდა გეშინოდეს, რომ გაგრიყავენ….თუნდაც იყო რადიკალური, რადიკალური, მაგრამ მართალი, პირველ რიგში საკუთარ თავთან, უნდა იყო მათთვის მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვნობა კი დაუღალავი

ერთგულებით და შრომით მოდის. არ იფიქრო, რომ ამით სხვებს დაუპირისპირდე იმას გთხოვ, პირიქით მინდა შეგეძლოს ყველა სიტოაციიდან ყველაზე სასარგებლო გამოსავალი ნახო, ყველსათვის სასარგებლო და არა მხოლოდ შენთვის, მინდა ყველაფერი სხვანაირად იყოს, მინდა შენს მეხსიერებაში ლოთი მამა არ არსებობდეს, მაგრამ არსებობს, ვერ წავშლი….ასეთ მამას კი დაუყვირებ, არაკაცსაც დაუძახებ, მეკი იმდენად უნამუსო ვარ ამის ატანაც არ შემიძლია, არ შემიძლია და არც მინდა, არც თავს ვამტყუვნებ, მომწონს კიდევაც ჩემი თავი ამ მხრივ. ნიკა და დემეტრე მოედნის ცენტრში ისხდნენ ერთამანეთის პირისპირ.თვალს არ აშორებდნენ მსგავს თვალებს.

- მგონია, რომ პრობლემები კი აქედან იწყება, მე შენგან ვითხოვ იმაზე მეტს ვიდრე გაძლევ, ეს ფაქტია, მაგრამ სხვანაირადაც არ შემიძლია….ვერაფრით ვივიწყებ..

-მე ხომ ბოდიში მოგიხადე, შენც ხომ გამარტყი..ამის გადალახვა ხომ შევძელი, შენ როგორ ვერ……ნიკამ ჩაიცინა ნაღვლიანად.

-შენ საოცრება ხარ, მე კი ლოთი მამა..კარგებს უფრო მეტი მოეთხოვებათ, სამწუხაროდ ასეა მოწყობილი ჩვენი დედამიწა….იყო დრო ჩემგანაც მეტს ითხოვდნენ..მერე..მერე კი ელემენტალურიც კი გასაკვირი და შესამჩნევი გახდა ჩემგან..თუ შევიცვლები მოვალეობები გამეზრდება, მე კი არ მინდა არასაკმარისად გამძლე მხრებით შევხვდე ამ მოვალეობებს. ახლა ესე ვარ…..გამტყდარი და დანაწევრებული..არც ძალა მაქვს და არც სურვილი ეს ძალა მქონდეს….ჩვეულებრივიც კი არ ვარ…..ველოდები, როდის გავუღიმებ საკუთარ თავს. .მართალი ხარ, მართალი მაგრამ ამ სიმართლეს ვერ ვგრძნობ შეგრძნებებით, მხოლოდ მესმის, მხოლოდ აღვიქვავ, ჩემი სურვილები და შესაძლებლობები ერთმანეთს დაშორდნენ, ჩემი საქციელი შეიცვალა, გაუსაძლისია, მაგრამ შეგრძნებები, აღქმა იგივე დარჩა, განვიცდი ამას თითქოს არასოდეს გამეშვას ხელი, არადა იმასაც კი ვეღარ ვიხსენებ ბოლოს როდის მეჭირა შენი ჯერ კიდევ პატარა თითები. დემეტრემ სხვა მხარეს გაიხედა და გაუბედავად მოიწმინდა მაინც ჩამოგორებული ცრემლი. ნიკას მეტი აღარ გაუგრძელებია დემეტრე სახლში მიიყვანა, არ გაყოლია..არც შეხებია..დემეტრე ელოდა, მაგრამ მიხვდა, რომ ნიკა არ მოეხვეოდა….მაინც ბედნიერი დაბრუნდა სახლში, ელენე მოუსვენრად ელოდებოდა. ნიკას მანქანა, რომ დაინახა დაახლოებით უკვე მიხვდა რაც მოხდა და ჩაეღიმა, დემეტრე მორცხვად შემოვიდა სახლში და დაიმედებული თვალები მიანათა დედამის. ელენემ ანასტასია დაბანა, საღამურები ჩააცვა, ზღაპრებს მოუყვა და ჩააძინა….

-დედიკო მეძინება მგონი და რომ ვეღარ მოგისმენ..არ გეგონოს არ გპასუხობ, შეიძლება ჩამეძინოს….ხვალე ხომ გააგრძელებ?

-დაიძინე ჩემო სიხარულო….ჩემო პატარა, უფალი გფარავდეს….ჩემი მარწყვი….ანასტასიას თვალები ებლიტებოდა და დედამისთან ჩახუტებულს ჩაეძინა…. ცოტა ხანი ისევ ყავდა მიკრული და თმაზე ეფერებოდა, პატარა თითები მოკუმული ჰქონდა მიდებული ნიკაპთან და უკვე ღრმა ძილით ეძინა… ელენემ გადააწვინა, დათუნებიანი საბანი გადააფარა და შუბლზე აკოცა…დემეტრე მისაღებ ოთახში იყო და მოუსვენრად უყურებდა რაღაცას.

-დე, მოდი დე….დაუძახა გახარებულმა.

-ხო დემე, რა მოხდა? დემეტრეს გამხდარი სხეული თითქოს ვეღარ იტევდა ემოციას….

-ველაპარაკე, მელაპარაკა, დამელაპარაკა, მეგონა აღარაფერი მომკლავდა, რომ შემამჩნია მეგონა ყველა მე მიყურებდა, უფრო სწორად ვიცოდი, რომ არავინ მიყურებდა, მაგრამ არც აღარაფერი მაინტერესებდა….

-უფრო მშვიდად ხარ დე?

-კი, ასე მითხრა იცის, რომ ჩემთან არასწორია, მაგრამ ისიც მითხრა, რომ მაინც ვერ ივიწყებს…დამპირდა, რომ გადალახავს..დედა მამა ძალიან სხვანაირია..გეფიცები მგონია ჩემში ზის, რაღაცას რომ მეუბნება..აი, აი მგონია, რომ ჩემნაირია….მგონია, რომ მე ვარ….მისი ერთი ნათქვამი, დარიგებული ისე ღრმად მრჩება..დედა, მამა… ვგრძნობ, რომ მისნაირი ვარ, სადღაც შორს..წარსულში, მაგრამ მაინც მისნაირი..ელენე უღიმოდა..თმა გადაუწია და ჩაიხუტა..

-მიხარია თუ უკეთესად ხარ დემეტრე, ნიკაც უფრო კარგად იქნება, არც მისთვისაა ადვილი..

-მართლა სხვანაირია, მგონია სხვა განზომილებაა, ისე ფიქრობს, უცნაურად, მაგრამ ვერ ვეწინააღმდეგები….აი ის რომ გითხარი ლევანი, მაგის გამო მოვიდა პატრული, იმას ხომ ჩაეხუტა მოედანზე..ისე მეტკინა, ისე გავბრაზდი, მაგრამ იცი რა მითხრა? ჩვენ ის გავრიყეთ, ისე სხვანაირად დავინახე ის ბიჭი..ის ბიჭი კი არა ჩემი თავი. მგონია რომ ზუსტად იმას მიმიხვდა რასაც მეც ვგრძნობდი, მაგრამ საკუთარ თავსაც ვერ ვუმხელდი და ეს მტანჯავდა. მეგონა არც კი შემოუხედავს….იმან კი ლამის ყველა ჩემი მოძრაობა მითხრა….ელენე ცოტა დაიბნა….უფრო გაღიზიანებამ გადაფარა მისი სიმშვიდე….იმ ბიჭზე ბრაზმა მის შვილს, რომ ასე აწვალებდა…

-დემეტრე არ მოექცე რამის გავლენის ქვეშ, ნუ გააკეთებ იმიტო რომ მამამ ან დედამ ასე ჩათვალა….თუ გინდა სწორად მოქცევა და სწორად მოქცევის რამდენიმე გზას ხედავ ის აირჩიე, რომელიც შენ გინდა, რაც უფრო სწორად მიგაჩნია, თუ ფიქრობ, რომ ის ბიჭი უნდა გაგერიყა….უფრო სწორად ამ ფორმით გეგრძნობინებინა, რომ მის საქციელს არ იწონებ, მაშინ არ შეცვალო შენი ნაბიჯები მარტო იმიტომ, რომ ნიკა ასე ხედავს. ზოგჯერ უმჯობესია ადამიანებს მაშინვე აგრძნობინო, რომ არასწორად იქცევიან! შენ ხარ დემეტრე, დემეტრე მენაბდე და არა ნიკა. დემეტრე მენაბდე ჩაფიქრდა….

-დედა რაც არ უნდა იყოს, სადაც არ უნდა მითხრას მამამ რამე, რა სიტოაციაშიც ისე მოვიქცევი, როგორც შენ მითხარი….გარდა ფეხბურთისა…. არ უთქვამს იმ ბიჭს დავუმეგობრდე, ან არ გამოვხატო პროტესტი, მაგრამ იქ არა, მმოედანზე არა…ვერ წარმოიდგენ ჩემთვის ის მარტო მამა არაა, ჩემი საყვარელი ფეხბურთელია, მამა არც ყოფილა ხოლმე, ვერ ვგრძნობდი, საყვარელი ფეხბურთელი კი სულ იყო….მამა რომ არ იყოს გავაიდეალებდი, როგორც ფეხბურთელს..მისი ნათქვამი ამ სპორტში ყველაფერზე ძლიერია, ჩემს გონებაზე, შეგრძნებებზე..ყველაფერზე..მამა იქ ჩემი გმირია, გმირი, რომელსაც ვმალავ, ვმალავ და ვბაძავ, ბევრ რამეს ვსწავლობ, ვუყურებ მის თამაშებს და ზოგჯერ მიკვირს რა როგორ მოიფიქრა ან როგორ ეყო ძალა იმის გასაკეთებლად. მაგიჟებს და მაკვირვებს…მამა ის არის ვისაც ბურთით ხელში დავხვდებოდი წარწერის გასაკეთებლად…..მან მითხრა, რომ ყველას უნდა დავუფასო შრომა, იმ ბიჭსაც..ის რომ არა მე გოლს ვერ გავიტანდი….ეს არ უნდა დამავიწყდეს, თუ დამავიწყდა ვერასოდეს ვიქნები ის ფეხბურთელი, რომელზეც ვოცნებობ..ელენეს სულ წამოეშალა ფიქრები…

-დედა მამა რატომ შეიცვალა? მხოლოდ იმან, რომ ვერ ითამაშებდა ესეთად როგორ აქცია..ვიცი ძნელი იქნებოდა, მაგრამ …ელენე დაიბნა, თვალები აემღრა…

-მხოლოდ ეს არაა დემე, მეც გამიბრაზდა….რაღაცაზე ძალიან ვაწყენინე….ახლა ამას ალბათ ვერ შევძლებ მოგიყვე, მაგრამ მინდა სწორად გაიგო…..დემეტრე გაუბედავად უყურებდა, ვერც წარმოედგინა დედამის თუ შეეძლო ცხოვრებაში შეცდომის დაშვება….

-დედა ადვილად ვპატიობ, არ მინდა, მაგრამ სხვანაირად არ გამომდის….არ მრჩება განცა, რომ ვუბრაზდები, მინდა მაგრამ არ მრჩება, ვერც ვძებნი ჩემს თავში. ვერც ვივიწყებ მის მთვრალ, ჯიბრიან თვალებს..წართმეულ ბედნიერებას და იმედებს..ზოგჯერ მგონია ყველაზე მეტად მძულს..მერე მიყვარს..მერე ისევ მძულს და ვერ ვიგებ….ბოლო წინადადების გამო ელენე დაფიქრდა ნიკას სიმართლეზე..იქნებ მართალი იყო რომ არ ამჩნევდა. ადამიანები ასე არიან რაც აქვთ წყინდებათ, უნდათ ის რაც მიუწვდომელი ჩანს….წამით მოეჩენა, რომ თუ ნიკა დემეტრესთვის ადვილად მისაღწევი გახდებოდა შეიძლებოდა გაუცნობიერებლად გადაევლო მამის არსებობისთვის..შეუმჩნეველი გულგრილობა გასჩენოდა….

-თუ ესე ხარ ხომ არ ჯობია არ დააჩქარო ნიკა? იქნებ ჯობდეს დემეტრე ცოტახანს შორს იყოთ? ელენეს ფიქრისგან სხეული დაეჭიმა.

-ვერ ვძლებ. რომ არ მიკარებს ესე ვერ ვძლებ..ამოიხრიალა დემეტრემ. უიმისოდ ცუდად ვარ, სულაც ვფიქრობ, რომ მირჩევნია ისევ ისე იყოს, ოღნდ მოდიოდეს, ჩენთან ჩვენს სახლში, ჩენ გვეკუთნოდეს და არავისთან ვიყოფდეთ. ზოგჯერ მინდა ანასტასიასავით გამოვხატო როგორ მიყვარს. დემეტრეს ხმა გაუწყდა.კიდევ დიდ ხანს ილაპარაკეს..ელენეს ყველაფერი ესმოდა, ყველა ის აფრიალებული სიტყვები, გული….დემეტრეს სისუფთავე და ბავშვურობა..ესმოდა და ბედნიერი იყო..ცოტაც კი ჰყოფნიდა ამ ბედნიერებისთვის, ცოტა მისთვის კი განუზომელი, მისი ქმარ-შვილი იყვნენ თავისნაირად გამორჩეულები.. წყალი გადაივლო და ოთახში შევიდა დასაძინებლად, ნიკას დარეკილი და წერილი დახვდა…. „ არ მპასუხობ! ალბათ არ გესმის….დემეტრე გეტყოდა…..ვიცი რომ არ მეთანხმები, ვიცი რომ სკოლიდან გადაყვანა ისევ გინდა..ვიცი, რომ სადღაც ღრმად მეთანხმები და ჩემი ასეთობის გამო გიყვარვარ, ვიცი რომ ხმამაღალია ბოლო წინადადება, მაგრამ თავმდაბლობისთვის არ მრჩება სივრცე, არც სურვილი,ვიცი, რომ იცი ახლა სალაპარაკოს ვეძებ, რომ თავი გავიმართლო რატომ გწერ, რატომ გირეკავ და საერთოდ რატომ გაწუხებ, ვიცი რომ უნიჭოდ ვიმართლებ თავს, დემეტრეს არსებობა მაიძულებს ჩემს ცხოვრებას აზრი არ წავართვა, მისი ასეთობა არ მაკარგვინებს რწმენას, რომ უვარგის მშობლებსაც ჰყავთ ღირსეული შვილები, სენებისას ყველაფერზე მეტად მრცხვენია საკუთარი არსებობა.. მათზე ფიქრისას ვგრძნობ რომ უფალს ვახსოვდი ამ წლების განმავლობაში, ყველაფერი კი შენთან მოდის…ჩემი რომი ხარ, ყველა გზა შენია და შენთან მომავალი, მხოლოდ იმიტომ არ ვძულვარ, რომ შენ არ გძულდი, მხოლოდ ამიტომ, მე ამას კარგად ვხვდები და უფრო კარგად ვიაზრებ, რამხელა ხარ, როგორი ყოვლისმომცველი და უზარმაზარი, როცა მხოლოდ ბრაზი და სიყვარულია დედის თვალებში იქ მამებს ვერ იძულებენ….. მხოლოდ ერთი ჰაერით სუნთქვა ყოფილა აზრი ჩემი ცხოვრების….ზოგჯერ მგონია მაინც ყველაზე ერთგული კაცი ვარ ამქვეყნად, დღემდე ვერ შევძელი შენი ღალატი, არადა სულ ვცდილობდი.. გთხოვ ჩვენ ორს აკოცე.“

თვალები წყლით აევსო, ძლივს გაიყუჩა ხორხში მწველი ტკივილი, ეზოში გავიდა და დიდ ხანს იჯდა, ფიქრობდა, მხოლოდ ფიქრობდა, წარსულზე, მომავალზე, იმ აწმყოზე, რომელშიც სიცოცხლე გაუსაძლისი გაუხდა. ნიკას შორს ყოფნამ უფრო დაღალა ვიდრე ამ წლების განმავლობაში მისმა სიახლოვემ, გამოფიტული იყო ამ დღეებით, ამ მარტოობით, ავადმყოფობით და უიმედობით. მოკიდებდა ხელს შვილებს, ქმარს და წავიდოდა..აღარც კი აძლევდა გონება უფლებას ნიკას სტატუსისთვის ყოფილი დაემატებინა, წავიდოდა ყველასგან შორს, დაუფიქრებლად, დაულაგებლად, გაუაზრებლად, მაგრამ სიყვარულით, მისი ნაბიჯების მტვერში უფრო მეტი სისუფთავე იქნებოდა ვიდრე ფრენისას, ვიდრე იმ სამყაროში დარჩენისას და „სწორი“ საქციელისას. მის ნაბიჯებს ექნებოდა გრძნობა, რომ „ჩვენ“ ვართ. რომ ნიკა ის და მათი ორი არიან…..მათი ოჯახი სად წავიდოდა სამყაროს არ აინტერესებდა, უფრო სწორად ელენეს არ აინტერესებდა სამყარო. უბრალოდ იცოდა, რომ ეს არ შეეძლო, უბრალოდ იცოდა, რომ საკმარისად ამპარტავანი იყო საკუთარი ღირსება დაემცირებინა და ფეხმძიმე ცოლი მიეტოვებინებინა, იცოდა ნიკა არ წამოვიდოდა, აღარ წამოვიდოდა..მაგრამ რომ არა ეს ამპარტავნება მოიტაცებდა…მთელი შეგნებით მოიტაცებდა და წაიყვანდა შორს….იქ სადაც უბედურები ვერ იქნებოდნენ. ახლა გაეღიმა, მამამისი სულ აფრთხილებდა თუ ვინმე შეუყვარდებოდა ელენეს მის მოტაცებაში დაეხმარებოდა, ზურას ხუმრობას იცოდა ოდესმე აასრულებინებდა….მაგრამ არ შეეძლო…..არ შეეძლო და ახლა ყველაზე აუტანელი ტკივილი ტანჯავდა….იმ ნიკას სიშორე უნდა გაეძლო ვინც თავიდან გაიცნო..იმ ნიკას გაუცხოება ვისაც ყველაზე მეტად სხვისი წიგნის დაკარგვის ეშინია და ოცნებობს ოცნების გარეშე არ დარჩეს……როგორ ტკიოდა ყველაფრის გახსენება, როგორ უყვარდა, როგორ ენატრებოდა და როგორ ეშორებოდა.

მენაბდე საკუთარ თავსაც ვერ ცნობდა ისე იყო ჩართული ფეხბურთში, სკოლის საქმეებს გადააყოლა დარდიანი ფიქრები, ისევ გრძნობდა ძალას თითქოს ფესვებმა უდაბნოში წყალს მიაგნეს და მზით დახრუკულები ახლა ბედნიერად აწყობდნენ იმედებს ერთმანეთზე.ლევანს შორიდან აკვირდებოდა ახლოს აღარ იკარებდა, მაგრამ მისი ცვლილებები აოცებდა….როცა წარმოიდგენდა როგორ ცუდად ექცეოდა სკოლის გუნდი, როცა წარმოიდგენდა რომ ძველი ლევანი ალბათ ყველა ბავშვს ცემით მოკლავდა ვინც გარიყავდა და ახლანდელი….დაჩაგრულად, რომ ალაგებდა ყველაფერს, რაღაც შეგრძნებები ერთმანეთში ერეოდა…..ყიფიანი ჭკვიანად იქცეოდა, მაგრამ უფრო გართულდა…მენაბდე თავიდან ფიქრობდა, რომ ყველაფერს იგონებდა..იმახსოვრებდა და ამოხეთქავდა ერთ დღესაც..მაგრამ მერე სხვანაირად დარდიანს ხედავდა…..თითქოს გარიყვას მიჩვეული მშვიდად ურიგდებოდა ხვედრს….დემეტრემ კი თავისას მიაღწია, ნიკა ესალმებოდა..მხოლოდ ესალმებოდა..ეს კი ჰყოფნიდა..ყველაფრისთვის საკმარისი იყო მისთვის….ერთ-ერთ როგით თამაშზე ყიფიანი ისევ გარეშე პირი იყო..ისევ დასაფასებელი თამაშით….არავის გაუცია ხმა..არც დემეტრეს…..ზურგზე მამის თვალებს გრძნობდა ხოლმე….როცა შემოიხედავდა არასოდეს უყურებდა, მაგრამ ზურგი ეწვოდა მისი მზერით…..თამაშის ბოლოს გუნდელები სწრაფად შეთანხმდნენ სად აღენიშნათ გამარჯვება…..ლევანი გასახდელისკენ წავიდა თავჩაღუნული, როცა დემეტრეს ხმა გაიგონა….

-ყიფიანი შენ რა არაფრად გვაგდებ? თუ არ გვკადრულობ ეგრევე თქვი და ისე წადი…..ისე ეცადა დემეტრე მისი ღირსება ამ წინადადებებში დაეცვა, რომ ვერც კი მიხვდა მთელი გუნდი როგორ დარაზმა მის წინააღმდეგ….ცოტნემ გაოცებულმა შეხედა….ლევანი მძიმედ შემოტრიალდა..

-მე…მე.. არ ვიცი…..

-ამას რა ჯანდაბა უნდა? ატყდა ერთ-ერთი გუნდელი და მალე სხვებიც აყვნენ…დემეტრემ იგრძნო, რომ გაიჭედა…..ან ლევანს უნდა ჩაყოლოდა ან ლევანი უნდა დაევიწყებინა…..მერე ახსოვდა რომ ყველასთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებზე უნდა ემუშავა….

-ხო, რა ვიცი არ მოდის ხოლმე ჩვენთან ერთად და თუ უნდა წამოვიდეს….ცოტნემ ხმის ამოღებას სიჩუმე არჩია..ერეკლე კი იძულებით დაეთანხმა დემეტრეს..

-ხო თუ უნდა წამოვიდეს..

-ჩვენ აღარ წამოვალთ..მაშინვე გაისმა ულტიმატუმი…..ნიკა დაბლა ჩამოვიდა და გუნდს მიუახლოვდა….დემეტრე ძალიან შეიბოჭა, მაგრამ ახლა გულით გრძნობდა, რომ ლევანი იჩაგრებოდა…..

-რატომ? წამოდით რა ჩვენთან ერთად, ყველა წავიდეთ, რომ მომდევნო თამაშზეც მოვასწროთ ლაპარაკი…..

-ჩვენ არ წამოვალთ ამასთან ერთად……დემონსტრაციულობით გამოირჩეოდა რამდენიმე მოთამაშე….

-არ ვიცი, როგორც გინდათ, მე მაინც საქმე მქონდა არ მცალია….აბა თქვენ იცით..ლევანმა თითქოს ყველა იხსნა ამ სიტყვებით, მაგრამ დემეტრეს სულ აუმხედრა სინდისი…..

-ყველა წავიდეთ! მაგრამ თუ ვინმეს არ უნდა ეს მისი საქმეა. ლევან შენ ჩემთან არ ხარ ნამყოფი და უარი არ მითხრა…..ყველა ჩემთან წავიდეთ….ნიკას ხელები ერეკლეს კისერზე ეწყო და მშვიდი სახით იყურებოდა…..მხოლოდ მაშინ გაუმკაცრდა სახე ლევანი, რომ უარის თქმას აპირებდა, მაგრამ ნიკას დანახვაზე გადაიფიქრა…….ამან გამოიწვია ის, რომ გუნდი სულ მთლად გაიყო..ცოტნე და ერეკლეღა დარჩნენ ისინიც მხოლოდ იმიტო რომ დემეტრე მარტო არ დაეტოვებინათ, არადა არ ეთანხმებოდნენ…..დემეტრე გაბრაზდა გუნდელებზე და აღარც დარდობდა….ლევანს ხელი მოკიდეს და დემეტრესთან წავიდნენ…..

-ნელა ატარე…გაუღიმა ნიკამ და ფანჯარას ხელი ჩამოადო…..ცოტა დრო ჰქონდათ უკვე ბავშვები უახლოვდებოდნენ.

-ნელა ტარება არ ნიშნავს უსაფრთხოდ ტარებას! სწრაფად უპასუხა ელენემ.

-შენთვის ნიშნავს……ჩემთვის ყველაზე ძვირფასების სიციცხლეს იბარებ საჭესთან..ნიკა ნახევრად ხუმრობით, ნახევრაც ღიმილით და ყველანაირი ნახევრად ცდილობდა რაღაცების თქმას.

-გეტყოობა, რომ ვერ ერკვევით, თქვენ ალბათ ჩაიჭერით მართვის მოწმობის გამოცდაზე! ნიკამ სიცილი ვერ შეიკავა, რამდენიმე წამი გაუჩერებლად ხარხარებდა..იმ დღის გახსენებამ საერთოდ მოურღვია თავშეკავების სურვილი…..

-თქვენ ალბათ ინერვიულეთ და თქვენი ქმრის მიმართ უსამართლობის შეგრძნება გგუდავდათ….

-როგორი ამპარტავანი ხარ, ჩაჭრილებში პირველი იყავი, სდექ ხაზის არ შემჩნევა ყველა საზღვარს სცდება და ცოტა ხმამაღალია ჩემს სიჩქარეზე ლაპარაკი.

-ნელა ატარე დამიჯერე შენს სწრაფად ტარებას ეს სჯობია.

-გავითვალისწინებ თქვენს რჩევას ალბათ ხშირად გამოგიცდიათ საკუთარ თავზე…..

-თქვენზე, მე სწრაფადაც უსაფრთხოდ ვგრძნობ თავს.

-ძალიან გთხოვთ იყოთ ობიექტური და აღიაროთ ჩემი უნარი საოცრად ვმართო მანქანა….

-ბატონო? თქვენს უნარში საოცრად მართვის გამოხედვას გულისხმობთ? თუ ვარცხნილობას?

-არა სდექ ხაზს რომ ყოველთვის ვამჩნევ იმას.

-ალცჰეიმერი თუ მიშველის ეგ რომ დაგავიწყდეს…..

-ვერანაირი დაავადება დამავიწყებს მაგას….დაავადების ხსენებამ ორივე შეცვალა, ნიკა მოიღრუბლა და მხოლოდ იღმებოდა ნაღლიანად….ელენემ თავიდ დახარა და ცოტა გაწითლდა….

-ვერანაირი დაავადება ვერ დაგვავიწყებს როგორ გიყვარვარ, ნიკამ ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და მერე მას ამოაყოლა ეს სიტყვები სიცილით…….ელენემ გაცოფებულმა შეხედა…

-შენ თავში აგივარდა რაღაცები ეტყობა.

-ეტყობა..გაიცინა ნიკამ….

-არანორმალური ხარ…..გაიწიე და ეგრე ნუ იცინი…..

-სიცილი ერთი ვიცი მე და ეგრე სიცილი რა არის?

-ოო ვითომ ვერ ხვდები…გაიწიე კარი უნდა დავკეტო, ბავშვები მოდიან…..

-ტასიკოს მე მოგიყვანთ სახლში.

-კარგი მადლობა….. ნიკას მზერა სულ შეიცვალა, გაუმკაცრდა და გაუნაწყენდა…..

-არ მითხრა სხვა დროს მადლობა..როცა საკუთარ შვილს გამოყიყვან სკოლიდან….

-კარგი ნიკა, არც დავფიქრებულვარ…გაუაზრებლად..ელენემ იგრძნო როგორ აწყენინა.

-ვალდებულებების დროსაც კი მადლობას ვიღებ……მემგონი ძალიან დაბლა ვარ…..ზღვის დონიდან დააყოლა ღიმილით. მხოლოდ ფანჯარაზე ფრთხილად ჩამოდებულ თითებზე შეახო ოდნავ ტუჩები…..ვერც ერთი სიტყვა ვერ აგრძნობინებდა მენაბდეს ზღვის დონიდან ესე დაბლა მყოფს როგორ მაღლა იყო მისთვის….

ელენეს მანქანაში ჯდებოდნენ უკვე, როცა სასხვათაშორისოდ უთხრა ნიკამ ერეკლეს…

-კიდევ შესთავაზეთ დანარჩენებს წამოსვლა…..

-მაინც არ წამოვლენ ეგენი ისეთი ჯიუტები არიან. გაუღიმა ერეკლემ ბიძამის.

-სამაგიეროდ იგრძნობენ, რომ თქვენთვის მნიშვნელოვნები არიან….. დემეტრემ იგრძნო რომ ყველა სიტყვა მას ეკუთნოდა….მანქანაში უკვე ტელეფონზე წერდა დანარჩენებს…..

ტასიკო გახარებული გაბედნიერებული იყურებოდა, ფანჯარაში ნიკას მანქაანა, რომ დაინახა ჰაერი არ ყოფნიდა..უნდოდა მამიკო სკოლაში შესულიყო, მასწავლებლებს მისალმებოდა, ბავშვებსაც ენახა როგორ აკითხავს ანასტასიას მამა…..მხოლოდ ლაპარაკი ხომ არ დააარწმუნებდა 6 წლის ბავშვებს, როგორ ზრუნავს ანასტასიაზე მამა, როგორ უყვართ ერთმანეთი..ის ტყუილები რასაც მამიკოს “აბრალებდა” უნდოდა ასრულებოდა..გამუდმებული ტყუილები, რომ ყველა კაბა მამამ უყიდა, გამოუგზავნა, წაყვა საყიდლად..ყველაფერი ტყუილი კი არა ოცნება იყო, ოცნებას ყველა მომავალს უკავშირებს ტასიკო კი აწმყოს, აწმყოში ამბობს იმას რაც ოცნება აქვს და მერე წარსული ხდება ხოლმე მისი ოცნებები…..იტანჯება, მაგრამ არ ემჩნევა ხოლმე….არ იმჩნევს..განსაკუთრებით მაშინ როცა მამა შეიცვალა..თანდათან უფრო ემსგავსებოდა გამოგონილს. სახლშ რომ ამდენი ხალხი დახვდა სულ გადაირია, ბიძაშვილები, დემეტრეს მეგობრები….მოფუსფუსე და მომლოდინე დედა….მამა ზურგს უკან მისი ზურგჩანთიდ….ფრთები რომ ქონოდა აფრინდებოდა, მერე სიცილი აუტყდა სიხარულის და ოთახებში სასაცილოდ დარბოდა..მის ბავშვობას მიაწერეს ყველა ღიმილი, როცა უბრალოდ ბედნიერების გამოხატვა შეეძლო…..

ის საღამო ყველაზე მეტად ჩაიბეჭდა, ამოიტვიფრა და სულში გამოქდა..შეეძლო დაყრდნობოდა ხოლმე, შეეძლო გაეხსენებინა და მუხლებს ძალა შემატებოდა..ამაყი იყო იმ საქციელით რაც მას ეკუთვნოდა უყვარდა საკუთარი 5 საათისწინანდელი თავი..მაშინ, როცა ყიფიანი სახლში დაპატიჟა და სიმტკიცე გამოიჩნა რამდენიმე საათის შემდეგ, მერე კი წლების მერეც ეამაყებოდა..მხოლოდ ამის გამო არ იყო ის დღე “ყველაზე დღე” უფრო სწორად სულ რომ არაფერი მომხდარიყო ის დღე მაინც ის იქნებოდა, ყველაფერს, რომ ფარავს.

ცოტა ხანი ეთამაშა ტასუნას, ბიჭებთან მაგიდაზე არ მისულა, არაფერი უთქვამს, ხმაც არ ამოუღია, არც ელენესთან ცდილობდა დალაპარაკებას..ცოტა მიეხმარა რაღაცების გამზადებაში..უხმოდ..ჩაფიქრებული და დანაღლიანებული….დროის სიმცირეს რაც ამ სახლთან აშორებდა მძიმე მზერად ექცია ნიკოლოზის გამოხედვა….იმ ორმა გაიყო ის დღე…ორმა მენაბდემ…წასვლისას დემეტრესკენ წავიდა..არც უფიქრია, რომ მასთან მივიდოდა….იმედი არ მისცა თავს, რომ მერე არ წაერთმია, გვერძე ყიფიანი ეჯდა და ფიქრობდა მასთან დასამშვიდობებლად მიდიოდა.. შესამჩნევად რომ მიუახლოვდა, ეგონა საკუთარი ნერწყვი დაახრჩობდა…ნიკა დაიხარა და ლოყაზე აკოცა…..მამის პერანგის ფხვნილის სუნი მოხვდა

ჯერ..მერე ლოყა აეწვა და მზერა გაურკვლობას მიეჯაჭვა….მენაბდე უხმოდ გავიდა გარეთ…ორგანიზმს ძლივს მიატარებდა იქ სადაც სული დარჩენას ევედრებოდა…ემუდარებოდა და გაჯიუტებული ბავშვივით ფეხებს უბაკუნებდა…..მანქანის დაქოქვის ხმამ უფლება მისცა ამდგარიყო და ცოტა ხნით თავის ოთახში შესულიყო….იქ ვერავინ ვერაფერს ხვდებოდა…რატომ უნდა ყოფილიყო მამის უბრალო კოცნა ესე დამაფიქრებლად სასიამოვნო…რატომ ვეღარ ფიქრობდა დემეტრე ვერაფერზე და ვერც პასუხი ჰქონდა რამეზე. ამის გამო იყო ის დღე..ისეთ, როგორიც დარჩა….

თავი 22

-კარგი, დაგელოდები ნიკა. ოთახიდან აუჩქარებლად გავიდა…..მათესთან ერთად თითქმის მთელი ღამე ილაპარაკა.

-რაო პელე? როგორი ჩაფიქრიანებულშეფიქრიანებულდამწუხრებული ხარ, სადღაც და ვიღაცასთან შენმა მიდგომებმა არ გაჭრა? მათემ ტელევიზორს დაუწია და საწოლზე მოკალათდა. თან იცოდა გააბრაზებდა პელეს დაძახებით მარადონას ჩუმ გულშემატკივარს.

-ბარბარეს საქმე როგორ იქნება მათე. არ ვიცი ძალიან ბევრს ვფიქრობ, სულ ყველაფერი მერევა.

-არ ვიცი ნიკა ალბათ დრო ყველაფერს დაალაგებს.

-ვერ ვაპატიებ. და ეს აზრი ძვალს ღრნის.

-კარგი რა რა დროს პატიება, მეც არ ვაპირებ მაგას.

-გეფიცები შენი გულის მშურს მათე, შენ ისეთი რაღაცნაირად სხვანაირი ხარ, შენ აპატიებ, უფრო გაუბრაზდი, მაგრამ სხვანაირად. შენნაირი ადამიანები ბედნიერები არიან.

-ახლა არ გინდა ეს ყველაფერი გასაგებ ენაზე მითხრა? რას ბოდიალობ ვერ გავიგე.

-მოკლედ მათიუშ შენ ხარ მათე და მორჩა!

-თერმომეტრს აიღებ თუ მოგაწოდო? ბჟუტურა რაღაცები შეგეყარა შენ სულ ასე ხარ, ასე იცოდი ხოლმე, რომ გეძინებოდა, კარგ მთვრალ ქართველ თამადას შეშურდება ისეთს ახეთქებ ხოლმე.

-ყველაფერს ნიჭი უნდა უნიჭობასაც კი.

-ჩავიწერო თუ დაიმახსოვრებ?

-მათე რომ ძალიან მიყვარხარ, ხომ იცი და რომ მენატრება ჩვენი ბავშვობა. ჩვენ სამნის, არის რაღაცები ჩვენში რაც უბრალოდ“ დიდ ადამიანებად“ ყოფნას გვაძულებს. არის რაღაცები რაც გაზრდილებს არ შეგვიძლია დავივიწყოთ და გადავიტანოთ.

კიდევ დიდ ხანს ილაპარაკეს.

-ბარბარე ოთახიდან არ გამოდიოდა, ელენე შედიოდა, რამდენიმე სიტყვით თუ შემოიფარგლებოდნენ, ძირითადად საჭმლის ჭამის დაძალებით, რომ ბავშვისთვის უჭმელობა საზიანო იყო.

ნიკას შემოსვლა გაიგო თუმცა ძალიან ეძინებოდა და თავი ვერ აწია, როგორ უნდოდა ჩახუტებოდა და ისე დაეძინა, როგორ უნდოდა..სურვილმა ძილიც კი გაუტეხა.

თვალი რომ გაახილა და ნიკა დაინახა გვერძე, საშინლად გაუხარდა, მიჩვეული იყო რომ უკითხავად მიდიოდა…ყველაზე კარგი საჩქარი ეგონა მისი დანახვა თვალის გახელისას…ფეხზე სწრაფად ადგა და სააბაზანოსკენ წავიდა….დაუკითხაავად გაჰყვა ნიკას თვალები, მხრებიდან მთელ სხეულზე ოდნავ, რომ უფარავდა ატლასის ნაჭერი ფეხებს… ელენემ მშვიდად გადაივლო წყალი, იცოდა ნიკა გამორიცხული იყო ოთახიდან გასულიყო იქ შესვლის გარეშე, ამიტომ მშვიდად იყო, საწოლზე წამომჯდარი დახვდა ტელეფონით ხელში….ელენემ პირსახოცის ხალათი დაუდევრად რომ ჰქონდა მკერდთან ძლივს შესამჩნევად დაფარული შეისწორა, ნიკას არაფერი შეუმჩნევია, წარბშეკრული ჩასჩერებოდა და უკვე მეხუთედ კითხულობდა ერთსადა იმავე წერილს. ტანსაცმელს ხელი მოკიდა და უკან შეტრიალებას აპირებდა ნიკას ხელი, რომ იგრძნო ტირილამდე იყო მისული ისე უნდოდა მოხვეოდა..

-აქ გამოიცვალე, მე შევალ, მალე უნდა გავიდე…ისეთი ცივი იყო მისი ხმა, რომ ლამის ჩაიკეცა კარებთან.

-კარგი ნიკა.

როცა გრძნობდა, რომ უახლოვდებოდა, უფრო შორდებოდა, ცდილობდა დრო მიეცა, მაგრამ საკუთარი გრძნობები ახრჩობდა. ორი კვირა იყო ღამე თითქმის არ ეძინა, მასთან ასე ახლოს და ასე შორს ყოფნა შლიდა, ენატრებოდა მის გულზე თავის მიდება, სუნი, მკლავები….ენატრებოდა ის ნიკა…..

მენაბდე კი უგრძნობ ჯალათად იყო ნაქცევი, არაფერი, რომ არ აინტერესებს, ორი კვირის მანძილზე, სულ რამდენიმე სიტყვა თუ უთხრა, არც ერთი სანტიმეტრით არ წაუწევია მისკენ. ელენე გრძნობდა, რომ ტყდებოდა და ზუსტად ეს უნდოდა ნიკასაც…იმასაც გრძნობდა, რომ თუ არ იქნებოდა პირველი, მაშინ დაკარგავდა..ყველა მისი ქცევით სისუსტეს აიძულებდა, ელენეს უჭირდა ყოფილიყო მგრძნობიარე, მაგრამ ვერაფერს ახერხებდა, რკინის ნებისყოფა იყო მენაბდის სხეულში გაბატონებული, ეს ძალა ყველაფერს აკონტროლებდა მთავარ გრძნობასაც კი. უნდა გადაედგა ნაბიჯები, უნდა ემოქმედა, სხვანაირად ნიკა მისთვის უფრო და უფრო მიუწვდომელი ხდებოდა. რამდენიმე დღიანი დუმილის შემდეგ ძლივს დაიწყო ელენემ.

-ნიკა…მელაპარაკე რა, გთხოვ…

-რა იყო? გაუღიმა ნიკამ.

-რამე მითხარი, თუნდაც რომელი ქვეყანა მიგაჩნია წელს მსოფილო ჩემპიონად, ან რამე ფეხბურთთან დაკავშირებული.

-ელენე, მსოფლიო ჩემპიონატი წელს არ არის. უნდა მეთქვა გუშინ დამავიწყდა მე და მათე რამდენიმე დღით მივდივართ სოფელში…მალე ჩამოვალთ…

-მიდიხარ? მე არა?

-არ ვიცი ელენე, მარტო მე და მათე მივდივართ, რავიცი თუ ძალიან გინდა..აშკარად არ იყო გულთბილი მიპატიჟება და ეს ელენემ იგრძნო. მიხვდა, რომ ნიკა ყველაფერს განზრახ უკეთებდა, ნიკა არა, ნიკასგან დამოუკიდებლად ხდებოდა ესეც, სხვანაირად არ შეეძლო. განზრახ ჩამოშორდა რომ უფრო მწვავედ ეგრძნო ელენეს უიმისობა….ტანჯავდა ეს გაურკვევლობა….წყენა..რაღაც აფეთქებული სულსა და გულში…თვალს, რომ ახელდა ნიკას ხმა ესმოდა, ეგონა სურპრიზი გაუკეთა და ადრე ჩამოვიდა, როცა კვირაზე მეტი გავიდა, უკვე ლამის ელანდებოდა კიდეც..დრო რომ გადიოდა ეს ცალკე ანადგურებდა, იცოდა მალე სეზონი დაიწყებოდა და საფრანგეთში უნდა წასულიყვნენ, იქ დაიწყებოდა ნიკას, გაუთავებელი ვარჯიში, თამაშები, სხვადასხვა ქალაქებში სიარული, ეს დრო ჰქონდა და ამასაც ასე შორს ატარებდნენ ერთმანეთთან. მათეს დაბრუნება და მანქანაში მხოლოდ ბარგის დებამ უკვე სულ გადარია, დიდ ხანს უყურა იქნებ ვინმე გადმოსულიყო..

-ნიკა სოფელში კიდე ცოტა ხნით დარჩა, ჩაიბურტყუნა მათემ. მესიჯზე ძალიან მოკლედ წერდა, ორ სიტყვასაც კი არა. ელენე მის ბალიშზე ტიროდა უკვე ერთი კვირა, ღამე თავს დატუქსავდა მის ნახევარზე არ გადასულიყო, მაგრამ დილით ბალიშთან ჩახუტებულს ეღვიძებოდა….მისი სიჯიუტე ყველა ზღარს სცდებოდა, ელენეს არ შეეძლო ამდენის გაძლება, რაც ნიკას. ძილი როგორც იქნა მოერია და ჩათვლიმს, როცა კარის ხმა გაიგო, სწრაფად აანთო სინათლე, საწოლთან ნიკა იყო ჩამომჯდარი…

-როგორ ხარ ელე?ისევ იგრძნო ის სურნელი და გაუაზრებლად წამოუვიდა ცრემლები…

-ამდენი ხანი, როგორ წახვედი, რატომ მექცევი ასე ნიკა…

-მაპატიე ელენე, ვერ მოვახერხე..გაგიკვირდება და მენატრებოდი..

-მეც, მეც ძალიან მომენატრე ნიკა, სულ შენზე ვფიქრობდი…როცა მხარზე ნიკას ტუჩები იგრძნო, მაშინ ყველა სიტყვა დაავიწყდა და ხელები კისერზე მოხვია….

-როგორ მომენატრე ნიკა….არ წახვიდე, თორემ ვერ გავძლებ.. ჩურჩლებდა ელენე და თან ეფერებოდა.

-მიყვარხარ ელენე…როგორი სიხარული იგრძნო და როგორი ტკივილი სხეულზე, როცა თვალები გაახილა და ოთახში მარტო მყოფი იყო, სიზმრის სიხარული უფრო მეტ ტკივილად ექცა..უკვე ვეღარ აზროვნებდა, სწრაფად ჩაიცვა არც დაუნახავს რას იცვამდა, მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ ნიკასი იყო, მისი სუნი ჰქონდა….გასაღები ძლივს იპოვა და სახლიდან სწრაფად გავიდა. ვერ იტყოდა, რომ არ ეშინოდა, მანქანაზე ხშრად არ იყო დამჯდარი, არც მართვის

მოწმობა ჰქონდა და თუ გააჩეებდნენ არ იცოდა, რა უნდა ექნა..მაგრამ სხვა შემთხვევაში უფრო ვერ ხვდებოდა რა გაეკეთებინა….სოფლის გზას დაადგა, გზაში, შიშისგან, ემოციისგან თუ სხვა უფრო ძლიერი გრძნობისგან ცრემლები მოდიოდა. გაუმართლა რომ მოძრაობა არ იყო, ან ღამის 4 საათზე რა მოძრაობა უნდა ყოფილიყო. ერთხელ იყო ნამყოფი სოფლის სახლში, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა როგორ მიეგნო, საერთოდ არ აკვირდებოდა ასეთ რაღაცებს…ბნელოდა და ვერც სახლს არჩევდა….მათეს დაურეკა მოკრძალებით 4 საათზე და ბოდიშებად დაიღვარა გაღვიძებისთვის. მათე ლამის გადაირია მისი წასვლის გამო, მაგრამ მერე მიხვდა, რომ უკეთესი იყო მისამართი სწორად მიეცა, არ დაკარგულიყო. ეზოში ვიწრო და უცნაური შესასვლელი იყო, არც უფიქრია იქ შეყენებაზე, მანქანიდან გადმოვიდა და სახლისკენ წავიდა…..

-ნიკა აქ ხარ? ნიკოლოზ? უკვე ბოლო ხმაზე ყვიროდა თავიდან მოკრძალებულად დაიწყო, არაფერი აინტერესებდა არც მეზობლები და არც სოფლის შუა გზაზე გაჩერებული მანქანა. მეორე სართულიდან როგორ ჩამოვიდა არ ახსოვს და კარი სწრააფად გააღო….ოთახიდან მომავალ შუქზე ხედავდა მის პერანგში გამოწყობილ თმააბურდულ და სახე გაფერმკრთალებულ ელენეს…სულ სველი იყო, მიხვდა ელენე, რომ ვარჯიშობდა.

-ელენე, შენ, ახლა აქ ვინ მოგიყვანა? ნიკას წარმოდგენაც არ უნდოდა მის სიმარტოვეზე……მათეს ეძებდა თვალებით. ელენეს ცრემლები მოდიოდა, თავს ვერ იკავებდა, მისკენ წაიწია და ორივე ხელი მოხვია..

-ესე როგორ შეგიძლია მომექცე ნიკა, როგორ მიმეტებ…

-ელენე გაოფლილი ვარ, გთხოვ ნიკამ ვერაფრით შეაშვებინა ხელები. თან საშინლად არ უყვარდა ასეთ დროს, რომ ვინმე ეხებოდა.

-ნიკა კარგი რა…გთხოვ..დაივიწყე რა ეს რაღაცები, ახლა მაინც…ქმარმა წელზე ხელები ძლიერად შემოხვია და სახლში შეიყვანა.

-ელენე მარტო ხარ? მხარზე აკოცა.

-შენთან ერთად. ისე უთხრა ხელი არ გაუშვია..

-ელენე ჭკუიდან გადავალ თუ შენ ამ ღამე მარტო ჩამოხვედი. შენით თუ ჩამოხვედი, საჭესთან იჯექი? გავაფრენ….გარტყმაში არ ხარ…როგორ ჩამოხვედი, ელენე ხვდები რა გააკეთე?

-როგორ გამიმეტე ასე, სულ არაფერს გრძნობ? სულ ცოტას, წყენის მიუხედავად ოდნავ მაინც არ ვარ შენს გულში? ყველას ეშლება, ყველას შეიძლება შეეშალოს, მაგრამ რასაც შენ აკეთებ სისასტიკეა, ის გულგრილობა რასაც მჩუქნი არ მაკმარე და ახლა თავსაც მანატრებ, არა და იცი, იცი რასაც ვგრძნობ. ელენე პატარა ბავშვივით შეყურებდა თვალებში და გულზე ხელს ადებდა.

-ელენე ხომ კარგად ხარ, დამენახე გთხოვ, რამე ხომ არ მოგსვლია, ნიკა საგულდაგულოდ ათვალიერებდა….. და მერე ისევ იხუტებდა…ელენე რამდენჯერმე დაატრიალა.

-მომენატრე, შენი სუნი მომენატრა, შენთან ჩახუტება…უზომოდ…შენ ხომ ამიტომ მექცეოდი ასე ეს რომ მეთქვა….ჯობია გითხრა და ამოვისუნთქო.. ვიყო სუსტი თუ სხვანაირად შენ ვერ გადალახავ…..არ ლაპარაკობ, არ გამოხატავ რასაც გრძნობ, გულში იხვევ, ესე არ მინდა ჯობია მითხრა, გამიბრაზდე, არ იყო თავშეკავებული და გადალახო, თუ საჭიროა ვიჩხუბოთ თუ ისევ უნდა შევრიგდეთ.. ესე მეტისმეტია….

-გეხვეწები….

-ისე საშინლად მიყვარხარ, რომ ყველგან შენ მელანდები, მენატრები…..იმ სიტყვას ნიკას გონება შეახმა და მას მერე ვერაფერი გაიგონა.

-შენ ტარება არ იცი, ელენე, ჯანდაბა, რამე რომ მოგსვლოდა, როგორ წამოხვედი, ელენე…როგორ მომექეცი ასე, რამე რომ მოგსვლოდა..ღამე სოფელში…ესეთ გზაზე… სულ გამაგიჟებ….

-არ არის ეგ მნიშვნელოვანი, ნიკა, გთხოვ….

-მეც მიყვარხარ, ძალიან მშვიდად უთხრა ნიკამ, თან თვალს არ აშორებდა..

-ვერ წარმოიდგენ….მე როგორ…

-ზუსტად ისე მიყვარხარ როგორც შენ, ერთხელ გითხარი, რომ ყველაფერი ისე იქნება, იმ დოზით, როგორც შენ იქნები ჩემთან..არც მეტად..არც ნაკლებად.

-არასოდეს მეტყვი რომ შენ უფრო? უბრალოდ თქმით…..უბრალოდ რომ თქვა და მეტი არაფრის გამო….უბრალოდ, თორემ მე ისე მიყვარხარ, ისე უჩვეულოდ, რომ მთელი ცხოვრება მეყოფა ის სიყვარული რასაც შენ გრძნობ, თუ მართლა ჩემნაირია. ნიკას გაურკვეველმა ეჭვმა დაუარა, ეჭვმა, რომ ზედმეტად პრაგმატული იყო, ზედმეტად მიწიერი, ზედმეტად ადამიანი….დედამიწასთან მისმა სიახლოვემ ცოტა შეაშინა…იმ პრინციპმა, რომელიც სწორი ეგონა რატომღაც შეასუსტა თავისი პოზიციები..

-როცა გეტყვი ამას უბრალოდ არა, ნამდვილად გეტყვი. როცა მართლა ვიფიქრებ, რომ უფრო მეტად მიყვარხარ…საკუთარმა სერიოზულობამ გააღიზიანა, მაგრამ სხვა გზა ვერ დაინახა…..აშკარად იგრძნო, რომ შესუსტდა..

-თუ ისე გიყვარვარ ზუსტად, როგორც მე მაშინ ვერ ვხვდები რა საჭიროა ეს სიჯიუტე….უფრო სწორად როგორღა შეგიძლია….

-სიჯიუტეზე ნუ მელაპარაკები ელენე..

-მე ხომ აღარ ვარ, დამაკვირდი, მე ვერ ვცნობ ჩემ თავს და შენ იგივენაირი გგონივარ? ესე დიდ ხანსაც არ შემიძლია, სულ ამას ვერ გიმეორებ..უბრალოდ რომ არ მეთქვა თავს დავადანაშაულებდი, მაგრამ ახლა მე ყველაფერი გავაკეთე რაც შემეძლო და რაც არ შემეძლო, თუ შენ ამას ვერ გადალახავ უკვე ჩემი ბრალი არაა…თუ გაინტერესებს გეტყვი, რომ უბრალოდ

მეშინოდა ესე ძალიან არ შემყვარებოდი, მე შენგან განსხვავებით არ მჯერა გრძნობების გაქრობის, ამის გამო მეშინოდა რომმ შენზე დამოკიდებული გავხდებოდი….

-ელენე მერე რა..ერთმანეთზე უნდა ვყოფილიყავით დამოკიდებულებუ..მეც ხომ ვიყავი შენზე, შენ ვერ წარმოიდგენ….შენ უბრალოდ არ იცი მე არავის ვუთმენ ესეთ გულგრილობას, არ გეგონოს, რომ ვჩხუბობ ან ხმას ვუწევ, არა უბრალოდასეთი ადამიანებისთის ადგილი არღარ რჩება..ა ვაქცევ ყურადღებას აღარ არიან ჩემს ცხოვრებაში..შენ კი…..გაცნობიდან მოყოლებული სულ შენ გულგრილობას ვებრძვი….ყველანაირად..

-შენი იდეალურობის მეშინოდა….მეგონა აუცილებლად იქნებოდა რამე რასაც მალავ…..მე მჯერა, რომ არ არსებობს სრულყოფილება, შენ კი არ ვიცი შეიძლება მეჩვენებოდა, მაგრამ ნაკლს ვერ ვპოულობდი….ვეძებდი და ვერ ვპოულობდი..ის შენი წიკებიც კი იდეალური იყო…იდეალური რადგან ბუნებრივად და გარდაუვლად მეჩვენებოდა…..შენ არ ქმნიდი პრობლემას ამის გამო…..თითქოს ეს ბუნებრივი იყო….

-მერე იპოვე ნაკლი?

-კი, ბევრი..და როცა ადამიანად დაგინახე მაშინ გამოვუტყდი თავს რომ მიყვარდი……

-ახლა გაჩერდი, ძალიან მაინტერესებს რა იპოვე? მე კიდე მეგონა, რომ სრულყოფილი ვარ.. ელენეს გაეცინა, მათი ლაპარაკი გაახსენდა…

-არ შეგიძლია პატიება! წვრილმანებს აქცევ დიდ ყურადღებას, ზოგჯერ ამას სხვები ვერც ხედავენ, შენ კი შეგიძლია პატარა რაღაცაზე საშინლად გაუგულგრილდე ადამიანს….სპორტი შენი სისუსტეა, სხვებს კი ძლიერი მხარე ჰქონიათ….წიკების გრცხვენია, მაგრამ ვერაფრით ლახავ, შენიშვნას ვერ იტან თუმცა გინდა, რმ გჯეროდეს საპირისპიროს, აკვირდები თითქმის ყველა ნივთს იმახსოვრებ როგორ დევს და მერე ამოწმებ, კარის გრადუსსაც კი როგორაა ღია..შენ თავში ესეც არ მოგწონს, მაგრამ არასოდეს აღიარებ, რომ ფსიქოლოგის დახმარება გჭირდება.

ნიკას გაეღიმა….რაღაცები აერია, რაღაცები მოეშალა, შესუსტდა და ელენეს აკოცა……

-ფსიქოლოგის არ ვიცი, მაგრამ მომავალი ფსიქოლოგის შეიძლება. მაპატიე აქამდე არსებული დღეები, შენი დაბადებისდღეც მაპატიე ესე არ მინდოდა, ისიც მაპატიე, რომ მაშინ სანდროზე გითხარი.გეფიცები შენ რომ მასთან წასულიყავი მოვკვდებოდი, იმასაც მოვკლავდი. არც კი ვიცი ესე მშვიდად, როგორ გეუბნებოდი იმას რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა, შევიშლებოდი მისგან რომელიმე ყვავილი, რომ აგეღო, თუნდაც სულ პატარა ფურცელი..არ ვარ ეჭვიანი, მართლა არ ვარ, მაგრამ როცა ვუშვებ, რომ რეალობა ეჭვიანობის საბაბს მაძლევს ვგიჟდები, არ მეტყობა, მაგრამ მართლა ვგიჟდები…..მაშინაც იმ დღეს საშინელ თამაშზე წავედი საყურბლად, მარტო იმიტო, რომ ერთ ქალაქში არ ვყოფილიყავით..არ მაინტერესებდა ის თამაში…..მაგრამ ესეთ დღეებში, როცა შენი თალები განსაკუთრებით მეტს მოითხოვდა ბავშვურად ჩემგან ვერ ვუძლებდი…გგპირდები, რომ ესეთ დღეები არ იქნება..არც ისეთ დაბადებისდღე არც, ისეთ 14 გექნება…..ელენემ თმა გადაუწია და თვალებში შეხედა, ხმას არ იღებდა, უბრალოდ უყურებდა, ბედნიერი უყურებდა….

-გადმოვიტანოთ..

-რა? ნიკა ვერ მიხვდა რა უთხრა….

-ხომ შეიძლება დაბადებისდღეების გადმოტანა….თუ დედამიწა სხვა შემთხვევაშ ბრუნვას შეწყვეტს..მაშინ ყველა დღე გადმოვიტანოთ რაც გვინდა…….ყველა დღე სადაც შენ იქნები ჩემთან…..ნიკამ ხელები მოხვია და ჩაიხუტა…..

-აქ ჩამოსვლაზე ვიჩხუბებთ მაინც! ასე მოქცევას არ შეგარჩენ ჩემო საყვარელო…თმა გაუშალა და კისერში აკოცა…..

-ვერ შემოვაყენე ეზოში, შემეშინდა კარები არ გამეყენებინა..გაეცინა ელენეს…

-შუმახერი ფორმაში არაა..

-ნუ დამცინი….მართვის მოწმობა არც შენ გაქვს….

-ხო მაგაზე, ორ დღეში უნდა გავიდე, მათე და ცოტნე მომყვებიან, იქ რუსთავს თავზე დაიმხობენ, გამაგიჟებენ და შენც წამოდი მარტო გაგიჟებას..ელენეს გაეცინა….დაჯექი, დამელოდე, ელე შემოვაყენებ და შემოვალ და უნდა დაგელაპარაკო, ამაზე ვილაპარაკებ, წყალს უცბათ გადავივლებ რა, მალე მოვალ, იჯექი წვენი სამზარეულოშია და სალათებიცაა, გამხდარხარ…ნიკა კიბეებზე ადიოდა და თან ლაპარაკობდა…

-კარგი, გაუღიმა ელენემ..ნიკა ასული იყო რომ ჩამოტრიალდა…

-გიხდება, ელენემ ნიკას პერანგს დახედა, წარმოიდგინა რა დასანახი იქნებოდა და გაეცინა. ფანჯარასთან მდგომს მანქანის შუქებმა თვალი მოჭრა და ფარდა ოდნავ გაწია..სამზარეულოში გავიდა..ყველაფერი ისე იყო თითქოს არ ეცხოვრა ვინმეს, მილაგებული, სუფთად, ჩაეღიმა..სახლს არ ეტყობოდა, რომ რამდენიმე დღე იყო კაცი ცხოვრობდა და ქალის ხელი არ გაკარებია არაფერს…..გასაღების ხმაზე შემობრუნდა, ნიკა მის წინ იყო…

-არასოდეს გაბედო მეორედ ეს გესმის! თმა სულ სველი ჰქონდა და მისი შამპუნის სუნი იგრძნო სულ რომ ენატრებოდა.

-მე უცხოსთან არ ჩამოვსულვარ, ჩემი ქმარი უკვე მერამდენე დღე იყო აქედან ფეხს არ ადგავდა, თუ ის ასე აღარ მოიქცევა მეც არ მექნება ასე მოქცევის აუცილებლობა.

-ელენე მე რა გითხარი!

-საქმეც ისაა, რომ არაფერი არ მითხარი, რამდენიმე დღეა ტელლეფონზეც ორ სიტყვას მომიგდებ, განიცდი ყველაფერს და მე არაფერს მეუდნები, ჩემგან ძალიან შორს ხარ. გაუცხოებული.სხვა გზა არ დამიტოვე და ჩამოვედი, რა გინდა ახლა, გინდა მოგატყუო, რომ სხვა დროს ასე არ მოვიქცევი? ალბათ მოვიქცევი, სულაც ფეხით ჩამოვალ თუ ისევ ასე ცუდად ვიყავი.

-ტარებას გასწავლი და იქნებ მართვის მოწმობა აიღო..მაგრამ 17 ის ხარ…ნიკას შეეცოდა ისე გულწრფელად საყვედურობდა, ბავშვივით… და ამაზე ლაპარაკი აღარ გაუგრძელა.

-მშვენივრად ვატარებ, ცოტა ასეთ შემოსასვლელებში მიჭირს მაგასაც დავხვეწ მალე, გაუცინა ელენემ.

-ცოტა? თვალმოუშორებლად უყურებდა მენაბდე და კისერზე ორივე ხელი ერთმანეთში გადაჭდობილი ჩამოადო.

-სულ ცოტა, სულ, სულ….სიზმარში გნახე ჩემთან მოხვედი და ისე ცუდად გავხდი, სიზმარი რომ იყო, ვერ მოვითმინე, მაპატიე გთხოვ. ნიკამ ხელები მოხვია და მთელი ძალით მიიკრო..

-არ მინდოდა ყველაფერი ასე ყოფილიყო….სულაც არაფრის მიღწევას ვცდილობ, უბრალოდ მწყინდა, მართლა ძალიან..

-იცი რა კარგად ვარ, რა ბედნიერი, მეშინოდა რომ პირველი რომ გადმომედგა ნაბიჯი ვინანდებდი, ახლა კი არაფერი მაინტერესებს..მხოლოდ მიყვარხარ.. ნიკამ თვალებში შეხედა, ცრემლები და სიხარული ერთად ცვიოდა ელენეს. მხოლოდ მიყვარხარ, ისევ გაიმეორა….

ოთახში ისე ავიდნენ თითქოს მიწას არ ეხებოდა, უფრო ნერვიულობდა ვიდრე პირველ ღამეს….

-როგორ მომენატრე ელენე…ჩურჩულით ნათქვამი გაიგონა და სულს და სხეულს სამოსელი შემოეძარცვა…..სიბნელეში ისევ გრძნობდა ჩალისფერ თმას, მის მხრებზე რომ იყო გადმოღვრილი, ელენე უფრთხილდებოდა ყველა შეხებას, ეფერებოდა ნაზად, ნერვიულობდა,ნერვიულობდა ნიკაც რადგან თავში რამდენჯერმე გაუელვა ფრაზებმა „მის შეხებას იძულებით ვიტან“ „უბრალოდ ცოლი ვარ“ სუნთქვაც კი შეუწყდა, გულის რევამ ისე დაუარა, რომ განძრევაც ვერ შეძლო….

-ნიკა, დაიჩურჩულა ელენემ, ისეთ სისწრაფით აევსო თალები წყლით, ისე აუბრჭყვიალდა..მენაბდემ შუბლი მიადო,.ებრძოდა ამ ყველაფერს….. პირველ რიგში კი ამარცხებდა ელენეს დამოკიდებულებით, მისი სიმარტოვით იმ შუა ღამისას სოფლის გზაზე, მის სხეულზე თავისი პერანგით, აბრჭყვიალებული თვალებით, როცა მას უყურებდა, შეგრძნებით, რომ მართლა ძალიან უყვარდა.

ღამე უჩვეულო შეგრძნებამ გააღვიძა, ღამის ფერმკრთალ შუქზე დაინახა მისი აცახცახებული მხრები და დაგუდული ტირილის ხმა….

-ელენე რა მოხდა კარგად ხარ? ხმა გამტყდარი ჰქონდა ნიკას. ელენემ ტირილის შეკავება სცადა, მაგრამ უფრო აეტირა..

-ელენე გთხოვ, ნუ მაშინებ, ნიკამ სინათლე აანთო და ელენე გადმოატრიალა, თვალები დასიებული ჰქონდა და გული ამოჯდომას…

-რა მოხდა ელე? რა გჭირს, სახეზე ცრემლებს წმენდდა და ეფერებოდა ნიკა..

-გეხვეწები, გეხვეწები ნიკა დაივიწყე….გევედრები..ის სიტყვებიი, როგორ მრცხვენიაა, გევედრები არსოდეს გაგახსენდეს, გემუდარები, მაშინ ასე არ ვფიქრობდი, უბრალოდ შემეშინდა იმის გაცნობიერების რასაც ვგრძნობდი და სულ ნაკლს გიძებნიდი. ყველაზე მეტად ეს მძულს, მძულს გეფიცები როცა ცოლ-ქმრის ესეთი საკითხები სხვა იგებს.მე თვითონ რომ გამეგონა შენ უყვებოდი ვინმეს ვერ წარმოიდგენ როგორ მაჟრიალებს..ვერ ვიტან ასეთ რაღაცებს, მაგრამ დამემართა,, ასე დამემართა. არ მინდოდა….ნიკა გაოგნებული უყურებდა..

-კარგი ელენე, რას ამბობ, ამხელა მნიშვნელობას ნუ ანიჭებ რა…მე აღარც მახსოვს, გეფიცები..

-რატო მატყუებ, ვერ ივიწყებ…

-არა გეფიცები, მე სულ არ მაინტერესებს რამდენ ადამიანს ექნება ჩემზე ცუდი წარმოდგენა, ან გაიგებდა თუ არა დედა ამას..მართლა არ მაინტერესებს..მე შენმა დამოკიდებულებამ ლამის გამაგიჟა, გესმის..იმ სიტყვებს აზრი არ აქვს, ყველაფერი შეიცვალა..შენი გრძნობებია მთავარი და არა ის სიტყვები…

-ნიკა გეხვეწები არ მომატყუო..მე გავიგებ, მირჩევნია სიმართლე მითხრა.

-არა ელენე, როგორ ფიქრობ ნუთუ საკუთარ თავში იმდენად დარწმუნებული არ ვარ, რომ ამან ჩემზე ზეგავლენა მოახდინოს..ან რამეს ნიშნავს რას იფიქრებს ჩემს წიკებზე ვინმე? ფიქრობ რომ ეს უხერხულობას ოდნავ მაინც მიქმნის? მათე როგორ დამცინის ხოლმე, ეს როგორ უნდა მეწყინოს. ამას ისე ვარ შეჩვეული, სულ ვიღაც ლაპარაკობს, სულ ვიღაც გაძაგებს და რაც უფრო მეტად საძულველი ხარ მოწინააღმდეგისთის მით უფრო დიდია შენი წარმატება…ამას ისე ვარ მიჩვეული ამის გარეშე ვერც გავძლებ.ჩემზე ეს არ მოქმედებს….არ იტირო გთხოვ, თორემ საკუთარ თავზე უფრო მეშლება ნერვები, აქ ჩამოხვედი, კაცმა არ იცის როგორ….ახლა თვალები დაგისივდა ტირილისგან..შენ მე საკუთარ თავს წარმატებით შემაძულებ თუ ასე გააგრძელე…ელენეს გაეცინა და მოეხვია..

-ყველაზე კარგი ხარ, მსოფლიოში ყველაზე….

-ევროპაში მესამე, იმედია მაგ ბომბორა ბურთს ოდესმე მოვიტან ჩვენს სახლში…

-მაგ ბომბორა ბურთს გარეშე ხარ ის რაც გითხარი.

-წარმოიდგინე მაგიანა რა ვიქნები…. ელენემ თავი ნიკას კისერში ჩარგო და თვალები დახუჭა, რამდენჯერმე გაეცინა..

-შენნაირები არ არსებობენ და მეშინია არ გაქრე.. ნახევრად მძინარემ ამოილუღლუღა..

-ელენე ძილის რომელ ფაზაზე ხარ? რას ამბობ, გავქრე..აი..გავქრე..საიდან გააძრე გაფიცებ…რა უნდა გავქრე..

-შეიცვალო მინდოდა მეთქვა..ნუ მაჯავრებ..მეძინება და თან ვეღარ ვაზროვნებ….მხოლოდ მისი თმიდან მომავალ ჰაერში შეეძლო ჩაძინებოდა, ალბათ ამით სიყვარულს არ ზომავენ, არ

საზღრავენ და შეიძლება თავშიც კი არავის მოდის. მენაბდე კი, მენაბდეს არ შეეძლო არც ერთ ქალთან ძილი, ვერავის ჰაერით სუნთქავდა ღამის განმავლობაში, მხოლოდ მას არ უშვებდა შემოხვეულ მკლავებს, მხოლოდ მისი სუნთქვა შეეძლო ჩაესუნთქა და თმიდან მომავალი სუნი ყოფილიყო დამამშვიდებლად სასიამოვნო. პირველი ღამის მერე იგრძნო, რომ მისგან მოშორება უფრო უჭირდა, პირველად არ ამდგარა საწოლიდან ამის მერე, პირველად შეძლო ოთახში ჰაერის ვინმესთან გაყოფა მძინარემ თანაც ისე, რომ ჰაერს არაფერი აკლდებოდა..სუფთა ჰაერი არ ილეოდა.

დილით მზის სხივი, რომ დაეცა ფრთხილად გააახილა თვალები. ელენე გაღიმებული უყურებდა და სახეზე ეფერებოდაა..

-ძალიან რომ მიყვარხარ ხომ გითხარი ნიკა?

-არა, ისეთი სახე მიიღო თითქოს რაღაც აუცილებელი დაავიწყდათ შუა მწვერვალზე ასვლისას. ელენეს თავისი კითხვა, რომ სულ სხვანაირად შემოუბრუნდა დაიბნა და ვერაფერი უპასუხა.

-როგორ ხომ გითხარი მე…

-საშინლად მიყვარხარო, ესე მითხარი. არ უნდოდა გაეშვა, არ უნდოდა ცხოვრებას დაბრუნებოდნენ, იქ დარჩებოდა მასთან ერთად მთელი ცხოვრება.

……

სახეზე აყოლილი შვილის სუნი ყველაზე მეტად აფიქრებდა. გრძნობდა, რომ დროში დაეხეტებოდა ყველაზე მძიმე ხეტიალით. გრძნობდა, რომ ენატრებოდა, ახლაც ენატრებოდა და უნდოდა მოხვეოდა..მაინც ვერ შეძლო. თვითონვე ვერ ხსნიდა საკუთარ სითავხედეს, ყოფილიყო ასეთი უაზრო, არაფრისმთქმელი და ყოვლისმომთხოვნი მამა. საერთოდ სიტყვა „მამა“ თუ ეკუთნოდა ეგეც აღარ იყო დაუმტკიცებელი ფაქტი, ეჭვი საყრდენებს ხვიარა ბალახივით ააცოცდა და რაც არ უნდა იყოს ეღიმებოდა….არც ცინიზმი და არც სიგიჟე იყო „დამნაშავე“ უბრალოდ საკუთარ თავს უღიმოდა….ზუსტად ისე წყალწაღებულს, რომ გაუღმებს ვინმე კეთილი მოხუცი…რომ იცის, რომ წყალი მორევში ჩაათრევს და ცდილობს დაამშვიდოს, ღმილით, რომელიც აგრძნობინებს ადამანს, რომ ადამიანია..რომ ადამიანი ადამიანისთის დღეა..და ზოგჯერ საკუთარი თავიც დღეა საკუთარი სულისთვის…..რომ აკოცა პირველი სუნი იგრძნო, მერე შეხება…..საკუთარ სუნს გრძნობდა ეგონა..საკუთარს ელენესაში არეულს და უფრო უჭირდა გამორკვევა…..მამამისმა ყველაფერი შვილებს მიუძღვნა, ყველა დრო და ყველა წამი….ნიკას შეცდომები ასწორა……არაადამიანურად დაიტანა ძალა..არაადამიანურად უჭირდა და მაინც გვერდით ედგა მენაბდეს მენაბდე….ამ ყველაფერის მერეც იყო მომენტები, როცა ნიკა ღრმად, გულში რაღაც ნაკლს იპოვიდა მამამისის….რაღაცას წამოეკიდებოდა მისი გონება…..უბრალოდ მამაც ადამიანი იყო….და ნიკაც..და პატარა დემეტრეც…..ამიტომ ჩუმი განსჯა ჩეულებრივი..აქ მნიშვნელლოვანი ნიკას ზედმეტი „ადამიანურობა“ კი არა მამამისის საქციელი იყო..და მისეული აღქმა…..თუ ასეთ მამასაც პოულობდა ნაკლს…მაშინ დემეტრეს როგორღა უნდა ეპოვა მამამისის დადებითი….მთელი გზა ფიქრობდა იმაზე როგორ ახსოვდა დემეტრეს მამა…სახე თითქოს დაუბერდა, დაუნაოჭდა და წაეშალა ტკივილისგან…რამდენჯერ მისულა მთვრალი, რამდენჯერ უღრიალია აკანკალებული დემეტრესთვის, რამდენჯერ

შეუმჩნევია მისი ცრემლები და ხმას უფრო უწევდა, უფრო ეჩხუბებოდა, უყვიროდა….არც ერთ დაბადებისდღე მიულოცია..არც ერთხელ ყოფილა ამ დღეს მასთან…..როგორ უყვირა მას და ელენეს სკოლის შესასვლელთან..როგორ აიწურა ორივე და რამდენჯერ დაუნახავს რომ დემეტრე თავისი თავის გამო კი არა დედის გამო ტიროდა….მერე კი არ გაჩერებულა..როგორ გაჩერდებოდა ზუსტად ის უნდოდა, უფრო მძაფრად..უფრო ღრმად..უფრო მეტი ცრემლი..ელენეს გაღიმებული სახე თავზარს სცემდა..არ შეიძლებოდა იმას გაეღიმა, ბედნიერი ყოფილიყო, უნდა დატანჯულიყო, უნდა გამწარებულიყო, ძველები უნდა ატკიებოდა ტკივილისგან..შეურაცხყოფისგან….ამისთვისღა ცხოვრობდა ნიკა….ელენეს გამწარებისთვის და გამოდიოდა…საუცხოოდ გამოდიოდა….მერე მიხვდა, რომ ამწარებდა, მაგრამ ვერ აძულებდა თავს, მერე იმასაც მიხვდა რომ ამწარებდა მაგრამ ვერც თვითონ იძლებდა…უფრო ღრმად აღარ წავიდა თორემ ის ღიმილი წყალწაღებულს, რომ მოხუცი უღმის უფრო და უფრო ფერმკრთალდებოდა…..

სახლში ნაძალადევად იღიმოდა…ლიკამ გაუღო კარი და მაშინვე ოთახში წავიდა..მიხვდა რომ ბრაზობდა….საძინებლის კარზე ოდნავ დააკაკუნა და ისე შევიდა..საწოლზე იწვა მოკუნტული..

-ლიკა რა მმოხდა? ხომ კარგად ხართ?

-კი, ძლივს გამოსძალა საკუთარ თავს ლიკამ ეს სიტყვა…

-რატომ ხარ ესე? ნიკა საწოლთან ჩამოუჯდა და თავზე ხელი მოუსვა….

-საერთოდ არაფერი ვარ შენთვის..უფრო სწორად აქამდე არაფერი ვიყავი..ახლა ტვირთი გავხდი…გავხდით..

-რატომ ამბობ მაგას?

-იცი ნიკა ისედაც…. ასეა….შენს ყოფნას ყოფნა არ ქვია, სულ ვცდილობ შენთვის გავაკეთო ყველაფერი…მაგრამ არ აქვს აზრი, ვერ ხედავ, ვერ ამჩნევ….ელენე გიყვარს და ბავშვებს იმიზეზებ…..

-ლიკა ახლა ამაზე არ გვინდა….ბავშვზე იფიქრე რა და ნუ ფიქრობ ასეთ რამეებზე..მე შენთან ვარ….ხომ ხედავ შენთან მოვდივარ ყოველ ღამე, შენ გვერდით მძინავს, შენ გხედავ გაღვიძებისას და ახლა შენ ხარ ორი…..ამიტომ უნდა იფიქრო ორზე….ორჯერ უფრო კარგად უნდა იყო….ის პატარა არ გაპატიებს და ჭირვეული იქნება…ნიკამ გაუღიმა და ცხვირზე აკოცა…

-შენ არ იცი რა ძნელია ესე ცხორება….არც არავინ იცის ვისაც არ ყვარებია ცალმხრივად…..ლიკა საბანში უფრო გაეხვია და თვალები დახუჭა….ახლა საკუთარი თავი ძულდა, რომ არ შეეძლო ეთამაშა…ეთამაშა როლი….ქმრის როლი….ოდნავადაც არ შეეძლო, ყველაზე უნიჭო მსახიობივით გაჩუმებული იჯდა..საერთოდ არაფერი შეეძლო. რაც უფრო მეტ ადამანს ექცეოდა ცუდად უფრო მძიმდებოდა. ზუსტად იმ პასუხისმგებლობის ეშნოდა რაც ახლა ჰქონდა….საკუთარი საქციელის გააზრებამ და ცვლილებამ უამრავი ვალდებულება გაუჩინა…მოეთხოვებოდა უფრო მეტი ვიდრე ადრე….არ უნდოდა ამ ყველაფერს ეჯობნა..არ უნდოდა ის შეგრძნება განმეორებოდა რომ ვერ ლახავ. ტელეფონზე უამრავი ზარი

იყო..გაუკვირდა..შეტყობინებების სიმრავლემ გააოცა…ასე მას მერე რაც თამაშს თავი დაანება არ ყოფილა….საკუთარი თავის საჭიროება ისე მძაფრად ფეხბურთის შემდეგ აღარ უგრძვნია….იმ ცხოვრებამ ეს სასიამონო გადატვირთულობაც თან გაიყოლა….. მათეს გადაურეკა პირველი….

-აუუუუუუუუუუუუუუუუუუუ, პელიტოოოოო, გილოცავვვვვვვვ. მათე ღრიალებდა რაღაც არაადამიანური სიხარულით. ისე იყო აღტკინებული ნიკას გულწრფელად მოერიდა ეკითხა რას ულოცავდა….მათეს ხმაში არსებული ატმოსფერო აგრძნობინებდა რომ არ შეიძებოდა არ ცოდნოდა.

-მადლობა მათე…..ასე „გაუთვითცნობიერებლად“ არც ერთი მადლობა მიუღია….

-არ უნდა გეთქვა პელიტო? აქ უკვე დაიძაბა ნიკა, ვერაფრით მიხვდა რას ულოცავდა თან ისეთს, რომ აქამდე უნდა ეთქვა.

-მათე რაზე მეუბნები? გამოტყდა ბოლოს….

-რა რას ტო..ტელევიზორს უყურებ? არ იუ ჯანმრთელად? შენგან არ მოველოდი თუ დამალავდი..მაგრად მიხარია რაა. მწვრთნელი ხარ ბუნებით…..მართალია შენი ბუნება არ მომწონს, მაგრამ სუფთა ჰაერიაა….მათე ხან რას ამბობდა ხან რას…

-რა გინდა ჩამოყალიბდი…..

-აუ როგორ დაგეტყო დაწინაურება, სად შეგვიძლია….მათე არ ეშვებოდა სიცილს….რომ გნახავ თავს მოგაძრობ..

-მათე მართლა მითხარი არაფერი ვიცი….

-რა? რა არ იცი? ნუ გამაგიჟებ..ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატად მოიაზრები

-რად? სახე აეწვა ნიკას.

-რა არ იცი მართლა თუ კაიფობ?

-არაფრად არ მოვიაზრები საიდან ამოჩიჩქნე….

-საინფორმაციოში იყო, ფედერაციის პრეზიდენტმა თქვა, რომ ერთ-ერთ კანდიდატად განიხილები და ხალხი რა დღეშია უნდა ნახო, მილოცავენ….

-აუ მათე..მე არაფერი ვიცი საერთოდ აზრზე არ ვარ რა ნაკრები…..არც მინდა და საერთდ ამ ხალხს რა უხარია, ან შენ რატომ გილოცავენ..

-რა რა უხარიათ, იქნებ რამე ეშველოს ნაკრებს..

-მათე ნუ იბრმავებ შენც და სხვებიც თვალებს, მე რა მინდა მწვრთნელად, როცა ბოლო 10 წელია ფეხბურთი თვალით არ მინახავს..საერთდ შეხება არ მქონია და ნორმალურად წესებიც არ მახსოვს….აი იმათ ვისაც ეს უხარია უთხარი რომ ხალხი ბრბოა….

-აუ, ნუ ამწვავებ ხოლმე რა..მართლა არაფერი იცი? აუ მე კიდე მეგონა..კარგი ხო….დაფიქრდი მაინც ნიკო რა…

-მათე მშვიდი ძილი…..

-შენც. მენაბდემ იგრძნო როგორ დაწყვიტა გული თავის ძმას ესე უჟმური ლაპარაკით, არადა სულ სხვა რამის გამო იყო ესე მძიმედ. მაშინვე გადაურეკა….

-მათე…..ყველაფერი კარგად იქნება….ისე იქნება როგორც საჭიროა…..

-მე მინდა შენ იყო კარგად.

-ვიცი.

-მაშინ მოიქეცი ისე როგორც ამ ცოდნას სჭირდება….

-მშვიდი ძილი..ისევ გაუმეორა ნიკამ და მალევე გათიშა.

დილით აბაზანიდან ახალი გამოსული იყო, რომ მიხვდა ტელეფონი გაუჩერებლად რეკავდა….შენელებული მოძრაობით ძლივს მივიდა, უცნაურად მძიმედ გაეღვიძა, ნატკენი ფეხიც ითრევდა და აუტანელი ჩუმი ტკივილით დასეირნობდა სხეულში.

-ხო თამაზ. ეგონა ისიც გუშინდელზე ურეკავდა.

-ნიკა, ძლივს გადაყლაპა ნერწყვი ბელთაურმა, ხმა ჩახლეჩილი ჰქონდა და ანერვიულებული.

-თაზო რა მოხდა?

-ნიკო დათო რომ მუშაობს იმ საავადმყოფოში მოდი რა…პირველი ელენე დაუდგა თვალწინ და ისე ცხადად ფიქრობდა მასზე არც გამქრალა…მთელი გზა თვალწინ ედგა. ხმა ჰქონდა ისეთ ვინმე რომ გარდაიცვლება ან სიკვდილის ზღვარზე როა….უფრო ძლიერი იყო ვიდრე ეგონა…..ადრე ფიქრობდა ელენეს სიკვდილის წარმოდგენაზე სუნთქვასაც კი ვერ შეძლებდა..ახლა სუნთქავს..მანქანაშიც კი ზის და იქ მიდის ზუსტად იქ სადაც ის ეგულება..განა რა არის ეს? ადამიანი? ადამიანი რომელსაც შეუძლია ყველაფერს შეეგუოს..საერთოდ ყველაფერს, მარტო დარჩეს დედამიწაზე და მაინც იცხოვროს….რა არის ეს, როცა ცოცხალია ისევ..ისევ აგრძელებს სუნთქვას და სულ გააგრძელებს ვიდრე სხვა არ გადაწყვეტს მის წაყვანას….იმედი..იმედი სუნთქავდა..იმედი იჯდა მანქანაში და იმედი აიმედებდა მხოლოდ. მერე მიხვდა რომ დათო ონკოლოგიურში არ მუშაობდა..მერე სულ აერია ყველაფერი, არც კი კითხა ბელთაურს რა მოხდა…შესასვლელთან, რომ თამაზი დახვდა მართლა შეირყა.

-ნიკა…

-ვინ არის ცუდად? ძლივს იკითხა და შენობისკენ წავიდა….უხმოდ აიარეს კიბეები. თვითნაც უკვირდა რატომ არ ეკითხებოდა უფრო მეტს. რატომ არ ცდილობდა რამე გაეგო. საავადმყოფოს მძაფრი სუნი, თეთრი კედლები შეშლილი სახეები ჯოჯოხეთად ეჩვენებოდა. თითქოს უკვე კადრები იდღაბნებოდა, ირეოდა და შეგრძნებები ყეფდნენ….ხმები ექოსავით ჩაესმოდა….წინათგრძნობა აგიჟებდა და მთლიანად ადუნებდა….

-სისხლი….რამდენჯერმე ახსენეს ეს სიყვა და მხოლოდ ამიტომ გაიგო…. მენაბდე….როგორ არის? რა ხდება?..ეს ხმები ესმოდა და ვერ ადგენდა ვერაფერს….მერე მიხვდა რომ უბრალოდ რეალობა იყო იმდენად მძიმე წინათგრძნობაც კი უკვე თავშესაფარს ეძებდა….

-რომელი ჯგუფის სისხლი გაქვთ….? თქვენ ჩააბარებთ? ექთანმა კითხვა რამდენჯერმე გაუმეორა….ბოლოს მკლავზე შეეხო და მხოლოდ მაშინ გამოერკვა ნიკა.

-რომელი ჯგუფი გაქვთ? რაიმე სახის მედიკამენტები ხომ არ მიგიღიათ გასული ბოლო თვის განმავლობაში?

-პირველი დადებითი….გაუაზრებლად უპასუხა….

-წამოგვყევით…ნასაუზმევი ხართ? ელენეს მოკრა თვალი, სკამზე იყო დასვენებული, ფერი არაფრის ჰქონდა….მასთან მისვლა დააპირა როცა ექთანმა ისევ გაუმეორა..

-სისხლს ხომ ჩააბარებთ? რამდენიმე კითხვა გვაქვს დეტალურად უნდა გადავამოწმოთ რაიმე ისეთ დაავადება ხომ არ გაქვთ გადატანილი რამაც შეიძება გამორიცხოს თქვენი სისხლის გამოყენება… ყველა დეტალი უნდა გავარკვიოთ დრო არ არის სისხლის გადამოწმების და არც სისხლის ბანკშია სათანადო ჯგუფის სისხლი….

-რა? ვისთვის? ძლივს ამოიხრიალა ნიკამ…

-დემეტრე მენაბდე! შუაზე გადატეხა ამ სახელმა და გვარმა….-თქვენ მისი ვინ ხართ? ძლივს მიაღწიეს ბგერებმა, ძლივს დაიჭირა სიტყვები..მუხლები ეკვეთებოდა და კედელს უფრო ეყრდნობოდა….

-შვილი…..კარგით მე და მამას ერთი ჯგუფი გვაქვს….ამ სიტვებზე ელენეს გამოხედვაზე ყველაფერი აეწვა…..

-უკაცრავად შვილი როგორ, დემეტრე მენაბდე, 13 წლის….რაღაცები ერეოდა, რაღაცები მოძრაობდა, ირყეოდა, ინჯღრეოდა, ღრიელებდა და ინგრეოდა…….თავიდანვე გრძნობდა, მაგრამ გულწრფელად ერჩია შვილი ყოფილიყო..ამანაც კი შეზარა, მაგრამ რეალობა იყო….ერჩია…

-რამე დაავადება….

-მხოლოდ ბოტკინი…..ექთნის წაშლილ სახეზე უფრო სწრაფად იწყო დედამიწამ ტრიალი…..თუ კი რამით შეეძლო დახმარება შვილისთვის სისხლი იყო, თუ კი რამ საერთო შერჩენოდათ ესეც სისხლი იყო და ახლა ეს სისხლი ისეთივე გამოუსადეგარი გახდა, როგორც იმ მამის არსებობა 10 წელი რომ მოპარა ყველას და ყველაფერს. სულ დაცლილი კაპილარებით გავიდოდა….ბოლო წვეთსაც კი დატოვებდა..დაუფიქრებლად, მოუფიქრებლად და გაუაზრებლად….იმის გარეშე სისხლი დაულპებოდა და აუყროლდებოდა…..ელენეს სახეზე მიხვდა რომ არ გაკვირვებია მის სისხლს, რომ ვერ გამოიყენებდნენ…..ახლაღა დააკვირდა რომ თითქმის ყველა იქ იყო, ცოტნეც კი..დიდი ხანი არ ენახა და არც განსაკუთრებულად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს..ცოტნე სულ თავს არიდებდა….საერთოდ აღარ ცდილობდა რაიმე ურთიერთობა ჰქონოდა კაცთან, რომელიც მის დას სიცოცხლეს უმწარებდა…..მაია საავადმყოფოს სკამზე იჯდა და ხმამაღლა ტირილისგან თავს ძლივს იკავებდა…..მათე და თამაზი კედლებთან იყვნენ აკრულები გადათეთრებული სახეებით….

-მანქანა დაეჯახა, დილით სკოლასთან გადადიოდა…..ელენემ თავი ვალდებულად ჩათვალა აეხსნა რა მოხდა….ნიკა კი რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს კითხვას არ აპირებდა…არ უნდოდა სიმართლე, არ ჭირდებოდა..მხოლოდ ცოცხალი შვილი უნდოდა სიმართლის გარეშე…..

-სისხლის ჩაბარებას უამრავი რამ ჭირდება, ყველანი გამოვირიცხეთ…დონორი სწრაფად ჭირდებათ..მათემ გააგრძელა ელენეს ამის ძალა აღარ ჰქონდა…..ყველგან დავრეკე….რამდენიმე შესაბამისი დონირი არის და მალე მოვლენ….არაა სისხლი პრობლემა….ნიკა გთხოვ რა არ ინერვიულო ყველაფერი კარგად იქნება…..

კედელს მხოლოდ იმიტომ მიეყრდნო რომ არ წაქცეულიყო……არაფერი აინტერესებდა დედამიწის ზურგზე..არაფერი არსებობდა ამ სამყაროში…..მხოლოდ ნიკაზე იგრძნო ელენემ რომ იყოფდა ტკივილს..მხოლოდ მასზე იგრძნო, რომ საერთოს გრძნობდნენ, ტკივილს იყოფდნენ, მაგრამ მაინც გაუსაძლისი იყო…..მერე ჩალისფერი თმა დაინახა….პატარა მხარი…კოპლებიანი კაბა…იატაკს რომ ეხებოდა…კედელს იყო მოფარებული და მხოლოდ მცირე ნაწილი ჩანდა….მისკენ წავიდა სწრაფი ნაბიჯით…..მოკუნტული იჯდა ანასტასია საავადმყოფოს იატაკზე და თვალები ცრემლებით ჰქონდა გავსებული…..არავის არ ეცალა მისთვის….ელენემაც კი ვერ მოახერხა რამე დამამშვიდებელი ეთქვა, ნანახით ისე იყო გაოგნებული, გაუბედურებული….წასვლითაც არავის გაყვა…..ნიკამ ხელში აიყვანა და მთელი ძალით ჩაიხუტა..ანასტასიას სუნთქვა შეეკრა ისე ძლიერად იხუტებდა..მაგრამ ხმას არ იღებდა…მერე ცოტა მოეშვა ხელები, ბოლოს კი ჭკასაც ვერ დაიწერდა ისე იყო დაუძლურებული…..ელენეს გვერდით იჯდა და ანასტასია ყავდა ჩახუტებული…არც ერთი სიტყვა არ უთქვამს, თითქოს სიტყვებით გააუფასურებდა ტკივილს…..და ამით უფრო აუტანელს გახდიდა რეალობას…უნდოდა ბოლომდე გაეძლო…ეგონა ასე ტანჯვით ეხმარებოდა..ოდნავი შემსუბუქებაც კი დანაშაულად მიაჩნდა..ექიმის ბედნიერი სახის დანახვაზე თითქოს დერეფანიც კი განათდა, კარგ პასუხზე ანასტასია მთელ დერეფანში დახტუნაობდა…..მხოლოდ ელენე იჯდა ისევ ისეთვე სახით…..ნიკა მის წინ ჩაიმუხლა….

-ელე….კარგადაა…..ნიკას ელენეს სახე ხელებში ჰქონდა მოქცეული და ვერ ხვდებოდა რატომ არ ეცვლებოდა გამომეტყველება….

-ელენე რა მოხდა? გთხოვ, ყველაფერი კარგადაა…შენ არ ინერვიულო, გეხვეწები შენ მართლა არ ინერვიულო…იცოდა უფრო გაუჭირდებოდა მისი ცუდად ყოფნა ვიდრე ეგონა….ელენე ფეხზე ადგა და გავიდა….საავადმყოფოს ეზოს სკამზე იყო მარტოსულად ჩამომჯდარი, ისეთი სახე ჰქონდა აწმყოს რომ არ ეკუთნის..წარსულში ჩარჩენილი…..იცოდა რომ ზუსტად ისეთი ერთხელ უკვე ნანახი ყავდა…..სადღაც ღრმად წარსულში არსებობდა ესეთი ელენე..ესეთი მზერით….უცრემლო….ცრემლისგან გამომშრალი…..

-ნიკა….ამოიხრიალა დანაწევრებულად….

-ელენე რა მოხდა? რატომ ხარ ასე? თვალები ცრემლებით აევსო და აღარ გავდა იმ შუშის თვალებს ესე სასტიკად რომ იყვნენ ჩამდგარი მზერაში…

-ფეხი…….ეგონა თავში არსებული ნაწილები ერთიანად ახმაურდნენ და გამოსვლას ლამობდნენ..ეგონა მოძრაობა დაიწყო ყველა ორგანომ სხეულში..

-ფეხი აქვს მოტეხილი და დაზიანებული…..სკამზე არ დამჯდარა…დაეცემოდა, რომ არა სკამი…..აეწვა ყველაფერი…წარსული შეგრძნებები გადმოლაგდა და ყველა და ყველაფერი ააყეფა…..მარწუხები კისერზე შემოეხვა, უფრო და უფრო უჭერდა, განცდილი შეგრძნებები განუახლდა და წარმოდგენა, რომ იმას უნდა განეცადა არღვევდა ყველა საყრდენს, ყველა მუხრუჭს ანგრევდა…კარებებს ტეხდა, ლეწავდა და ცხოვრებაში პირველად, პირველად ისურვა ქალი ყოფილიყო..ქალად დაბადებულიყო, რომ ტირილი შეძლებოდა, ხმამაღლა ტირილი, მიწაზე დამხობა და გლოვა…ემოციურად გლოვა…გამოტანა არსებულის გარეთ, რომ არ დაიწვა, არ დაიფუფქო და არ შეგჭამოს ამ ტკივილმა….ამას რომ არ აკეთებდა არ ნიშნავდა რომ სუსტი არ იყო, საკმარისად ძიერი არ აღოჩნდა ესე ეტირა თავისი მდგომარეობა, მაგრამ უდნოდა გაუსაძლისად უნდოდა. ყველაფერი მოიშორო, სულს ხუთავს, გახრჩობს, ვერ სუნთქავ, ჰაერს ვერ პოულობ, გაქრა….არ ახწევს ფილტვებამდე…ჰაერი არ არის…ვერ პოულობ…..ცდილობ პირით ისუნთქო, მაგრამ მაინც არ გყოფნის……გრნობ როგორ გიჩქარდება გული, როგორ ეძებს ჟანგბადს, მაგრამ არ არის…ჰაერი არ არის…..კედელი გხვდება..ვერაფერს სუნთქავ..არაფერს იღებს სხეულიი. ..არაფერს ინდობს…..ჰაერი არ არის…..

-ნიკა……ნიკა……..ელენეს ყვირილი ბუნდოვნად ჩაესმოდა….

-არ ინერვიულო…..როცა მოახერხა მხოლოდ ეს თქვა….

-კარგად ხარ? ფერი არ გადევს, სუნთქვა გიჭირს, სულ გაოფლიანდი ნიკა…როცა შუბლზე ხელი მოისვა და დაუსველდა მაშინ მიხვდა, რომ ელენე არ აჭარბებდა….

-მომისმინე ელენე, არ ინერვიულო..ყველაფერს გადალახავს…..

-რას გადალახავს? იმას როგორც შენ გადალახე? ესე არ მინდა…ესე ყოფნა დემეტრესთვის..

-დემეტრე ჩემზე ძლიერია!

-მე შენზე ძლიერი არავინ მეგონა სანამ ეს არ დაგემართა…გაგიჟდება…მოკვდება რომ ვერ ითამაშოს….არ ვიცი, წარმოდგენაც არ მინდაა. ელენე ტიროდა უკვე…..

-მას ბევრი ადამიანი ყავს გვერდით….

-შენც გყავდა, დაუყვირა ელენემ….შენც გყავდა……მე გყავდი…..ყველაფერზე მეტად მიყვარდი…..ყველაფერი რომ გავაკეთე…..საკუთარ თავს რომ გადავუარე შენ გამო……გყავდი, მაგრამ არაფერი…..საერთოდ არაფერი…….ელენემ მთელი ძალით, მაგრამ უღონოდ დაარტყა ხელები…

-ყველაფერი….ძლივსგასაგონად ჩაილაპარაკა და გატრიალდა…..არც უფიქრია დაბრუნება…..არც იმ დღეს, არც მეორეს…არც მესამეს……..არც….

თავი 23

როცა სამყარო სიმღერას იწყებს..თავისი მელოდიურობით ცხოვრება არარეალურს ემსგავსება..ყოფიერება ქრება..რჩება ის ერთი..რომელზეც ისე ხარ დამოკიდებული, როგორც ჰაერზე და ეს კარგი კი არა, საშიშია..რამდენი დაღუპულა უჰაერობისგან! როცა, პრაგმატიზმით ცხოვრება დააამახინჯე და მაინც არ ნანობ, არაფერს..რადგან ბედნიერი ხარ, ზუსტად ისე, როგორც გინდოდა….

16 წლის ასაკშიც კი არ „აცანცარებულა“…..არაფერზე გადარეულა, არაფრის გავლენის ქვეშ არ მოქცეულა….არ გაყოლია იმიტო, რომ წარმატებული იყო, არც ამის გამო შეყვარებია, არც მოუტყუებია თავი და არც ნიკა..ბოლოსაც ყველაფერი სწორად გააკეთა, უფრო სწორად ბოლოს გააკეთა მხოლოდ ყველაფერი სწორად….იქამდე საშინელებებს ჩადიოდა გაუაზრებლად, მაგრამ მაიინც გულწრფელად.

-იცოდე ჩემს მომზადებულ საჭმელს რომ რამე დაუწუნო მოგკლავ….

-არაა პრობლემა..ნახევრად ეძინა..ზოგჯერ ეგონა, რომ ნიკასთვის ყველაზე მნიშვნელოვანი წინადადება იყო ”არაა პრობლემა“ ყოველთვის ცდილობდა პრობლემების არ არსებობა ყოფილიყო შედეგი.

-ნიკა რა არაა პრობლემა რამე რომ დაუწუნო, თუ რომ მოგკლავ?სიცილით ჰკითხა ელენემ

-არ დავიწუნებ….გემრიელი იქნება..იმედი ჩემი თანამზრახველია ცხოვრებაში….ოდნავ გამოფხიზლებული, მაგრამ მაინც მძინარე იყო…

-მე სხვა რამეს გეუბნები, რომ დაიწყო ხომ გარეხცილი ჭურჭელი იყო და რაღაც შენებურები….

-არ დავიწყებ….ჩაფიქრდა მენაბდე.

-არ მელაპარაკებბი გარკვევით..

-ელენე რატომ გინდა რომ შეგეწინააღდეგო? ხომ ხედავ როგორი წყნარი ვარ..უპრეტენზიო….ელენემ თავზე ხელი მოუსვა და გაუღიმა.

-მინდა მენდობოდე, როცა ჭიქას მოგაწვდი, როცა სადილს გავაკეთებ, როცა ჩვენს სამზარეულოში იქნება ნივთები მინდა ამათ ენდობოდე..გარეცხილს არ ავლებდე..ნიკამ მძიმედ გადაყლაპა ნერწყვი და გაიღიმა…

-კარგი ელენე….ვენდობი….არ შეგიქმნის პრობლემებს ჩემი საშინელი ჩვევები….როგორმე ვეცდები რომ გადავლახო..მეც ძალიან მინდა ესე არ ვიყო ყველაფერზე…..მრცხვენია ამის მართლა საშინლად…სხვაც თუ მატყობს ეს უკვე უზრდელოობაა, მაგრამ ამ ეტაპზე სხვანაირად ვერ ვარ….თუმცა ჩვენს სახლში ყველაფერს ნდობას ვუცხადებ….თვალი ჩაუკრა და მხარზე აკოცა.

-შენგან ბევრს ვსწავლობ..

-ჯერ სად ხარ..სიცილი ვეღარ შეიკავა და ბალიში თავზე დაიფარა…

-თავმდაბლობის ზენიტში ხარ პირდაპირ რა…..

-რა ვქნა მეცინება, როცა საკუთარ თავს ესეთ კონტექსტში ვაქებ….

-მე კი სერიოზულად გეუბნები, რომ ბევრ რამეს ვსწავლობ. პირველ რიგში სიმშვიდეს, ყველა გამოუვალ სიტოაციაში მშვიდი ხარ….ყველა წინააღდეგობას გარდაქმნი ცხოვრებისეულ დაბრკოლებად, ჩეულებრივ მოვლენად და არ ებრძვი უბრალოდ ლახავ.. საკუთარ თავს ძალიან ენდობი, გჯერა იმის რასაც აკეთებ….ესე ცარიელი სიტყვების დონეზე კი არა მართლა….შეგიძლია ფასადები ღებო დაუღალავად თუ გჯერა, რომ სწორად აკეთებ რაღაცას და საჭიროა…თუ ამისი არ გჯერა საერთოდ არ აკეთებ..ზოგჯერ მეშინია…..ნიკა მშვიდად უსმენდა…

-რა გაშინებს?

-მეშინია რომ ფეხბურთი აზრად გაქვს ნაქცევი..

-სისულელეა..გაიცინა ნიკამ..

-არა მართლა..ესე ჩანს ნიკა….მგონია რომ სხვა რამეს არასოდეს გააკეთებ…..

-რატომ უნდა გავაკეთო სხვა რამ?

-იმიტო, რომ ფეხბურთი დროებითია..

-ეს ვინ გითხრა? დროებითი ბბევრი რამ არის, მაგრამ მათ შორის ნამდვილად არ არის ფეხბურთი….მხოლოდ მოთამაშედ ყოფნა არ არის მთავარი, მწვრთნელთა ფაკულტეტს შენ რომ დაცინიხარ ტყუილად არ ვამთავრებ….

-ეგ მართლა არსებობს? ელენე სიცილით წამოხტა და გაიქცა…..

-დაიწყოოო…ვახ……ფორას გაძლევ….10 მდე ვითვლი..ელენე სასაცილოდ ჩარბოდა კიბეებზე და დასამალ ადგილს ეძებდა გაფაციცებით…..

-ცხრა, ცხრანახევარი…ცხრა და შვიდი…ათი…..ცუდადაა შენი საქმე…..სამზარეულოს კარებს კეტავდა, როცა მიუსწრო და ფეხი დააყოლა..ელენე მთელი ძალით აწვებოდა, რომ მიეკეტა, ეცინებოდა თავიდან……მერე სიცილი შეწყდა და ძალაც დაკარგა…..კარს იქით აცრემლებულ თვალებს მოკრა თვალი, თავიდან ეგონა ეჩვენებოდა…..

-შემომიშვი. კარგი აქ ვიქნები..ფეხშველი ვარ..ჯანდაბა მთელი მტვერი ჩემს ტერფებს უთავმოყვარეოდ აკრავს….არაუშავს..ხომ ხედავ ვითმენ….ერთ, ორი, სამი….მე მართლა სრულყოფილი ვარ….ცდილობდა გაემხიარულებინა, მაგრამ არ იცოდა რატომ იყო ისე….

- ჩაიცვი….

-ჯერ უნდა დავიბანო, ესე ვერ შევატანტალებ ჩემს ტერფებს…..მაქსიმალურად ცდილობდა სასაცილო ტერმინები გამოეყენებინა.

-ოოოო, წამომყევი…..ფრთხილად შეაღო სამზარეულოს კარი, რომ მიხვდა ელენე კარებს მოშორდა….ონკანთან იდგა და წყალს ჭიქაში ისხავდა.. ნიკა მიუახლოვდა, გვერდით ამოუდგა და შესცინა…

-არ მითხრა რომ ბედნიერებისგან ტირი…..არ დაგიჯერებ…ელენე მოულოდნელად მოეხვია…ისე თითქოს ვინმე წართმევას უპირებდა, ეცილებოდა…..

-ის უფრო გიყვარს….ნიკამ თვალები სასაცილოდ დაატრიალა..მართლა ფიქრობდა ვინ შეიძლება ეგულისხმა…

-ვინ თამრიკო?

-თამრიკო ვინაა? წყობიდან გამოსულმა იკითხა…..

-არავინ ისე ვთქვი….მე სულ ესე ვარ..რაღაც სიტოაციებს თავისი სახელები აქვთ…..ნუ გაატარე მერე მიხვდები……ვიზე მეუბნები მართლა და პატრა ბავშვივით ტირი ელე…

-ვიზე არა რაზე..

-ფეხბურთზე? კარგი რა ელენე….ძალიან გთხოვ ამაზე არ იფიქრო..

-ხომ ხედავ იმას კი არ მეუბნები რომ არა..მეუბნები, რომ არ ვიფიქრო..

-აბა გითხრა, რომ მიეცი შენს ეჭვებს გზა ფართო? ელენე თვალმოუშორებლად უყურებდა..ნიკას რეაქცია არ ჰქონდა..მერე უცნაურად ჩაიღიმა და გავიდა….. საბანში გაეხვია და თვალები დახუჭა, ცრემლები თავისით გადმოდიოდნენ….

-ელე…ელენე…შემომხედე, ელენე…..არ ჰქონდა აზრი, ელენე გაუნძრევლად იწვა და არც თვალების გახელას აპირებდა..

-რატომ უნდა გითხრა ის რაც ისედაც უნდა იცოდე? რატომ უნდა შევადარო ჩემი ცოლი ფეხბურთს….როგორ გაკადრო? რატომ უნდა გიხსნა ისეთ რამ რასაც არც კი ვთვლი რამედ. ელენე გთხოვ რა….ფეხბურთზე ნუ ეჭვიანობ..საერთოდ ნუ რაფერზე ეჭვიანობ..არ გაქვს საეჭვიანო, არაფერი…საერთოდ არაფერი დედამიწის ზურგზე…….საბანში ეხვეოდა და სულ უფრო სიამოვნებდა მისგან ეს სიტყვები, ყველაფერს გააკეთებდა, რომ სულ ესე ელაპარაკა ნიკას, სულ ეგრძნო, რო მისთის ყველაფერის, სულ პირველი ყოფილიყო მისთვის, სულ ყველაფერი……ნიკაც გრძნობდა და არ ჩუმდებოდა..არ ტოვებდა…

……

-ხმადაბლა სირცხვილია, ნუ ღრიალებ მათე..კარგი ახლა ხმადაბლა…..ნიკა ხელებით ანიშნებდა მაგრამ მათეს არაფერი ესმოდა, ტელეფონი მერე გათიშა, რომ ვერაფერი გააგებინა.. რუსთავი მთლიანად მოიცვა….იდგა შემოღობილის გარეთ და ნიკას ისე უქნევდა ხელს თითქოს ომში მიდიოდა და შემახილებიც მსგავსი იყო…..მერე ცოტნე მათე და თამაზი სიცილისგან იგუდებოდნენ..ელენე კი წაშლილი სახით იდგა, ნერვიულობისგან ხელებს ერთმანეთში ხლართავდა და ფერი არ ედო…..

-მენაბდე…….აჩვენე ყველას, რომ შუმახერი ხარ…..მე ვასწავლე ტარება….მათე ამაყად იზნიქებოდა და მერე სამივე მართლა ვეღარ სუნთქავდა…ნიკა ვერ ხვდებოდა ამათ რა აცინებდა და ელენეს რა ანერვიულებდა…..გვერძე წითური, პუტკუნა კაცი მოუჯდა, ისე იბღვირებოდა გამარჯობა ძლივს გამოსძალა. ღვედი გაისწორა, მუხრუჭი ჩაწია და სწრაფად დაძრა მანქანა…. მათე ურეკავდა გამწარებული და ანიშნებდა აუცილებლად ეპასუხა…..

-ორი წამი, ძალიან სასწრაფო ზარია უნდა ვუპასუხო..დამკვირვებელი კიდევ უფრო დაიბღვირა, მაგრამ არაფერი უთქვამს….

-რა გინდა ..მაცადო იქნებ…

-რა ნომერია იცი მანქანა?

-რა? არ შემიხედავს შენ გიყურებდი სულ…. ადეკვატური მხოლოდ მე ვარ მგონი….

-13….

-ვა�ა….ეეეე…..სერიოზულად?

-თარსია და ფრთხილად მაგის თქმა მინდოდა….ისევ ბიჭების ფხუკუნი ატყდა…

-აუ დაიძინე რა….უყურე რას ნიშნავს კლასი, შენ რომ გაქვს ას დოლარად ნაყიდი „პრავა“ ესე კი არ ვარ……

-აუ შენც ეგეთი გქონდა რა სანამ ჩამოგართმევდნენ და ნუ ბლატაობ…..

-ხო და აღარ მექნება…..

-ვის აქვს 100 დოლარად ნაყიდი? შეეკითხა დამკვირვებელი და ნიკა მიხვდა, რომ სასწრაფო ზარის ფარგლებს გასცდა და თავისი ძმაც „ჩაუშვა“

-აუ არაფერი, გაატარე. ბოდიში დავიწყოთ რა…. პუტკუნას ჩაეცინა და აღარაფერი უთქვამს ფარეხში თავისუფლად შეაყენა… სარკეში 4 ივე კარგად ჩანდა ელენე ისევ ისე ნერვიულობდა და პუტპუტებდა, ეტყობოდა ლოცვას ამბობდა გულში..მართლა არ ესმოდა რაზე ნერვიულობდა…..

-ჩემი სკოლაა..ჩაიცინა მათემ და იმ ადგილს მოშორდა, რადგან ნიკას მანქანა აღარ ჩანდა რვიანისკენ იყო წასული……საგამოცდო მანქანაზე რომ ნიკა აღარ იჯდა ამან ყველას თავზარი დასცა. მათეც კი დასერიოზულდა და ვერ მიხვდა რა მოხდა……ნიკა სწრაფად გამოვიდა და მათკენ წამოვიდა…..

-მოიცადე ახლა….ეეე..შენ რა ჩაიჭერი ტო? სერიოზულად? აუ ტიპი ჩაიჭრა….

-ნუ ხართ ესე დაზაფრულები რა გჭირთ, გაეცინა მენაბდეს…მერე რა….

-მოიცადე ჩაიჭერი? ცოტნეს სიცილის შეკავებისგან სახე აღარ უვარგოდა…..

-ხო….სდექ ხაზთან არ გავაჩერე და ჩამომსვა..დეგენერატია რაა…

-არ გააჩერე თუ არ იცოდი სდექ ხაზი რომ იყო….არ შეიმჩნია ბიჭმა, ეგღა აკლდა..ბელთაური ომახიანად იღრიჯებოდა……

-არ ინერვიულო რა…..ესე როგორ შეიძლება..განა რა დარღვევა იყო..ელენე სიტყვებს ეძებდა რომ დაემშვიდებინა…..

-არ ვნერვიულობ ელენე..ნიკამ ხელი მოხვია და მიიხუტა….კარგი რა შენ რა განერვიულებს მართლა ვერ ვხვდები…..

-ხომ გჭირდებოდა…..

-ავიღებ მერე..კარგი ელენე ნუ გამაგიჟე ეგეთი სახე ნუ გაქვს, მერე რა….მე არ ვნერვიულობ და თქვენ რატომ ხართ ესე…..

-კარგი წავედით ძმაო..მე ვიღებ ჩემთავზე..

-რას იღებ მათე ოღნდაც აქ არაფერი დაიწყო….

-მე ვეტყვი რა, როგორმე მშობლებს შევაპარებ……წავიდეთ ახლა ძმაო…გოგოსავით ხარ, თეორია და ფსიხო ჩააბარე პრაქტიკაში როგორც წესი ჩაიჭერი…

-ამან რამე ხომ არ მოწია რა ჭირს? სად უნდა წამოვიდე ფასიანზე გავალ რა ცოტა ხანი მოიცადეთ…

-აუ რა ფასიანზე, რიგებია ამ სიცხეში..წამოდი რა მომდევნო კვირაში მოვიდეთ რა კიდე გავერთობით…..ნიკა რისი ნიკა იყო შეწინააღმდეგებოდა..რა თქმა უნდა არაფრი უპასუხა და ელენესთან ერთად სალაროსკენ წავიდა…..ჯუჯღუნით მაგრამ მაინც ელოდებოდნენ ნიკოლოზს.

მართვის მოწმობის აღება ისე აღნიშნეს ნიკას შერცხვა ყველა იმას უყურებდა და ისეთ შთაბეჭდლება რჩებოდა 10 ცდაზე როომ აიღებს ადამიანი….გამოსვლისას ნიკას თალები გაუფართოვდა…..

-სადი იშოვე გაფიცებ? მათე დანგრეულ, დაფუტკნულ „ჟიგულთან“ იდგა და ჯეიმს ბონდი მზერის მიღებას ცდილობდა……

-არაადეკვატური ხარ საჩუქრების მიმართ…..

-არა ესე ვერ შეგაწუხებ მათე, ვერ ავიღებ…..

-როგორ არა ეს მანქანა შენია…ამით მოდიხარ…

-ზღაპრები ინ ექშენ…..დამაჯარიმებენ ჰაერის დაბინძურებისთვის დამანებე თავი….

-არა ეს მანქანა შენია…არაადეკვატური ხარ-მეთქი გეუბნები, მთავარი აქ სხვა რამაა… ელენემ მანქანის ნომერს მოკრა თვალი და ნიკას ანიშნა NIK-013

-ვაუუუ…..აეეე..მათე…ოოოოო…….რა მაგარი ხარ…….ეს ნომერი სხვას ჰქონდა აღებული და მენაბდეს ძალიან უნდოდა, ეტყობოდა, რომ მათემ მთელი მოლაპარაკებები აწარმოა ნომრის დაბრუნებისთვის….

-ძმა ხარ…..

-ხოდა ძმა რომ ვარ მაგით მოდიხარ თბილისში…..ნიკოო…

-დიდი მადლობა, კარგი.. ნიკამ კარი გამოაღო და კარის სახელური შერჩა ხელში…..

-არაუშავს მთავარია საჭე არ მოძვრეს…..მენაბდემ გაიცინა, ბიჭებიც აფხუკუნდნენ…..მალე ყველა იმ საშინელ მანქანაში იჯდა და ბოლო ხმაზე ღრიალ-სიმღერით მიდიოდნენ თბილისისკენ…

უკვე გვერდიდან აღარ შორდებოდა, ერთად იყვნენ ყველგან სადაც კი შეიძლებოდა, ლაპარაკობდნენ უამრავ რამეზე, თითქოს ახლა იცნობდნენ ერთმანეთს, თითქოს ახლა ჰქონდათ ის გამოტოვილი და გადმოტანილი დღეები..ფილმის ყურებაზე იყო გაუგებრობა მხოლოდ..ელენეს უფრო მელოდრამა უნდოდა…..სევდიანი დასასრულით, უფრო სერიოზული ფილმები..ნიკას კომედიები..ვერ ხვდებოდა რატომ უნდა ეყურებინა ცოლთან ერთად ისეთი ფილმისთვის რაც ცხოვრების ხალის დაუკარგავდა…..კომედიები კი საოცრება იყო..ისე ერთობოდა..ისეთ ხმაზე იცინოდა ელენეს აღარაფერი ესმოდა…..არც ამაზე აპირებდა გაჭირვეულებას, უყურებდნენ მძიმე ფილმებს, იმ განსხვავებით რომ ნიკა არ უსმენდა..არც უყურებდა..მხოლოდ ელენეს ეგონა რომ აყურებინებდა…ინტერნეტში მოკლე შინაარსის სწრაფად ნახვა და ეგ იყო ძირითად კითხვებზე პასუხი ჰქონდა რომ გადაემოწმებინა.

იმ ზაფხულს ელენე ბედნიერებისგან დაფრინავდა დედასაც ისეთი ბედნიერი ელეპარაკებოდა…. სულ გაბრწყინებული ჰქონდა თვალები….ეგონა სხვა ცხოვრებით დაიწყო ცხოვრება..ეგონა ყველაფერი გამოცვალეს….აქტიურ ცხოვრებას დაბრუნებამ უფრო დაძაბა…საკუთარ თავს ვეღარ ცნობდა….

-ნიკა გთხოვ ესე ნუ დადიხარ რა….თმა სველი გაქვს და ნუ გადიხარ….მანქანაში ფანჯარას ჩამოწევ შენი ამბავი, რომ ვიცი….

-გამიშრა უკვე ელენე..ნუ ნერვიულობ მე ესე ვარ სულ და არაფერი მომსვლია….

-არ გაგიშრა, სველი გაქვს….ელენე ვერაფრით ეშვებოდა ნერვიულობას, სულ მენინგიტი ელანდებოდა მის კლასელს დაემართა ერთხელ ესე დაბანილი გამოვიდა და სულ ცუდად ჩარჩა გონებაში..ახლა ნიკას უყურებდა სულ სველი დადიოდა ყველგან…

-სველი გაქვს გაიშრე…

-აღარ მექნება..

-რა? დაიჯღანა ელენე

-თმა… დღესვე გადავიღებ და შენც აღარ ინერვიულებ…..ელენეს გაეცინა….

-როგორ იგონებ ასეთ რამეებს…

-მაღიარებ ხომ? თავზე აკოცა ნიკამ…..

-არ მიგონებ არაფერს..მაინც შენებურად იქცევი…..მერე გაუღიმა და აკოცა….წარმატებები..უფალი გფარავდეს…..7 ისთვის მოხვალო ხომ….

-კი, ჩაილაბარაკა ნიკამ ჩაფიქრებული იყო… ელენემ კარი გადაკეტა და ოთახისკენ წავიდა ფრატუნით უხალისოდ…..რამდენიმე წამში წერილი მიიღო.

„კართან ვარ ატუზული, გამიღე, თმა უნდა გავიშრო“ ისე გაუხარდა, ისე გაგიჟდა სიხარულით, ისე ესიამოვნა…ისე..ისე..რომ იმ წამს თუ ელენეს ადგილზე არ იყავი ვერ გაიაზრებ…..უბრალოდ გრძნობდა რომ ეს იყო პასუხი მისი ნათქვამის „არ მიგონებ არაფერს“ სერიოზული სახით გაუღო, მაგრამ თვალებიდან ფეიერვერკი ცვიოდა…..

-ელენე შენი ფენი, თუ რაც ქვია მათხოვე….დახამხამა რამდენჯერმე თვალები სასაცილოდ

-გაჩუქებ..

-რას მეუბნები? ანუ გინდა რომ ჩემს კუთვნილ სათავსოში დადო და გამოიყენო როცა გინდა…. ადგილს მაწერ ფაქტობრივად…..თან სტატუსი მაგარი მექნება ფენის მეპატრონე…ელენეს ხმამაღლა გაეცინა..

-ღიპი გაკლია და ნამდვილი ქართველი კაცი ხარ, არა და თავი მოგაქვს უფრო თანამედროვე, ევროპელ, მოაზროვნე, რბილ, ცივილიზებულ ფეხბურთელად….

-მე ფაქტი აღვნიშნე, შენ არასწორად განმარტე…..მიხარია თუ ნამდვილ ქართველად მთვლი თან „უღიპობა“ სულ მთლად მივსებს ამ სიხარულს….

-რამხელა ხმა აქვს…ხარხარებდა ნიკა…ამის მერე არ მიკვირს ქალებს ნერვები რატომ აქვთ მოშლილი….აღარ მინდა გამიშრა…..დაბალზე მაქვს თმა, მაგრამ სულ უნდა გადავიღო მეორედ ამ ხმაურს ჩემი სიმშვიდე ვერ გაუძლებს…..

-ელენემ კიდევ რამდენიმე წამი არ გამორთო, სანამ არ დარწმუნდა რომ ბოლომდე გაუშრა, მერე თავზე აკოცა…..და კისერზე ხელები შემოხვია….

-შენ ხარ ყველაზე კარგი….

-სრულყოფილი.. ჩუსწორა სიცილით..

-საუკეთესო..

-სრულყოფილი!!!!

-გადასარევი..ელენე ცოცხალი თავით არ ამბობდა იმ სიტყვას…..ხმაურიანი იყო მათ ბედნიერება..სრულყოფილი..დაძაბულობა კი იმ აქტიურობამ გამოიწვია რაც ნიკას გარშემო

ხდებოდა..მუდმივი ზარები…სულ ხალხი მის გარშემო.. სულ ტელეფონი….ელენე უკვე თავს ვერ იკავებდა..

-ვინ იყო?

-ჩემი გუნდელი ელენე…გაუღმა ნიკამ და ცხვირზე ხელი ჩამოკრა….

-რა უნდოდა? ნიკამ გაკვირვება და არასასიამოვნო შეგრძნება გადამალა და მშვიდად უპასუხა….

-მითხრა, რომ ზეგ ორ საათზე გვაქვს სამედიცინო შემოწმება….

ელენემ არაფერი უპასუხა, მაგრამ აბაზანიდან გამოსულმა ნიკამ დაინახა, როგორ ათვალიერებდა მის ტელეფონს..

-ელე რას აკეთებ?

-ტელეფონს ვამოწმებ….ამ სიტყვაზე ეგონა სისხლი გაჟონავდა.

-რას აკეთებ?

-შენს ტელეფონს ვამოწმებ.

-რატომ ელენე?

-მაინტერესებს რას გწერენ..

-მერე მკითხე, რა აგენტივით მამოწმებ….

-რატომ გაქვს ამდენი ქალისგან ესეთი შინაარსის წერილები?

-ამდენი ქალის ნაცვვლად უნდა გიპასუხო?

-ამდენი ქალის ნაცვლად არა, რატომ გწერენ ამას შენ ეგ ამიხსენი..შესამჩნევად ხმამაღლა ამბობდა ელენე….ნიკას სახე დაეჭიმა…

-მე არ გამოწმებ, არც შენ ტელეფონს ვქექავ ასე.

-შეგიძლია ნახო…ხელში მიაწოდა თავისი ტელეფონი….

-მოიცადე თანახმა ხარ გამოწმო? არ განაღლებს, რომ არ გენდობი და გამომებ? შენთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს? ნიკა ისე მშვიდად ეუბნებოდა ელენე ვერ აკავშირებდა შინაარსს და გამოხატვის ფორმას..

-რაც გინდა ის ქენი, მე არაფერი მაქვს დასამალი, შენ კი..გამაგებინე ეს წერილები რა არის? რა უფლებით გწერს ამდენი ქალი ასეთ შინაარსის წერილებს..თითქოს მე არ ვარსებობდე..ელენე ყვიროდა.

-მეძინება….

-შენ ხომ არ გაგიჟდი? მე რაზე გელაპარაკები და რას მეუბნები? წერილების შინაარსის ნახვისას სულ უფრო გიჟდებდოა ელენე….

-ელენე როგორ მელაპარაკები? შენი ხმა ზედმეტად მაღალია…..

-ისევ ჩემი ხმაა მაღალი? რა რეაქცია უნდა მქონდეს როცა სასიყვარულო წერილებს ვნახულობ შენს ტელეფონში? შენ ხომ იცი…იცოდე არ გაპატიებ..უბრალო შეხებასაც არ გაპატიებ სხვა ქალთან….შენ მეუბნები რომ გიყვარვარ? ცხოველი ხარ მაშინ..სიყვარული ამას არ ჰქვია…..ადამიანი არ ხარ…..ნიკა სულ გადათეთრდა……მერე ბრაზისგან გაწითლდა…

-გაბედავ კიდევ ერთხელ ხმის აწევას და მერე მეც ვერ ვუშველი საკუთარ თავს….. მერე საკუთარ წყენაზე და ბრაზზე პასუხს არ ვაგებ….ისწავლე საკუთარი თავის კონტროლი! ელენეს ნიკას ის საშინელი გულგრილობა გაახსენდა და ლამის გაგიჟდა….იმას ყველაფერი ერჩია…

-რატომ არ მელაპარაკები მაშინ..

-იმიტომ რომ შენ არ მელაპარაკები, მეჩხუბები და ეს ან ბოლოა ჩვენ შორის, შენი ეს ხმა ან ბოლოს წინა….

-ნიკა რა რეაქცია უნდა მქონდეს..ვიღაც მიშელი გწერს, რომ დიდი სიამოვნებით გაგიცნობდა…მერე სილვია, ალექსანდრა, ანა, ნათია..უამრავი…ყველა გწერს რაღაცას..ეს როგორ ავიტანო?

-ელენე მე ფეხბურთელი ვარ….ამას თან სდევს ესეთი რამეები..რაში გაინტერესებს ვინ რას მწერს..მთავარია რომ ჩემი პასუხები არ არის…ასეთ რამეებს მე არც ვკითხულობ…პასუხზე და რაიმე აქტიურობაზე აღარც ვლაპარაკობ….მიყვირი ისე, რომ არ მაძლევ საშუალებას რამე გიპასუხო..

-არ გიყვირი..

-არ მინდა ამაზე….აშკარად იგრძნო, რომ გაუბრაზდა…არ აპატია ის ხმამაღალი სიტყვები..აღარც ღამე მოეხვია..ამის გარეშე კი უკვე ვეღარ იძინებდა….

-ნიკა..დაიჩრჩულა ელენემ….გრძნობდა, რომ არ ეძინა.. არაფერი უპასუხა….მაშინ ზურგზე მოეხვია…..

-ელენე ან გაიწიე ან ადგომა მომიწევს….გავარვარებული ფოლადივით მოვდა ნიკას საშინლად გაბრაზებული ხმა და სიტყვები, სწრაფად მოშორდა…..იქ ტირილს არ დაუშვებდა და ამიტომ

ფეხზე ადგა და სააბაზანოში შევიდა….არც ის ოდნავი იმედი რომ ნიკა დაამშვიდებდა არ გამართლდა…..მხოლოდ ქმრის დაღლილ სახეზე დილით მიხვდა, რომ არ ეძინა მთელი ღამე..მის გამო იყო ესე დაღლილი და ჩაშავებული თვალებით….არც კი გაუცილებია..მასთან ოდნავ მიკარებაც კი აკრძალული ჰქონდა საკუთარი თავისთვის სასტიკად..ვერაფრით ივიწყებდა ნიკას სიტყვებს მოშორებოდა…..საღამოზე კიდე უფრო დაღილი დაბრუნდა…უკვე გრძნობდა მის ფიზიკურ დაღლას და სულიერს…წყინდა რომ ამ შემთხვევაში ეს დაღლა თავისი ბრალი იყო, მაგრამ გამორიცხული იყო სულ მცირედი ნაბიჯი მაინც გადაედგა…ისევ ის სიტყვები ესმოდა სულ……სამეცადინო ჰქონდა და შუა ღამემდე ოთახში არც შესულა..გადაუშლელ საწოლზე 4 საათის წინ შესული და ჩამომჯდარი ნიკა რომ დაინახა მუხლები ლამის მოეკვეთა….ეცადა არ შეემჩნია….საღამურები ჩაიცვა და თავის მხარეს გადაშალა საწოლი…მაჯაზე ქმრის ხელები იგრძნო…მერე ხელებზე მისი ტუჩები….

-მაპატიე გუშინ..ელენე….არფერი უპასუხა…..

-იმ მომენტიდან მეტზე ვერაფერზე ვფიქრობ..რაც ეგ გითხარი…..თვალებში ახედა ნიკამ…

-არაუშავს..ისეთ ხმით უთხრა, რომ სწორედ უშავდა….

-გეხვეწები მაპატიე….ნიკამ თავისკენ მიიზიდა და ფეხებზე დაიჯინა..მაგრამ ელენე მაშინვე ადგა….

-მეც მაპატიე….მე პირობა დავარღიე…ბოდიში….

-რა პირობა..ელენე…გეხვეწები….მიყვარხარ, რა პირობა..არაფერი პირობა არ არსებობს..როცა უყვართ არ არსებობს..დაივიწყე……

-კარგი, ხელი გამოაცალა და საწოლში შეწვა…..ნიკა მის მხარეს მივიდა და თმაზე ხელი მოუსვა..

-ელენე მაპატიე რა გუშინ….

-მე სულ მექნება იმის შიში, რომ შეიძლება ხელი მკრა როცა ჩემი გრძნობების გამოხატვას შევეცდები, ისედაც არაა ადვილი ჩემთვის…..

-არა გთხოვ ესე არ იფიქრო….გუშინ ძალიან გავბრაზდი….მართლა გამიკვირდა ისე მელაპარაკე თითქოს ვიღაც ვყოფილიყავი..პატარა ბავშვი რომელსაც ტუქსავენ…..რომლის საქციელი არ მოსწონთ..არ მინდა ჩვენ შორის ეს ტონი არსებობდეს..არც ერთ შემთხვევაში…არ მინდა ამას ესე მიბედავდე და ვიღაცისთვის წვრილმანს მაგრამ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანს შეიძლება რაღაც ურთიერთობები გადაყვეს…მადანაშაულებ ისე რომ არ მახსნევნინებ..ვიგრძენი რომ რაღაც დამოკიდებულება არ არსებობდა ჩვენ შორის და ძალიან დამწყდა გული….არ შემიძლია ასეთი რამის ატანა..არ უნდა მიყვირო..არ უნდა აუწიო ჩემთან ხმას რაც არ უნდა მართალი იყო…..ჯერ უნდა მომცე საშუალება გიპასუხო….მე შენთვის ეს არასოდეს მიკადრებია….ელენეს ნიკაპი ოდნავ აუკანკალდა…..

-მეშინია ვერ გაპატიებ ღალატს, არ შემიძლია და მეშინია არ დაგკარგო…..

-ჯერ მითხარი რომ მაპატიე….მაკოცე….ელენემ ჩაიბურტყუნა „გაპატიე“ და ლოყაზე აკოცა სწრაფად….

-არა მართლა მაპატიე…და მომეხვიე..გთხოვ..ელენე საწოლზე წამოჯდა და გაუღიმა….მერე მკლავები მოხვია და საფეთქელთან აკოცა….

-ძალიან მიყვარხარ ნიკა….მაპატიე….

-ელენე შენ ჩემთვის ერთადერთი ხარ….რაც ჩემი ცოლი ხარ ქალებმა სქესი დაკარგეს…არ არსებობენ..არავინ არსებობს შენ გარდა….მე ვერ დაგპირდები, რომ ჩემს ტელეფონში ასეთ წერილებს ვერ ნახავ..მხოლოდ იმის პირობა შემიძლია მოგცე, რომ ჩემგან არ იქნება პასუხი..არანაირი….ნუ გეშინია, ნუ ფიქრობ ამაზე…..უბრალოდ სხვები არ არსებობენ..არ შემიძლია მათ შევეხო, როცა შენ მელოდები..როცა არსებობ, როცა ჩემს ცხოვრებაში ხარ..როცა გიყვარვარ..როცა ჩემზე ფიქრობ, ზრუნავ….არავინ და არაფერი არსებობს მეც კი არ ვარსებობ….არაფერი ელენე..შენ მხოლოდ….ძალიან მიყვარხარ..შენ არც კი იცი ისე….მენდე გთხოვ….უმიზეზოდ ნუ შეიტან ეჭვს…უნდა ვგრძნობდე, რომ მენდობი…. ელენე მის ხელებს უღონოდ უჭერდა თითებს….

-ნიკა….მაპატიე….უბრალოდ…ძნელია..

-ვიცი ელენე, ვიცი….მეც გავგიჟდებოდი მუდმივად რომ გწერდნენ, მაგრამ აგახსენვინებ..არც დავიჯერებ..ისე გენდობი არაფერს დავიჯერებ….

-ვიღაცამ დამირეკა…

-რატო?
-მითხრა, რომ შენგან ბავშვს ელოდება….რომ მე ხელს გიშლით..მისი შვილისთვის ყველაფერს გააკეთებს, რომ მამა ყავდეს….ისე მეტკინა…..ვიცი შვილი როგორ გინდა, არ ამბობ..მაგრამ ხომ ვიციი…..ძალიან მინდა ფეხმძიმედ ვიყო..მაგრამ..არ ვიცი…..მეშინია….ექიმთან უნდა მივიდე…..ნიკას სულ ჩაეწვა ყველაფერი…მიხვდა, რომ აქამდე უნდა ელაპარაკა ამაზე, ის რომ არაფერს აგრძნობინებდა არ იყო საკმარისი ელენეს დასამშვიდებლად…..

-ელენე, ხომ იცი რომ კიდევ ბევრი დაგირეკავს..სხვადასხვა შინაარსით..ზოგი გეტყვის რომ უკვე სამი შვილი მყავს და მსგავსი რამეები…ეს ესეა….ადამიანები ადამიანების ბედნიერებას ვერ ეგუებიან..თავიანთ უბედურებას ისე ყავთ გაბოროტებულები, რომ ვერ იტანენ გაღიმებულ სახეებს, ამიტომ ბევრი დაგირეკავს, მაგრამ შენ უნდა გჯეროდეს ჩემი….ელენემ თავი დაუქნია…..

-ჩემო პატარა..რატომ არ მითხარი ამაზე რომ ნერვიულობ ჩუმად? შვილი მგონია, რომ ყველას უნდა, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს….შენ რატომ განიცდი..სულაც რომ რამდენიმე წელი გავიდეს..ამით არაფერი….

-რას ამბობ ნიკა……გავგიჟდები..ექიმთან მივალ აუცილებლად…..მე ხომ ვიცი როგორ გინდა…

-შენ რატომ მიხვალ ექიმთან..იქნებ ჩემი ბრალია..ორივე მივიდეთ თუ შენ ესე უფრო მშვიდად იქნები..მე ზოგადად არაფერს ვთვლი საექიმოს, მაგრამ მაინც მივიდეთ…..გაოცებული უყურებდა, გაკვირვებული იყო..მისით ბევრჯერ გაოცებულა..სულ ისეთს ხედავდა, რომ ეგონა, რომ აღარ შეიძლებოდა…

-არ იფიქრო ამაზე..მერე ნახავ ღამეებს, რომ გავათენებთ ეს დრო მოგენატრება….ახლა შეგვიძლია შეყვარეულებივით ვიყოთ…არავინ გვენატრებოდეს სახლში დატოვილი…

-თან წავიყვანოთ ხოლმე….

-ხო თან წავიყვანოთ…..სავახშმოდ, რომ დაგპატიჟებ რამდენიმე დღის ბავშვიც წავიყვანოთ, მერე თვის, მერე წლის..მერე თვითნაც აღარ დარჩება სახლში…ელენეს გაეცინა…..

……

ადამიანები ხშირად ფიქრობენშეცდომით, გონიათმართალიისრაცჭეშმარიტებისგანშორსაა, მაგრამამწარმოსახვაშიარიანისინიმართლები….სუბიექტურადმართლები..გულწრფელები..იმდროს, როცაგონებამმომხდარისგააზრებადაიწყო, სულმასუნთქვაშეწყვიტა….ისედაცლეშადნაქცევიცხოვრებაუფროდამძიმდამხრებხზე..უკვედიდ იხანიაძალააღარუნდაჰქონოდა, მაგრამჰქონდა…..ჰქონდაკიდევუფრომეტი….სიცოცხლისძალაჰქონდა ეყურებინაშვილისთვისის ე, როგორცთვითნიყოამწლებისგანმავლობაში..გულწრფელადჯეროდა, რომთუამტკივილისშემსუბუქებასდაიწყებდარამითამითდემეტრესდაამძიმებდა….ამიტომსაკუ თარფიქრებსჩაუყვათვითკვლელივით..არცერთმონაკვეთშიაღარზოგავდათავვისთავს..როცაწარს ულისმძიმემონაკვეთზემიდიოდამთელიშეგნებითიაზრებდარომარიქცეოდაადამიანივით…დიდ იკითხვისნიშანიჩასდგომოდაბოლოშიმისადამიანობას. დროშიდაეხეტებოდადახეებისგამხმარიტოტებითითქოსმთელსხეულსუკაწრავდა…ერთმანეთი სგვერძე 28 წლამდედამასმერედაყენებულისაკუთარითავიიყოყველაზედიდიჯოჯოხეთი…..საკუთართავსთ ითქოსგავარვარებულფოლად ასხავდნენ…..არავინუნდოდა, არავისუნდადაემშვიდებოდა, თორემცოტათშემსუბუქებაცკიაუტანელტკივილადექცეოდა…სიმსუბუქისტკივილად…დანიშნე ულებისგარეშედარჩენილისშეგრძნებებიაყეფდნენდაზღვრებიწაიშალა….

მნიშვნელობები მნიშვნელობებს კარგავდნენ…..უკვე გრძნობდა, რომ პრობლემები არ ჰქონდა, დიდი ხანია არ ჰქონდა….ეს ყველაფერი უბედურებას უფრო ჰგავდა ვიდრე მოგვარებად პრობლემას…მისი სული იმ ბერიკაცს ჰგავდა გადაადგილება რომ უჭირს და უფრო და უფრო მეტ ტვირთს, რომ კიდებენ. მაშინ მხოლოდ ერთი რამ უნდოდა ყველა დატანჯულიყო….ყველას ეგრძნო ზუსტად ისე როგორც 28 წლის ნიკა მენაბდე გრძნობდა, მერე განეკითხათ..ეგრძნოთ და განეკითხათ….სულაც არ ჰქონდა წინააღმდეგობის შეგრძნება მთელი სამყარო რომ ემეტებოდა…მაშინ უნდოდა ფეხბურთი გამქრალიყო..არავის ეთამაშა. არავის ეგორავებინა ბურთი..ესე უნდოდა..მთელი ათი წელი გრძნობდა ამ ყველაფერს, ყველა ემეტებოდა…მამაც, ძმაც…მეგობრებიც, გუნდელებიც ყველა ყველას უნდა ეგრძნო, გაეგოთ რა იყო როცა კიდურებს გაჭრიან..უფრო სწორად გიტოვებენ, მაგრამ უმიზნოდ….აზრი რომ არ აქვს……და ამიტომ სასაცილო მდგომარეობაში ხარ, სამყარო რომ დაგცინის…. ყველა ემეტებოდა იმ ერთის გარდა

და ზუსტად იმ ერთს ემართებოდა..უკვე ეჭვი ეპარებოდა რამის არსებობაში..რწმენაშიც კი…..მის მდგომარეობას რწმენის დაკარგვა..იმედის გაუფასურება ყველაზე მძიმედ აწვებოდა მხრებზე…არ ემეტებოდა, რადგან ხედავდა მსგავსებას..ამდენი წელი აკვირდებოდა და ხშირად დაუნახავს საკუთარი თავი….დემეტრესთან ერთად იყო ზოგჯერ 13 ის..12-ის..4..ის….ამის დანახვაზე კიდევ უფრო ბრაზდებოდა..ზოგადად ყველაფერზე….უფრო უშლიდა ბურთთან შეხებას და ამ დაშლით კიდევ უფრო აახლოებდა..უფრო სწორად თვითონაც იცოდა სხვანაირად არ იქნებოდა..არ დაიშლიდა..ან თუ დაიშლიდა მერე მთელი ცხოვრება უნდა დარჩენოდა ჩაკლული სურვილი, რომელიც დანარჩენ ცხოვრებას კლავს..დაშლით პილატეს დაემგვანა, ხელები, რომ დაიბანა, მერე ხომ ყველა გაამართლებდა, მერე ხომ ყველა მიხვდებოდ რატოც უშლიდა…….თუმცა დემეტრეს ცხოვრებაში ყველა როლი, რომ ჰქონოდა პილატე მაინც არ იქნებოდა.. საკუთარ თავზე მეტად უყვარდა დემეტრე..როგორც შეეძლო, მაგრამ უყვარდა….ამის გამო გულგრილობა ვერც კი ეკარებოდა, მოახლოებასაც კი ვერ ბედავდა..იცოდა ის ტკივილი უფრო დიდი იყო, როცა ვეღარ თამაშობ ვიდრე ის, როომ თვითონ თქვი უარი..ნიკას ერთმანეთისთვის არ შეუდარებია, მარტივი მიზეზის გამო, რომ მეორე არ განუცდია..მაგრამ იცოდა, რომ პირველზე მტკივნეული აღარაფერი იყო..აშენებული საკუთარი თავი, საკუთარი პიროვნება ჩამოენგრა და ნანგრევებში სულსღა ძლივს ითქვავდა…..

-ლიკა გამარჯობა, როგორ ხარ? ნიკოლოზი ხომ არ იცი სადაა? იმდენად იყო გაუბრალოებული ამ ტკივილთან ყველაფერი, რომ უხერხულობის შეგრძნება არ ჰქონია მასთან დარეკვით..ან ჰქონდა, მაგრამ ვერ მიახწია შეგრძნებებამდე იმდენწად ფარავდა ყველა ტკივილი..

-გამარჯობა ელენე…არ ვიცი..სახლში სამი დღეა არ მოსულა…უბრალოდ მომწერა, რომ ვერ მოვიდოდა…..დემეტრე როგორ არის? ძალიან ვინერვიულე…..ნიკა არც წყნეთშია და არც სახლში…არ ვიცი სად შეიძლება იყოს….ჩემთან მაიაა, რამე რომ დამჭირდეს..მანაც არ იცის…

-არ ვიცი როგორ არის,არ ლაპარაკობს, კარგი ლიკა მადლობა. მართლა წარმოდგენა არ ჰქონდა სად შეიძლება წასულიყო….უბედურებასთან მარტო დარჩენილი თითებს ერთმანეთში ხლართავდა…..ტელეფონის ზარი მოგვიანებით გაიგო და მისკენ წალასლასდა..

-ელენე, ნიკა სოფელშია..თუ გინდა ავალ და ჩამოვიყვან..

-არა თაზო მე წავალ…

-ხო..შენ მაგის გამოცდილება გაქ..ნაღვლიანად ჩაიღიმა ბელთაურმა და მიხვდა, რომ უადგილო ბედნიერების გახსენება იყო და უფრო მეტად მტკივნეული რეალობა….

-კარგი ელენე, როგორც მოგიხერხდეს..თუ რაღაც გამაგებინე ავალ..რამე თუ დაგჭირდა..

-მადლობა თაზო, დიდი მადლობა….ეს სამი დღე ბელთაური გვერდიდან არ მოშორებიათ…დემეტრე თითქოს ვეღარ გრძნობდა ნათლიამისის არსებობას..მასთან ლაპარაკიც აღარ უნდოდა….ნიკას ოჯახი თითქოს გვერდიდან გამოეცალა…..ვერც დემეტრე, ვერც მათე, ვეღარც ბარბარე…ვერავინ..ვერავინ შეძლო მისი ნახვა….უჭირდათ იმის გადატანა მეორედ რაც პირველადაც არ იყო გადატანილი..გარეთ ეზოში ხედავდა მოხუცი დემეტრეს ჩაწითლებულ

თვალებს მოსახელე შვილიშვილთან შესვლა, რომ ვერ გაებედა…შიშით რომ მასაც არ დაელაპარაკებოდა და მერე..მერე უკვე საშინლად ეტკინებოდა….

გარეთ მანქანასთან მაიას ხმა გაიგო..

-მე წაგიყვან სადაც მიდიხარ….

-არ მინდა მაიკო რა მეთვითონ..

-არა ახლა ესე ვერ დაჯდები..მე მიგიყვან რა გთხოვ ელენე..წინააღმდეგობის გაწევასაც ჭირდებოდა ძალა, რომელიც უკვე დიდი ხანია აღარ ჰქონდა….

-ელენე ახლა ძლიერი უნდა იყო..ნიკას დაელაპარაკე..მოთხოვე წამოვიდეს! პატარა ბავშვები არ ხართ, პატარა დემეტრეა, რომლესაც ახლა ჭირდება მამის დახმარება, იმ მამის რომელიც მისი წარმოდგენით იგივეს განიცდიდა რასაც ახლა დემეტრე….

-არ ვიცი რა მდგომარეობაში დამხვდება….ნუთუ ესე უნდა შემატოვოს ყოველთვის ყველაფერი? მიდის..წასვლა, ხომ ადვილია….მეც წავალ მაგრამ ჩემი შვილები ვის დავუტოვო? მეც მინდა მოვშორდე აქაურობას იმ სანერვიულოს მუხლებს, რომ მიკანკალებს, მაგრამ ვერ ვტოვებ..ის კი წავიდა….

-ელენე უჭირს..

-უჭირს, ნიკას უჭირს, ნიკა განიცდის, უყვარს, თავისებურად, მაგრამ მაინც….ნიკას მეტი არ შეუძლია, ამიტომ წავიდა, ნიკა იტანჯება..

-მე? წარმოდგენა თ უ აქვს ვინმეს როგორ დავიღალე..როგორ მაწვება ეს ცხოვრება ასე გაუსაძლისად. როგორ მინდა მეც მასავით წავიდე, სხვაგან, დაველოდო როდის ჩაწყნარდება ყველაფერი და მერე დავბრუნდე….მეც მინდა წასვლა, მაგრამ ვერ ვტოვებ, ჩემ შვილებს ვერ ვტოვებ და ის რატომ მიდის ესე მარტივად…

-ელენე მომისმინე, საყვედურებისთვის დრო გექნება….ყოველთვის არის ამის დრო, მაგრამ ახლა არა, შენ შვილს ჭირდება ახლა მამა და არა ნიკა შენი ქმარი, დაივიწყე, რომ გიყვარს და იმასაც დაივიწყებ, რომ ნაწყენი ხარ…დაელაპარაკე….მშვიდად და გარკვევით, მთავარი არის შედეგი…მიზანი, რომ დემეტრე ოდნავ მაინც იყოს უკეთესად…აქ დაგელოდები იცოდე ნიკას გარეშე თუ გამოხვალ, გეფიცები მე თვითონ თავს ვერ შევიკავებ და ყველას სათქმელს ვეტყვი… მანქანიდან ძლივს გადავიდა, არ დაუკაკუნებია პირდაპირ შეაღო კარი…..

-ნიკა….ნიკოლოზ….თვალებით სასმელის ბოთლებს ეძებდა, მაგრამ ვერ პოულობდა, ვერც ნიკას….ზევით ავიდა და რბილი ნაბიჯით წავიდა მისი ოთახისკენ….ტელევიზორის ხმაზე..იქ გაგონილზე უკვე გადაადგილება უჭირდა….“ ნაკრებმა უნდა გაუძლოს, სულ რამდენიმე წუთი…..დროის გაყვანაც შეიძლება, ყველაფერი შეიძლება და გამარჯვება..ისტორიული გამარჯვება..უფრო სწორად გასვლა იქნება ჩვენს ანგარიშზე….დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი წარმატება..“ ღრიალებდა კომენტატორის ხმა..ამდენი წელია

არასოდეს უყურებია…არასოდეს უნახავს ის ყველაფერი რაც ერთხელ განიცადა….ვერასოდეს შეძლო ამ ყველაფეირს ხელახლა განცდა და ახლა საწოლის წინ იყო იატაკზე დამჯდარი, მთელი შეგნებით უყიურებდა უსმენდა და იხსენებდა ყველაფერს….ელენეს საყვედურები გაფრინდნენ..მისი დანახვისას ყველაფერი უფრიალდებოდა, ავიწყდებოდა ის რაზეც ბრაზდებოდა, რომ ხედავდა მეხსიერება ერეოდა….

-ნიკა…..მენაბდემ სწრაფად შეხედა, ეტყობოდა, რომ იქ არ ელოდა….

-ელენე….რა მოხდა? რამე მოხდა? სწრაფად წამოდგა ფეხზე და ტელევიზორი გათიშა….

-ნიკა დემეტრესთან წამოდი, გთხოვ დაელაპარაკე…

-რას ამბობს?

-არაფერს……..პირველად ნახა ამდენი წელია იცნობდა წვერი ჰქონოდა გასაპარსი..პირველად იყო ისეთ მდგომარეობაში..ეს იმდენად ბევრს ნიშნავდა….ამით შეეძლო მთლიანად განესაზღრა ელენეს, რომ ნიკა ყველაზე ცუდად იყო რაც კი ცხოვრებაში ყოფილა….

-ელენე, მე არ ვიცი ვერაფერს ვეტყვი….არაფერი მაქვს….მე არ ვიცი რაში ვჭირდები, რა უნდა ვუთხრა? რა ვასწავლო? რაც არ უნდა ვუთხრა მეტყვის, რომ არ მაქვს უფლება რამე ვურჩიო მე საშინლად მოვიქეცი…. ასეთ დროს ყველაზე მძიმე გზა ავარჩიე….

-არ აქვს ამ ყველაფერს მნიშვნელობა, ნიკა, უბრალოდ უნდა იდგე მის გვერდით, საერთოდ ნუ ერყვი ნურაფერს, ხმას ნუ გასცემ უბრალოდ გხედავდეს..

-არ მინდა ელენე, გეხვეწები წადი…..

-ნიკა? მაოცებ…ამ ყველაფერს მართლა ამბობ, მართლა აკეთებ….სად ჯანდაბაში ხარ ამდენი ხანი, რატო მტოვებ მარტო?

-მარტო არ ხარ….

-აბა როგორ ვარ? შენ გარეშე ყოველთვის მარტო ვარ!!!!! მთელი დედამიწა რომ იყოს ჩემთან მაინც მარტო….მეც მმინდა წასვლა..საერთოდ წასვლა, დავისვენებ..ჩემთვის ტვირთი კი არ იქნება პირიქით, მაგრამ შვილებს ვერ ვტოვებ, მეცოდებიან და ეს მაიძულებს ვიყო..

-გაჩუმდი…!!!!!ნიკამ ისე დაიღრიალა, ელენე ვერაფრით მიხვდა რატომ იყო ესე….

-შენ არსად წახვალ! თქვენ მე გამაგიჟებთ….არ მინდა წამოსვლა..არაფერი არ მინდა..საერთოდ არაფერი….

-ეგ ადვილია….ძალიან ადვილი….ყვირილივით ადვილი….

-წარმოდგენა არ მაქვს რაა ადვილი….საერთოდ ვერ ვხედავ იმედს..გრძნობაზე ლაპარაკიც ზედმეტია….ესეთ მდგომარეობაში დემეტრეს რა ვუთხრა…

-შენ რა ისევ გაბრაზებული ხარ და ამიტომ……ნიკა თუ მართლა ასეა და უბრალოდ უიმედობას იმიზეზებ…

-რა? რას ამბობ……ნიკას ჩაეცინა..ხო, გაბრაზებული ვარ….ჯიბრის გამო არ მოვდივარ….ელენე ცდილობდა ყველა გზით დაყოლიებას, მაგრამ არაფერი გამოდიოდა….ახლა იმ მდგომარეობაში იყო ნიკა არავისი აზრი რომ არ აინტერესებს რას იფიქრებენ მასზე….ყველაზე უარეს დააბრალებენ თუ არაა..

-ნიკოლოზ გაჩერდი….გეხვეწები წამოდი, სხვა დროს ვილაპარაკოთ….ნიკა ქანდაკებასავით იდგა..მხოლოს თვალებში უფრო და უფრო მეტად ჩამდგარი წყალი იყო მისი სიცოცხლის ნიშანი…..

-ნიკა, დემეტრემ დღეს თავის მოკვლა სცადა…ძლივს მივუსწარი…არც კი ვიცი როგორ შემთხვევით, და ეს შემთხვევითობა მაგიჟებს, რომ შეიძლებოდა ყველაფერი მომხდარიყო…..როცა ვენებზე ნაჭერს ვადებდი შენ გეძახდა…შენ სახელს ღრიალებდა…..მეხვეწებოდა რამე მეშველა…როგორმე დავხვარებოდი და თუ ამას ვერ შევძლებდი უფლება მიმეცა მომკვდარიყო…..ყვიროდა, რომ ფეხბურთი არასოდეს ჩაგვერთო, არ გაეგონა ქუჩაში ბავშვების ხმა როგორ თამაშობდნენ..არაფერი გაეგონა…ერეკლეს და ცოტნეს დანახვაც კი არ უნდა..საერთოდ არ უნდა მათი ხსენება…საკუთარი გუნდელები ძულს…არ შემომაშვებინა..ნიკა ყველაფერს ზუსტად ისე აკეთებს..როგორც..შენ..ამის მერე ნუ მომთხოვ ისეთი ვიყო როგორიც გამიცანი…..მენაბდემ ფერი სულ დაკარგა…ტუჩები სულ გაულურჯდა…..მერე მთლიანი სახეც…..საწოლამდე ძლივს მიიყვანა…..სულ ლურჯი იყო….პირს ვერაფრით აღებინებდა..კრიჭა შეეკრა…..ფეხები მაღალზე დაადებინა, რომ სისხლს ემოძრავა…..გაყინულ ხელებს უსვამდა სახეზე და მის სახელს ჩურჩულებდა……რომ გამოერკვა მაია უკვე ოთახში იყო და ნიკას წამალს უდებდა ენის ქვეშ…..

-როგორ ხარ ნიკა? მაიამ მაშინვე შეეკითხა თვალები, რომ გაახილა…..

-კარგად…

-ნიკა შენი ნერვიულობა არ შეიძლება…..ექიმთან წავიდეთ….ელენემ ჩანთა აიღო და წამოსაყენებლად წაიწია..

-მოიცადე, რა ექიმთან, კარგად ვარ….

- არ შეიძლება..

-რატომ არ შეიძლება ელენე, გეხვეწები….კარგად ვარ უბრალოდ არაფერი მაქვს ეს დღეები ნაჭამი და ამის გამო იქნება…..ექიმი არ მინდა..წავიდეთ…..

-რამეს ვნახავ მაცივარში შეჭამე და წავიდეთ….

-არაფერია მაცივარში..არაფერი მომიტანია..წავიდეთ…..მანქანის უკანა კარი გამოაღო, ეგონა სხეული გადაეწვებოდა…..უხმოდ მიდიოდნენ..მაიაც არაფერს ამბობდა…..ელენემ ჩანთა გახსანა და რაღაცას ეძებდა…

-აიღე….შოკოლადი მიაწოდა…..

-არ მინდა მადლობა…..

-ტასოს შოკოლადია..გაუხარდება თუ შეჭამ….თხოვნის თალებით შეხედა ელენემ…ღიმილით გამოართვა…..სახლში სანამ შევიდოდნენ ნიკამ ელენეს ხელით ანიშნა და ეზოში ხის ქვეშ დადგნენ..გამხმარი ფოთლები დაუნანებლად ცვიოდა….

-ზოგჯერ ვფიქრობ, რომ არაფრის ახსნაა საჭირო, ზოგჯერ მგონია, რომ ამ ახსნის გარეშე ვაშავებ…უბრალოდ მგონია ზოგჯერ ის იცი რასაც ვფიქრობ და არც კი მეტყობა….თუ დემეტრესთან მოსვლა არ მინდა მარტო ერთ რამის გამო….გეფიცები არ ვიცი რა ვუთხრა….არ მინდა მისი ასე დანახვა..არ მინდა საკუთარი თავი 13 წლის ასაკშიც დავინახო ისეთ მდგომარეობაში რამაც გამაგიჟა..მე ვიცი ის რას განიცდის..და მგონია რომ არ აქვს რამეს აზრი….მე არ მჯერა იმის რასაც ამ დროს მამებბი ეუბნებიან….ტყუილიც კი არ შემიძლია, შემეტყობა ის რაც არ მჯერა….იმისთვის უკვე სურვილების სამყარომ ბრუნვა შეწყვიტა..ოცნებები შეწყდა და ჩემი იქ მისვლა ან არ მისვლა არაფერს შეცვლის..გარდა იმისა, რომ გამამართლებს თამაშს რომ ვუშლიდი..გამიგებს…მაგრამ არ მინდა რომ ჩემი ესმოდეს…არ მინდა მიგებდეს….არ მინდა ჩემნაირად იფიქროს, განიცადოს..დაიტანჯოს..არ მინდა, მაგრამ გამოსავალს მართლა ვერ ვხედავ….როგორ ვუთხრა რომ ყველაფერი კარგად იქნება, როცა ამის მეც არ მჯერა? როგორ დავარწმუნო, რომ ცხოვრება გააგრძელოს იმედებით როცა ეს შეუძლებელია? მე თვითონ უფრო უიმედოდ ვარ და როგორ გავამხნევო? მეშინია უფრო არ დავამძიმო. როგორ გაბედა თავისმმოკვლა..როოგრ მივიდა აქამდე….მართლა არ ვიცი….მე ეს არც კი დამიშვია..იმან კი ცადა..მერე მეშინია უფრო ცუდად არ იყოს..ვიდრე მე, მეშინია რომ ვერ გავიგებ რას გრძნობს…..თუ ვინმე არ მინდოდა ამ მდგომარეობაში მენახა..წარმოდგენაც კი რომ მაგიჟებდა…დემეტრე იყო….ელენე მშვიდად უსმენდა….

-ნიკა, მომისმინე..ფეხის დაზიანება არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, რომ ვერასოდეს შეძლოს თამაში..უბრალოდ 2 წლამდე გაუცდება..ეს ამ ასაკში ძალიან ბევრია….2 წლის მერე როგორ დაიწყებს ვარჯიშს ესეც არ ვიცით, შეიძლება ცოტა მეტი წელი დაკაგრგოს, მაგრამ ხომ არის ალბათბა იმის, რომ ითამაშოს, თუ იცი რომ ამის გარეშე ვერ იქნებით ისეთები როგორებიც რეალურად ხართ და ამის გამო დაიტანჯებით, მაშინ დავეხმაროთ, რომ როგორც არ უნდა იყოს ითამაშოს…გვერდში დავუდგეთ, რომ ოცნებები აისრულოს….მიზნები სურვილებს დააკავშიროს..ნუ გავუდგებით და ნუ მივცემთ უფლებას დაიღუპოს..როგორც არ უნდა ითამაშოს..მთავარია, რომ აკეთოს ის რაც უნდა….როგორც უნდა, გრძნობდეს, რომ გვერდით ვყავათ….შენ მისი მაგალითი ხარ ფეხბურთელის, ბევრჯერ უთქვამს, რომ შენგან ბევრს სწავლობს..ძველ ჩანაწერებს უყურებდა და შენ მოძრაობებს სწავლობდა….შენ მისთვის მარტო მამა არ ხარ….ის საერთო განცდა რაც ახლა გაქვთ ერთმანეთს უფრო გაახლოებთ..დემეტრეს შენთან ასე ახლოს თავი არასოდეს უგვრძნოა, როგორც ახლა. შენგან ყველა სიტყვას სხვანაირად გაიგებს…რადგან იმ მდგომარეობაში გხედავს რაშიც თვითონაა….არავის ნახვა არ უნდა შენ გელოდება მხოლოდ….ვერ ერკვეა მის თავს რა ხდება..ათასჯერ გავუმეორე, რომ თამაშს

შეძლებს, მაგრამ მხოლოდ ფეხს უყურებს..იმ წლებს უყურებს სადაც შეიძლება ვერ ითამაშოს..არ ჯერა ჩემი, გონია ვაიმედებ….გონია ვცდილობ დავეხმარო ფსიქოლოგიურად და მხოლოდ ამიტომ ვამშვიდებ….მე კი მართლა მჯერა..მჯერა და მინდა ითამაშოს….დემეტრეს შენს მდგომარეობაში წარმოდგენაც კი მაკარგინებს ყველაფრის სურვილს….მხოლოდ შენ შეგიძლია ახლა იმას აუხსნა ის რაც საჭიროა..შენც უნდა გქონდეს იმის რწმენა, რომ შეუძლია ითამაშოს….მასთან ყოფნითაც კი დაეხმარები, სულ რომ არაფერი უთხრა…..ეს შენც გჭირდება….უნდა დავეხმაროთ უკეთესად იყოს და არ უნდა მივცეთ დრო რომ ამ ყველაფერთან შეგუება დაიწყოს….მაინც ვერ შეეგუება საბოლოოდ და დაიტანჯება…

-ექიმმა რა თქვა? თუ მოინდომებს….ელენე მისმინე ასეთ დროს იმედი კარგია..მაგრამ თუ ეს იმედი უნდა გაგიცრუვდეს ჯობია თავიდანვე არ გქონდეს..უფრო უარესია, ამიტომ მითხარი აქვს შანსი რომ ითამაშოს? ფეხის მდგომარეობა ამას მისცემს? სიმართლე მითხარი…

-კი ნიკა..უბრალოდ მკურნალობა, რეაბილიტაცია და დრო სჭირდება…..მერე ჩადგება თავის ფორმაში…..

-ეს იცის?

-კი..მაგრამ არ ჯერა….გონია, რომ აზრი არ ექნება წლების მერე თამაშს….ვერ შეძლებს იმას რაც სულ უნდოდა…..ნიკა თავდახრილი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით წავიდა დემეტრეს ოთახისკენ..ისე მძიმედ სუნთქავდა ეგონა სხეული ფილტვებზე აწვებოდა….მიდიოდა და გრძნობდა, რომ მთავარი არ ჰქონდა, არ გააჩნდა…..სიმართლე წლებმა წაართვეს, წაგლიჯეს და ახლა საკუთარი სიმართლის გარეშე შედიოდა მასთან..სულ რომ ყველას გაეგო მისთვის, სულ რომ ყველასთან მართალი ყოფილიყო მენაბდე, გრძნობდა, რომ დემეტრესთან ყველაზე მეტად დააშავა….ჯერ კიდევ დათუნებიან პიჟამებში მორბენალი მიატოვა..მარტო დატოვა…3 წლისას ისე მოექცა, როგორც კაცებსაც კი არ ექცევიან..ის კი სამი წლის იყო…ერთი ხელიც რომ საკმარისია მისი წლების დასათვლელად..ჯერ მიიჩვია…გვერდით ჰყავდა….მასთან იყო….ბევრ რამეს პირდებოდა ფიქრებში..ისეც…..სამ წლამდე ყველაფერი იყო მისთვის….ნიკას გარეშე დაძინებაც კი უჭირდა…..ერთ დღესაც მთლიანად გამოაცალა თავი და მულთფილმის გმირივით ურჩხულად გადაექცა მამა. კარზე ფრთხილად დააკაკუნა და ნელა შეაღო….მშვიდად იწვა დემეტრე და ერთ წერტილს უყურებდა…..ნელა მიუახლოვდა მის საწოლს…..

-შეიძლება? დემეტრე ფრთხილად ჩაიწია…..ნიკა გვერდით მიუწვა…რამდენიმე წუთი ასე იყვნენ, მერე ნიკამ მძიმედ დაიწყო….

-მაშინ ფინალი უნდა გვეთამაშა…..რამდენიმე დღე იყო დარჩენილი…არც კი ვიცი რა ხდებოდა როგორ გითხრა…ალბათ არც არაფერი განსაკუთრებული პარიზში, მაგრამ ეს ყველაფერი იყო…ხალხი რომ გავდიოდით გარეთ..ჩვენს ავტობუს..არ ვიცი რა დღეში იყვნენ როგორ გვედგნენ გვერდით….როცა ჩემპიონთა ლიგის ფინალზე გადიხარ თავისუფლად შეგიძლია ჩათვალო ფინალის მიუხედავად, რომ კარიერაში მიაღწიე ძალიან მნიშვნელოვან ადგილს….უკვე შენ შენ ხარ..და ეს ყველამ იცის……ფინალში თამაშისთვის საოცარი გარემო იყო გუნდში. ყველა და ყველაფერი ამაზე ფიქრობდა…..ისე მინდოდა არც კი ვუშვებდი, რომ რამე

ხელს შემიშლიდა..არც დამიშვია ოდნავ მაინც კი..უბრალოდ ვიცოდი, რომ მე უნდა გამეკეთებინა ყველაფერი ამ ხალხისთვის, ჩემი თავისთვის და თქვენთვის..განსაკუთრებით შენთვის დემეტრე….ადამიანი, რომ თავის ასაშენებელ სახლს აგურებს ამატებს ისე ვამატებდი წარმატებებს შენთვის, რომ დამეტოვებინა….შვილებზე იმაზე ადრე დავიწყე ფიქრი ვიდრე იწყებენ….მე რომ რამე შემეშლებოდა ვიცოდი როგორ უნდა მოვქცეოდი ჩემს შვილს, რომ იგივე არ დაეშვა ამით თითქოს თავს ვიმშვიდებდი…..ყველაფერს ოჯახს ვუკავშირებდი და ამ ყველაფერს ფეხბურთზე ვაშენებდი…..ახლა ვიცი, რომ არასწორია..მაგრამ ამ ცოდნის მიუხედავად სხვანაირად არ შემიძლია..ადამიანმა ყოველთვის იცის რა არის სწორი, თითქმის ყოველთვის მაგრამ აი ახლა რომ გითხრან იფრინე ხომ ვერ იფრენ? არ შეგიძლია ხო..ეგრე ვიყავი ვერაფრით გამოვედი იმ მდგომარეობიდან…ფინალი გადავლახე….რამდენიმე თვეში..რამდენიმე თვე დამჭირდა…გონებაში დავთმე და აღარც მაწვალებდა……მაგრამ ვერაფრით გადავლახე ჩემი 13 ნომრიანი მაისური..როცა საკუთარ თავს ვაიძულებდი არ მეფიქრა ნაკრებზე სიზმარშიც კი ვხედავდი ამ ნომერს….შიგნიდან რომ გაქვს რაღაც შეგრძნება, იქ რომ ბუდობს, შენში როა..შენ რომ ხარ….აი იმის გარეშე, რომ ვეღარ იქნები..ვერაფრით მოვიშორე…..ისე დამაჩნდა სულზე, ხასიათზე ეს ყველაფერი, რომ შევიცვალე..თან ისე რომ საკუთარ თავს ვერ ვცნობ..მაშინ ევროპაზე გავედით..ეს იცი რა იყო..სასწაული..მართლა სასწაული, პურველად დამოუკიდებელი საქართელოს ისტორიაში ეს იყო საფეხბურთო მოვლენა…დინამო ინგრეოდა ეს შეგრძნება ახლაც მიდგას ძვლებში….ხალხი ტიროდა, იცინოდა…ღრიალებდა და ამ ყველაფერს საკუთარ თავს, რომ უკავშირებ სამყარო უკეთესი ხდება..გოლი როგორ გავიტანე დედას გეფიცები დემეტრე არ მახსოვს..ამას არავისთან ვამბობდი ჟურნალისტებს ის ვუთხარი მაშინ რაც ჩანაწერში ვნახე…ისე კი აზრზე არ ვარ..არ მახსოვს..დღესაც მგონია, რომ მე ისე თამაში, ისე ავადმყოფურად დაღლილს არ შემეძლო…მართალა არ შემეძლო მე ისეთ არ ვიყავი, მაგრამ არის მომენტები, როცა საკუთარ თავსაც ვჯობნით..ეს ის მომენტია სადაც მიზანი იმდენად სუფთაა, იმდენად მნიშვნელოვანი და საერთო, რომ ყველაფერს აკეთებ..მეც ყველაფერი გავაკეთე რაც არ შემეძლო ისიც..ნათლიაშენმაც..მთელმა გუნდმა და ამ შეგრძნების გახსენებაც კი მაგიჟებდა.. მარტო იმიტომ რომ აღარ განმეორდებოდა….28 წლის ნიკა მენაბდისთვის რომ ჩემი ახლანდელი მდგომარეობა მოგეყოლა თავს მარტო იმიტომ არ მოიკლავდა, რომ ვერ დაიჯერებდა. დემეტრე მონუსხულივით უსმენდა….

-მე ეს ყველაფერი განვიცადე, სტადიონის სუნი, ხმაური..ყველაფერი საოცრებაა… ყველაფერი, ყველა განცდა ინდივიდუალურია..ყველა სხვადასხვანაირად განიცდის, ჩემთის ეს ყველაფერი იყო და დავკარგე….ახალმა რეალობამ რაც 28 წლის ასაკში დამიდგა გამაგიჟა….ეს იცი რას გავს ვინმემ გითხრას ამდენი წლის შემდეგ, რომ სულ სხვა ცხოვრებით უნდა იცხოვრო..სხვა რელსებზე..წარმოიდგინე, წამით დაფიქრდი რომ ყველაფერი შეგიცვალეს…..უუნაროდ დავრჩი, საკუთარი თავი გამოუსადეგარი იყო ჩემივე თავისთვის….ამ ყველაფერს მარტო იმიტომ გიყვები, რომ იცოდე რა მძიმე რამ გელის თუ ხელს ჩაიქნევ.. მე ვიცი რაცაა არ აკეთო რაც გინდა, მიაღწიო იმას რაც გინდა და ისიც ვიცი რა არის დაკარგო ეს ყველაფერი…..მთელი შეგნებით გისურვებ განიცადო რას განიცდის ფეხბურთელი, როცა გოლი გააქვს….ეს ცალკე ცხოვრებაა, ცალკე დედამიწა…. დემეტრე დაფიქრებული იყო და ცრემლები მოდიოდა…

-მამა რაზე ფიქრობ?

-მეშინია..მეშინია შენ არ დაგემგვანო…..ნიკამ იგრძნო როგორ დაუსველდა სული..უსიამოვნო შეგრძნებები კისერზე შემოეხვია……

-ძალიან მინდა ისეთი არ გახსოვდე….

-არა მე ცუდად არ მითქვამს….უბრალოდ….ვერავინ გაგიგებდა..ვერც მე….იმას რომ არ ვგრძნობდე რასაც შენ…..არ მინდა ეს ვიგრძნო..მაგიჟებს….ყველაფერი მძულდება…მინდა არავინ ითამაშოს..მოვკვდები სხვას რომ შეეძლოს და მე არა თამაში…ვიცი შურიანი და ბორიტო ბავშვივით ვლაპარაკობ, მაგრამ სხვანაირად არ შემიძლია…..არავისთვის ცუდი არ მინდოდა..ახლა ყველასთვის მინდა…..ყველა მძულს..არც მე მინდა მესმოდეს ბავშვების ხმა როგორ თამაშობენ..მგონია უჰაერობით მოვკვდები….

-დემეტრე ვიცი….გინდა გაქრეს ეს თამაში..გინდა არავინ ითამაშოს…..ყველაფერი გტკივდება როცა წამოიდგენ….საკუთარი თავი გეცოდება და ეს ყველაზე მძიმეა….გეშინია რომ ვერ გაუძლებ..გეშინია რომ ისეთად იქცევი როგორიც არ ხარ….ვიცი დემეტრე…..ძალიან რთულია…თანდათან უფრო რთულდება..ზოგს გონია, რომ ეჩვევი არადა სისულელეა, მხოლოდ მალავ..ღრმად ჩქმალავ, რომ შენც კი ვეღარ მიაგნო, მაგრამ ყოველდღე გამოდის, ყოველწუთას გახსენებს თავს და თუ უბრალო ბურთიც კი დაინახე ქუჩაში ან წარმოიდგინე დამშეული ნადირივით გამოვარდება სხეულის შიგნით და ორგანოებს გიფლითავს…. არ ვიცი ეს რა არის..არ ვიცი ეს სხვებსაც აქვთ თუ არა..უბრალოდ ვიცი, რომ ეს მხოლოდ ფეხბურთზე არაა ყველა ადამიანს ექნება იმის მიმართ რაც უყვართ…..ზოგს ექიმობა ისე უნდა მოკვდება რომ ვერ მიახწიოს..ზოგს იურისტობა…მომღერლობა..არ ვიცი ყველაფერი…ადამიანში არის რაღაც რასაც რეალიზება სჭირდება თუ ის არ გამოვიდა შიგნიდან ჭამს მერე..ხრავს ძვალს……დემეტრე არ იფიქრო, რომ ეს გაივლის…..უფრო გაძლიერდება ახლა ვერ იჯერებ….ახლა ვერ გრძნობ, თანდათან უფრო გაგაგიჟებს….რომ იგრძნობ რომ შეეგუე ეს უფრო მეტად აგიჯანყებს სურვილებს…….დემეტრე გაფართოებული თვალებით უყურებდა…ისე იყო თითქოს საშინელებათა ფილმის მთავარი გმირი იყო….

-ხომ გესმის რას გეუბნები? ის რაც შიგნით გაქვს უნდა გამოვიდეს! უნდა იპოვო საკუთარი თავი..რომ ხელები გაშალო და ჰაერზე იარო……შეგუებას თუ დაიწყებ შეიძლება გაგიჟდე….მამა უნდა გააკეთო ყველაფერი, რომ ის გახდე რაც გინდა…..

დემეტრემ არაფერი უპასუხა, მაგრამ ისეთი თვალებით შეხედა, რომ აშკარა იყო ნიკასთვის რასაც გულისხმობდა….თვითონ 28 წლის ასაკში ის გადაწყვეტილება მიიღო რის მიღების უფლებასაც დემეტრეს არ აძლევდა….

-მე..ჩემი სხვა იყო…..წამიერი გადაწყვეტილება ერთ ფრაზაზე დაყრდნობით მივიღე და დღესაც არ ვნანობ….ბაბუაჩემი ხშირად მიმეორებდა…"სწორი ისაა რაც რთულია" ჩემთვის მაშინ თამაში იყო ყველაზე ადვილი..აუცილებელიც კი…..წყილის დალევა შეიძლება არ გინდოდეს უდაბნოში ისე როგორც მე ვარჯიში…მაგრამ ვიცოდი ეს იყო ყველაზე ადვილი გზა, ვიცოდი რომ ვერასოდეს ვიქნებოდი ის რაც მინდოდა….ყველაფერს იმ საშუალო თამაშს შევწირავდი რაც ჩემი მაქსიმუმი იქნებოდა იმ შემთხვევაში…მე ვეღარასოდეს ვიქნებოდი უკეთესი…გუნდს მალე ტვირთად დავაწვებოდი და აუტანელი გახდებოდა ეს ჩემთის ვითამაშებდი ისეთ კლუბში რომლის თამაშზე დასწრებაც კი არ მენდომებოდა….დემეტრე გავაფუჭებდი ყველაფერს რაც კი

იქამდე ვაკეთე..შენ შენ კი ახლა იწყებ…ახლა უნდა თქვა ვინ ხარ….შენ იმხელა ძალა გაქვს ჯერ შენც კი არ იცი….ამას მუშაობით გამოაჩენ….ბევრჯერ გაგაოცებს საკუთარი თავი….დემეტრემ პირველად მოისმინა მიზეზი რის გამოც მამამისმა ფეხბურთი დატოვა….ამაზე არასოდეს უფიქრია, არც ასე შეუხედავს…..

-დემეტრე დღესაც ისე მოვიქცევოდი…..რთულია, მაგრამ იმ ტანჯვას რასაც საშუალოდ ყოფნით იღებ ადამიანი ჯობია…..ნიკამ ხელი გადახვია და შვილი ჩაიხუტა…..ამდენი ხნის მერე..ისე მონატრებოდა..ისე ეუცხოვა და ეახლოვა….ისეთი ახლო იყვნენ ერთმანეთსთვის ნიკამაც ვერ შეიკავა ცრემლები…..დემეტრეს გამხდარი ხელები ასე თამამად პირველად მოეხვია მამამის….ბოლოს სამი წლის იყო პუტკუნა ხელებს რომ ძლივს აწვდენდა მამამის….კარებთან ატუზულ სილუეტს მოკრა თვალი….
-ტასუნა შემოდი..დაუძახა ნიკამ..ანასტასიას წარმოდგენა არ ჰქონდა რომ ჩანდა და დაქაჩული თვალებით შევიდა ოთახში….

-მოდი მამა..როგორ ატუზულხარ, გეგონა არ ჩანდი…..გამობზეკილი მუცელი და ფეხსაცმელები გიჩანდა..

-თვალები რომ არ უჩანს და თვითონ ვერ ხედავს გონია სხვაც ვერ დაინახავს გაეცინა დემეტრეს. ანასტასია დემეტრეს მიეტუზა და მიეხუტა..აქამდე ვერ ბედავდა, დემეტრემაც მოხვია ხელები და უფრო აუცრემლიანდა თვალები..

საწოლზე იყო დამჯდარი და თავი ხელებში ჩაერგო…მხრების მოძრაობით მიხვდა რომ ტიროდა….მის ფეხებთან დაჯდა და თავი კალთაში ჩაუდო…

-გახსოვს მაშინ რომ მკითხე ქალი რომ ვყოფილიყავი…..ელენე დაიბნა სულ სხვა რამეზე ფიქრობდა..

-რაზე მეუბნები ნიკა….

-აი მაშინ..სულ ადრე…..ნამცხვრით რომ გამსვარე და ხინკალს, რომ ველოდებოდით…..

-არ ივიწყებ ჩემს უხეშობას…..

-ეგ ცალკე თემაა..გაიღიმა ნიკამ..მაშინ რომ მკითხე..გახსოვს რა გიპასუხე?

-არ მახსოვს…..თავი დახარა ელენემ…..

-რომ იტყუები არაა საჭირო თავის დახრაა…..

-არ ვიტყუები..ნიკა..კარგი რა..ხო კარგი იქნებოდი დედა….

-მადლობა გულახდილობისთვის დაგვიანებულის, მაგრამ მაინც….მაგ პასუხს ჩემგან ვეღარასოდეს გაიგონებ…..ჩემთვის იმდენად წარმოუდგენლად კარგი დედა ხარ…ვერასოდეს ვიქნებოდი შენნაირი…..სხვა შემთხვევაში კი არ მენდომებოდა…..

-შენგან უზარმაზარ რაღაცას ვიღებ…..წარმოიდგინე ქალად ყოფნაზე მელაპარაკები ასე მოურიდებლად…ეს შენგან წარმოუდგენლად წარმოუდგენელია და მართლა ვხვდები რას მეუბნები…ჩემთვის ბევრს ნიშნავს…..

-არაფერს ცვლის მაგრამ ბევრს ნიშნავს…

-არა ცვლის..

–არაფერს ცვლის ჩემი დაგვიანებული ყველაფერი….არც რამეს უნდა ნიშნავდეს შენთვის მაგრამ ნიშნავს და მართლა ეგოისტურად ბედნიერი ვარ…..ყველაზე დიდი ეგოისტი ვარ მემგონი, მაგრამ ვგიჟდები შენზე…..ყველაფერი კარგად იქნება….ყველას მიმართ პრეტენზიული გამხადე, შენს გვერდით ვერავის ჩრდილს ვაყენებ…ვერავინ გიახლოვდება..სრულყოფილი ხარ არ გეუბნები, უბრალოდ ჩემთვის ყველაზე ყველაფერი ხარ….მგონია, რომ შენთან ჰაერი სულ არის..სხვაგან ვიხრჩობი…ვგრძნობ, რომ იქ არ ვარ სადაც მინდა…..

-დროს დროს ვპარავთ, როცა ჩვენთან მოდიხარ….. ელენეს სიტყვები მძიმედ გაისმოდა მათ ოთახში……

MWERALI.COM

თავი 24

საავადმყოფოდან თუ ასეთი ბედნიერიც შეიძლება გამოხვიდე არ იცოდა. ანალიზის პასუხები და ხელში დაჭერილი სამყაროს ყველაზე ბედნიერი წამები. ტკივილამდე მისული ბედნიერება. წარმოდგენა, რომ ეტყოდა მისი სახე..ამის გააზრება ბედნიერებისგან შლიდა და იცინოდა, იცინოდა უკვე ქუჩაში..უცნობების თვალწინ…სიცილი კი არა იფრენდა კიდევაც რომ შეძლებოდა, არაფერს მიაქცევდა ყურადღებას…..ხშირად მიფიქრია, რომ უბედურების მოთმენა უფრო ადვილია ვიდრე ბედნიერების, რომ ვინმეს არ გაუზიარო….რაღაც რომ გიხარია შეიძლება მოკვდე თუ ვერავის უთხარი….ელენე კი ტელეფონს საშინლად აწვალებდა, რამდენჯერმე დაუვარდა კიდეც….ნიკას აკრეფილი ნომერი მერამდენედ გათიშა უკვე არ იცოდა….ეძებდა წამს, რლმელიც უნდოდა ყოფილიყო როცა ამას ეტყოდა…..გააფთრებული სიხარული ჩაებღაუჭა მუცელში, მხრებზე და დედამიწაზე სიარულით ფრენას ასწავლიდა..მართლა ისეთი სიმსუბუქე ჰქონდა სულში, რომ ეგონა მიწას არ ეხებოდა ან მიწა არ ეხებოდა…..მერე გათიშვა ვეღარ მოასწრო და ზარი გავიდა….სწრაფად გათიშა და ხელები ჰაერში აწია მომღიმარი სახით, ახლა ახტებოდა, იცეკვებდა..ირბენდა, მაგრამ სიხარულებს შორის ეს არის სიხარული, როცა ამის უფლება არ გაქვს….უკვე მარტო აღარ იყო სხეულში და ეს არამარტოობა აძლევდა ყველაფერს ფერს….მაშინ გამოერკვა ტელეფონის ვიბრაციამ რომ უკვე შეაწუხა…..NIK-013 ესე ჰყავდა ქმარი ტელეფონში ჩაწერილი და ამ ნომრის დანახვაზე უფრო ანერვიულდა, არ უნდოდა ესე ბანალური ყოფილიყო ყველაფერი, ტელეფონით შეტყობინებული, ასე მის სახეს ვერ დაინახავდა, ვერ დააკვირდებოდა მის განუზომელ სიხარულს….ელენე კი ნიკაზე მეტად მის ბედნიერ სახეზე იყო შეყვარებული….საკუთარ თავს ვერ ცნობდა..უკვე მისი ბედნიერებით ცხოვრობდა..მისი სურვილებით, ყველაფერს დათმობდა თუ ნიკას ესე უნდოდა…..ესე ეგონა, მაგრამ გულის სიღრმეში იცოდა, რომ ეს ყველაფერი იმიტომ არ იყო ზედმეტი, რომ ნიკასგანაც

იგივეს გრძნობდა. იცოდა მენაბდეს შეეძლო ყველაფრის გაკეთება მისთვის და თვითონაც ასე იქცეოდა, სხვანაირად არც შეეძლო….არაფერი აღარ უნდოდა მანამ სანამ ნიკას აზრს არ გაიგებდა…ეგონა აშავებდა თუ რამეს ისურვებდა ისე ნიკასთან, რომ არ შეეთანხმებინა ოცნებები….ზოგჯერ გიჟი ეგონა თავი ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე, რომ ოცნებობდა, თანაც იმდენად ძლიერად, რომ ხელშესახებიც კი იყო ეს სურვილი…..სამაგიეროდ იცოდა, რომ ნიკა მის წარმატებაზე ოცნებობდა….სტიპენდიაზეც კი…ელენეს ახირება იყო…უკვე რამდენიმე სემესტრი ცდილობდა….რომ არ გამოდიოდა, სულ ცოტა რომ აკლდებოდა. ნიკასი კი არ რცხვენოდა..აი ასეთ დროს ხომ შეიძლება შეგრცხვეს მის თვალში თუ ცუდად გამოჩნდები, ასეთ დროს ხომ არ გაინტერესებს დანარჩენი სამყაროს აზრი მთავარია იმან არ იფიქროს, რომ სუსტი ხარ….არ რცხვენოდა და პირიქითაც კი იყო…მანამდე ვერ ისვენებდა თუ იმას არ აუხსნიდა როგორ დაწყდა გულიი…..ისიც გამორიცხული იყო გაღიმებოდა..არ არსებობდა მიუხედავად იმის, რომ იმ დროს თანხა ზედმეტადაც კი მიაჩნდა და მასზე ნერვიულობა, მაგრამ არ იღიმოდა..არა იმიტო, რომ ელენეს არ წყენოდა..არა მართლა ესმოდა მისი და როცა ესმით სისულელედაც, რომ მოგეჩვენოს მაინც არ ხარ სხვა განწყობით როგორც ის არ არის….მაშინ ნიკა, რომ მათეს უხსნიდა, რომ სიყვარული არ არსებობდა..რომ სიყვარული იყო მხოლოდ კომფორტი..აი ეს კომფორტი ჰქონდათ ურთიერთობაში…..ჰარმონია..როცა არ ლაპარაკობენ უპირატესობებზე, როცა წარმატება მთავარია, მაგრამ იციან, რომ მარცხი მოსალოდნელი და გადასატანი….ნიკასაც არ ერიდებოდა თუ ცუდად ითამაშებდა, ელენე ამ დროს ყველა მის თანაგუნდელზე ბრაზდებოდა, მსაჯზე, მწვრთნელზე, ყველაზე ვინც იყო და ვინც არ იყო შუაში….ნიკა ამ დროს ყველაზე უდანაშაულო იყო მის თვალში..ის სულ უმეორებდა, რომ მისი ბრალი იყო..ვერ მოისვენებდა ელენეს რომ მართლა სხვების ბრალი გონებოდა და ისიც ყველაფერს იბრალებდა..ელენეს კი იმდენად ჯეროდა, რომ ნიკა როგორ შეცდებოდა, ან თუ შეცდებოდა სხვისი ბრალი უფრო იქებოდა, რომ ეს ყველაფერი მინიმუმ კარგ ხასიათზე დააყენებდა ადამიანს….ხმა დაიყენა, არაფრით არ დაუშვებდა რომ ხმაზე ქმარს მისი სიხარული შეემჩნია…..

-ელენე ზარის გამოშვებები როდიდან დაიწყე….როგორი ჟმოტი ხარ…..ხარხარებდა იქიდან ნიკა..ელენემაც ისე გულიანად გაიცინა..ისე გახალისდა, რომ ნიკა ცოტა დაიბნა არც ასეთი სასაცილო რამე უთქვამს….

-არ გამომიშვია, ხელი დამეჭირა ეტყობა თორემ მე არ მინდოდა დარეკვა….ტყუილზე ისე გაწითლდა მხოლოდ იმან გადაარჩინა, რომ ტელეფონით ელაპარაკებბოდა…

-ანუ ჩემთან დარეკვა არ გინდოდა? კარგი ვიმახსოვრებ.

-არა როგორ არ მინდოდა, უბრალოდ ახლა არ მინდოდა….უფრო სწორად არ განმიზრახავს, თორემ ისე შენთან ლაპარაკი სულ მინდა…

-გაჩერდი თორემ დრამანმა მოყოლა დაიწყო როგორ უკბინა ბებიამის ძაღლმა და მე გიჟივით ვიღიმი….ისეთი კმაყოფილი სახე მაქვს თითქოს გასახარებელ რამეს ყვებოდეს….უნდა ნახო რა სახე აქვს თვითონ…ელენემ კიდევ დიდ ხანს იცინა….სულ სხვა რამე იყო მიზეზი…..მაგრამ ამას არაფრით გაამხელდა….

-ელენე შენ ჩემს იუმორს დასცინი, თუ გულწრფელად გეცინება? თუ პირველი ყოჩაღ შენს გამბედაობას და თუ მეორე გემოვნების ექიმთან ჩაეწერე…..

-მიყვარს შენი იუმორი…ძლივს მოითქვა სული ელენემ…..

-დღეს კეთილი ხარ…სად ხარ პატარა?

-ახლა? დაიბნა ელენე საავადმყოფოს ხედავდა მარტო..

-არა გუშინ სად ხარ…. გაეცინა ნიკას და გასახდელიდან გავიდა, თორემ უკვე სირცხვილი იყო დრამანის ბებიასთან…და იმ ძაღლთანაც კი რამაც უკბინა….

-ოოო ნუ იცი ესე ხოლმე..ახლა სახლში მივდივარ..ნიკო შენ მალე მოხვალ?

-ახლა ვარჯიში მეწყება ელე და საღამოსთვის მოვალ..

-არსად წახვიდე რა, მალე მოდი…..მალე მორჩი……როცა მორჩები მაშინვე…ნიკა ადრე წამოდი რა….ბოლოს ვეღარ მოითმინა და უთხრა რაც უვხნდოდა…..

-ელენე რამე მოხდა? თუ რაღაცაა ახლავე წამოვალ…..

-არა, არაფერი, უბრალოდ მომენატრე…..არ დაიწყო ახლა რაღაცები….ზოგჯერ ერთი წამიც, რომ გავიდეს უკვე გენატრება……

-შენ ასეთი თბილი გოგო არ ხარ და დღეს ძირიდან, ხომ არაფერი აიღე?

-არა ნიკა არაფერი ამიღია…..

-გაჩერდი…..რას მეუბნები…გუშინ, რომ დაგინახე რაღაცებს კრეფდი და პირში მიგქონდა……

-რა დეგენერატი ხარ….

-მადლობა შენც….

-ნიკო მოდი რა მალე..

-არა პატარა ელენე, ვარჯიში მაქვს და თუ არ კვდები ისე ვერ წამოვალ, თუ ავარიაში მოყევი ან გული გაქვს ცუდად მაშინ როგორმე გამოვალ…

-შენ ხარ ყველაზე ცუდი ქმარი….მოდი რა….

-ელე ხომ იცი…..მოვალ, მაგრამ ცოტა გვიან….

-კარგი გელოდები….მიხარია, რომ შენი ატანა ასე სასიამოვნოა….

-და შენ არ გინდოდა ხომ დარეკვა…..უბრალოდ ჟმოტი ხარ, ერთი საათი მელაპარაკე და მე დამახარჯინე…..

-კარგი ნიკა ნუ ხარ ბოროტი….დაგელოდები…..

-ელე მომენატრე და გიყვარვარ…..სწრაფად გათიშა ნიკამ, ელენე გიჟდებოდა ხოლმე ამას რომ ეუბნებოდა, მერე უყვიროდა მე კი არ მიყვარხარ შენ გიყვარვარო….მერე აღარ აიღო ნიკამ ტელეფონი…. თუმცა წერილი მაინც მოუვიდა. „შენ გიყვარვარ!!!!!!!“ ღიმილით აკრიფა მენაბდემ წერილი. „კი ეს სწორი პასუხია თქვენ მოიგეთ უთო!!!!“ ელენე სიცილისგან თავს ვეღარ იკავებდა…..

ზოგჯერ გონება ძულდა..ნერვები ეშლებოდა რომ მიუხვდა რაზეც ურეკავდა…..არც იმ დღეების ფორიაქი გამორჩენია, ელენე რომ ამ დღეებში იყო….არც ის, რომ ექიმთან რეკავდა ხშირად….არც ის, რომ საშნლად არ უნდოდა ნიკასთვის ეგრძნობინებინა რომ უკვე თითქმის დარწმუნებული იყო ფეხმძიმობაზე და არ უნდოდა მისთვის იმედი ტყუილად მიეცა…..ახლა კი მის ხმას ჰქონდა ისეთი რამ რაც აგრძნობინებდა, რომ მარტო აღარ იყვნენ…….ნიკა ისე აიჭრა ამას, რომ მიხვდა, რომ აღარ იცოდა რაზე ეხუმრა, რომ მასაც ეცინა..არ უნდოდა ელენესთვის ის წამი წაერთმია ცოლები, რომ ეუბნებიან ქმრებს……სახლში წასვლას აპირებდა მაშინვე დრამანის ბებიას, რომ სსასწრაფო ოპერაცია დასჭირდა და ყველა იქ წავიდნენ, ნიკა კი იძულებით წავიდა…. უკვე დაგვიანების ზღვარსაც, რომ გადააჭარბა ელენეს ცრემლები წამოუვიდა, სანთლებიც ჩაუქვრა და მისთვის გამზადებული ვახშამიც გაცივდა…..ვერაფრით მიატოვა ანერვიულებული დრამანი, ელენესთვის მიწერაც არ უნდოდა…საშინელი შეგრძნებები ჰქონდა იქ რომ იყო და იცოდა ელენე როგორ ელოდებოდა…..

უკვე შუა ღამე იყო კიბეები ფეხით აიარა…..ცრემლიან თვალებში მაინც გამოჩნდა ნიკას მანქანა და ფანჯარას მალევე მოშორდა…კარებთან იდგა, მაგრამ რამდენიმე წამი დაელოდა სანამ გააღებდა ნიკას რომ არ ეფიქრა ასე, რომ ელოდებოდა….კარი გააღო…..

-მოდი, მაინც ვერ შეიკავა ღიმილი მისი დანახვისას….ნიკა კედელზე იყო აყუდებული და დარცხვენილად იღიმოდა…..

-მოდი დაღლილი იქნები, ვარჯიშიდან მოდიხარ… ნიკა არ გარხეულა..

-არ ვყოფილვარ ვარჯიშზე, დრამანის ბებიას ოპერაცია გაუკეთეს და იქ მომიწია წასვლა…..ელენემ გაუღიმა….აშკარად ჩანდა, რომ რაღაცას მალავდა ნიკა უკან წაღებული ხელებით….

-ნიკა შემოდი რატო დგახარ….

-მაპატიე, ელენე დაიბნა…მერე პატარა ბურთს მოკრა თვალი..მაპატიე, რომ ვერ მოვითმინე არ მეყიდა იმისთვის…..ვიცი ძალიან ცუდად ვიქცევი რომ ვერ ვითმენ შენ მითხრა..მაგრამ ისედაც შემატყობდი ამას მაშინ მივხვდი კიბეებზე, რომ ამოვდიოდი…..ელენემ გაუღიმა, ოდნავ ჩაწყდა რაღაც თავიდან ვერ იცნო რა იყო, მერე მიხვდა, რომ ბავშვის ბურთმა ატკინა რაღაც…..შეგრძნებამ, რომ ნიკამ გადაუწყვიტა, რომ ბიჭი იქნებოდა…..მენაბდემ მძიმედ

გადმოდგა ნაბიჯი და სახლში შევიდა….მერე მეორე პარკიც გამოჩნდა სულ ვარდისფერი იყო…..მხიარული ფერები….ელენეს სასაცილოდ აჩვენებდა…

-მე არ ვიცი…..არ მინდოდა რომელიმეს გული დაწყვეტოდა…..ისიც არ შემეძლო, რომ ესენი არ მეყიდა….აუ ამ შეგრძნებით სხვანაირად ყიდულობ ყველაფერს…..ვიცი ამბობენ რომ ტანსაცმელებს არ ყიდულობენ, მაგრამ ნახე ეს კაბა როგორ მომეწონა….ვარდისფერი საყვარელი კაბა ამოიღო..ელენემ მარტო ფერი დაინახა დანარჩენი ვეღარაფერს აღიქვავდა….რომ არ მეყიდა ვერ გამოვიდოდი……არ ვიცი როგორ გითხრა როგორი ბედნიერი ვარ…..არ ვიცი ეს ცხრა თვე ალბათ ყველაფერს ორივესთვის ვიყიდი, სხვანაირად არ შემიძლია ასეთ პატარა ნივთებს, რომ ვხედავ მაჟრიალებს…..უბრალოდ არავის უთხრა, რომ ასე ვლაპარაკობ ხოლმე ზოგჯერ….იმათ სერიოზული კაცი ვგონივარ…ისინი ვერ იგრძნობენ და გრძნობების მოშორებით ჩემი საქციელი სასაცილო იქნება…..ელენე საოცრად ბედნიერი და ატირებული თალებით უყურებდა….. ბურთი და კაბა გამოართვა…ორივეს გაეცინა…..

-მე ესე ვერ მოახერხებდი რომ მეთქვა, როგორც შენ მე მითხარი ის რაც ისედაც ვიცოდი…..გეფიცები სულ მაოცებ…..სულ მგონია, რომ საოცრება ხარ…სულ ვცდილობ უკეთესი გავხდე, რომ სულ გიმსახურებდე……მთელი სამყაროს ბედნიერება ვერ შეედრება შენ რომ ასეთი ხარ იმ შეგრძნებებს…..ნიკამ კისერში აკოცა და ჩაიხუტა…..

-შენ ხარ ის ვისთვისაც ყველაფერი მიღირს. არაფერია ამ შეგრძნებაზე საოცარი..უკვე თქვენ…..ყველაფერი ხართ ჩემთვის ელენე… უფრო სწორად მე აღარ ვარ მე, როცა თქვენ არ მყავხართ…..უკვე ეტყობოდათ, რომ სხვანაირი მშობლები იქნებოდნენ, აი ისეთები პირველ კიჭს, რომ იწერენ როდის ამოუვიდა….ნიკამ თამაშებზე წამოსვლა აუკრძალა ინერვიულებო, მაგრამ ელენემ დაარწმუნა, რომ სხვანაირად უფრო არ შეეძლო…უკვე სტადიონზე საკუთარი სკამი ჰქონდა სადაც სულ იჯდა, არ შეეძლო რამეს არ დასწრებოდა, სხვა ქალაქებში თამაშების დროს ტელევიზიით უყურებდა და უკვე მართლა ეგონა, რომ ზუსტად ისე განიცდიდა, როგორც ნიკა…..ამ დროს გრძნობდა, რომ ნაყოფი უფრო მოძრაობდა…..ეცინებოდა…თითქოს პატარასაც უნდოდა ყურება…..

……..

-გამორიცხულია არ შეყვება…

-შენ ჩემს დას არ იცნობ, გაიცინა ცოტნემ…

-რა? რას ამბობ ჩემი ძმა ნიკოლოზ მენაბდე მშობიარობას დაესწრება? არ იუ ქრეიზი?…..ნონსენს!!!! ნიკა სისხლზე თავისიც, რომ იყოს გარბის…..

-ელენეს არ იცნობ! ჩაიღიმა ცოტნემ..

-შენ არ იცნობ ჩემს ძმას!!!! ორივე გაწბილებული დარჩა მათი დიალოგის მოსმენაზე….

-ნიკა არ გინდა, არ მეშინია..ცოტათი ძალიან…

-ელენე თუ გინდა შემოვალ მართლა..თან ცოლს სახეზე ხელებს უსმევდა და ცხვირზე კოცნიდა…

-არა ნიკა, შენ ვიცი არ შეგიძლია…..ელენეს ტკივილები ცოტა ხნის დაწყებული ჰქონდა….

-ეგ არაა მნიშვნელოვანი….შემოვალ თუ შენ ოდნავ მაინც მშვიდად იქნები..

-არა მე უფრო ვინერვიულებ შენზე….მინდა აქ იყო გარეთ….

-მომისმინე ყველაფერი კარგად იქნება, თუ შეატყე, რომ გიჭირს საკეისრო მოითხოვე გაფრთხილებული მყავს, შენ ეს ტელეფონი გქონდეს და დამირეკე თუ გადაიფიქრე და შემოვალ…..ნიკამ ტელეფონი ხელში მიაწიდა და ხელებზე აკოცა….

-არა საკეისრო არ მინდა…..სინამდვილეში კი იცოდა ნიკას არ უნდოდა გულისსიღრმეში..იცოდა რომ ბუნებრივი მშობიარობით დაბადებულ ბავშვებს უფრო ბრძოლისუნარიანებად თვლიდნენ და მიუხედავად იმის, რომ ნიკას არასოდეს უგრძნობინებია…იცოდა არ არსებობდა ტკივილი, რომელსაც არ გაუძლებდა, რომ მას გული არ დაწყვეტოდა…..თავადაც უნდოდა…იცოდა, რომ დედებისთვის….ეს ტკივილი გარდაუვალი იყო და უნდა გაეძლო…..როცა ელენე ოთახში შეყავდათ, სანამ მშობიარობა დაეწყებოდა ნიკა შებრუნდა….

-ელენე მართლა შემოვალ, მარტო არ მინდა იყო….

-არა ნიკა გთხოვ….არ მინდა..ვიცი, რომ მაინც ჩემთან ხარ…..

-თუ ოდნავ მაინც..მომისმინე როგორც შენ გინდა რა…ჩემ გამო არ…..

-ნიკა მართლა ისეა, როგორც მე მინდა…..

მათე და ცოტნე გაოცებულები იყვნენ…ნიკას ისეთი ფერი ედო ვეღარ დაცინეს……ისე არაფერი განუცდია……ისე ენერვიულებოდა ორივე, რომ ნერვიულობა ორგანიზმს უჭამდა…… ფრანგულად მილოცილი ბიჭი რამდენიმე წამის შემდეგ დავიდა ქართულზე, მერე გააზრებაზე, რომ მამაა..მერე დემეტრემდე…..მერე იმ აზრამდე, რომ პასუხისმგებლობა საშინლად სასიამოვნოდ გაეზარდა……ბედნიერება ეგონა, რომ მხოლოდ ახლა იგრძნო, როცა შვილი ჰყავდა….

……

დემეტრე ისე თავისთავად მოექცა ყველაფრის სათავეში, რომ გააზრებაც ვერ მოასწრო. სულ ყველაფერს მისთვის აკეთებდა. ზოგჯერ ფეხბურთის ყურებაში ღამეებს აბავდა. ამდენი წელი იყო ზედ არ შეუხედავს, ცდილობდა ყველაფერი გაეხსენებინა, აღედგინა, წარმოედგინა, ისევ დაელაგებინა…..უკვე იცოდა, რომ მწვრთნელი იქნებოდა, მაგრამ მანამდე დიდი დრო იყო დარჩენილი. არ უნდოდა რამე დაეწყო და არ ყოფილიყო თავის თავში დარწმუნებული.დემეტრეს დღე იმედები აღიმებდა ღამე კი საშნელება იყო, თითქოს მარტო

ტოვებდა ყველა და ყველაფერი, თითქოს იმედები ღამის სიბნელეში იკარგებოდნენ და ირეოდნენ. არ უყვარდა ღამე ამ დროს ყველაზე სასოწარკვეთილი იყო….ვერც კი წარმოედგინა თუ რამე კარგი ხდებოდა ან მოხდეებოდა მის ცხოვრებაში….ერთადერთი კარგი მოუტანა ამ ყველაფერმა..ნიკასთან ურთიერთობა გამოუსწორდა…თითქოს საკუთარი თავის იმ მდგომარეობაში ნახვამ და შეუძლებლობების გააზრებამ მამასთან უფრო დააახლოვა..არ მოსწონდა მისი ათი წელი მაგრამ გაუგო..გაიგო რას გრძნობდა დაახლოებით და თითქოს დაალაგა სად უნდა ყოფილიყო პატიება, სად მეხსიერება, სად წყენა , სად სიყვარული და სად პატივისცემა….ნიკაც არ იყო ისეთი თავხედი ვინმესგან შეუძლებელი მოეთხოვა და ურთიერთობის ბზარები წყენოდა..უბრალოდ იცოდა, რომ ყველაფერი დამსახურებული იყო….დამსახურებული წყენა და უფრო მეტი სიკეთე ვიდრე იმსახურებდა….

-ანასტასია ნუ დარბიხარ..დაგეშალა დედა თმა….დაისვრები….ელენე თან თმას ისწორებდა თან ელაპარაკებოდა..

-დედიკო პატარძალთან რომ დავჯდე შეიძლება? გამოვარდა მეორე ოთახიდან და დედის ოთახის კართან სწრაფად გაჩერდა….

-არ ვიცი, თავიდან არა, ცოტა მერე ალბათ კი..გაუცინა ელენემ…

-თამაზი ძიას ახლა რატომ მოყავს ცოლი მამაც ხომ მისი ტოლია და უკვე რომ ჰყავს?

-თანაც ორი…მეორე ოთახიდან ყავარჯენს დაყრდნობილი დემეტრე გამოვიდა და წარმოდგენა არ ჰქონდა ამ სიტყვებით როგორ ატკინა დედას გული…..მარტო იმის გამო რომ მაკიაჟი გაუფუჭდებოდა არ შეუკავებია თავი, არ უნდოდა რომელიმეს ეგრძნო, როგორ ყველა სიტყვა ნიკასთან დაკავშირებული, როგორ 16 წლის გოგოსავით ახლა რომ იწყებს ამ ყველაფრის გაგებას და ყველა შეგრძნება გაფაქიზებული აქვს ისე განიცდიდა…..თითქოს ის ნიკა არ იყო ის ვისი მოსვლაც შიშთან და იმედგაცრუებასთან იყო დაკავშირებული…..

-მამას შვილებიც ჰყავს..ესე შეიძლება დედა თამაზი ძიას, რომ არ ყავს შვილები?

-საბავშვო გადაცემებში, რომ გახვიდე ყველას მოეწონები..გაუცინა დემეტრემ….ტასიკოც გაინაზა და გაბრწყინდა..

-იმიტომ, რომ ყველა შენ დაგცინებს! ჩაუყარა წყალში ყველაფერი უფროსმა ძმამ..იმ მომენტშ დედოფლად წარმოდგენილ ტასიკოს….ანასტასიას ნიკაპი აუკანკალდა და ხმა აღარ ამოუღია..დემეტრეს რომ ხმა აღარ გასცა ცოტა დაიბნა…

-ანასტასია რატომ გაჩუმდი, მიეპარა ზურგიდან და ლოყაზე აკოცა….უფრო აუკანკალდა ნიკაპი და თვალებიც აუცრემლიანდა…..

-გეწყინა ჩემო პატარა..გეხუმრე..დემეტრეს არ შეეძლო ამ „წერტილის“ ესე ყურება..

-შენ, რომ ვინმემ დაგცინოს გავგუდავ….ესაა საკუთარ თავს ვერაფერს ვუშავებ….ეს თქვა და მძიმედ ჩაწყდა რაღაცა..ელენემ განზრახ არ მიაქცია ყურადღება, რომ დემეტრეს არ ეგრძნო მისი

რეაქცია…მთელი გზა ტასუნას შემორიგებას მოუნდა დემეტრე და ბოლოს მაინც გააცინა……სვეტიცხოველში ხალხმრავლობა იყო…..უამრავი თეთრი კაბა იყო და ტასუნა ყველაფერს აღფრთოვანებული უყურებდა, სურათების მომაბეზრებელი გადაღებაც კი სასიამოვნო საყურებელი იყო მისთვის….დემეტრეს უჭირდა ყავარჯნებით სიარული, მაგრამ ელენეს არც უფიქრია მიხმარებოდა….იცოდა არ უნდა მიჩვეოდა სუსტად ყოფნას….

-ნახე როგორი სიმპატიური სიძეა..გაიცინა მაიამ და ელენეს გვერდით ამოუდგა….

-ხო პატარძალიც ძალიან ლამაზია….გიო სადაა მაი?

-ჩემი მეუღლე დღრესაც მუშაობს..მაგრამ თუ ახლა ნახევარ საათში არ მოვა მერე ჩემი მეუღლე აღარ იქნება..შემპირდა სამისნახევრისთვის….ელენეს გაეცინა მაიას სიკაპასეზე….

ნიკა დაბმული იყო უხილავი თოკებით, როცა მის გვერდით ლიკა იყო..ამ მდრო კიდევ უფრო მეტად უნდებოდა უბრალოდ დალაპარაკებოდა..მაგრამ არ მისულა იცოდ ზედ დაეწერებოდა ყველაფერი…..ელენეს მუხლამდე იასამნისფერი კაბა, დატალღული და მსუბუქად აწეული ჩალისფერი თმა, მაკიაჟით გამოკვეთილი ნუშისებური თვალები…..მისთვის მისი გამომეტყველება….დარდიანი სინათლე თვალებში….თხელი მხრები და არაფრის სურნელი…..ეს ყველაფერი გამაგიჟებლად სანატრელს ხდიდა მისთვის…..დროს საოცარი თვისებები აქვს….მონატრების გამოწვევა კარგად ეხერხება და ზოგჯერ ეს სიყვარულს დაფარვის მცდელობის მიუხედავად ზედმეტად აშკარას ხდის…..

ნიკა თვლიდა რომ ბელთაური ბედნიერი კაცი იყო….სულ ამას თვლიდა….იცოდა ყველა ბედნიერია ვისაც აშკარად შეუძლია იმის თქმა რასაც გრძნობს..არაფერს იხვევს და არის ის რაც მართლა არის…ნიკას კი ასე ცხოვრება ზედმეტად პრიმიტიულად მიაჩნდა….ამან მთლაიანად დაუჟანგა ხასიათი და გაუფუჭა….ახლაც უყურებდა როგორი ლაღი იყო ბელთაური და გულწრფელად უნდოდა მასსავით შეძლებოდა ცხოვრება….ცოტნემ ისე ჩაუარა ზედ არ შეუხედავს…..იყვნენ ესე უცნობებივით ერთმანეთისთვის….ვერაფრით აპატია ცოტნემ თავისი დის ტანჯვა..ამის გამო და იმის გამოც, რომ მისი და ასე ყველაფერს იტანდა მოუწია, რომ მათთან შეხვედრა აუცილებელი დღეების გარდა არ მომხდარიყო….ვერაფრით ხსნიდა ცოტნე ასე როგორ შეიცვალა მენაბდე, ვერაფრით აკავშიებდა ძველ და ახალ ნიკას….

რესტორანში მენაბდე არ წაყოლიათ და ბელთაურის სახეზე კი ამოიკითხა ყველა ბრაზი…ისედაც დიდ ხანს არ გაჩერებულა ტაძარში გარეთ ანასტასიასთან ერთად არტყავდა წრეს ტაძარს..ის არ იღლებოდა…არ იღლებოდა ნიკაც, როცა ასე ახლოს ყავდა ის ვინც სულ ენატრებოდა…..დემეტრეს გარეთ იჯდა კიბეებზე და ტაძრის ფასადზე გამოსახულ მარჯვენას თვალს არ აშორებდა…..

-დაგჭრი რომ არ მოხვიდე! ყურთად გამოსცრა ბელთაურს..

-მუქარებს არ ვართ..ხუმრობაში გაუტარა ნიკამ..

-წამოეთრიე, თორემ აგაორთქლებ საერთოდ..

-წყალი არ ვარ…..

-მე გითხარი! თვალი ჩაუკრა თამაზმა და ნინასკენ წავიდა.

საზეიმოდ იყო ყველაფერი მორთული..დიდი ხნის ნაფიქრი და დაგეგმილი….უახლოესი ადამიანები, მხოლოდ და მათში მთელი ნაკრები…. დრამანი და რამდენიმე ახლო გუნდელი….იცოდა ამათ გამო არ უნდოდა ნიკას მისვლა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ მაინც მივიდოდა უბრალოდ შეიძლებოდა გვიან ყოფილიყო….დამონტაჟებულ ეკრანზე ბელთაურის გამორჩეული მომენტები გადიოდა….დარბაზი „საფეხბურთო“ სტილში იყო მორთული, მაგრამ გადატვირთული არ იყო და ეს უფრო მეტ სისადავეს მატებდა…..მოულოდნელად რატომღაც ყველა გაჩერდა….სტუმრების უმრავლესობა ეკრანს უყურებდა…..ნიკას ხმა რომ გაიგონა მაშინ მიტრიალდა ელენე ეკრანისკენ….უზარმაზარ მონიტორზე ნიკა ჩანდა ნახევრად და თვალებს იფშვნეტდა….

-აუ თაზო მეძინება რა……

-წამოდი იცი რა მაგარი იქნება..ელენესაც უთხარი, ცოტნე და მათე უკვე ეგრიი ვიზ მიი რაა….

-თავი გამისკდება მგონია….გუშინ ამოთრეულიყავი რომ მოგწერე…რა დღეში ვიყავით…აუ ცოტნემ და მათემ რაღაც სასმელები ამოიტანეს…კი არ დამათრო მომწამლა ეგრევე..ისე ცუდად ვარ….თავი ზოგჯერ მგონია არ მაქვს ზოგჯერ რამდენიმე..ნუ საუკეთესო ვარიანტში ერთი და ძალიან დიდი…ყველა იცინოდა ელენეს და ბელთაურის გარდა..თამაზი სწრაფად ადგა და ეკრანის გამოსართავად მივიდა…..ვერც ერთი კაბელის გამოძრობით ვერ გათიშა…..ზემოდ იყო ჩამოკიდებულ და ძლივს წვდებოდა…..

-აუუ წამოდით რა….აქ რომში უნდა აღვნიშნოთ ჩვენი ევროპაზე გასვლა…..უეჭველი ახლა მაგას წყალი და ლიმონათი არ გაუვაა..

-წყალი და ლიმონათი არ ვიცი, მაგრამ ბურთი ნამდვილად გაგივა, აი უკვე მერამდენე დღეა მაგას აღნიშნავ ისე ნუ იზავ ვეღარ ითამაშო….მართლა ცუდად ვარ გეფიცები….ხო იცი არ გაგიტეხავდი, მაგრამ შენ არ იცი რა დამალევინეს.. ყველას ეცინებოდა…თამაზი კი უკვე ფერდაკარგული იყო…..იმის გააზრება, რომ ყველას შეიძლება ენახა რა მოხდა აგიჟებდა…

-შავი იუმორიც პრინცი ხარ, რა დაგალევინეს ისინი უკვე ადგნენ და დაბლა უკვე ლუდს სვავენ რატომ ხარ შენ ესე ჭირიანი…..

-აუ ეგენი შეჩვეულები არიან….ადგნენ? არ იცი რამდენი დალიეს მეგონა ხვალამდე თავს ვერ აწევენ….

-ელენესაც უთხარი და დაბლა გელოდებით..

-არა ელენე ახლა მერვე თვეშია არ შეიძლება მასეთ ადგილებში და მე თავი მეცხრეში მგონია ისე ცუდად ვარ……

-მენაბდე იძულებითი აღსრულების ნორმებს არ მივმართო ფრთხილად იყავი……შენს დაჩქარებულ მშობიარობას არ ვგულისხმობ..ისე თუ მეცხრეში ხარ დაჩქარებული აღარ გამოდის. ნიკა სასაცილოდ დაეღრიჯა…

-დაიძინე რა ბელთაური….სასტუმროს მოაჯირთან იდგნენ და კიდევ კამათობდნენ…

გაურკვეველი იყო რა კამერით იყო დაფიქსირებული…..ელენეს ეგონა სხეული დაეშალა..ვერაფერს ახერხებდა..ბელტაური უკვე ყვიროდა გამოერთთ, მაგრამ არავინ იგონებდა…..კადრები კი ისევ მიდიოდა…

-აუ ჟურნალისტები მოვიდნენ, უნდა გავასწრო..დაიჯღანა თამაზი…..

-კარგი მე ოთახში შევალ და რამე გაზიანი ამომიტანე რა გთხოვ…..ნიკა მიდიოდა, როცა ვიღაც ქალი და კაცი მიუახლოვდა…

-ბატონი ნიკოლოზ…ქართულის გაგონებაზე იტალიაში გამორიცხული იყო არ გაჩერებულიყო…

-დიახ..

-თქვენი დახმარება გვჭირდება..გადაცემას ვამზადებთ და ერთ-ერთ მანდილოსანს სურს თქვენთან ვახშმობა…..

-ბელთაუს სცალია ახლა თან დიდი ხნით..გაიღიმა ნიკამ და გზა გააგრძელა..

-ძალიან გთხოვთ…..რა ამპარტავანი ყოფილა ჩაიბურტუნა ქალმა….

-ბოდიში მაგრამ მართლა ცუდად ვარ…არ შემიძლია საჭმლის წარმოდგენაც კი……

-არ მეგონა ასეთი თუ იყავით სხვანაირი ჩანდით, თორემ თქვენთან ვახშომობის სურვილს ნამდვილად არ გამოვთქვავდი…… ნიკას სახე წაეშალა, მართლა არ უნდოდა ასე ვინმესთან გამოსვლოდა….

-უკაცრავად, ბოდიში თუ გაწყენინეთ, უბრალოდ მართლა ცუდად ვარ….კიდევ ერთხელ ბოდიში…ქალი მაინც არ ეშვებოდა..ჟურნალისტმა ტელეფონს დახედა, რაღაც შეტყობინება მიიღო და ბელთაური სწრაფად გაიყვანა გვერძე, ისე, რომ კიბეებიდან ამოსულისთვის არ გამოჩენილიყვნენ…ისე იყო გაბრუებული ნიკა რამდენიმე წამი ვერ მიხვდა რატომ დაეტაკა ესე მოულოდნელად ქალი და რატომ კოცნიდა ესე გამალებით……ნიკასთვის არ ჩანდა, მაგრამ კადრში ყველამ დაინახა როგორ ავიდა ელენე კიბეებზე და როგორ ტიროდა ნანახის გამო…..ნიკამ თვალი, რომ მოკრა იმით გამოერკვა…..ორი ბოთლი გაზიანი სასმელი ეჭირა ელენეს და ორივეს ხელი გაუშვა….გაბერილ მუცელზე ვარდისფერი ბანტი აჯდა….

-ელენე…ნიკა მისკენ წავიდა….მაგრამ სახეზე ხელი იგრძნო……

-არ მომეკარო..აღარასოდეს!!!! ღრიალებდა ელენე….ხალხი გაოცებული უყურებდა,, ბელთაურმა ეკრანს სკამი ესროლა……მაგრამ არაფერი გამოუვიდაა….ელენე უგრძნობი სახით უყურებდა მისი ცხოვრების ყველაზე მძიმე დღეს….

-კარგი..ნაწყენი ჩანდა ნიკა, მაგრამ აყოლა არც უფიქრია…ბელთაური და ის კაცი ამ ხმაზე გამობრუნდნენ…..

-ესაა ხომ შენი ერთგულება….ალბათ როგორ დამცინოდი შენი, რომ მეჯერა….ნიკა გაუნძრევლად იდგა და ისე უსმენდა მის ყვირილს…

-ელენე აქ ხალხია და არ მახსნევინებ…

-დამღალე, დამღალე შენი მოთმინებით, შენი ხალხია….ამახსნევინე, რა აგახსნევინო ხომ გაგაფრთხილე…..ელენე გატრიალდა თითქმის სირბილით ჩარბოდა კიბეებზე……ნიკა გაეკიდა….

-ელენე ფრთხილად..ელენე ფეხმძიმედ ხარ ნუ ჩარბიხარ..ელენე…მხოლოდ ამას ყვიროდა ნიკა..ელენე წამით გაჩერდა…..

-არ მომეკარო…..არ შემეხოოოო ხმამაღლა ყვიროდა….

-კარგი არ მოგდევ..კარგი…ხელები აწეული ჰქონდა ნიკას…ოღონდ ფრთხილად ჩადი..ელენე ფეხმძიმედ ხარ ფრთხილად ჩადი…..თითქოს არც გაუგონია, უფრო სწრაფი ნაბიჯებით ჩარბოდა……გააზრებაც ვერ მოსაწრო როგორ დაუცდა ფეხი…როგორ ხედავდა კიბის დაბლა უზარმაზარ სივრცეს და მაშინ, როგორ გაიაზრა ყველაფერი…..არ ახსოვს როგორ მოწყდა ადგილს, როგორი სისწრაფით წავიდა მისკენ..იმ მომენტში არაფერი არ ახსოვდა, მხოლოდ ის რომ არ უნდა დაცემულიყო…..საშინელი სისწრაფით გაჩნდა მასთან, მკლავში ხელი ჩაავლო და უკან გაწია თვითონ კი ინერციით კიბის მოაჯირზე გადავარდა….ვერც მოასწრო ხელი რამისთვის მოეკიდა..იმ მომენტში მარტო იმაზე ფიქრობდა ის არ დაცემულიყო…..ჰაერში ერთხელ დატრიალდა მისი სხეული და ზურგით დაეცა მარმარილოს იატაჯზე…რაღაცების ჩამსხვრევა იგრძნო, ტკივილი იმდენად დიდი იყო და ბევრი ვერ ხვდებოდა საიდან მოდიოდა…….ელენეს სახე გაარჩია..ცრემლეიანი სახე მის სახელს რომ ყვიროდა..მერე ხელი, რომ აწია მასთან შესახებად იგრძნო, რომ თითები დამტვრეული ჰქონდა…..

-კარგად ვარ არ ინერვიულო…ძლივს სუნთქავდა და ამას უმეორებდა…..მერე პირიდან სისხლმა ამოხეთქა ლამის დაახრჩო, ელენემ თავი ოდნავ წამოუწია, რომ არ გადაცდენოდა…სხეული მთლიანად ეწვოდა ეგონა ყველა ძვალი დაეშალა…დაცემისას ჯერ სუნთქვა შეეკრა ძლივს ამოისუნთქა….განძრევა, რომ არ შეიძლებოდა ეს იცოდა და ცდილობდ არ ემოძავა.. ელენეს სახე იმდენდ სასოწარკვეთილი იყო….ისე ტიროდა…

-კარგად ვარ ელენე..არ ინერვიულო..შენთვის არ შეიძლება….უბრალოდ ეტყობა ნეკნი დამიზიანდა და სისხლი ამიტომ….ცდილობდა მის დამშვიდებას..იცოდა ასეთ დროს სისხლი როგორი საშიში იყო და ელენეც ამის დანახვაზე მთლიანად კარგავდა ფერს. უყურებდა ელენე და გრძნობდა, რომ არ ახსოვდა…არ ახსოვდა, რომ ფეხბურთელი იყო…..მხოლოდ მაშინ

საკაცით, რომ აწიეს და მის ხორცს ფეხზე სიმძიმე დააწვა და თვალი მისკენ გააპატა დაინახა როგორ ეკიდა ფეხი მის ხორცზე..მაშინ ყველა და ყველაფერი რეალურად გაჩერდა….იქ ბევრი რამ დამთავრდა….საყრდენები ყველაფერს გამოეცალა…..იქ წამმაც კი მთელი შემზარაობა საუკუნესავით აგრძნობინა…..

გაუსაძლისად ხმაურიანი სიჩუმე იყო..გაუსაძლისად დამცირებული ყველაფრისგან….ვერაფრის შემჩნევა მოასწრო…სანდროს გაღიმებული სახე დალანდა მხოლოდ….მენაბდეებისთვის ეს იყო წარმოუდგენელი…..არც ერთს ჰქონდა წარმოდგენა იმაზე როგორ დაიზიანა ნიკამ ფეხი..როცა ელენემ უფროსი დემეტრეს არაფრისმთქმელ სახეს მოკრა თვალი მაშინ მიხვდა, რომ ნიკას არავისთვის უთქვამს….ბელთაური ტირილამდე იყო მისული ყველაფერი რომ ასე მოხდა..მის ქორწილში, ამდენი ხალხის თვალწინ….საშინელებებს გრძნობდა ელენე იქ მყოფი ხალხისგან..სიჩუმე მაგრამ საყვედურებით გაჟღენთილი ჰაერი…..მაიამ ტირილი ვერ შეიკავა და დარბაზიდან გავიდა..მათე ისეთი გაოგნებული იყო თითქოს ყველაფერი დატრიალდა, ცოტნეც კი ვერ ფიქრობდა ვერაფერს….არავინ არ იცოდა რამე..ყველამ მაშინ გაიგო….ბელთაური ისე იყო უნდოდა ყველაფერი მმიწას ჩაეტანა ისე რცხვენოდა, ისე ტკიოდა და ისე განიცდიდა კიდევ ამდენ თავსდატეხილ პრობლემას.

ცხოვრებაში არის წამები, წუთები და ზოგჯერ დღეები და წლებიც როცა გაბმულად ერთ შეგრძნება გაქვს….არ ყოფილიყავი, თუ ეს უნდა მომხდარიყო შენს ცხოვრებაში მაშინ საერთოდ არ გესუნთქა….მიუხედავად ამ წლების სიმძაფრისა ეს წამი მაინც ყველაზე მძიმე იყო….ეს იყო დროის არევა….იმ მომენტში ელენეს ხალხი ჩუმად, მაგრამ მაინც თხოვდა პასუხს იმის გამო რაც დროში ძალიან აცდენილი იყო, მაგრამ ამ ხალხისთვის ეს ახალი მომხდარი იყო..ელენესთვის კი ათწლიანი ტანჯვა…..ნიკას ის სახე, რომელიც სიცოცხლეზე მეტად უყვარდა ბოლოს იმ დღეს დაინახა და მას შემდეგ რაც ავადმყოფობა შუაში ჩადგა……ეყვირა? ხმა არ ექნებოდა..ეტირა? არ შეეძლო…ეცინა? არ უნდოდა და გააფთრებული შეგრძნებები ბოლომდე გუდავდა…..დარბაზში სიჩუმე ამოსუნთქვამ შეცვალა და მერე ისევ გამაყრუებელმა დუმილმა….ეს ამოსუნთქვა მენაბდის შემოსვლას ეკუთნოდა…..გაღიმებული შემოვიდა ნიკა და პირდაპირ მათკენ წავიდა….უხერხულად შეიძმუშნა რამდენჯერმე ამდენი თვალი, რომ იგრძნო და მათეს გვერძე ჩამოჯდა…

-რა ხდება? რატომ არიან ესე ჩუმად? ქორწილია თუ გასვენება? მათემ ვერაფერი უპასუხა, გააზრებას ვერ ასწრებდა…..

-კარგით ახლა, რა მოხდა? ამდენი ხალხი მე რატომ მიყურებს? ნუ კარგი სიმპატიური ვარ ძალიან, მაგრამ არც ამდენად უკვე ზურგი მეტკინა იმათი მზარით….არავის გაკრთომია ღიმილიც კი…

-მოიცადე მათე შენ თუ ამ დონის ხუმრობას არ გამოეხმაურე ესე იგი რაღაც სერიოზული მოხდა…. ელენე რაღაც წერტილს არ აშორებდა თვალს და ნიკასთვის არც შემოუხედავს….მძიმე სიჩუმე იყო ისევ…..

-რა მოხდა აღარ იტყვით? უკვე ხმას აუწია თავისდაუნებურად ნიკამ..გაუსაძლისი იყო ყველაზე მძიმეს მოლოდინი….. მერე ფეხზე წამოდგა, რომ მიხვდა აზრი არ ჰქონდა….ყოფილი გუნდელები და ნაკრების წევრები მოიკითხა…ისინიც გაოგნებულები იყვნენ..გასვენებას უფრო

ჰგავდა ყველაფერი ვიდრე ქორწილს…..დრამანს თავი არც აუწევია და ნიკამაც ვერ გაბედა მისვლა…..მაიას ხელი იგრძნო მკლავში და დარბაზის მეორე მხრიდან გავიდნენ….

-მაია რა ხდება გამაგებინეთ? ყველა რატოა ესე დაზაფრული და მე რატომ მიყურებენ!

-ნიკა მისმინე……მომისმინე…იციი

-რა გჭირს სულ ცახცახებ……მაიას ენა ებმოდა..პირი გაუშრა ნერვიულობისგან..

-ახლა არაფერს აქვს მნიშვნელობა….მხოლოდ ურთიერთობებს დამოკიდებულებებს და გრძნობებს…. ნიკა მომისმინე მართლა გეუბნები ელენე ვეღარ გაუძლებს….მაიას ტუჩები მოეკუნტა და ცრემლები წამოუვიდა..ხმა აუკანკალდა საშინლად..

-რა? მაია…გამაგებინე..ცოტა დალაგებულად….

-ამ ცხოვრებაში არავინ ისე არ მეცოდება როგორც ელენე, რადგან არავის უბედურებისთვის ასე თვალნათლივ არ მიყურებია, ჩემს თვალწინ ჩაიარა ყველაფერმა და ახლა უფრო მეტია ეს ყველაფერი…..ნიკა არ აჩერებდა მოთმინებით ელოდებოდა როდის ეტყოდა რა მოხდა….ნიკა ამ ხალხმა არ იცის..წარმოდგენაც კი არ აქვთ ელენემ როგორ მძმედ გადაიხადა ყველაფერი….მხოლოდ გაამტყუვნებენ. ცოდვებს აკიდებენ და ხელებს დაიბანენ…..

-თუ არ მეტყვი მოკლედ შევალ და ხმამაღლა ვიკითხავ…..ჩაწითლებული ჰქონდა თვალები და სახე და კისერი სულ დაძარღვული..

-ყველამ ვიცით რა მოხდა! შენს ფეხს ვგულისხმობ..

-კიბიდან დავგორდი..ახლა ნუ დამცინებ სიარული ერთი წლის ასაკში უნდა გესწავლაო…თავის თავსაც აჯერებდა რომ სიმართლის ცოდნა გამორიცხული იყო..

-არა ვიცით, რომ ელენეს დაეხმარე..მოაჯირიდან ინერციით გადავარდი და ისიც ვიცით რატომ მირბოდა ასე ელენე…..

-რეებს ამბობ? რა იცით, ვინ იცით გამაგებინე? რა ჯანდაბა იცით?…

-არ ვიცი ვინ მაგრამ ყველაფერი ფირზე იყო ჩაწერილი, ალბათ იმათ ვინც ეს მოაწყეს და ვინც შენ დაგეტაკა და ელენეს დასანახად გკოცნიდა ალბათ იმათ ჩაწერაც არ დავიწყებიათ..ეს ყველაფერი კი ახლა 200 კაცის თვალწინ მთელი სიმძაფრით აჩვენეს…..ხვალ ალბათ მთელ ინტერნეტში გავრცელდება…ყველა ნახავს….ყველა ამაზე ილაპარაკებს და ყველაფერი უფრო აირევა ვიდრე ახლაა…..ნიკა ისე გაწითლდა….სახე დაეჭიმა…..გულის რევამ და თავბრუსხვევამ თითქოს ყველაფერი თავდაყირა დააყენა…..რომ გამოერკვა ტიროდა….თავის შეკავებას რომ არც ცდილობდა და ვერცმიხვდა როგორ დაიწყო წყალმა დენა…..

-ყოველთვის მაინც შენ გიმართლებს….არავის აქვს იმის ჩანაწერი ათი წელი როგორ აწამე და ახლა უფრო აწამებ….მაგრამ ყველამ ნახა, როგორი მსხვერპლი ხარ ცოლის წამიერი აფეთქების

ისიც იმიტო, რომ ყველაზე მეტად უყვარდი..მაიამ ვერაფრით შეიკავა თავი…..ნიკა რომ ამ სიტყვების გამო საერთოდ დაეკარგა ესეც აღარ ანაღლებდა…არის რაღაცები რაც უნდა თქვა ან უთქმელობა გაგგუდავს…..

-რამე მიგავს ადამიანის რომელსაც ცხოვრებაში უმართლებს? ხმადაბლა ჩაილაპარაკა და დარბაზში გავიდა…..

თავი 25

უკვე, რომ გაიგო სამყაროში დემეტრეს არსებობა…..სიხარულამდე პასუხისმგებლობა იგრძნო….ისეთი დიდი თითქოს რაღაცამ მხრებში მოხარა…მერე სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა…გააჟრჟოლა, სხეულში სისხლმა იგრძნო, როგორ მოიარა ორგანოები, როგორ უნდოდა ენახა, დაენახა….პატარა თითები ენახა, უნდა წარმოედგინა რომ ოდესმე ეს პატარა არსება ღირსეულ კაცად უნდა ქცეულიყო….შვილს, რომ დახედა მერე ყველაფერი დაავიწყდა, დალაგებული აზრები, გააზრებული პასუხისმგებლობები, აღარაფერი ახსოვდა..მარტო უყურებდა და უნდოდა სიხარულით ეყვირა. ჯერ არც კი შეხებოდა და შეეძლო ყველაფერი ეჩუქებინა რაც გააჩნდა, სიცოცხლეც, ჰაერიც, მზეც ყველაფერი…უკვე იცოდა, რომ მისი ცხოვრების რაღაც ნაწილი გაქრა და ამ პატარა, მოცუცქნულ არსებაში დემეტრეს, რომ ეძახდა უკვე იქ გაგრძელდა. იგრძნო რომ იმ დღიდან ნიკა მენაბდე აღარ იყო, იყო ნიკა დემეტრეს მამა მენაბდე…..როგორ შეაჟრჟოლა.. „მამა“ რომ წარმოიდგენდა, რომ დაუძახებდა სიგიჟემდე აღელვებდა ყველაფერი….რამდენ ადამიანს უძახიან სამყაროში „მამას“ უამრავს..წარმოუდგენლად ბევრს, არაადამიანურად ბევრ ენაზე და მაინც როგორი გაუცვეთავი იყო ეს „წოდება“….ყველაზე საამაყო. პალატაში ფეხაკრეფით შევიდა…. ელენეს ჩასძინებოდა, სახეგაფერმკრთალებული იყო, რამდენიმე წუთში გაეღვიძა, ამბობენ რომ მძინარეს დაჟინებული ყურება აღვიძებს, ნიკა კი თვალმოუშორებლად უყურებდა….მშვიდი ბედნიერება დაფარფატებდა მის ღიმილში..

-ნახე? გაუბედავად ჰკითხა ელენემ…..ნიკა უხმოდ იჯდა მის საწოლზე და ხმას არ იღებდა…

-ნიკა გაჩვენეს? როგორი პატარაა არა..?რომ დამაწვინეს გულზე მეგონა სამყარო გაჩერდა…

-ელენე რა მაგარია სიცოცხლე ხვდები? რამდენი რამ არის რასაც ადამიანი ვერ ელევა….ისეთი პატარა თითები როგორ უნდა იქცეს ასეთად..და თავისას ისე გულწრფელი ღიმილით დახედა….

-ორ საათში მომიყვანენ ერთი სული მაქვს, უკვე ისე მენატრება, სულ ჩემთან იყო და ახლა რამდენიმე საათიც კი საუკუნედ მეჩვენება..ნიკა ისევ იღიმოდა, ხელებს დაჰყურებდა და ეღიმებოდა….

-ელენე მე და შენ მშობლები ვართ….წარმოგიდგენია?ნიკა თმაზე მოეფერა….

-მთელი ცხრა თვე ამას წარმოვიდგენდი ხოლმე, მაგრამ მაინც უჩვეულოა….

-მე რომ გამიცანი წარმოიდგენდი ჩემი შვილი ასე რომ გეყვარებოდა? შვილები უფრო სწორად! ნიკამ სერიოზული სახით ჰკითხა…ელენემ სიცილი ძლივს შეიკავა.

-მე საერთოდ ვერ წარმოვიდგენდი თუ შენი შვილი მეყვარებოდა….

-ახალნამშობიარები ქალი და ასეთი ენამწარე……მე არ ვიცი პირდაპირ დამჭერი….

-შენ? შენ წარმოიდგენდი ჩემი რომ ასე?

-მე კი….სწრაფადვე უპასუხა ნიკამ..და ლოყაზე აკოცა…

-როგორ პირველივე დღეს? ელენემ წარბები აწია…

-არა, პირველ დღეს არა….აი მაშინ სიტვვით რომ გამოხვედი, რომ მიმალანძღე „სუსტი სქესის“ ჩაგვრისთვის…. არადა რა შუაში ვიყავი, გულწრფელობისთვის მედალი მეკუთვნოდა…. დაუდგა ქალებს ქომაგად, მეგონა ფემინიზმის ბობოქარი სულის მატარებელი იყავი….

-ნუ იხსენებ ხოლმე თანაც ესეთი ფორმით. თან სულ როგორ დამცინი….ეს ფემინიზმი რაღა იყო ნიკა…

-მე? შეიცხადა ნიკამ. მე ვიხსენებ? კი არ ვიხსენებ მახსენდება ჯერ ერთი და მეორეც არ დაგცინი მეცინება…..

-ნიკა ვის გავს? ელენე აფორიაქებული იყო…..

-მამას….გასწორდა ბეჭებში მენაბდე…..

-კარგი ახლა ნუ იტყუები….სულ შენ გგავს? რა გაარჩიე, ასეთ პატარებს არ ეტყობათ ჯერ არაფერი….

-რაღატო მკითხე მაშინ? გაეცინა ნიკას…

-აუ მენაბდე ჩემი მდგომარეობა მაინც გაითვალისწინე..

-რა პრეტენზიები გაქვს მე რომ მგავდეს? ნუ მესმის გოგებზე იეჭვიანებძალიან სიმპატიური შვილი, რომ გეყოლება… ცუდი დედამთილი იქნები….

-ფეხები გაქვს გაღუნული….მაშინვე უკბინა ელენემ….

-მე ფეხები გაღუნული დაბადებიდან კი არ მაქვს, თამაშის დროს, მოიცადე თანაც სულაც არ მაქვს გაღუნული, სულ ოდნავ…არა მე ფეხები გაღუნული მაქვს, მართლა? ნიკა უკვე ფეხზე იდგა და ფეხებს აკვირდებოდა, ელენეს სიცილისგან ყველაფერი ტკიოდა, თან არ შეიძლებოდა მისთვის…..თუ უნდოდა ნიკა რამეზე სერიოზულად გადარეულიყო უნდა ეთქვა ეს და თმა

გცვივდება, აი ამ დროს მენაბდის რეაქცია ვერ მივიდოდა ვერც ერთ პატარძალთან, რომლებსაც ქორწილის დღეს თმა საშინლად გაუკეთეს…..

-კარგი გეხუმრე, სულ ოდნავ…..

-მოიცადე ახლა, მართლა გაღუნული მაქვს? არა არ მაქვს სულ, სულ ოდნავ, ისე რომ არც მემჩნევა, ყველა ფეხბურთელს აქვს ასე…..

-არ გეტყობა ნიკა დამშვიდდი, მაღალი ხარ და იფარება ეგ…

-რაა? დაფარვა სჭრდება? არა გავაფრენ ახლა, ეს ახლა უნდა გეთქვა? ელენე ნუ ბოროტობ, 15 კილო გაქვს მომატებული….

-რა? შენ საიდან იცი? ესე მეტყობა? ნიკა…..რა იყო ალხა ეს..

-არაუშავს მაღალი ხარ და იფარება, გადაიხარხარა ნიკამ…..

-ყველაზე ბოროტი ხარ….ხელზე უჩქმიტა ელენემ..

-შენს მერე….ოუუუ არ დამემჩნას იცოდე,თორემ არ გაგიყვან სამშობიაროდან და დარჩები…..

-სულ არ გამოგყვები შენ რა…

-ხო და იყავი აქ, სადმე ვაკანსია იქნება, ვიკითხავ..მე და ჩემი ბიჭი კი წავალთ…..

-არ გაგატან…და შენც აქ მოგიწევს მუშაობა, რომ მოგენატრებით…..

-საავადმყოფოზე როგორ ვგიჟდები ხომ იცი, პირდაპირ სიხარულისგან მაჟრჟოლებს….მონატრებით კი სულაც არ მომენატრები..ან მოვითმენ….

-ვერ მოითმენ!!!! გაუჯავრდა ელენე….

-მაშინ არ მომენატრები…..

-ნიკა ესე ნუ მელაპარაკები….

-როგორ?

-აი ასე….

-კარგი ჩემო მბრძანებელო, როგორც თქვენ გსურთ, მაშინ მიბრძანეთ როგორ მოგმართოთ, რა სიტყვები გეამებათ და თქვენი მონა-მორჩილი…მე ნიკა მენაბდე…..

-აუუუუ….არ ხარ ნორმალური…

-არც ესე მოგწონს? ელენე როგორი პრეტენზიული არაორსული ხარ….ელენეს სიცილისგან უკვე ყველაფერი ტკიოდა…შუბლი ტკივილმა შეუკრა…

-ელენე რა იყო? კარგი მე ხმას აღარ ამოვიღებ, გტკივა? ნიკა ისე დასერიოზულდა ვერ იცნობდით….

-არა უბრალოდ რომ მეცინება….

-მე ვჩუმდები….იმათი პალატიდან ისეთი ხმაური გამოდიოდა ყველა გაოცებული იყო….ახალნამშობიარები ქალი ასე იცინოდეს, ან საერთოდ ესე იცინოდნენ..

-მემგონი დემეტრე რომ უნდა მოსულიყო აღარ გახსოვდათ..კარი ფრთხილად გააღო მედდამ და ბავშვი შემოიყვანა…..ელენეს თვალები გაუფართოვდა..

-ორი საათი როგორ გავიდა ვერც გავიგე…ჩემი პატარა…..

-კარგად მხიარულობდით, გაუღიმა ორივეს მედდამ…

-სულ ელენეს ბრალია, ისე თქვა ნიკამ დემეტრესთვის თვალი არ მოუშორებია….დემეტრემ მალე ისეთ ხმაზე დაიწყო სხავილი მშობლებმა სასწრაფოდ ექიმს დაუძახეს…..ექიმის სახეზე მიხვდნენ, რომ ზედმეტად დაფეთებული მშობლები იყვნენ, ნიკა არ იმჩნევდა, მაგრამ ხელშიც კი ვერ იჭერდა, მარტო თითს მიადებდა ხოლმე მძინარეს…..ბავშვის სიფაფუკეზე გული უჩქარდებოდა….ელენე ვითომ დიდგულობდა, მაგრამ იმასაც ძალიან ეშინოდა……დემეტრეს ტირილი და საყოველთაო დაბნევა ერთი იყო……ორი კვირის შემდეგ ნიკას ისე ეჭირა, როგორც დააჭერინებდნენ, გამორიცხული იყო ხელში მდგომარეობა შეეცვალა ისე ეშინოდა, ვერც საწოლში აწვენდა….ესე რობოტივით დაყავდა სასაცილოდ…..თან არც ეშვებოდა გინდა თუ არა მე უნდა დავიჭიროო.. დემეტრესთან მარტო ოთახში არასოდეს რჩებოდა ტირილი რომ დაეწყო ვინმესთვის სასწრაფოდ უნდა მიეყვანა….მერე თანდათან, რომ გაიზარდა და ნიკაც უფრო მიეჩვია თავისუფლება იგრძნო შვილთან…..საოცრად დაფეთებული მშობლები იყვნენ, ეს ვერაფრით მოიშორეს….მენაბდე არ ცდილობდა ანერვიულებული ცოლის დამშვიდებას, როცა დემეტრეს სიცხე ჰქონდა, იცოდა არ გამოუვიდოდა, არაბუნებრივობა კი ნერვებს აუშლიდა….არც იმას ცდილობდა იმ დროს ჰერკულესის როლი შეესრულებინა და სიმამაცე გაეჟღერებინა ოჯახში..ისე ნერვიულობდა ტელეფონი ძლივს ეკავა და ექიმს ურეკავდა…..ცოტა ღიმილი თუ აგრძნობინებდა ადამიანს, რომ კარგად იყო ასეთ დროს, ღიმილიც იმიტომ რომ საკუთარ თავზე ეცინებოდა….

ნიკას გასვლითი თამაშები და ელენეს მოწყენა ერთი იყო, აღარაფერი უხაროდა..არ უნდოდა ის დღე და არც ის ღამე, როცა მის გარეშე ღამდებოდა….სხვა ქალაქში ან სხვა ქვეყანაში მყოფზე გამუდმებით ფიქრობდა და რატომღაც წარმოიდგენდა ხოლმე რამე რომ მოსვლოდა…ბოლოს ხვდებოდა რომ დებილივით ტიროდა ისეთ რამეზე რისგანაც არავინაა დაზღვეული…..არ უნდოდა ხშირად დაერეკა, ხშირად შეეწუხებინა, იცოდა ნიკა ყოველ შესაძლებლობაზე დაურეკავდა, მაგრამ მაინც ელოდებოდა და ვერ ითმენდა….დალაგებული ოჯახი კაცს ყოველთვის ეხმარება წარმატებაში…ნიკაც სულ უფრო მეტს ახწევდა…..აკეთებდა იმას ისე, როგორც უნდოდა და შინაგანი ბედნიერებით კმაყოფილი მიდიოდა სახლში სადაც ყველაზე

მნიშვნელოვნები ზოგჯერ ტირილით და ზოგჯერ სიცილით ელოდებოდნენ….დემეტრეს ტირილზე ელენეც ტიროდა, სულ ეშინოდა….ძიძასაც ვერ ანდობდა ისე..მშობლებიც ვერ ახერხებდნენ ხშირად ჩასვლას…ერთხელ ღამე სახლში მოულოდნელად დაბრუნებულ მენაბდეს თვალებდასიებული ელენე დახვდა…

-რა იყო ელე? რამე მოხდა? ცოტახნის წინ მშვიდად მყოფი მძინარე დემეტრე რომ არ ენახა გული შეიძლებოდა გახეთქვოდა..

-ნიკა არ ვიცი, მაგრამ ძიძას არ ვენდობი…მეშინია, დემეტრე სულ გაღიზიანებულიაა….

-კბილები რომ ჭრის ექიმმა რომ გვითხრა?

-არ ამოდის კბილები, მაგაზეც ვნერვიულობ, უკვე შვიდი თვისაა..

-ხომ თქვა ელე რომ ესე შეიძლება იყოს, ყველა ბაია ინდივიდუალურია…ნიკა დამამშვიდებელ სიტყვებს ეძებდა..

-არ ვიცი ძიძასთან მარტო ვტოვებთ, ვიღაც უცხოსთან….ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანს ვაბარებთ სხვას….

-რამე შეატყე?

-არა არაფერი, კარგი ქალი ჩანს, მაგრამ დემეტრე გაღიზიანებული მეჩვენება….ზოგჯერ მინდა სწავლას თავი დავანებო….

-არა ელენე ეგ არ გაიფიქრო!!!! თუ გინდა ექიმთან მივიდეთ და ვკითხოთ კიდევ ერთხელ….ან თუ გინდა ძიძა შევცვალოთ…..

-დემეტრე არავისთან მიდის, მხოლოდ ჩვენ სამთან…..დედაჩემზეც კი ტირის….იშვიათად რომ ნახულობს სხვებს გაუცხოვდა…..ნიკა ჩაფიქრდა…

-მემგონი კარგი ქალია ეს, შენ თუ გინდა რამდენიმე დღე სახლში ხან შენ დარჩი ხან მე, როგორც ლექციები გექნება რა იმის მიხედვით დავაკვირდეთ…..ექიმთანაც მივიდეთ, ვუთხრათ ბავშვი რომ გაღიზიანებულია..

-და რომ კბილები არ ამოდის, ამოისლუკუნა ელენემ..

-ამოუვა პატარა ელენე, ჯერ 7 თვისაა მართლა კაცი კი არაა….

-რომ არ ამოუვიდეს? ბარბარეს ერეკლეს 5 თვიდან დაეწყო….

-სად წავა, გაეცინა ნიკას… ამოუვა..ზოგს როგორ ამოდის ზოგს როგორ….შინაგანად ასეთი დამშვიდებული მხოლოდ ნიკასთან საუბრის მერე იყო ხოლმე….ზოგჯერ გამოსავალს, რომ ვერ ხედავდა, მენაბდე მარტივად წყვეტდა ყველაფერს….ან არც წყვეტდა უბრალოდ ელენეზე

წარმოუდგენლად დიდი გავლენა ჰქონდა და მხოლოდ მას შეეძლო ესეთი სიმშვიდის მის სულში შეტანა. ელენე მოეხვიე, გამეტებით უჭერდა ხელებს….

-შენ ახლა როგორ ჩამოხვედი? ხომ ხვალე უნდა…

-მე დღეს წამოვედი გუნდი ხვალე ჩამოვა….შენი ხმა არ მომეწონა…ხომ იცი მეც როგორ განვიცდი ხოლმე დემეტრეს ამბავს, მაგრამ მემგონი ძიძა არაა პრობლემა, ჩვენ მაინც გადავამოწმოთ….

-ღამე არ იარო ხოლმე რა….ელენემ სახეზე ხელი მოუსვა და ლოყაზე აკოცა…..ჩემ გამო არ იჩქარო ხოლმე, გუნდთან ერთად წამოდი, ესე ხომ იღლები რამდენიმე საათი იქნებოდი საჭესთან…..

-არ დავღლილვარ პატარა ელენე……თან შენ როგორ გიტირია, გაუღიმა ნიკამ და ჩაიხუტა…..

ჭიქა აჩუქა….ფსკერს მაშინვე დახედა და გაეცინა…..

-რა მაიმუნი ხარ…

-ხომ ხედავ გიცნობ….

-ელენე რამ მოგაფიქრა…

-მინდა სულ მიყურო…..

-ამისთვის ჭიქაზე შენი სურათი აუცილებელი იყო? გაეცინა ნიკას…

-მანდ შენიცაა და დემეტრესიც…ვერაფრით გადაგაჩვიე არ დახედო, ახლა აღარც მექნება მიზეზი შენი გადაჩვევის…..

……..

ელენეს კაბას მოკრა თვალი შენობიდან რომ გადიოდა…..ვერ ხვდებოდა რატომ არ მიყვებოდა მერე დავიდა გონებამდე, რომ ლიკა რაღაცებს ელაპარაკებოდა..

-ნიკა მისმინე, კარგად ხარ?

-კი…ლიკა გთხოვ გამატარე…..

-სახეზე ფერი არ გადევს..

-ლიკა გთხოვ დაჯექი……

ელენე მსუბუქი ნაბიჯით აუჩქარებლად მიდიოდა მანქანისკენ…..მისკენ წავიდა..იცოდა მიახლოებამდე მოასწრებდა დარეკვას..

-თამაზ ეს რაღაც ჩანაწერი, რომ სადმე დაიდოს გეფიცები, რომ საკუთარ თავზე პასუხს არ ვაგებ….ბექას დაურეკე სწრაფად..ის ვინც მანდ გაუშვა ჩანაწერი ის ტიპი სადაა ის გამაგებინე….თუ რომელიმე საიტი ამას დადებს სასამართლოს სანატრელს გავუხდი…იუთუბზე წინასწარ გააგზავნეთ მოთხოვნა რომ დაიდოს სადმე უბრალოდ მართლა არ ვიცი რას ვიზავ…..იმ დროს როდესაც თამაშობდნენ მუდმივად იყო ესეთი მომენტები, როცა ჩანაწერის დადება არ უდოდათ რომელიმე საიტზე და ბელთაური ამას ძალიან სწრაფად აგვარებდა ბოლოსკენ დასაწყისში კი მთელი ნევები ამისთვის ეხარჯებოდა.

-ბექას უკვე დიდი ხანია დავურეკე..იძიებენ….გაგაგებინებ ყველაფერს…..

-ბოდიში რა შენი ქორწილია დღეს..ნიკას ხმა აემღვრა….

-არაფერია….უფალი გფარავდეს….. ელენემ მანქანა გამოაღო და სანამ წავიდოდა ნიკაც უკვე შიგ იჯდა…..

-წადი და გზის პირას გააჩერე..

-ნიკა გადადი..მშვიდი იყო ელენეს ხმა მაგრამ კატეგორიული..

-წადი და მოშორებით გააჩერე სადაც ხალხი არაა…..

-გადადი მეთქი დაუყვირა ელენემ…

-ნუ ყვირი……-თუ მე გადავალ შენც გადმოხვალ..უნდა დაგელაპარაკო…..სწრაფად დაქოქა მანქანა…… მერე გზის პირას გააჩერა, გადმოვიდა და ტაქსის გასაჩერებლად წავიდა..ნიკა დაეწია და მაჯაში ხელი მოკიდა….

-რატომ არ ვლაპარაკობთ? სულ ასე რატომაა…..რატომ გარბიხარ, რატომ არ მელაპარაკები..

-აქამდე მე გეხვეწებოდი…დამანებე თავი ნიკა..რა აზრი აქვს? მარტო მინდა ყოფნა..მარტო მინდა თორემ რომ არ ვიტირო გული გასმისკდებაა..გეხვეწებიი..

-ჩემთან იტირე….ელენე მიყვარხარ….ძალიან…..სიგიჟემდ…..უშენოდ ვერ ვიცოცხლებ..არ მინდა უშენოდ არაფერი…….ელენეს მაკიაჟი სულ გაუფუჭრა, უკვე თავს ვერ იკავებდა..ტიროდა გაუჩერებლად…..მანქანისკენ წავიდა ტირილისგან ჩაიკეცა, უკვე ხმამაღლა ტიროდა, ვერ იკავებდა თავს..არაფერი აჩერებდა….ყველაფერს უკაწტავდა მისი ხმა..ელენე კი ვერ წყვეტდა ხმამაღლა ტირილს……

-რატომ ვერ მაპატიე? რატომ? რატომ? მე ხომ დავიტანჯე იმაზე მეტად ვიდრე შენ..ამ მდგომარეობაში ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ? როგორ მოვედით აქამდე? თუნდაც ასე არ ყოფილიყო რატომ არ მაპატიე… მე ხომ მინდოდა, მე ხომ შენით ვცხოვრობდი, რატომ მექცეოდი

ასე, რატომ დაგვენგრა ცხოვრება რატომ არ იყავი ჩემს გვერდით შენ ხომ დამპირდი, ხომ დამპირდი რომ ჩვენს ცხოვრებაში შენ უფრო ძლიერი იქნებოდი, რატომ ვერ შეძელი, რატომ არ გიყვარდი სათანადოდ, რატომ როცა უფრო მეტსაც პატიობენ..რატომ მატკინე ასე, რატომ დამტანჯე…არ მინდა არაფერი..სიცოცლე არ მინდა დღეს შენმა მშობლემაც კი ახლა გაიგეს…ახლა მიხვდენენ რატომ მექცეოდი ასე…ახლა შენი ალბათ ესმით…ყველა გიგებს, ყველასთვის მართალი ხარ..მე ხომ, მე ხომ დავივიწყე ფეხმძიმედ, რომ ვიყავი..და ამას არ მპატიობ….შენ არა შენ სულ გახსოვდა…იმას მეხვეწებოდი ნელა ჩავსულიყავი მე კი შენ ჯიბრზე უფრო ვჩქარობფდი….შენ ხომ გახსოვდა გაბრიელის არსებობა მე დავივიწყე…ხომ მოგვიწყეს და მე ხომ წამოვეგე…შენ არა მე…მე გაგარტყი, მე გიყვირე..მე დაგამცირე..მე დავივიწყე ჩვენი თავი, შენი ხასიათი და შენ გადამარჩინე….უფრო სწორად გაბრიელთან ერთად გადამარჩინე და როცა ბავშვი მაინც დავკარგე მერე მარტო მე დავრჩი, მარტო ჩემ გამო იყო შენი ჯოჯოხეთი, მე ვიყავი იმაში დამნაშავე რომ შენ ვეღარასოდეს იითამაშებდი, წაგართვი, საბოლოოდ მაინც წაგართვი…მაგრამ მე მაინც მინდოდა პატიება…მინდოდა გყვარებოდი უფრო მეტად რომ გეპატიებინა…არაფერი დაივიწყე…არაფერი….ახლა დემეტრეც კი..დემეტრემაც იცის..მისი თვალები..რომ გენახა….შენგან ავიტანე, მაგრამ მისგან ვერა…არ მინდა სიცოცხლე, მართლა აღარ მინდა…..მეც მინდა მოვკვდე, გეხვეწები…

-ელენე…

-მე არ მინდა სიციცხლე, აღარ მინდა დავიღალე……შენ ყოველ წუთს მაუპატიურებდი შენი საქციელით და ეს ყველაფერი მოვითმინე და გიჟად ჩამთვლი თუ გეტყვი რომ არ მოთმენა უფრო ძნელი იყო ჩემთვის…..მძულს ჩემი თავი….მძულხარ შენც…..არ მინდა არაფერი აღარ მინდა, არაფერიაღარ მწამს…..მაინც დამტოვე, გიძლებდი მაგრამ წახვედი….შენი ნებით, ცოლიც კი მოიყვანე..სამაგიეროს გადახდა სხვა ქალებთან ყოფნით რომ ვერ დაიკმაყოფილე მერე ცოლადაც მოიყვანე…ახლა შვილიც გეყოლებათ და განახევრდი ნიკა….ჩემთვის განახევრდი მასაც ისევე ეკუთვნი როგორც მე….ასე არ მინდა….

-ერთად მოვკვდეთ….ამოიხრიალა ნიკამ…

-რა?

-ერთად მოვკვდეთ……

-ჩემთან ერთად ამას იზავ? ელენე მიუახლოვდა….ნიკამ მხრებზე ხელი დაადო და თავისკენ მიიზიდა…

-ესე ნჯობია, ელენე მართლა მინდა…..

-მეც მინდა….გაიცინა ელენემ….ნერვიული სიცილი იყო….ნიკა მოეხვია….მისი სურნელი შეისუნთქა..

-ანასტასიას დღეს შენი სუნი განსაკუთრებით ჰქონდა…..სამყაროში 6 წლის ტასუნას არსებობამ ყველა გეგმა ჩაუშალა..ცრემლები სწრაფად მოიშორა, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და დამშვიდებულმა დაიწყო…

-ნიკა, მე სახლში წავალ, მაია მოიყვანს ბავშვებს ალბათ…..ჯობია არ გამომყვე.

-ელენე..

-მე კარგად ვარ…..კარგად უნდა ვიყო!

ქორწილიდან ყველა ვისთვისაც ეს ფირი მხოლოდ გასართობი არ იყო ყველა წამოვიდა….მენაბდეების მთავარ სახლში არავინ იღებდა ხმას…..უბრალოდ არ იცოდნენ რა შეიძლებოდა ეთქვათ….სიტყვებს არაფერი შეეძლო….თავისდაუნებურად ყველაფერი რეალურივით გაუცოცხლდა, მოგონებები ხელშესახები გახდა…..

…….

ძალიან ფრთხილად გადაიყვანეს საკაცეზე და სასწრაფოს მანქანაში ჩასვეს….ელენე მის გვერდით იყო..ვერ გაებედა, რომ შეხებოდა….ტკივილგამაყუჩებლებმა გააბრუეს და თითქმის აღარაფერს გრძნობდა მენაბდე….

-ნიკა…ძლივს დაიჩურჩულა ელენემ მის დახუჭულ თვალებს, რომ შეხედა….

-კარგად ვარ ნუ გეშინია….ისე უთხრა თვალები არ გაუხელია…..პალატას არ მოშორებია ოპერაციის შემდეგ…..ფიქრი არ უნდოდა არაფერზე, არც იმაზე, რომ ნაყოფი აღარ ინძრეოდა….გაფიქრების საშუალებასაც კი არ აძლევდა თავს…..ისევ ისე ეფერებოდა….ისევ ისე ელეპარაკებოდა…..პასუხს ვეღარ გრძნობდა, მაგრამ ხმას მაინც არ იღებდა……არც ერთი იღებდა ხმას…..ნიკა ისე დადუმდა, ისე შეიცვალა რამდენიმე საათში, რომ ელენეს მასთან დალაპარაკებისაც კი ეშინოდა…..ძლივს გაბედავდა ხოლმე..ის კი მშვიდად პასუხობდა….ოდნავ გაუღიმებდა და ისევ ძილს მოიმიზეზებდა…..ყავარჯნით ცოტა უჭირდა გადაადგილება..მაგრამ ეს არაფერი იყო იმასთან რასაც გრძნობდა და რაც სახეზე დაფარვის მცდელობის მიუხედავად მაინც ეწერა….თამაზი სულ იქ იყო, მაგრამ ელენეს არც კი ამჩნევდა…..ხმას ისიც არ იღებდა, მიზეს გაუთავებელი ათასგვაროვანი კითხვის შემდეგაც არ ამბობდა, მაგრამ ელენე გრძნობდა როგორ ადანაშაულებდა ყველაფერში……

-თამაზ! ერთ საღამოს ნიკასთან მხოლოდ ელენე და ბელთაური რომ დარჩნენ მძიმედ დაიწყო ელენემ….. თამაზს თითქოს არ გაუგია…

-არ ვიცი რა გავაკეთო……ხელები აუკანკალდა ელენეს…უკვე შესამჩნევად ცუდად გამოიყურებოდა, მაგრამ ცოცხალი თავით არაფერს ამბობდა..

-წარმოდგენა არ მაქვს!

-ძალიან მიჭირს….უბრალოდ არც კი ვიცი ესე როგორ…..

-ელენე გთხოვ რა არ მინდა ლაპარაკი და თუ ასე გააგრძელებ წავალ….

-ვიცი რომ ღალატის მიუხედავად ასე არ უნდა…..ბელთაური ბრაზისგან აენთო ძლივს იკავებდა თავს….

-რომელი ღალატის? ელენე შენ ახლაც ესე გგინია? თავიდან მესმის შეიძლება ძალიან გაბრაზდე, მაგრამ დაფიქრებულზეც? შენ გამო ბევრი იწვალა, მის ადგილზე ამხელა ნებისყოფა არ მექნებოდა არც მენდომებოდა ამ სიანჩხლის მოთმენა…..ვერ ხვდებოდა ბელთაური როგორ ჭირდებოდა ელენეს სულს ნიკას ღალატი, რომ ოდნავ მაინც გადაფარულიყო გამოწვეული უბედურება…

-რას გულისხმობ? დაიბნა ელენე….

-თქვენ დასაწყის ურთიერთობის, ქოორწინების მერე ვგულისხმობ…

-თამაზ ვერ ვხვდები შენ ეს საიდან?

-ისე უყვებოდი დედაშენს ნიკაზე მაშინ ვიფიქრე, რომ ნიკამ ყველაზე დიდი შეცდომა დაუშვა შენი ცოლად მოყვანით……

-რას ამბობ? შენ რა იცი? ეს ყველაფერი ნიკამ….?ელენემ ჰაერი ძლივს იპოვა..

-შენ მართლა არ იცნობ გეფიცები…..ესე მგონია, რომ შენთვის სრულიად უცხო ადამიანზე გელაპარაკები….საერთოდ არ შეგიძლია ადამიანის ხასიათის დანახვა? ნიკა ამას როგორ მეტყოდა…უბრალოდ მე თვითონ გავიგონე…მაშინ სახლში ერთად ამოვედი და ყველაზე მეტად ის მინდოდა იქ არ ვყოფილიყავი, რომ ნიკას ეს უხერხულობა არ ეგრძნო რასაც მეგობართან გრძნობენ როცა ასეთ რამის მოსმენა უწევთ…..თუმცა მერე თქვენ ბედნიერებასთან..იმასთან რაც თქვენ გქონდათ ეს არაფერი იყო….უბრალოდ ჩემგან ძალიან რთულია….მე იმას ვხედავდი რასაც შენ ვერ….ვხედავდი როგორ გიფრთხილდებოდა….ელემენტალურებზე ვამბობ ელენე..რა ღალატზე….შენ არ იცი როგორ შეიცვალა შენი მოყვანის შემდეგ….მე ხომ ვიცი, მე ხომ სულ მასთან ვიყავი და არასოდეს უღალატია..ესეც რომ არ იყოს შენ მართლა არ იცნობ….ამას ცხოვრებაში არ გააკეთებდა…..წარმოუდგენელი იყო მისთვის ეს….ოჯახი სხვა რამ იყო…..მე ყველა ასაკში მასთან ვიყავი და არასოდეს ყოფილა ისეთი, რომ შენი ასეთი მოქცევა ოდესმე დაემსახურებინა…მაგრამ როგორც ჩანს შენთვის წარმოსადგენი იყო ზედმეტადაც კი…არც კი ვიცი როგორ შეიძლება გიყვარდეს თუ არ იცნობ, მაგრამ..მაინც მჯერა შენი გრძნობების…..მჯერა, მაგრამ არ ვიცი რა გავაკეთო..ახლა მთავარია არ ინერვიულო…შენთვის არ შეიძლება….ელენემ ფერი დაკარგა….ამ დროს საკუთარმა თავმაც კი გამოტეხა, რომ უკვე იცოდა ნაყოფი, რომ მკვდარი იყო….

სახლთან მისულს ცოტნე დახვდა კარებთან ჩაცუცქული…..მისი სახის დანახვაზე ვეღარ შეიკავა შეკავებული ცრემლები….

-ეს არ არის მიზეზი ელენე ამ ათი წლის! ვიცი არაა ადვილი ფეხბურთელისთვის, ვიცი ჩემთვის როგორი რთული იქნებოდა კალათბურთისთვის ასე დამენებებინა თავი, მაგრამ შენც ხომ ხვდები ეს მიზეზი არაა, ნიკა მაინც ტყუის…..

-რაც არ უნდა იყოს, როგორც არ უნდა ტყუოოდეს მისი ბრალი ჩემით დაიწყო. მე დავიწყე ის რასაც ის არასოდეს დაიწყებდა, რადგან მენდობოდა. ამას არ აქვს მნიშნელობა ცოტნე…ვიცი არ ელოდი და იმედი გაგიცრუვდა ჩემგამო……

-მე დაგპირდით რომ თქვენთან ურთიერთობა არ მექნებოდა იმდენად ამაზრზენი იყო თქვენი ურთიერთობა, იმდენად აუხსნელი რატომ ითმენდი ამდენს..ჩემთვის ქალი ქალი არაა როცა ქმრის ასეთი ქცევა შეუძლია აიტანოს…..ნიკას ისე მივახრჩობდი ერთ ადგილზე ხელი არ ამიკანკალდებოდა, მაგრამ შენ არ მაძლევდი ამის უფლებას და მეორე თვითონ მეტყოდა მადლობას რომ მომეკლა…მითხარი ესეთი კაცი როგორ უნდა გიყვარდეს? კაცი რომელსაც თამაშის მეტი არაფერი შეუძლია? ელენე ნუ გამაგიჟე…რაც არ უნდა იყოს მან ყველაფერი ანაცვალა იმ საშინელ თამაშს…..არ არსებობს მიზეზი, ის რომ ფეხმძიმე ცოლი გადაარჩინა ვაჟკაცობაა?

-ამ წლების განმავლობაში ზოგჯერ იყო წამები, წუთები და დღეებიც კი როცა ბრაზი გადადიოდა და ისევ ისეთი იყო…გეფიცები ეს წუთები მაკავებდა რომ არ გავგიჟებულიყავი, რომ არ მეფიქრა, რომ ყველაფერი ჩემი ილუზია იყო….უხეშობის, აუტანლობის და გაუსაძლისობების ატანა რთული იყო, მაგრამ შეიძლებოდა ისე შემოეხედა, ისე ეკითხა როგორ ვიყავი, როგორც ადრე….ისე მოეკითხა სამსახურში წამოვეყვანე, როგორც ადრე…..ისე დამლაპარაკებოდა, გაეღიმა, გამხუმრებოდა როგორც ის სამი წელი და ამ პერიოდში როგორ მეფიქრა, რომ საბოლოოდ შეიცვალა? უბრალოდ ვგრძნობდი, როგორ აიძლებდა თავს ყოფილიყო უხეში..გეფიცები ვგრძნობდი როგორ მექცეოდა სასტიკად და ვერ ვგრძნობდი, რომ მისი სული იყო სასტიკი…ბოროტი არ იყო არასდროს….გარეგნული ქცევები რატომღაც სულთან არ მიდიოდია, ასე რომ ყოფილიყო მაშინ ვერ შევძლებდი..ის კი იცვლებოდა, წამით მზერა სხვანაირი უხდებოდა თითქოს ყველაფრისთვის თავისდაუნებურად პატიებას გთხოვდა….სულ ვგრძნობდი, რომ ვუყვარდი….

-ელენე მიჭირს ამ ყველაფრის გაგება, ელენე ეს სიჯანსაღე არაა, თქვენ ავადმყოფები ხართ….

-ვიცი, ვიცი რომ არაჯანსაღია, მაგრამ სხვანაირად ვერ იქნებოდა….

-არ ვიცი, მაგრამ რაც არ უნდა იყოს არ იფიქრო რომ მარტო ხარ…..საერთოდ არ ღირს ის კაცი რამედ მე თუ მკითხავ….მე არ მესმის როგორ შემეძლო ეგრეთთან ურთიერთობა, დემეტრეს მდგომარეობაც მისი ბრალია და იფიქრე იმაზე რომ გასაბრაზებელი ბევრი გაქვს მასზე! ნუ იფიქრებ, რომ მასთან რამე გმართებს..ისაა ვალში…..

-ცოტნე არ არის მასე…..ახლა ძალიან ცუდად ვარ, მინდა რომ არ ვფიქრობდე რამეზე…..

-კარგი, ჩაის გაგიკეთებ და წავალ…ჩაის რა წყალს აგიდუღებ….ელენე მოეხვია, ძალიან ჭირდებოდა ადამიანი ვინც ოდნავ მაინც გაუგებდა…ცოტნემ განზრახ უფრო მეტად

დაადანაშაულა ნიკა, რომ ელენეს არ გონებოდა მისთვის რამე შეცვალა იმ ჩანაწერმა, თუმცა აშკარად გრძნობდა, რომ მისი ბრაზის ჯებირები დაიხეთქა….

როცა გაიგო, რომ სანდრო იყო….სხეული ჩაეწვა….საშუალო ადამიანი…..ისევ ეს ფრაზა ამოუვარდა….მძიმედ ჩაიღიმა სიმწრისგან და მასთან წავიდა…..

ელენე დივანზე იყო მოკუნტული და ნერვიულობისგან ცახცახებდა….თანდათან სანდროს სახე აღუდგა და ტანში ისეთმა შიშმა დაუარა ძვლები გაეყინა.. ფეხზე წამოხტა და გარეთ გავიდა სწრაფად. ცოტნე გაეკიდა…..

-სად მიდიხარ ელენე.?

-სანდრომ აჩვენა ის ჩანაწერი…მისი სახე მახსოვს….

-შენ დარჩი მე მივხედავ. ცოტნეს ნერვები აეშალა..

-არა, მომიმინე, ნიკა ალბათ მივა…..ისიც გაიგებს….

-დაელაპარაკება დაემუქრება და გამოიქცევა მეტს რას იზავს….ჩაისისინა ცოტნემ…

-ცოტნე შენ რა მართლა ხუმრობა გგონია რასაც გეუბნები? შენ მაინც თუ გჯერა რასაც ამბობ….გამიშვი უნდა წავიდე..

-გადმოდი მე წავალ და შენს რაინდს უვნებელს ჩავაბარებ მის მშობლებს….ცოტნე მიხვდა აზრი არ ჰქონდა და ორივე სანდროს სახლისკენ წავიდნენ…ისეთი მშვიდი იყო ნიკას სახე, რომ მარტო ის ვინც კარგად იცნობდა ის მიხვდებოდა მიღებული გადაწყვეტილების შემზარაობას…..მანქანაში იჯდა და სიმღერებს ეძებდა…..გრძნობდა, რომ მოთმინება ელეოდა….ჯაზი ზედმეტად სრულყოფილი იყო მისი მდგომარეობისთვის….სანდრო არც სახლში იყო და არც მისვლას დააპირებდა ალბათ, რომ არ ენახა კი მოკვდებოდა…..თამაზმა მიწერა სად იქნებოდა სანდრო და თვითონაც იქ წავიდა……ცოტნემაც გზაში ბელთაურს ჰკითხა..ერიდებოდათ ქორწილის დღეს, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ხედავდნენ…..რაღაც სტუდიასთან გააჩერა მენაბდემ მანქანა და შენობიდან გამოსული სანდრო რომ დაინახა შეგრძნებები აერია…

-გამარჯობა ალექსანდრე!!!! დაუძახა შორიდან…სანდრო დაიბნა არ ელოდა და არ ელოდა შემდეგ ასეთ მშვიდს….ნიკამ ძალიან მშვიდად გადმოიღო რეზინის ჯოხი დაა მისკენ წავიდა….

-რას აკეტებ? უკან დაიხია სანდრომ…..

-თუ მეხსიერება არ გღალატობს იცი რაც გელის? სიმართლე გითხრა არ მინდა შენს გამო მკვლელი მერქვას, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს!

-მოიცა მეხუმრები?

-მე შენ რა გითხარი? თუ გახსოვს დაგიმარცვლე რომ გაგხსნიდი შუაზე. ჯოხი ძირს დააგდო და პერანგში ხელი წაავლო….თამაზის ხმა ესმოდა, როცა უკვე აღარ იცოდა მერამდენედ დაარტყმევინა კედელს თავი….მთელი ათი წელი თვალწინ ედგა…ხედავდა თითქოს და გრძნობდა მანამდე არსებულ მდგომარეობას..გრძნობდა იმ ბედნიერებას, როგორც იმ დღემდე იყო…ახსენდებოდა მისი და მისი ცხოვრების იმედები….წარმოდგენები ოცნებები და მერე იცოდა ხელში იმ კაცის თავი ეჭირა ვინც ყველაფერი დაუნგრია…სულ სისხლიანი იყო სანდრო….

-ნიკა გააფრინე გაჩერდი…ღრიალებდა თამაზი……ნიკამ ხელი გაუშვა და ბელთაურისკენ შემობრუნდა..

-თაზო წადი რა….არ მინდა შარში გაეხვიო….ნიკას სიმშვიდე აგიჟებდა..

-გააფრინე? მოკლავ!! ახლა გაბრაზებული ხარ!

-მოვკლავ კი, არც გაბრაზებული ვარ, უბრალოდ ასე ვიქნებო სულ სანამ არ მოვკლავ….უბრალოდ დავპირდი!!!!! თამაზი უკვე ღრიალებდა რომ რამე გაეგებინებინა….მაგრამ მშვიდი შფოთი იყო ნიკას თვალებში….

-თამაზ გეფიცები თუ თავს არ დამანებებ შენც მოგკლავ! თუ ხელს შემიშლი საერთოდ არ გამეკარები…..არ ვარ გაბრაზებული, არც ცხელ გულზე უბრალოდ სხვანაირად არ შეიძლება! ამან კიდე კონცერტი მოაწყო….ფილმი გადაიღო უნიჭოდ მაგრამ მართლა არ იცის როგორ სერიოზულად გადამიკეტა აზროვნების უნარი! უბრალოდ გთხოვ….დამანებე თავი წადი აქედან….ისევ გაუჩერებლად ურტყავდა….არც ის ანაღვლებდა სისხლიანი, რომ იყო, არც ის რომ სანდრო ემუდარებოდა……ბოლოს ისევ აიღო რეზინის ჯოხი…..

-რომ მოგკლავ მერე შუაზე გაგჭრი!!!!!

-ნიკა არ გინდა გთხოვ….

-შენ მე ცხოვრება თავზე დამახურე…..ამომიტრიალე ყველაფერი და გეფიცები არ გაგახარებ…. ისეთი იყო იმ დროს რომ თავადაც ვერ იცნობდა საკუთარ თავს……ელენეს ხმა გაიგონა როგორ ემუდარებოდა, მაგრამ ამან უფრო მეტად გაუძლიერა სურვილი მთელი ძალით გადაერტყა ჯოხი…..ფეხზე ძლივს წამოაყენა კედელთან მიაყენე და მთელი ძალით მოიქნია..ქალის ყრუ და დაგუდული ხმა ესმოდა….ელენე ტკივილისგან მოკუნტული იყო და სახე სულ შეშლილი ჰქონდა….შეგრძნება, რომ მას მოხვდა…..მთელი ძალით მოიქნია და ელენე აეფარა სხვა რომ ვერაფერი მოახერხა….ელენე სიმწრისგან ვეღარ სუნთქავდა…კბილებს ერთმანეთს აჭერდა, რომ არ ეკივლა…..ვერავინ ეხებოდა.. ლავიწი ჰქონდა გატეხილი..ხელს ვერ ამოძრავებდა…სულ ის შეგრძნება, რომ ყოველთვის ტკენდა..როცა უნდოდა და როცა არ უნდოდა მაშინაც….გრძნობდა, როგორ ტკიოდა….

-ნიკა გეხვეწები, გემუდარები დაანებე თავი…..ტიროდა ელენე….ტკივილისგან სახე არეული ჰქონდა…მის წინ დაიხარა, ფრთხილად აიყვანა ხელში და მანქანისკენ წავიდნენ…..არავისთვის არაფერი უთქვამს, არც თამაზისთვის, არც ცოტნესთვის…..

-იცოდე თუ მოკლავ……ელენეს ტკივილისგან ხმა დანაწევრებული ჰქონდა….

-ელენე…მაპატიე გთხოვ…ჯანდაბა ძალიან გტკივა….

-მომისმინე…..მინდა იცოდე თუ ამას შენით ვერ ხვდები რას აკეთებ…..ნიკა მისი მოკვლით ყველაფერს გაანადგურებ…..რაც დაგვრჩა იმასაც….ხვდები მაინც რა მდგომარეობაში ჩაგვაგდებ? ხმა უწყდებოდა და ტიროდა…..გაუყუჩებლად ეწვოდა რაღაც….

-კარგი ელენე….არ ინერვიულო მაგაზე, აღარ ინერვიულო….

……..

საავადმყოფოს პალატის დუმილის სიმძიმეს მთელი შეგრძნებით გრძნობდა…..დემეტრეს და ანასტასიას სუნთქვა ისმოდა მხოლოდ და რაღაცის წიკ-წიკის ხმა. მონოტონური ხმა, მონოტონური შეგრძნებები….უკვე დიდი ხანი იყო ანასტასიას რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ არ იცოდა უნდა ეთქვა თუ არა…ეშინოდა დედა არ გაეღვიძებინა…..ნიკამ წრიალი შეატყო და კალთაში ჩაიჯინა….

-მამა თმა მტკივა….დაიჩურჩულა პატარამ.

-რა? რა გტკივა? ვერ მიხვდა ნიკა….მერე ტასუნას თავს შეხედა….

-ეს რა არის? როგორი აქაჩული გაქვს მამა თმები….ვინ გაგიკეთა ესე…..იმდენი თმის სარჭი ეკეთა ძლივს დააცალა…..ანასტასიას თავი ეწვოდა საშინლად, მაგრამ ცდილობდა მოეთმინა..მერე ვეღარ გაძლო….იცოდა ასე ვერ დაიძინებდა არადა უკვე ეძინებოდა…

-მამა რეები დაუსხიათ, სულ გამხმარი გაქვს თმები….

-სალონში გავიკეთე, ლიაკომ გამიკეთა……

-ეგ ლიაკო მონსტრია…..რა გიქნა…ამდენი რკინა თავში რა საშინელებაა..როგორ უძლებდი..გაუცინა ნიკამ…..ანასტასია დიდ გულზე მოვიდა…

-თავიდან ისე არ მტკიოდა მერე ამტკივდა, მეგონა გავუძლებდი, მაგრამ სულ უფრო მტკივდებოდა….. ნიკა თმას სასაცილოდ უშლიდა…იმდენი ლაქი ესხა, რომ თმას ვერ ულაგებდა…..

-მამა ეს რა დაგასხა, ხომ არ გირჩევნია მათეს ვეტყვი და ბებოსთან წაგიყვანს..დაგბანს და დღეს კარგად დაიძინებ…..თუ გინდა ცოტნეს ვუთხრათ და ნინო ბებოსთან წაგიყვანს? ანასტასია აიწურა…

-აქ მინდა, დედასთაან…..თვალები აუწყლიანდა პატარას….

-კარგი, აქ ვიყოთ…..ნუ ტირი რა მამა….გეხვეწები ტასუნა….ანასტასია ნიკას ჩაეხუტა და სახე დამალა…..პალატაში ელენეს მშობლები და ცოტნე შემოვიდნენ….აშკარად უნდოდა ნინოს დარჩენა…..თუმცა ნიკა გრძნობდა როგორ თავხედურადაც არ უნდა გამოსვლოდა იქიდან არ გავიდოდა…..მერე ნინომ გადაჭრით უთხრა..

-ნიკა მე დავრჩები შენ შეგიძლია წახვიდე…

-აქ მირჩევნია….მორიდებით ჩაილაპარაკა….

-ნიკა ცოლი ალბათ გელოდება….არ იქნება სწორი აქ დარჩე….არ უთქვამს გამაღიზიანებლად, მაგრამ ყველაფერი აეწვა…..რეალობამ დაუნგრია ის სუნი რაც იქ იმ პალატაში იდგა..ოჯახის სუნი სადღაც გაიფანტა…..

-კარგით გარეთ ვიქნები მაშინ….წამოდგომას აპირებდა ანასტასია, რომ ჩაებღაუჭა….

-მამიკო იყავი რა არ წახვიდე…..

-ტასო აქ ვიქნები ოთახიდან გავალ უბრალოდ….თავზე აკოცა ნიკამ……გასვლისას ბავშვის დაგუდული ხმა მოესმა…..ვერაფრით იკავებდა თავს ხმამაღლა რომ არ ეტირა ანასტასიას..გული ამოვარდნას ჰქონდა….ისტერიკულად ტიროდა…..ნიკას გარდა არავინ მიიკარა და იმას ჩაებღაუჭა, თითქოს ეშინოდა, ეშინოდა რომ რაღაცას სამუდამოდ წაართმევდნენ…..პალატიდან სწრაფად გაიყვანა….ვერაფრით აწყნარებდნენ….ასლუკუნებდა და სუნთქვა უჭირდა…..

-ბე რა დაგემართა ჩემო პატარა…..ნინო საშნლად აღელდა…ნიკა ბავშვების განადგურებულ ნერვებში საკუთარ თავს ხედავდა და ლამის ანასტასიასთან ერთად ტიროდა….

-შენ ჩვენთან არ იქნები ხოლმე…..ლიკასთან წახვალ….მერე სხვა ბავშვები რომ გეყოლება…..ანასტასიას ხმა გაუწყდა და ისევ ატირდა……

-მამა გეხვეწები რა….

-არ წახვიდე….დედასთან შევიდეთ…..გრძნობდნენ რომ ისტერიკა ჰქონდა….ვერაფრით ჩერდებოდა…….

-დემე წამო ჰაერზე გავიდეთ….ნიკამ ჩაილაპარაკა და ანასტასია ხელში აიყვანა….რაც არ უნდა ყოფილიყო….რეალობა რასაც არ უნდა ქმნიდეს….ოჯახი არ არის დრო რომელსაც სადღაც ატარებ…უფრო მეტია…..კავშირი, რომელსაც იმაზე მეტი კავშირი აქვს ერთმანეთთან ვიდრე სხვა რამეებს…..ისევ ის ადამიანები, რომლისთვისაც ყველაზე მძიმე იყო მენაბდე ისევ ის ადამიანები ვერ ძლებდნენ მის გარეშე….ვერც ის ძლებდა… თუ სხვა ადამიანებს იგივე ქცევით დაკარგავ ოჯახზე ყველაფერი სხვანაირადაა….ალბათ ეს ის ადგილია სადაც ყველაზე მეტად ასატანია ჩვენი ცუდი მხარეები…რადგან აქ არ უყვართ სიკარგის გამო..აქ უბრალოდ პირობების გარეშე უყვართ ერთმანეთი….

-ანატატია, ტასო..მამა ნუ ტირი გეხვეწები…..მაპატიე…..

-ტასუნა, პატარა….მოდი ჩემთან….დემეტრემ კალთაში ჩაიჯინა და მიიხუტა….ნუ ტირი შენ ხომ სხვანაირი გოგო ხარ..აი ისეთები სხვანაირად სხვანაირები….შენ ხომ ამბობ ხოლმე რომ დედიკოს უნდა გავდე? დედა ხომ არ იტირებდა…

-დედაც ტირის საღამოობით მამას სურათებს რომ ნახულობს…..უფრო მეტად ატირდა ანასტასია….ახლა უნდოდა გამქრალიყო…..დედამიწა შუაზე გაყოფილიყო და ნიკა მენაბდე შიგ ჩაეტანა….ამის ატანა უფრო რთული იყო, უფრო რთული იყო დაუმსახურებლობის გამგუდავი მარწუხები….დემეტრემაც იცოდა როგორ განიცდიდა ელენე ნიკასთან დაშორებას….იცოდა მაგრამ არასოდეს იტყოდა….ანასტასიამ კი ვერ მოითმინა….დემეტრე უბრალოდ ბევრ რამეს მიხვდა, მიხვდა როგორ უყვარდათ მშობლებს ერთმანეთი….ამას ისედაც გრძნობდა ხოლმე ზოგჯერ, მაგრამ მერე ეჭვი ეპარებოდა….მშობლების დაშორებამ კი რაღაცნაირად დადებითად დაანახა ის ყველაფერი რასაც იქამდე ვერ ამჩნევდა….დაშორდნენ, მაგრამ ბევრი რამე აღდგა..შეცვალა და უფრო მეტად გააძვირფასა.

-ანასტასია შენ ნუ ნერვიულობ…..ყველაფერი კარგად იქნება…..მამა დამიჯერე, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ხომ გჯერა? დედა კარგად იქნება….ნიკა ცდილობდა თავადვე დაეჯერებინა ეს ყველაფერი, რომ არ გაგიჟებულიყო….ცოტა ახლა სხვანაირადაა ყველაფერი მაგრამ დალაგდება….მამა შენ ძალიან ბედნიერი იქნები, ბედნიერი უნდა იყო….გეხვეწები კარგზე იფიქრე, იფიქრე დედიკომ შეიძლება უკვე გაიღვიძა და ვერ გხედავს თან ესე ნამტირალევს, რომ დაგინახავს…..

-სახეს დამბანე….წავიდეთ…..მაშინვე გამოერკვა ელენეს გაღვიძება რომ უხსენა…. ნიკამ ანასტასია დემეტრეს მიუჯინა გვერდით და თვითონ იმათ ფეხებთან ჩაიცუცქა…..

-ძალიან მიყვარხართ…..ორივე საშინლად…..მინდა ჩემთან ერთად იყოთ სულ..სულ მენატრებით….იმედია ამ დროს მოვერევით….უნდა მოვერიოთ…ბევრი რამის გამო….მერე რა სხვები რას იტყვიან…მერე რა….ჯანდაბას აქამდე რაც ხდებოდა….თუ სხვანაირად ვერ ვცხოვრობთ, თუ ერთმანეთის გარეშე ვერ ვცხოვრობთ მაშინ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ერთადყოფნისთვის…..მე მინდა რომ ყველა ჩემი დრო თქვენი იყოს….ახლა რააღაცები არის რაც ამის საშუალებას მართმევს….ვერ ვხედავ ახლა იმ გზას რაც საუკეთესოა, მაგრამ ჩვენ ახლა უფრო ახლო ვართ ერთმანეთთან ვიდრე ოდესმე…..ეს თანდათან უფრო მეტი იქნება….

-ტასო ბებიკო ბაბუკო და ცოტნე შეაშინე..რომ მიხვალ უთხარი რომ კარგად ხარ….გზაში ეჩურჩულებოდა ნიკა.

ანასტასიამ თავი დაუქნია და მოეხვია…..ცოტნესთან შეხვედრა, ყოველთვის მძიმე იყო….მძიმე იყო ყველაფერი რაც ამ დროს მის ორგანიზმში ხდებოდა….სინანული, წყენა, შეუძლებლობა და მისი დანახვისას გახსენებული ბედნიერი წლები….რომ შევიდნენ ელენეს უკვე ეღვიძა….მაშინვე ანასტასიას დასიებული თვალები დაინახა….ნიკას ხელში ეჭირა ისე დაიხარა და ტასუნამ ლოყაზე აკოცა…პატარა ხელები სახეზე მოუსვა და გაიცინა…..

-რატო იტირე დედა?

-რავიცი ამეტირა დედიკო…. დამნაშავესავით ჩაილაპარაკა.

-ტასო არ გინდა შენ გაყოლოდი ბებოს? აქ დაიღლები….

-არა აქ მინდა..მიეკრა ნიკას…..მენაბდემ თვალით ანიშნა რომ ჯობდა დარჩენილიყო..

-კარგი როგორც გინდა დე…..

ნიკამ ტანსაცმელი გამოუცვალა და დემეტრეს მიუწვინა….სასაცილო შარვალი ეცვა პატარა ფეხებზე….დემეტრე თმაზე დაცინოდა საშინელი სუნი გიდისო…..მერე სანამ ნიკამ არ უთხრა არაა ცუდიო მანამდე არ მოისვენა..მამამისის ყველაზე მეტად სჯეროდა ამ საკითხში….ტასიკო რომ მიტრიალდა ნიკა საშინლად დაიჯღანა დემეტრეს გეცინა..

თვითონ ელენეს მიუჯდა ღიმილით…..

-რატომ ხარ ესე ბედნიერი, საავადმყოფოზე როგორ გიჟდები ეს რომ არ ვიცოდე არ გკითხავდიი….

-არ ვიცი, მაგრამ სიმყუდროვეა სხვანაირი, პალატაში უფრო ბედნიერი ვარ ვიდრე სხვაგან…აი ჩვენს ბავშვობაში შუქი, რომ ჩაქვრებოდა და ყველა ერთ ოთახში, რომ ვიყავით მყუდროდ…შეშის სუნიც მაშინ მოდიოდა..და მაშინ ვლაპარაკობდით ყველაზე მეტს ყველაფერზე….გულწრფელობა ანათებდა ყველგან… მერე შუქი აღარ ქვრებოდა და ეს შეგრძნებებიც წავიდა….მოდასავით არის კარგად დავიწყებული ძველია… ჩაიღიმა ნაღვლიანად…-არ მინდა გათენდეს გეფიცები…..ნიკამ სახეზე ხელი ჩამოუსვა….

-არც მე…..

-გავათენოთ, გაეცინა ნიკას…..

-ხმადაბლა გაეღვიძებათ…..

-მეთამაშები? დაიჩურჩულა ნიკამ.

-რას? ნიკამ თვალები მოხუჭა და დაიწყო ღიმილით…

-ოცნება?

-ღიმილიანი დღეები.

-სწორია პოლიტიკა არ მიგულისხმია…..

-ნუ არღვევ!

-ვგიჟდები?

-ნუ ელოდები რომ შენ დაგასახელებ….გაეღიმა ელენეს…..

-მე არაფერი მითქვამს ასე რომ პასუხი მიღებულია….ნუღა წყვეტ….

-ვფიქრობ?

-შვილებზე.

-ვამზადებ?

-კარგ საჭმელებს.

-ნუ იბრალებ!

-ნუ წყვეტ!

-მაპატიე.

-კარგი.

-ვერიდები?

-კალორიებს!

-ყველა ქალი ერთნაირია!

-ნიკა კომენტარებს რატომ აკეთებ?

-შენ კითხვის დასმის უფლება არ გაქვს!..გაუღმა ნიკამ და გააგრძელა.

-ვაგროვებ?

-ემოციებს.

-დავდივარ?

- ჯინსების თაობაზე.

-მშურს?

-არ მშურს….

-არაა ეგ პასუხი ელენე….

-როგორ არაა ჩემი პასუხია….

-არ თამაშობ სწორად!

-მე? შენ ლაპარაკობ უფრო მეტს ვიდრე კითხვებს სვავ….

-ნუ მაკრიტიკებ!

-ნუ წყვეეტ მაშინ…

-ამოწმებ?

-ჭიქას საანამ რამეს დავასხავ…

-ეგ მე გასწავლე….

-ოოო ჩემითაც როგორმე მოვახერხებდი….გაეცინა ელენეს….

-მე მიგაჩვიე……

-ნუ გგონია სამყაროს ცენტრი შენი თავი….

-კარგი, უბრალოდ შენ მიმაჩვიე……ორივე ცოტა ხანს გაჩუმდა….

-მე არ გამომდის, არ ვსვავ კარგ კითხვებს და თუ ვსვავ მერე ვლაპარაკობ…..

-არაუშავს……

-მაშინ თითქოს ეს სიმძიმეები არ გვქონდა რაც ახლა ჩვენს ურთიერთობას აქვს…..

-მაშინდელი ყველაფერი მენატრება…..

-მხარი ძალიან გტკივა? ნიკას წარბეები აეწია და შუბლი შეეკრა..

-არა, აღარ….

-ძალიან მინდოდა მომეკლა…..უბრალოდ გეფიცები სიცოცხლეს არ იმსახურებს…..მასეთები არ უნდა იბადებოდნენ და თუ მოკლავ არაფერს დააშავებ..მაგრამ იცი რა მაშინებს…..მგონი მაგაზე უარესი გავხდი….მგონი ძალიან ცუდად ვცხოვრობ….საკუთარ თავს ვერ ვცნობ…..მეშინია რომ ბოროტი ვარ…..მეშინია რომ მარტივად ცუდი ადამიანი ვარ….საკუთარ თავს ვატყობ რომ დიდი ხანია ვერ ვენდობი….

-ნიკა ესე არაააა…..მე ვერ ვიფიქრებდი რომ სანდროს ეს შეეძლო….რატომ უნდა გინდოდეს სხვები ასე დატანჯო, ერთხელ მაინც რომ ეგრძნო რას ნიშნავდა ყველაფერი არ გააკეთებდა, ვერ გააკეთებდა….მაგისთვის ზედმეტი იყო ცხოვრება ასე გაგებუჭებინა რომ მოგეკლა….უფრო მეტად გაგვეფუჭებინა ჩვენი ცხოვრება.

-ალბათ სათანადოთ ფრთხილი არ ვიყავი, მშვიდად ვუდგებოდი მაგის არსებობას და გამოხტომებს. ზოგჯერ ადამიანები სიმშვიდის უკან მიუხვედრელობას ან შიშს ხედავენ…მე უბრალოდ მართლა არ ვთვლიდი რომ მაგის გამო ნერვების მოშლა ღირდა…

-ნიკა არ აქვს მნიშვნელობა მაინც გააკეთებდა იმას….

-არ მინდა იფიქრო, რომ ჩემი ბრალის იმაზე გადატანას ვცდილიბ…ან ამ ყველაფერს იმიტომ ვამბობ, რომ შენ თვალში ისეთი ბინძური არ ვჩანდე….გეფიცები ეს ჩემს მდგომარეობას ამძიმებს ვიღაც ელემენტის გამო მოხდა ის რაც მოხდა…..საბოლოოდ მაინც ვერ შევძელი სხვა ადამიანებისგან დაგვეცვა ჩვენი ბედნიერება…..სანდრო რომ დამნაშავეა ეს მე არაფერს მაცილებს, არც ერთ ცოდვას…მაგრამ ნერვები ისე მეშლება ამ ყველაფერზე ისე ცუდად ვხდები….

-ნიკა თუ წარსულს ისევ ამოვთხრით ერთ ადგილზე ყოფნა მოგვიწევს…..წინ არ წავალთ და ესე ხომ არ გვინდა? ჩვენ რომ არა შვილებიც ხომ გვყავს, იმათ ხომ ჭირდებათ სხვანაირი მშობლები….ჩვენ ამ ასაკში არ ვართ დალაგებულად და წარმოიდგინე დემეტრეს რა უნდა მოვთხოვოთ….ჩვენ ჩვენი მშობლები მტკიცედ გვედგნენ არ ჰქონდათ ისეთ პრობლემები რაც ჩვენ, მაგრამ მაინც გაგვიჭირდა…..უნდა დავანებოთ თავი წარსულს….არ გვაძლევს რამეს…მხოლოდ გვრთგუნავს….

-თექვსმეტი წლის რომ ვიყავი იცი რას მივხვდი? მეგონა ცხოვრება მთლიანად მესმოდა… აი რომ ხედავ ყველაფერს, რომ იცნობ საკუთარ თავს…რომ იცი რა გინდა ცხოვრებაში…ზუსტად ვიცოდი….ყველაფერი ელენე….მიზნები ისე მქონდა დალაგებული…..სურვილები, ყველაფერი….16 წლისას ისეთი დალაგებული ცხოვრება მქონდა, ისეთი დალაგებული ღირებულებები…..გააზრებით ვუყურებდი ყველაფერს,….მამაჩემმა მარტო ერთხელ მითხრა…მხოოლოდ ერთხელ შემატყო მეზობელს რაღაც ისე ვუთხარი..რომ წარმატებამ არ გაგაფუჭოსო, გეფიცები გინდ ეს ეთქვა და გინდ მთელ დედამიწას თავში ხელი ჩაერტყა ჩემთვის….კი არ გავბრაზებულვარ პირიქით, რომ დავფიქრდი და ოდნავ მაინც დავინახე, რომ რამდენიმე გატანილმა გოლმა სხვაზე უკეთესად მაგრძნობინა თავი და ეს მამაჩემმა დაინახა ლამის მოვკვდი…ღამე მეტირებოდა ხოლმე, რომ ის რაც შიგნიდან შეიძლება გქონდეს გარეთ გამოვიდა და მამაჩემმა დაინახა…..იმისი მითითება დამჭირდა იმაზე რაც მეგონა რომ პირველ რიგში მესმოდა და გააზრებული მქონდა……მხოლოდ ეს ერთი შემთხვევა იყო როცა საკუთარი თავი არ მომწონდა….სხვა დროს გეფიცები ყველას რომ გიჟი ვგონებოდი რაღაც საქციელის გამო მე მაინც ბედნიერი ვიყავი, რადგან იმას ვაკეთებდი რაც სწორი იყო……ისე დალაგებულად მიდიოდა ყველაფერი და მერე ერთიანად დავკარგე გარკვევის უნარი…. თითქოს იმ სამყაროში გადავედი სადაც არაფერი მესმოდა, არაფერი ვიცოდი. გამოცდილება არ მქონდა ასსეთ რამეებთან გამკლავების…მე შეჩვეული ვიყავი რომ თუ ადამინაი გაწყენინებს, თუ რამე შეეშლება უნდა დაივიწყო…..გზიდან უნდა გადაშალო და იმაზე არ უნდა იფიქრო….ამ კატეგორიაში ჩაგაჯინე, მაგრამ ვერაფრით მოგისადაგე ის რაც სხვაზე წარმატებით გამომდიოდა….ვერც დაგივიწყე, ვერც გადაგშალე…..ვერაფერი…..მე კი სხვა არაფერი ვიცოდი არ ვიცოდი რა გამეკეთებინა….უფრო სწორად არ შემეძლო….

-ნიკა ისევ წარსულზე ლაპარაკობ..

-ელენე ხომ უნდა გავარკვიოთ…..ეს წარსული არაფრით არ მანებებს თავს..

-არა….ისედაც ვიციით ყველაფერი…..ჩემი ბრალით დაიწყო შენით გაგრძელდა….

-უბრალოდ არ მინდოდა ასე ყოფილიყო….ანასტასიამ დღეს ისე იტირა ისე ვუყვარვარ გავგიჟდი….ესე როგორ ახერხებს? რა პატარაა და სულ ასეთია…გეფიცები, რომ მიტოვებდი ხოლმე სულ პატარა რომ იყო თვეების….მეგონა ყველაფერი ესმოდა….ზუსტად მაშინ შემოგხედავდა ისეთი თვალებით როცა გიჭირდა….თან ცელქიც იყო…ხომ ყველა ბავშვი საჩუქარია, ზოგჯერ მგონია რომ ეს განსაკუთრებულად….ვაკვირდები და მაოცებს…არასოდესაა იმისკენ ვინც მართალია, იმის მხარესაა ვისაც უჭირს, ალბათ ეს სამართლიანობის ტატიასეული აღქმაა….სულ რაღაცას აბალანსებს, სულ ცდილობს ყველა კარგად იყოს..რომ არ გამოდის მერე ტირის…..ტირილიც ისეთი სუფთა აქვს, გულუბრყვილოდ გახვედრებს, რომ დაუშავე…..შეიძლება სიმართლის საპირისპირო მხარეს იდგე და ტასუნაც შენს ხელს ჩაებღაუჭოს…..შენს კისერზე იყოს შემოხვეული და იყოს თავიდან ბოლომდე მართალი, ბავშვური სიმართლით კი არა მხოლოდ..ზოგადით….თუმცა ბავშვური სიმართლე მაინც ყველაზე მეტია….ამას ადამიანები მთელი ცხოვრება, რომ აცხოვრო გამოცდილებითაც ვერ ხვდებიან…და ასეთს ესე ვაწვალებ….

-შენ გგავს ძალიან….ისეთი მეტიჩარაა…

-რა? ახლა გაჩერდი..მე მგავს და მეტიჩარაა?

-არა, მოიცადე დამამთავრებინე…ელენეს გაეცინა…არა მეტიჩარა არის…შენ იმით გგავს, რომ სულ ცდილობს კამათი არ იყოს….სულ ვიღაცებს არიგებს..აი სკოლაში რომ მივდივარ ხოლმე შუაში დგას და ლაპარაკობს, რომ ნუ აწყენინებენ ერთმანეთს…..პატარა მტრედია მშვიდობის…..

-მე მშვიდობის მტრედი არასოდეს ვყოფილვარ, გაეცინა ნიკას, ელენემ ხელი ააფარა, რომ ბავშვები არ გაეღვიძებინა….

-ხო შენ არავის აწყნარებდი არ გაინტერესებდა ასეთ რამეები, უბრალოდ შენ არ იკამათებდი…..

-ხო და იმის თქმა მინდა, რომ ტატია შენ გგავს….არ ჩუმდება ხოლმე….

-ყველაფერს შენ სასარგებლოდ ნუ ატრიალებ…..იმაზე ვთანხმდებით რომ მართლა შენ გგავს….უბრალოდ გოგოა და ტრიპაჩი……დიდ ხანს ილაპარაკეს…თავზე თითქმის დაათენდათ….ელენე ტკივილგამაყუჩებლებით იყო გაბრუებული და დილით მაინც ჩაეძინა…მერე ნიკასაც…..მის საწოლზე ჰქონდა ჩამოდებული თავი…..ერთმანეთის სუნთქვას გრძნობდნენ….ცხვირს საავადმყოფოს საწოლს ვერ ადებდა და სასაცილოდ ეძინა….მძინარესაც კი ახსოვდა, რომ საავადმყოფოს საწოლზე ედო სახე…..მხოლოდ იმიტომ ჩაეძინა, რომ იქ მის სუნთქვას ისმენდა….

……..

უკვე გაიაზრა, რომ ვეღარ ითამაშებდა….გაიაზრა, რომ ახლა ვერ შეძლებდა მთლიანად გაეგო რას ნიშნავდა ეს ყველაფერი..გადაწყვიტა არ ეფიქრა, გადაწყვიტა არ გაგიჟებულიყო….საოცრად არ აინტერესებდა, რომ ტკიოდა….ფეხის ტკივილს ფიზიკურს აღარ გრძნობდა…მხოლოდ გააზრებული ტკივილი, ჩუმი და უსიტყვო უღრნიდა ყველა ძვალს….ელენე ჯიუტად არიდებდა თავს ექიმს, უკვე რამდენიმე დღე იყო გასული….ნაყოფი არ განძრეულა…..ფერი სულ დაკარგული ჰქონდა….მენაბდეების მთავარი სახლი დუმილის და სულიერი წყვდიადის ეპიცენტრი იყო იმ დროს….კიბეებზე ჩასვლისას ნიკას ოთახიდან რომ გამოვიდა, მისი სასხვათაშორისო ღიმილის დანახვისას ძალით რომ აიძულა თავს, მისი სიცივისა, უიმედო და ჩამწყვდეული თვალების დანახვისას იგრძნო, რომ ჯოჯოხეთი ელოდებოდა….ნიკას სიმშვიდეში ხედავდა იმას რომ მხოლოდ მის ნერვიულობას ერიდებოდა…ბავშვის გამო და არა იმიტო, რომ ელენე იყო…პირველად იგრძნო ფეხმძიმობისას, რომ მის შვილს ატარებდა სხვა დროს ყოველთვის „მათი“ შვილი იყო, ნიკას მზერამ კი მენაბდის სურვილის საწინააღმდეგოდაც კი აგრძნობინა, რომ უკვე მისთვის ელენე აღარ იყო ის რაც ადრე…..ამ შეგრძნების დაკარგავ ყველაფერი ჩამოუშალა…კიბესთან ყველაფერი დატრიალდა და თამაზი რომ არა იქიდან დაგორდებოდა…..სასწრაფოდ ამშობიარეს ხელოვნურად…..უკვე აღარაფერს ჰქონდა აზრი ნაყოფი რამდენიმე დღის მკვდარი იყო..ელენემ იცოდა როდის იგრძნო მუცელში საშინელი ტკივილი….იგრძნო ნიკას დავარდნისას როგორ მოსწყდა რაღაც სამუდამოდ….ექიმი ძალიან ნერვიულობდა, რამდენიმე საათიც და ორგანიზმი საშინლად შეიძლება მოწამლულიყო…..ელენე გრძნობდა, რომ ცუდად იყო, მაგრამ მართლა ვეღარ ხვდებოდა რისგან….სახლში დაბრუნება მუცლის და ბავშვის გარეშე იმაზე მძიმე იყო ვიდრე ადამიანს შეეძლო წარმოედგინა…..იმის გააზრებაც კი არ უნდოდა ნიკას რა დაემართებოდა……ყავარჯნებზე დაყრდნობილი ქმარი დაინახა აბაზანიდან რომ გამოდიოდა…ნიკამ გულგრილად შეხედა და ისევ გზა გააგრძელა, მერე ზურგშებრუნებული გაქვავდა, როცა აზრმა გონებას მიაღწია, შემობრუნდა და მოურიდებლად უყურებდა მუცელზე….ეყრდნობოდა ჯოხებს და ამიტომ არ ეცემოდა….კარებთან ატუზული ელენე ოდნავ მაინც ელოდა თანაგრძნობას საერთო ტკივილისთვის მისკენ მომავალი ქმარი, რომ დაინახა…..ნიკამ ღია კარებში გაიხედა…მხოლოდ პარკებით მომავალი თამაზი და დემეტრე დაინახა…..ბელთაური სახლში შევიდა და საშინლად განიცადა ნიკას სახე….მნამდე კარის სახელურს დეყრდნო….ვერავინ ხვდებოდა რას აკეთებდა, ვერავინ გებულობდა რა უნდოდა…რას ეძებდა ესე ნაღვლიანად განადგურებული…პარკებშიც კი ჩაიხედა…ბოლო იმედიც კი არ გაუშვა, რომ სახლში ბავშვთან ერტად დაბრუნდებოდნენ……იმ მომენტში ბავშვის ტირილის ხმა, რომ გაეგო ალბათ არაფერი იქნებოდა ასე მძიმე..არც ეს ათი წელი….ელენეს სხეული აეწვა, როცა მიხვდა, ვის ეძებდა სასოწარკვეთილი იმედით მენაბდე….

თავი 26

კიჭების ამოსვლაზე ყველაზე მეტად ინერვიულეს, მათესთან იყვნენ როცა ელენემ ამოსული კბილი შენიშნა, ოდნავ რომ ემჩნეოდა..

-დემეტრე….ვაიმე…მათე ნახე…

-რა მოხდა, მათეს სახე წაეშალა….

-კბილი..მგონი ამოდის…დედიკო…..დე….

-რას ამბობ…მაღალ ხმაზე თქვა მათემ და გეცინა..

ეს უნდა აღვნიშოთ სწრაფად, ჩქარა ყანდწიი…

-ნუ დაგვცინი რა….ელენესაც გაეცინა…

-ვაიმე ამოუვიდოდა სად წავიდოდა ერთი…..სასწაულები ხართ შენ და ჩემი ძმა…..ნიკას ცოტა აგვიანდებოდა და მერე მოვიდა…..ელენე სიხარულით დაეტაკა….კისერზე ხელები მოხვია და ჩაეხუტა…

-კბილი ამოდის……ნიკას გაბრწყინებულ სახეზე მათე ძრს ღოღავდა სიცილისგან..

-რა?? მაშნვე დემეტრე აიყვანა და კალთაში ჩაიჯინა……

-ნიკა იმედია მსახიობობ და ეგ სახე რეალურად არ…..

-მათე კოვზი მომაწოდე რა…სუფთა ოღონდ..უნდა ვნახო კიჭი თუ მართლა ამოდის….

-დამსაჯეთ ვინმემ რა ცუდი მამა ვარ.. (უკვე ამ დროისთვის მათეც ცოლ-შვილი ყავდა და მაიამაც ამოისუნთქა). ელენე და ნიკა ისეთი გახარებულები იყვნენ მათეს გულწრფელად ეგონა რაღა უნდა მომხდარიყო ისეთი რაც გაახარებდათ…..

დემეტრეს სულ ნიკასნაირად ეცვა…..ჯინსიც კი არ უნდა ყოფილიყო ოდნავ განსხვავებული ფერის…..ნიკას ნაკრების და გუნდის ფორმა რომ მზადდებოდა, მზადდებოდა დემეტრესთვისაც….თამაზი დასცინოდა ორიგინალს უმზადებს ეგღა აკლია ბავშვს პატენტი ჩააცვასო…..იცინოდა მაგრამ მართლა ასე იყო….მაგრამ ამის მიზეზი ის იყო რომ ნიკა ზედმეტად ბევრს ფიქრობდა შვილზე….არ უნდოდა წვრილმანებშიც კი მიეფუჩეჩებინა მისი ინტერესები…..თამაშებზეც დაყავდათ…უკვე ხალხის აღარ ეშინოდა ისე იყო მიჩვეული გადაჭედილ სტადიონს….მამასთან ერთად სტადიონსაც უვლიდა ხოლმე კრუგს და გამარჯვებებზე უფროს მენაბდესთან ერთად უხდიდა კისერზე შემომჯდარი მადლობებს მაყურებელს…..ნაკრების ევროპაზე გასვლის აღინიშვნა განსაკუთრებული იყო……იმდენ ხალხშ ტირილი დაიწყო მამა რომ ვერ დაინახა…მათე და ცოტნე რას არ უკეთებდნენ…მაგრამ ამ დროს სტადიონზე მამის გარეშე უამრავ ხალხშც კი მარტო იყო და ტიროდა…..

ვერაფრით აძალებდა მეორეს…..ელენე ძლივს აუდიოდა სწავლასაც და დემეტრეს მოვლასაც, არ უნდოდა დედის გარეშე დიდ ხანს ყოფილიყო…ნიკა კი სულისწასვლამდე ელოდებოდა მეორეს…მესამეს…..ერთხელ თამაზთან ლაპარაკს მოკრა შემთხვევით ყური ელენემ და მაშინ გაიფიქრა…ცხოვრებაში რომ დრო არაფრის ჰქონებოდა მაინც გააჩენდა იმდენ შვილს რამდენიც ნიკას უნდოდა…..

-იყავი ახლა სახლში..

-ძალიან კარგად ვარ მე…ეს შენ ხარ მოწყენილი….

-აუ რაა….არაფერი მოწყენილი არ ვარ მე……ძალიან კარგად ვერთობი…..დაიღრიჯა თამაზი..

-ოჰო…ოჯახი გინდა თაზუნა…ოჯახი….სიმშვიდე, შვილების ხმაური…..ესეა რას იზავ…ადამიანი ასეა მოწყობილი….მოგბეზრდება შენც ეს აღვირახსნილობა და მერე გვიანი იქნება….

-დამანებე თავი…კარგად ვარ…უამრავი საქმე მაქვს…..უამრავი გოგო….

-ხო მაგრამ ეს ის არაა ხომ იცი რა…..

-არ მაქვს რა ცოლის წიკვინის თავი….რა? სად? როდის? კითხვების ატანა არ შემიძლია…..

-თაზუნა დაიღლები….არ იცი რა მაგარია სახლში მოსვლა რომ გიხარია…..მარტო იმიტომ არ მაწუხებს წლების გასვლა, რომ დემეტრე იზრდება….. მარტო ამიტომ მიხარია დრო რომ გადის….დემეტრეს არსებობამდე სულ ის შეგრძნება მქონდა, რომ დრო ზედმეტად სწრაფად გადიოდა, ახლა დროც კი გაჩერდა….

-აუ წვენი რომ გაწურე ჩემთვის არ უნდა დაგესხა….გაუჯავრდა სასაცილოდ თამაზი….ვარჯიშ ახალი დასრულებული ჰქონდათ…..

-დამანებე თავი….გაეცინა ნიკას…

-ესე არ შეიძლება წვენი მეც მინდა…

-დაისხი მერე კამპაა არაფერი გამომიწურია….ნუ ბავშვობ…

-ორ დღეში ანტვერპენში ევრობასქეთია…

-რას მეუბნები…..

-ჰა…რას ფიქრობ?

-თამაზ გადი რა ნუ მაქეზებ, ვარჯიში გვაქვს და ორ დღეში თამაში..აი მაგას ახლა აზრი არ აქვს…

-მაკედონიას ხვდება ჩვენი ნაკრები?

-ბელთაური გაჩუმდი…

-ცოტნე ხუთეულშია პირველივეში…..აუ რა აგარი იქნება..

-თამაზ!!!!

-ტელევიზორში რომ ვუყურებთ….მოტყდა თამაზი….

-აუ რა ვქნათ…..რა ჯანდაბა მოვახერხოთ, ძალიან მინდაა….ახლა ნიკა ატყდა….

-აუ რამე რომ ვქნათ, არ ვიცი ახლა ჩვენი იქ წასვლა არ დაიფარება…ერთი ვარჯიში გავაცდინოთ რა იქნება…ჯარიმას სიხარულით გადავიხდი…..

-ხო მაგრამ სერიოზული თამაში გვიწევს არ გაგვიშვებენ….

-მიდი რა დაველაპარაკოთ რა….დრამანსაც ვუთხრათ…..

-ბელთაური ჩვენ მოგვკლავენ…..გადაიხარხარა ნიკამ..

-მიდი რა და წვენი რომ არ დამისხი გაპატიებ……მწვრთნელს დაველაპარაკოთ……რამდენიმე საათ რა…..ცოტნეს გაუხარდება….

-ხო კარგი მათესაც ვუთხრათ…

-მოკლედ ბანდა ვიყრებით და რამდენიმე საათი ეჭვი მაქვს ორ დღედ იქცევა…….

-იცოდე გაგიჭედავ და მერე არ დაიწყო არ გაგიფრთხილებივარო..იმ დღესვე მოვდივართ…

-ხო აბა…

-ხო, ხო…. ნუ იღრიჯები….

სრული მობილიზაცია გამოცხადდა…სრული აღჭურვილობით წავიდნენ…ცოტნესთვის არაფერი უთქვამთ..სურპრიზად დატოვეს……სადღაც პირველი და მეორე მეოთხედის გასაყართან შენიშნა ცოტნემ ერთ მხარე რომ საშინლად აქტიურობდა, რომ დააკვირდა ყველა ყველას დააკავშირა და მიხვდა ისინი იყვნენ…ელენეც კი იყო და ნიკასთან ერთად ისეთ ხმაზე ყვიროდა თავის დას ვერ ცნობდა…

-ჯუნგლად მიქცია და….ჩაიცინა ცოტნემ……ასეთ დროს მენაბდის სიმშვიდე სადღაც ქრებოდა…..არაადამიანური იყო……არ ჩუმდებებოდა…ნაკრების ფერებში გამოწყოფილი, საკუთარი ნაკრების მაისურით და არაადამიანური ხმით….. მთელი დარბაზის აყოლიება დაიწყეს….თამაზი ქართველ ქომაგებთან გაუშვეს იქიდან ინფორმაცია რომ მოეწოდაბინათ..აღმოსავლეთ მხარის კონტროლი მთლიანად ნიკამ და მათემ აიღეს..დასავლეთს ქომაგები აკონტროლებდნენ…..სანამ შევიდოდნენ იქამდე თუ ვინმე ქართველი ეგულებოდა ბელგიაში ყველას დაუკავშირდა და ბილეთები დაურიგა…მერე იქ ნეიტრალური გულშემატკივარი ხომ „დაიმორჩილეს“ ზოგი დრამანის ხათრით, ზოგი ნიკას, ზოგი თამაზის ყველას ქარტული დროშა დააკავებინეს..(წინასწარ უამრავი წაიღეს) რადგან საქართელოს ყვირილს მათგან აზრი არ ჰქონდა ვერ ათქმევინებდნენ ასეთ გრძელ სიტყვას ყვიროდნენ კალათბურთელების სახელებს და გვარებს…..ნიკას სახე წაშლილი ჰქონდა, რაც უფრო იძაბებოდა თამაში უფრო მეტად ეშლებოდა სახე……ბოლო წამებმა სულ დაანგრია

სიმშვიდე…..იმათი ორი საჯარიმო სროლა და დარბაზი რეალურად იქცა დაბრკოლებად…….ჯარისკაცებივით იყვნენ ფლანგებზე ქართველი გულშემატკივრები, რომ როგომე აეყოლიებინათ დარბაზი……მათე სამხრეთის მხარეს გადავიდა, დრამანი ჩრდილოეთით..ელენე და ნიკა ისე გულშეატკივრობდნენ უკვე ხმა არც ერთს ჰქონდათ……არავინ ელოდა იქ ისეთ ამბავს…სპორტის სასახლის ხმაური იყო…სხლის ხმაური…თბილისში ეგონათ თავი ზოგჯერ მოთამაშეებს და ყველაფერს აკეთებდნენ….ცოტნეს აცილებული სამქულიანი 30 წამი იყო დარჩენილი და დარბაზის დუმილი…….რამდენიმე წამით დაჯდა ნიკა და მაშინვე წამოხტა…გაუაზრებლად ღრიალებდა ცოტნეს სახელს, ბოლო ხმაზე…ბოლო შესაძლებლობებზე……იყო რამდენიმე წამი როცა მხოლოდ მისი ხმა ისმოდა დარბაზში..მერე სხვებიც აყვნენ…..იქ ყველაფერი იყო…წარმოუდგენელი დაძაბულობის სუნი….გამარჯვების სურვილი და ყველაფერი ეროვნული ეროვნულისთვის…..მოწინააღმდეგისთვის ჩაჭრილი გადაცემა და პასი, რომელიც სრულდება დიდი „სლემით“ როგორც ამერიკელები იტყვიან და ისევ ამერიკული „ენდ ვან“ “AND ONE” ანუ კიდევ ერთი…ორქულიანთან ერთად ჯარიმის სროლის უფლება და შესაძლებლობა დაასრულო პარკეტის დაძაბულობა…..

ჯგუფიდან გასვლა……

ელენეს თუ ასე რამე გაუხარდებოდა…ვერ წამოიდგენდა…ძმით საშინლად ამაყობდა…..ამაყობდა მისი სტაბილურობით და ბრძოლისუნარით….საბოლოო გამარჯვების მომტანი ქულებით…..ნიკამ იცოდა, თვითონ რომ ეთამაშა შეიძლება ასეთი დაღლილი არ ყოფილიყო…ენერგიაგამოცლილი დაჯდა სკამზე და იცინოდა…..ელენე მოეხვია..სულ გაოფლილები იყვნენ…….

-აუ მოვკვდი ნერვიულობით…ძნელია გულშემატკივრობა…..

-შენ ყველას აჯობე ნიკა…..

-ნუ დამცინი ელენე…..

-გეფიცები……აი ყველაზე მაგარი გულშემატკივარი ხარ…ფილტვები მტკივა…..

-შენ არ იცი მე როგორ…..ხმა სულ წასული ჰქონდა ნიკას…..გასახდელში თავზე დაადგა მოთამაშეებს..

-ცოტნე…..შე მაღალო…..რა გიჟი ხარ……

-ვა ნიკა…..მადლობა ტო….თავზე დაიმხეთ თქვენ ყველაფერი…

-ხო რა ვქნათ ევროპაზე ჩვენ ვერ გავდივართ და თქვენი იმედიღა გვაქვს…..აუ რა მაგარი ყოფილა ესე მოგება გულშემატკივარი რომ ხარ…..იმენა გიჟობაა…..

-აუ როგორ გამიხარდით…..ცოტნე ლამის ყველას ერთად გადაეხვია…..

-დაჯექი ოღონდაც ზემოდან ნუ გვიყურებ! დაისისინა ბელთაურმა….მერე დრამანი აწუაუნდა ქართულად ნუ ლაპარაკობთ არაფერი მესმისო….როგორც მოსალოდნელი იყო ნიკამ გაუჭედა და სულ ძალით წამოათრია საფრანგეთში……

……..

„იმ ათ წელს ზოგჯერ გადის ფერი..

სხვა ფერი არაფრის არ მწამს..

არ არის წითელი ჩემი ფერი, როცა შენს თვალებს დარდისფერი ფარავს..

ვიცი, რომ ცამეტი ბევრ რამეს შველის,

ვიცი, რომ ის გრძნობებს ფარავს..

წლებში გაჩხერილი ბევრი წამი ახლა ჩემს გონებას ფარავს..

არ არის ადგილი სხვისი ფერის იქ სადაც შენ ჩემს სულში ჩანხარ..“

როცა გამოეღვიძა ხელში ფურცელი ეჭირა, რამდენჯერმე წაიკითხა….რაღაცნაირად ჩაეღიმა და დაწყდა გული დილით მასთან რომ არ იყო….იცოდა ყველა დრო რაც ერთად იყვნენ მოპარული იყო..მოპარული ზოგჯერ ავადმყოფობას, ზოგჯერ სხვა ცოლ-შვილს, სხვა რეალობას…ყველაფერი მოპარული და ყველაზე ტკბილი….

ბევრ ცუდს ცოტა კარგის მოცემა მაინც შეუძლია….შინაგანად გვაძლიერებს და რაღაცებს გვაჩვევს…..სახლის კარი შეაღო და ღიმილით მოავლო თვალი ირგვლივ გამაფებულ სიჩუმეს….

-დედა მამა სადაა! სულ ასე დაიძახებდა ხოლმე სახლში და ორივეს ადგილსამყოფელს გებულობდა…..მიხვდა, რომ მშობლები ოთახში იქნებოდნენ ჩაკეტილები და ყველაფერს განიხილავდენენ….კიბეებზე ავიდა, ბარბარე შეეჩეხა ოთახიდან გამოდიოდა, ორივე დაიბნა ძლივს აუქციეს ერთმანეთს გვერდი….ისევ არ დალაპარაკებიან ერთმანეთს, ისევ ისე უცხოებივით აუარეს ერთმანეთს გვერდი, ბარბარეს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ იგრძნო მენაბდე არ შეიმჩნევდა…..თუმცა იმ მომენტში ნიკას საშინლად მოუნდა რამე ეთქვა..არ იცოდა რას უპასუხებდა, მაგრამ იცოდა, რომ უნდოდა….კარზე დააკაკუნა, ისეთი სიჩუმე სახლში არასოდეს მოესმინა….მაია წიგნს კითხულობდა საწოლზე იყო წამოწოლილი, დემეტრეს სილუეტი აივანზე იყო….

-ნიკა…..მაია მაშინვე წამოდგა შვილის დანახვისას, მიუახლოვდა და მთელი ძალით ჩაიხუტა…

-არ შეგეცოდო დე რა….ამოიხრიალა ნიკამ…..

-ხომ შეგეძლო გეთქვა ნიკა?

-არ შემეძლო….

-უნდა გეთქვა უფრო გაგიადვილდებოდა…

-არაფერი გამიადვილდებოდა დედა, მაშინ არაფერი გამიადვილდებოდა….

-ვერ წარმოიდგენ როგორ მინდა ბედნიერი იყო..

-ხომ იცი როგორ მიყვარს….ხომ იცი რას ნიშნავს ჩემთვის….

-კი ნიკა..

-მაშინ არასოდეს შეგემჩნეს ის რაც ნახე…..თქვენთვის ეს ახალია, მაგრამ რეალურად ძალიან დიდი დრო გავიდა, მეც კი გავცივდი ამ ყველაფრის მიმართ ისე მწვავედ აღარ განვიცდი…..

-ყველაფერი კარგად იქნება……..

მაია ხელს არ უშვებდა შვილს თითქოს ეშინოდა არ დაეკარგა, თითქოს ამ რამდენიმე საათში ისეთი მონატრება დაატყდა თავს, როგორც წლების უნახავი შვილის დროს იქნებოდა.

–ხომ მიხვდი დე..ჩაჩურჩულა ნიკამ

–კი მენაბდე, მივხვდი..მესმის კიდეც, მაგრამ მაინც მაქ ის შეგრძნება, რომ უნდა გეთხოვა დახმარება…ესე მარტოს არ უნდა გადაგეწვყიტა ყოფილიყავი მარტო…

–მარტო არ ვყოფილვარ ელენე სულ ჩემთან იყო, ეს მე ვიყავი ხოლმე მისგან შორს….ვიცი ბევრი დრო გავიდა და ძნელად ჩანს ყველაფერი….მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო….სხვანაირად რომ ყოფილიყო ყველაფერი ათი წელიც არ მეყოფოდა….ძალიან გავბრაზდი…აი მაშინ ისე ცუდად ვიყავი..ისე არეული…მეგონა ყველაფერი დამთავრდა, არა მართლა დამავრდა, მაგრამ სადღაც ახლაც მაქვს თავხედური იმედი…..იმედი კი არა შიში…ისევ შიშმა მაჯობა მხოლოდ, არც სიყვარულმა, არც მონატრებამ, არც ადამიანობამ…არაფრის გამო არ ვაპატიე, მხოლოდ შიშის….

-რატო? მაია ვერ მიხვდა….

–ელენეს კიბო აქვს….ამაზე არ ვლაპარაკობ ხოლმე….არც ვფიქრობ, მაგრამ სულ მახოსვს და სულ მეშინია….არ მინდა სამყარო მის გარეშე….ესე მარტივად არ მინდა და მორჩა…..ვიცი აზრს დაკარგავს ყველაფერი, ვიცი ისიც კი აღარ დამაინტერესებს რა მეცმევა…..არც ის თმა ხომ არ გამცვივდა..მაიას ცრემლები მოდიოდა…..

–თქვენ ესე უნდა იყოთ სულ? არც ერთი არ ამბობთ რაც ხდება….სულ ჩუმად ხართ…ელენეს არაფერი უთქვამს….ნიკა ესე არ შეიძლება, მარტო არ ხართ და მაინც ისე იქცევით როგორც მარტოები….

–დედა ელენემ ისიც არ იცის მე რომ ვიცი, არაფერი თქვა რა….არ აგრძნობინო რამე, ესე უნდა და ესე იყოს….მამა რას ამბობს?

-არაფერს, საერთოდ არაფერი უთქვამს. ორივემ აივნისკენ გაიხედა, ზურგით იდგა უფროსი დემეტრე და ჰაერს თვალს არ აშორებდა…

-მიდი ნიკა შენ დაელაპარაკე მე გავალ….ძალიან ნერვიულობს და მეშინია..

-როგორ გიყვარს მამაჩემი….ჩაეღიმა ნიკას..ნელი ნაბიჯით გავიდა და გვერდით ამოუდგა…..

-ამინდი ირევა…..ამის მეტი ვერაფერი მოიფიქრა რითი დაიეწყოო…..

-ზამთრის ჰაერია, სუფთა და ცივი…..მკაცრია ნიკა….

-მამა როგორ ხარ? გაუბედავად თქვა….

-ალბათ კარგად ნიკოლოზ, ალბათ კარგად…..

-არ მინდოდა ასე გაგეგოთ….სისულელეა რა…..

-ბევრ რამეზე ვფიქრობ, ვერ ვხვდები რაღაცებს…..ესე თევზივით რატომ ჩაიგუბე წყალი, ესე უხმოდ რა მიზნით ნიკა? რა შეიცვლებოდა რომ გეთქვა? რატომ იყო ის წლები ისე როგორც იყო, რატომ? ამის გამო არ ყავდა შენს შვილებს მამა? მითხარი ამის გამო?

-ხო….მშვიდად უპასუხა….

-შენ ელემენტალური ვერ ისწავლე…როგორ გეზრუნა შვილზე იქ დამთავრდა…..დედა შვილებთან არ უნდა გაგეიგივებინა…..ნიკას სახე აუხურდა, თვალები ჩაუწითლდა….

-ეგ რას ნიშნავს?

-რა ვერ გაიგე?

-რას ნიშნავს არ უნდა გამეიგივებინა….რა ნათქვამია?

-შენ თუ ელენეზე ნაწყენი იყავი შვილები არაფერ შუაშია….

-მამა რატომ მელაპარაკები ასე?

-ნიკა ასეა…..

-მე სხვანაირად არ შემეძლო!!!

-ნიკა ეგ არაა გამოსავალი, თქვა სხვანაირად არ შემეძლო.

-მე გამოსავალს არ ვამბობ, მე გეუბნები მაშინ რას ვგრძნობდი….არავის მიმართ არ ვყოფილვარ იგივე, არც შენი და არც არავისი….არც შვილების და ეს იმის გამო არ იყო ელენეზე გაბრაზებული რომ ვიყავი…..უბრალოდ არ შემეძლო და მორჩა…..მართლა არ შემეძლო…..როგორც ახლა ვერ ვიფრენ ძალიანაც რომ მოვინდომო ისე მაშინ ვერ გავაგრძელებდი ჩვეულებრივად ცხოვრებას…მესმის შეიძლება ვერ მიგებდე, არც იმას ვითხოვ გამამართლო, უბრალოდ მინდა იცოდე რომ მე მართლა არ შემეძლო, რომ შემძლებოდა არავის უნდოდა ბედნიერება ისე როგორც მე, არავის უნდოდა ოჯახი და არავის უყვარდა ელენე ისე როგორც მე…..

-შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ ამ მიზეზის გაგებით შეგიმსუბუქდა პასუხისმგებლობა ამ ათ წელზე, მაგრამ მე მგონია რომ უფრო მეტი დაგაწვა……ვფიქრობ და ერთ აზრზე ვერ მივდივარ, უფრო დამაბნიე, მთელი ეს წლები მიზეზს ვერ ვხვდებოდი, ბოლოს დავიჯერე რომ არ არსებობდა იმდენად მეგონა, რომ ფეხბურთის გარეშე ვერ იარსებებდი..ახლა ყველაფერი ისევ დატრიალდა ნიკა…..გადაწყვეტილება ვერ მიიღე და ესაააა შენი პრობლემა!

-მამა რა გინდა? რა უნდა მექნა? რას ელოდი რომ გავაკეთებდი?

-ესე არ უნდა დაგეტანჯა ოჯახი! ესე ოჯახებს არ ტანჯავენ! მაშინ მაინც როცა გრძნობენ რომ მის გარეშე ვერ იცხოვრებენ….ელენეს პასუხი ისე აგებინე, რომ ყველა ზღვარს გადახვედი…..

-ნუ მივლი იმ ადგილებზე რაც იცი, რომ ისედაც მტკივნეულია…..

-ნიკა სიმართლეა, მე შენგან უფრო მეტ რამეს მოველოდი…..არ გეუბნები, რომ ელენესთან ისევ ისეთი უნდა ყოფილიყავი, ვიცი გაბრაზდი და გაბრაზდებოდა ყველა ნორმალური, გეწყინა ძალიან და ესეც ადამიანურია, მაგრამ რა აკეთე ეს წლები? ჯიბრზე იცხოვრე….

-ისე ვიცხოვრე როგორც შევძელი! და რომ მიმატრიალო ვიცი, რომ მაინც ვერ შევძლებ სხვანაირად ცხოვრებას! კი ჯიბრზე ვცხოვრობდი, ყოველდღე, ყოველ წამს, სულ ჯიბრზე, იმისი ბედნიერი სახის დანახვას ვერ იტანდა ჩემი სული, იმას კი ცოტაც ყოფნიდა, ჩემი მშვიდი სახეც ჰქოფნიდა, რომ გაეღიმა…..მე ამის საშუალებასაც არ ვაძლევდი…არ მინდოდა კარგად ყოფილიყო…არ მინდოდა…ვერ ვიტანდი, როცა რამე უხაროდა….ამ დროს ხომ მე უბედური ვიყავი…..მთლიანად დათრგუნული და როცა ბედნიერი იყო მეგონა რომ ძალიან მშორდებოდა…მე ვერ მივყვებოდი ცხოვრების გზაზე და ამიტომ ძალით ვექაჩებოდი უკან, უბედურებებში…..

-მერე შენ ამბობ რომ გიყვარდა?

-კი არ მიყვარდა ახლაც მიყვარს! ხო ესეთი მახინჯი სიყვარული ვიცი….რომ არ მყვარებოდა ალბათ უფრო უკეთესად ვიცხოვრებდით, მშვიდად მაინც, გულდრილად, მაგრამ არა, ამასაც ვერ შევეგუებოდი….მასთან გულგრილობას ვერ ავიტანდი……არ შემეძლო…შენ მე გულგრილობას მთხოვ როცა გადაწყვეტილების ვერ მიღებაში მადანაშაულებ, მე კი გეუბნები რომ არ შემეძლო!

-მე მაგას არ გთხოვ! მკაცრად გაისმა დემეტრეს ხმა.

-აბა რას!

-უნდა გაყროდი! ახლა არა დიდი ხნის წინ, უნდა ჩამოშორებოდი და ერთმანეთი უნდა ამოგესუნთქათ…..დამახინჯებული ოჯახის ქონას არ გქონოდა…ნიკა რატომ არ გაეყარე, როცა გრძნობდი, რომ ბოროტდებოდი? რატომ არ მიეცი შენ თავს ამოსუნთქვის საშუალება? რატომ დატანჯე ასე?

-არ შემეძლო…ვიცი გაბრაზდები კიდევ ამ სიტყვას, რომ ვამბობ, მაგრამ რამდენჯერაც არ ვცადე იმდენჯერ მივხვდი, რომ არ გამომივიდოდა…..თავიდან სხვა ალტერნატივა არც განმიხილავს, ვიცოდი გავეყრებოდი და მინდოდა არასოდეს მენახა…..გაბრიელი რომ აღარ იყო მაშინ მარტო ეს მინდოდა….ელენე საავადმყოფოში დააწვინეს…..ცუდად რომ გახდა ერთი თვე საავადმყოფოში იყო……ვიგრძენი რომ ყოველდღე მჭირდებოდა მისი ნახვა, გაბრაზებულს მჭირდებოდა….მეგონა, რომ მინდოდა ბრაზის გადატანა…..ცუდად რომ იყო არაფერი ვუთხარი..იმ სახლში გადავედით სადაც მეზობლები არ გვყავდა არაფერი არ იყო ირგვლივ…..მეგონა იწუწუნებდა…..და მერე თვითონ წავიდოდა…..ხმა არ ამოუღია და გეფიცები მგონი ვერც მიხვდა საწუწუნო რომ იყო ის სახლი…..გასარემონტებელი ოთახებით და ვიწრო ფართით საშინელ ადგილზე….ამას მოყვა გაუთავებელი ჩხუბები…ჩემი საშინელი მდგომარეობა…..ყველგან ვეძებდი ადგილს სადაც ოდნავ მშვიდად ვიქნებოდი…..მაშინ პირველი ლიკა გამახსენდა…გამახსენდა იმიტო, რომ საერთოდ აღარ მახსოვდა და როცა ამდენი წლის მერე პირველად დავინახე, მივხვდი როგორ მიყვარდა ელენე……რამდენი ქალი იყო იმ დროს ჩემს გვერდით და ყველა მარტო იმას მახვედრებდა რომ ის მიყვარდა…..ყველაში მის მსგავს ვეძებდი და ვერსად ვპოულობდი….ამის ასე გადაატანა არ იყო ადვილი, მე ხომ საშინლად შეუვლად გაბრაზებული ვიყავი…. რამდენიმე დღე გადაბმულად არ მივდიოდი სახლში და ბოლოს მარტო იმიტომ ვბრუნდებოდი, რომ მენატრებოდა..გეფიცები ისეე მეშლებოდა ნერვები ამ ყველაფერზე….მაგრამ არ შემეძლო სხვა რამ….საშინლად მთვრალიც ვგრძნობდი როგორ მინდოდა მენახა….როგორ მომენატრა, როგორ მინდოდა ყველაფერი ისევ ისე ყოფილიყო…არეულ გზას ისევ სახლამდე მივყავდი…..რომ არ მეუხეშა მერე თბილი უნდა ვყოფილიყავი…..ამას კი ვერ ავიტანდი..ბრაზი მგუდავდა…..ვგრძნობდი რომ გავყროდი მონატრება გამაგიჟებდა, შეიძლება მის სახლთან გამეთია მუდმივად და როცა დამიბრუნდებოდა ისევ ისეთ ვიქნებოდი……

-ახლა მაშინ არც ახლა იცი ერტად რომ იყოთ ისევ ისე ხომ არ იქნები..

-ვიცი, ვიცი რომ არ ვიქნები….გეფიცები ხომ ამდენი პრობლემა მაქვს, მაინც მსუბუქად ვგრძნობ თავს….ეს ათი წელი თითქოს მოვიშორე, მოვიშორე ის განცდები….ფეხბურთიც გადავლახე, უაზრო სიამაყეც…..მარტო ის მინდა რომ ისევ მქონდეს შანსი მათთან ერთად ყოფნა მეკუთვნოდეს….მის გარეშე რომ სამყარო წარმოვიდგინე მივხვდი რომ ის ათი წელი არაფერი ყოფილა, ან სამოთხე შედარებით უიმისობასთან….ნიკა ლაპარაკობდა და გრძნობდა რა რთული იყო….თვალები აემღვრა….ხმა გაებზარა….

-ნიკა მესმის. თავი ჩაღუნა დემეტრემ….

-მამა დამეხმარე გთხოვ….ამოხეთქა რაღაცამ ნიკას ხმაში….არ ვიცი რა გავაკეთო, როგორ მოვიქცე…..რატომ მოხდა ეს ყველაფერი არ ვიცი, რატომ უნდა გვქონოდა ასეთი ცხოვრება,

ზოგჯერ მგონია რაღაც ცოდვის გამო ვისჯები…..არაფერი მქონდა ისეთი დიდი ცოდვა როგორც ბარბარესთან ჩემი…..ხმა მთლიანად გაებზარა…..არ უნდა ვყოფილიყავი ასე…..დემეტრემ მხარზე ხელი დაადო…

-ბარბარესთან უნდა დაილაპარაკო…..

-მამა ძალიან არასოწრი ვარ…მეშინია გესმის? ესე 13 წელი ადამიანს არ დაველაპარაკე, ზოგჯერ მგონია რომ ცხოველი ვარ ეს რომ შევძელი….

-არა ნიკა, შენ ჩვეულებრივად მოიქეცი, მე მესმის შენი, მე მართალია ველაპარაკები, იმაზე მეტადაც მიყვარს ვიდრე მაშინ, მაგრამ რაღაც მაინც შეიცვალა, ეს ადამიანურია…ერთხელ გატეხილი ნდობა, იმედი წარმოდგენა მერე რთულად აღდგება….უბრალოდ ღვთის წყალობა ჩვენგან უფრო მეტს მოითხოვს ვიდრე ეს გვევალება…..უფლის მფარველობა მაშინ მოდის, როცა არ ვიქცევით როგორც ყველა…..

-მამა არ ვიცი როგორ მოვიქცე, ბევრი რამ დამიგროვდა..ბარბარე, ელენე..დემეტრე და ტასო…ლიკა და ფეხმძიმობა……ეს სანდრო……..მაგრამ გეფიცები ყველაფერი იქნებოდა არაფერი რომ არა ელენეს ავადმყოფობა…..ამის ყველაზე მეტად მეშინია…მეშინია უცბათ ყველაფერი არ დამთავრდეს ყველაფერმა ფერი არ დაკარგოს…..

-ელენეს რა სჭირს? შუბლი შეეკრა დემეტრეს. იმ დღეს ამ ყველაფრის გამეორება უფრო გაუჭირდა….უფროსი დემეტრე მოეხვია….

-ნიკა მთავარია რაღაცების შეცვლა დავიწყოთ…დამიჯერე დაალაგებ…არაფერს არ მოგცემს უფალი ისეთს რისი მოგვარებაც არ შეიძლება….

……

კარის სახელურზე დაყრდნობილი მენაბდე კიდევ დიდ ხანს იყო გაუნძრევლად, არც დემეტრეს პატარა თითების შეხება უგვრძნია, ვერც ხმა გაიგონა, როგორ ეძახდა მამამის….გაოცებისგან სუნთქვა აღარ შეეძლო….

-სად არის? ისეთი კითხვა დასვა, რამაც უფრო დაარწმუნა იმაში რაც მოხდა..მაინც ვერაფრით იჯერებდა, ვერ ეგუებოდა და ვერ ელეოდა….

-ნიკა ჯობია დაჯდე..ხომ არ მოგეხმარო….თამაზი თავს ძლივს იკავებდა…..

-არ მინდა….ბავშვი სად არის ელენე? ხმა გაუმკაცრდა..ამ დროს იგრძნო, რომ ქმრისგან თანაგრძნობას ვერასოდეს მიიღებდა…არც ეს ტკივილი იყო საერთო, რადგან ერთ-ერთის ბრალი უფრო მეტი იყო….ელენე უხმოდ წავიდა ოთახისკენ…..ძლივს მიადგავდა ნაბიჯებს და გრძნობდა როგორ ეწამლებოდა ორგანიზმი….. დემეტრე მამამის არ მოშორებია….სამი წლის იყო და გრძნობდა, რომ რაღაც სამუდამოდ შეიცვალა….ნიკამ მრთხილად გადაუსვა თმაზე ხელი, მერე დედამის ანიშნა, რომ ბავშვთან ყოფილიყო და კაბინეტისკენ წავიდა…. ბელთაური უკან გაყვა…

-რა მოხდა თაზო?შესვლამდე ძლივს მოითმინა ეს კითხვა….

-ნერვიულობის გამო ბავში დაიღუპა…ვერ გაუძლო…უკვე რამდენიმე დღეა, ელენეს ძლივს მიუსწრეს, თორემ ორგანიზმი სულ მოეწამლებოდა, არ წერდნენ საავადმყოფოდან, მაგრამ არაფრით გაჩერდა…..ნიკას თვალები ჩაუსისხლიანდა, ახლა უნდოდა ყველაფერი დაელეწა…

-გაბრიელი მკვდარია? ისეთი ხმით იკითხა, თითქოს სრულიად უმნიშვნელო რამ იყო მისთვის….

-ძალიან ვწუხვარ ნიკა….დღეს დავასაფლავეთ, გეტყვი სად…

-არ მინდა….არ მითხრა სად არის….არ მაინტერესებს! შენ როდის მიფრინავ?

-რა დროს ეგაა ნიკა!

-რაც გკითხე მიპასუხე…..ბელთაურს ესეთი უხეში ტონი ეხამუშა, მისგან არ იყო მიჩვეული….

-აქეთ ვიქნები ცოტა ხანს…

-კარგი მაშინ აქ არ მოხვიდე! თამაზმა თვალები რამდენჯერმე დაახამხამა…

-რას ამბობ?

-არ მინდა გხედავდე!

-შენ ხომ არ გაგიჟდი? ნიკა არაადეკვატური ხარ! რა დროს ჩემი მოსვლა წასვლაა…..ელენე….

-არ ახსენო!

-ნიკა, ხომ იცი მე რა დამოკიდებუება მქონდა შენ ცოლთან, თავიდან სულ იმას გიჩიჩინებდი გაყროდი იმ ამბის მერე რა….მერე რომ გიყურებდი ბედნიერი რომ იყავი ცოტა დავმშვიდდი…..ეს ამბავი ჩვენს მეტმა არავინ იცის და არ იცი როგორ გავბრაზდი ელენეზე, მაგრამ ახლა ნიკა….ახლა იმან შვილი დაკარგა გესმის! არ არის ბუტიაობის დრო! ოდნავ მაინც დაუდექი გვერდით……

-შენ უბრალოდ ვერ წარმოიდგენ რამხელა სისიუელეს მეუბნები…..

-ნიკა შვილი დაკარგა!!!! მკაცრად გაიმეორა თამაზმა…

-მეც!

-მერე? არ შეგიძლია გვერდით დაუდგე?

-რატომ? რა მიზეზით….აზრს ვერ ვხედავ…..კი არ დაკარგა მე დამაკარგინა…..შვილი მომიკლა გესმის! თავისი იმპულსურობით, სიფიცხით…..საკუთარ ბრაზს ჩემი შვილი შეწირა და ახლა რა ვუთანაგრძნო? ოდნავ მაინც გგონია, რომ ეს მინდა? ან რომ მინდოდეს გგონია შემიძლია? არც მასეთი ცხოველი ვარ ეგ შევძლო! ბელთაური წადი რა დამანებე თავი….ნუ გგონია, რომ შენ წყენინებას მოვერიდები….აი საერთოდ არ მინდა აქ იყო და…..

-მე ისევ ფეხბურთელი ვარ! ეს არ გასვენებს! არ შეგიძლია იყო ჩემთან….მე ხომ სტადიონზე ისევ გავალ, მე ხომ ისევ მეცმევა ფორმა…ნაკრებისაც…მე ხომ ისევ გავიგონებ იმ ხმას…მე ხომ იმ სამყაროს ვეკუთვნი რასაც შენ ვეღარ იტან…..

-გაჩუმდი!!! დაიღრიალა ნიკამ…….ხო ვერ გიტანთ…შენი დანახმაც არ მინდა…

-ესე არ გამოვა…მე შენი გუნდელი არასოდეს ვყოფილვარ….მე შენი მეგობარი ვიყავი სულ და ახლა რაც არ უნდა მითხრა ვერ მაწყენინებ…..

-თამაზ წადი თორემ საკუთარ თავზე პასუხს არ ვაგებ……

-ბოღმამ არ უნდა გაგაგიჟოს…..ნიკას უკვე მოთმენა არ შეეძლო, მთელი ამ დღეების ნაგროვები ერთად ამოხეთქა, მაგიდა მთლიანად ააყირავა…

-რომ გეუბნები წადი!!! ვაფშე დაახვიე რა……საერთოდ დაივიწყე რა რომ ვარ….არ მინდა გხედავდე, შენი დამამშვიდბელი ტონის ატანა არ შემიძლია, არ შემიძლია ვისმინო როგორ ბრძენი ხარ ჩემ საქმეში, როცა იმის ერთ პროცენტსაც ვერ ხვდები რანაირად ვარ……ყვირილზე ყველა ოთახისკენ წავიდა…..ვეღარავინ აწყნარებდა, ტიროდა და ტირილი რომ არ შემჩნეოდა მერე ღრიალებდა……დემეტრე დაფეთებული თვალებით უყურებდა არასოდეს, არასოდეს უნახავს მამა ასეთი, არ იცოდა მამას ასე თუ შეეძლო……ვერავინ ეკარებოდა…..თამაზი ცრემლებს ვერ იკავებდა…….

-რატომ არ გერა რომ შენი მესმის?

-იმიტო რომ მე ვერ გავიგებდი შენ რომ დაგმართოდა, მე ვერ გავიგებდი, მეგონებოდა რომ მესმოდა მაგრამ რეალურად ასე არ იქნებოდა, რეალურად ეს უფრო დიდია……მე ვერ გავიგებდი და არ ვთვლი ჩემზე კარგი ადამიანი იყო……მე თუ ამას ვერ შევძლებდი შენც ვერ მოახერხებდი, ამიტომ წარმოდგენა არ გაქვს……არ მინდა რამე საერთო მქონდეს იმ თამაშთან, არ მინდა შენ იყო ახლოს…არ მოხვიდე ხოლმე……ტელეფონი კედელზე შეახეთქა…..ყავარჯნები უკვე გულს ურევდა, გულს ურევდა ის სიტოაცია რაშიც იყო……სარკეში ვერ დაინახავდა თავის არეულ სახეს ისე როგორც ეს დემეტრეს თვალებში დაინახა……ძლივს მიადგავდა ფეხს და ყავარჯნებს…..დემეტრესთან გაჩერდა…რამდენიმე წამი ესე იყო და მერე გარეთ გავიდა…..ეგონა თამაზი მეტჯერ არ გაეკარებოდა, მაგრამ მაშინაც არ წასულა, ყველა ეხვეწებოდა მეტად ნუ მოუშლიდა ნერვებს, მაგრამ ფეხს არ ადგავდა…..ელენეს ეშინოდა მიკარებოდა, ეშინოდა რამე ეთთქვა..ისე ცუდად იყო ფიქრის თავიც არ ჰქონდა, მეორე დღეს ოთახიდან რომ აღარ გამოვიდა და მაიამ გულწასული იპოვა მაშინაც კი არაფერი უკითხავს მენაბდეს….ბევრს იმ მომენტში უგულო ეგონა, მაგრამ უსულოს უფრო ჰგავდა, ისიც არ გაურკვევია ვინ იყო ცუდად….რამდენიმე დღე ისიც ვერ მიხვდა ვინ არ იყო სახლში……

……

გაოცებისგან სუნთქვაც დაავიწყდა. ვერ მიხვდა იქ რა ჯანდაბა უნდოდა, რას აკეთებდა….რადგან ცნობისმოყვარეობა საბოლოოდ აღეძრა ჩუმად გაჰყვა და ექიმის კაბინეტს დააკვირდა…..მაშინვე ქმართან დარეკა….

-გიორგი….

-ჰოუ…როგორ ხარ მაკუნა….ხომ იცი ოპერაციაზე უნდა ვიყო ამ დროს რატომ მირეკავ?

-რატომ არ ხარ მერე?

-გადაიდო…არ მითხრა რომ ტელეპატიურად იგრძენი….

-ოღონდაც…მომისმინე დავით ბოკუჩავა ვინ არის?

-ექიმია, რეპროდუქტოლოგი….რა იყო?

-იცნობ?

-ვაიმე მაია როგორ არ ვიცნობ..

-ხო მერე რა იყო, არ შეიძლება ვიკითხო?

-კი შეიძლება მაგრამ იმ დროს როცა შენც იცნობ ცოტა არ იყოს უჩვეულო კითხვაა..

-მეც?

-ხო მაშინ ეკას რომ ვურჩიე, შვილი რომ არ უჩნდებოდათ და შენ ხომ წამოყევი..

-ისაა?

-სად ხარ ახლა მითხარი, რა არეულად ლაპარაკობ…კი ისაა….

-რაზე მუშაობს?

-ძირითადად ხელოვნურ განაყოფიერებაზე….ჩვენ სამი შვილი გვყავს ძვირფასო იმედია მეოთხეზე არ ფიქრობ და თანაც თუ ფიქრობ ჯობია მე მდიო და არა ბატონ თავითს….გიორგი სიცილისგან ფეხზე ვეღარ იდგა..მაიასაც გაეცინა……

-რა მახინჯი ფსიქიკა გაქვს….

-მახინჯი კი არა სუფთა მაქვს, ლოგიკურია ამ დროს ქმარს დაეკითხო…

-მისმინე ძალიან მაგარი ხარ. მაგრამ ახლა მართლა სერიოზული საქმე მაქვს მოგიყვები მერე, მიყვარხარ ძალიან…..სულ ყველაზე მეტად…

-როგორ დატკბი…პატარა საქმიანი ტრიპაჩი ხარ შენ…..

-გიო მართლა ძალიან მიყვარხარ…..

-რა გჭირს ტო?

-არა რა ექსპერიმენტი რომ ჩაატარონ, აი ახლახან რომ ჩაატარეს და ცოლებმა ქმრებს მიწერეს მიყვარხარო, შენ ასე უნდა მომწერო „რა გჭირს ტო?“ გამაგებინე ეს რა არის?

-იმედია ექსპერიმენტში არ მიიღებ მონაწილეობას…..შენი იმედი მაქვს….

-ეს კაცი მხოლოდ ხელოვნურზე მუშაობს? მაია ისევ იქ გადაერთო…

-არა მხოლოდ არა, ძირითადად….

-შეგიძლია პაციენტზე ჰკითხო?

-აფ…ნოოო….არა მაიკუნა პაციენტზე გამორიცხულია თუ პირადი ინფორმაციიაააა…..

-საქმეს მირთულებ…..

-შენ მაინც შეძლებ ყველაფერს….კარგი მაი ახლა უნდა გავთიშო, მეც მიყვარხარ….ოპერაციაზე შევდივარ….

პირადი ინფორმაცია ხომ? აი ახლა ნახავს როგორ უნდა ინფორმა ინფორმაციის მიღება…..თავიდანვე შეტევით, მაიამ გაიცინა და ექიმის კაბინეტიდან გამოსულ ლიკას დაედევნა…

-გამარჯობა…..ლიკამ დაბნეულად შეხედა და ხმადაბლა უპასუხა..

-გამარჯობა….

-როგორ ხარ? მაიამ მშვიდად დაიწყო….

-მადლობთ კარგად უკაცრავად ვერ გიცანით….

-მე კარგად გიცანით ნიკას მეუღლე ხართ ხომ? ლიკას ფერი დაეკარგა….

-უკაცრავად მეჩქარება…

-მომისმინე ახლა კარგად…..ვიცი რომ ხელოვნურის გაკეთებას აპირებ! ლიკა სულ გაწითლდა…

-რას ამბობთ? მე სამი თვის ფეხმძიმე ვარ…..

-მგონია მიხვდით რომ აზრი არ აქვს ტყუილებს…მაია ისეთ რისკზე წავიდა ან დებილი გამოვიდოდა ან ინტრიგანი იმ საუბრიდან….

-რა უფლებით…

-თუ არ გინდათ რომ მთელი სავადმყოფო თავზე დავიხმიო და ყველას გავაგებინო მაშინ თქვენი ქცევის მიზეზი მითხარით…..

-მემგონი ვიღაცაში გეშლებით….

-შენ უფრო…..იცოდე ნიკას ახლავე დავურეკავ….

-მაგ სისულელეს არ დაიჯერებს…

-შენ არ იცი მე და ნიკას როგორი დამოკიდებყლება გვაქვს….ერთი სიტყვაც რომ ვუთხრა ბოლომდე დაიჯერებს….შენ გაქვს ამის გარანტია?

-ამას როგორ კადრულობ? მაია ცოტა შეკრთა…

-შენ როგორ კადრულობ? იცოდე ნიკას თავად ეტყვი რომ არ ხარ ფეხმძიმედ, თუ არა და მე ვეტყვი ელენეს….

-ელენე რა შუაშია?

-თავშია! შენ ნუ გგონია საწყალი…იცოდე რომ გაიგოს ასე ატყუებ ნიკას წარმოდგენაც არ მინდა რა მოხდება……რაც არ უნდა იყოს ყველაზე დიდი გავლენა ნიკაზე ელენეს აქვს…ყველაზე მნიშვნელოვანი და იცოდე შენი ამბავი კარგად არ დამთავრდება….ლიკას თვალები აემღვრა….მაია სულ დაიბნა..ამ ქალისგან სხვა უარყოფით რაღაცას ელოდა და მსგავსი არაფერი უგვრძნია…..შეებრალა კიდევაც და გაუგო….ლიკამ იქვე კაფე იყო და იქ დაპატიჟა სალაპარაკოდ….

-მე სხვა გზა არ მქონდა, დაიწყო მორცხვად….მაიამ თვალები ისე დაქაჩა მაშინ მგონი ლიკა მიხვდა რომ ზუსტად არაფერი იცოდა….მაგრამ გვიანი იყო უკვე….

-მთელი ცხოვრებაა მიყვარს…..მთელი ცხოვრებაა ველოდები და არ მინდოდა ის ბოლო შანსი რაც მომეცა გამეშვა….ვიცი ბავშვის მოგონება ყველაზე აბსურდული და გაცვეთილია, მაგრამ ჩემს სიტოაციაში გამართლებული…..ძნელია როცა არ უყვარხარ…

-ასე ვერ შეინარჩუნებთ! მე რომ ახლა აქ ჩემს მეგობარს არ გამოვყოლოდი მერე ჩემს ქმართან არ გადამემოწმებინა თქვენი ექიმის შესახებ…ამას ხომ ვერავინ გაიგებდა და რამდენი ხანი უნდა გეტყუათ?

-არ ვიცი…..ლიკამ თავი დახარა….უჩვეულოდ იყო მაია..თითქოს დამნაშავეც იყო, არ გრძნობდა ლიკასგან რამე უარყოფითს……ესმოდა მისი…..ესმოდა რომ არ შეიძლება ყველა ადამიანს მოთხოვო იყოს ძლიერი…….

-ნიკას როდის ეტყვით? იცით თქვენ შეიძლება არ იცოდეთ, მაგრამ დრო ძალიან ცოტაა და არ მკითხოთ რატომ….დღესვე..ან ხვალვე დაელაპარაკეთ, თორემ მე არ გავჩუმდები…..გაძლევთ დროს რომ თავად მოახერხოთ ამის ახსნა….

……

რას მოითმენდა იქიდან გამოსული მაშინვე ტელეფონს დაწვდა და ელენეს დაურეკა…არადა ეგონა მოითმენდა..

-ხო მაი….

-როგორ ხარ ჩემო ლამაზო?

-მემგონი უკეთ, ცოტა „უხელობა“მიჭირს….

-შენ ვიცი ვის გარეშე ყოფნაც გიჭირს…..

-მაია!!!!

-ოჰ თავს ნუ იფასებ…

-გაჩუმდი იმედია მარტო ხარ!

-ხო კარგი, მარტო ვარ..ნიკა სადაა?

-მე საიდან უნდა ვიცოდე ნიკა სადაა, რა კითხვაა….

-ლავიწი რომ ჩაგიმსხვრია ხომ იცოდი სად იყო…..მაია ისეთ კარგ ხასიათზე დადგა მეტი არ შეიძლებოდა….

-რა დაგემართა მაია?

-გოგო გითხრა ახლა, მაგარი ამბავი გავიგე, აი უნდა მაღიარო რა, მე რა ვარ, გამომძიებელი….ყველაზე პროფესიონალი…..ნამდვილი იურისტის უნარ-ჩვევები მაქვს, ნუ ზედმეტად წავედი რისკზე მაგრამ არაუშავს…..

-მაია სად ხარ? რა სასაცილოდ ლაპარაკობ…..

-ელენე ნიკას ცოლი ხომ იცი? აი ის გოგო მაღალი, გამხდარი, ლამაზი? ლურჯთვალება შავთმიანი? ხომ იცი?

-მაია!!!! რატომ…

-ხოდა ეგ გოგო იცი რომ არაა ფეხმძიმედ? ელენეს ტელეფონი ძლივს ეჭირა……

-რას ამბობ?

-დღეს სავადმყოფოში მივყევი ლალიკოს და იქ არ ვნახე….ხელოვნური განაყოფიერების გაკეთება უნდოდა, წარმოგიდგენია მექსიკურ სერიალებსაც კი გაასწრო….

-მართლა ამბობ?

-ხო გოგო, ყველა შენნაირი დებილი არაა…..არაფერი გააკეთე რომ გაგეჩერებინა…იმან კი სერიალი გადაიღო….ნუ უნდა ვაღიარო საბოლოოდ შენ უკეთესი ხარ, მაგრამ ეს ჩემი დამსახურებაა…..არაა საჭირო მადლობა…..ელენე გაურკვევლად იყო ნახევარი ვერაფერი გაიგო…..

…….

ერთი თვის შემდეგ გამოწერეს ელენე საავადმყოფოდან, უკვე ნიკა გადასული იყო სახლში სადაც მეზობლები არ..უფრო სწორად ვერ ეყოლებოდათ, სახლი გასარემონტებელი იყო, მხოლოდ ორი ოთახი მოასწრეს რომ გაეკეთებინათ…ნიკასთვის მნიშვნელობა მარტო იმას ჰქონდა მტვერი არ ყოფილიყო…დანარჩენი ვერც ამჩნევდა რამეს…ელენეს არც უფიქრია, მაშინვე ჩაულაგა დემეტრეს ბარგი და ნიკასთან გადავიდა…….ფეხზე მოეხვია მამამმის დემეტრე, მაგრამ ის არც გარხეულა, მხოლოდ ნაღვლიანად გაუღიმა და თავხე მოეფერა…..მერე დემეტრე შეეჩვია, რომ მამა ასეთი იყო..შეეჩვია, რომ აღარ ეთამაშებოდა, აღარ გაუცინებდა და აღარ მოეფერებოდა…..ერთი ოთახი იყო საზინებელი და რეალურად სხვაგან ვერც დაიძინებდნენ….ელენე ფეხაკრეფით შევიდა ოთახში და საწოლი გადაშალა…..ნიკა საშინლად გამხდარი და უფერული იყო….. ხმა არ გაუციათ ერთმანეთისთვის..რამდენიმე დღე ასე გაგრძელდა…..დემეტრეს ტირილიც უკვე ნერვების აშლის სერიოზული წყარო იყო, ადრე თუ სიცილით ამშვიდებდა ახლა უნდოდა სახლი თავზე ჩამონგრეოდა რომ როგორმე ეს ხმა დაეხშო….. რამდენიმე კვირიანი დუმილის შემდეგ…ელენემ ვეღარ მოითმინა და დახმარება შესთავაზა თაბაშირიან ფეხზე შარვალს ძლივს იცმევდა……გაუბედავად მიუახლოვდა, მუცელზე ხელი მოხვია და ჩაეხუტა……არაფერი აინტერესებდა, საერთოდ არაფერი, არც ის, რომ ცალ ფეხზე ძლივს იდგა…არც ის, რომ ამდენი ხანი არ დალაპარაკებოდნენ ერთმანეთს…მის სუნს გრძნობდა, და გრზნობდა რომ ისევ ცოცხალი იყო, ისევ აღელვებდა რაღაცები…..ნიკა არ განძრეულა…..არ უცდია მოეშორებინა მისი ხელები, მაგრამ თვითონაც არ მოხვევია…..

-მოგეხმარები…..დაიჩურჩულა ელენემ და კისერში აკოცა….მერე დაძაბული, ატირებული და აკანკალებული შეეხო მის ტუჩებს…..ისეთი სიცივე არსად დახვედრია……

-არ მინდა დახმარება…მშვიდად ჩაილაპარაკა და საწოლზე ჩამოჯდა…

-ნიკა გთხოვ რა ესე ნუ მექცევი მგონია გავგიჟდები….დამელაპარაკე, მეჩხუბე..ოღონდ ასე არ იყო…..

-არ ვიცი შენ ჩხუბს რას ეძახი…..

-გეხვეწები მითხარი რასაც გრძნობ…ნუ დაიგროვებ..ასე არ გაგივლის…

-ელენე შენით ვერ ხვდები რას ვგრძნობ? ან რას ფიქრობ როცა მეუბნები რომ გამივლის? რა გამივლის? არაფერი……მინდა რომ მოგკლა, მინდა რომ ჩემი ხელით დაგახრჩო…..მინდა რომ სი დღე არ არსებობდეს, შენ რომ შეგხვდი……მინდა რომ ჩემი ცოლი არ ყოფილიყავი, არც შენგან მინდა შვილი მყავდეს, მინდა რომ გაქრე ჩემი ცხოვრებიდან ოღონდ ისე რომ არ მახსოვრე……საშინლად დაგტანჯავ…ვიცი რომ გაგაწამებ…..ვიცი რომ ბოროტად მაქცევ…..და ვიცი რომ ბოლოს ცუდად დავასრულებ…მაგრამ შენ დაიწყე…..

-ნიკა გთხოვ მომისმინე…

-შენ მოგისმინო? რა უნდა მითხრა? კიდევ შენ მოგისმინო? მიდი გისმენ? მიდი….მითხარი რა გაწუხებს იქნებ როგორმე დაგეხმარო…მე ხომ მხოლოდ ამას ვაკეთებდი, მე ხომ შენთვის სხვა დანიშნულება არ მქონდა……ქმრის მოვალეობა მხოლოდ, ახლაც ეს გინდა ჩემგან……ელენეს სახე წაეშალა..

-რას ამბობ? ამას როგორ ამბობ….

-მარტივად…..შენთვის მარტო ამას ჰქონდა მნიშვნელობა, ჯაშუშუვით ჩასაფრებული ჩემს ღალატთან, რომ ვერ იპოვე დაითრგუნე და ბოლოს როცა მოგეცა საშუალება გადამიარე…

-ამას როგორ ფიქრობ?

-იმას გეუბნები რაც გააკეთე! ისე მომექეცი თითქოს ერთი ჩვეულებრივი ჩვარი ვიყო, ისე თითქოს ერთმანეთისთვის ჩვეულებრივები ვიყოთ, ჩვეულებრივი ქმარივით მომექეცი, მოიქეცი ისე როგორც ქალების უმრავლესობა….მე კი სხვა ოჯახი მეგონა მქონდა, შენ ეს წარმოდგენებიც ჩამომანგრიე….აუხსნელად მიღრიალე უამრავი ადამიანის თვალწინ….საერთოდ არ გამითვალისწინე როგორი ვარ……არ იფიქრე იმაზე რომ ეს მეწყინებოდა…..დამამცირე საშინლად…ეს არაფერი ამას როგორმე გადავლახავდით, უკვე მერამდენედ მაგრამ მაინც……მაგრამ მინდა იცოდე რომ წვრილმანებს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს…..სახეშიც კი გამარტყი…ელენე ეს ყველაფერი დაულაპარაკებლად….მე არ მომეცი ახსნის საშუალება არაფრის უფლება მომეცი..მითხარი ამას ვიმსახურებდი შენგან? ოდესმე ასე მოგქცევივარ ან მოგექცეოდი? მხოლოდ ერთი რამ გთხოვე…ფრთხილად ყოფილიყავი…..შენ ხომ არ გახსოვდა დედა რომ უნდა გამხდარიყავი…ჩემი ნათქვამიც არ გაიგონე….ელენე შენთან რაზე უნდა ვილაპარაკო? არ გახსოვდა რომ ბავშვს ელოდებოდი!!!! დაივიწყე რომ ჩემს შვილს ატარებდი……დაივიწყე და მოიქეცი ისე თითქოს შენი თავი მარტო შენი ყოფილიყოს…..მეშინია იყო ჩემი შვილების დედა…მეშინია რადგან არ გენდობი……არ გენდობი იმდენად იმპულსური ხარ….შენ იცი ასეთ ადამიანიებს როგორ ვერ ვიტან, ვერ ვიტან რადგან ცხოველებს გვანან….მაგრამ ცხოველიც კი გაუფრთხილდებოდა შვილს…..მესმის იეჭვიანო,

მაგრამ როცა ფეხმძიმედ ხარ უბრალოდ არ გაქვს უფლება გესმი ასე მოიქცე!!!შენ მოკალი გესმის…..გაბრიელი მომიკალი ისე რომ თვალი არ დაგიხამხამებია……ელენეს ეგონა გული გაუსკდებოდა……როგორ გადამივლის? როგორ გადამივლის ეს ყველაფერი? ყველაფერი დამაკარგვინე…სულ ყველაფერი შენი თავიც…..რაც კი მქონდა, რაც კი მეგონა რომ მქონდა ყველაფერი იმ მოაჯირთან დამატოვებინე…ვის გამო? არც კი ვიცი ის ქალი ვინ იყო…სულ ცალ ფეხზე მეკიდ.ა, მაგრამ შენ საქციელს..არ ვიცი…ჩემთვის მოკვდი…..ყველა კაცს ურჩევნია თავი გაწიროს ოჯახისთვის, ნორმალურ კაცს ვგულისმობ…მაგრამ მხოლოდ მაშინ როცა ეს უღირს……იმ მომენტში მხოლოდ გაბრიელის გამო მიღირდა და ისიც აღარ არის…..რამდენჯერ გითხარი რომ ჩემთვის ერთადერთი იყავი? ყველანაირად ერთადერთი……გეფიცები ყველაფერს, ყველაზე მნიშვნელოვანს, რომ არასოდეს მიღალატია რაც ჩემი ცოლი ხარ, მაშინაც კი როცა არ გიყვარდი….მაშინაც ვფიქრობდი, რომ სუფთა უნდა ვყოფილიყავი შენთან……მე სხვანაირ ოჯახს ვქმნიდი შენ კი სხვანაირს..ჩასაფრებული მელოდებოდი…..არ მენდობოდი…..მაგრამ აღარაფერს აქვს აზრი…..არ ვიცი როგორ ვიცხოვრო….არ მაქვს ძალა აგიტანო…..შევეგუო იმას როგორი ხარ……დავივიწყო, რომ შვილი მომიკალი….მეშნია დემეტრეს დედა რომ ხარ….მეშინია რადგან არ ვიცი როდის აყვები ინსტიქტს….მე არ მესმის ეს გაუწონასწორობა…მე არ მესმის ბრაზი რომელიც ნდობას კლავს….სახლიდან მშვიდად გავიდა, მერე იყო სირბილით და ტკივილით სად მიდიოდა რომ არ იცოდა……ტკივილისგან კიოდა, კიოდა თავს დამტყდარი უბედურებისგან…..

თავი 27

ნიკა ჩუმად იჯდა და ხმას არ იღებდა……

-ვერასოდეს შევძლებდი ღალატს…..ამიტომ ეს ერთი გამოსავალი მქონდა…..

-ლიკა…მართლა არ ვიცი რა გითხრა….უბრალოდ აზრი არ აქვს…

-ვიცი…..ვერ გაიგებ, შენ არასოდეს ყოფილხარ ჩემს მდგომარეობაში…..იცი რა არის სიმართლე? ელენე არასოდეს ყოფილა ისეთი უბედური როგორც მე…არც შენ არ იცი რა არის ჭეშმარიტი უბედურება…..შენ ხომ გჯერა ცალმხრივი სიყვარული რომ არ არსებობს…..მაგრამ არსებობენ ადამიანები რომლებიც მუდმივად ამით იტანჯებიან, არ ყოფნით ძალა გონება ჩამოაშორონ მათ ვინც უყვართ…..არ იცი ცხოვრებაში როგორ გაგიმართლა იმას რომ უყვარხარ ვინც გიყვარს…..მაგრამ ყველას არ აქვს ეს….ძნელია ნიკოლოზ, ძალიან ძნელი….შენთვის შეიძლება ახლა შენთვის უცნობს ვლაპარაკობ, მაგრამ იმ ადამიანების უგულებელყოფა ვინც ამას რეალურად განიცდის იდეაშიც კი უსამართლობაა….მე გავაკეთე ის რაც შემეძლო….მთელი ცხოვრება გელოდე, მიყვარდი უანგაროდ…..უსაზღვროდ…მოვალეობების გარეშეც……მინდოდა შენი ბედნიერების მიზეზი ცოტა ხნით მაინც ვყოფილიყავი…მაგრამ არ გამოვიდა…..არ ვნანობ რაც გავაკეთე….არ გეგონოს თავს დამნაშავედ ვგრძნობ….ნიკა გაჩუმებული უსმენდა და იმდენი ფიქრი ამოძრავდა, იმდენი სიმართლე…წუხილი ატყდა სხეულში….

-ლიკა შენ შენი სიმართლე გაქვს, რომელიც ჩემისგან შორსაა…..

-რას ვიზავთ ნიკოლოზ….მე ესე მარტივად არ ვიცი როგორ ვიცხოვრო…მგონია, რომ შენ კი არა ის მიყვარს რასაც შენ მიმართ სულ ვგრძნობდი, საკუთარ თავსაც უფრო ვაფასებდი ამის გამო, ესე რომ შემეძლო…..შენ აღარასოდეს დაბრუნდები…შეიძლება სულაც არ იყო ელენესთან, ან სულაც არ იყო ბედნიერი ელენესთან, მაგრამ არ დაბრუნდები…..ეს ორივემ ვიცით….მე მხოლოდ გეხმარებოდი, გეხმარებოდი რომ უფრო მძაფრად გეგრძნო როგორ გიყვარდა ელენე, ყოველ ჩემთან მოსვლაზე ამას ისე გამოკვეთილად გრძნობდი მცდელობის მიუხედავად მაინც ვერ მალავდი, რომ არ გიყვარდი….

-ლიკა უფრო სხვანაირად უნდა გეფიქრა….უნდა დაახწიო ყველაფერს თავი რაც არ გიმსახურებს და არ გიმსახურებს თუნდაც იმიტომ რომ შენს საპასუხო სიყვარულით არ გპასუხობს…..ვიცი მეტყვი რომ ადვილი არაა….იმასაც მეტყვი, რომ ისევ ჩემს აზრზე ვრჩები ჯიუტად, მაგრამ მართლა მჯერა, მჯერა რომ თუ ადამიანმა არ იცის საკუთარი თავის ფასი ეს უცოდინრობაზე უფრო დიდია…..არაა მარტივი მაგრამ უნდა შეძლო….საერთოდ ფეხებზე უნდა დაიკიდო ყველა ვისაც არ უყვარხარ, ან არ უყვარხარ სათანადოთ..ეს მხოლოდ ცოლს და ქმარს არ ეხება, მშობლებსაც, დებსაც და ძმებსაც, მეგობრებსაც საერთოდ სამყაროში ყველას….

-ნიკა უკვე ხომ გითხარი ასეთი ადამიანების ვინც ამისგან იტანჯება უგულებელყოფა იდეაშიც კი უსამართლობაა…..

-ესე ფიქრი როგორც შენ ამბობ უსამართლობაა და პირველ რიგში საკუთარი თავის მიმართ…..რომ ვიგრძნო, რომ ელენეს არ ვუყვარვარ ვიცი, რომ დიდი ხანი არ დამჭირდება საერთოდ ამოვშალო ჩემი ცხოვრებიდან…..ეს ათი წელი ეს მინდოდა მეგრძნო….ვერ მოვახერხე…..სხვანაირად კი ვერ გადავიყვარე…..მე არ ვამბობ ადამიანებს სიყვარული უნდა აიძულოთქო….არა პირიქით თუ არ უყვარხარ ყველა კარგად იყოს ჩემი ჩათვლით……მარტივია….მაგრამ ეს სიმარტივე სირთულის გადალახვის მერე მოდის…..საკუთარი თავი უნდა დააფასო, უნდა გაიაზრო, რომ მხოლოდ ორმხრივია ყველაფერი ჯანსაღი სიძულვილიც კი თუ რამე შეიძლება ჰქონდეს ამას ჯანსაღი…..

-შენ ილაპარაკებ ასე მარტივად მაგრამ არაფერი იქნება ჩემთვის მარტივი…..ადამიანები განსხვავებულები ვართ…..არაა მარტივი დამიჯერე…..მაგრამ შენ ნუ ინერვიულებ ამის გამო, ჩაეღიმა ლიკას…..

-ვიცი დამნაშავედ მთვლი….ვარ ალბათ კიდეც….ან არ ვარ….შენ არასოდეს გგონებია ისე როგორც არ იყო რეალურად…..არაფრის იმედი არ მომიცია…..არ მომიტყუებიხარ…ვერც მოგატყუებდი მეტყობოდა ისედაც…..უბრალოდ შენვე მიეცი ჩემს საქციელს უფლება შენთვის ეწყენინებინა…..

-დამიჯერებ რომ კმაყოფილი ვარ? მქონდა შანსი და გამოვიყენე…..სინანული მაინც არ დამახრჩობს….მე მეტი არ შემეძლო…..ყველა მიზეზი გქონდა იმისა შეგყვარებოდი…..ყველაფერს ვაკეთებდი ამისთვის, მაგრამ არ გამოვიდა……

-ლიკა არ იცი როგორ მინდა მაპატიო….

-კარგი რა ნიკა…..მე და შენ ვიცით რომ ორივე ზრდასრულები ვართ…..ჩვენ ვაგებთ ჩვენ თავზე პასუხს…..მაგრამ იცი რატომ ვერ შეგიძულა ელენემ…ვერც შეგიძულებდა……შენი უხეშობაც, ბოროტებაც, ტყუილიც და ღალატიც არაბუნებრივია……თითქოს შენ ცალკე ხარ და შენი ცუდი საქციელი ცალკე, თითქოს ეს შენი ქცევები თანაბრად გტანჯავდათ ორივეს…თითქოს არ გეკუთვნოდა…..მცდელობის მიუხედავად ყოველთვის გეტყობა რომ არ ხარ უხეში..ალბათ იმიტომ რომ შინაგანად ეს არ მოდის შენგან, შენ კი აიძულებდი……ეს კი ძალიან ადვილი დასანახია, დასანახია შენი ნაღვლიანი თვალები როცა ღალატს, უხეშობას ირგებ…..ვიცი რომ არ დაგწყვეტია გული, პირიქით გაგიხარდა ფეხძიმედ რომ არ ვარ…..ამის დამალვასაც ვერ ახერხებ ისეთი მშვიდი გაქვს თვალები და ეს მხოლოდ მაშინაა, როცა სიხარულის დაფარვას ცდილობ…..

-ლიკა ბოდიში…

-აი ხომ ხედავ, მე გატყუებდი და შენ მებოდიშებდი, შენ რომ ოდნავ მაინც გიყვარდე კონცერტს მომიწყობდი..ახლა კი ერთი სული გაქვს როდის გახვალ…და კიდევ უფრო მეტად როდის მოვაწერ განქორწინებას ხელს. აზრი არ ჰქონდა ნიკას რამე დაეფარა…..სიმშვიდემ ისე მოიცვა მართლა ვერ მიხვდა რომ ასეთ დროს ბრაზდებიან…..

……..

სუნთქვაც კი აღარ უნდოდა, აღარ უნდოდა არაფერი დედამიწის ზურგზე……ყველაფერი ერთად დაკარგა და ამ ყველაფერს ემატებოდა დანაშაულის გრძნობა…..სინდისის ქენჯნა, რომ იმას დააკარგვინა ყველაფერი ვინც მართლა ყველაფერი იყო მისთვის…..ტკივილისგან ეგონა შეიშლებოდა დემეტრეს ხმა, ტირილი, ცელქობა ეს თუ აბრუნებდა რეალობაში….ეს თუ აძლევდა ძალას ესუნთქა…..ნიკა კი უფრო და უფრო მძიმდებოდა…..ისე გახდა, თვალები ჩაუღამდა, ოთახის ფერი დაედო…..არაფერი აინტერესებდა , მთელი დღეები ისე გადიოდა მხოლოდ აბაზანაში შედიოდა დანარჩენი გულაღმა იწვა….არც ეძინა და რეალურად არც ეღვიძა, იყო სადღაც ფიქრებში, გაურკვევლობაში და რეალობაში, რომელიც ყველაზე მძიმე წარმოდგენაშიც კი ვერ წარმოიდგენდა მას რომ ეკუთვნოდა…..ტელევიზორი არ ჰქონდათ…არ ჰქონდათ რადგან იცოდა გააფრენდა იქ რომ ის ხმა გაეგო…მწვანე ბალახი რომ დაენახა მოკვდებოდა……საერთოდ არ ფიქრობდა არაფერზე, აღარც ისე უფრთხილდებოდა ჯანმრთელობას…..კვების რეჟიმი საერთოდ აღარ ჰქონდა, იმ დღეებში არც ჭამდა…ვერც ჭამდა არაფერი გადადიოდა…..ფეხის ამბავიც არ უკითხავს როგორ ჰქონდა არ აინტერესებდა…..მარტო იმაზე ზრუნავდა როგორმე სახვევი არ დასვრილიყო და ხშირად იცვლიდა ხოლმე….მეტი რეალურად არაფერი აფიქრებდა, გარეგნულად ესე ჩანდა….სინამდვილეში კი გონებაში იყო ხანძარი, გაუგონარი, შემაშფოთებელი და საშინლად მტკივნეული….თავდაპირველი სიკოჭლეც კი არ შეიმჩნია…..სახლიდან გასვლა სცადა, მაგრამ ძნელი იყო…ძნელი იყო უამრავი ხალხი რომ ეტაკებოდა ქუჩაში……ყველაფერი გააუქმა, მეილი, ტელეფონის ნომერი, არც ერთ წერილს უპასუხა, არაფერს, ჩამოსული კლუბის ხელმძღვანელობა მასთან შეხვედრის გარეშე დაბრუნდა……გადაწყვეტილი გადაწყვეტილებით ლამის გაგიჟდა რეალობისგან……თითქოს გაიღვიძა და არც ერთი კიდური არ ჰქონდა, კიდური კი არა ჰაერი არ ჰქონდა რომ ესუნთქა……

……

ლიკასგან გამოსული ტროტუარზე ჩამოჯდა, თოვლის ფიფქები ფარფატით ეცემოდნენ მიწას…..ღამე მანქანაები თითქმის არ მოძრაობდნენ,მხოლოდრამდენიმედახშრადპარტულის …..სახელმწიფო.. მაშინვე ეს სიტყვა ამოუტივტივდა,როცა პატრულის ლურჯი და წითელი ფერები სახეზე გადაუვიდა….საქართველო….მძიმე ჰაერი, მძიმედ ჩაისუნთქა და ფილტვებს თითქოს რაღაცამ ჩამოფხაჭნა ისეთი ტკივილი იგრძნო. ზემოთ აიხედა სტადიონის განათებასავით განწირულად ანათებდა ტროტუარს ქუჩის განათება, აიხედა და გრძნობდა, რომ ახლა ჰიმნის ხმა უნდა ყოფილიყო.. რა დაუმორჩლებელი სურვილი შესჩენოდა მის სულს..დაუოკებლად უნდოდა ნაკრების მაისურით ეთამაშა. ახლაც ათი წლის შემდეგაც, ყველა თამაში დათმო, ყველა ფინალი და ლიგა დაამარცხა საკუთარ გონებაში. ნაკრების ამხანაგურ თამაშზეც კი სულს დათმობდა, ოღონდ ამ შეგრძნებას არ მიეტოვებინა, მხოლოდ ისევ ეგრძნო ის ჟრუანტელი რაც ჰიმნის დაწყებისას ჰქონდა. ეგონა მთებს გადადგავდა, ეგონა ამ ქვეყნის მაისურით არაფერი იყო წარმოუდგენელი. ზოგჯერ გრძნობდა, რომ ეს იყო მათი დიდგორი, ეს იყო ბრძოლა სადაც საქართველოსთვის უნდა ეომათ. ბურთით მაგრამ მაინც ომი იყო, მხოლოდ შეუპოვრებს რომ ხვდებათ წილად გამარჯვება. ზოგჯერ თავისი თავის თავად არ ესმოდა, ეს მანიაკალური სურვილი რატომ უგლეჯდა სულს, რატომ დათმობდა და ყველაფერს ნაკრების თამაშებზე……ბედნიერებაც იგრძნო, ბედნიერება იმის, რომ ყველაფერს ისე აღარ განიცდიდა…..ახლა სხვა რამ უფრო აინტერესებდა…..არ იცოდა როგორ დაბრუნებულიყო……ან სად დაბრუნებულიყო……

…….

ღამის სამი იყო….ზარის ხმაზე მაშინვე სწრაფად წავიდა კარისკენ…..გააღო და ეგონა მუხლები მოეკეცა……თვალს არ აშორებდა არეული მზერით, სიძულვილით, ბრაზით უყურებდა…..მერე სასმელის სუნიც იგრძნო, მაგრამ ნიკას დგომაზე ისედაც მიხვდა, რომ საშინლად მთვრალი იყო…..უხმოდ გამოეცალა, რომ შემოსულიყო…..ფეხები ერთმანეთში ერეოდა……საპონი რამდენჯერმე გაუვარდა…ლამის წაიქცა სააბაზანოში..ელენე დაბნეული იდგა და ვერ გადაეწყვიტა მიხმარებოდა თუ არა….ბოლოს გამობრუნდა და საძინებელში შევიდა, მალევე იგრძნო წელზე მისი ხელები…..სიამოვნების ჭრუანტელმა დაუარა, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ზედმეტად უხეში იყო ეს შეხება……მხრებზე ისე მოუჭირა ხელი ეგონა ტკივილისგან იკივლებდა……მერე ტანსაცმლის შემოხევის ხმა გაიგონა, ისე იყო გაბრუებული ვერც იგრძნო….

-რას აკეთებ? სასოწარკვეთილმა გაიმეორა…..ყველაფერს ელოდა…..ამის გარდა ვერ წამოიდგენდა, რომ ამას ნიკა აკეთებდა…..ხელების მოშორება სცადა, მაგრამ ეგონა მარწუხები უჭერდა……უკვე რეალურად ტკიოდა ძვლები….მისი სუნიც კი სასმელისას ჰქონდა გაუფერულებული…..პირველად გრძნობდა მისგან ასეთ უხეშ შეხებას და ეგონა ტვინში სისხლმა გაჟონა….ვერ იაზრებდა, რომ ეს რეალობა იყო….

-ნიკა, გთხოვ რას აკეთებ….არაა საჭირო…..ელენემ ხელები კისერზე მოხვია და აკოცა…..თითქოს დენმე დაარტყა ისე შეკრთა მენაბდე……ზიზღით მოიშორა მისი თითები და ტკივილამდე გადაუგრიხა…….მერე ყელში ხელი წაავლო და საწოლზე მთელი ძალით დავარდა……ვერ ხვდებოდა როგორ იქცა ქმრის შეხება ესე აუტანლად……

-ნიკა გაჩერდი თორემ არ ვიცი გავგიჟდები……მთელი ძალით უძალიანდებოდა…..რომ ვერაფერი გააწყო ტირილი დაიწყო……ხმამაღლა ტიროდა უკვე…..შეშინებული დემეტრეს ხმა,

რომ გაიგონა ოთახიდან რომ გულამომჯდარი გამოდიოდა…..ბეჭების საშინელი ტკივილი იგრძნო…….ისე აწვებოდა კედელს თითქოს მისი განგრევა უნდოდა…..უნდოდა იქ არ ყოფილიყო……რამდენიმე წამს უყურა ელენემ კედელთან აკრულ ქმარს, მერე ხალათი მოიცვა და დემეტრესკენ გაიქცა…..აღარ შებრუნებულა..დემეტრესთან დარჩა…..დილით ელოდა ჩჩალაგებულ ბარგს…მაგრამ სახლს ამის არაფერი ეტყობოდა…მხოლოდ მცდელობა რომ დაეფარა დასიებული თვალები……მთელი დილა აბაზანაში იყო…..კბილები 5 ჯერ მაინც გამოიხეხა…..გამოსვლისას ელენე ისევ დემეტრეს ოთახში იყო და ეთამაშებოდა…..

-დე ეს რა არის?

-ფოთოქალი…..

-აბა თქვი ცისარტყელა? დემეტრე საშინლად იმეორებდა და მერე ელენეს ეცინებოდა……

-ჩემი ჭკვიანი…..კისერში კოცნიდა და უღატუნებდა…პატარა…..

უკვე ამაზეც ნერვები ეშლებოდა….სული მიდიოდა ოდნავ გაღიმებულს რომ ხედავდა, ძალით გაღიმებულსაც კი…… გარდერობი სპეციალურად შეამწმა, მაგრამ ყველაფერი ხელუხლებელი დახვდა, არც ელენეს ეტყობოდა რომ სადმე წასვლას აპირებდა……კარებთან შეეჩეხნენ ერთმანეთს……ელენემ ზედ არ შეხედა…..სწრაფად აიღო ჩანტა და დემეტრესთან ერთად გავიდა….ეტყობოდა, რომ სასეირნოდ მიყავდა, მხოლოდ სასეირნოდ და აუცილებლად დაბრუნდებოდნენ…..იმის მერე არც კი უცდია დალაპარაკებოდა……ზედ არ უყურებდა ელენე…..ნიკა კი ასეთ დღეებს უფროდაუფრო უხშირებდა……ფხიზელიც კი აკეთებდა იგივეს…..ელენე ჭკუიდან ლამის გადავიდა…ერთხელ მთელი ძალით ჩაარტყა საწოლის გვერძე მდგარი მინის ბოთლი……მსხვრევის ხმა რომ გაიგო ეგონა გული გაუსკდებოდა……მენაბდემ საშინელი ტკივილი იგრძნო…….და იატაკზე დაეცა……

-ნიკა, ნიკა……ელენე არაადამიანურად ყვიროდა, ძიძას ვერ გაებედა მათთან შესულიყო…როგორ ხარ ნიკა……ნიკოლოზ……აკანკალებული ელენე ამოსუნთქვის საშუალებას არ ძლევდა…..მთელი ძალით ჩაეხუტა….ეფიცებოდა……ელაპარაკებოდა გაუჩერებლად……ნიკამ მშვიდად ჩაჩურჩულა.

-სულ ასე იქნება…..

-კარგად ხარ? სახეზე ეფერებოდა….სისხლი რომ დაინახა თავზე ლამის ცუდად გახდა…..ტელეფონს დაწვდა…

-კარგად ვარ არსად დარეკო…….

-სისხლი გაქვს…

-არაფერია…

-მომისმინე არ მინდა ჩემ გამო მოკვდე გესმის!

-მხოლოდ უნდა მოვიტეხო ხომ შენ გამო…სიკვდილი არა, მხოლოდ დაზიანება…..გაუცინა ნიკამ ირონიულად……ელენე რომ დარწმუნდა მის კარგად ყოფნაში ტელეფონი დააგდო და თითი სახესთან მიუტანა….

-არ ვიცი რა გინდა……რა გჭირს, მაგრამ არ მოგცემ იმის უფლებას შენსას მიაღწიო….

-ჩვენში მხოლოდ შენ აღწევ მიზანს….ამ პასუხის მერე მიხვდა, რომ არ უნდა აყოლოდა ლაპარაკში…..

ყველაზე მძიმედ ის დღე დარჩა დემეტრეს, რომ სიცხე ჰქონდა…..მარტო იყო თითქმის უკაცრიელ ადგილზე, მხოლოდ უფროსი დემეტრე გაახსენდა, იცოდა ნიკას იმედი ვერ ექნებოდა…..არ მოვიდოდა..და გარდა ამისა მთვრალი იქნებოდა……..წარმოუდგენლად ედგა დემეტრე გვერდით……ზოგჯერ მართლა ვერ არჩევდა მამამისისგან, უფრო მეტადაც ენდობოდა, რადგან საერთო ტკვილი ჰქონდათ…რომ ვერავის ვერაფერს უხსნიდა თითქოს ეს კაცი თავისით გრძნობდა…….საავადმყოფოში სწრაფად წაიყვანეს……ნიკას მოძებნა კი გაჭირდა….ტელეფონს არ პასუხობდა არაფერს იბარებდა სად დადიოდა….. მათემ თქვა ბოლოს წყნეთიდან მელაპარაკაო…დაუფიქრებლად წავიდა…..სახლში რომ შევიდა მისი ოთახისკენ წავიდა მაშინვე….საშინელი ხმა იყო ღალატის, შემზარავი……მშვიდად გააღო…იცოდა რაც დახვდებოდა…ნიკამ მაშინვე დაინახა რადგან კარს პირდაპირ უყურებდა და სახეზე არაფერი შეცვლია, უბრალოდ ღიმილმა დაუარა მთელ სხეულში……წყლით ავსებული თვალებით უყურებდა და უყურებდა ნიკაც თვალმოუშორებლად…..არც კი ცდილობდა იმ ქალის სხეულიდან მოშორებას ღალატი რომ ერქვა……..ღიმილმა უფრო გამოკვეთა კონტურები მენაბდის სახეზე……დერეფნის ბოლოს კიბეებთან ჩამოჯდა დიდხანს ესმოდა დაბინძურებული ვნების ხმები…..აოცებდა ყველაფერი, ყველაფერი რაც მის ქმარს შეეძლო……მერე რამდენიმე წინადადების ხმა მოესმა…მაგრამ ვერ გაარჩია…….კიბეებზე იყო მშვიდად ჰქონდა თავი მიდებულიი მოაჯირზე და უფროსი დემეტრეს წერილს შვილის მდგომარეობაზე მეათედ კითხულობდა……წყლის დასალევად გამოვიდა……თმა სულ სველი ჰქონდა…არ ელოდა იქ თუ იყო…მზერა მაშინვე დაიმორჩილა…..

-რა გინდა?

-ნიკა დემეტრეს სიცხე აქვს…..ძალიან მაღალი….

-მე ექიმი ვარ?

-ნიკა…..ელენემ ვერ დამალა ემოცია…

-მითხარი ექიმი ვარ? ჩემთან უნდა გამოიქცე ასეთ დროს? ელენე ვერ იჯერებდა….ვერ წამოედგინა იმ ნიკას თუ ასეთი გულგრილობა შეეძლო…დემეტრეს სიცხეზე შეიძლებოდა მთელი ღამე ისე ენერვიულა, ისე განეცადა, რომ ვარჯიშზეც ვერ წასულიყო. ახლა კი უყურებდა ძალიან მშვიდ და უგრძნობს……

-მეგონა უნდა გცოდნოდა……მეგონა შენთვის რამე მნიშვნელობა მაინც ჰქონდა რაღაცებს…

-გეგონა……

-უნდა წავიდე, ფეხზე წამოხტა ელენე…..გამაოგნებელი ბრაზი ჰქონდა…საკუთარ თავსაც ვერ აჯერებდა, რომ ეს ყველაფერი რეალური იყო….

-წადი!……..მანქანაში ხმამაღლა ტიროდა…….ტკივილისგან ეგონა შეიშლებოდა…..

ტელეფონი ძლივს იპოვა სად ჰქონდა მიგდებული….მაშინვე მამამისის ნომერი აკრიფა…

-მამა დემეტრე როგორაა?

-სად ხარ ნიკა?მშვიდი ხმა ჰქონდა…..

-წყნეთში…როგორ არის არ მეტყვი? დემეტრეს ოდნავ უხეშმა, მაგრამ შეუჩვეველმა ტემბრმა საყრდენი გამოაცალა…

-ბავშვთა საავადმყოფოში ვართ, ახლა ცოტა უკეთაა, მაგრამ სიცხე ისევ აქვს…შეიძლება მენინგიტი იყოს…ექიმებმა ჯერ არ იციან ამოწმებენ……როგორ უნდოდა შეძლებოდა ყოფილიყო ისეთი როგორც უნდოდა…ჭკუიდან ლამის გადავიდა……ლამის გული გაუსკდა, ოღონდ მართლა იგრძნო შემაშფოთებელი ბაგაბუგი….იგრძნო სისხლის ადუღება…….საავადმყოფომდე მანძილი არ ახსოვდა…..ელენე სახეწაშლილი დაბორიალობდა საავადმყოფოს დერეფანში……ახალ მისულს უნდოდა ნერვიულობა არ შეემჩნიათ, მაგრამ ზედმეტად ეტყობოდა……ექიმი რომ გამოვიდა ეგონა წამი გაჩერდა…..

-უბრალო ვირუსია, მადლობა ღმერთს რამე სერიოზული არ არის……სიცხე თანდათან უწევს დაბლა….საშიში აღარაფერია…..უფროს დემეტრეს შვილი არც შეუმჩნევია გახარებული გადაეხვია ელენეს….

-დიდი მადლობა…ელენე მადლიერებას ვერ ფარავდა……

-შვილო ასეთ რამეზე მადლობა არასოდეს მითხრა რა…მეწყინება…..ნიკას რატომღაც ეგონა მამამისმა უკვე იცოდა წყნეთში რისთვისაც იყო…მერე გარეთ გამოსულები რომ იყვნენ დემეტრეს კითხვაზე მიხვდა რომ ელენეს არაფერი უთქვამს…

-ნიკა წყნეთში რატომ იყავი? ბავშვიანი ხარ თანაც ესე შორს ცხოვრობთ იქნებ რა დაჭირდეს ელენეს……

-მადლობა მამა……იმ დღეს მხოლოდ ეს სიტყვები იყო გულწრფელი მისგან….

-ასე აღარ მოიქცე რა ნიკა….

-არ მესმის ელენე იქ წყნეთში ამოსვლას აქ ყოფილიყო……რა უნდოდა? ან ვინ უთხრა თავზე რომ დამადგა….თითქოს ექიმი ვიყო…ნიკა ვერ ხვდებოდა რაზე ბრაზობდა ელენეს საქციელზე თუ იმაზე ელენეს რისი ნახვაც მოუწია…..

-ნიკა შენ ახლა მაგ ყველაფერს სერიოზულად ამბობ?……თვალები ჩაუწითლდა მენაბდეს…..დემეტრე შენ გკითხულობდა ბოდავდა და გკითხულობდა….ენატრები ნიკა…ტიროდა…ხომ იცი ბავშვები როგორ ადვილად ეჩვევიან და როგორ უჭირთ გადაჩვევა…..ამიტომ რომ ვერ დაგიკავშირდით ელენე წამოვიდა…..მანქანისკენ მიმავალ გზაზე გრძნობდა რომ ტიროდა, ტიროდა მთელი მისი შეგნებით…..პალატის კართან ხელით გააჩერა…

-თუ ვერ დაპირდები შვილს სითბოს, მაშინ ნუ მოატყუებ და კიდევ უფრო ნუ მიიჩვევ…..სიკვდილი იყო მისთვის იმ წამს იქ არ შესვლა….წარმოუდგენლად უნდოდა პატარა თითებზე ეკოცნა, მაგრამ მამამისმა აგრძნობინა, რომ უსამართლობაშიც, უზნეობაშიც და არაკაცობაშიც არსებობს ზღვრები, ზღვრები, რომლებსაც ვერ გასცდები….

ამ ყველაფრის მერე, მრავალი ასეთი დღის შემდეგ ელენე მიხვდა რომ რაღაც უნდა შეეცვალა…….პირველ რიგში უნდა შეცვლილიყო თვითონ…..ან მონასავით უნდა ყოფილიყო ამ მდგომარეობისთვის ან მებრძოლი უნდა ყოფილიყო…მდგომარეობა კი არ შეიცვლებოდა….ნიკას არაფერს ეკითხებოდა….იცოდა რომ დღეები თვითონ უნდა გაელამაზებინა საკუთარი თავისთვისაც და დემეტრესთვისაც…….თავად გადაწყვიტა სახლის მთლიანად გარემონტება და დილით კაკუნმა, რომ გააღვიძა მენაბდე მაშინ გამერკვა რა ხდებოდა…… სამზარეულოში გავიდა თვალების ფშვნეტით..

-ეს კაცები ვინ არიან?

-მემგონი ცოტა რომ დაფიქრდე შენითაც მიხვდები…..თავი არ აუწევია ელენეს ისე უპასუხა….

-მუსიკოსები რომ არ არიან ვიცი…..მაგრამ რას მერჩოდნენ დილაუთანია? ელენემ გაბრაზებულმა შეხედა, მაგრამ ნიკა ისე უღიმოდა…ისე სხვანაირად…..სული გაუმწარდა ესეთი მზერა რომ დაინახა..ძველებური, როგორც ადრე, როგორც სულ იცოდა..ბრაზი რომ ჩამოეშალა თავადაც გაბრაზდა….

-სახლი უნდა გაარემონტონ, მკაცრად უპასუხა ელენემ…..

-ვაუ….მთავარია არ ააჭრელონ კედლები ცოტა სოლიდურად……

-თუ არ მოგეწონება შეგიძლია შეცვალო…უკვე ყველაფერი ავარჩიე…..

-ახლა მთელი წელი ხომ არ უნდა ირბინონ აქ…..მითხარი რას აკეთებ და თუ არ მომეწონება ახლავე შევცვლი……ელენე გაბრაზდა ახლა, რას ნიშნავდა რომ არ მოწონებოდა…

-ნიკა მეჩქარება….სხვა დროს გაჩვენებ….

-სულ მტვრიანი იქნება ყველაფერი…..ხომ არ გადავიდეთ წყნეთში და მერე დავბრუნდეთ…..იმდენად მწარე მოგონებები ჰქონდა ელენეს იმ დღის მერე წყნეთთან რომ მაშინვე უპასუხა….

-არა წყნეთში არა!

-მაშინ მენაბდეების მთავარ სახლში…….

-ნიკა შენ თუ გინდა გადადი, მე აქ ვიქნები……ნიკამ ცალი წარბი აწია….

-ამათთან ერთად? დემეტრეს ფილტვებს სუფთა ჰაერი ჭირდება და არა ბეტონი…..სხვათა შორის არც იასამნისფერი შპალერი…..ნიკამ თვალი მოკრა და გაეცინა……

-უკვე ნახე და ამიტომ მერე აღარ დაიწყო არ მომწონსო..

-იმედია ჩემი ოთახი არ იქნება ეს ფერი…..

-ჩემი უნდა იყოს ზუსტად მასეთი……მაგისთვის ვიყიდე…

-სადმე სხვა ოთახში გადადიხარ? გაეცინა ნიკას…..

-გადასვლა შენ მოგიწევს თუ არ მოგწონს……

-აბა შეგიძლია შეცვალოო…….ელენეს გაბრაზებულ სახეზე გულწრფელად გაეცინა….

-მეჩქარება…ნუ მაცდენ…..

-არ გაცდენ უბრალოდ უკვე დიდი ხანია წყალი დუღს და ჩემს ყურებაში ვერ ხვდები რომ გადმოდგა…..თითქმის სულ აორთქლდა, მეორე ოთახიდან დაამატა ნიკამ….ელენემ უკვე იცოდა რომ არ უნდა ნდობოდა ნიკას ასეთ ხასიათის ცვლილებას…მეორე წუთს შეიძლებოდა ისევ შეცვლილიყო…ესე მერყეობდა მენაბდე…ესე ეცვლებოდა ხასიათი…სულ გაბრაზებულიც ვერ ახერხებდა ყოფილიყო…..მაგრამ ვერც ლახავდა….ზოგჯერ ისე მტკივნეულად წამოეშლებოდა წარსულის ბედნიერება რომ სხეული ეწვოდა……

სულ ცდილობდა ელენესთან ცუდი გამოჩენილიყო…..ვარჯიშისთვის თავის დანებებასთან ერთად წონაში მომატება დაიწყო….გარეთ ყოფნისას ვერაფერს ჭაამდა არ შეეძლო სადმე ნაყიდი რამე ეჭამა, ვერც კაფეში ან სხვა კვების ობიექტში ახერხებდა ჭამას გული არ მიდიოდა…ამიტომ ან შოკოლადებზე იყო ან პურზე……შემდეგ გასუქება თვალშისაცემი გახდა….

ხალხში ერთად იშვიათად იყვნენ…ან თუ იყვნენ ნიკა საშინლად უხეში იყო….განსაკუთრებულად ცდილობდა მის დამცირებას…..ელენე ერთხელაც არ აყოლილა, მაგრამ არასოდეს უგრძნობიებია რომ არ ახსოვდა ან დაივიწყა…..ცოტნეს დაბადებისდღე იყო, უამრავი ხალხი დაპატიჟა…ნაკრების (კალათბურთის) მაგრამ მაინც ნაკრების მოთამაშეების დანახვაზე, ფორმებზე მთელი არსებობა ატკივდა…..საშინლად გაღიზიანდა, ეგონა გააფრენდა ისე იყო გაბრაზებული…….

-ნიკა კარგად ხარ?მშივიდად კითხა ელენემ, ნიკას სახეს რომ შეხედა არ იყო დარწმუნებული მის კარგად ყოფნაში….

-შემეშვი….ხმადაბლა მიუგდო უხეშად ეს სიტყვა….მერე ცოტნეს გუნდელმა რამდენჯერმე მწარედ უთხრა ნიკას თამაშისთვის თავის დანებებაზე……

-სუსტები არ აგრძელებენ ბრძოლას…..

-გიჟები აგრძელებენ როცა ამას აზი არ აქვს..

-შეფასება ცოტა რთულია, განსაზღვრო აქვს თუ არა აზრი…მენაბდეს ამ ბრძნულ აზრებზე უკვე მერამდენედ რომ თქვა აჟრიალებდა….

-შენ ჯობია ერთი ადგილი დააყენო….შესამჩნევად ხმამაღლა უთხრა…ყველამ იმათ შეხედა…..არავინ მოელოდა ნიკასგან ამ რეაქციას…..არც უზრდელობით გამოირჩეოდა ოდესმე, არც სიტოაციის დაძაბვის სურვილით…პირიქით ყველაფერს აკეთებდა ვინმეს არ ეჩხუბა ახლა უტიფრად უყურებდა ზურას და ეტყობოდა უნდოდა რამე ეთქვა რომ რამენაირად ის ბრაზი სადმე გადაეტანა ასე უმოწყალოდ რომ აგლიჯავდა ყველაფერს…..

-რა გჭირს შენ…….დაუყვირა ზურამ……მეტი არ ახსოვს ფეხზე წამოხტა და მისკენ წავიდა…..ბევრი იყო განსხვავება ძველ და ახალ ნიკას შორის, ცხოვრებაში არასოდეს იჩხუბებდა სხვის დაბადებისდღეში….ცხოვრებაში არავის ჩააშხამებდა რამეს, ახლა კი უნდოდა კიდევაც, უნდოდა ყველა გაემწარებინა….უნდოდა ადამიანებს ბედნიერების მიზეზი არ ჰქონოდათ…..ელენემ მკლავზე ხელი მოკიდა…

-ნიკა არ გინდა გეხვეწები….ბიჭებმა ზურა გააჩერეს….ყურში ჩაჩურჩულებდნენ რომ ნიკა განერვიულებული იყო ყველაფრით და რომ არ აყოლოდა….ასე გიჟივით რომ ექცეოდნენ მენაბდეს ამაზე სულ ეკეტებოდა…

-ხელი გამიშვი თორემ ჩემ თავზე პასუხს არ ვაგებ…..

-გეხვეწები არ გინდა…..ნიკამ უხეშად მოიშორა მისი ხელი და ბოლო ხმაზე უღრიალა……

-თავი დამანებე….რა ვერ გაიგე…..მომაშორე შენი ხელები……საშინლად შერცხვა ელენეს, ყველა იმათ უყურებდა, ნიკა კი არ ჩერდებოდა….მთელი ბრაზი მაინც გადაიტანა და გადაიტანა იმაზე ვინც იმ მომენტში ყველაზე ნაკლებად იმსახურებდა, მაგრამ ვის გამოც იყო ზოგადად ეს ბრაზი….ელოდა რომ ელენე გაარტყავდა…ან უფრო ხმამაღლა უყვირებდა….ან იტირებდა…ელოდა რამეს ელოდა……უხმაუროდ გატრიალდა….ბავშვებთან მოთამაშე დემეტრეს ხელი მოკიდა, კალთაში ჩაიჯინა და დიდ ხანს ეფერა…..დემეტრეს სასაცილოდ უსვავდა თითებს, გაშლილ, ჩალისფერ კულულებში თითებს ხლართავდა და უცინოდა…..დიდ ხანს აღარ გაუჩერდა და სათამაშოდ ჩახტა…..მკლავში ხელი იგრძნო ელენემ…..ცოტნე იყო…გააფთრებული……დერეფანში გაიყვანა…

~-ელენე დღესვე წამოხვალ….

-რა? სად ცოტნე…

-იმ ტიპისგან დღესვე წამოხვალ…არ მაინტერესებს ახლა სახლში მივდივართ ჩემოდანს ჩაალაგებ…არა შენ არ წამოხვალ მე ჩაგილაგებ და შენ და დემეტრე მამასთან გადახვალთ…

-ცოტნე რეებს ამბობ….

-ასე უნდა გჭამოს? ესე უნდა გამციროს? წამოხვალ…

-არა ცოტნე არსად წამოვალ….

-შენ ხო არ უბერავ გოგო…დაუღრიალა ცოტნემ…..აღარ გკითხავ….ხელით გეხება? მითხარი? ცოტნე თან ტიროდა თან ღრიალებდა…..

-რას ამბობ ცოტნე დამშვიდდი ყველაფერი კარგადაა..

-რა არის კარგად გოგო მიეჩვიე? მიეჩვიე რომ შეუძლია გიყვიროს? ესეთ დამცირებას ჩემი და ვერ აიტანდა…არა გამორიცხულია, რა გაგიკეთა…რა ჯანდაბის გამო ხარ იმ არაკაცთან? უნამუსო ნაბიჭვარი..მე მაგის….კომპლექსიანი იდიოტი….ჩმორი ფეხბურთელი…..

-ცოტნე დამშვიდდი….

-წამოდი თორემ მოვკლავ….თუ არ მოვკლა მე არ ვიყო კაციი…გეფიცები სადღაც აკუწულს ნახავ…..

-გევედრები ცონე გეხვეწები დამშვიდდი აგიხსნი რა…..ნუ ხარ ესე…ელენე სულ აკანკალდა……

-რატომ ხარ მითხარი, ერთი მიზეზი მითხარი ელენე…მეტი არ შემიძლია…ესე როგორ გიყურო? ესე გამცირებს……მშვიდად იდგა ნიკა და ესმოდა მათი ლაპარაკი…..

-მიყვარს……ამოიხრიალა ელენემ….

-მაგ სისულელეებით შეგიძლია დედა და მამა მოატყუო…ახლა ის ცხოველი გარეთ რომ დგას, მსუქანი არაკაცი…..ქონით გატენილი იდიოტი შენ გიყვარს? ეს ემოატყუე ვინც გინდა, მაგრამ გპირდები რომ მოვკლავ თუ არ წამოხვალ……

-ცოტნე დამანებე თავი…..მართლა მიყვარს, გეფიცები…..გეფიცები ნუთუ არ მეტყობა რომ მიყვარს……ყველაფერზე მეტად რომ მიყვარს არ მეტყობა? მითხარი…….მითხარი რომ ჩემი არ გჯერა…ან ამას შენით ვერ ხვდები…ვერ ხედავ რომ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს……

-თუ არ წამოხვალ…გეფიცები რომ აღარ გნახავ აუცილებლობის გარდა…მე არ შემიძლია ამის ატანა…… ან მოვკლავ მართლა გადამკიდებს ეგ იდიოტი შარს….ნიკას ფეხის ხმა გაიგეს…..მშვიდად იღიმოდა მენაბდე…..

-არ გინდა ეგ ყველაფერი ჯერ მე მითხრა და მერე შენ დას? ცოტნემ ეს ცინიკური ტონი ვერ მოითმინა და მთელი ძალით გაუქანა მუშტი……..ერთმანეთს გააფთრებით ურტყავდნენ……ელენე ძლივს ჩადგა შუაში…….

-შენ ყველაფრის ღირსი ხარ…..შენ ღირსი ხარ შენ დას რაც გაუკეთეს იმის, რადგან ჩემსას არ ინდოზ…….იმდენად მართალი იყო ცოტნე, რომ ნიკამ ნაკვთები ვერ დაიმორჩილა…..შენ ხომ იცი…..ხომ უნდა იცოდე რა დამპლური შეგრძნებაა……რატომ არ ხარ ადამიანი გამაგებინე, რატო აღარ ხარ? ცოტნე ღრიალებდა და ხორხში გაჩხერილ ბურთს ვერაფრით იშორებდა……

-წამოვიდეს შენთან ერთად!……წავიდეს ჩემგან…….მე არ ვაკავებ…..არაფერს ვთხოვ…..არაფერს ვაიძულებ….წამოვიდეს…..ცოტნემ ელენეს შეხედა…

-დემეტრეს გავამზადებ და წავიდეთ ნიკა….ეს ჩაილაპარაკა და გავიდა……დემეტრე რომ დააძინა ფეხაკრებით შევიდა ოთახში……საწოლზე იყო ჩამომჯდარი ნიკა….საბანი და ბალიში აიღო და მისაღებში გასვლას აპირებდა…..

-ვერ ვლახავ……ვერ გადავლახავ…სულ ასე იქნება……ყველაფერი ემატება…ჩემი ცუდი საქციელი ემატება, რომ საკუთარი თავი მძულდეს……დღეს შენი ძმა იმდენად მართალი იყო……ჩემთან ისეთი მართალი იყო…..

-ნუ დაიდანაშაულებ თავს…..მე გადავწყვიტე ასე და მე ვატკინე ცოტნეს გული შენთან დარჩენით…

-მე მართლა გითხარი….წადი…..პრინციპში არც ხარ ვალდებული…….

-ღამე მშვიდობისა……ელენემ ფრთხილად გაიკეტა კარი….

……..

გამოსავლად მხოლოდ ის ნახა ელენეს დალაპარაკებოდა….

-ბარბარე მოდი, როგორ ხარ….გადაეხვია ელენე ბარბარეს….

-ბოდიში სამსახურში რომ გაწუხებ….. მხარი როგორ გაქვს ელე?

-კარგად, რავი ნნორმალურად….არა სისულელეს მეუბნები რა მაწუხებ….ახლა მაიაც მოვა და გავიდეთ სადმე…..

-ელენე მანამდე მინდა….მაია უკვე კარებში იყო……

-ოჰო…ბაბალე როგორ ხარ?

-კარგად მაი შენ?

-მეც ვარ……ჩვენი „ცალ-ხელა“ იცი რა გახარებულია?

-რა? რატო? გაეცინა ბარბარეს……

-რადა შენი ძმა ნიკოლოზი….მალე მამა არ გახდება….ელენეს ისე უხარია მეტი რომ არ შეიძლება…..ელენემ ხელზე უჩქმიტა..

-კარგი რა მაია რა ლაპარაკია……

-ნუ ხარ ესე მორიდებული…..იყავი გულახდილი….გაეცინა მაიას…

-ლიკა არაა ფეხმძიმედ? ბარბარემ თვალები გააფართოვა….

-არა….მოგიყვებით მაგ ამბავს…..ელენე ცდილობდა არ გაღიმებოდა…მერე მაიას იუმორს აბრალებდა რომ ეცინებოდა…..

-ნიკამ იცის?

-დღეს გაიგებდა არ დააცადა პასუხი ელენეს მაიამ…

-დაგელაპარაკა?

-არა რა დამელაპარაკა…მე რატომ…თავი ჩაღუნა ელენემ……

-შენ რა გაწითლდი…..ვაიმე არ შემიძლია…..მაია კვდებოდა სიცილით……

-აუ მაია კარგი რა ნუ იცი ესე……

-მიდი გაიცინე რა…..ნუ იკავებ……ესე სიცილში იყვნენ ნიკამ რომ კარი შემოაღო…….სამივე მაშინვე გაჩუმდა…..

-ტასუნას დაუსვრია ტანსაცმელი, მთლიანად გადაუქცევია ჭუჭყიანი წყალი სკოლაში ეზოში თამაშობდნენ და მე დამირეკეს…..ახლა შემოსასვლელთან დგას არ მომყვება….დედას ეწყინება ეს კაბა ძალიან უყვარდა და მოწონსო და დედასაც აქვს ასეთი და ჩემი, რომ გაფუჭდეს…და მთელი ამბები….

-სად დგას? ელენეს გაეცინა….

-კარებთან….სასაცილო დასანახია სულ დასვრილი აქვს ყველაფერი….თმაზეც ჭუჭყი აქვს…..ნიკამ არ დაინდო ტასუნა……-ნერვიულობს და უთხარი რომ ლაქები ამოვა…სხვა ისეთს ვუყიდი და ეგ გადავაგდოთ……..

-მაია შენ რაღაც უცნაურად ხარ? ნიკა სასაცილოდ ამოუდგა გვერდით….. ბარბარე ისევ არ შეიმჩნია თუმცა რამდენჯერმე შეხედა…..

-შენ რამე ხომ არ გაქვს სათქმელი დიდო ნიკოლოზ?

-მე?

-ხო შენ….

-ნწუ…..შენთვის არა ყოველშემთხვევაში…..

-კარგი ვიმახსოვრებ….

-ძალიან ყოჩაღი რომ ხარ ეს გიომ იცის ხომ? აქ უკვე მაია მიხვდა რომ იცოდა ლიკასგან იცოდა მაიამ რომ გაარკვია ყველაფერი……

-მე უყოჩაღესი ვარ….

-დეტექტივი….გაიცინა ნიკამ……

-FBI…

-სუპერ აგენტ!!!!

-ზე ბესთ!

-თავმდაბალ!!!!! სასაცილოდ გამოკვეთა ნიკამ…მაიამ შეაბჯღრია….

-ნუ დამცინი….

-აი საიდან გააძრობ ხოლმე ესეთ სიტოაციებს, ეპიცენტრში ხარ ყველაფრის…მიწისძვრისდროს შენ გვერდით არ უნდა დადგეს ადამიანი……

-მაღიარე შენ გირჩევნია…..

-გაღიარებ აბა რას ვშვები….შენ არ იცი როგორ მიყვარხარ……ბარბარე უკვე გამოსული იყო…მაია და ნიკა არ ჩერდებოდნენ ყველგან იმათი სიცილის ხმა ისმოდა….

-ბაბი რა გინდოდა რაღაცას მეუბნებოდი…..ელენე თან ხელებს ბანდა ტასუნას…..ანასტასია მამიდამის მიეწეპა ლოყაზე…..

-ელენე, ნიკაზე მინდოდა, ხომ იცი გეგასთან…..ელენემ ნერწვყი ძლივს გადაყლაპა..

-რა? რა მოხდა?

-გეგა უკვე დიდი ხანია მთხოვს პატიებას, წლებია……ვფიქრობ და…..

-შენნ გინდა მასთან? გააწყვეტინა ელენემ…..

-არ ვიცი ძალიან მეშინია შეცდომის თანაც ნიკა…მათეს უარესი რეაქცია ექნება დარწმუნებული ვარ….როცა შეძლებ იქნებ დაელაპარაკო და ნიკა მერე მათეს..ნუ არ ვიცი, რომელს უფრო ექმენა რეაქცია..გადაირევიან…..

-წამოდი ახლა დაველაპარაკოთ….

-არა რას ამბობ…

-წამო, წამო რაღაც ნიკა ვერ ამჩნევ შენთაან როგორ შერბილდა, დღესაც ისე გიყურებდა უნდოდა რამე გეთქვა…

-მართლა? ბარბარეს თვალები გაუფართოვდა…

-კი….ვერ დაინახე…..

-ელენე არ მინდა მე წავალ რა….მერე დაველაპარაკები, მანამდე გთხოვ უთხარი გეგაზე…მაინტერესებს რას ფიქრობს..

-კარგი დაგირეკავ ბაბი…

-მამიდა წამიყვანე შენთან…..აწიკვინდა ტასუნა…..

-ანასტასია რას გავხარ არავინ შეაშინო დე….სხვა დროს…

-ოოოოო….მამიდა გამომიცვლის და ერეკლესთან ვითამაშებ, რა მოხდა წავყვები….ელენეს რაღაც გაუხარდა…

-კარგი მაშინ წაყევი და მერე ნიკა მოვა წამოსაყვანად თვალი ჩაუკრა ელენემ ბარბარეს…..

მაიას გიომ მოაკითხა და მასთან ერთად წავიდა…..ნიკა მშვიდად იჯდა მის მაგიდაზე და ხელში კალენდარს ათამაშებდა…..

-ბარბარეს გაჰყვა…ერეკლესთან უნდოდა…

-ტასოს? თავადაც მიხვდა უაზრო კითხვა იყო…..

-ხო….ისე უპასუხა ელენემ თითქოს მართლა გასცა პასუხი რამეზე…..

-წანწალაა ძალიან…გაეცინა…..

-ხო სულ სხვაგან უნდა…ნიკა დემეტრე როგორაა?

-კარგად…რავი ნორმალურად……ვლაპარაკობთ…ფეხბურთს ვუყურებთ…დემნამ ჩემზე ბევრად მეტი იცის….ათი ჩემპიონთა ლიგა მაქვს გამოტოვილი და დაახლოებით პირველად წაკითხვის ბედნიერება, რომ არის ეგ მელის რა ყურების პონტში…..

-ვცდილობ არ ველაპარაკო ამ თემაზე…მაგრამ…ნიკა შენც ხომ ხვდები….ელენეს ხმა გაუწყდა….

-ვილაპარაკეთ მაგაზეც……

-ყველაზე მეტად ის მინდოდა დემეტრეს არასოდეს გაეგო შენ რატომ დაანებე თამაშს თავი…..არა იმიტომ, რომ მეშინია ჩემ მიმართ შეიცვალოს….უბრალოდ მისთვის რაც არ უნდა იყოს დედა ვარ და არ მინდა იყოს მომენტები, როცა იფიქრებს რომ ვერავის დაეყრდნობა…..იმედი გავუცრუე საშინლად…

-ელენე გთხოვ რა…..ვილაპარაკეთ მაგაზე…თუ ამ დღეებით….აი იმას ვგულისხმობ, მე რომ არ ველაპარაკებოდი, თუ რამე ისწავლა დემეტრემ ისწავლა, რომ მშობელი არ უნდა განსაჯოს……მით უმეტეს შენნაირი…..ეს იცის……დრო მაინც დროა და იმ დღისს სიშორე აშკარად იგრძნობა……ელენემ ხელები სკამს დააყრდნო….ნიკა მაგიდიდან ჩამოხტა და მიუახლოვდა…..

-მომენატრე……მშვიდად ჩაილაპარაკა……ძლივს გაიგონა ელენეს მეც…..მთელი ძალით ჩაიხუტა…… სუნთქვაც უჭირდა….უჭირდა და ეღიმებოდა……ელენემ მალე გამოაცალა სხეული და დივანზე დაბნეული, აწითლებული და აფორიაქებული დაჯდა…..ნიკა მიხვდა მაიას, რომ გრძელი ენა ჰქონდა…..

-ელენე, წავედი….სკოლაში მივდივარ…დემეტრეს მე მოვიყვან სახლში…არ ინერვიულო…..

-კარგი ნიკა…ტასოც რა ბარბარეს ეყოლება……თან…თან ბარბარე ხომ იცი გეგა რომ……

-აწუხებს? სახე შეეცვალა ნიკას…

-არა…არაა პირიქით…..ბარბარეს მხოლოდ შენ და მათე აკავებთ, რომ მასთან ერთად ბედნიერი იყოს….

-მე არავის ვაკავებ!

-მეორე ნაწილი უფრო მნიშვნელოვანი იყო ნიკა…შეუძლია ბედნერი იყოს, მაგრამ ვერ იქნება თუ შენ არ დაივიწყებ ამ ბრაზს….

-მოდი არ გვინდა…გეგაზე მაინც…თვალი ჩაუკრა ნიკამ…..

-თუ ადამიანს უნდა ვინმესგან პატიება მიიღოს იმის ნახევარი მაინც უნდა შეძლოს, რასაც სხვისგან მოითხოვს…..მკაცრად გაიმეორა ელენემ…….

-ეგ ვიცი…ეგ ყველამ იცის…უბრალოდ ძნელი ამ ცოდნის რეალობად ქცევაა…..

-იცი? რეალურად იცი და ამას მეუბნები? კარგი ჯობია წახვიდე……

-გეუბნები იმას რაც ვიფიქრე, შემეძლო არ მეთქვა, მაგრამ ამის ფიქრს საკუთარ თავსაც ვერ დავუშლი, უბრალოდ გულწრფელობა მოვინდომე ზედმეტად……მე ვიცი, რომ შენთვის ძნელია….ძნელია ის ყველაფერი დაივიწყო, წლები წაგართვი…ისიც ვიცი, რომ ვერ ვიქნებით ისე როგორც ადრე…ძალიან ადრე…..შენ დიდი მსხვერპლის გაღება მოგიწევს…..მოგიწევს მაპატიო ძალიან ბევრი….ეს რაღაცებს აუფერულებს…..მაგრამ ამისთვის შენც გჭირდება ძალისხმევა და მეც ბარბარესთან……ალბათ ვიპოვი…..ვიპოვი რადგან ახლა აღარ ვფიქრობ რომ ჩემი პოზიცია სწორია…….

-ნიკა ნუ მოგეჩვენება, რომ რამეს გაყვედრებ…თუ რამეს გადავწყვეტ მერე ამაზე პასუხსაც ვაგებ…საყვედურების გარეშე…..ამიტომ მინდა არ იყო ამის ზეგავლენისქვეშ თითქოს გაყვედრებ, თითქოს ბოლომდე ვერ ვივიწყებ…..

-არაფრის ზეგავლენის ქვეშ ვიქნები…..უბრალოდ ვერ ავიტან…..ვერ ავიტან ოდნავ მაინც ვფიქრობდე საკუთარ თავს რამის გამო რამეს აიძულებ…..ელენეს შეაკანკალა……

-ნიკა…მე…

-გეგაც და ბარბარეც სრულწლოვნები არიან თანაც უკვე დიდი ხანია…..მე, მითუმეტეს კი მათე არ ვართ დაბრკოლება….ერთადერთი ხელისშემშლელი მისი 13 წლის წინანდელი საქციელია…მხოლოდ ეს…ბედნიერებაში ხელს ეს უშლის და არა მე…..

-მე არ მითქვამს რომ გწყენოდა……

-ალბათ არ გინდოდა, თორემ ისე თქვი….

-ნიკა მხოლოდ იმის თქმა მინდოდა რომ თქვენ მისთვის იმდენად მნიშვნელოვანი ადამიანები ხართ, რომ თქვენ გარეშე ვერ იქნება ბედნიერი…შენც მასე ხარ…..რატომ გინდა იდარდო ჩუმად ბარბარე? რატომ არ გინდა უბრალოდ დაელაპარაკო?

-დაველაპარაკები!

-სერიოზულად? ელენეს გაეღიმა……მერე ნიკასაც….

-ხო…..არ ინერვიულო მაგაზე…..ხელი როგორ გაქვს?

-მაქვს……ეს უკვე კარგია….

-ნუ მექცევი ასე…ნაღვლიანად გაეღიმა ნიკას…..

-ბევრად უკეთესად მაქვს…..

-იტყოდი ბრწყინვალედ…

-გადასარევად…..

-იმაზე უკეთესად ვიდრე ადრე…

-ვიდრე ოდესმე…სიცილით დააამატა ელენემ…..

-არ ვიცი რა ჰქვია, რასაც ვგრძნობ, მაგრამ ოცი წუთია წასვლას ვცდილობ და არ გამომდის……კარგი წავედი..

-მეორედ ამბობ……

-რამდენიმე ნაბიჯით წინ ვარ უკვე…..

-წინსვლაა…..

-ნუ იცინი…მე სერიოზულად ვამბობ….ძლივს შეიკავა სიცილი…

-მეც ნიკა…….

-კარგი…..კარგი ელენე…..უბრალოდ უჩემოდ ვერ გაძლებ….უკვე მანქანის კარებს აღებდა ელენეს დაგვიანებული გააზრების შემდეგ რომ მოუვიდა წერილი…. “შენ ვერ გაძლებ!”

“თქვენ მოიგეთ უთო” უკვე გზაში იყო რომ მიწერა,

“ეგ უთო არასოდეს მოგიტანია, არადა რამდენჯერ მაჩუქე უკვე” ხმამაღლა გაეცინა ნიკას….

-“დაბადებისდღეზე გაჩუქებ!”

“აბა მოიგეო…..მოგებულს არ ჩუქნიან..”

“მემგონი ჩემთან შეხვედრისთვის მიზეზს ეძებ…კარგი ვაჟაზე რომ ელექტროტექნიკის მაღაზიაა იქ შეგხვდები, როცა გინდა და უთოს გიყიდი”

“ა თან მე უნდა გამოვიდე წამოსაღებად ხომ?”

“სახლში მოტანის სერვისი არ გვაქვს”

“დაამატათ”

“????”

“ინტრიგანი ხარ”

“კომპლიმენტებს არ ვართ”

თავი 28

„ადამიანი ასეა მოწყობილი-ჩუმადაც რომ ვიყოთ, მაინც გვინდა ჩვენი ესმოდეთ“ ნ.ჩერქეზიშვილი.

ძალიან ბევრს……ალბათ ყველას კითხვისას ჰქონდა, განცდა, რომ მოთხრობის მთავარი გმირები ელენე და ნიკა იყვნენ…..ალბათ ასეცაა, მაგრამ ჩემთვის დასაწყისში ასე არ იყო…ან მერე იქცა ეს ყველაფერი ასეთად….ყველა შემთხვევაში მოთხრობა იმაზეა რაზეც სათაური…..

მეჯვარეებზე….

ყველას გვყავს მეგობრები…..არის პერიოდი, როცა მათი რიცხვი იმატებს (მეგობრებად ვთვლით) ზოგჯერ იკლებს…..თუმცა მაინც არის ადამიანების ცხოვრებაში დრო, როცა გვიწევს „ავარჩიოთ“ ზოგი ორსაც ირჩევს და უფრო მეტსაც….ჩემთვის გაუგებარია მაგრამ თუ იმ მეორეს უნდა სამი მეჯვარე ჰყავდეს საკურთხეველთან ვფიქრობ, რომ უნდა დაუთმო…..და ალბათ აბსოლუტური უმრავლესობა სწორად ირჩევს, მე ვფიქრობ, რომ ირჩევენ იმას ვისაც გული ეუბნება…..ხშირად ეს ბავშვობის მეგობარია…..ან უფრო ზრდასრულობისას შეძენილი…..ამ ყველაფერს არ აქვს მნიშვნელობა უბრალოოდ მეგობარია……ადამიანი ვის გვერდითაც გინდა იყო ყველაზე მნიშვნელოვან დღეს, უფრო სწორად ის იყოს შენს გვერდით….

…….

სვეტიცხოველში სიმშვიდე იყო…ელენეს აფორიაქება კი სხეულის კედლებს ანგრევდა…ვერ ისვენებდა ერთ ადგილზე…წამით დაფიქრდებოდა იქ რა უნდოდა….ვერ ხვდებოდა როგორ დათანხმდა ქორწინებას…..იმ მომენტში ნიკა არ იყო მნიშვნელოვანი, უბრალოდ გათხოვება არ უნდოდა…..

-ელენე კარგად ხარ? გაუღიმა მაიამ და ყურში ჩაჩურჩულა…

-არ ვიცი….

-მამაო ჩვენო თქვი გულში….დამშვიდდი, ყველაფერი კარგად იქნება…..

არ ჰქონია ცხოვრებაში პრობლემა, როცა მის გვერდით არ იყო……საფრანგეთში ცხოვრებისას მაიასთან ლაპარაკის ხანგრძლივობამ სერიოზული კონკურენცია გაუწია ძილის პროცენტულ ხვედრს….საერთოდ არ იყვნენ ერთნაირები….პირიქითაც კი სულ კამათობდნენ…ზოგჯერ გაუთავებლად….გარედან ვინმე იფიქრებდა ჩხუბობდნენ, ესენი კი ვერაფერს ატყობდნენ საკუთარ თავს ჩხუბისას….

ერთადერთი იყო ამ წლების განმავლობაში ვისაც ის უთხრა რაც მხოლოდ ნიკამ და თამაზმა იცოდნენ..მაია თავიდან დაიბნა…..გვერდით ამოუდგა, თუმცა სიტყვები არ ჰქონდა…ალბათ

ამიტომ უფრო უადვილდებოდა მასთან გულის გადაშლა..იცოდა არ მოატყუუებდა ტყუილით არ დაამშვიდებდა, თუ დასამშვიდებელს ვერ ნახავდა მარტივად ხმას არ ამოიღებდა…..

……

ძალიან დაიღალნენ, დაიღალნენ მათი ყურებით ყოველდღიური ტანჯვის…..უკვე ყველაფერში ეჭვი ეპარებოდათ…იმაშიც კი რომ ერთმანეთი ნიკას და ელენეს უყვარდათ…..არ იყვნენ ამ ყველაფერში დარწმუნებული…მხოლოდ ნაწილობრივ….ბოლო პერიოდის ნიკა სულ უფრო და უფრო შორდებოდა თავდაპირველს….დრო კი არ ამშვიდებდა ამხეცებდა, აკარგინებდა აზროვნების უნარს….საერთოდ ერღვეოდა საქციელის საზღვრები უკვე ბელთაური გრძნობდა რომ ცოტაც და მხეცად იქცეოდა, ან უკვე იყო….ჩაკეტილი ცხოვრება მასზე წარმოუდგენლად მიაჩნდა…..ყველაფერი რომ წარმოედგინა ვერ იფიქრებდა ნიკა ოდესმე ესე ჩაკეტილი იცხოვრებდა……მენაბდე კი მძიმდებოდა,მძიმდებოდა მისი ხასიათიც…უხეში უკვე ყველას მიმართ იყო ზედმეტად…..თამაზთანაც კი არ იკავებდა თავს….უბრალო ქუჩაში გამვლელსაც კი შეიძლება გამოყოლოდა სრულიად არაფერზე და ეჩხუბა….ეს ალბათ ჩვეულებრივია ზოგისთვის…ნიკას ასეთად ქცევა კი ძალიან, ზედმეტად საგანგაშო იყო…..ელენეზე სიტყვის თქმასაც კი არ აბედინებდა….მაშინვე ყვიროდა…..წაშლილი სახე კიდევ უფრო ებინდებოდა…..ბრაზი უფრო იზრდებოდა…იზრდებოდა რადგან იზრდებოდა დროც რომლის განმავლობაშიც უბედურები იყვნენ, უკვე ამ წლების გადაყლაპვაც უჭირდა, უჭირდა საკუთარი საქციელის გადატანა…..წარმოდგენა როგორი იყო აგიჟებდა…..სურათში საკუთარი თავის დანახვაც კი ჭკუიდან გადაყვანის საფუძველი იყო…..ვერ ცნობდა თავს, ვერ ცნობდა იმ ქონით გატენილ ხელებს მას რომ ეკუთვნოდა, ვერ ცნობდა სხეულის და სულის სიმძიმეს და ეს ოდნავადაც არ აფიქრებინებდა ყველაფერი შეეცვალა…პირიქით უნდოდა ინერციით რამეს დაჯახებოდა, ზნეობრივად რამეს შემსკდარიყო, რომ ის სინანული მაინც ეგრძნო….ოდნავადაც ვერ გრძნობდა, ვერ გრძნობდა სინანულს, რადგან ასეთი იყო…..ამპარტავანი….ჯიუტი……რაღაც არაადამიანურად უჭირდა პატიება……თვითონ არასოდეს იწყებდა, მაგრამ ასრულებდა საშინლად…..ვერ ერკვეოდა რა ხდებოდა…ვერ აანალიზებდა, რომ ყველა დღეს ჰკარგავდა……ვეღარც იმას გრძნობდა, რომ უყვარდა….მარტო იცოდა, რომ ასე იყო..იცოდა ერთი კვირაც, რომ არ ენახა ენატრებოდა….ეჩვენებოდა ქუჩაში მისი თმა..მისი მოძრაობა…..საშინლად უნდებოდა თვალებში ჩაეხედა…გაგიჟდებოდა რომ ვერ დაენახა..მისი თვალები რომ ვერ ენახა და უნდა დარწმუნებულიყო რომ ელენეს ისევ უყვარდა……გონებაში ყველაფერს იმისთვის აკეთებდა, რომ ცოლს შეძულებოდა..მერე თვითონაც არ გაუჭირდებოდა, მაგრამ სულ შიშით უყურებდა მის თვალებს, სულ მოლოდინით..გილიოტინაზე მიმავალივით ჩახედავდა თვალებში და სულ მშვიდდებოდა, ყოველთვის…არაადამიანური ბრაზი ედგა ცოლს თვალებში, მაგრამ ეს აღარ აინტერესებდა…უყვარდა…სულ უყვარდა და აყეფებული სული მშვიდდებოდა….ბოლოს უკვე ფიქრობდა, რომ გაგიჟდებოდა…ყოველდღე აგიჟებდა ის შეგრძნებები, ყოველდღე ეხებოდა ცოლის სხეულს უხეშად..ელენე ყველა შესაძლებლობით იგერიებდა გარდა სახლიდან წასვლისა….არასოდეს მიუცია საშუალება ეფიქრა რომ მისთვის სულერთი იყო როგორ შეეხებოდა, როგორ მოექცეოდა…არასოდეს მიუცია ამის უფლება…..როცა ვერ ყვიროდა…ხმადაბლა ელაპარაკებოდა….სახეში ხელს ურტავდა…იგერიებდა როგორც შეეძლო…ვერც ეერთხელ ვერ გატეხა…..ვერაფრით დაიმორჩილა…..ელენე ყველაზე ახლოს ყავდა და გრძნობდა არ ეკუთვნოდა…გრძნობდა ასეთს არ ეკუთვნოდა…..გაგიჟებამდე მისული იყო, რომ ნაკლს ვერ პოულობდა ვერაფრით…ეძებდა, იკვლევდა….მაგრამ მისთვის იდეალურად

იქცა იმ წლებში, მისთვის იყო იდეალური….მხოლოდ ახლა..მხოლოდ წლების შემდეგ….აცახცახებული, განადგურებული ელენე იატაკზე იჯდა და კედელთან მოკუნტულიყო..მორიგი სიმთრალე, მორიგი უხეშობა……

-არ გაბედო…..ნიკა რა გინდა..ამ ყველაფერს რატომ……

-მინდა რომ რაც შიგნით მაქვს აღარ მქონდეს…მინდა შენზე არ ვბრაზობდე…მაგრამ არ შემიძლია…….ვერაფრით ვივიწყებ…ვერაფრით გპატიობ იმ წამებს…..

-ეგ შენი პრობლემაა….საკუთარ თავს ტანჯავ…

-შენც გტანჯავ…..გაბრწყინებული თვალებით შეხედა…..

-მეც მტანჯავ….ძალიან….

-მიხარია…..

-არ გეტყობა ნიკა…..გეფიცები მინდა რამეში გეხმარებოდე…ვერ ვახერხებ……იმითაც ვერ გეხმარები, რომ მტანჯავ…….ელენე მიუახლოვდა კისერზე ხელები ჩამოადო.

-არ შემეხო…..

-ნიკა ესე ვეღარ გაგრძელდება…..

-წადი!

-ვერ წავალ…….ესე ვერ…

-იცოდე ოდნავ მაინც რომ შეგეცოდო….

-ვერ დაგტოვებ…მე არ შემიძლია, გინდა სინდისის ქენჯნა დაარქვი გინდა მაზოხიზმი…მე ჩემი ნებით არასოდეს გაგეყრები….თუ დავშორდებით ეს შენი გადაწყვეტილება იქნება…..

-ხელები ჩაწიე…თვალები დახუჭული ჰქონდა და ისე უთხრა…..ასეთ დროს ყველაზე მეტად გრძნობდა ელენე, როგორ უყვარდა ნიკას…..დიდ ხანს ვეღარ ტანჯავდა და გამოეცლებოდა….

-ახლა რატომ ხარ ისეთი…..ზუსტად ისეთი ელენე, როგორიც წარმომედგინე….ახლა რატომ…..ზოგჯერ მგონა ამას სპეციალურად აკეთებ…..ძალიან შეიცვალე….მხრებში მოხრილმა თავისთვის ჩაილაპარაკა….

-ძალიან მინდა კარგად იყო….

-ესე იქნება ყოველთვის…..ხმადაბლა თქვა მანებდემ დაა აბაზანისკენ წავიდა…..

….

მისმა ასოციალურობამ, გადაგვარებამ შეარყია…ვერაფრით ეგუებოდა. ბევრჯერ იჩხუბეს…მათე არაფერს უთმობდა….უკვე არც ნიკა….ეუხეშებოდა…..აგდებულად პასუხობდა ან საერთოდ არ პასუხობდა…..ამ ამბიდან სამი წლს მერე მათემ ყველაფერი გააკეთა, რომ ნიკა პარიზში წასულიყო…დიპლომი უნდა აეღო….მენაბდეს ახლა დიპლომი ალბათ ყველაზე ნაკლებად ადარდებდა, მაგრამ იგრძნო, რომ მათე გააფრენდა…გაგიჟდებოდა….თან არეული მდგომარეობა იყო სახლში და რაღაც მომენტში იფიქრა უკეთესი იყოო…..პარიზში ჩასვლლა არ გამარტივებია…..უფრო ეტკინა….წონის სიმძიმეც და სულისაც ერთიანად ჩამოეკიდა დამტვრეულ ფეხზე….უნივერსტეტში არეულად მიდიოდა…..ხან როდის ხან როდის….მათეს მისთვის ამ დროის მანძილზე აკადემიური ჰქონდა აღებული ისე რომ ნიკამაც არ იცოდა რაზე აწერინებდა ხელს…..იქ რამდენჯერმე დრამანის ნახვა გაიფიქრა……მერე გადაიფიქრა….მერყეობდა საშინლად…რაც არ უნდა ყოფილიყო, როგორც არ უნდა ნდომებოდა ყველას ჩამოშორებოდა ვინც თამაშობდა დრამანი ენატრებოდა…..მართლა გულით უნდოდა მისი ნახვა, მაგრამ მაინც „აჯობა“ საკუთარ თავს და არ ნახა…..დრამანს მათემ უთხრა ნიკაზე და ის გახარებული წავიდა უნივერსტეტში….მენაბდეს არ შეუხედავს….მანქანისკენ წავიდა…

-ნიკა…მოიცადე…..

-გამარჯობა…ნახვამდის მეჩქარება….

-რა გჭირს ნიკა..რატომ არ მელაპარაკები?…თბილისში რამდენჯერმე ჩამოვედი…გირეკავ გწერ..რა გჭირს…..ნიკამ სპორტული ტანსაცმელი…კლუბის ახალი ფორმა ვერ აპატია მასთან შეხვედრისას რომ ეცვა…დრამანს არც უფიქრია, ამით თუ გულს დაწყვეტდა….ნიკასაც არ უფიქრია, რომ დრამანმა სპეციალურად გააკეთა, ამისთვის საკმარისად კარგად იცნობდა..იცოდა რა სუფთა იყო მისი მეგობარი…მაგრამ მაინც ვერ აპატია…ისედაც არ აპირებდა დალაპარაკებას, მაგრამ მერე უფრო გაუჭირდა…სწორედ ისე იყო მოწყობილი მენაბდის გონება, რომ დეტალებს ზედმეტად მეტ ყურადღებას ანიჭებდა, სწორედ მაშინ იფიქრა, რომ დრამანსაც უნდა ეფიქრა ამაზე……არაფერი დაუშავებია, მაგრამ არც არაფერი გააკეთა, რომ არ დაეთრგუნა, უფრო არ დაეთრგუნა…..ზოგჯერ ეს ყველაფერია, ზოგჯერ მეგობრებისთვის არ ვაკეთებთ ცუდს…..აზრათაც არ მოგვდის, რომ შეიძლება რამე უნებურად, გულუბრყვილოდ ვაწყენინოთ, თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც უფრო მეტს მოითხოვენ ადამიანებისგან…მცირე ჯგუფისგან , მაგრამ მაინც არის….ეს ის ადმიანები არიან ვისგანაც სულ ოდნავიც გწყინს….სულ ცოტა, ზოგჯერ რომ ვერ გებულობენ, ზოგჯერ გადანაშაულებენ, რომ ადვილად გწყინს, მაგრამ შენ გწყინს და მორჩა…შენც ისე გტანჯავს ის წყენა, როგორც მას….ვერ ერევი..და თუ ადამიანი კარგად გიცნობს…თუ მართლა კარგად, მაშინ პარადოქსია, მაგრამ უნდა გაუხარდეს ესე ადვილად, რომ შეუძლია შენი წყენინება…..ეს მხოლოდ იმას ნიშნავს „ბუტია“ სულის ადამიანებისთვის ზედმეტად ბევრს ნიშნავენ, ბევრს ნიშნავს შენი არც ისე საწყენი საქციელი არ შეიმჩნიოს და გულში ჩაიტოვოს….ასე მერე რაღაცები ცივდება…ასეთ დატოვებას გულში თან არ ახლავს სუფთა გული ერთმანეთის..ის უბრალოდ ასეთი იყო…უბრალოდ ვერ შეიცვლებოდა, მერე არაბუნებრივი იქნებოდა….ნიკა კი ვერ იტანდა, ვერ იტანდა ოდნავ ხინჯსაც კი….ამიტომ ხშირად წყინდა…..წყინდა რადგან მისთვის არ იყვნენ უბრალოდ ადამიანები….

პარიზი იმდენად მშვენიერი იყო, რომ ტკივილი გაუსაძლისად დიდი გახდა…ტკივილი, რომ არ ჰქონდა ძალა ყველაფერი აღექვა…ყველაფერი იმ შეგრძნებებით ჰქონოდა რითაც ცხოვრება დაიწყო……ჩასვლიდან მესამე დღეს უფრო მტანჯავი პერიოდი დაიწყო მის ცხოვრებაში ვიდრე ოდესმე….გქონიათ შემთხვევა, როცა სულში არაფერია? გონია ცარიელი ხარ..მთლიანად…..ქალაქში სადაც ყველაფერი უყვარდა აღარაფერი იყო ნაცნობი…..ეგონა ლაბირინთში იყო და გამოხწევას ვერ ახერხებდა…გონება დანაღმულ ტერიტორიებს უახლოვდებოდა…….მიიპარებოდა, ნელ ნელა……მიდიოდა იმ შეგრძნებამდე რასაც გონება მონატრებას არქმევს…ისე კი..ისე არ ვიცი რა ჰქვია……სურვილი, რომ ნახო? ძალიან მარტივია, მენაბდე უფრო ღრმას გრძნობდა…ღრმას რადგან მისი ნახვა არა დანახვაც არ უნდოდა…..მაგრამ ენატრებოდა…..როცა ადამიანი შენს სულს აკლია?……..როცა უბრალოდ არ არის დრო როცა მასზე არ ფიქრობ….ალბათ ეს ჭირდა….მეორე კვირა მთლიანად ელენეთი იყო…..სიმწრისგან ტიროდა ცხვენოდა, მაგრამ…..მთელი ღამე იჯდა სასმელთან ერთად…..სასოწარკვეთამდე უნდოდა ფიქრის უნარი არ ჰქონოდა….არ დაფიქრებულიყო…არ შეძლებოდა ასე განეცადა რაღაცები…..გაანალიზება იმის, რომ მის გარეშე ყველაფერი უფრო ბნელი იყო არ ათმობინებდა მეორე ბოთლ კონიაკს……ტელეფონს ხელში ატრიალებდა…..უბრალოდ უნდოდა ხმა გაეგონა……მისი ნათქვამი რამე გაეგონა…უბრალოდ უნდოდა…საშინლად ჩაებღუჭა სურვილი…ვერაფრით გადაათქმევინა თავს…ვერც სასმელმა „აურია გონება“ ნომერი აკრიფა და მიხვდა, რომ ხელი უკანკალებდა…..

-გისმენ! უხეშად აიღო ელენემ ტელეფონი….. ნიკამ იგრძნო წამოსვლისას დამტვრეული ნივთების საფასური იყო ეს ხმა….. ხმა არ ამოუღია რამდენიმე წამი…..დემეტრეს ამბებს დედამისისგან გებულობდა…..სასმელს ისე ჰქონდა არეული გონება უბილეთობა, რომ არა შეიძლებოდა იმ დღესვე დაბრუნებულიყო სახლში…..ნიკა დუმილს აგრძელებდა……რამდენიმ ეყლუპი მოსვა და მერე ჭიქა ხელიდან გაუვარდა…

-რა მოხდა ნიკა? ხმაურზე ელენეს სახეც და ხმაც ეცვალა……

-ის შოკოლადების მაღაზია ჩვენი სახლის გვერძე, რომ იყო გააუქმეს და სხვა რაღაც გახსნეს…. ელენე დემეტრეს საწოლს დაეყრდნო და შემდეგ იატაკზე ჩამოჯდა….ჩახლეწილი და დათრგუნული ქმრის ხმა ჯიუტად აგრძნობინებდა, რომ არაფერი იყო მისთვის სულ ერთი, თავადაც აწვალებდა სახლში ყვირილი, უხეშობა, დამტვრეული სურათის ჩარჩოები….ჭიქები…..ერთმანეთისთვის ადრე გაკეთებული წარწერებით…არ იყო სულ ერთი, რომ ელენეს შოკოლადები უყვარდა, ზუსტად იმ მაღაზიის მათი სახლის გვერდით რომ იყო, არც ის იყო სულ ერთი ელენემ, რომ გაიაზრა მათ სახლთან იყო ნიკა…..დააკვირდა მაღაზიას, ალბათ გაიფიქრა, რომ საჩუქრად წაეღო…არ იყო სულ ერთი, სულ ერთი, რომ არ იყვნენ ერთმანეთისთვის……

-არ ვიცოდი…..თითქმის უხმო იყო მისი სიტყვები…..ნიკა უსმენდა….ხმას და არა სიტყვებს…..ვერც კი გაიგო რა უთხრა…მის ხმას ისმენდა და მას წარმოიდგენდა……

-ნიკა მეჩქარება….თუ რამე ისეთი არ გინდა გავთიშავ…..ბოლოს მაინც დაიბრუნა გამტყდარი საყვედური ელენეს ხმამ…….ნიკამ ისევ არაფერი უპასუხა..მეორე ჭიქა აეღო და ღიმილით მოსვა…

-ნიკა წავედი…..ელენეს მოუთმენლობა დაეტყო ხმაში…..

-როგორც გინდა…..ამოიხრიალა მენაბდემ…….

…..

კაბინეტში იყო წერილი, რომ მოუვიდა…მშვიდად გახსნა…..ოდნავ დაიბნა….მონპელიეს ადგილობრივ კლუბში სთავაზობდნენ მწვრთნელის ასისტენტობას…..ფურცელი დიდ ხანს ატრიალა ხელში, მერე უჯრაში ჩადო და ყიფიანთან ჩავიდა…..

ლევანი მშვიდად მუშაობდა….უკვე შეჩვეოდა მძიმე შრომას……ნიკა სასხვათაშორისოდ შევიდა საშხაპეებში……

-როგორ ხარ?

-მადლობა…გაუღიმა ლევანმა…თქვენ?

-რატომ ცდები? ლევანმა ნერწყვი ძლივს გადაყლაპა….მთელი დღე მუშაობდა და კიდევ იმას ეუბნებოდა, რომ ცდებოდა….

-დღეს რაც მოვედი ვმუშაობ….ხმადაბლა ჩაილაპარაკა…

-მეც მაგას გეუბნები….არავის დაუძალებია ასე იმუშავო…მართლა არ მინდა არასრულწლოვანის ექსპლუატაციაში დამდონ ბრალი…თან ჩემს სულს ეს აკლია და ეგაა ჯოჯოხეთი გარანტირებული მაქვს…..ცდილობდა ეხუმრა, რომ უფრო მეტად გულახდილი გამხდარიყო ლევანი…..

-არა თქვენ…უბრალოდ ესე მირჩევნია…

-რატომ ცდები მეთქი, არ ვიცი რა გირჩევნია…..ახლა ვარჯიში აქვთ შენი ასაკის ჯგუფს….

-მე..მე…ლევანს თვალები გაუფართოვდა….

-შენ უნდა ითამაშო! თუ ეს გინდა რა თქმა უნდა…..

ლევანს თითქმის არაფერი გამორჩეული მონაცემი არ ჰქონდა….თითქმის არა საერთოდ არაფერი გამორჩეული, მაგრამ ჰქონდა ყველაფერი ცოტათი……მწვრთნელებს არ ესმოდა რატომ იყო ესე დაჟინებით ნიკა, რომ ეთამაშა…რას ხედავდა….მენაბდე კი ზოგჯერ აღფრთოვანებას ვერ მალავდა მისი თამაშით….

-სად დაარტყა…ჯანდაბა….გაეცინა თამაზს……ყიფიანის დარტყმული, რომ დაინახა საჯარიმოს მისადგომებიდან…..

-გაჩუმდი…

-აი რამოსი ამასთან არაფერია რა…..

-რა გინდა ბელთაური მაცალე ვუყურო…..დაეღრიჯა ნიკა…

-მოიცა შენ არ გაქვს ნანახი რამოსის თერთმეტმეტრიანი? აი ის კოსმოსში, რომ დაარტყა…….

-ოდნავ არ ვაპირებ აგყვე…..უბრალოდ საოცრად თამაშობს….

-ნუ ხარ ტენდენციური რა ამ რეალის მიმართ….

-რეალი რა შუაშია ყიფიანზე ვამბობ…

-ვინ? ეს ? ეს თამაშობს საოცრად? შენ სიტყვა საოცარის დეფინიცია ბოლოს როდის წაიკითხე….

-მართლა მაგარია თამაზ უბრალოდ დააკვირდი…

-ვაკვირდები და ლამისაა შოკი მივიღო სად დაარტყა…
-მანამდე….მანამდე დაინახე, როგორ მოძრაობს…..

-მოიცა მართლა ამბობ თუ მეკაიფები? გულწრფელად ეკითხებოდა თამაზი….. ნიკამ დემეტრეს ხელი გადახვია და შუბლზე აკოცა……ნაღვლიანი ღიმილით ამოხედა მამამის….

-მართლა ვამბობ….ძალიან ჭკვიანია…..დააკვირდი როგორ იხსნება…ფიქრობს გესმის…ძალიან ბევრს ფიქრობს….დარტყმას უშველი…გამოასწორებს და აი იმას კი ვერაფრით ასწავლი როგორ იფიქროს…..ყიფიანი ძალიან აკადემიური ფეხბურთელი იქნება….დინჯი……

-ხო კარგი…..არ გისმენ……ბელთაური სკამში გადაწვა და ხელები კისერზე შემოიდო…….

-დემნა წყალი დღეს დილით დალიე? ნიკამ ნატკენ ფეხზე ხელი დაადო…..

-კი….ცუდი დასალევია, მაგრამ სულ ვსვავ….

-ის უნდა აკეთო რაც ძნელია….ჯანმრთელობა ეგაა……გერმანიაში იყვნენ გამოკვლევებზე…..ნიკასთვის ყველაფერი, ყველა დეტალი საშინლად მნიშვნელოვანი იყო რაც დემეტრეს ფეხს და მის მდგომარეობას ეხებოდა…..

-რატომ არის ყიფიანი დაცვაში? მემგონი პოზიცია არასწორად აქვს…..

-ხო საერთოდ ვერ თამაშობს იქ……სად უნდა იყოს შენი აზრით…..გამომცდელად შეხედა შვილს…….დემეტრეს გაეღიმა მიუხვდა მამამის…..

-ფორვარდი……ფორვარდი არაა……ხმამაღლა სიცილი ძლივს შეიკავა, დემეტრემ აგრძნობინა რომ მიხვდა ნიკა მისგან ამ პასუხს ელოდა…..

-ცენტრში! ცენტრში უნდა იყოს…..

-ვაააა დემნა….ცერა თითით ანიშნა…

-მიყვარს ასე რომ მეძახი……შესცინა მამამისს..

-მეც……

სულ ერთად იყვნენ……რაც კი დააკლდა იმ წლებში დემეტრეს, მამა აღარ შორდებოდა გვერდიდან……თავიდან მორიდება ძალიან დიდი ჰქონდა…ისეთი მორიდება სრულიად უცხო ადამიანებთან რომ გვიჩნდება…მერე უფრო თავისუფლად იყო…..მამამისთან თავს უცნაურად ძლიერად გრძნობდა…გრძნობდა თავდაჯერებულობას…გრძნობდა საკუთარ უპირატესობებს…..

ზამთრის სითეთრე უკვე ძვლებში ატანდა…..ტასუნამ მარტო ის იცოდა, რომ თოვლთან ერთად ახალი წელი მოდიოდა….სიგიჟემდე უხაროდა….მაგრამ ყოველ წელს ცოტათი იკლებდა ეს სიხარული წინა წელთან შედარებით…..

…….

ლიკას გაეყარა…..პირველი მაიამ გააგებინა…ელენემ სწრაფად წაშალა წერილი თითქოს ეშინოდა ვინმეს არ ენახა…..სხვა დროს არ მივიდოდა ესე მალე, მაგრამ ყოველი დღე ზედმეტად ეძვირფასებოდა…..

…….

ანასტასია და დემეტრე სახლში მიიყვანა…..არც ეტყობოდა, რომ წასვლას აპირებდა….საღამოს ათი იყო და ნიკა მშვიდად იჯდა…..ელენე წინ და უკან დადიოდა…ხან რას აკეთებდა ხან რას….ნიკა ჯერ დემეტრესთან ლაპარაკობდა…მერე ტასუნამ ვეღარ მოითმინა და კალთაში ჩაუხტა….ისე უსმენდა ორივეს თითქოს რამე ესმოდა ფეხბურთის…..რამდენიმე თამაშს ერთად უყურეს….ანასტასიას უხაროდა ისინი რომ იცინოდნენ…ისე იყო თითქოს მართლა რამე ესმოდა, ან აინტერესებდა ვინ მოიგებდა…..ელენე წვენით ხელში შევიდა მათ ოთახში სასაცილო დასანახები იყვნენ…დემეტრე და ნიკა მართლა დაინტერესებულები….ანასტასია თვალებდაჭყეტილი უყურებდა თამაშს..აშკარად ეტყობოდა ეძინებოდა, მაგრამ რომ არ უნდოდა დაქაჩული თვალები ამტკიცებდა….ნიკას და დემეტრეს შუაში იყო, თავი მუხლებზე ედო და თითებს ათამაშებდა…..

-რისი წვენია დე? დემეტრე აჟიტირებული იყო დაძაბული მომენტით და თან წვენი უნდოდა საშინლად…

-ანანასის….ტასუნა ხომ არ წამოხვალ გეძინება…ხვალე ადრე ხარ ასადგომი….. ანასტასიამ თვალები უფრო დაქაჩა და შეძლებისდაგვაად ფხიზლად თქვა..

-არა დე, მაინტერესებს…..სამივეს გაეცინა……

-აქ ჩვენ გვაქვს ადგილი….ნიკამ ხელით ანიშნა….თუ გინდა შეგიძლია ჩვენთან ერთად უყურო……ელენემ ნერწყვი ძლივს გადაყლაპა…..

-არა ახლა საქმე მაქვს……ელენე სწრაფად გატრიალდა….ნიკას აღარაფერი გაუგია რაც ტელევიზორში ჩანდა…..დემეტრესაც და ტასოსაც ჩაეძინა….ფეხაკრეფით გავიდა…..ელენე ჭურჭელს რეცხავდა….. მიუახლოვდა და გვერდით დაუდგა……

-არ ვიცი ამ დროს რა უნდა ვთქვა…არ ვიცი მომწონს თუ არა რასაც ვამბობ, მაგრამ მინდა რომ ვთქვა……

-რაზე ამბობ ნიკა….ელენეს ხმა გაუწყდა და ცრემლები წამოუვიდა…

-არ მინდა წასვლა…….ელენემ ონკანი დაკეტა……სველი, აკანკალებული ხელები სახეზე ფრთხილად მიადო……

-ნუ წახვალ…..ნურასოდეს……თავი მის კისეში ჩარგო და დიდ ხანს სუნთქავდა მის ჰაერს……იმ ოთახში სადაც ბევრი ცუდი მოგონება იყო იმ წამების გარდა არაფერი არსებობდა…..რეალურად არაფერი…..მონატრებული შეხება….ნაქურდალი სიახლოვის განცდა….ნიკა მის თმას ეფერებოდა….ორივე ფეხზე იდგა ზოგჯერ ეცინებოდათ…მერე თვალებში უყურებდნენ ერთმანეთს…..ერთმანეთის ნაკვთებს აკვირდებოდნენ…თითქოს ამოწმებდნენ ხომ ყველაფერი ძველებურად იყო…..

-მომენატრე….გაუღიმა და ცხვირზე აკოცა…..რომ მიიხუტა იგრძნო ელენეს გული როგორი აჩქარებული ჰქონდა…..თვითონაც, თავისი ხმაც ესმოდა…..

-მეც…..ელენემ თითებზე აკოცა…..ანასტასიას ხმა გაიგეს და პატარა დაუკითხავად შევარდა ოთახში ფეხშველი ფეხებით…..სწრაფად მოშორდნენ ერთმანეთს……ანასტასიამ, რომ მამა დაინახა თვალები გაუფართოვდა, რომ არ წასულა და იქ იყო…ბედნიერებისგან გამოფხიზლდა….

-რაო ტასო? ელენემ ხელში აიყვანა….

-დედიკო ცუდი სიზმარი ვნახე……

-აქ გინდა ძილი დე?

-ხოოო….დაიმორცხვა თითქოს….ნიკამ თვალები აატრიალა და გაეცინა….ანასტასიას თითქმის უკვე ეძინა, ელენეს თავი დაადო და კისერზე პატარა ხელები მოხვია….

-მე წავალ…..ჩურჩულით თქვა ნიკამ…….

-რატო? ნიკა არ წავხიდე რა…..თან უკვე გვიანია…..

-დარჩი მამიკო…..მობლეტილი თვალებით უთხრა და მის ხელში გადავიდა….თითქმის არ ეძინათ…..ანასტასია მიხუტებული ჰყავდა…..ელემეს თმაში ხელები რამდენჯერმე აებურდა…..

-რაზე ფიქრობ?…ჩურჩულით ჰკითხა ელენემ…..

-არ ვფიქრობ…გაუღიმე ნიკამ…..მხოლოდ ვგრძნობ, რომ სახლში ვარ……ელენემ ხელზე აკოცა……

-შენ რაზე ფიქრობ?

-ყველაფერზე……ვერ ვიჯერებ, რომ აქ ხარ და შენთან ყოფნა მეკუთვნის…..

-ჩემთან ყოფნა აუტანელი იყო, მაგრამ სულ გეკუთვნოდა..

-არა, ლიკას გამო არა…..ხმაზე მოწყენა დაეტყო…..

-ლიკა სანამ შენ გაგიცნობდი მაშინ ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადამიანი იყო….

-ამდენი ხანია იცნობ?

-ხო, ოცის ვიყავი, რომ გავიცანი…..

-გიყვარდა?

-პროფილურ კითხვებს არ ვართ…….გაეცინა ნიკას და ფეხით შეეხო…..-რა გაყინული გაქვს ელენე ფეხები……

-არ მცივა….მშვიდად ჩაილაპარაკა ელენემ….ნიკამ შეატყო როგორ ცუდ ხასიათზე დაა ყენა მისმა გაუცემელმა პასუხმა….

-ელენე არ მყვარებია….არც მგონებია, რომ მიყვარდა…..სულ ვიცოდი, რომ არ შეიძლება მყვარებოდა…….მერე შენ გამოჩნდი….და მერე არაფერი იყო ჩვეულებრივად……..

-ცოლობა მსოფლიოში ყველაზე ლამაზად მთხოვე…….არ მითქვამს, მაგრამ მაშინ ისე მომაქციე ზეგავლენის ქვეშ მეშინოდა ჩემი ფიქრების…..

-მეორედ მაქვს სათხოვნელი……ამას ვერ წარმოვიდგენდი…..

-მე ვერ წარმოვიდგენდი ორჯერ თუ გავთხოვდებოდი……რატომღაც სულ ის განცდა მქონდა, რომ მხოლოდ ერთხელ ვიტყოდი „დიახ“

-მე მესამედ უნდა ვთქვა….საოცარად საშინელი იქნებოდა ახლა ის მესამე შენ რომ არ კეკუთვნოდეს……ისე გაეცინა საკუთარ თავს დასცინა…..

…….

ორივე სკოლაში მიიყვანეს…..ნიკამ მშვიდად დაიწყო……

-ელენე…..ხომ იცი რაც არ უნდა იყოს….შეგიძლია…

-ვიცი ნიკა….გააწყვეტინა ელენემ…

-მინდა ერთმანეთს გვერძე ვიდგეთ, გვჯეროდეს რომ ყველაფერი კარგად იქნება…

-ყველაფერი კარგად იქნება……

-ელენე ეს დაავადება….ნიკას თვალები ჩაუწითლდა…

-ნიკა გთხოვ….ელენემ გაუღიმა……გარეთ ციოდა….მანქნაიდან ორივე გადავიდა და გზას ფეხით დაუყვნენ….ელენემ ნიკას ხელები ტუჩებთან მიიტანა და ჰაერით ცდილობდა გაეთბო…..

-არაფერია შეუძლებელი……

-ხო ნიკა…..ყველაფერს გავაკეთებთ…..

-მთავარია ერთად ვიყოთ..დაავადებები იკურნებიან მედიცინა ისე წინ მიდის…..

-ჩემთვის ესაა მთავარი…შენთან ყოფნა…….ელენე გაუბედავად შეეხო მის ტუჩებს…..საშინლად რომ მონატრებოდა…..რომ არ ეთმობოდა……

-უშენოდ არაფერი არ მინდა…..

-არც მე……მთელი ძალით მოხვია წელზე ხელები და მის თმაში სახე ჩარგო….

-ის შიში რომ შეიძლება დაგკარგო გეფიცები……არ ვიცი, მგონია ჭკუიდან გადავალ….

-რატომ უნდა დამკარგო? ელენემ გაოცებით შეხედა….

……

-არ ვიცი რა გავაკეთო….უკვე ყველაფერი ზღვარს გადადის…ელენე საშინელ დღეში იყო….სიმწრით ტიროდა…სახლში ყველაფერი დალეწილია…ეტყობა ნიკამ საშინლად იჩხუბა….ბავშვები უკვე არ ვიცი ისე იტანჯებიან..ასე აღარ შეიძლება..დაელაპარაკე რა ნიკას..

-რა აზრი აქვს მაია…ხომ იცნობ რა…თამაზმა ნერწყვი მძიმედ გადაყლაპა და წვენი მოსვა…

-ასე ვიყოთ? ესე უუნაროდ?

-ნიკა ეყრება და დაისვენებენ…იმ დღეს წამოცდა მთვრალი იყო საშინლად….

-რა? რას ნიშნავს ეყრება? მომისმინე რამე უნდა გავაკეთოთ..

-რა უნდა გავაკეთოთ დაიტანჯა ელენე…ახლა ცოტას ამოისუნთქებენ..იმედია მალე გაშორდება….

-არა თააზო ესე არა…შენ არ იცი როგორ უყვარს ნიკას….შენ მართლა არ იცი…

-არ უყვარს…დამიჯერე არ უყვარს, ისე ცივად ლაპარაკობს, უფრო სწორად არ ლაპარაკობს…..ხსენებაც არ უნდა, თავს დამნაშავედაც კი არ გრძნობს…

-განა შენი მეგობარი არაა? თამაზ რა გჭირს…მომისმინე ახლა გამოვალ სახლიდან ნახევარსაათში ხილიანზე შეგხვდები სადმე დავსხდეთ უნდა ვილაპარაკოთ…..

-კარგი მაიკო, მაგრამ მემგონი ჩვენი ჩარევა რაღაც აბსურდულია…

-ნახევარ საათში არ დააგვიანო!!!!

…..

ისე მძიმედ გადააგორა პირველი თვე რაც სახლიდან წავიდა….სუნთქვაც ეძნელებოდა….მეტჯერ აღარ დაურეკავს…….აღარც იმდენი დაულევია რომ საკუთარი თავისთვის წინააღმდეგობა ვერ გაეწია….. წასასვლელი არსად ჰქონდა…ქალაქში სადაც ყველაზე ბედნიერი პერიოდი ჰქონდა…ვერსად მიდიოდა….ყველგან ჯერ ტკიოდა, მერე ბრაზდებოდა..მერე ისევ ტკიოდა საკუთარი ცხოვრება……სახლში ვერ მივიდა!!!!!უკვე მერამდენედ იყო სუსტი…მაგრამ ვერაფრით მივიდა სახლში საიდანაც სიცილით გამოვიდნენ…..დემეტრე ხელში ეჭირა…მეორე ხელით ბარგი…..ელენე კარებს კეტავდა…მოუსვენრად კოცნიდა კისერში..ელენე თითქოს უჯავრებოდა…მაგრამ საყვარლად…..

-ვერ ვკეტავ ნიკა..ორი წუთი…..

-რა საყვარელი რაღაც გაცვია ვინ გიყიდა? აწკიპა წარბები ნიკამ და გაბერილ მუცელზე აკოცა…..

-ნეტა ვინ მიყიდა? ელენემ კარი დაკეტა და ნიკას მხარზე აკოცა….მძინარე დემეტრეს პატარა ხელები მამამისის კისერზე ჰქონდა შემოწყობილი…..ნაქსოვი ქუდი ეფარა…ტყავის სასაცილო ქურთუკი და ნიკას ნაყიდი ბაჩია კედები…..

-შენ ნერვიულობ……ელენემ დემეტრე მიიწვინა….ნიკამ ღიმილით დაქოქა მანქანა….

-ალბათ კი…..

-არ ვიცი ასეთ დროს რას ეუბნებიან…..

-ალბათ არაფერს……ნიკამ თმა ყურთან გადაუწია…..

-ძალიან ბევრი გააკეთეთ და ამ თამაშში ბევრი რამ გადაწყდება…თქვენი გასვლა, წამომიდგენია რა ამბავია თბილისში….შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე იქნება ეს თამაში……ჩემდაუნებურად ჩემთვისაც…..არ ვიცი რა გითხრა, უბრალოდ მგონია ყველაფერს შენსავით განვიცდი, შენსავით მინდა გასვლა, შენსავით მინდა ნაკრების დროშის ქვეშ ვიდგე…..ისიც ვიცი თუ ისე არ გამოვიდა ყველაფერი არაადამიანურად დაგწყდება გული, მაგრამ მაინც მე დამამშვიდებ…..ზოგჯერ მინდა საშინლად უკეთესი ვიყო, რომ ჩემი იმედი უფრო გქონდეს…..

-ელენე შენი იმედი ყოველთვის მაქვს კი არა….შენ რომ ხარ ესაა ჩემი იმედი…შენ არ იცი…..შენ ჯერ კიდევ არ იცი როგორი ბედნიერები ვიქნებით….შენ არ იცი ჩემთვის ჩემი ჯერ კიდევ პატარა ოჯახი რამდენია…..არ იცი როგორ მინდა მე შენს ცხოვრებაში მხოლოდ კარგის გასახსენებელი ვიყო…ისე როგორც შენ ხარ…..შენ არ იცი ჩემთვის რამდენი ხარ…..რაც ერთად ვართ მგონია ჩემი შესაძლებლობები გაათმაგდა, მგონია ყველაფერს ერთმანეთისთვის ვაკეთებთ….არ იცი რამხელა შვებაა, როცა გენდობი…..არაფერზე ვეჭვიანობ, არაფერი მაღელვებს…..არ იცი სახლში მოსვლა როგორ მამშვიდებს….მთელი დღე რომ ყველაფერმა გადამიაროს გაფიქრება, რომ სახლში მოვალ…დემეტრე რომ დამინახავს და თვალები გაუბრწყინდება…შენი სულ უფრო წამოზრდილი მუცელი…..ბედნიერება ძვლებშც კი ჟონავს…..შენ საოცარი ცოლი ხარ! ელენეს თვალები აუცრემლიანდა…..

-არ ვიცი რამე თუ არის ჩემში საოცარი, მაგრამ თუ არის მხოლოდ იმის გამო რომ შენ ხარ ასეთი…….მიყვარხარ……..ამპარტავანიც კი გავხდი….მგონია ყველაზე ბედნიერი ვარ……

-ბედნიერება სუბიექტური აღქმაა რეალობის..მეც ბედნიერი ვარ…ძალიან…..დემეტრე, რომ იზრდება მგონია წლები არ გვაკლდება…..ახლა მეორეც…ნიკამ მუცელზე ხელი მოუსვა და მალევე აიღო მოსახვევი იყო……

-წლები არ გვაკლდება….ძალიან ბევრი მიზეზი გვექნება ამის…მეორე, მესამე…მეოთხე…..ნიკამ ღიმილით შეხედა…..

-მართლა? არ მინდა ელენე დაგაძალო…..სწავლა, შენთვის ვიცი როგორი მნიშვნელოვანია კარიერა……

-მოვასწრებ…..უფალი აუცილებლად შემაძლებინებს…..იმდენი შვილი გვეყოლება რამდენიც შენ გინდა……ნიკამ მძიმედ გადაყლაპა ნერწყვი…..საშინლად მოუნდა მოხვეოდა…..მერე გაეცინა…მანქანა გააჩერა…

-რა მოხდა?

-რა დებილი ვარ…..აეროპორტის გზას გადავუხვიე…..ელენე ხომ ხედავ როგორ მაბნევ ესე რომ მელაპარაკები უკვე ათი წუთია არასწორად მოვდივარ…..ბელთაური კედელზე გამაკრავს თუ ამ რეისს ვერ მივუსწარი…. ელენეს სიცილი აუტყდა…..ძლივს შეიკავა თავი რომ დემეტრე არ გაეღვიძებინა….

…….

მშვიდი ლიტერატურული კაფე, ქალაქის ცენტრი, ზღვარგადასული სიმყუდროვე…ალბათ აქ..აქ იგეგმებოდა „ყველაზე საშინელი“ ტყუილი…..მშვიდი მუსიკა, ალბათ ჯაზი…..სურნელოვანი ყავა…ალბათ უშაქრო……შოკოლადის, ნუშით და კარამელით ნამცხვარი…

-მე უფრო ადრე მოვედი, გაიცინა თამაზმა….

-როგორ ხარ….?

-მაი მე კარგად, მაგრამ ვერ ვხვდები აზრს….

-მისმინე…უკვე ნიკა ზღვარს გადადის…..სახეს კარგავს…ნიკა მენაბდის სახეს კი არა ადამიანის სახეს……

-ვიცი დამნაშავეა, მაგრამ იცი ბოლომდე ვერ ….არა კი არ ვამართლებ….მაგრამ მესმის…რატომღაც ბელთაურს ხმა გაებზარა……მთელი ცხოვრებაა ვიცნობ…..მთლიანად მთელი ცხოვრება, არ ყოფილა დრო როცა ერთად არ ვიყავით….მე ვიცი როგორი ძლიერია…..მე ვიცი, რომ ყველა ასაკში ძლიერი იყო….ისიც ვიცი რას ნიშნავდა მისთვის ოჯახი და ისიც ვიცი რას ნიშნავს ეს მდგომარეობა მისთვის….

-მეც ვიცი…..

-არ იცი…..მეც არ ვიცი ბოლლომდე….არც არავინ იცის……მისნაირად ამ მდგომარეობას არავინ განიცდის, მისნაირად უბედური ახლა არავინაა.

-გაყრა გამოსავალია? მაიამ წარბები შეკრა….

-ორი დღის წინ სტადიონის შესასვლელთან..იჯდა…..ძალიან ბევრი ჰქონდა დალეული….ყოფილ მწვრთნელს დაუნახავსს და დამირეკა…მაშინ ბევრი ჰქონდა დალეული და ალბათ იმიტომ ილაპარაკა ცოტა მეტი……მითხრა სახლიდან რომ არ წავიდეს გაგიჟდება…..ელენეს უკვე ისე ექცევა, რომ საკუთარი თავი ძულს…..დემეტრესაც და ტასოსთანაც საშინლადაა….თქვა, რომ ანასტასიას უყვირა….ამას ისე ამბობდა…..რომ გენახა……ვიგრძენი, რომ მისთვის წარმოუდგენელი გააკეთა ანასტასიას რომ უყვირა და ამას ისე განიცდიდა…..იმდენად ადანაშაულებდა თავს და იმდენაად უუნარო იყო საკუთარი თავის წინაშე….მითხრა რომ ცოლი მოყავს…. მაიამ სწრაფად მოიშორა ცრემლი…

-რა? რას ამბობ თამაზ, ეგ ხომ არ გადაირია…..

-სხვანაირად არ გამოდის……სხვანაირად გაყრას აზრი არ ექნება…..“ყველა გზას მაინც სალამდე მივყავარო“..

-და ცოლი რას შეცვლის თუ მაინც ელენესთან უნდა ყოფნა და ამას არ აცნობიერებს?

-თავს იბავს…ჩაიღიმა თამაზმა…..რაც არ უნდა მოხდეს იცის ელენე აღარ მიიკარებს თუ ცოლიანი იქნება…..იცის თვითონაც ვერ შეძლებს….ისე მძიმედ იყო…..დემეტრეზე რომ ლაპარაკობდა ხმა დამსხვრეული ჰქონდა…..არაფერი გამოდის, მაინც თამაშობს…ფეხბურთს ვერ ჩამოაშორა და იმდენად ეშინია…..ეშინია დემეტრემაც ოდეესმე ის არ განიცადოს……

-ერთადერთი გამოსავალია! მაიამ გადაჭრით თქვა!

-რა გამოსავალი?

-შეგრძნება, რომ ზღვარზე არიან, ძალიან უნდა შეეშინდეთ…….ძვლების ტკივილიც კი უნდა იგრძნონ ისე ძალიან……სული უნდა ატკივდეთ….მაია გაბრაზებით, ტკივილით და მტკიცედ ლაპარაკობდა…

-ახლა მე ნიკას მეათე სართულიდან გადმოგდების იმიტაციას ვერ მოვუწყობ….

-მიხარია ცოლი რომ არ გყავს, გაუღიმა მაიამ….დატანჯავდი..მერე ღიმილით დააყოლა…..

-გიორგი არც ისე ბედნიერია მემგონი…მაშინვე გადაწვდა ბელთაური….

-სამაგიეროდ ხანდახან არის ბედნიერი და თანაც ხშირად, შენ კი არა…..

-ბედნიერება სუბიექტურია და მე სულაც არ ვუჩივი მის ნაკლებობას…..

-შენ არც იცი რა არის ოჯახი, ამიტომ ვერც იმას მიხვდები რაზე გელაპარაკები…..

-ბავშვების ჩასვრილ პამპერსებს გულისხმობ?

-არამხოლოდ….

-მაიკუნა ხომ იცი მე ის არ ვარ ვინც გინდათ რომ ვიყო….

-აუცილებლად გახდები…ახლა ნუ მაცდენ შენ!!! გაუჯავრდა სასაცილოდ…..

-რა მოიფიქრე….ისე ხარ, რომ აშკარად გეტყობა მომზადებული მოხვედი. თამაზმა ყავა მოსვა და დაიჯღანა……

-არა ყავა კაცების საქმე არაა…..რაღაც ზედმეტად ქალურია…..

-რატომ ვითომ?

-მწარეა!!!!!!!

-ტაში დამჯდარმა დაგიკრა თუ ავდგე?

-როგორც გინდა არ გზღუდავ…..მაგრამ მართლა ვერ ვიტან კაცები, რომ ყავას სვავენ….უბრალოდ შენ გამო შევუკვეთე…

-შეგეძლო სხვა რამ შეგეკვეთა შენთვის თუ ვერ მოიფიქრე?

-ჩემ გონებრივ უნარებს ნუ ეღლაბუცები…..გითმობ უბრალოდ.

-რა კეთილი ხარ, თაზო დამაცადე რა, სერიოზულად ცოტა…..საქმიანად თქვა მაიამ და ნამცხვარი გადაიღო.

-კარგი მითხარი..

-მისმინე, გამოსავალი მართლა ერთია, ნიკას და ელენეს უნდა ეგონოთ, რომ ერთმანეთს კარგავენ….

-ეგ კი არ უნდა ეგონოთ მართლა კარგავენ!!!!! დაკარგვა მეტი არ ვიციი….

-რატომ არ მაცდი? სხვანაირად უნდა ეგონოთ……უნდა მოვიტყუოთ…..

-მე წავალ, გადაიხარხარა თამაზმა…..

-გავბრაზდები იცოდე რანაირად იქცევი! შენ ნიკას ეტყვი, რომ ელენეს კიბო ქავს, მე ელენეს…..თამაზს ცხელი ყავა გადაცდა და მთელი სიმყუდროვე ხველებით დაარღვია….

-რა? აი საიდან მოიგონე ახლა ეგ….

-ეს ერთი გამოსავალია, ესეც ვცადოთ, თუ არაფერი გამოვა ნუ გამოვა, უბრალოდ ვცადოთ….თამაზ, ძალიან გთხოვ…..დაფიქრდი გეხვეწები, შენც ხომ იცი, რომ ნიკას უყვარს….ელენესაც..

-არ უყვარს ნიკას მაია, მართლა არ უყვარს…..

-მაშინ ჩემი ხომ გჯერა? ხომ მენდობი…მე გეუბნები, თუ არ გამოვა ყველაფერს ჩემ თავზე ავიღებ….

-მოიცადე ახლა შენ იმის თქმა გინდა რომ პასუხისმგებლობის მეშინია? არაფერს არ აიღებ შენ თავზე……მაგრამ არც არაფერს გავაკეთებთ…..

-ოდნავ მაინც თუ გული გტკივა იმათზე, მე თუ მენდობი, თუ გინდა რომ უკანასკნელი შანსი გამოვიყენოთ, თაზო დაფიქრდი,, დაფიქრდი რამდენი ადამიანი ეტყოდა ერთმანეთს, რომ უყვარს, რამდენი გაუფრთხილდებოდა ერთმანეთს თუ ეცოდინებოდათ რომ შეიძლება მეორე დღეს ვეღარ ნახონ? გთხოვ ნუ წააართმევ ამ შესაძლებლობას, გთხოვ თაზო რა…..შენ ხომ იცი…შენ ხომ მართლა გესმის….

-ელენე თავებს დაგვაჭრის იცოდე!!! ნიკა არ ვიცი, მაგრამ ელენეს ვერ გადავურჩებით….

-ელენე მკვლელი არაა, თვალი ჩაუკრა მაიამ…..

…….

-ნიკა ასე რატომ ლაპარაკობ, მართლა ვერ ვხვდები…..ელენე უფრო მიუახლოვდა და ახედა…..

-ელე, უბრალოდ მინდა რომ ჩემი იმედი გქონდეს, არ ვმალავდეთ არაფერს…

-მე გიმალავ? შენ არ მენდობი? შენ თვითონ არ მეუბნები შენს მდგომარეობაზე…..

-რა მდგომარეობაზე ელენე? მე რას არ გეუბნები…..უკვე აშკარად გეტყობა რომ ხვდები, რომ ვიცი, მაგრამ მაინც არ ამბობ…..ვიცი ძალიან ძნელია ჩემი გვერდში დგომა იდეაში მაინც წარმოიდგინო, მაგრამ წარმოდგენა არცაა საჭირო ხომ გრძნობ? ელენეს ტუჩები გაულურჯდა ნერვიულობისგან და სიცივისგან….

-ნიკა ვიცი რომ ავად ხარ! ელენემ მთელი სიმტკიცე ამ სიტყვებს ამოაყოლა…..მენაბდემ თავზე ხელი მოისვა…თითქოს იმ რეალობას გამოეთიშა და გაურკვეველი მიმართულებით იყურებოდა……მერე ფეხსაცმელებს უყურა რრამდენიმე წამი და თოვლის ჟრაჟუნის ხმა ესმოდათ…..

-ელენე რას ამბობ? უკვე ნიკასაც ფერი ჰქონდა დაკარგული, ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო…..

-ნიკა…

-მე ავად არ ვარ!!!! გრიპიც კი არ მაქვს და წამალი ბოლოს ზაფხულში დავლიე…..ელენეს ხელები აუკანკალდა….

-აბა რა ავადმყოფობაზე მელაპარაკებოდი? შენ რა მატყუებდი?

-რა? მე გატყუებდი? როდის მითქვამს შენთვის ავადმყოფი ვარ და შემიცოდეთქო? უბრალოდ მეგონა შენთვითონ იტყოდი სიმსივნეზე…

-რომელ სიმსივნეზე…..უკვე ელენეს პირიც გაუშრა და ფეხზე ვერ იდგა……

-არაფერზე…..მართალია ბოლომდე ვერ მიხვდა ნიკა რა ხდებოდა თუმცა იცოდა, რომ ბელთაურთან უნდა დაერეკა სანამ რამეს იტყოდა….

-ნიკა რა ხდება?

-წავიდეთ ელენე……ცოტა ცივა…

-ნიკა, შენ ფიქრობ რომ მე ვარ ავად? ელენემ თითქოს მშვიდად იკითხა…

-ჯობია სხვა დროს……

-ვინ გითხრა? ელენე არ ეშვებოდა…….

-ახლა არ გვინდა…….

-თამაზმა ან მაიამ ხომ?

-ელენე….

-ნიკა რატომ იქცევი სულ ასე როცა რაღაცის გარკვევას ვცდილობ? ხომ ჯობია გავარკვიოთ?

-კარგი, თამაზმა მითხრა….ვფიქრობ რომ სწორად მოიქცა ელენე….

-მე არაფერი მჭირს, მით უფრო კიბო…..და არც ვკვდები!!!!

-მე შენს ექიმს ველაპარაკე….

-მეც ველაპარაკე შენსას!

-მოიცადე ელენე…….ნიკას უცბად თითქოს მხრები გაუთავისუფლდა, თითქოს ფრენა შეეძლო….

-ეს ყველაფერი არ თქვა, რომ იმ ორმა….იმ ორმა დაგეგმა? ეს უფრო საკუთარ თავს ჰკითხა და სახელებითაც არ მოიხსენია….

-იმ ორმა მოიგონა! მთელი ამდენი ხანი მეგონა…და შენ?

ნიკას გაეღიმა და ელენეს სახეზე ხელები მიადო…..

-ხელები მომაშორე!!!! ბრაზით უთხრა ელენემ…..

-კარგი რა ელენე ეს ხომ კარგია…..

-რა არის კარგი? ის რომ დებილივით მომექცნენ?

-მარტო შენ არა..იმათთან გავარკვევთ…უბრალოდ მართლა სასაცილოა….ნიკა შეეცადა მისი ხელები თავისაში მოექცია, მაგრამ ელენემ უხეშად გამოაცალა…..

-მე არ მოვკვდები!!!! ამიტომ შენი სამადლოდ შეცვლილი საქციელი შენთვის შეინახე!!!! არაფერში მჭირდება….

-ელენე როგორ მელაპარაკები?

-მხოლოდ იმიტომ შეიცვალე რომ გეგონა ვკვდებოდი….ელენემ ნერვიულად გაიცინა…მხოლოდ ამიტომ…..მე კი მეგონა….რა სულელი ვარ….არც გაიფიქრო ჩემთან მოკარება……საერთოდ დაივიწყე ყველაფერი……ნიკას იმდენად უხაროდა ეს ყველაფერი, რომ ტყუილი იყო, ჯერ ვერ მიმხვდარიყო ელენე რას ეუბნებოდა….

-არაფერმა შეგცვალა სანამ არ გითხრეს, რომ მოვკვდებოდი, ალბათ გეცოდებოდი, ალბათ შვილებიც გეცოდებოდა……წარმოიდგინე, რომ აღარ ვიქნებოდი მერე ვის დატანჯავდი..

-შენ ამ ყველაფერ სერიოზულად მეუბნები? ნიკას გაეღიმა…..

-რამე მეტყობა რომ არასერიოზული ვარ?! შენ ხომ იცი, რომ მართალი ვარ? ხომ იცი რომ მთელი 6 თვე არ გაგხსენებივარ რაც შენს ცოლთან ერთად სამოგზაუროდ წახვედი?

-ელენე ცოტა დაგვიანებული ეჭვიანობა ხომ არ არის?

-არა, მე შენზე არ ვეჭვიანობ….აღარ ვეჭვიანობ…..შენი თავი აღარ მაქვს…დამღალე…..უბრალოდ გახსენებ როგორი არაკაცი ხარ……სახე მთლიანად წაეშალა მენაბდეს, ეგონა სიზმარში იყო…..

-მითხარი რა გინდა? ნიკამ საგრძობლად აუწია ხმას……

-არაფერი…შენგან არაფერი…..უბრალოდ გახსენებ, რომ წახვედი, სამუდამოდ წახვედი ჩემი ცხოვრებიდან…აი იმ დღეს რომ გამარტყი მაშინ წახვედი!!!! არც იმას გაპატიებ, რომ მხოლოდ ავადმყოფობის გამო დაბრუნდი, მხოლოდ მომაკვდავთან და არა ჯანმრთელ ადამიანთან, რომელთანაც გენდომებოდა დარჩენილი ცხოვრების გატარება…..შენ გინდოდა კუბო, გინდოდა ტკივილი, რომ როგორმე შენი ტკივილი დაგევიწყებინა, განა ასე არაა ნიკა? განა ღრმად არაცნობიერში არ გინდა რამე უფრო განიცადო ვიდრე ფეხბურთის დაკარგვა? და ეს ხომ კარგი შესაძლებლობა იყო? ეს ხომ ზღვარი იყო სადაც ადამიანები სხვანაირად იქცევიან, მაგრამ მე მინდა შენი ჩვეულებრივი სახე იყოს ჯანსაღი და არა სიკვდილის წინ მდგარი სახე…..ელენე ხმამაღლა უყვიროდა….ნიკა იდგა მშვიდად…..მხოლოდ გარეგნულად მშვიდად….

-შეიძლება მართალი ხარ……დაჯექი გაგიყვან სამსახურში და მერე წავალ……

-რატომ იქცევი სულ ასე? რატომ არასოდეს ამბობ რა გინდა? რატომ არ ყვირი? რატომ იხვევ ყველაფერს…….

-შეგიძლია მანქანაში გააგრძელო, ნიკამ მშვიდად თქვა……ელენემ გაბრაზებულმა შეხედა, მერე ტაქსის გასაჩერებლად წავიდა…….უკვე სულ ერთი იყო, სულ ერთი რას ჩაიხვევდა ნიკა….მიიღებდა თუ არაა არაადამიანური ბრაზით მის ყვირილს საერთოდ არ ჰქონდა აზრი……მანქანა ჩანთის ასაღებად გააღო……სისუფთავის სუნი იდგა….საშინელი სისუფთავის…..

-ელენე! ნიკამ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ დაუძახა…..მხოლოდ მოტრიალდა ხმა არ გაუცია…..

-მე უფრო მიყვარხარ! ტაქსიში ყოფნისას სულ იმაზე ფიქრობდა რატო უთხრა, ეს არ იყო დახვეწილი რომანტიკული ნაბიჯი, ამ დროს მენაბდისთვის რომანტიკა ან სიყვარულის ახსნა ყველაზე შეუფერებელი იყო…….გონება ამაზე ფიქრით ატკივდა, მერე თავი დაანება, მაგრამ ფიქრმა არ დაანება თავი……მერე გაახსენდა სულ ადრე სოფელში ნიკამ უთხრა, მხოლოდ მაშინ ეტყოდა რომ უფრო მეტად უყვარდა თუ ამას მართლა იფიქრებდა…..მერე გაახსენდა ნიკას ღიმილი…..არ ახსოვს უხდებოდა თუ არა …..უბრალოდ ახსოვდა, რომ მისი ღიმილი ყოველთვის მოწონდა…არ ახსოვს როგორი იყო, მაგრამ ახსოვს, რომ გულწრფელობა ჰქონდა…მერე მისი რეაქციაც გაახსენდა….მერე გაიაზრა, რომ ნიკა არ იყო ავად……ელენეს რეაქციას კი საერთო არ ჰქონია ბედნიერებასთან…….ნუთუ მართლა აღარ უყვარდა ნიკა? ნუთუ ის სიტყვები საკუთარ თავს უთხრა, როცა მომაკვდავის კუბოზე ლაპარაკობდა, ნუთუ თვითონ აპატია მარტო ყველაფერი იმიტომ, რომ ეგონა ნიკა კვდებოდა…..თუ არა რატომ არ გაუხარდა, ეს ყველაფერი, რომ ტყუილი იყო…..მენაბდის პრველი რეაქცია ხომ სიხარული იყო, მისი არა…..ტაქსი გააჩერებინა, თავბრუ ეხვეოდა, ჰაერზე გადავიდა, ცივმა ოფლმა დაასხა, სულ აკანკალდა…….

ბელთაურთან არ დაურეკავს არც მაიასთან…..ელენესგან გაიგეს…..უყურებდნენ ძალიან გაბრაზებულს და უკვე ეჭვი ეპარებოდათ საკუთარი ნაბიჯის სისწორეში…ნიკა კი საერთოდ აღარ ეხმიანებოდა…არც თამაზს უნდოდა გაეღიზიანებინა და არ ეჩხირებოდა თვალში…..

……..

-დღეს რომელზე ამთავრებ?

-რაო ნიკო? ჩემი ნება არაა რომელზე დავამთავრებ? მათემ გაიცინა….

-გამო მაშინ გელოდები……

-რა სისასტიკეა…

-მიდი გამო უკვე გარეთ ვდგავარ……

-კარგი, რაღაცას დავამთავრებ და ახლავე…..მენაბდე მშვიდად ფიქრობდა ელენეს რეაქციაზე…..უხაროდა, გულწრფელად უხაროდა ეს ყველაფერი, რომ ტყუილი იყო და ვერ ხვდებოდა, როგორ არ გაუხარდა, ოდნავ მაინც ელენეს…..ამის გარდა ვეღარაფერზე ფიქრობდა……

მათეს ყველაფერი მთლიანად მოუყვა…..ის რამდენიმე წუთი ჩუმად იჯდა და იაზრებდა…..

-იმათმა ძალიან გარისკეს…..არა ბელთაურმა და მაიამ….ამდენი როგორ აიღეს თავზე….

-მათე ეგ ყველაზე ნაკლებად….აღარ ვუყვარვარ…..ნიკამ საჭეს ხელები მოუსვა და გაიღიმა….თვითონაც არ იცის, მაგრამ აღარ ვუყვარვარ….

-არაა გამორიცხული…არც გასაბრაზებელი…

-არა რა გასაბრაზებელი, ვერავის გაუბრაზდები ამის გამო…..უბრალოდ მგონია სხვა რეალობაში მოვხვდი…..

-ნიკა შენ არ შეიძლება პიროვნულად უყვარდე….ის ადამიანი არ შეიძლება უყვარდეს….ელენეს სხვა პერიოდში უყვარხარ….მაშინდელი სანამ ეს ყველაფერი მოხდებოდა….ეს მოსალოდნელია, ჩვეულებრივია…..მერე რა….თუ ნდობა არ ჩამოუყლიბდა შენ მიმართ სიყვარულს ნუ მოთხოვ..

-არაფერს ვთხოვ…..მაგას ყველაზე ნაკლებად…..

-თავისებურად საშინლად ამპარტავანი ხარ…მათემ თავზე ხელი მოუსვა…..

-ხო ძალიან….დიდ ხანს არ გაგრძელდება თუ ეს მართლა ასეა…..ჩემთვისაც მალე შეიცვლება ყველაფერი, უბრალოდ უნდა დავრწმუნდე რომ არაფერს გრძნობს…არ მაინტერესებს როგორი ნიკა…ბოლო ათი წელი თუ ამ ათი წლის წინ სამი წელი…არ მაინტერესებს, მე ერთი ვარ….ყოველთვის ერთი ვიყავი და ჩემს საქციელზე პასუხისმგებელი ვარ……შეიძლება ვტყუი, მაგრმ პასუხს ვაგებ იმაზე როგორც ვიქცეოდი….უმიზეზო არაფერი ყოფილა, ჩემთვის რაღაცებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს….

-არ გაგიჭირდება ისევ შეაყვარო თავი…..თუ დაინახავს, რომ შეიცვალე….

-ეგ რომ არ გამიჭირდეს უნდა მინდოდეს!!! მე კი არ მინდა…..კარგი ყველას შეუყვარდება მათე….იდეაში კარგი რა…..რთული ისაა აუტანელი გიყვარდეს……ცოტნე რას შვება? სწრაფად გადაიტანა თემა….

-რავი შენ უფრო ხშირად არ ნახულობ სკოლაში…

-არა ლორთქიფანიძეზე გეუბნები……

-რავიცი ერთი, მაგასთანაც არ მაქვს ურთიერთობა..

-ჩემ გამო?

-აუ რა შენ გამო…უბრალოდ აიჭრა და ახლა თან ტიპი მართალი იყო და პროსტა შევეშვი რა რომ…

-ჩემ გამო ესე იგი…. აი იმენა თავზე დამემხო ყველაფერი…..ხელახლა დაბადებაზე უარს არ ვიტყოდი….

-კაი დაიკიდე რა…..ხომ იცი არ აქვს მნიშვნელობა მართალი ხარ თუ არა ვისაც არ მოწონხარ კარი ყველასთვის ღიაა…..

-ხო, მართალი იყო, მაგრამ შენ საერთოდ მართალი ხარ….იდეურად მართალი…..

-თავი არ დაიდანაშაულო, მათემ თვალი ჩაუკრა….მე მესმის შენი..

-ვიცი…ვიცი თითზე ჩამოსათვლელები, რომ ხართ ვისაც გესმით…..

-სამაგიეროდ ხარისხიანი ხალხი ვართ…ორივეს გაეცინა…..ვინც გიცნობს ესმით…..

-მათე ძაან ტიპი ხარ რა…..რომ წავიდე საფრანგეთში?

-რატო უნდა დაისვენო?

-ნუ დამცინი…შემომთავაზეს მწვრთნელის ასისტენტობა….

-აუ ნიკა რა ასისტენტობა, აქ ხომ გთავაზობენ…

-არა, მათე მე ახლა დემეტრე მჯობნის და ჩემი მომაცემების მწვრთნელი ეს ყველაზე საშინელი რამაა რაც ნაკრებს შეიძლება დაემართოს..

-ნუ გეშინია არ შეეტყობა ისე ვართ…..

-ხომ იცი ნაკრებზე ხუმრობა არ მესმის!

-შენც ხომ იცი რომ არ უნდა წახვიდე?

-ხო ვიცი…მაგრამ რაღაცნაირად….მინდა….იქ შემიძლია ძალიან ბევრი რამ ვისწავლო, შემიძლია რაღაცა ასაკში ისევ ვაკეთო ის რაც მინდა….

-იუ ნოუ ვოთ აი მინ..შენ მხოლოდ აქედან წასვლა გინდა, ისევ გარიდება ყველაფერზე, ოღონდს ახლა სხვა ხერხით…

-გადი რა შენი ინგლისურით…….

……

ჩვეულებრივად იყვნენ..ნიკა ბავშვებს ნახულობდა…..სკოლიდან გამოყავდა…დემეტრეს თავისთან ერთად დაატარებდა….უკვე ოფიციალურ შეთავაზებაზე ნაკრების მწვრთნელობაზე თქვა უარი….მონპელიეს მწვრთნელის ასისტენტობა რიგით მეორე ისევ აფიქრებდა…მენაბდეების მთავარ სახლში გადავიდა ……იქ უფრო მშვიდად იყო…..სულ ეძებდა მომენტს, რომ ბარბარეს დალაპარაკებოდა…..უფროსი დემეტრეს დაბადებისდღეს უკავშირდებოდა ყველა მიზანი…..ელენემაც ვერაფრით თქვა უარი…არ შეეძლო ამ კაცისთვის ოდნავ მაინც არ დაეფასებინა ყველაფერი…… დემეტრემ გეგასთანაც შეათანხმა, რომ მის დაბადებისღეზე მოსულიყო და იქ გადაეწყვიტათ ბარბარესთან მისი ურთიერთობის ფარგლები…ბარბარე გრძნობდა, რომ მამამისი თანახმა იყო, მაგრამ ნიკა ადარდებდა, ნიკაზე მეტად კი მათე……

იმ დღეს დემეტრე ნიკასთან ერთად იყო სკოლაში..და იქიდან მიდიოდნენ უფროსი დემეტრეს დღეზე….ელენე ანასტასიასთან ერთად მივიდა…..ბაბუამის რომ მიეწეპა პატარა ტკიპა

რამდენიმე წუთი არ მოშორებია……ტორტის არჩევა ნიკას და დემეტრეეს დაევალათ…….მანქანაში ფრთხილად ჩადეს, რომ არაფერი დასვრილიყო და სიცილით წაიღეს…..სიცილით რადგან ტორტზე უამრავი ბურთი იყო გამოსახული……იცოდნენ ამაზე დემეტრეს რეაქცია…..

-ელენე როგორ ხარ? მაიამ მხარზე ხელი მოუსვა…

-მადლობთ კარგად თქვენ?

-ჩვენც…..დღეს გეგა მოდის….ბიჭებმა არ იციან….დემეტრეს ვერ შევაგნებინე, რომ ჯობია უთხრას არ ვიცით რას იზავენ….მაგრამ ამბობს ყველაფერი კარგად იქნებაო….ელენეს შეეტყო კარგად, რომ არ მიიღო ეს ამბავი, მაგრამ არაფერი უთქვამს…..ნიკა და დემეტრე მალევე მოვიდნენ…..პირველი სამზარეულოში შეაკითხა….ჩვეული სიტყვებით…

-ფანჯრები ყველა გამოაღეთ…სახლში მოხარშული ქათმის სუნი, რომ დადგეს გავაფრენ….ელენე ჭურჭელს რეცხავდა…არც შემოუხედავს…ნიკამ რომ დაინახა არაფერი შეიმჩნია…

-ნიკო მიდი შენ გამოაღე..მშვიდად უთხრა მაიამ…

-რაა აქამდე არ გქონდათ….სახე წაეშალა….

-ხო კარგი ღიაა….

-შენ რაღაც ძალიან გაოხუნჯდი….

-ტორტი მოიტანეთ?მამაშენმა დაიბარა იცოდეთ თუ ბურთი მაინც აქვს..ერთიც რომ…ნიკამ თვალები დაქაჩა და გაიღიმა…

-არა არ მოგვიტანია….დემეტრე მამამისის ფეხთაან იდგა კარში და ფხუკუნს ძლივს იკავებდა…

-რატომ იცინის ბავშვი? მაიამ წარბი აწია…

-ალბათობის მაღალი ხარისხით ეცინება და იმიტომ! თქვა ნიკამ და დაინახა, როგორ ნერვიულად დაკეტა ონკანი ელენემ….

-დე ტასო სად არის ჰკითხა დემეტრემ….

-მამიდა თმას უკეთებს….

-გამარჯობა, გაუღიმა ნიკამ…..ელენემ ხმა არ გასცა და სამზარეულოდან გავიდა…..

-დავბრუნდები! ნიკამ სასაცილოდ დაიბარა და ელენეს გაყვა…..ელენე განზრახ ავიდა ზევით, რომ ბარბარესთან შესულიყო ნიკასთვის თავის არიდებისთვის…..

-ელენე….შეიძლება გელაპარაკო?

-არ მინდა ნიკა…..ხვეწნასავით გაისმა ელენეს ხმა……

-ცოტა ხანი…….ნიკამ ხელი მოკიდა და მანქანისკენ წაიყვანა…..

-ნიკა გთხოვ…

-უბრალოდ ვილაპარაკოთ ელენე…. მანქანა დაქოქა ყურადღება აღარ მიუქცევია ელენე, რომ ეუბნებოდა გაეჩერებინა…..წყნეთში ავიდნენ……ძალიან ციოდა…..

-უბრალოდ ვილაპარაკოთ ელენე……ფეხს ითრევდა შესვლა არ უნდოდა…..

-გეხვეწები ეს სახლი არ მიყვარს……. მაშინვე ის წარმოუდგებოდა როგორ იყო ნიკა სხვა ქალთან ერთად…..ნიკამ ხელი მოკიდა და იმ ოთახში აიყვანა სადაც ის ნახა…..იმ ადგილიდან ორივე უყურებდა ოთახს სადაც მაშინ ელენე იდგა…..გრძნობდა, რომ ტიროდა…..

-ელენე მაშინ….

-არ მიყვარს აქაურობა, გული მერევა……ელენეს ფერი მიდიოდა და ყელზე ხელს იდებდა……

-არც მე……ელენე გთხოვ მომისმინე…….გაბოროტებული ადამიანი ბევრ ცუდს აკეთებს….ძალიან მინდოდა დამეტანჯე…გამიხარდა რომ ეს ყველაფერი დაინახე, თითქოს ვცდილობდი სამაგიერო ამით გადამეხადა ჩემი ერთგულება რომ ვერ დაინახე……რეალურად კი საკუთარ თავსაც ვაიძულებდი სხვასთან ვყოფილიყავი, არ მინდოდა, მაგრამ ასე იყო…….შემომხედე გთხოვ…….ელენე ჩაიკეცა და ტიროდა……მაშინ ძალიან მონდოდა კიბეებზე რომ დაგინახე მოგხვეოდი…გეფიცები…მაშინ……ვერ გეტყვი, რომ კიდევ იგივე სიტოაციაში სხვანაირად მოვიქცეოდი…ვერა ელენე…… მე ეს ათი წელი უნდა გადამეტანა, ასეთს უნდა გადამეტანა…..მე სხვანაირად არ შემეძლო, მინდოდა, მაგრამ არ შემეძლო….არ ვიცი ალბათ არ ვარ კარგი ადამიანი, არც ძლიერი….არ ვიცი რა შეიძლება ადამიანს ჩემში მოეწონოს, მაგრამ მე ასეთი ვარ…! ასეთი ვარ არ შემიძლია რაღაცების იოლად გადატანა, შეიძლება სამყაროში ყველაზე აკვიატებული ვარ, ყველაზე შეპყრობილი, შეიძლება ყველასგან იმაზე მეტს ვითხოვ ვიდრე გავცემ, მაგრამ გავცემ იმდენს რაც შემიძლია…..მთლიანად ელენე…..და თუ ამას ვერ ხედავენ რაღაცები მერევა გონებაში…..როცა საკუთარ თავს არ ამართლებ მაშინ იწყება რღვევა…მე კი ვამართლებ, შეიძლება საშინელ ადამიანად ვჩანვარ, მაგრამ ვამართლებ……არ შემეძლო სხვანაირად, სხვანაირად უნდა დაგშორებოდი……შეიძლება მშვიდად გვეცხოვრა, მაგრამ ცალ-ცალკე იქნებოდა. მე უნდა გადამეტანა, უნდა მომენელებინა, სხვანაირად ასე კარგად არ ვიქნებოდი როგორც ახლა ვარ…

-ახლა კარგად ხარ? აცრემლებულმა შეხედა….

-ხო კარგად ვარ, ძალიან, დილაობით ვარჯიშობ….მერე სკოლაში მივდივარ…..ფეხბურთს ვუყურებ ოდნავ დრო როცა გამომიჩნდება….ვკითხულობ უამრავს ფეხბურთზე….დემეტრესთან ისე ვარ როგორც მინდოდა…..ჩემს ოცნებებში როგორც მინდოდა….ხო კიდევ ბედნიერი ვარ,

რომ ოცნების გარეშე აღარ ვარ……ახლა შენზე ისე ვოცნებობ, როგორც 23 წლის ასაკში……ამ ათი წლის გარეშე ესე ვერ ვიქნებოდი…..

-სამაგიეროდ, მე არ ვარ კარგად…..ძალიან დაღლილი ვარ……

-პირველად იცი, როდის გამიჩნდა ოცნება ამ წლების მერე? აი როცა თამაზმა მითხრა, რომ ავად იყავი…მაშინ ვიგრძენი, როგორ შემომეპარა ფიქრები…როგორ გამიჩნდა საშინელი სურვილი რაღაცის…..მანამდე არ მქონდა ელენე…მთელი ათი წელი არაფერი მინდოდა…..ესე ძნელია, ძალიან ძნელი…წარმოიდგინე, რომ არაფერი გინდა ერთი დღეც კი ვერ გადაიტან….

-შენ შენ თავს ამართლებ….არ მესმის ნიკა და აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი…..

-ახლა შენთან ერთად შემიძლია ცხოვრება, ყველანაირი ტკივილის, ცუდი მოგონებების, ბრაზის…ყველაფრის გარეშე…..რომ არ დამეტანჯე, ასე რომ არ მეტკინა გული შენთვის ამას ვერ შევძლებდი….

-ნიკა ადამიანები ასეთი სასტიკები არ არიან! შენ კი ყველაზე დაუნდობელივით ლაპარაკობ, თითქოს არ იცოდე, არ გრძნობდე…თითქოს ვერ აღიქვავდე, როგორ ცუდ მდგომარეობაშია ადამიანი, როცა ასე იტანჯება….ან ის როგორ უნდა აიტანო თუ გიყვარს და ასე უბედურს ხედავდე, შენ რა ადამიანი ხარ? ამის ატანა ასე ადვილად თუ შეგიძლია, თუ სხვანაირად არც გინდა…..

-ადვილად? ელენე ადვილად რა ავიტანე? რამე იყო ადვილი ჩემთვის? საკუთარი თავი, რომ მძულდა იმის გამო რასაც ვაკეთებდი ადვილი იყო? არაფერი, რომ არ მიხაროდა….ყველაფერს, რომ საშინელი სიმძაფრით განვიცდიდი, ყველა ყვირილს, ყველა უხეშ შეხებას….დამძიმებული სინდისი ადვილი ასატანია? შენ ხომ მიცნობდი, ხომ იცოდი რას ნიშნავდა ჩემნაირისთვის ასეთი ცხოვრება, უიმედობა, პესიმიზმი, სიბინძურე, აყროლებული სინდისი…..სხვანაირად უფრო დაგკარგავდი, უფრო დაგშორდებოდი….არ შემეძლო….რატომ იყო ასე მნიშვნელოვანი ჩემთვის ფეხბურთი არ ვიცი…. არც ის ვიცი, რატომ ვანიჭებდი ამხელა ყურადღებას ასეთ დეტალებს, მაგრამ სინამდვილეში ახლაც არ ვფიქრობ, რომ ეს დეტალია, ახლაც ისევე ვაზვიადებ იმ უნდობლობას, თუნდაც რამდენიმე წამი, რომ იყო შენს გონებაში…..მე შეიძლება ახლა ყველაფერს ვიმსახურებ, მაგრამ შენგან არ ვიმსახურებდი ასე აუხსნელად უნდობლობას, ბრაზს და ყვირილს…. არ ვიმსახურებდი ვიღაც გამვლელის გამო ყველაფერი დამეკარგა….ის ქალი საერთოდ არ ვიცი ვინ იყო, რა უნდოდა…მაგრამ შენ რატომღაც მაშინვე მოუძებნე ადგილი….. თითქოს მეგონა შენში ეს შეიცვალა ჩემ გამო, ჩემ გამო დათმე ის სიჯიუტე, სიფიცხე, ხომ მითხარი, ხომ დამპირდი? სოფელში ხომ დამპირდი, რომ ყველაფერს დათმობდი რაც გვაშორებდა……ელენეზე ყოველთვის მოქმედებდა, როცა ნიკა წარსულს იხსენებდა, დეტალურად, ზედმიწევნით, ყველაფერი რომ ახსოვდა და ზოგჯერ მის ცივ მზერაში ფიქრობდა, რომ ამ კაცს მეხსიერება არ ჰქონდა…..მერე ისევ წვრილმანებს იხსენებდა, დეტალებს….ყველაფერს რაც კი მომხდარა….

-ნიკა რამდენჯერ მოგიხადე ბოდიში? რამდენჯერ მინდოდა შენთან ამაზე ლაპარაკი, შენ კი ხმას არ იღებდი, არ მიყვებოდი როგორ გაწუხებდა ეს ყველაფერი, არ მელაპარაკებოდი, ყველაფერს იხვევდი და ყოველდღე უფრო იზრდებოდა ეს ბრაზი….. არ გინდოდა უბრალოდ, რომ

ყველაფერი კარგად ყოფილიყო, ჯიბრი გქონდა, რომ ბედნიერი არ უნდა ვყოფილიყავი..იმასაც კი არაფრად აგდებდი რომ შენთვითონაც უბედური იყავი….. ხომ შეიძლებოდა ვინმესთვის რამე გაგეზიარებინა, სულ ოდნავი ტკივილი, ჩემთან გელაპარაკა? ან თამაზთან? მაგრამ ამას არ აკეთებდი…და იცი რატომ? გეშინოდა ბრაზი არ გაგსვლოდა…..მერე რაღას ჩაებღაუჭებოდი…. გეშინოდა თავი არ დაგედანაშაულებინა და ყველაფერ ცუდს იგროვებდი….სიმართლე ესაა….. და თუ ამ დროს მაინც გიყვარდი, მაშინ უბრალოდ იმდენ რამეს აყენებდი ამაზე წინ, რომ შეუძლებელი იყო ეს მეგრძნო…

-ვერ გრძნობდი? ელენე ჩემგან არ ჩანდა? არც კი ვიცი ასეთ დროს რა გითხრა….არ ვიცი რის გამო მექცევი ასე…. რომ არ მეგრძნო შენგან, არ გამიკვირდებოდა შენი ეს რეაქცია, მაგრამ თითქოს დაივიწყე….. იმ ფაქტმა, რომ არაფერი მჭირს ამდენი რამე როგორ შეცვალა?

-იმ ფაქტმაც, რომ შენც ავად გეგონე და ამის გამო შეიცვალე….ახლა, რომ ვიხსენებ ვგრძნობ, რომ გებრალებოდი…..

-ვერაფერს ვერ გრძნობ…..ყველაზე ნაკლებად თუ რამე იყო ეს სიბრალური და თანაც შენი….მე ჩემი თავი უფრო მებრალებოდა…..ელენე მესმის, რომ დაბნეული ხარ. ვიცი, რომ ძნელია ამ ყველაფრის შემდეგ ისევ გიყვარდე….. მაგრამ უამისოდ არაფერი იქნება კარგად….

-ჩემთვის იქნება…..გაბზარული ჰქონდა ხმა…..

-ელენე არ შემეძლო…გთხოვ ეცადე მაინც, რომ გამიგო…

-ახლა მე აღარ შემიძლია……

-შენ შეგიძლია, შენ ჩემზე ბევრად უკეთესი ხარ…..შენ ჩემნაირი სუსტი არ ხარ..

-დამანებე თავი….ხომ გითხარი…..ყველაფერზე თანახმა ხარ, იყო სუსტი, იყო სასტიკი, იყო აკვიატებული ოღონდ შენს სიმართლეს ვერ თმობ! ხვდები ამას? სიმართლეს ვერ ელევი? მაინც მართალი გგონია თავი, მაინც ისევე მოიქცეოდი რომ დაგაბრუნონ უკან…..

-ასეა….ყვეაფერს ზუსტად ისე გავაკეთებდი…..სასტუმროს კიბეებიდან გადავარდნის ჩათვლით…..ძლივს გადაყლაპა ელენემ გაჩხერილი ბურთი…..იგრძნო სუნთქვა როგორ გაუხშირდა….

-ელენე მითხარი რომ არ გიყვარვარ? მითხარი და ყველაფერი უფრო მარტივად იქნება……

-არ მიყვარხარ…..ელენემ აცრემლებული თვალებით შეხედა…..

-კარგი….კარგი ელენე…მაპატიე…..დავბრუნდეთ, ნუ ტირი ესე ნუ ტირი……ელენე…..—არ მიყვარხარ…..არ მიყვარხაარ, რამდენჯერმე გაიმეორა ტირილით…

-ხო…მესმის….ელენე…..გთხოვ, ნუ განიცდი ესე….ელენე შემომხედე……

-საკუთარი თავი მძულს…ამ ყველაფრის ატანა რომ შევძელი…..შენ რომ მსგავსი რამ დაგენახა ხომ არ მოითმენდი…..

-არა! ელენე მსგავსი რამ შენზე რომ წარმოვიდგინო ალბათ წარმოდგენაშივე გავგიჟდები…ამიტომ არ გინდა…..

-მეც ესე განვიცდიდი, მეც ძალიან ძლიერად……ნუ მკოცნი!

-კარგი….ნიკას ხასიათს სულ ჰქონდა ბავშური გაბუტვა, თუნდა სცოდნოდა მიზეზი ნათქვამის მაინც წყინდა. ახლაც იცოდა ელენემ ნამდვილად არ უთხრა, მაგრამ მაინც ეწყინა, ეწყინა და არ მიეკარებოდა……თბილისამდე ცოტა დამშვიდდა…..

-არ მეგონა ასე თუ იმოქმედებდა…ნიკამ დანანებით თქვა…..

-ძალიან არ განმიცდია, ჩაიბურტყუნა და გადავიდა……მენაბდეს გაეცინა….არ იყო სიცილის დრო, მაგრამ გაეცინა იმის პასუხზე…..როგორ მუდმივად და ამაყად ცდილობდა საკუთარი ემოციის დაფარვას ელენე….

ყველა სუფრასთან იჯდა გეგა, რომ შემოვიდა…მათე დაუფიქრებლად წამოხტა ფეხზე……დეემეტრეს ხმა არც გაუგონია…..არც არაფერზე უფიქრია, მთელი ძალით გაუქანა მუშტი და მინის მაგიდაზე დაახეთქა….ელენემ ბავშვები გაიყვანა სამზარეულოში..ბარბარე ტკივილისგან სულსაც ვეღარ გრძნობდა, მაია ემუდარებოდა…..ნიკა უძრავად იდგა რამდენიმე წამი…თითქოს ელოდებოდა, თითქოს უნდოდა მათეს ეს გაეკეთებინა….

-დედა არ გამოხვიდეთ ცოტა ხანი..ელენემ კარი დაუკეტა და გამობრუნდა…..მენაბდის თვალები, როცა მამამისის სახეზე გაჩერდა მიწისძვრა იგრძნო…..დემეტრე ისეთი იმედგაცრუებული იყო…

-მათე გთხოვ, არ გინდა…..უკვე ზღვარგადასულად უნდოდა მისი ძმა გაჩერებულიყო….

-მათე გაჩერდი…..ნიკა ვერაფრით აჩერებდა……უკვე მენაბდესაც ზომაზე მეტი მოხვდა….

-ცოტა ხანი გადი…..ნიკამ გეგას აჩვენა სხვა ოთახისკენ თან მათეს ძლივს აჩერებდა…..გეგა არ განძრეულა….

-მათე უკვე არ ვიცი მემგონი კბილი ჩამომიღე და გეფიცები დაგამიწებ ერთი კბილიც რომ მაკლდეს, ნუ მირტყავ!!!! ნახევრად ხუმრობით დაუყვირა ნიკამ…..დემეტრე უხმოდ გატრიალდა…..

-მამა მოიცადე რა…..ნიკას ხმას ნაღვლიანი მუდარა ჰქონდა…

-რატომ მოვიდა ეს კაცი? მათემ ბრაზით თქვა……

-იმიტომ, რომ ბარბარესთან ყოფნა უნდა, უნდა ერთად ბედნიერები იყვნონ, იმიტომ რომ უყვართ ერთმანეთი…ელენემ არავის დააცადა….

-ელენე……ამ ორიდან არც ერთია რომეო და არც მეორე ჯულიეტა და ცოტა ადამიანურ ენაზე…ეს მაღალფარდოვნება….

-ვერ ვხვდები რას გულისხმობ მათე? შენ ვერ უნდა მიხვდე? არ უყურებ, რომ შენი და არაა ბედნიერი? ვერ ხვდები? ელენე არ ჩერდებოდა…..

-ამასთან ბედნიერი უნდა იყოს? კაცი რომ იყოს კიდევ….

-სიტყვები შეარჩიე…გეგამ პირველად თქვა იმ დღეს რაღაც…..ნუ აურევ რაღაცებს ერთმანეთში, თუ არ გიპასუხე დღეს სხვა რაღაცების გამო და ნუ გეგონება, რომ…

-მოიცადე გეგა ახლა…..ნიკამ მხრებზე ხელი დაადო…..ნუ იტყვი იმაზე მეტს ვიდრე საჭიროა….

-ენას ამოვაძრობ…..მათე ისევ არ წყნარდებოდა…

-ერთი წამი…მოიცადე მათე….ვერ ვხვდები რატომ გაქვს ესეთი რეაქცია….შენ ხომ ჩვეულებრივად ხარ ბარბარესთან, ელაპარაკები, ერთად იცინით, ერთმანეთს დაბადებიდღეებს ყველაზე მონდომებით აღიშნავთ……ასე არაა? გამაგებინე?

-ნიკა შენ ახლა მსაყვედურობ დას, რომ 13 წელი არ გამოვეჯიბრე…? რაღაც არაადამიანურად ატკინა გული და ამას ყველა მიხვდა მათეს ჩათვლით….

-მე სხვა რამ გითხრი…..თუ ბარბარესთან კარგად ხარ ამ კაცს რატომ ექცევი ასე? შენ ხომ რაღაცებს შეეგუე, ხოდა ამასაც შეეგუე…..

-ნიკა შენ რეებს ამბობ?

-არაფერს ისეთს, თუ ერთმანეთი უყვართ, თუ ერთად ყოფნა უნდათ აი აქ მე და შენ რა გვესაქმება ? მერე რა რომ ბარბარემ ერთ დროს გადაგვიარა? მერე რა ჯანდაბას……თუ უფრო ბედნიერი იქნება ვიდრე ახლაა მაშინ იყოს….მაშინ ფეხებზე უნდა დავიკიდოთ რაღაცები, მაგალითად პრინციპები…..

-ნიკა შენ მაგას სერიოზულად..

-კი……მართლა ვამბობ…შენთვის უფრო ადვილი უნდა იყოს ბარბარეს ისედაც აპატიე…..მეც არ მიჭირს, მგონია უკეთესიცაა….მამას ასე უნდა…ასე თვლის სწორად და არც აქვს აზრი ჩვენ რა გვინდა…..ჯობია დაბადებისღის სიმღერა ვიმღეროთ და არარსებულ ტორტზე სანთლები ჩავაქროთ…….ნიკა მშვიდად დაჯდა მაგიდაზე…….

-გეგა მოდი……მოიცადე ჯერ ხელები დავიბანოთ……ნიკამ მხარზე ხელი დაადო და აბაზანისკენ გავიდნენ…..მათესაც მოკიდა ხელი……

-მე ხშირად მინდოდა იმის თქმა როგორ ვნანობ……

-იქნებ გაჩუმდე…მათეს გამოსცრა…..ნიკა შენ დაგელაპარაკები..დაუღრინა ძმას…

-კარგით ახლა…! სხვა გზა არაა მათე, უბრალოდ არაა სხვა გზა….

საღამოს პირველად დაჯდა ნიკა ბარბარეს გვერდით……გეგაც მათთან ერთად იყო……დემეტრეს მათე ვეეღარ უყურებდა თვალებში….

-ხშირად ძალიან ვაშავებთ და მერე საკუთარ თავს ვერ ვცნობთ…..შეიძლება ბევრისთვის ეს წარმოუდგენელია, მაგრამ უარყოფა რომ ესე ხდება სისულელეა….სისულელეა საკუთარი თავი ამართლო ყველაფერში….სისულელეა იძახო, რომ მეტი არ შეგეძლო, თუნდაც ასე ყოფილიყო…..მე ყველასთვის ბოდიში მაქვს მოსახდელი..

ყველასთვის ინდივიდუალურად და მძიმედ…..

მე ძალიან ბევრ რამეს შევასკდი რადგან სწორხაზოვანი ვარ…..ვერ ვითვალისწინებ, რომ ყველა ადამიანი ინდივიდუალურია, ყველა ჩემნაირი არაა და უნდა დავუშვა ისეთი რაღაცები რაც ჩემთვის წარმოუდგენელია…..მერე რა ყველას მოდის შეცდომა, ისე როგორც ბარბარეს…..მე ამას ჩემი 13 წელი გადავაყოლე და შედეგად მაქვს მხოლოდ დანაკარგი…თანაც ისეთი, რომელსაც ვეღარ აღადგენ……არ მექნება ილუზია, რომ თავად ბარბარე ამას ოდესმე ბოლომდე მაპატიებს, და არც მას უნდა ჰქონდეს ამის, რომ ჩემთვის ყველაფერი სხვანაირად იქნება…..არაფერი იქნება ისე, როგორც იქნებოდა, რომ არა ეს საქციელი, მაგრამ ყოველთვის შეგვიძლია იმაზე უკეთესად ვაქციოთ ვიდრე არის….სამწუხაროა, რაღაცები, რომ იცვლება, მაგრამ ლამის ორმოცი წლის ასაკში მივხვდი, რომ არის რაღაც რასაც არაფერი ეშველება…მაგალითად ესაა შენი დისადმი სიყვარული…..არასოდეს იქნება სულერთი როგორ არის…..ვერასოდეს შეძლებ ამის გაუბრალოებას, არ ვიცი ეს კარგია თუ ცუდი, მაგრამ რაც არის მხოლოდ ეს მაიძულებს ბოდიში მოვიხადო…..ვაღიარო, რომ არ ვიყავი მზად რაღაცების მისაღებად…..სამწუხაროდ მე ისევ იმ აზრზე ვარ, მაგრამ ვხვდები, რომ ეს არასწორია, ჩემი შეგრძნებებისთვის, გარშემო მყოფებისთვის და თვითონ რწმენისადმი არის არასწორი…….მე თავად მჭირდება რომ მაპატიონ, იმდენი ვიწრიალე სანამ ამ მდგომარეობაში არ ვარ და რაც არ უნდა იყოს აქედან უფრო მიადვილდება……მიადვილდება სხვამ მაპატიოს ვიდრე მე……ვიცი ამიტომაც ვისჯები, ვიცი თუ რაღაც არ შევცვალე ასე უფრო გამიჭირდება, ისიც ვიცი, რომ ახლაც ისე ვლაპარაკობ თითქოს დამნაშავე არ ვიყო, უფრო სწორად ვაღიარებ დანაშაულს, მაგრამ საკუთარი თავის მესმის და ძალაუნებურად გაიძულებთ თქვენც გამიგოთ……ამას მარტო იმიტომ ვაკეთებ, რომ სხვანაირად ჩემი გონება არ მიშვებს, თავს ზოგჯერ იმით ვიმართლებ, რომ ჩვენ თავად არ ვირჩევთ ჩვენს ხასიათს, ჩვენს შეხედულებებს…..მე დაბადებიდან ასეთი ვარ…ჩემი მანკიერებები მჟღავდნება იქ სადაც ვიღაცას ოდნავ მაინც შეეშალა, მე ვერაფრით ვისწავლე პატიება, არადა საჭიროა….არადა მე თვითონ მჭირდება და ვიცი როგორ მძიმეა, როცა ამას არ კი არა ვერ აკეთებენ და როგორი მნიშვნელოვანი, რომ ეს გააკეთონ…..ვიცი გაგიჭირდებათ ამ ლაპარაკიდან საბოლოოდ გამოიტანოთ აზრი, რადგან მე თავად არ ვიცი……მაგრამ რაც დარწმუნებით ვიცი ისაა, რომ გულწრფელია, არ ვცდილობ რამე დავმალო….არ ვცდილობ პატიება მოჩვენებითი სინანულით მივიღო, მიუხედავად იმის, რომ ახლა შეიძლება ყველაზე მეტად მჭირდებოდეს და ვნანობდე. მე მხოლოდ რამდენიმე რამ ვიცი……მინდა, რომ მაპატიონ

და მაპატიონ ისეთს როგორიც ვარ…..ოდნავადაც არ მაქვს პრეტენზია სიკარგეზე……არც სიმამაცეს მოვითხოვ ჩემი თავისგან…..უბრალოდ თქვენ გარეშეც ვერ ვცხოვრობ…და რომ ვფიქრობ რა დარჩა ჩემში ადამიანური მხოლოდ ეს მახსენდება…..ყველა უსმენდა და ყველა ხვდებოდა რა უნდა მიეღო თავის თავზე…..

-არც არავინ იბადება მამაცი და ძლიერი ეს ყველაფერი შეიძლება გახდე…და თუ ასე არაა მაშინ ეს საკუთარ ბუნებას და ხასიათს არ უნდა დააბრალო……ელენემ ისე თქვა თვალი არ მოუშორებია…..

-ალბათ მასეა, ნიკამ წყალი მოსვა და ისე ჩაილაპარაკა…..

-ყველა მამაცი და ძლიერი რატომღაც ვერ არის, ამის გამო უშვებენ ადამიანები შეცდომებს…..ჩაერია მათე…

-შეცდომების არ არსებობაზე არავინ დავობს, უბრალოდ მისი გამოსწორება უნდა შეგვეძლოს…..უპასუხა ელენემ….

-არის შეცდომები, რომლებიც არ სწორდება…..შენთვის შეიძლება იძულებით ვინმესთან ყოფნა შეცდომის გამოსწორებაა, მაგრამ როცა ეს მდგომარეობა თავად „გამოიგონე“ ცოტა არარეალურია რაღაცებზე საუბარი!!!!!….ესე ადვილია, შორიდან ყველაფერი ადვილია, მაგრამ ოდნავადაც, რომ წარმოიდგინო ადამიანად, რომელსაც წაართვეს ის რითაც ბედნიერი იყო…..ძალიან ძნელია თავი იგრძნო უსარგებლოდ….ძნელია მაშინ როცა ნახევარი ცხოვრება გაქვს გავლილი სხვა რელსებზე გადაგიყვანონ….უნდობლობით!!!! უნდობლობით გადაგიყვანონ!!!!…..და მერე ძნელია ეს ყველაფერი დაივიწყო, მიიღო ჩვეულებრივად…..ესეთი სიყვარული არ არსებობს ეს რომ შეეძლოს….და არც უნდა არსებობდეს!!! ეს მონობაა….ეს ტყვეობა და ავადმყოფობაა!…..მათემ საერთოდ არ დაინდო…..ელენეს თითქოს მხრები დაუმძიმდა…..ძლივს შეიკავა თავი ცრემლებისგან…..არავინ ელოდა მათე თუ ამას იტყოდა…

-ამისთვის არსებობს პატიება, თორემ ერქმეოდა შეცდომის გამოსწორება.!!! მათე არ ჩერდებოდა……მისთვისაც მტკივნეული იყო….მაგრამ ჯიუტად აგრძელებდა….

ისევ აპირებდა გაგრძელებას ნიკას სახეს, რომ მოკრა თვალი…არასოდეს ენახა ასეთი არეული…..იგრძნო, რომ ყველა სიტყვა რაც თქვა ზედმეტი იყო……მაგრამ მაინც არ უნანია!….

-მე არავისთან მიცხოვრია იძულებით……სხვა რამ უფრო გამიჭირდებოდა იმ დროს…..ძალიან გაუჭირდა ამის თქმა…..ძალიან გაუძნელდა…მაშინვე ნიკას თვალებს წააწყდა…..მენამდებ ძლივს შეძლო არ შეემჩნია ის რაც ელენემ თქვა….

-თუ გავაგრძელებთ ამაზე ლაპარაკს მხოლოდ წარსულს ამოვთხრით…..ჩემთვის ჩემი წარსული ჭუჭყიანია…..ამიტომ არ მინდა ამაზე…..საერთოდაც ვერ ვიტან ჩემი ცხოვრების განხილვას, უბრალოდ მე ის ვთქვი რაც საჭიროდ ჩავთვალე და სულაც არ ყოფილა ამის მიზანი რაღაცები გვეჩიჩქნა……

მე ვიცი, რომ მხოლოდ მე ვარ დამნაშავე….

და მე ეს მინდოდა!!!!!

შეგიძლიათ დაიჯეროთ შეგიძლიათ არა, მაგრამ სწორედ ეს მინდოდა, იმისთვის რომ ნორმალურად მეცხოვრა…….! ეს მჭირდებოდა, საკუთარი დანაშაული….

მხოლოდ ამ დროს როცა საკუთარი თავი მძულს ჩემი საქციელით, მხოლოდ ამ დროს შემიძლია მიყვარდეს ისე, როგორც ჩემთვის მისაღებია……უბრალოდ მე ესეთი ვარ….შემიძლია ვაღიარო, მაგრამ ვერ შევიცვლები……ვერავის ვერაფერს დააძალებ! ეს კარგად ვიცი საკუთარ თავზე…..რაღაცის დაკარგვის ზღვარზე ყოფნას შეუძლია ბევრი რამ გვასწავლოს……ან შეიძლება საერთოდაც დაგაკარგვინოს გრძნობები…..ამ ყველაფრის გაგება შემიძლია თანაც მარტივად….

რატომღაც მის თვალებში ყველაფერი იყო ამ ყველაფრის მარტივად გაგების გარდა…..

……..

აეროპორტში სახეაწითლებული თამაზი იდგა და ნიკას ემუქრებოდა სახის ყველა ნაკვთით……

-გამარჯობა!!!! ელენეს ხათრით ჩაილაპარაკა და მარტო იმიტომ არ წვდა კისერში ნიკას, რომ მძინარე დემეტრე ეჭირა……

-თაზო…..

-დებილო! სად ხარ ამდენი ხანი? რეისი, რომ არ გადადებულიყო ვერ მოასწრებდი….

-გადაიდო?

-ხო….ცუდი ამინდია……მემგონი ვერ ჩავალთ საქართველოში, ფრენა, რომ არ იყოს რა გვეშველება…..აუ გავაფრენ ახლა ასეთ თამაშში……გადამწყეტია..

-დამშვიდდი…მოიცადე..

-გამანებე თავი……თამაზი ისე ნერვიულობდა ლამის შეშლილიყო….

-თაზო ნუ ნერვიულობ რა….

-შენ? შენ არ ნერვიულობ? რა გენაღვლება მოსეირნობ ალბად…..რომ ვერ ჩავიდეთ…აი რომ ვერ ჩავფრინდეთ….არა მე გავაფრენ….

-თაზო ჩვენ თუ ვერ ჩავალთ საფრანგეთის ნაკრებიც ვერ ჩავა და ამიტომ ნუ ნერვიულობ…..ბელთაური ყველანაირად ეცადა არ შეემჩნია აქამდე ამაზე, რომ არ უფიქრია….მაგრამ აშკარად დამშვიდდა…..

-აქ კარგი ნაყინი იყიდება, მალევე გადაიტანა თემა….ელენემ და ნიკამ სიცილი ძლივს შეიკავეს…..ნიკასაც საშინლად ეტყობოდა ნერვიულობა……ხშირად იყო ჩაფიქრებული და სახე დაძაბული ჰქონდა…….

ჩასვლისას მათე და ცოტნე დახვდვდნენ…….ისნიც ნერვიულობდნენ, მაგრამ უფრო მხნედ იყვნენ, მეორე დღიდან შეკრება ეწყებოდათ და ცოტა დრო რჩებოდათ……

-რა ჩამომიტანე..?

-რამე უნდა ჩამომეტანა მათე?

-რა არა?

-რა ხო?

-ნიკა!!!! არაფერი ჩამომიტანე ?

-რამე დამაბარე?

-რაგინდა!!!!!!

-მე?

-ნიკა არაფერი ჩამომიტანე?

-რა სამი წლისავით იქცევი რა უნდა ჩამომეტანა?

-რა არ გახსოვს? მათე ისე განერვიულდა უკვე სულ გაოფლილი იყო, ნიკა ძლივს იკავებდა სიცილს……

-აი საერთოდ არ წამოვალ შენს თამაშზე…..პატარა ბავშვივით დაემუქრა….

-მათე წამოგიღო, ვეღარ მოითმინა ელენემ……

-აი რძალი მაინც სულ სხვაა…..მოეშვა მათე….

-გრძელი ენა სულ აქვს……თვალები დაუქაჩა ცოტნემ….

-აუ რა ბატი ხარ….მათე…

-აი ეგ მაისური რომ არ ჩამოგეტანა დაგამიწებდი რაგბის ბურთივით…..

-როგორ იყიდა არ იცი….აი ნიკა, რომ მაღაზიაში შედის კონსულტანტები ისვენებენ…..

-ელენე არ გინდა, გაეცინა ნიკას….

-აი იქ ტანსაცმელს ხომ იცი რასაც ხელს მოკიდებს ისე კეცავს ისე ალაგებს…აი ძალიან საყვარლად…ელენე ძლივს ლაპარაკობდა სიცილისგან….

-ახლა აბა ისე ხომ არ მივაგდებ……

-არა ეს ხო…რასაც თვითონ აიღებს, მაგრამ გვერძეც თუ რამე დევს ისე იმასაც…..უკვე ყველა ხარხარებდა….

-ნიკო ხელფასი გერიცხება ხოლმე….მათე ჩაერთო და რაღა გააჩერებდა…..

-წარმოიდგინე როგორ უხარიათ ამას რომ ხედავენ….მათე და ცოტნე ძლივს ლაპარაკობდნენ…….

-შვებულებას იღებენ თანამშრომლები ეს რომ შედის!!!!

-ცოტნე იუმორში ძაან…..აბა ზოგი ისე აუტანელია……ყველაფერს ისე ყრიან….

-შენ მტვერასტუტიც ხომ არ გაქვს ჯიბის….უკვე იმათ არაფერი აინტერესებდათ….

-ორი საათი ვიარეთ აქედან ერთი საათი ალაგა……ელენე ბოლომდე ყვებოდა…..

-სამი ერთზე ხართ ეს უკვე სისასტიკეა ელენე….

-არა ძალიან საყვარელი იყავი……როგორ ალაგებდი..აი ბევრი ვიცინე…..

-უსაყვარლესი……მიასუფთავა ყველაფერი……არ გამორჩა არაფერი მათეს…

-ელე ხომ ხედავ ესენი არაადეკვატურად გებულობენ ყველაფერს……

-რატო გავიგეთ რომ საყვარელი ხარ……

-მაღალო ბევრს ლაპარაკობ…..ელენე გაეჭიმა თავის ძმას……

-ახლა მარტო იმიტომ ჩანხარ, რომ გასუქდი ისეთი დაბალი ხარ……

-მე? შეიცხადა ელენემ…

-დაიწყეს……თვალები გადაატრიალა ნიკამ….

-მე ყველაზე ნაკლებად ვარ მაგ კატეგორიაში…დიახ შენ….გოჭო….ელენე აღშფოთდა……

-ცოტნე არ ვიცი რას გიზავ…..ნიკა უთხარი რამე….

-ნიკა უთხარი რომ არაა გოჭი……დათუჩაა…..დაიღრიჯა ცოტნე…

-ჟირაფი უთხარი ელენე თუ ცხოველებში გაგიჭირდა…..გაეცინა ნიკას….

-პინგვინი ხარ ელუჩა…..

-ცოტნე აღარ გელაპარაკები……აყლაყუდა ხარ……საფრთხობელა, გამხდარი ….

-მესამე კლასი ზარი დაირეკა, ჩაერთო მათე…..

-მეხუთეში დიდი ხანია გადახვედი?……არ შეარჩინა ცოტნემ და ელენეს თავზე აკოცა…..მერე გაბერილ მუცელზე მიადო ხელი და გაეღრიჯა…..ცელქი ბიჭია…..

-ვინ თქვა, რომ ბიჭია…ნიკა მოთენთილი იჯდა და ამის გაგონებაზე წამოხტა….

-ეე არ იცოდი? ქალბატონი ინგლისურში მეცადინეობდა და წამოცდა….

-აუ ცოტნე….ელენეს თვალები აუცრემლიანდა, რაღაცნაირად ცოტნემაც დამნაშავედ იგრძნო თავი რომ გათქვა…..

-არაუშავს ელენე……ნიკა გვერძე მიუგდა და ხელები მოხვია……

-უბრალოდ მინდოდა სანამ დაიბადებოდა…..ხმა გაუწყდა…..

-მერე რა, სულაც არაა ეხო სულ მართალი….იცი რამდენჯერ შემცდარა, ამიტომ ჯერაც არ ვიცით ვინაა…. მაინც მოულოდნელი იქნება ელე…ნიკა ამშვიდებდა როგორც შეეძლო…..ელენეს თავიდანვე უნდოდა არავის გაეგო ბავშვის სქესი დაბადებამდე…ნიკაც არ გამოკიდებია და მშვიდად ითმენდა, მაგრამ ცოტნემ სულ გაუფუჭა ყველაფერი….

-ელენე ნუ გაქვს აკვიატებები, რა მოხდა რომ ვიცით…სამაგიეროდ სახელს უფრო შეარჩევ…..ცოტნემ ცადა მდგომარეობის გამოსწორება…..

-როგორ წამოცდა? ჩაერთო მათე..უფრო სალაპარაკო გადაატანინა…

-აუ ეგ იყო შოკი, ელენეს ვეთამაშებოდი ჟრნალისტობანას რა….ჩვენ ესე ვართ ხოლმე…..თან ავიტეხე ინგლისურადთქო და ვეკითხები ფეხმძიმობაზე, ბავშვზე და ამ ქალბატონმა სრულიად გაუაზრებლად თქვა „ჰი“ ანუ „ის“ ბიჭზე და….

-და ამას რა თქმა უნდა არ გამორჩა….

-ჩემი ჭირვეული…..გაეცინა ნიკას და ელენე ჩაიხუტა…..მესამე არ მითხრა ბოლომდე, არც მეოთხე და არც…..რამდენიც იქნება…..სულ მშვიდად იყო მასთან…..სულ გრძნობდა, რომ მისი ესმოდა….მის აკვიატებებს არ ებრძოდა….მასთან თავისუფალი იყო, დამოუკიდებელი და ყველაზე მეტად გრძნობდა, რომ ქალი იყო….რომელსაც ქმარი სრულყოფილად აღიქვავდა და

რომელმაც დაჟინებით იცოდა, რომ არ არსებობდა არსად ადამიანი ვინც ნიკასავით შეიძლებოდა ყვარებოდა….

-დავიძინებ თორემ ხვალე თამაზი მიმაჭიკარტებს, დღეს არ იცით რა სახე ჰქონდა და თუ დავაგვიანე მოკვდება…..რაღაცნაირად ნერვიულობს და გონია, თუ არ დავაგვიენაბ ან თუ დავაგვიანებ და მეჩხუბება რამე გამოსწორდება…..ეს ნერვიულობის ახალი სიმპტომია….მეც ავიკიდე…რაღაც უემოციო გავხდი ამ ნერვიულობაზე….

-შენ კიდევ უემოციობა გინდა, იმედია თავში თუ ჩაგარტყეს ხმას გასცემ, გამოაჯავრა მათემ…

-მეორე თავი არ მაქვს, რომ მივუშვირო ამიტომ შენთან გამოვუშვებ….

-ნერვიულობაზე იუმორი დაიხვეწა in action.

-დაისვენე მათე გადაიღალე….ბოდვა in action… ბიჭებს დაემშვიდობნენ და დასაძინებლად წავიდნენ….ელენე დერეფანში მიდიოდა და ნერვიულობისგან ხელებს ხლართავდა….

-ნიკა ხომ არ გავსუქდი….რა დათუჩა, ცოტნეს მოვკლავ….

-გეხვეწები ნუ აქცევ ყურადღებას, ასე ხართ უკვე წლებია…..უბრალოდ გაბრაზებს….

-ხო მაგრამ რაღაცნაირად…მართლა რომ გავსუქდი….

-ყველა სუქდება ელენე ამ დროს რა მოხდა მერე…

-ანუ გავსუქდი…..დემეტრეზე, რომ ვიყავი იმაზე მეტადაც….

-მეც რომ გავსუქდე რამე შეიცვლება? შენ საპატიო მიზეზი, მაინც გაქვს….

-არა, არაფერი…..დაუფიქრებლად უპასუხა ელენემ და მოეხვია…..საერთოდ არაფერი შეიცვლება არასოდეს….რაც არ უნდა მოხდეს……

-თმაც, რომ გამცვივდეს……დაადებინა ფიცი მაშინვე ნიკამ…ორივეს გაეცინა…

-კი თმაც, რომ გაგცვივდეს…..

-და ამის გამო, რომ გავგიჟდები მაშინაც არაფერი შეიცვლება?…

-არაფერი…..

-არ დამავიწყდება იცოდე…..გიჟიც, რომ უნდა გიყვარდე….თან ასე მსუქანი, მელოტი, გიჟი…..სიმელოტის ფიქრზეც კი გაგიჟებას ვიწყებ….მუდამ ერთად ვიქნებით სიმელოტესა და სიმსუქნეში…..ესე ნუ იცინი ელენე…..

-კარგი რა….ძალიან სასაცილოდ ამბობ….თან ასე სერიოზულად, როგორ განიცდი ვერ ვხვდები, თმა სულაც არაა ასეთი მნიშვნელოვანი… ზოგს უფრო მეტადაც კი უხდება…

-ელენე ხომ იცი ამ თემაზე ვერ ვხუმრობ…უბრალოდ ფიქრიც არ მინდა….ეს ფიცი არ დამავიწყდება…..

-არც მე….არ დამავიწყდება….სახეზე ხელები მიადო…

-ზოგჯერ ვფიქრობ უშენოდ რა მეშველებოდა ნიკოლოზ, რა უნდა მექნა, როგორ უნდა მეცხოვრა?

-არადა, როგორი პრობლემური ვარ…..სულ ვერ ვისვენებ, სულ გღლი ჩემი აკვიატებებით, წიკებით….

-ზოგჯერ ვეღარ ვარჩევ რა გეკუთვნის შენ და რა მე….ჭიქას უკვე მეც ჩავყურებ….მეც მიჭირს კაფეში ან რესტორანში რამის შეჭმა….მეც ვაკვირდები სახლში ისეეთ რაღაცებს რასაც შენ, .ვფიქრობ ხოლმე რამ შეიძლება შეგაწუხოს…ვიცი შენ არ იტყვი…….

-ელენე როგორ დაგღალე…..არადა ვცდილობ, გეფიცები…ნიკას სახე მოეღრუბლა…

-ვიცი, ვიცი ნიკა, როგორ ცდილობ, ყოველდღე ვხედავ….შენ არასოდეს იმჩნევ, მაგრამ მე მინდა შენ იყო თავისუფლად….

……

ფიქრობდა წასვლაზე……თითქოს იქ ადგილს ვერ პოულობდა, თამაზის ჩამოშორება ახლა უფრო მტკივნეულად იგრძნო, ვიდრე ათი წლის წინ ყველას დაკარგვა……მთელი ეს წლები ბელთაური იყო მისი მეგობარი, მისი მეგობრებიც, ძმაც იყო და ზოგჯერ ასეთ განსაზღვრებებზეც მეტი…..მხოლოდ მან იცოდა და მხოლოდ მასთან შეეძლო რაღაც ეთქვა…ან არ ეთქვა, მაგრამ ხომ იცოდა, მანაც რომ იცოდა…… დრამანის თამაშზე წასვლაზე ფიქრობდა……პარიზში ჩავიდოდა, მაგრამ ჯერაც არ იცოდა რას იზავდა…..

ჩავიდა…მხოლოდ დემეტრესთან ერთად….უბრალოდ ისხდნენ ტრიბუნის ერთ „ჩვეულებრივ“ შეუმჩნეველ ადგილზე და ბედნიერები იყვნენ მარტივად ბედნიერები….

„ბედნიერებაა ითამაშო და ბედნიერებაა ასე გაფასებდნენ, რადგან იმსახურებ….მიხარია ის დრო რაც ერთად ვითამაშეთ…..ყველა გოლი, პასი და ვარჯიში…..ბევრჯერ შეგიქმნია ჩემთვის დღე და ბევრჯერ მცოდნია, უბრალოდ მარტივად მცოდნია, რომ ზოგჯერ სამყაროში საუკეთესო ფეხბურთელი იყავი…..იყო მომენტები, როცა შენ შეგეძლო გაგეკეთებინა ის რაც არავის დედამიწაზე…..მთელი გზა ღირსეული იყო……უფრო მეტი გამარჯვებით და სიმამაცით…..

ალბათ არ შემეძლო შენს გაცილებას არ დავსწრებოდი…..

სხვანაირად ალბათ არ დავესწრებოდი…..

დრამ წარმატებები და ბოდიში…..

მაპატიე რა……

შენ მხოლოდ მართალი ხარ!

განელი პრინცი!“

ერთად პარიზი დაათვალიერეს…..მთელი ქალაქი შემოიარეს, ნიკა აჩვენებდა იმ ადგილებს სადაც დაყავდა ხოლმე…..დემეტრეს არ ახსოვდა…..მაგრამ ყველაფერი მოქმედებდა…..მენაბდესაც უჭირდა, მაგრამ უიმისობა უფრო გაუჭირდებოდა…..სასტუმროში დაბრუნებულებს დრამანი დახვდათ……დემეტრეეს დანახვაზე აშკარად შეემსხვრა ბრაზი…..

-რამდენი დრო გავიდა…..ხმადაბლა ჩაილაპარაკა და დემეტრეს ხელი გაუწოდა…..ვერ აღწერდა მისთვის რას ნიშნავდა დრამანის გაწვდილი ხელი….გაბრწყინებული თვალებით უღიმოდა…..

-ძალიან გგავს…..ფრანგულად უთხრა…..

-მისთვის სულაც არ არის კომპლიმენტი……..

-ანუ ეს დრო ფუჭად არ დაგიკარგავს….თანაც მე გარეგნობაზე გითხარი….ირონიულად გაუღიმა „შავმა კაცმა“

-მიყვარს შენი მიხვედრილობა….

-მე კი მიკვირს თუ რამე გახსოვს ჩემი მიხვედრილობის,ისე შორს იყო ყველაფერი რამე რომ გაგიკვირდეს…

-არის რაღაცები რაც სულ გვახსოვს….

-კი! ბევრი რამ გვახსოვს! ერთად გაუტარებელი დროც….

-დრამ….ნიკამ გაუღიმა…..არ გვინდა რა……..

-კარგი…..ისეთი ხმით უთხრა იგრძნო, როგორ ჩაიქნია ხელი დრამანმა მასთან ყველაფერზე….

-მიხარია, რომ ისევ გნახე….ინგლისურად დაუმარცვლა დემეტრეს…..ზედმეტად შესამჩნევი იყო დემეტრეს სიხარული….

ზოგჯერ არაა საკმარისი, ვინმეს უთხრა რომ მართალია…უბრალოდ უნდა თქვა, რომ ტყუი….მარტივად…..დამატებების და განსაზღვრებების გარეშე…..

……

-დე რომელი კაბა გირჩევნია?

-აი ეს ყვითელი კოპლებით….

-ეს ხომ არ ჯობია ტასუნა…ელენემ ხელი თეთრ მაისურსა და ჯინსის ქვედაბოლოზე დაუდო…..ანასტასია დაფიქრდა…..მერე მოთენთილი დაჯდა საწოლზე და მხრები აიწურა….

-არ აქვს მაინც მნიშვნელობა…..

-რატომ დედიკო……რამე მოხდა?….მოიწყინე შენ? ანასტასიას ნიკაპი აუკანკალდა და მერე თვალებიც მოეხუჭა…..

-მამიკო და დემეტრე არ იქნებიან….მომენატრნენ…..წინა ახალი წელი ცუდი იყო, მაგრამ ეს უფრო ცუდია…..მაშინ მამიკო მოვიდა, კი იჩხუბა მაგრამ ხომ მოვიდა….თან რომ დავიძინე…მერე ეგონა, რომ მეძინა და მაშინ მაკოცა……მამიკო მოდიოდა ხოლმე და ჩუმად მკოცნიდა…ეგონა მეძინა……ახლა სულ არ ცხოვრობს ჩვენთან….. ახლა ხომ აღარ ყავს ცოლი……მამასთან რომ წავიდე შენგარეშე ვერ ვძლებ დედიკო….

-ანასტასია მამა რატომ გიყვარს? გულწრფელად კითხა ელენემ…არ იცოდა, ვერ ხვდებოდა რატომ შეიძლებოდა ასე ყვარებოდა….მართლა აინტერესებდა…..ანასტასიამ თვალები დაქაჩა, ვერ მიხვდა ამ კითხვაზე როგორ უნდა ეპასუხა……

-ჩემი მამიკოა და მიყვარს…..მარტივად მოუჭრა…..

-სხვაც რომ იყოს გეყვარებოდა? ან გინდა სხვა, სხვანაირი, რომ იყოს მამა? 6 წლის ასაკისთვის ძალიან მაცდუნებელი კითხვა იყო….ამ დროს ისეთი მამიკოები უნდათ ყველაზე მამაცები, რომ არიან ან ყველაზე მეტი, რომ იციან……და სხვა ბავშვური „ყველაზე“….

-როგორ უნდა იყოს სხვა ჩემი მამიკო….ჩემი მამიკო ჩემი მამიკოა…..მტკიცე ბავშვურობით პასუხობდა…..

-ანასტასია მიზეზი იცი რატომ გინდა მამასთან ხოლმე? რატომ გენატრება? რატომ გიყვარს? იმიტომ რომ ნიკა გენატრება, თუ ზოგადა მამა…..ანუ შენ გინდა დედამ და მამამ იცხოვროს ერთად თუ ნიკამ და მე?

-ყოველთვის ნაზად მკოცნის, არასოდეს მჩქმიტავს, როგორც მათე და ცოტნე ძიამ იციან, რომ მეფერებიან და სხვებმა….ყოველთვის კარგი სუნი აქვს, რომ ვეხუტები……სულ ხვდება რა მინდა…..ზოგჯერ არ აკეთებს ისე, როგორც მინდა, მაგრამ სულ ხვდება…..თუ მაწყენინა ყოველთვის ახსოვს და ბოდიშს აუცილებლად მიხდის, შეძლება დიდი ხსნის მერე მე რომ აღარც კი მახსოვს, მაგრამ თვითონ სულ ფიქრობს ამაზე……სკოლიდან რომ გამოვყავარ მინდა ბევრმა დამინახოს მასთან ერთად, რომ მოვდივარ მინდა ნახონ როგორი ლამაზია…..ელენეს გაეცინა…..ჩემ მასწავლებელს აცინებს ხოლმე…..ჩემ მეგობრებსაც……მამიკოს მანქანაში სულ სისუფთავეა…..კევი სულ ერთსა და იგივე ადგილზე უდევს, მე სულ ვიღებ…..სულ მბანს ხელებს, როცა ერთად რამეს ვჭამთ…..მისწორებს ტანსაცმელს, როცა წელი მიჩანს……მაღაზიაში

მისი არჩეული ტანსაცმელი მიყვარს იმაში სულ თავისუფლად ვარ…..ხელში მიყვანს, როცა სიარულით ვიღლები და არ იღლება ჩემი ტარებით, ამას თავისით ხვდება….არასოდეს ჭამს ხმაურიანად…..არასოდეს ხელებით…..სულ მოწესრიგებულად აცვია….ყოველთვის ასრულებს რასაც დამპირდება……სხვა მამებივით არ ეწევა სიგარეტს……არც იგინება ქუჩაში……არც აფურთხებს…….მასთან კარგად ვარ…..არ მინდა სხვა მამა მყავდეს…..ესეთი მინდა და მენატრება ხოლმე…..

ელენე გაჩუმებული უყურებდა, მართლა ვერ წარმოედგინა ესე პატარას როგორ შეეძლო ამდენი რამის შემჩნევა და დანახვა….როგორ შეეძლო დაეხასიათებინა ასე….წვრილმანები, დეტალები და ყველაფერი ესე გააზრებული ჰქონოდა…..

-დე გინდა ბაბუსთან ავიდეთ წყნეთში…..ამ ახალ წელს იქ შევხვდეთ, ბებიკო გაგიკეთებს შენ რომ გოზინაყი გიყვარს ზუსტად ისეთს…..ცოტნე ძიაც იქ იქნება…..მერე თუ მოგინდება იქითაც გადახვალ…ერეკლე და ცოტნესთან…..მამიდასთან…..ვერაფრით შეატყო შვილს სიხარული…ანასტასია მორჩილად უღიმოდა, მაგრამ არაფერი უხაროდა……შენი სურვილები? დაწერე ტასო და მერე დავწვათ, რომ აგისრულდეს….

-არ მინდა დე…..ანასტასია თავის ჯინსის ქვედაბოლოსთან მივიდა….ესე არ სრულდება სურვილები….რომ სრულდებოდეს ახლა მარტო არ ვიქნებოდით….ელენემ აღარაფერი უპასუხა ლოყაზე აკოცა და წასასვლელად გაამზადა…..თბილად ჩაიცვეს გარეთ ძალიან ციოდა……შუადღის სამისთვის უკვე წყნეთში იყვნენ….ანასტასიაც გამხიარულდა, ხან იქით სახლში იყო ხან აქეთ……ამით თითქოს ივსებდა სიმარტოვეს ასე ღრმად, რომ ჰქონდა…..აგიჟებდა სახლში გამეფებული ფუსფუსი ისე უყვარდა…..სამზარეულოს „საახალწლო“ სუნი….გოზინაყით, ჩურჩხელით…..ბუხრის შეშის ტკაცუნი, სითბო…..ტკბილეულობა….ადამიანები…..10 საათზე დემეტრე შემოვიდა საჩუქრებით ხელში….ანასტასია გაბრწყინებული გაექანა ძმისკენ…..

-ჩემო პატარა…..ჩემი კაპარჩხინა გოგო….

-რატომ არ მითხარი რომ გელაპარაკე თუ მოდიოდი…..მოვიწყინე მე…..ანასტასიამ სასაცილოდ უსაყვედურა….

-სურპრიზი იყო და იმიტომ….საჩქრებს 12 ის მერე გაგიხსნი….ბევრი შოკოლადია……ელენეს დემეტრეს დანახვაზე ყველაფერი დაავიწყდა…..რამდენიმე წამი ხელი ვერ გაუშვა ისე ჩაეხუტა….

-დემე რატომ არ მითხარი თუ მოდიოდი…..ცდილობდა წინადადებებში არ გამოჩენილიყო ნიკა…..

-სურპრიზი გვინდოდა…..მამაც აქაა….იქით სახლში…..დემეტრეს არ გამორჩენია და განზრახაც ახსენა….

-მაგას როგორმე ჩვენც მივხვდებოდით…იქით იქნება აბა რომ შემოვიდეს მეორე ფეხსაც მოვამტვრევ….ასე მწარედ არაფერი მოხვდერია დემეტრეს გულზე, როგორც ბიძამისის სიტყვები……ჰაერი მძიმედ ჩაისუნთქა…..

-ანუ აქ არ შეუძლია შემოვიდეს? ამ სახლში? ნერვიულად დააბრუნა კითხვა…

-არა! მაშინვე უპასუხა ცოტნემ და ელენეს შეხედა……

-მაშინ მეც წავალ! ჩემი დაც წამოვა! მტკიცედ თქვა დემეტრემ და გასასვლელისკენ წავიდა…..

-დემეტრე მოიცადე…..ელენე დაეწია და მხრებზე ხელი დაადო….

-დედა მე იქით ვიქნები…..იქ შევხვდები ახალ წელს….

-მეც მინდა….გამოიქცა ანასტასია…..მამიკოც თუ იქაა…..

-ელენე შენ რჩები და შენ ამათ გარეშე არ მგონია ახალი წელი შეგერგოს…ამიტომ შეგიძლია შენც წახვიდე მე არ მეწყინება…..

-ცოტნე რა გჭირს ასე რატომ ლაპარაკობ?

-რატომ?….ესე ადვილად ყველა ყველაფერს რატომ ივიწყებთ? ორჯერ გადაბმულად მოიქცა ადამიანურად და მორჩა? დამთავრდა გმირია? დიდი ხანია გვერდით გიყენებს დემეტრე? დიდი ხანია აღარ გძაბავს?

-ცოტნე გთხოვ რა ნაირად ელაპარაკები ბავშვია…..ელენე ძმას ვერ ცნობდა….

-უბრალოდ მინდა რაღაცები გახსოვდეთ….

-იქ სადაც მამაჩემი ვერ შემოვა ვფიქრობ არც მე მეკუთნის ყოფნა……

-ესე ივიწყებ?

-არაფერს ვივიწყებ, უბრალოდ ახლა რამდენიმე წუთის წინ ძალიან კარგად ვიყავი….ახლა კი ძალიან ცუდად ვარ რადგან არჩევანის გაკეთება მიწევს…….არ ვაპირებ ვინმესთან მამაჩემი გავარჩიო……არ მინდა ვინმემ რამე მახსენოს, პირველი ჩემზე მოქმედებდა ეს ყველაფერი და მე ყველაზე მეტად მიჭირდა და თუ მე გადავლახე ესე იგი ასეა საჭირო…..ანუ შემიძლია….უფრო სწორად მის გარეშე არ შემიძლია……

-დედიკოც წამოვიდეს რა…..დემეტრეს ხელი ჩაჭიდა და ელენესკენ გაიშვირა მეორე…..

-ეს ბავშვები არანორმალურები არიან, ჩაილაპარაკა ცოტნემ…..

-მინდა სადაც ვიქნები იქ მამაჩემი მისაღები იყოს, თუ არადა ვფიქრობ რომ ისეთ ადგილზე არ უნდა ვიყო სადაც ის ძულთ…..ელენეს მართლა არ უნდოდა იმ სახლში გადასვლა…..ლაპარაკში იყვნენ კარზე ზარი, რომ იყო……სახლში „შავი კაცი“ შემოვიდა სიცილით……

-დრამ? გაეცინა ცოტნეს….ვااااა შენ?….აქ რას აკეთებ…..

-გილოცავთ…..დრამანი ელენეს მოეხვია….უკან ბელთაური შემოყვა…..მერე მათეც…

-მოციქულები გამოგზავნა…ჩაიდუდღუნა ცოტნემ……

-როგორ ხარ დრამან? ელენეს ძალიან გაუკვირდა და გაეხარდა….

-მე კარგად ვარ…აქაურობა მომნატრებია….თბილისი გალამაზებულა…….

-ამან მარტო ცენტრი ნახა…სიცილით დაამატა ბელთაურმა….

-ჩვენ რაგბის სათამაშოდ მივდივართ, თუ გინდა ცოტნე წამოდი…..შეაპარა მათემ…..

-ახალ წელს?

-ხო, სანამ თორმეტი გახდება რამდენჯერმე უნდა დავამიწოთ ბურთი….აქვე სტადიონი როა იქ……..რავიცი თუ გინდა წამოდი……ჩაილაპარაკა მათემ…..

-ბატონი ნიკაც თამაშობს? გამომწვევად იკითხა ცოტნემ…

-ბატონი ნიკა და რაგბი სხვადასხვა პოლუსებია….ნიკა თბილისში დაბრუნდა რაღაც საქმე ჰქონდა……ელენეს რაღაც ჩაწყდა……თითქოს საკუთარი თავი შეაგუა, რომ უნდა ენახა…

-ეგ რომელიმე გარდასახვისთვის მოგვისწრებს ალბათ…..თქვა თამაზმა…

-თან აჭარულ ხაჩაპურებს ამოიტანს მომენატრა ძალიან და დავავალეთ….გაეცინა დრამანს…..

-წამო ახლა…ბელთაურმა მხარზე ხელი წაკრა….

-ყველანი გარეთ ვხვდებით ახალ წელს…….აბა ესე ორად გაყოფილები…აქეთ იქით სახლში რა უბედურებაა…..

-არ ვიცი მათე….არ მინდა რაღაც ცივა…..

-ჩაიცვი მერე და გამოდი გარეთ…..დრამანმა გადაუწყვიტა პრობლემა….

-არა რა….ცოტნეს აშკარად უნდოდა გასვლა, მაგრამ რაღაცას ვერაფრით ახტებოდა…

-კარგი ჩვენც აქ ვიქნებით…..თამაზი დივანზე ჩამოჯდა და ელენეს გაუცინა…..არც შეუმჩნევია მეჯვარეე….მერე დაეღრიჯა და ენა გამოუყო…..

-რატომ არ მელაპარაკები ელენე?…

-არ გინდა….გაბრაზებულმა უპასუხა….

-ნიკა აშკარად უფრო ჰუმანურია, დღეს თვითონ დამირეკა, ნუ იცოდა ისეც რომ მოვიდოდი, მაგრამ მაინც…….მე და ნინას სახლში რაღაცების გამზადება გვეზარებოდა და აქეთ წამოვედით…

-თამაზ არ მიკითხავს არაფერი…..

-ელენე რა უხეში ხარ, შეიცხადა თამაზმა……

-უბრალოდ აღარ გენდობი….

-არაფერს დავაშავებ….

-ხო რა თქმა უნდა…ყოველ სიტყვაში ცდილობ შენი მეგობარი სადმე ახსენო…..ამის გამო ნინას სიზარმაცეც დასწამე და იმაზე ლაპარაკი ზედმეტია ის დავიჯერო ნიკამ რომ დაგირეკა….

-არადა მართლა დამირეკა…გაეცინა თამაზს…ნინაზე კი ვჩუმდები, იმედია არ ეტყვი, თორემ მე თქვენნაირი მეჯვარეები არ მყავს და უმწეოდ ვიგრძნობ თავს…….ბოლოს უკვე სიცილი ვეღარც მათემ შეიკავა….ელენე კი კიდევ უფრო გაბრაზდა…..

თორმეტი სრულდებოდა მაიას კივილი, რომ გაიგეს……..ყველა გარეთ გაიქცა….ძალიან შეეშინდათ….მაია კი აგრძელებდა….

-ნიკა ჩამოდი….ნიკა გთხოვ…..გეხვეწები…..უძახდა სახურავზე მყოფ შვილს.

-ისე ნუ ყვირი თითქოს თავს ვიკლავდე …..ჩამოვალ….

-ახლა ჩქარა თორემ არ ვიცი რას გიზავ!!!!! მაია უკვე წყობიდან იყო გამოსული….მოყინულია ყველაფერი….ჩამოვარდები, ახლა მანდ რომ არ ასულიყავი…..

-მოვდივარ დედა…..ნუ ყვირი გეხვეწები ახალი წლის საღამოა და ხალხს ნუ შეაშინებ…..აი 5 წუთი და მოვრჩები…….სირცხვილია დედა…….

-გეფიცები ახლა თუ არ ჩამოხვალ მე ამოვალ და ჩამოგიყვან….პატარა ბავშვებს არ დადევენ ასე……დაგიცდება ფეხი, მოყინულია ყველაფერი…თან სულ სველი ხარ….ნიკა არ ვიცი ხმას არ გაგცემ……ქუდი მაინც დაგეფარებინა……ერთი საათა უკვე მანდ ხარ….

-არა რა რაც არ უნდა იყოს დედაჩემი მაინც ყველაზე „სხვანაირად სხვანაირია“ ვერავინ შეგვკრიბა ასე ყველა გარეთ ერთი დაიკივლა და…მათე ხარხარებდა…..

-ნიკოლოზ ხომ ხარ ჯანმრთელად? რას აკეთებ მანდ? დაუძახა ბელთაურმა….

-მოვრჩი!!!! რომელი საათია?

-ნახევარია….მოუთმენლად ასძახა მაიამ….

-ტასოს ღვიძავს?

-აქ ვარ მამიკო….. თავიდან ბოლომდე შეფუთულმა ანასტასიამ დაიკივლა, რომ როგორმე ხმა მიეწვდინა….

-ტასო დამელოდე მამა…..

-ჩამოდი თორემ მოგკლავ..არ ჩერდებოდა მაია…..

-მოვდივარ…..მათე დედა გაანეიტრალე თორემ ვერ მოვასწრებ….

-აუ ნიკაა მანდედან ისე არ ჩამოხვიდე, რომ სელფი არ გადაიღო…..ასძახა ბელთაურმა..

-როგორ უბერავ! სასაცილოდ არ ეყო მენაბდეს….

-აუ პროსტა ტეხავს რა მანდედან, რომ ისე ჩამოხვიდე…..

-არ იცნობდე ახლა, დაგენიძლავები არ იცის სელფი რა არის…..მათემ გააღიზიანა განზრახ და მერე ორივე ფხუკუნობდა….

-თქვენ რამე ხომ არ მოწიეთ…..რას იღრიჯებით…..

-აუ ნიკუშ ტელეფონი ხომ გაქვს მანდ? თუ მთლად ასეთი ასოციალური ხარ?

-მოვდივარ მე….სისულეეებს ბოდავ ახლა მე მაგას, რომ არ გადავიღებ იცი…

-აუ მიდი რა….გთხოვ…..მაგარია სახურავზე რაა…..უკან მთები ჩანს….

-ამოდი მერე თუ კარგი ადგილია….ამ სიბნელეში არაფერი ჩანს…

-ორივეს დაგხოცავთ…მაიამ თვალები გადაუბრიალა თამაზს…..

-ძალიან გთხოვთ…ნიკამ მთხოვა და უნდა ავიდე…..ეწყინება…მოისაწყლა თავი…

-არ მითხოვია ..არ მეწყინება ისე თუ არ შეგიძლია….

-მენაბდე ბევრს ლაპარაკობ….თამაზი უკვე სახურავზე ასაასვლელ „გზაში“ იყო…..

-მომაშორე ხელები, არ მინდა დამანებე თავი…..აუ ბელთაური გაჩერდი….არ მინდა სურათი…….რა საზიზღარი გამოვიდა, რას გავხარ!!!

-თუ კარგია შენ რას გავხარ…..

-ხო კარგი, რას ვგავართ და წაშალე მიდი…..

-შენ პირველ სელფს რა წამაშლევინებს……

-რა იდიოტი ხარ……

-მოდი უკეთესი გადავიღოთ და ამას წავშლი…..

-ვაჭარი ხარ რა….

-ამოდით ყველანი აქ! დაიძახა თამაზმა….. და მაიას კივილი თავს დაატყდა….

უკვე აზრი აღარ ჰქონდა, მათეც, დრამანიც და გეგაც სახურავზე ადიოდნენ……იმდენი სურათი ცხოვრებაში არ გადაუღიათ……ელენე მარტო იმიტომ არ მიდიოდა, რომ ტასო ხელს არ უშვებდა…..არც სახლში მიყვებოდა…..ცოტნესაც გული შეკუმშვოდა ისე უნდოდა მათთან ერთად……ახსენდებოდა ყველაფერი რასაც ერთად ჩადიოდნენ….თითქოს დრო არც გასულა…ყველაა ისეთი იყო…..

-მალე ჩამოდი მამა დაიკივლა ტასუნამ….

-ჩემი წერტილი ხარ შენ!

-ტუჩები მოწრუპეთ ყველამ……გასცა ბრძანება ბელთაურმა…..

-აუ ეს ვერაااა….დაუყვირა მათემ, მაგრამ ბოლოს მაინც ყველამ შეასრულა „ბრძანება“

-დრამ შუაში ჩადექი რა…….უკვე მათე ისე იყო გართული თამაზს უბრაზდებოდა ცოტა სწრაფად გადაეღო ბელთაურს სიცილით ხელები უკანკალებდა და ძლივს იღებდა…

-ვერც ერთი ეღირსებით გოზინაყს!….სხვა რაღაცებიც მოიაზრება აქ……მაიას მშვიდი მაგრამ კატეგორიული ხმა გაისმა…..

-ახლავე მაია დეიდა, ამათ ვეჩხუბები ჩამოვიდნონ, მაგრამ ძალიან გაერთნენ….თამაზი სასაცილოდ ლაპარაკობდა თან უკვე ჩამოდიოდა…..

-მუცლის მონა! დაუყვირა მათემ….

-ნიკა რა დაუძახა? ვერ გაიგო დრამანმა…ქართულად….და ნიკას ჰკითხა ხმადაბლა..

-არაფერი მნიშვნელოვანი…..მემგონი გოზინაყის გარეშე ვრჩებით….ამის მერე მეორე დრამანი ჩავიდა…….

ჩაფუთნული ტასუნა მამამისისკენ გაიქცა……მედგრად იდგა ახალი წლის შესახვედრად…..

-ჩემი ტატია….როგორ ხარ მამა? ანასტასიამ თავი მხარზე დაადო და მიეკრა…

-კარგად…..როგორ გამიხარდა, რომ ჩამოხვედით….ისე მოვიწყინე დემეტრეც კი მომენატრა…

-გოგო……არადა ისე მოგენატრე თვალები ლამის აგიფეთქდა, რომ დამინახე….გამოაჯავრა დემეტრემ…..

-თვალები არ ფეთქდება ჯერ ერთი…..

-ტრიპაჩი…ჩაიდუდღუნა დემეტრემ…..ნიკა ელენესთან მისვლას აპირებდა ცოტნეს მზერას რომ წააწყდა…..

-გამარჯობა ცოტნე……არაფერი უპასუხა ელენეს მხარზე ხელი დაადო და სახლისკენ წავიდნენ……

-ტასო იცი რამდენი საჩუქარი ჩამოგიტანე……დემეტრეს გაყევი გაჩვენებს….სწრაფად დაეწია ელენეს და ცოტნეს…..

-შეიძლება გელაპარაკო…..

-ხელი გაწიე, დაუღრიალა ცოტნემ…….ნიკამ მალევე მოაშორა ხელი….

-ცოტნე ვილაპარაკოთ……

-შენ ჯობია დაბრუნდე გეტყობა კარგად ერთობი…..

-ვცდილობ, მაგრამ ბევრი ადამიანი გვაკლია ადრინდელივით რომ ვიყოთ……

-სულ ასე იქნება……და ეს ყველაფერი შენი დამსახურებაა…..ცოტნე ბრაზობდა….

-ელენე მიყვარს….მოულოდნელად უთხრა…….ვიცი, რომ შენს ადგილზე მე არ დაგიჯერებდი, მაგრამ მაინც მაქვს იმედი, რომ გამიგებ ყველაფრის შეცვლა, რომ მინდა….

-ნიკა ამდენი ოპტიმიზმი უკვე სიგიჟეა…..გაეცინა ცოტნეს…

-სხვანაირად ვერ გავძლებ….რომ არ მჯეროდეს ვერ ვიცოცხლებ….

-ნიკა საუბარი არ გამოგვდის ხოლმე და ჯობია ამ დღეს მაინც….ელენემ ცადა ეს ლაპარაკი აერიდებინა……

-მენაბდე ხომ იცი არ აქვს აზრი, შენზე წარმოდგენა დიდი ხანია დაკარგული მაქვს და სიმართლე გითხრა არც შენი გაგება მინდა…..ცოტნეს სიბრაზე მართალია შესუსტებული იყო მიზეზის გაგების შემდეგ, მაგრამ მაინც ვერ ახერხებდა დავიწყებას…..ელენე სახლისკენ წავიდა….

-არ ვიცი, რატომ მაგრამ ფიქრი იმაზე, რომ არაფერი იქნება ძველებურად ყველაფრის ხალის მიკარგავს…..ვიცი, რომ ძალიან დავაგვიანე….

-ნიკა!!!!

-უბრალოდ მომისმინე, გთხოვ….ამდენი წელია არ მინდოდა ლაპარაკი, არ ვლაპარაკობდი და თუ ძალიან არ შეგაწუხებ რამდენიმე წუთი მომისმინე ცოტნე. მე რომ ესე ცხოვრება გადავწყვიტე ჩემი გადაწყვეტილება ნორმალურ ცხოვრებაში დაბრუნებას არ გულისხმობდა არასოდეს, არც ათი და არც ოცი წლის შემდეგ…..ამიტომ ვიყავი ალბათ ასე უსაშველოდ აუტანელი, ძალიან მწყდება გული ცოტნე….მწყდება გული იმაზე, რომ ძალიან გაგვიფუჭდა ურთიერთობა არადა სულ სხვანაირად ჩანდა ყველაფერი…ვიცი რომ არაფერი იქნება ძველებურად ვერც თქვენ და ვერც მე ვერ დავივიწყებთ ჩემს საქციელს……მაგრამ ახლა მინდა თუ ოდნავ მაინც დამრჩა შესაძლებლობა რამე გამოვასწორო, მინდა რომ გამოვასწორო…..არ ვიცი რატომ გამიმართლა ასე, ვგრძნობ, რომ არ ვიმსახურებ, მაგრამ მე შვილები მყავს, რომლებსაც ისევე დაუმსახურებლად ვუყვარვარ როგორი დაუმსახურებელიც ჩემთვისაა მათი სიყვარული….არ მინდა ესეც დავკარგო…..

-ეგ რა შუაშია…

-დამამთავრებინე გთხოვ….მე მათი სიყვარული გულწრფელად მიკვირს…..მაგრამ ძალას მაძლევს მჯეროდეს, რომ უკეთესად იქნება ყველაფერი….მიკვირს როგორ შეინარჩუნეს ჩემი ნორმალური სახე, არც კი მახსოვს მქონდა თუ არა მათ თვალში….ეს ყველაფერი მიკვირს…..ალბათ შენ არ გაგიკვირდება რომ ყველაფერზე მეტად მიყვარან….როგორც შემიძლია ისე….ამის გამო შენ ჩემთვის იმაზე მნიშვნელოვანი ხარ ვიდრე წარმოიდგენ…..ამის გამო მინდა ურთიერთობა დავაბალანსოთ….ნუ გამიხსენებ წარსულს მე ის ისედაც არ მავიწყდება…..არ მინდა დემეტრე ნერვიულობდეს იმაზე ორივე ერთად თუ ვიქნებით სადმე არ ვიჩხუბოთ…არ ვიკამათოთ…..არ გვძულდეს ერთმანეთი….მერე რა რომ ვიმსახურებ……უბრალოდ გთხოვ….მაპატიე, ცოტნე შენი და რომ ესე დავტანჯე…..მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მეც არასოდეს ვყოფილვარ უკეთესად…..

-კარგი ნიკა შეიძლება მართალი ხარ, დემეტრესთვის ასე აჯობებს. ვეცდები თავი შევიკავო….დღეს ცოტა გავაბრაზე….

-რატო? მე დამიცვა? გაეღიმა ნიკას…..

-ყველას დაკარგავს შენი და ელენეს გარდა…..რაც არ უნდა იყოს სიმართლე გითხრა მესიამოვნა ვიდრე მეწყინა…..

-ვიცი, მადლობა ცოტნე…..ჩვენთან მინდა იყო….ვიცი შენც გინდა….დრამანი ვიცი როგორ მოგენატრებოდა..

-მინდა, მაგრამ რადგან შენც ხარ არ იქ ვერ ვიქნები….

-ვხვდები….ამისთვისაც ბოდიში…..

-კარგი ბედნიერი ახალი წელი……

-შენც ასევე……

12 სრულდებოდა….არ ჯეროდა ახალი წლის განსაკუთრებულობის, მაგრამ სულ გრძნობდა…..ნაძვისხესთან ტასუნასთან ერთად ჩაუთქვა სურვილი..გრძნობდნენ, რომ სულ ვიღაც აკლდათ სახლში…..გრძნობდა ბავშვებიც როგორ იტანჯებოდნენ ამის გამო…ან დედა არ იყო ან მამა……მაია ბავშვებს ლამის გამოეტირა….

-დედა აქვე გადამყავს, ისეთი სახე გაქვს თითქოს საზღვარგარეთ მიდიოდნენ…

-გაჩერდი ნიკა…აქვე რომ გადაგყავს ამიტომ ვარ ესე ცუდად……კარგი იქნებოდა ამათ გადასვლას ელენე მოდიოდეს ჩვენთან…..ძალიან გვენატრება სხვათა შორის შენზე მეტად….ნიკას ხმამაღლა გაეცინა…..

-ყოფილი რძალი შვილზე მეტად არ უნდა გიყვარდეს…ჩაჩურჩულა, იცოდა გააბრაზებდა….

-ნუ მასწავლი რა როგორ უნდა იყოს…..

-კარგი ბუზღუნა, მალე მოვალ….

კარი ზურამ გააღო, შვილიშვილებს გაუღიმა…. ზრდილობის გამო ნიკას შესთავაზა შესვლა….

-დიდი მადლობა, გილოცავთ…..

-მადლობ შენც გილოცავ ნიკა….შემოდი მეკვლე ხარ…..თავი აღარ გამოუდია თან ელენეს ნახვა უნდოდა და მათთან შევიდა….

-რას დალევ? ზურამ დასაჯდომად ანიშნა…..

-მადლობა, არ შეწუხდეთ…..არაფერი მინდა…..

-არ სვავ? ცოტა კი გაუკვირდა ზურას ნიკასგან….

-აღარ….გაეღიმა მენაბდეს….რადგან ელენე ზევით იყო და დაბლა არ ჩამოსულა, ტასუნამ მამამის მოხვია ხელები და ყველას გასაგონად შეეხვეწა დასაძინებლად წაეყვანა, მერე გაეღიმა დემეტრემ, რომ თვალი ჩაუკრა და ისევ მოკოსა თვალები თითქოს ძალიან ეძინებოდა……დერეფანში ღიმილით მიდიოდა ნიკა…თავს ვერაფრით იკავებდა მას მერე რაც სარკეში დემეტრეს და ტასუნას ‘შეთქმულება“ დაინახა…..აბაზანიდან ელენე გამოდიოდა თვალები ნამტირალევი ჰქონდა, ნიკას სულ დაავიწყდა ოდესმე თუ ჰქონდა ღიმილის მიზეზი მის ასე დანახვაზე…..

-აქ რა გინდა?

-გილოცავ!

-მადლობა შენც, მრავალ ახალ წელს….ცადა უხეშობის გამოსწორება ელენემ…

-შენთან ერთად…..არ დაასრულებინა…..ელენე გაწითლდა….ხელით ანიშნა რომელ ოთახში უნდა შეეყვანა ანასტასია…..ნიკამ ფრთხილად დააწვინა…..ფეხსაცმელების გახდას აპირებდა….

-არ გინდა ნიკა, მე მოვაწესრიგებ….გამოსაცვლელია ესე ვერ დაიძინებს ისედაც….ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია…მხოლოდ თავით ანიშნა, რომ გაიგო…..

-ანატატია არ დაიძინო 15 წუთი კარგი მამა?

-ეგ როგორ გავიგო მამიკო 15 წუთი რამდენია….ნიკას გაეცინა, საათი მოიხსნა და ტასოს მისცა ხელებში…აი ეს დიდი ისარი 6 დან 9 სთან მანამ მივა არ დაიძინო…..ანასტასიამ თავი დაუქნია და გაუცინა……მერე მოეხვია, ისე რომ საათი ხელიდან არ გაუშვია, პატარა ხელებში სასაცილოდ ეჭირა……

-ძალიან მიყვარხარ ჩემო მეტიჩარა…..9 სთან რომ მივა ისარი ფანჯარაში გამოიხედე კარგი? ანასტასია საყვარლად გაინაბა ესე საიდუმლოდ რომ უთხრა, მამამისმა…..გასასვლელად ადგა….ელენეს ანიშნა, რომ გაყოლოდა..

-ტასოსთან დავრჩები…

-არ დამელაპარაკები?

-ნიკა რა აზრი აქვს?

-შენთვის თუ არ აქვს ჩემთვის აქვს……

-ნიკა კარგი რა….

-ახალ წელს სურვილებზე უარს არ ეუბნებიან…..

-მართლა? ეს ახლა გაგახსენდა?

-15 წუთზე მეტი მაინც არ გვაქვს, სულ ცოტა ხანი…..ჩაიცვი გარეთ ცივა……

-დიდ ხანს არ ვიქნებით და ამიტომ არ მინდა მაგის მოცმა…..განზრახ ქურთუკის გარეშე გაყვა იქიდან დასაბრუნებელი მიზეზი, რომ ჰქონოდა…..

-ელენე როგორ ხარ? ნიკამ მხრებზე ხელი ჩამოუსვა….

-კარგად.

-მართლა? ძალიან მოწყენილი ხარ….

-გამივლის….ტუჩები სიცივისგან გაულურჯდა……ნიკამ ქურთუკი გაიხადა….

-არ მინდა….

-ჰერკულესობას მართლა არ ვცდილობ უბრალოდ სიცივისგან გალურჯდი თან ჩემი ბრალია აქ რომ ხარ….

-მაშინ შევალ….

-ესე რატო მექცევი?

-როგორ?

-აი ისე რომ მინდება მართლა რაღაც მჭირდეს…..

-ნუ სულელობ….

-ხელი რატომ გამიშვი?….

-რას ამბობ?

-ხომ დამპირდი…ათი წლის წინ ხომ დამპირდი….

-შენ თვითონ წახვედი და ახლა….ელენე ბრაზისგან აენთო..

-დარწმუნებული ხარ რომ წავედი?

-ნიკა არ გინდა….მენაბდემ საკუთარი ქურთუკი მოაცვა და მოეხვია, აწეული თმა გაუშალა….ელენე გრძნობდა, რომ ცოტაც და აკანკალდებოდა ნერვიულობისგან….ვერაფრით შორდებოდა…..

-ნიკა ეს ლაპარაკი არ არის, სხვა დროს მეცოდინება….მენაბდე შეკრთა…

-ელენე ესე როგორ გაცივდი….

-შენგან ვისწავლე…..

-იცი, რომ ასე ლაპარაკი შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს….ვერ ამოწურავ იმდენი სასაყვედურო გაქვს, იმდენი გასახსენებელი…ასე გამოდის, რომ სულ ამაზე უნდა ვილაპარაკოთ..

-საერთოდ არ ვილაპარაკოთ! არ მინდა შენს ირგვლივ ყოფნა ნიკა….

-რა შეიცვალა ელენე? ის რომ არ ვკვდები ყველაფრის შეცვლის მიზეზია?

-არა ნიკა ეგ არა, შენ ხომ ხვდები რასაც ვგულისხმობ? მე შენი ცვლილების არ მჯერა! არ ვარ დარწმუნებული, რომ ისე აღარ გაგრძელდება….

-აღარ გაგრძელდება?მარტო ეს გაკავებს? ელენე დაიბნა, გაწითლდა მიხვდა არ უნდა ეთქვა….

-მარტო იმიტომ არ გინდა ჩემთან, რომ არ ხარ დარწმუნებული ნამდვილად გადავლახე? სხვა ყველაფერი იგივეა?

-მარტო მაგიტომ არა, ნიკა არ მინდა დაღლილი ვარ ძალიან….

-ელენე ხომ არ მოგატყუებ?

-ნიკა შენთან ყოფნა არ მინდა, მაღიზიანებ, უარყოფით განცდებს იწვევ, შენთან, რომ ვარ საკუთარ თავს პატივს ვეღარ ვცემ, დაძაბული ვარ, მგონია რომ რაღაცას ვაშავებ….შენი ღიმილი, ხმა, თითები, მზერა ყველაფერი მაღიზიანებს…..არ მინდა შენთან ერთად…..არ მიყვარხარ…..

შეგრძნება, რომ სიმართლეს ამბობდა ნიკას ყველაფრის ძალას აცლიდა, ძლივს იდგა ფეხზე, ვეღარც სიცივეს გძნობდა…..რამდენიმე წამის შემდეგ, მისმა სიტყვებმა დიდი ძალა შემატა ფეხზე მდგარიყო, იქ ხვეწნა მუდარა არ დაეწყო….სულ იცოდა, რომ უარყოფილი თუ იქნებოდა უკან აღარ მიიხედავდა…..

-ძალიან ვწუხვარ დრო რომ დაგაკარგვინე….კარგი მე სახლში გადავალ, ბოდიში, რომ ასეთ სიცივეში გამოგიყვანე…..ყინულივით ხმა ჰქონდა….ვერ გაიხსენა საიდან ეცნობოდა, რომელი პერიოდიდან ჰქონდა ნიკას ასეთი ხმა, არადა აშკარად ახსოვდა ეს გამოხედვაც, ეს ხმაც და ეს გამყინავი სიცივეც….უხმოდ შევიდა სახლში, გონება კი ამის გახსენებას ჯიუტად ცდილობდა….სანამ ანასტასიას ოთახში შევიდოდა ის შეგრძნებები განუახლდა ახალი გათხოვილი, რომ იყო და ნიკა პირველად გაუბრაზდა…..გაახსენდა, როგორ გაეყინა სისხლი მის რეაქციაზე, როგორ განიცადა მისი სიმშიდე და კატეგორიულობა, როგორ შეეშინდა, მაშინ პირველად შეეშინდა, რომ დაკარგავდა…..ნიკა კი ისეთი გაბრაზებული იყო, ისეთი ნაწყენი, რომ ოდნავადაც არ იმჩნევდა ცოლს…..ისიც გაახსენდა მეგობრებთან ერთად ბარში, რომ წავიდა ნიკას მეტს ვერავის დაურეკა და იმის გახსენება, რომ ის იქ იყო საერთოდ ურევდა ყველაფერს. მერე ისიც გაახსენდა, რომ ეს არ იყო ნიკას გაბრაზება, არც ამ დროს გაბრაზებია….ეწყინა და

მერე ახსოვდა, როგორ ინერვიულა მას, რომ აწყენინა, რამდენი იწვალა, სოფელში, რომ ჩააკითხა….საერთოდ რომ აღარაფერი აინტერესებდა მის გარდა..

-ასე უკეთესია, გულში თქვა და ტასოსთან შევიდა.

-დე მამიკოს მოსაცმელი გაცვია….ელენემ ახლა გაიაზრა და სწრაფად გაიხადა…..

-მოდი დე გამოვიცვალოთ…

-ნახე უკვე გამოვიცვალე, საბანი სასაცილოდ გადაიძრო და პრინცესებიანი პიჟამოები ეცვა….

-როგორ გაიზარდე ჩემო სიხარულო….ანასტასიას ნიკას საათი ისევ ხელში ეჭირა და ყოველწუთს ამოწმებდა…. ელენემ საბანი კარგად დააფარა და თმაზე აკოცა…

-დედიკო მამას წაუღე ეს არ შეცივდეს….ხელით ანიშნა ნიკას ქურთუკზე…ელენემ გაუღიმა….ოთახში შევიდა და ვერც კი გაიაზრა, როგორ ჩაიხუტა მისი ქურთუკი,, გრძნობდა მის სუნს და თითქოს არაფერი იყო უჩვეულო…ძლივს გამოერკვა და უხეშად მიაგდო….მაინც ვერ მოითმინა, აიღო და საგულდაგულოდ გაუწმინდა…..საკუთარ თავზე კიდე უფრო ეშლებოდა ნერვები…..იმის გააზრება, რომ ამდენი ხანი უბრალო ტანსაცმელს უთმობდა ყურადღებას ნერვებს უშლიდა…..საშინლად აინტერესებდა რა ედო….შერცხვა, მაგრამ მაინც ჩააცურა ხელი….მონპელიეს მოწვევის წაკითხვაზე თითქოს მიწისძვრა იგრძნო, სწრაფად დაკეცა ზუსტად ისე როგორც იყო, იცოდა ნიკა ასეთ რაღაცებს აკვირდებოდა და თავის ადგილზე დააბრუნა….მეორე ჯიბეში შოკოლადი ედო ერთი ცალი, კარგად, რომ დააკვირდა მცირე ცვლილებების მიუხედავად იცნო, რომ პარიზში მათ სახლთან, რომ მაღაზია იყო და ელენე, რომ სულ იქ ყიდულობდა შკოლადს იქიდან იყო….

-„ნიკა შენი ქურთუკი მე გამყვა, გამოგაწოდებ თუ გინდა, გარეთ გამოდი“ სწრაფად მიწერა…..არ ახსოვდა დრო გაიწელა თუ დაგვიანებით მოწერა მენაბდემ….

-„გადააგდე!“

უკვე მერამდენედ კითხულობდა მის გამოგზავნილს, ვერაფერზე ვეღარ ფიქრობდა….მხოლოდ მაშინ რაღაცები რომ აბრჭყვიალდნენ და ფერადი შუქი, რომ შემოვიდა მაშინ გაიხედა ფანჯარაში…მენაბდეების სახლი ვერ იცნო…..იმდენ ნათურაში და საახალწლო მორთულობაში იყო „გახვეული“…..ანასტასია ფანჯარას თვალებით მიწეპებოდა და ისეთი გახარებული იყო სიხარულით შეიძლება აფეთქებულიყო….დემეტრეს ტელეფონით მამამის ეტიტინებოდა…..

-მამიკო ფილმებში როგორცაა…..არა უკეთესად….რა ლამაზია….როგორ მიყვარს ახალი წელი……ელენე კართან იდგა და ორივეს უყურებდა..

-მეც მიყვარხარ მამიკო….დემეტრესაც….ახლა ფანჯარაზე ვდგავარ……

-არ ჩამოვვარდები დემეტრეა უკან….

-კარგი ჩამოვალ და სკამს მოვიტან…..

-მა ამიტომ იყავი სახურავზე?

-მერე მეც ხომ ამიყვან…..

-ხო კარგი ბებოს არ ვუთხრათ..ჩაიქირქილა ანასტასიამ….

ნიკა იშვიათად ურეკავდა, ძირითადად დემეტრესთან რეკავდა და თუ გამოუვალი სიტოაცია იყო მხოლოდ მაშინ ელენესთან…..ელენეს ყურადღებას არ აქცევდა, მხოლოდ გამარჯობა და ზრდილობის გამო უბრალო მოკითხვა…ელენესაც ასე ერჩიე უფრო მშვიდად იყო….წყნეთიდან არც ერთი ოჯახი ადგავდა ფეხს….ელენესაც არ უნდოდა ბავშვები თბილისში დაებრუნებინა იცოდა როგორ დაწყდებოდათ გული…..შეხვედრა თითქმის არ უწევდათ, ნიკა თითქმის არ გამოდიოდა სახლიდან ან ბავშვები მიყავდა სასეირნოდ…..

თამაზს და მაიას მორიგი თავსატეხი ჰქონდათ, უკვე დემეტრეც აქტიურად ეხმარებოდა და ტასუნას რასაც ეტყოდა ტკბილად იმას აკეთებინებდა….ცოტნე ყველაფერს ხვდებოდა შეთქმულებივით, რომ დადიოდნენ, მაგრამ არაფერი შეიმჩნია….და არც წყნეთში ყოფნა გააპროტესტა….

შუა ღამე იყო შუქი, რომ ჩაქვრა…მერე გაარკვიეს, რომ მხოლოდ მათ სახლში გამოირთო….ანასტასიამ ტირილი დაიწყო…სანთელი არ ჰქონდათ, ყველას ეზარებოდა წასვლა…..

-ცოტნე გთხოვ რა….

-აუ ელენე მეზარება ახლა ვერსად გავალ, თან ტეხავს სანთელს ვიღა ყიდულობს…

-ეშინია და აბა რა ვქნა? ანასტასიაზე ანიშნა…დემეტრე სასაცილოდ ეპუტუნებოდა თავის დას….

-მამამისის სახლში ყველა ოთახში ანთია შუქი და იქ გადავიდეს……ელენე გააოცა ცოტნეს ნათქვამმა…..

-ყველა გადავიდეთ რა…ვეღარ მოითმინა დემეტრემ……

-ისე არაა ცუდი აზრი, დაიწყო ზურამ…. ცოტნეც არ შეკამათებია და შობის წინა ღამეს სიბნელეში ჯდომის აუტანლობა მოიმიზა…..ანასტასია დედამის ჩაეხუტა და უკვე გრძნობდა ელენე, რომ აზრი არაფერს ჰქონდა, მარტო სახლში რომ დარჩენილიყო ძალიან „ქაჯობად“ ჩაეთვლებოდა და უფრო დიდ ყურადღებას მიიქცევდა….

რატომღაც იმ სახლში ისე შეხვდნენ თითქოს ელოდებოდნენ, თან ამის შემჩნევაც არ უნდოდათ…..თამაზი და ნინა სულ იქ იყვნენ..თამაზს მათ დანახვაზე გაეცინა და დემეტრეს თვალი ჩაუკრა….

-ნიკა სადაა? ცოტნემ სასხვათაშორისოდ იკითხა…

-რა კითხვებს სვავ ერთი, აბაზანაშია სად იქნება….გაეცინა ბელთაურს…..ბავშვები სათამშოდ გავიდნენ სხვა ოთახში…

-მათე იმათი სახლი რატომაა ჩაბნელებული? მეორე სართულის დერეფნიდან მოესმათ ხმა…..ბელთაური აიწურა, გეგმაში აშკარად შეცდომა დაუშვა მათე, რომ არ გააფრთხილა…

-არ ვიცი რაღაც გაუფუჭდებოდათ…..სულ არ ჩამქვრალა ჩვენთან არის….

-ტასოს სიბნელის ეშინია….მოწყენილად თქვა ნიკამ….

-ხო და გადმოვლენ…

-თაზო აქაა? თითქოს რაღაცამ დააეჭვა….

-კი….დღეს ფინალი გვაქვს, არ გინდა უყურო?

-თქვენ მაგ ჯოისტიკებს ალბათ გადაყლაპავთ, არადა დემეტრეს ვუყიდე…ყოველდღე ფინალი თან ტეხავს…..

-აუ….ყოველდღე ფინალი არ მოწონს….დაიღრიჯა მათე…..

-თუ გინდა თავი მომაჭრი, მაგრამ ბელთაურის ჩაჭრილია შუქი….ნიკა ისევ იმაზე ფიქრობდა……თამაზი სულ გაწითლდა…ფერები თანდათან გადაუვიდა, ყველამ იმას შეხედა…..ნიკას ხმა გარკვევით ისმოდა…

-კარგი ახლა მასეთიც არაა!

-აუ შენ არ იცნობ, ამ ბოლოს შეურაცხადივით იქცევა, აი ნახე თუ მაგის გადაჭრილი არ იყოს……

-აი იმდენს ვიცინებ…..

-აუ მაგას თავი დაანებე, უკვე გავიგე რომ არაადეკვატურია, მაგრამ ამ კაბელების არაფერი გაეგება რამე არ მოუვიდეს……

-წარმოიდგინე დენმა, რომ დაარტყას, აი რა უნდა თქვას რა მინდოდაოო…

-თუ რამის თქმის თავი ჰქონდა…..ორივე ბოლო ხმაზე იცინოდა…..კიბეებზე ჩამოდიოდნენ, რომ მიხვდნენ რაც ხდებოდა, სახეწაშლილი თამაზი ფეხზე იდგა და უბრალოდ არ იცოდა რა ეთქვა…

-ჩვენ უბრალოდ, ჩვენ…..მათემ ვერ მოიფიქრა რა ეთქვა…..

-მენაბდე არც კი ვიცი ასეთი ცილისწამება….დაიწყო თამაზმა სერიოზული ტონით, მაგრამ ცილისწამების ხსენებაზე ვეღარც ნიკა სუნთქავდა და ვერც მათე…….თამაზმაც კი ვერ შეიკავა თავი…

-ვიღაცას მოუწევს უახლოესი საათების განმავლობაში გადაჭრილი კაბელების გაკეთება…..ცოტნე ცდილობდა სერიოზული ყოფილიყო….

-სულ უფრო ვრწმუნდები რა ვერაგია ადამიანის ბუნება…თამაზი დივანზე ჩამოჯდა და არხეინად შემოიდო თავზე ხელები… ნიკა სასხვათაშორისოდ მიესალმა ყველას და ბავშვების ოთახისკენ წავიდა….

-ელენე ესე ნუ მიყურებ….

-უბრალოდ არ ვიცი რა გითხრა…..

-მადლობა….მე ყოველშემთხვევაში ცუდი არ მინდა თქვენთვის..

-კრიმინალი ხარ თუ გრძნობ…

-კარგი ელენე რა ისედაც არ იცი რა გადავიიტანე ისე შემრცხვა..

-ვისი შეგრცხვა ისედაც ყველამ იცოდა…..ესე ყველა როგორ გაერთიანდით…. მამაჩემიც აიყოლიეთ და ასე გაბრაზებული რომ არ ვიყო ტაშს დაგიკრავდი….

-ვიცი, რომ ძალიან მაგარი ვარ….უბრალოდ მათე გამომრჩა, სხვა დროს გამოვასწორებ….

-აზრი არ აქვს შენთან ლაპარაკს…

-სულ ამას მეუბნებოდა ფიზიკის მასწავლებელი…

-მე გავდივარ მანქანით თუ ვინმეს რამე გინდათ მითხარით წამოვიღებ…. ნიკამ ქურთუკი მოიცვა….

-ნიკა ესე არ გახვიდე ქუდი….დაიძახა მაიამ….

-ჯანდაბა ამდენი საქმე აქვს და მაინც არ ავიწყდება, დაიჯღანა ნიკა…. თქვენ ხომ არაფერი გინდათ? ელენესთვის არ შეუხედავს ისე იკითხა….

-არაფერი მადლობა ნიკა….ხმადაბლა თქვა ზურამ…. კარგად ჩანდა, როგორ უბიძგებდა ხელს ბარბარეს მაია, რომ გაებედა…..ვერაფრით გადაეწყვითა, ხელებს ერთმანეთში ხლართავდა…

-მიდი ბარბარე უთხარი…დაიჩურჩულა მაიამ….

-აა…მე….ააა ბარბარე ხმადაბლა ბურდღუნობდა რაღაცებს….. ნიკა ფეხზე იცვავდა და შემობრუნდა…..

-რა? ბარბარე არ მესმის რას ამბობ? ნიკა მიუახლოვდა, რადგან ვერაფრით ამოიღო ხმა…

-ერეკლეს ოთახში პულტი გაფუჭდა….თუ მოხვდები ტექნიკის მაღაზიაში….გაუბედავად ლაპარაკობდა ბარბარე და თვითონაც უკვირდა ენა, რომ არ დაება….

-კარგი წამოვიღებ…..

-მადლობა, ბარბარემ უცბათ ხელი გაიშვირა, ნიკამ დახედა, ფული ეჭირა….

-ჯანდაბა ეს ბოლო რაღა იყო..ჩაიბურტყუნა მათემ….რამდენიმე წამს უყურა მენაბდემ…..მერე წარბები აწია და ისე, რომ არ შეუხედავს ჩაილაპარაკა..

-ეგ არ მინდა….

-ძვირი ღირს! არ ჩერდებოდა ბარბარე, მათეს უკვე ნერვები მოეშალა…ყველა დაძაბული უყურებდა, პირველად ცდილობდნენ ამ წლების განმავლობაში ლაპარაკი გამოსვლოდათ…..

-არაუშავს კარტაზე მექნება, ჩაიბურტყუნა აშკარად ნაწყენმა ნიკამ…..

-კარტა რომ არ გაქვს?! ბარბარემ ღიმილით აწია ხელში ნიკას ბარათი….

-ოლღა ხარ რა…გაეცინა მენაბდეს და ბარათი გამოართვა…..კარის ხმის გაგონების შემდეგ იგრძნო ძალა, როგორ გამოეცალა, არ იცოდა ამ სახელის დაძახებაზე ასე თუ დაიბნეოდა, არ იცოდა რას გრძნობდა….ამდენი ხნის განმავლობაში პირველად დაუძახა და იმდენ რამეს იტევდა ეს სახელი…ბარბარეს ხელი პირზე ჰქონდა აფარებული და ცრემლები მოდიოდა…ელენე მივიდა და მოეხვია…..

-აქამდე არასოდეს დაუძახია ეს სახელი….თითქოს აღარც მახოვდა….

-შენ ამ დროს მოსაკლავად გინდოდა ხოლმე და ახლა რა გატირებს გაეღრიჯა მათე….თუ ვერაფრით მოგიშლიდა ნიკა ნერვებს ამას დაგიძახებდა…..გეგაც ბარბარესთან იყო მისული და უღიმოდა….რაღაც მაინც ვერ გაიგო…ვერ მიხვდა ან ნიკამ რა უთხრა, ან ყველა რატომ იყო ესე ნაღვლიანად გახარებული….

-ოლღა ვინაა? გულუბრყვილოდ იკითხა…..ამის ახსნამდე ყველას გაეცინა…

……

-დამანებე მაია თავი…

-თამაზ რანაირად აზროვნებ…

-რა ვქნა? თუ ელენეს არ უნდა ახლა ნიკა არ გადააკვდება რა…..სად გაგონილა ამდენი ხვეწნა მუდარა, თუ არ უნდა არ უნდა, უკვე საკმაოდ დიდია გამოხატოს ის რაც უნდა…..

-მგონი ვერ ფიქრობ, ან ვერ აზროვნებ…

-მაიკო დამანებე თავი, მე ვეღარაფერს მოვიგონებ, ძლივს შემირიგდა ნიკა…. მეც ვფიქრობ, რომ მონპელიეში უნდა წავიდეს, აბა ახლა აქ მიაკვდეს იმას ვისაც არ უყვარს?

-რატომ არ ფიქრობ? საიდან მოგაქვს რომ ელენეს არ უყვარს…

-თვითონ უთხრა!

-რას ამბობ მართლა? აბა რა გეგონა? თამაზ კარგი რა…..წამით მის ადგილას წარმოიდგინე თავი….უბრალოდ წარმოიდგინე, ამდენი წელი მიეჩვია, როგორ არ იცცვლებოდა ნიკა, მიეჩვია რომ ძალიან ცუდად იყო…..ახლა ხომ ფიქრობს, რომ შეიძლება ნიკას ეს ცვლილება არ იყოს ნამდვილი….

-მისი არ ჯერა?

-ეგ რა შუაშია, შეიძლება ნიკასაც უნდა ყველაფერი კარგად იყოს, მაგრამ ვერ შეძლოს, თავისგან დამოუკიდებლად..

-კარგი რა…

-თაზო აქამდეც დარწმუნებული ვარ არ უნდოდა ეს მდგომარეობა, მაგრამ საკუთარ ემოციებს ვერ მართავს….ვერ აიძულებს თავს აკეთოს ის რაც არ უნდა….ელენემ ეს იცის და ეშინია. მის ადგილას რატომ არავინ ცდილობს თავი წარმოიდგინოს? ნუთუ ასე ადვილია ყველაფრის გადატანა, ნუთუ ყველაზე მეტად ელენეს არ გაუჭირდა ის დღე, როცა ცხოვრება დაენგრათ, დანაშაულის შეგრძნება ადვილი ასატანია? ამასთან სრულიად შეცვლილი ქმარი, ცხოვრება, რომელიც ოდნავადაც არ ჰგავს წარმოდგენილს, ყველა ცუდ აზრზე მეტად მძიმე, რომ ვერ წარმოიდგენ, დაზაფრული, დაფეთებული შვილები….ეს ყველაფერი ადვილია? და ფიქრობ, რომ კიდევ შეუძლია მას ენდოს? მის „არ შემეძლო-ს“ ….შენი მეგობარი ხომ ამ ფრაზით არსებობს….

-არ ვიცი რა როგორი ასატანია, მაგრამ არავინ არავის არაფერს უნდა ეხვეწოს..!

-და ხვეწნა რა არის? ბოდიში? მაპატიე, ვწუხვარ?

-უკვე მოუხადა ბოდიში, მისთვის ეს სულ ერთია…

-ბელთაური ფიქრობ, რომ ბოდიში საკმარისია იმ შიშის წინაშე რაზეც ელენე დგას? მაპატიეთი გადალახავს იმ უნდობლობას ნიკას „არ შემიძლიამ“ რომ გამოიწვია….ნუთუ ადამიანს არ უნდა შეეძლოს პატიება დაიმსახუროს? უნდა გარბოდეს…სიამაყეს უნდა შეწიროს სხვისი ბედნიერება? მშვიდი ცხოვრება…გამოეჯიბროს ქალს, რომელსაც ამის უამრავი საფუძველი ჰქონდა, მაგრამ არასოდეს გაუკეთებია….რაღაცებს ვერ აფასებთ და ამ აზროვნებით ყოველწამს ცოდვას

ჩადიხართ! დაეთანხმე შენს მეგობარს, შეუწყე ხელი წავიდეს აქედან, კიდევ უფრო სანანებელი გაუხდეს წლები, დაეხმარე უფრო დატანჯოს ელენე, ეჯიბროს…..მას არ შეუძლია პატიების დამსახურება, ამისთვის არაფერს აკეთებს! საერთოდ არაფერს, დააშავა გესმის, ძალიან დააშავა, ყველა ერთხელ ცხოვრობს და ამ ერთი ცხოვრების ათი წელი გაუნადგურა ელენეს…..იმის გააზრება შეგიძლია რომ ბოლომდე დავიწყება და პატიება შეუძლებელია, მაგრამ ნიკა საერთოდ არ ცდილობს! ნუ მაფიქრებინებ, რომ შენს მეგობარს არ შეუძლია ნორმალურად მოიქცეს! ბავშვივით ებუტება! მისგან რას ელის? რა უნდა გააკეთოს ელენემ? როგორ აპატიოს, როცა არ ითხოვს? როგორ დაივიწყოს როცა არ ცდილობს და როგორ უყვარდეს, როცა ნიკას არ უყვარს!

-ეგ ბოლო…

-გაჩერდი! შენი მეგობარი ასე ექცევა მათ ვინც უყვარს? მაშინ ტირანი ყოფილა…..ძალიან დიდი ცოდვაა მის კისერზე, ეს არ დაგავიწყდეს, ცოდვაა ადამიანს ამ ქვეყანაში ასეთ ჯოჯოხეთი მოუწყო! მენაბდე კარებთან იდგა…შესვლა გადაიფიქრა და გარეთ გავიდა…..

-დააარტყი ხელი! წამოხტა ბელთაური..

-გაიგონა?

-სიტყვასიტყვით! გენიოსი ხარ მაია! უკვე გული მწყდება და მშურს ამათი ისეთი მეჯვარეები ყავთ…..

-თავმდაბლობაც არ დაივიწყო ახლა, გაეცინა მაიას..

-შენ გაქებ მაცადე…..

-ელენესთან წავა?

-კი, დღეს მთელი დღე იწრიალებს ალბათ და საღამოს მიწერს….

-ეს ექსპერტის ტონი მოიშორე ძალიან გთხოვ!

-ახლა არ დაიწყო თორემ ხომ იცი ვერ მაჯობებ!

……

6 თვე იყო გასული და საკუთარ სხეულს ძლივსღა აიძულებდა სხვა ქვეყანაში ყოფნას, ყველაფერი შეძულდა, აუუტანელი გახდა ჰაერიც, წყალიც, არაფრის ჭამა უნდოდა…ყველაფერი ეზარებოდა და აღარც ყიდულობდა…6 თვის განმავლობაში საგრძნობლად გახდა, ამაზე ბრაზდებოდა, მაგრამ სხვა ქვეყანაში სხვანაირად ვერ ძლებდა…..მეორედ აღარ დაურეკავს ელენესთვის….ის პირველი სისუსტეც ხინჯად დარჩა…..ყოველდღე რწმუნდებოდა, რომ საერთოდ ცუდად იყო და მით უმეტეს სახლისგან შორს….დემეტრე ისე მოენატრა აჟრჟოლებდა…..აეროპორტში უკვე საკუთარ თავს ახსენებდა ყველაფერს, როგორმე ელენესადმი

ბრაზი, რომ არ გაქრობოდა იმ წუთებში….სხვანაირად ისე მონატრებოდა საკუთარ სიტყვებსაც ვერ დაიმორჩლებდა…..არ დახვედრია აეროპორტში….იცოდა, მაგრამ მაინც ელოდა…..

-ნიკა რას გავხარ? მათემ მის დანახვაზე ხმა ვერ დაიმორჩილა….

-რა გინდა მათე? უხალისოდ დაუბრუნა კითხვა ნიკამ….

-ესე როგორ გახდი? რა ჯანდაბა აკეთე იქ?

-არაფერი რომ არ მიკეთებია მაგის ბრალია….

-ძალიან გახდი, ხომ კარგად ხარ?

-კი, უბრალოდ იქაურ საჭმელს ვერ ვჭამ ხომ იცი და ვერ შევეგუე რაღაცებს….

-გიხდება ხო იცი…….მათემ კიდევ ერთხელ აათვალიერა მუქ ლურჯ ჯინსა და თეთრ მაისურში გამოწყობილი ნიკა…..აშკარად სხვა ზომების გააცილა და ახლა თვალებს ვერ უჯერებდა……

-რამე დიეტაზე იყავი? ესე როგორ მოახერხე…

-აუ მათე კარგი რა…..დამანებე თავი..

-უჟმური გახდი ძალიან……არ შეიძლება გკითხო? ისეთი გამხდარი ხარ დედას გული გაუსკდება, თითქმის იგივე ხარ…..არადა რას გავდი….

-რას ვგავდი?

-რა გიხდებოდა? მართლა საზიზღრად გასუქებული იყავი…

-ისევ გავსუქდები….

-შენ რა გინდა? ავადმყოფი ხარ! დებილი, არ ხარ ნორმალური….

-მათე ან გაჩუმდი ან მანქანა გააჩერე…. ,

-მაცოფებ, მაგიჟებ და ყველაფრის ხალის მაკარგვინებ….ასე მგონია მოკვდი….ასე მგონია ძმა მომიკვდა და ალბათ ისე ცუდად არ ვიქნებოდი ახლა შენს საფლავთან რომ მოვდიოდე, როგორც ახლა….როცა კვდებიან გლოვობენ! მე კი ცოცხალი როგორ გიგლოვო და აბა ასე შენ მკვდრად ყოფნას, როგორ შევეგუო? ნიკა საერთოდ არ გიყვარვართ?

-არა!

-ცინიკოსო იდიოტო!

-გააჩერე მანქანა!

-შენ ალბათ მიჩვეული ხარ ახლობლების გარეთ დატოვებას! გიადვილდება, მე კი მიუხედავად იმის, რომ მინდა სახე გაგიერთიანო მაინც ვერ დაგტოვებ…აეროპორტის გზაზე არაფერი ჩამოივლის და რომც ჩამოიაროს შენ ვის გაყვები!

-ხო მიჩვეული ვარ ახლობლების მიტოვებას, მიჩვეული ვარ სიმარტოვეს…..არავიზე ფიქრს….ამას ვარ მიჩვეული მათე….მე ასეთი ვარ….მე ხომ ასეთი ვარ……

-არ მითქვამს, რომ ასეთი ხარ…..გამტყდარი ხმა ჰქონდა….უბრალოდ ასეთი ჩანხარ, ასეთი გინდა ჩანდე…..

-მე არც ასეთი ვარ და არც ისეთი…..მე ვარ და როგორი ვარ არ ვიცი….რაც ვარ ის ვჩანვარ და ამ ვითომ საკუთარი თავის იძულებით ნუ ცდილობ რაღაცები მომწმინდო…მე ასეთი ვარ!

-შენ სერიოზულად სამკურნალო ხარ! შენ აცდენები გაქვს აზროვნებაში….ნიკა შენ რა ბოროტი ხარ?

-ბოროტმა გგონია იცის თავისი ბოროტების შესახებ? ყველა მართალია თავისებურად და ყველა ტყუის, საკუთარ თავს წინააღმდეგობას ვერ ვუწევ…ზოგჯერ მგონია, რომ სადღაც მივექანები, გზას ვერ ვხედავ და ერთი სული მაქვს რამეს შევასკდე ეს აუტანელი შეგრძნებები, რომ გაქრეს…..არ მაინტერესებს გზას როგორ გავდივარ უბრალოდ მინდა დასრულდეს….ძალიან მიყვარდა, უიმისოდ ვერ წარმომეგინა სიცოცხლე….ვუფრთხილდებოდი…..როგორც შემეძლო…..

-ვიცი ნიკა….ვიცი ბავშობიდან როგორ გიყვარდა……

-რა ბავშვობიდან?

-სულ ბურთით დარბოდი აწყვეტილი…..

-ელენეზე გეუბნები მათე…. ცოტა ხანი ხმა არ ამოუღიათ..

-მერე ესე რატომ ექცევი? ოდნავ არ გეცოდება? ერთიანად დაატყდა ყველაფერი თავს, შენ შეიცვალე, ძალიან შეიცვალე…..დემეტრეს ფაქტობრივად თვითონ ზრდის მარტო…შენს უხეშობას, სიცივეს იტანს თანაც ისე, რომ ხმას არ იღებს, ერთხელაც არაფერი უთქვამს ნიკა ჩვენთვის გადაკრულადაც კი…..დედას და მამას რცხვენიათ..

-ჩემ გამო?

-ხო, ყველა გაოცებულია რა გჭირს, ეგონათ ერთი წელი და გადაგივლიდა…..მესამე წელი დაიწყო…. შენ უფრო მძიმდები…..ელენე თითქოს არ გემორჩილება, მაგრამ ძალიან ამცირებ…შენ თუ ოდნავ მაინც მასთან გინდა..ოდესმე თუ..იდეაში თუ ფიქრობ, რომ შეიძლება მასთან ისევ ისე იყო…..იცოდე, რომ ქალები ასეთ რამეებს არ პატიობენ….

-არ ვფიქრობ….არ ვუშვებ, რომ შეიძლება ჩემი სული დაწყნარდეს….ამიტომ ნუ ნერვიულობ მაგაზე….არც ელენეს პატიება მჭირდება რამეში…..

-აბა ასე ცუდად რატომ ხარ? ასე მძიმედ რატომ სუნთქავ მასზე რომ ლაპარაკობ?

-ის დრო მენატრება….სახლში მისვლა, ელენეს სახე…..მზერაა….დემეტრეს ანთებული თვალები….

-ეს ყველაფერი ისევ გაქვს…..მიუხედავად შენი ასეთი საქციელისა არ კარგავ გესმის, ისინი ისევ შენთან არიან, შენ გვერდით….

-მე ვეღარ მივდივარ სახლში მათე…..ვიღაც სხვა მიდის….სულ სხვა, მე რომ ვერ ვიტანდი, რომ მეზიზღებოდა ისეთი კაცი მიდის სახლში….რაღაც, რომ შემიჩნდება, ჩემს გონებას, რომ ხელში დაიჭერს, მუჭში მოიმწყვდევს და მხეცს მამსგავსებს….რომ არ მინდა ამას ვხვდები, მაგრამ ვერაფერს ვშველი საკუთარ თავს….ვერ წარმოვიდგენდი ელენე თუ ამდენს გაუძლებდა….ისეთი იყო, პატარა წყენასაც მეგონა ვერ აიტანდა, ისეთი მგრძნობიარე იყო, მცირედიც კი წყინდა, მე კი სულ ვცდილობდი მოვრგებოდი….. გავფრთხილებოდი….ჩემი ერთი სიტყვაც კი მოქმედებდა, როცა ვამშვიდებდი ვგრძნობდი, როგორ ეწმინდებოდა სახე, როგორ დგებოდა გონებაში ყველაფერი თავის ადგილზე…. თუ გავაბრაზებდი ვხედავდი ქარიშხალი იყო მის თვალებში, მერე წყალი დგებოდა და გადმოსვლას იწყებდა…..ტიროდა და შეიძლება ეტირა ძალიან უბრალო რამეზე, მე რომ მომეტყუებინა, რომ დამავიწყდა დილით, რომ ვუთხარი უნივერსტეტში გავუვლიდი ამაზე შეიძლებოდა მთელი დღე ენერვიულა, ეტირა….მე კი უბრალოდ ვატყუებდი….როგორ დამავიწყდებოდა….იჯერებდა…მაშინვე იჯერებდა და წყინდა….როგორ ვცდილობდი რომ დამემშვიდებინა…..რომ დამინახავდა უნივერსტეტთან, რომ მიხვდებოდა მოვატყუე არ იცი, როგორი სახე ჰქონდა…მეგონა მასზე ბედნიერი ადამიანი არ დადიოდა…..ახლა….ახლა ჩვენ შორის არც ასეთი ურთიერთობის სიფაქიზეა და არც ელენეს აქვს სახე დამშვიდებული…..არც არასოდეს ვხედავ, რომ ყველაზე ბედნიერია….მაგრამ ასე მინდა…..ვგრძნობ, რომ ეს მინდა და მეშინია ადამიანის სახეს ვკარგავ…ვერაფერს ვშველი საკუთარ თავს….მათე საჭეს ხელებს ბოლომდე უჭერდა, რომ როგორმე ყელში გაჩხერილი მწველი ბურთი გადაეტანა….

-მე მჯერა შენი..

-სულ ტყუილად მათე…..

-შენ არ იცნობ შენ თავს ისე როგორც მე გიცნობ, მე მთელი ცხოვრებაა გიყურებ, მერე რა რომ შორს ვცხოვრობთ ერთმანეთისგან…მე ხომ შენი ბავშვობაც მახსოვს…ნიკა ალბათ ყველაზე კარგად ამ სამყაროში მე ვიცი როგორი ხარ….პატარა, რომ იყავი..მაშინ, რომ შენს ემოციებს ვერ ფარავდი, მაშინ გიყურებდი და იმაზე მეტი ვიცი შენზე ვიდრე შენ საკუთარ თავზე…..ყველაზე ჯიუტი ადამიანი ხარ დედამიწაზე, სამყაროში….შეგიძლია სიჯიუტეს გადააყოლო ყველაფერი…თუ დედა და მამა რაღაცას არ გაგიკეთებდნენ რაც გინდოდა, ან არ წაგიყვანდნენ სადაც გინდოდა თავს კედელს ურტყავდი და ეს შეიძლება იმათ მოსვლამდე გეკეთებინა…ეს შენ არ გახსოვს, ეს შენ არ იცი….მერე რომ გაიაზრე რაღაცები ეს ჩვევაც მოიშალე, მაგრამ შენ ასეთ ხარ!

-ამაზრზენი ბავშვი ვყოფილვარ….

-ნიკა ყველა ადამიანს თავისი ჩარჩო აქვს, იქ ვმოძრაობთ….ნუ აიღებ შენ თავზე ისეთ რამეს რაც უბრალოდ არ შეგიძლია…..მოკვდები ასე…..გიყურებდი როგორი ფაქიზი იყავი სხვების მიმართ. თუ ვინმე შემოგელახებოდა ნერვიულობისგან ადგილს ვერ პოულობდი…4 წლის იყავი მეზობელთან, რომ იჩხუბე…..იმ ღამეს ძლივს ჩაგაგდო დედამ ლოგინში ეზოში დადიოდი…მეორე დილით იმ ბავშვისკენ გაექანე გუგა ერქვა, მთელი ძალით გარბოდი, მეგონა უნდა მოგეკლა ისეთი მირბოდი…..შემეშინდა…..რამდენიმე წამი თვალი ვერ მოგაშორე, როგორ ჩაეხუტე შეშინებულ გუგას….ებოდიშებოდი…და ეუბნებოდი, რომ არავის ეტყოდი….ეუბნებოდი რომ ერთად უნდა გეთამაშათ….

-ამას რატომ მიყვები……მათე..

-უბრალოდ გეუბნები როგორი ხარ! შენ ვერ გაუძლებ ასე დაჭიმულ სინდისს…..ვერ გაუძლებ სხვისი უბედურების მიზეზად ყოფნას….არის რაღაცები რაც არ შეგვიძლია, რაც ჩვენს ჩარჩოებში არაა….უბრალოდ დაფიქრდი…..საკუთარი თავის ასეთად ატანას შეძლებ? ახლაც ვერ უძლებ, ძალიან მძიმედ ხარ…ნიკა ასე ცხოვრება კლავს!!! მაგრამ, ელენემ რაღაც გაწყენინა!

-მათე რას ამბობ?

-ვიცი რომ ასეა, უბრალოდ არ ვიცი რა…..სხვანაირად გამორიცხულია….შენ სხვანაირად ასე ვერ იქნებოდი….

-საკუთარ ფანტაზიას ზოგჯერ ჭირდება ჩარჩოებში მოქცევა! ძალიან გთხოვ ეს გაითვალისწინე და რაღაც სისულელეებს ნუ იგონებ…..არ გინდა….

სახლში გვიანობამდე არ მივიდა, მთელი დღე ეძებდა საკუთარ თავში ძალას, რომ როგორმე გაბრაზებულიყო….ისევ დაბოღმილიყო, მაგრამ იმდენად მონატრებოდა ბრაზს ვერ პოულობდა……

მისი წასვლის პირველი კვირა ალბათ ყველაზე მშვიდი იყო ბოლო სამი წლის განმავლობაში, ამოისუნთქა…..სიმშვიდე მთლიანად დაეპატრონა ძვლებს გაათბო ამ ყველაფერმა, შორს მყოფმა ნიკამ ამოსუნთქვის საშუალება მისცა….სამსახურშიც უფრო ხალისით მიდიოდა, დემეტრეც უფრო გაბედული იყო და სახლში აღარ დადიოდა მორიდებით სადმე გაბრაზებულ მამას არ გადაწყდომოდა….ისეთს, რომ ვერ გაუგებ რა უხარია და რა წყინს….ზოგჯერ უმიზეზოდ აკოცებდა ლოყაზე ნაზად, ზოგჯერ უმიზეზოდ უბრაზდებოდა….რამდენჯერმე მიზეზი გააერთიანა, დაუკავშირა ერთმანეთს, რომ დააკვირდა სპორტულ არხზე შემთხვევით გადართვისას, როგორ ენთებოდა მამის თვალები, პულტს გამოართმევდა და დემეტრემ იცოდა ტირილს აზრი არ ჰქონდა, არ დაუბრუნებდა……

მეორე კვირამაც მშვიდად ჩაიარა…..მესამე, რომ დაიწყო ყველაფერმა ამოხეთქა, მთელმა ამ ტკივილმა საშინელი დეპრესია ჰქონდა ელენეს, იმის გაცნობიერება, რისი ატანა უწევდა აგიჟებდა, საკუთარი თავი ძულდა…იმ კვირაში რამდენჯერმე ცადა დარეკვა, რომ განქორწინება მოეთხოვა….მაინც გადადო მის ჩამოსვლამდე….იცოდა ნიკა ოდნავ წინააღმდეგობასაც არ

გაუწევდა და ეს უფრო აფრთხობდა ამ თემის გაცოცხლებას…..მეოთხე კვირას დარწმუნდა, რომ სწორი იქნებოდა ერთმანეთისგან შორს ყოფილიყვნენ…უკვე გრძნობდა როგორ გახალისდა, უფრო ლაღი იყო, თავდაჯერებული…ასე ცხოვრება უნდოდა მუდმივად……

მეხუთე კვირა საკუთარ თავს ვერ გაუგო…ვერ მიხვდა რა აწუხებდა, რატომ შეიძლება ეტირა შუა გზაში უმიზეზოდ…..ამ გადატანილ წლებს დააბრალა და უფრო გაბრაზდა…..დეპრესიამ ისე მოუჭირა ხელები მეექვსე კვირას, რომ იხრჩობოდა, გრძნობდა, რომ ჰაერი არ ყოფნიდა……მთელი ღამე იწრიალა, სულის სიმშვიდეს ვერც ერთ ადგილზე მიაგნო….ღამე თითქმის ყველაფერი დახეხა სახლში, უკვე გაწმენდილსაც ალაგებდა,, უკვე ვეღარ ხვდებოდა რას აკეთებდა….უბრალოდ არ უნდა ეფიქრა, სული ისე აეწვა და გავარვარებულ გონებას ვერაფერი აქრობდა…..ღამე უკვე ეშინოდა დაბნელების ეშინოდა, იცოოდა ეს აზრები ისევ მოვიდოდნენ, ისევ იქნებოდა ის გაურკვეველი შეგრძნებები, რომ არ იცი რა გინდა…..ბარბარე დარჩა რამდენიმე დღე მასთან…..ბევრ რამეზე ლაპარაკობდნენ მთელი ღამე….ელენე გრძნობდა, რომ ლაპარაკისას მშვიდდებოდა, თითქოს ამ დროს უდაბნოში იყო და წყალს აგნებდა, ან სხეული დამწვარი ჰქონდა და ცივი ჰაერი ეხებოდა……ბევრი არ უფიქრია იმის გასარკვევად, რომ მხოლოდ წარსულზე ფიქრი ამშვიდებდა, ლაპარაკი, წარსულის გახსენება და გრძნობდა, რომ გაგიჟდებოდა…ამ დროს ისეთი შეგრძნება ჰქონდა თითქოს ნიკა მოკვდა, ის ნიკა მოკვდა ყველაფერზე მეტად რომ უყვარდა და რომ ვერსად პოულობდა სული კივილს იწყებდა, განგაშს ტეხდა…მარტო მისი გახსენება შველოდა…..ყველაფერი აღუდგა…ყველა მოგონება და ისე მოენატრა…ისე ძლიერად მოენატრა ეგონა გაგიჟდებოდა…ვერაფრით ახტებოდა თავს, რომ დაერეკა არადა მისი ხმის გაგონება ისე უნდოდა სული ელეოდა….წამით რომ დაფიქრდებოდა ვერ იჯერებდა, რომ ეს ყველაფერი მათ თავს მოხდა, ვერ იჯერებდა მის ასეთ ცვლილებას….სიცივეს, უხეშობას…..

სახლთან გაუჩერა…

-არ გადმოხვალ მათე?

-გვიანია უკვე ნიკა, აბა შენ იცი..

-მადლობა…..

-რის მადლობა, გიხდება სიგამხრდე…..სასხვათაშორისოდ მიაძახა, ნიკამ ბარგი გადმოიღო და სახლისკენ წავიდა…..ელენეს მინაზე მიკრული თვალები არ დაუნახავს…..ფანჯრისკენ არც გაუხედავს……არ დააკაკუნა, იფიქრა დემეტრეს გააღვიძებდა…მხოლოდ მიწერა….

-„ელენე კარი გამიღე თუ ფეხზე ხარ“

ტანში ჟრუანტელმა დაუარა, ძირითადად სახელით არ წერდა თან არც ასეთ ალთერნატივას შეიცავდა ხოლმე ნიკას წერილები…..ძლივს გაიყვანა დრო, რომ ნიკას არ გონებოდა ელოდებოდა…სსამი წუთის შემდეგ გააღო, ისე იყო გაღვიძებულს გავდა, მაგრამ ნიკას დანახვაზე ზედმეტად აშკარა იყო, რომ არც ძინებია და ელოდებოდა…..ვერაფრით დაიჯერა ასეთი შეცვლილი, რომ დაინახა…

-გამარჯობა….

-ნიკა….

-არ შემოვიდე? ელენემ ვერ გაიგონა და არც კარებს შორდებოდა……მერე უცებ გამოერკვა და კარს მოშორდა….მაშინვე საძინებელში შევიდა და საწოლზე მოიკუნტა….უფრო მეტად საკუთარმა იმედებმა მოკუნტა….თითქმის ერთი საათის მერე შევიდა მენაბდე ოთახში…ჯერ წყალი გადაივლო და მერე დემეტრესთან შევიდა…ექვსი თვე არ ენახა და ლამის გაგიჟდა ისეთი გაზრდილი დახვდა, მშვიდად ეძინა, ხელები სასაცილოდ ჰქონდა გაშლილი და გულაღმა იწვა….დიდ ხანს უყურა…..მერე ვერ მოითმინა და ლოყაზე აკოცა ფრთხილად….ოთახში შესვლას გაურბოდა, უნდოდა მძინარე დახვედროდა…..მაგრამ ელენეს ყველაფერი შეიძლებოდა მორეოდა იმ დღეს ძილის გარდა….საკუთარი გულის ბაგაბუგი ესმოდა….პირი უშრებოდა და სუნთქვა უჭირდა…ასეთი, რომ დაინახა თავადაც არ ელოდა თუ ასე განიცდიდა….ახლა ხვდებოდა მასაც მსუქანი ნიკა ერჩივნა უფრო არ გავდა თავის ქმარს…..ასეთი კი ფიზიკურად იგივე იყო რაც ადრე….ასეთი ძალიან უყვარდა და უჭირდა მის გარეშე……ფრთხილად შევიდა ნიკა ოთახში…..საბანი ოდნავ გადაწია და თითქმის საწოლის კიდეზე დაწვა……ერთმანეთის მონაცვლეობითი სუნთქვა ესმოდათ….ცრემლი სწრაფად მოიშორა, შეუმჩნეველი მოძრაობით, რომ ნიკას ხმაური არ გაეგო…..მაგრამ ისეთი სიჩუმე იდგა ლამის ფიქრებიც კი ისმოდა….დაძაბულობა ძალიან მძიმე იყო…..ელოდებოდნენ, მაგრამ არ იცოდნენ რას….თითქოს ძილი უნდა მოსულიყო, მაგრამ სულ უფრო მეტი უჯრედი ხდებოდა მონატრებით დასნეულებული…….ნიკამ იცოდა დროებით იყო მისი სიმშვიდე….მონატრებით გადაფარული და ამიტომ საკუთარ თავს აიძლებდა ისე გაშეშებული ყოფილიყო…..ელენემ კი არ იცოდა ასე ცუდად რატომ იყო, რატომ უნდოდა ასე საშინლად და აუტანლად მოხვეოდა…..ბოლოს იგრძნო, რომ ასე ყოფნას ვერ გაუძებდა მისკენ გადატრიალდა და მაშინვე იგრძნო მისი შეხება, მთელი ძალით ჩაეხუტა…..გრძნობდა, როგორ უსველდებოდა კისერი მისი ცრემლებით……ელენე ხელებს უჭერდა, ცრემლები უკითხავად მოდიოდა…..მენაბდეს თვალები არც გაუხელია, მის ჰაერს სუნთაქვდა და ეგონა აქამდე უჟანგბადოთ იყო….

-მომენატრე….ძლივსგასაგონად დაიჩურჩულა ელენემ…..ნიკას წელზე ხელები ჰქონდა მოხვეული და გრძნობდა, როგორ გაუჭირდებოდა მისთვის გაშვება, მაგრამ მაინც უთხრა…..

-ვერ დაგპირდები……არ ვიცი……ვერ შევიცვლები….უბრალოდ ახლა მხოლოდ მონატრებას ვგრძნობ, მაგრამ ეს რომ წავა შეიძლება თავი ვერ დავიმორჩილო…..ასეც არ მინდა გული გეტკინოს…..არ მინდა, რამე იმედი დაუკავშირო ჩემს ახლანდელ საქციელს…..მიკრულ სხეულზე იგრძნო, როგორ აჩქარდა გულისცემა, შეაკანკალა ამის გაგონებაზე……ფეხზე წამოდგა…..ადგილს ვერ პოულობდა…..ოთახში დადიოდა…

-ნიკა…..

მენაბდე ცდილობდა არაფერი ეთქვა…..საშინლად დაღლილი იყო სახლის მონატრებით…საშინლად აღიზიანებდა საკუთარი თავი ბოლომდე რომ ვერაფერს თმობდა….ანერვიულებული ელენეს დანახვაზე საერთოდ ყველაფერი ავიწყდებოდა….შეგრძნებები ისეთი მკვეთრი იყო თითქოს ეხებოდნენ…..

-რატომ მაწამებ? ხომ იცი როგორ მიჭირს გრძნობების გამოხატვა…..ელენე თავს ვეღარ იკავებდა….

-მე უბრალოდ არ მინდა ესე გატკინო გული….

-შენ უბრალოდ წარმოდგენა არ გაქვს როდის როგორ მტკენ გულს…..ახლა გამაფრთხილე, მითხარი რომ შენ არ ხარ პასუხისმგებელი შენვე, შენვე საქციელზე ნიკა…მე თუ ახლა მიგიღებ ისევ მე ვიქნები დამნაშავე ისევ იმ სახეს, რომ დაიბრუნებ….შენ ხომ გამაფრთხილე, შენ ხომ არ დაგიმალავს….ელენე სიმწრით ეუბნებოდა…

-რა უნდა მექნა?

-უნდა მითხრა, რომ მოგენატრე…..თვალებში თითქოს ცეცხლი ედგა ელენეს…..

-მომენატრე….

-ნიკა….

-ძალიან მომენატრეთ….მხოლოდ ერთი რამ ვიცი, შენ და დემეტრე ყველაფერი ხართ…..უთქვენოდ ვერ გავძლებ….ვერ ვიარსებებ….ძალიან მინდა ამ ყველაფერს თავი დავაღწიო…ძალიან მინდა ასე ცუდი ადამიანი არ ვიყო…..არ მინდა ამ შეგრძნებებით ცხოვრება, მინდა გავთავისუფლდე ამ ბრაზისგან…..მაგრამ არ გამომდის….თქვენი დაკარგვისაც მეშინია….ძალიან ცუდად ვარ…..სულ დაჭიმული იყო მენაბდე ამას, რომ ეუბნებოდა…ელენემ სახეზე ხელები მიადო….უკანკალებდა…..

-ძალიან ცუდი რაღაც გვჭირს…..

-საშინელება იყო, არც სპორტის უნივერსტეტი მაინტერესებდა, საერთოდ არაფერი…..

-დიპლომი სად გაქვს? საბოლოოდ უნდა დავწრმუნდე, რომ არსებობს ეგ უნივერსტეტი……ორივეს გაეცინა….

-გაჩვენებ…..თითს დაგადებინებ ოდნავ….

-ოდნავ?

-სულ ოდნავ….შეგახედებ…..ნიკა მოეხვია, სახე მის თმაში ჩარგო და ღრმად შეისუნთქა…..ელენესაც არ შეეძლო ყოფილიყო ცივი…..ზოგჯერ გრძნობდა, რომ ორი ადამიანი იყო ნიკა….ერთი უყვარდა მეორეს ვერაფერი გაუგო…არ შეეძლო პირველის მზერას გაეძლო, კეთილ თვალებს, ღიმილს და უბრალოდ არ შეეძლო დაევიწყებინა როგორი იყო ნიკა ადრე…ამიტომ სულ უყვარდა…..

რამდენიმე დღე გაგრძელდა ნიკას სიმშვიდე…კვირებიც კი გაძლო…..მერე უმიზეზოდ მოღრუბლული ხასიათი დასჩემდა, საკუთარ თავში იკეტეპოდა და ლაპარაკითაც იშვიათად თუ იტყოდა რამეს…..

უკვე იცოდა ფეხმძიმედ, რომ იყო…..ნიკა კი ნელ-ნელა უბრუნდებოდა წარსულს….ასეთი გაურკვეველი შეგრძნება არასოდეს ჰქონია, არ იცოდა უნდოდა თუ არა შვილი….იმ მომენტში, რომ გეკითხათ დაუფიქრებლად გაიკეთებდა აბორტს…..მერე აბორტის გასაკეთებლად, რომ მივიდა სუნთქვა შეეკრა…..არ იცოდა იქ რა უნდოდა რას აკეთებდა….საკუთარი თავი შვილთან დამოკიდებულებამ შეაძულა….ატირებული გამოვიდა, გულში იმეორებდა, რომ უნდა გაეძლო, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდა როგორ……როგორ უნდა ყოლოდა მისგან კიდევ ერთი, როცა ხედავდა დემეტრე როგორ ეჩაგრებოდა და იტანჯებოდა, ზოგჯერ ეგონა შვილი სათანადოთ არ უყვარდა მისი მოშორება, რომ ვერ შეძლო…..სახლში მისულს გაღიზიანებული ნიკა დახვდა, ასეთ დროს არ იყო ხოლმე სახლში…ხასიათი მოეშხამა…..

-სად იყავი?

-რამე მოხდა ნიკა? მენაბდეს სახე არეული ჰქონდა……მაგიდას ხელი დაარტყა….

-გამეცი პასუხი…..

-საავადმყოფოში რაღაც საქმე მქონდა…მშვიდად ჩაილაპარაკა…….

-იმას რა უნდოდა?

-ვის? ვერ მიხვდა ელენე, მაშინ მარტო იმაზე ფიქრობდა ნიკას მიზეზი არ გაეგო…..

-სანდროს…ელენე რა ვის…ქმარი რომ სულ სხვა რაღაცას საყვედურობდა ამის გამო ამოისუნთქა…..

-არ ვიცი, შემხვდა უბრალოდ ვილაპარაკეთ..

-შეგხვდა? კი არ შეგხვდა დაგხვდა სამსახურთან…აქ განსხვავება არსებობს თუ ვერ ხვდები აგიხსნი….

-რა გინდა ჯობია ეს ამიხსნა….უფრო კარგს იზავ….შენ რა უკან დამყვები? მეტი საქმე არ გაქვს…

-შენ ჩემი ცოლი ხარ! ჯერ კიდევ ჩემი ცოლი ხარ და იცოდე როგორ უნდა მოიქცე….

-ნიკა რა ჯანდაბა დაგეტაკა? შენ არ ამბობდი ეჭვიანობა სისულელეაო, ეს მხოლოდ საკუთარი თავის დამცირებაა და თავდაჯერების ნაკლებობაო? ახლა სად გაქრა შენი თავდაჯერებულობა? რისი გეშინია?

-მე თუ მის გამო რამის უნდა მეშინიდეს, მაშინ სალაპარაკო არ გვქონია…..მტკიცედ გაუმეორა ნიკამ, ელენემ იგრძნო როგორ ატკინა გული, მაგრამ არ მოეშვა…

-მე არაფერი მითქვამს უბრალოდ გკითხე რისი გეშინია? რატომ აღარ ხარ ისე თავდაჯერებული…..საკუთარი თავის მიმართ წარმოდგენები შეიცვალა ნიკა?

-მე ის კაცი არ მომწონს ელენე….შენ გინდა თავი ისე მაღლა აწიე ამას ეჭვიანობა დაარქვი ან მე დამაწევინე ისე, რომ მისი მეშინოდეს შენ გამო…სინამდვილეში არც ერთია და არც მეორე…შეიძლება პირველზე გული დაგწყდა, მაგრამ ეჭვიანობა მართლა სისულელეა ამ სიტოაციაში….შენზე უფრო მაღალი წარმოდგენის ვარ, რატომღაც შენგან უფრო მეტს მოველი, ვიდრე იმ უაზროსთან რაიმე გრძნობის გაჩენას….

-მე შენ მიყვარხარ! ნუთუ ამის მერე შეიძლება ჩემგან ბევრს მოელოდე?…..მენაბდემ ცადა მზერა არ გაყინვოდა, მაგრამ ვერაფრით მოაშორა თვალი…..ერთდროულად უთხრა, რომ უყვარს, მაგრამ ისიც აგრძნობინა, რომ საკუთარი თავის არ ესმოდა ამის გამო, არ აფასებდა…..

-ბევრად უარესი გგონივარ იმაზე…არადა…..საშუალო სულის ადამიანები ელენე….საშუალო სულის….

-რატომ ადარებ იმას თავს? საკუთარ თავს შეადერე ახლანდელი შენი თავი და მიხვდები რატოც გითხარი…აქ თუ ვინმე არაფერ შუაშია ეს სანდროა და შენ ეს იცი…ისე კარგად იცი, რომ არც ეჭვიანობ, უბრალოდ საბაბს ეძებ კიდევ იჩხუბო….

-იმის გამო, რომ ამ ყველაფერს იტან საკუთარი თავი გძულს არა? მე არ გაძალებ ელენე, რამდენჯერ უნდა გაგიმეორო…..

-ადრე სულ ის განცდა მქონდა….სულ ვფიქრობდი რომ შენთან ლაპარაკი არ იყო საჭირო ყველაფერი ისედაც გესმოდა….არაფერი გრჩებოდა შეუმჩნეველი ჩემი უსიტყოდ გესმოდა….ახლაც ვფიქრობ, რომ შენთან ლაპარაკი არაა საჭირო…..! უბრალოდ არ გინდა, რომ გესმოდეს….შეიძლება რაღაც დაგიმარცვლო, მაგრამ მაინც შენს ბნელ ფსიქიკაში ხლართავ და ისე აბრუნებ ამ ყველაფერს როგორც უფრო მტკივნეული იქნება ჩემთვის და შენი თავისთვისაც…..მაზოხისტიც ხარ და სადისტიც ერთდროულად, ვერასოდეს ვიფიქრებდი სინამდვილეში ასეთი თუ იყავი….შენ მხოლოდ გარემოს მიმართ ხარ ადეკვატური, ალბათ სხვა გარემოში, სხვა მოცემულობაში უფრო მეტად სასტიკიც შეიძლება იყო….

-გაჩუმდი….

-ზოგჯერ მეცოდები ძალა, რომ არ გაქვს საკუთარ თავს აჯობო….ლაჩარივით იქცევი….ყველაფერი დაივიწყე, ყველას ჩამოშორდი…საკუთარ ცხოვრებას ერთხელ რომ გვეძლევა ისე იყენებ, რომ მტერიც კი ვერ დაგიგეგმავდა ასე….. შენ რომ გიყურებდი მეგონა შეუძლებელი არაფერი იყო შენთვის ახლა კი პირიქით ვარ….უუნაროს გხედავ ნიკა…სრულიად უუნაროს საკუთარ თავს ოდნავი ბედნიერება რომ გამოძალო….

-მე რომ საკუთარ თავს ვაჯობო შენ დანახვაზე არაფერი უნდა ვიგრძნო…..ჩემთვის იმ მნიშვნელობას დაკარგავ რაც ახლა გაქვს….მე რომ საკუთარ თავს ვაჯობო ცხოვრებაში შენი დანახვა არ მომინდება…..იმდენად გულგრილი უნდა ვიყო არ მაინტერესებდეს როგორ ხარ…..შენ ჩემთან ერთად გადიხარ ამ გზას და მე ამას არ გაიძულებ….შენც გინდა რაღაც,

რომელზე ფიქრსაც ორივე გავურბივართ, დაულაპარაკებლად გწამს რაღაცის საერთო „ჩვენ“ რომ აქვს….შენ არ უნდა გინდოდეს საკუთარ თავს ვაჯობო! და თუ ამას ოდესმე მეტყვი გულწრფელად მაშინ მიხვდები, რომ აღარ გიყვარვარ…..შენი თვითშეფასება აუცილებლად აიწევს, საკუთარ თავსაც უფრო მეტ პატივს მიაგებ და შენი სიამაყეც თავის ნიშნულს დაუბრუნდება….ამ ყველაფრის შემდეგ…. მაგრამ მაშინ ყველაზე მეტად იგრძნობ სიცივეს….. ისეთ სიცივეს შენ, რომ ვერ უძლებ ….. მე ეს უნდა გადავიტანო…..სხვანაირად ვერ ვიცოცხლებ….არჩევანი გაქვს…..შეიძლება მრავალფეროვანი არა, მაგრამ რადიკალურად განხსვავებული…..მე მჭირდება, რომ ისევ გენდო…..დავიჯერო, რომ არ იარსებებს წამი, როცა ყველაფერს დაივიწყებ! საკუთარ შვილს თამამად განდობ!

ელენეს მისი საავადმყოფოში მისვლის მიზეზმა მთელი სხეული ჩამოკაწრა……

-ასეთი ჟანგი შენს ფსიქიკას როგორ ადევს? ჩემს შვილზე მეუბნები რომ ვერ მანდობ? მაშინ, როცა ყველაზე სასტიკად შენ ექცევი?

-მე მათ არ ვკლავ! ელენემ მთელი ძალით დააპირა გარტყმა, როცა მენაბდემ დაუჭირა…..

-ასეთი სასტიკი როგორ ხარ? ხომ იცი გაბრიელზე როგორ განვიცდი, ნუთუ უბრალოდ არ შეგიძლია ასე მტკივნეულად არ გამახსენო…..

-მე გაბრიელზე არ გეუბნები! საკუთარ თავს მეტი მოთხოვე! ელენეს თვალები აემღვრა….მძმედ დაიწყო….

-არ მინდა შენგან შვილი….. ვერაფერს დავპირდები…..როგორ გავაჩინო, როცა ვერ გენდობი…..როცა ვუყურებ დემეტრეს როგორ ექცევი….. ასე როგორ დავტანჯო ნიკა? ძალიან მინდა იმის გამბედაობა მქონდეს არ გავაჩინო, ძალიან მინდა ასე არ მეშინოდეს საკუთარი თავის….. შენ გინდა? ახლა როგორც ვცხოვრობთ გინდა კიდევ ერთი იყოს ამ საშინელი ცხოვრებით დაავადებული? ნიკა გინდა? მითხარი? შვილის გაჩენა ხომ არაა მთავარი, იმას ხომ სჭირდება ცხოვრება სადაც სული არ დაუბინძურდება….ჩვენ ეს არ შეგვიძლია, ჩვენ მხოლოდ ვაბინძურებთ…..

-მე მინდა შვილი! ამოიხრიალა ნიკამ….

-არ გეცოდება? სულ ოდნავ მაინც….ხომ იცი, როგორ გვეყვარება….ეს ყველაფერი უფრო მტკივნეული იქნება…..

-მე ასეთი ვარ? ბუნდოვნად სასოწარკვეთილი იყო ქმრის ხმა…

-როგორი?

-ისეთი სადაც ბავშვის მოშორება უფრო სწორია ვიდრე გაჩენა……ელენე უყურებდა როგორ აუკანკალდა ხელები მენაბდეს…..როგორ აერია თვალები…..სუნთქვა უჭირდა……საკუთარი ფიქრები გუდავდა, ცოტაც და დაახრჩობდა….სახლიდან სწრაფად გავიდა…..არ იცოდა სად მიდიოდა, მაგრამ გრძნობდა სახე სულ სველი ჰქონდა…..გაუჩერებლად მოდიოდა წყალი

თვალებიდან, გაუჩერებლად ფიქრობდა და ელენეს სიტყვებით დანახული საკუთარი თავი აშინებდა…გრძნობდა, რომ ასე ვერ გაძლებდა გაგიჟდებოდა….წარმოუდგენელი იყო მისთვის ცოლის ეს სიტყვები, მაგრამ დაიმსახურა და ეს უფრო აგიჟებდა, ვერასოდეს იფიქრებდა, რომ საკუთარი თავი აბორტის მიზეზი შეიძლება გამხდარიყო…..ელენემ კი აუხსნა…..აუხსნა და შეწინააღმდეგება ვერ გაბედა, ვერაფერი დაუპირისპირა, ვერ გაამათლა საკუთარი თავი და იმ მომენტში ჩამოინგრა….

იმ სამი თვის განმავლობაში ალბათ ყველაზე ნაკლები სიტყვა თქვა, თითქმის არაფერს ჭამდა….ჰაერიც თავისით წვდებოდა ფილტვებს…. არაფერი უკითხავს ელენესთვის……აღარ ულაპარაკიათ….ნიკა გვიან მოდიოდა და როცა მოდიოდა უხმოდ შედიოდა კაბინეტში…იქ ეძინა…..იმ სამი თვის მანძილზე საკუთარ სქციელზე ფიქრმა განდეგილად აქცია….. საკუთარი თავი იყო ისეთი როგორებიც ძულდა…ვერაფერს ცვლიდა და ამიტომ ჩუმად იყო…. მესამე თვეს უკვე მუცელი დაეტყო….მორიდებულად აპარებდა ხოლმე თვალს ნიკა….აქამდე არაფერი ეტყობოდა და ვერ გაერკვია ელენეს გადაწყვეტილება…ამაზე ნერვიულობამ ლამის გააგიჟა…..როცა დარწმუნდა იმაში, რაშიც მანამდეც იყო დარწმუნებული, მაგრამ დაავიწყდა და შიშმა ძვლებიც კი დაუღრნა…ეგონა იფრენდა….ელენეს ჯინსის ღია შარვალი და თეთრი ტილოს პერანგი ეცვა….არ იკვეთებოდა, მაგრამ აშკარა იყო ფეხმძიმობისგან ჰქონდა წამოზრდილი მუცელი……აბაზანიდან გამოსული ნიკა ოთახში შევიდა, ტანსაცმელი აიღო…..ელენე ემზადებოდა სამსახურში წასასვლელად, სარკესთან იჯდა და თმას ისწორებდა…… ნიკა მიუახლოვდა, ელენე მოუსვენრად აწრიალდა, მალევე წამოდგა ფეხზე…..მენაბდემ ფრთხილად მოკიდა მხრებზე ხელი და გააჩერა….ხელი წელზე მოხვია და ჩაიხუტა….. ელენე არ განძრეულა..ნიკამ თავიდან ვერც კი შენიშნა მისი სიცივე..მერე მორიდებულად მოაშორა მკლავები და მუცელზე ხელი დაადო…..ელენეს უნდოდა იმ ოთახიდან გასვლა, უნდა ეთქვა რომ აგვიანდებოდა……

-არც ერთი ბანანი არ მომიტანია…..არც ზეთისხილი…..დემეტრეზე ფეხმძიმობის დროს განსაკუთრებულად უყვარდა ეს ელენეს, ნიკაც ისეთი სერიოზული სახით ეძებდა შუა ღამისას იმას რაც ელენეს უნდოდა ვინმე იფიქრებდა დაჭრილისთვის მიჰქონდა…..

-არ მინდებოდა…..

-მაგას არ აქვს აზრი….მაგას არ აქვს აზრი..ჩაილაპარაკა და ოთახიდან გავიდა….

„მინდა იცოდეს, როგორ ვამაყობ მისით….

ყველა დაბრკოლების შემდეგ მაოცებს….

ისეთია რომ ვერ აღწერ…

ისეთია, სულ რომ გინდა უყურო….

წარმოუდგენლად ძლიერია და, რომ გგონია დანებდება….

მე არ ვიცი ძალას საიდან პოულობს….

მაგრამ იმდენი აქვს სულ, რომ მაოცებს….

ზუსტად ისეთი ხარ წარმოდგენაც, რომ რთულია….

მაგრამ მე ზუსტად ასეთი წარმომედგინე…მაშინ ჭიქით ხელში, რომ დაგინახე,

მე რომ „მაქებდი“….

მეამბოხე, ძლიერი, გულწრფელი….შენ ყველასთან მართალი რჩები“

უნდოდა ეს გაეგზავნა…..მერე წაშალა და ხელებს დაეყრდნო უღონოდ….

……..

„ელენე დღეს თუ გეცლება შეგხვდები, სადაც შენ გირჩევნია, ოღონდ წყნეთი არა!“ ელენემ რომ დახედა მცირე მიწისძვრა იგრძნო, მერე სახე მოეღრუბლა და სწრაფად აკრიფა…..

„თამაზ თუ შენ ხარ, იცოდე დავიღალე უკვე!“ ნიკას გაეცინა…..

„იმათ სხვა გეგმა აქვთ, ახალი სტრატეგია, ჩემზე „ჭორაობით“ არიან დაკავებულები, მე რომ გავიგონო“

„ძნელია დავიჯერო, რომ თამაზ შენ არ ხარ“

„დაგირეკო?“

„არაა საჭირო ნიკა, დღეს არ ვიცი მოვახერხებ თუ არა..“

„იცოდე მეჯვერეები არ ჩაერთონ ამ ამბავში თორემ მგონი არავინ გვაკითხებს რას მოვახერხებთ და რას არა, გაზის გადაჭრა უფრო საშიში იქნება მემგონი, თამაზს ასეც ნუ გაიმეტებ…. უსაფრთხო რაღაცებისკენ გული არ მიუწევს“

„კარგი, სახლთან შევხვდეთ“

„გთხოვ რა მაგ სახლთან არ გვინდა.“

„მაშინ არ შემიძლია“ ნიკამ იცოდა სპეციალურად რომ უნდოდა ელენეს სახლთან შეხვედრა….ასე უფრო ძნელი იყო იმ ყველაფრისგან თავის დაღწევა….

„კარგი 6 ზე შეძლებ?“

„ალბათ“

ერთი საათი ელოდა, სახლში არ შესულა…..მანქანაშიც არ ჩამჯდარა და მარტო იცოდა, რომ ციოდა, გრძნობით ვერ გრძნობდა….ელენემ მისი მანქანის გვერდით გააჩერა და გადმოვიდა……

-ბოდიში დამაგვიანდა….ნიკამ თავით ანიშნა, რომ გაიგო….ჯიბეებში ხელები ჰქონდა ჩაწყობილი და მანქანაზე იჯდა….

-რამე სასწრაფო იყო? ნიკამ თავი დაუქნია…..

-რა მოხდა? ნიკა გისმენ, მეჩქარება….

-მე გისმენ…..

-მე სალაპარაკო არ მაქვს, შენ თუ ასე აპირებ ჯობია….

-ელენე, გისმენ…ყველაფერი მითხარი….ყველა წყენაზე, ყველა ტკივილზე…მელაპარაკე….

-არ მინდა ნიკა, ამისთვის თუ…..

-ელენე, მინდა რომ მოგისმინო….თუნდაც ამას მთელი ცხოვრება დაჭირდეს….მინდა ყველაფერი მითხრა არაფერი დაიტოვო….ძალიან გთხოვ….

-მიჭირს ლაპარაკი…..არ ვარ მიჩეული ასე…..

-არაუშავს თუ აგეტირება, ან გაგიწყდება…არაუშავს ელენე უბრალოდ ვილაპარაკოთ….ელენე მის გვერდით ჩამოჯდა..

-ერთი რამ ვიცი…რამდენი წელიც არ უნდა ვიცოცხლო, რაც არ უნდა გადავიტანო არც სიხარული და არც ტკივილი გადაფარავს იმ ემოციიის სიმძაფრეს….გახსენებისაც კი დღესაც ცხადად ვგრძნობ…..არ ვიცი წამი იყო, თუ მთელი ცხოვრება…..უბრალოდ ისე ღრმად, ისე მძაფრად მომერია, თითქოს მკლავებში ხელი მომკიდა და შემანჯღრია, თითქოს წყალში ვიყავი და ჰაერს ვერ ვპოულობდი, ტანზე ცეცხლი მეკიდა, მეგონა უზარმაზარი შენობიდან ჩამოვვარდი….ყველაფერი გამეყინა…ვიგრძენი გონებამ როგორ მიმატოვა…..მიმატოვა და ფიქრის უნარი წამართვა, თორემ იმ წამს გავგიჟდებოდი მთელი სიცხადით, რომ წარმომედგინა….ამ ყველაფერს ერთად ვგრძნობდი, მციოდა და თან ცეცხლი მეკიდა….იატაკზე, რომ დაგინახე, შენი ფეხი, რომ დავინახე…..საკუთარი თავის საკუთარ თავში ატანა აღარ შემეძლო…გასვლა მინდოდა, დატოვება…..ეს ისეთი ცვლილება იყო ბედნიერებიდან ჯოჯოხეთში, რომ ეშმაკებიც კი მიბრალებდნენ.. მაგრამ შენ არა! მე მთელი ცხოვრება მეყოფოდა უბედურებისთვის ის წამიც კი….შენ გარეშეც, შენი შურისძიების გარეშეც ვერასოდეს ვიქნებოდი ბედნიერი….ვიცოდი შენთვის რა გავაკეთე, ვიცოდი, რომ ასეთ რამეს უბრალოდ ვერ პატიობენ, შეიძლება უნდათ, შეიძლება ერთად ცხოვრობენ კიდეც, მაგრამ ამას ვერ დაივიწყებ….. ვიცოდი რას ნიშნავსს აუხდენელი ოცებებით ცხოვრება…ვიცი როგორ ჭამს ეს შეგრძნება….შენთვის ეს ყველაფერი ვიცოდი რაც იყო. არც კი ვიცი, როგორ უნდა გამეძლო შენი უბედურების მიზეზად ყოფნას….მე შენი მზიანი თვალები მახარებდა მხოლოდ, შენი გადაწმენდილი სახე, სიმშვიდე….მარტო შენთან კი არა ძალიან ბევრ ადამიანთან ვიგრძენი თავი დამნაშავედ

ერთიანად….შენი მშობლების, ახლობლების, ქვეყნის ნიკა….ვიცოდი რამდენ გულშემატკივარს ვატკინე გული…..მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანი მაინც მარტო ის იყო, რომ შენ დაიტანჯებოდი…..ეს ყველაზე მძიმე იყო ამ წლების განმავლობაში….ისიც კი არ ვიცი, როგორ უნდა გამეძლო მე რომ დამაშავე არ ვყოფილიყავი, მაშინაც არ ვიცი შენს ასეთ უიმედობას, იმედგაცრუებას თუ ავიტანდი, მაგრამ რატომღაც უფრო მეტად მომიწია ამის ატანა…საკუთარ თავთანაც დამნაშავე, შენთანაც….ყველასთან….ჩემი სინდისი იმ კედლებს ასკდებოდა, რომლებსაც ვერ გადადიოდა…შენ კი ამ სინდის აქეზებდი….ოდნავ მაინც თუ ჩავამშვიდებდი, შენ მაინც გამოგყავდა, აყეფებდი და მერე ისე მიჭირდა…..

-ელენე, ცოტა ხანი…ნიკამ გააჩერა…დაინახა, როგორ დაეცა მანქანას ნიკას ცრემლი….თავჩაღუნული იჯდა მენაბდე…მერე ანიშნა, რომ გაეგრძელებინა….

-მაშინ ისიც ვიგრძენი, რომ რაღაც მომწყდა…..ვიცოდი, გამორიცხული იყო ასეთი ნერვიულობისთვის გაეძელო….რამდენიმე დღე საკუთარ თავს ვაიძულებდი დაეჯერა, რომ ინძრეობდა, უბრალოდ მე ვერ ვგრძნობდი….. ზოგჯერ გვგონია, რომ ზღვარი ყველგანაა უბედურებაშიც და არ მეჯერა თუ შეიძლებოდა გაბრიელიც დამეკარგა….დანარჩენი იცი….

-მითხარი….გთხოვ….

-არ მეგონა თუ ქმრისგან ასეთ მოქცევას ავიტანდი, სიუხეშეს, გაუგებრობას, დაუფასებლობას, მიყვიროდი როცა გინდოდა…მაიძულებდი როცა გინდოდა….მემუქრებოდი და მაწამებდი…. არასოდეს მოსულხარ ისეთი მთვრალი, როგორიც ჩანდი….შენ ბრაზისგან უფრო იყავი მთვრალი…..არასოდეს მაიძულებდი შენთან ყოფნას, უბრალოდ გინდოდა დანებებული გენახე, გაგენადგურებინა თუ რამ წინააღმდეგოის უნარი მქონდა, გინდოდა ისეთად გექცია, რომ ვერ იტან და მერე წასვლა გაგიოლებოდა.. ცუდი იცი რა არის? მჯერა, რომ მარტო იმიტომ არ მიიყვანდი შენს ძალადობას ბოლომდე, რომ სინდისის გეშინოდა…..მე კი არ მინდობდი საკუთარ თავს….აქამდე არასოდეს გიკითხავს ჩემთვის ეს ყველაფერი, გამიკვირდა ახლა რომ…..

-გახსოვს შენ რომ მეუბნებოდი გრძნობებზე…..

-როდის?

-სანამ ცოლად გამომყვებოდი, შენ ისე დაჟინებით, ისე მტკიცედ და გულწრფელად ლაპარაკობდი….მაშინ პატარა იყავი, მაგრამ მე მერე მთელი ღამე ვფიქრობდი შენს ნათქვამზე….გრძნობების გაქრობის არ გეჯერა, შეიძლება მიიძინონ, ჩაიფერფლონ, მაგრამ გამოიღვიძებენ….არ ქრებიან….

-რატომ გაგახსენდა ახლა ნიკა?

-სულ მახსოვდა….წარსულზე ლაპარაკი ძნელია, რადგან ვერაფერს შევცვლით….ჩემთვის ძალიან ძნელია ვიყო ასეთი.. უფსკრულია ჩემს შეხედულებებსა და ქცევებს შორის…ასეთ დროს ამბობენ, რომ ადამიანები ხშირად გიჟდებიან….

-მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და რაღაცები არ მესმოდა….

-ზოგჯერ გაუგებრობებს, სიმარტოვეს, ბოროტებას, უსამართლობას ერთი მცდარი შეხედულება განაპირობებს, ყველას, რომ თანდაყოლილად გვაქვს…რატომღაც გვგონია, რომ ყოველ ერთ სიტოაციას ერთი მართალი და ერთი მტყუანი ჰყავს…ადამიანებს არ გვესმის, რომ ყველა თავისებურად მართალია…შეიძლება უზნეო იყო, უღირსებო, სასტიკიც…მაგრამ მართალი შენს შეგრძნებებთან….ზოგჯერ არ ესმით ადამიანებს რადგან მსგავსების გარდა უამრავი უფრო მნიშვნელოვანი განსხვავება გვაქვს….ალბათ არავის ამ ქვეყანაზე არ უნდა აპატიონ როგორც მე….მაგრამ არ მინდა პატიება სხვამ მიიღოს და არა მე….მე ასეთი ვარ….ძალიან ბნელი….და ისე მიყვარხარ, ისე გენდობი და იმდენად საჭირო ხარ ჩემთვის შემიძლია სიცოცხლის ბოლომდე პატიება გთხოვო….

-პატიება იმის გამო რაშიც საკუთარ თავს ამართლებ?

-პატიება იმის გამო, რომ საშუალება მოგეცი შეგეძულებინე, არ შევასრულე პირობა და არ ვიყავი ჩვენს ოჯახში უფრო ძლიერი…ვერ დაგიცავი, ვერ გიერთგულე….პატიება იმის გამო, რომ ასეთი სიყვარულიც შემიძლია….შენთან თავს არ ვამართლებ…მე საკუთარ თავთან ვარ მართალი და ეს სიმართლე მძულს….მძულს ყველაფერი რამაც ასე დაგტანჯა…..არ მინდა, რომ არ გიყვარდე…..არ მინდა ამ ეჭვებმა ჭკუიდან გადამიყვანოს…..არ ვარ დარწმუნებული, რომ გიყვარვარ და უკანასკნელი ეგოისტივით მინდა ვიყვირო….პირველად არ ვარ დარწმუნებული…..და ეს მთლიანად მანგრევს….

-არ ხარ დარწმუნებული? ელენეს ხმა გაებზარა, ძლივს დაიმორჩლე თავი და ამის გამო დაამატა..-აქამდე იყავი?

-თავს არ დაგანებებ! სულ შენს გვერდით ვიქნები…..არც შენს უხეშობაზე გავიბუტები, არც ვიჯიუტებ….ვერ მაწყენინებ!

-რა შეიცვალა იმ დღიდან ქურთუკის გადაგდება, რომ მთხოვე…

-იმედია არ გადააგდე….გაიღიმა მენაბდემ…… ელენე მაპატიე….

-ნიკა არ ვიცი, ვერაფერს გიპასუხებ….შეიძლება ძალიან გაურკვეველია ჩემი ასეთი საქციელი, ცოტა ხნის წინ ყველაფერზე თანახმა ვიყავი, მაგრამ მაშინ მეგონა, რომ შეიძლებოდა მომკვდარიყავი…..ამ დროს რაღაცები არ გაინტერესებს….ამ დროს ვიცოდი რის გამოც შეიცვალე და ეს მიზეზი მესმოდა…ახლა არ ვიცი, ახლა მეშინია….

-ელენე გეფიცები, რომ აღარასოდეს ვიქნები ისეთი….

-ნიკა შენ შეიძლება ესე გინდა და გჯერა, მაგრამ რა გავაკეთო რომ ვერ შეძლო….ვერ გენდობი…..

-კარგი ელენე, შეგიძლია რამდენ ხანსაც გინდა დამაკვირდე….მე არ მოგშორდები…..მესმის, რომ ჩემი ნდობა რთულია…..რამდენიმე წუთი ჩუმად იყვნენ

– ძალიან გაგყინე…..მანქანაში მაინც ჩავჯდეთ…

-არა ნიკა, არ მინდა, მე სახლში შევალ, დიდი ხანია აქ არ ვყოფილვარ……

სანამ ელენე არ შევიდა მანქანიდან არ ჩამოვიდა…..უკან სავარძელზე ელენეს მანქანაში თავის ქურთუკს მოკრა თვალი, გაეღიმა….მანქანაში იჯდა და რამდენიმე წუთი ფიქრობდა რას გააკეთებდა 23 წლის ნიკა მენაბდე…ვერაფრით გაიგო…უბრალოდ იცოდა, რომ ის არ წავიდოდა…. არც კარზე დააკაკუნებდა….მისი ოთახისკენ წავიდა…..უნდოდა ამ ყველაფრისთვის გაეძლო…..ელენე საწოლთან იჯდა, მოკუნტული…..სურათი ეჭირა და ტიროდა….. ნიკას დანახვაზე სახე გაუმკაცრდა, ცრემლები მოიწმინდა და სწრაფად წამოდგა…..მენაბდე მიუახლოვდა სურათისკენ ხელი გაიშვირა…ელენე არ აძლევდა…..მენაბდე მიუახლოვდა და გამოართვა…. ნიკას ტრამვამდე ერთი დღით ადრე გადაღებული ფოტო იყო…დემეტრესთან ერთად იყვნენ…..

-რატომ შემოდიხარ გაუფრთხილებლად……

-შენ გარეშე ვერ ვიცოცხლებ, ნიკა თითქმის ჩურჩულით ეუბნებოდა…….ელენეს უკვე თავის შეკავება უჭირდა, ტირილი აუვარდა….

-წადი, გეხვეწები წადი…..არ მინდა..ასე მომკლავ…..

-ელენე ყველაფერი კარგად იქნება…

-ნიკა გეფიცები….ახლა გავუძლებ შენს წასვლას, მაგრამ იცოდე თუ…..ნიკა თუ ისევ ისე მომექცევი…..გული გამისკდება, მართლა გამისკდება ნიკა, ვგრძნობ, ვიცი….ასე მომკლავ ….გთხოვ თუ არ ხარ დარწმუნებული ასე ნუ გამიმეტებ ძალიან დავიღალე, ძალა საერთოდ არ მაქვს……

-ყოველდღე მარტო იმიტომ ვიცოცხლებ შენ, რომ ბედნიერი იყო…..გეფიცები ყველაფერს…..გპირდები ელენე…..მე შენით ვცოცხლობ…მაპატიე, მაპატიე ძალიან გთხოვ….ნიკას ხმა გაებზარა, ცრემლები მოდიოდა……ელენე მიეხუტა, ტირილისგან გული ამომჯდარი ჰქონდა….

-ყველაზე დებილი ვარ….შენ, როგორ გაგებუტე…..შენ როგორ გამოგეჯიბრე ელენე…..გეფიცები ყველაფერი კარგად იქნება..იმაზე კარგად ვიდრე ახლა შენ წამოგიდგენია….ყველაფერზე მნიშვნელოვანი ხარ, როცა მეგონა გკარგავდი, მაშინ ყველაფერმა აზრი დაკარგა…..ყველაზე მეტად გამიმართლა იმ დღეს შენ, რომ არაფერი მოგივიდა….ვგრძნობ, რომ ყველაფრის გარეშე შემიძლია ცხოვრება, ფეხბურთის გარეშეც, უშენოდ ვერაფერს შევძლებ….

-ძალიან მეშინია….

-დამიჯერე ელენე, გპირდები ჩვენ დემეტრესთან და ანასტასიასთან ერთად ძალიან ბედნიერები ვიქნებით…..ვერ მოგთხოვ მაპატიო…უბრალოდ მინდა იცოდე, რომ ვნანობ……ვიცი ძნელია, მაგრამ ყველაფერი კარგად იქნება, ჩვენ ცოცხლები ვართ და სანამ ცოხლები ვიქნებით ერთმანეთს ყოველთვის ვიპოვით….ხომ გჯერა რასაც ახლა გეუბნები? ელენე შემომხედე, ხომ გჯერა….

წყლით ავსებული თვალებით შეხედა..

-კი ნიკა….

-არასოდეს მითხრა, რომ არ გიყვარვარ, ხუმრობითაც კი…..საერთოდ არასოდეს გაივლო ეგ აზრი…..

-ძალიან მენატრები ისეთი მენატრები ….ზოგჯერ მგონია ამ დროში დავრჩი, შენთან ერთად..ელენე სურათს დაცქეროდა..

-უფრო ბედნიერები ვიქნებით…. მე თავისუფალი ვარ ელენე..ამ შეგრძნებებისგან თავისუფალი და ახლა ყველაფრის გაკეთება შემიძლია შენ, რომ მშვიდად იყო, როგორმე ჩვენ შვილებს ნორმალური ვახსოვდე….ეს ყველაზე მეტად გამიჭირდება….ახლა კარგი ურთიერთობა მხოლოდ მოჩვენებითია, მინდა რომ ღრმა იყოს ეს ყველაფერი, მინდა, რომ როგორმე მათთვის წავშალო ჩემი საქციელი….

-ძალიან უყვარხარ ნიკა….დემეტრეზე არც ვამბობ, იმას ახსოვხარ…იმისთვის გასაგებიცაა ყველაფერი, ესმის შენი ფეხბურთის დამოკიდებულება, მაგრამ იცი ტასუნას როგორ გააზრებით უყვარხარ….

-გითხრა?

-ხო, ვკითხე….

-რა გითხრა?

-ის, რომ მისი მამიკო ხარ და უყვარხარ! ნიკას სახე წაეშალა, ამის ეშინოდა სულ, მარტო იმიტომ ყვარებოდა მამა, რომ იყო……..სულ ხვდეები რა უნდა, არ იღლები მისი ტარებით, ყოველთვის ნაზად კოცნი, არ ჩქმეტ…სულ კარგი სუნი გაქვს და მოწესრიგებულად გაცვია, არ იგინები, სიგარეტს არ ეწევი….

-ეს ყველაფერი ანასტასიამ გითხრა?

-ხო კიდევ ბევრი რამ თქვა…..

-ვიცოდი სიგარეტის სიძულვილი სადმე წამადგებოდა..გაეცინა მენაბდეს….მადლობა, რომ მითხარი….ძალიან მეშინია, ტასოსთან განსაკუთრებით….ელენემ კისერზე ხელები ჩამოადო…

-ახლა რასაც გეტყვი კარგად დაიმახსოვრე….თუ ამ წლებმა ერთმანეთს არ დაგვაშორა, ბავშვებსაც ვგულისმობ, მარტო იმიტომ, რომ შენ უბრალოდ ცდილობდი…. ეს ყველაფერი კი ზედმეტად აშკარა იყო, შეიძლება აუტანელი, მაგრამ აშკარა, რომ საკუთარ თავსაც აიძულებდი ასე მოქცევას…. ზოგჯერ მეგონა ორივეს გვტანჯავდა რაღაც, შენ კი არა რაღაც სხვა გვაწამებდა ორივეს….სხვანაირად შენს სახეს, თვალებს, ჩამქრალ ცხოვრებას ვერ ვხსნი…. თუ მე ვერ ვიყავი ბედნიერი ეს არც შენ ყოფილხარ…შეიძლება უფრო მეტადაც დაიტანჯე, მე ვიცოდი რაზე

გავბრაზებულიყავი შენ კი არა..ჩემი სინდისი შენი საქციელით მსუბუქდებოდა შენი კი პირიქით….. შენ იმ ცუდ მსახიობს გავდი გამოგონილი პერსონაჟის როლს, რომ ვერ ასრულებს….იდექი ამდენი უხეშობის წინ და ვერაფრით ვიჯერებდი შენს უხეშობას….აკეთებდი სისასტიკეს და შენ არ იყავი სასტიკი…. ვერაფრით დაკარგე სიფაქიზე, მე რომ ესე მიყვარდა…ვერაფრით მოიშორე არადა ყველაზე მეტად ამას ცდილობდი….მაინც გამოჟონავდა შენს მზერაში…ქცევაში…პირველად, რომ ტასო დაგიტოვე….მეგონა გავგიჟდებოდი ნერვიულობით, მაგრამ ვიცოდი ეს უნდა გამეკეთებინა….ისე ფაქიზად არავინ უვლიდა, შენი დაკეცილი ტანსაცმელი სხვანაირი იყო, არ ვიცი საჭმელს როგორ აჭმევდი, მაგრამ ოდნავ არ იყო დასვრილი….

-ვუვცლიდი თუ ისვრებოდა….. გამოტყდა ნიკა და გაეცინა….

-ნიკა არ მინდა ამით დაიტანჯო თავი, ჩვენ მაინც ვგრძნობდით, რომ ეს ყველაფერი ბუნებრივისგან შორს იდგა…..

-ცხოვრებაში თუ რამე სწორად გავაკეთე, შენ რომ ცოლად მოგიყვანე ეს იყო…..ნიკას მისი სახე ხელებში ჰქონდა მოქცეული და თვალებში უყურებდა…თბილი, უპრეტენზიო გამოხედვით….

-ნიკა…ელენეს სახე მოეღრუბლა…. ხომ მპირდები? ძალიან ეშინოდა, ეშინოდა იმის რაც შეიძლება მომხდარიყო, იცოდა უფსკრულის პირას იდგა…იცოდა საკუთარ თავს გაანადგურებდა არასწორი გადაწყვეტილება, რომ მიეღო… ნიკამ მისი ხელი აიღო და გულზე მიიდო….

-შენ დღესაც, რომ გხედავ გული ისევ ისე მიჩქარდება….რომ არ ვიცოდე არ დაგპირდებოდი….ხომ იცი? არც კი იცოდა, რატომ ჰქონდა ამ კაცის ამხელა ნდობა უამრავი იმედგაცრუების მიუხედავად, მისი ყველა სიტყვის ჯეროდა…ენდობოდა და მმის გვერძე ყოფნისთვის გაუცნობიერებლად აკეთებდა ყველაფერს….ამაზე არაფერი უპასუხა…

-შენი ქურთუკი მანქანაში მაქვს, ელენე მოეხვია…

-მე უთო გიყიდე….

-მართლა? გაეცინა ელენეს…

-ხო გუშინ ბარბარემ, რომ დამაბარა პულტი იქ უამრავ უთოთი გარშემორტყმულს შენ გამახსენდი….

-ბარბარეზე ძალიან გამიხარდა…. ნახე სახლში მოტანის სერვისიც ჰქონიათ…..

-სულაც არა, აქ არ მაქვს….

-დღეს მოცემას არ აპირებდი?

-არა!!! წარბები აწია ნიკამ….

-იმედია ოდესმე მაგ უთოს ვნახავ….

-თვითონ მოგიტან…. თვალი ჩაუკრა ნიკამ….ელენე…..მართლა ასეთი ლამაზი ხარ თუ მე ვხედავ ასე? ნიკა ოდნავ უკან დაიწია და ელენეს შეხედა ღიმილით ….

-შენ ხედავ ასე…..

-ასეთი დებილი ვარ?

-შენ თუ ეგ სიდებილე გგონია…ელენე მოიღუშა….

-სულ ასე ადვილი როგორ არის შენი გაბრაზება…ხმამაღლა გაიცინა ნიკამ…..

-ნუ იქცევი ასე განზრახ….ნიკამ მშვიდად დაიწყო…

-ძალიან ლამაზი ხარ, ჩემთვის ყველაზე ლამაზი…..თუ ვინმე არ გგავს არ მომწონს და თუ გგავს ვფიქრობ, რომ შენნაირი მაინც არაა…..იცოდე ახლა რასაც ვბოდავ ეს არავის უთხრა…..

-ბოდავ? წარბი აწია ელენემ…..

-არ აქვს მნიშვნელობა რაცაა…..

-ესე იგი ბოდვა…..ვიმახსოვრებ….

-სხვა დროს აგყვებოდი, რომ გამებრაზებინე…..ახლა უბრალოდ მინდა მშვიდად ვიყოთ……და ერთად…..

MWERALI.COM

……

სახე არეული ჰქონდა, კედლებს ლამის შესკდომოდა, ნერვიულობისგან ადგილს ვერ პოულობდა, მთელ ოთახში დადიოდა….შეეძლო ხმამაღლა ეყვირა, ეღრიალა, დაუმსახურებლობის შეგრძნება გუდავდა….

-დამშვიდდი….ჩაილაპარაკა ელენემ……

-მე…….მეეე

-მე რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ თამაზს ვეთანხმები და ჯობია წავიდეთ….ხმამაღლა თქვა მაიამ….

-ააა, გაგვიკვირდეს, რომ ეთანხმები…..შეთქმულებების მოწყობები დიდი ხანია დაამთავრეთ? ლოყაზე მოუსვა ხელი ნიკამ….

-უმადურები ხართ!

-სულაც არა, გიჟები ვიქნებით თუ მეჯვარეებად ისევ თქვენ გვეყოლებით, მე და ელენემ ერთხმად გადავწყვიტეთ…..

-კი, არც კი გვიკამათია..დაამატა ელენემ….

-კარგი! როგორც გინდათ, უბრალოდ 13 წლის წინ ერთი ნათელი ნაბიჯი გადადგით ჩვენი მეჯვარეობა, რომ გადაწყვიტეთ და ახლა ამასაც არ აკეთებთ…..სულ არ გვეშლება ნერვები…

-ვიცი თაზო…გაუცინა ნიკამ..

-ადამიანი ბედის გარეშე, რომ დაიბადები……უმადურები გარშემო ყველგან…..

-ვერ წარმოვიდგენდი თქვენ თუ მაგის იმედი გექნებოდათ იმის მერე რაც გააკეთეთ…..ელენე მართლა გაბრაზებულს გავდა..ნიკა განზრახ აწვალებდა….

-ასეა თაზო ერთმანეთთან დატკბნენ და ვინმე ხომ უნდა გაამწარონ…თვალი ჩაუკრა მაიამ თამაზს….

-ეგ რა შუაშია მაია უბრალოდ შენგან არ მოველოდი….მოიღუშა ელენე…

-არ მოელოდი? ეს იყო რაც იყო, მთავარი ძალა..გადაიხარხარა თამაზმა….ერთადერთი რაც მამშვიდებს დრამანი არაა ქრისტიანი და მეჯვარეც ვერ იქნება, ამიტომ სხვა დანარჩენი „წყალსაც წაუღია“ ლუდოვიკო in action.

–რას გადამეკიდე ტო შენ კიდევ ეჭვიანობ…არ ხარ ნორმალური, ალბათ ნინა ძალიან გააწვალე ეჭვიანობით….მეგობარზე ესე არ გამიგია…..

–შემეშვი რა მენაბდე!

ელენემ თვალით რაღაც ანიშნა ნიკას და მიეხუტა…მალევე გავიდნენ მეჯვარეები, ქოთქოთით და ბრაზით….რამდენიმე წუთი ხმა არ ამოუღიათ…უბრალოდ მშვიდად იყვნენ ისეთი სიმშვიდით ბედნიერებას, რომ მოაქვს…შინაგან სიმშვიდეს ესე ძნელად მოსაპოვებელი რომ არის მთელი გააზრებით გრძნობდნენ…

–ნუღა ვაწვალებთ არ გაბრაზდნენ….ახედა ელენემ….

–ნუ ხარ ასეთი გულკეთილი..გაუძლებენ გაეცინა ნიკას….ცოტა ხანში იქნება მზად მაგათი საჩუქარი და იქამდე დაველოდოთ….

–ძალიან ლამაზი გამოდის……

–ხო ძალიან მოეწონებათ, ჩვენი ქორწილის დღეს ვაჩუქოთ რა..დაიჯღანა ნიკა…

–იქვე?

–აი ძალიან მაგარი იქნება, გადაირევიან….

……

ყველაფერი მოკრძალებულად გაკეთდა. პომპეზური მხოლოდ გულისძგერა იყო და ბედნიერება….ელენე და ანასტასია ერთად გამოვიდნენ სალონიდან, პატარა პატარძალს ჰგავდა ტასუნა.. ელენეს სადა, მარჯნისფერი კაბა ეცვა…..ჩალისფერი დატალღული თმა მხრებზე ჰქონდა გადმოღვრილი…ცოტნეს მანქანაში სიცილით ჩასხდნენ…ვერაფრით შეიკავეს თავი და–ძმამ ანასტასიას დანახვაზე, ცოტნემ თვალით ანიშნა პატარა მეტიჩარაზე….როგორი მონდომებით მოდიოდა…დილით ძალიან ადრე ადგა თმა, რომ გაეკეთებინა და ბედნიერებისთვის ყველაფერი ჰყოფნიდა…..

–ცოტნე ესე ნელა რატომ მიდიხარ? მორიდებულად ჰკითხა ელენემ..

–შენი ყოფილი თუ მომავალი ქმარი არაა ჯერ მისული და შენ უკვე ხომ არ მიხვალ..

–არაა? რატომ? მე მომწერა მივედიო?

–იყო მისული მერე ფეხსაცმელი გაესვარა…სულ ოდნავ მიეცხო ტალახი ნაწვიმარი როა და ხომ იცი სულ გადაირია….ბელთაურს რაც მოედანზე არ აქვს ნარბენი ახლა დარბის….ახალ ფეხსაცმელს ყიდულობენ და თან ხომ იცი მენაბდე ყველაფერს არ ჩაიცვავს სანამ ისეთს არ იშოვის….არ მიდის ჩემს ტანსაცმელზე სხვანაირი ფეხსაცმელიო…

–გაეწმინდათ…გაეცინა ელენეს….

–აუ რაღაც ისეთი ფეხსაცმელია, რომ არ იწმინდება ლაქად დააჩნდა მაინც, ისე ძალიან კი არ ეტყობა მაგრამ ხომ იცი ნიკა ვერაა….მაგ ლაქას მარტო ნიკა ხედავს დანარჩენები გამადიდებლებით თუ შეამჩნევენ…

ელენე ნიკას მდგომარეობის წარმოდგენაზე სიცილს ვერ იკავებდა….არადა მენაბდე ამას ისეთ პრობლემად აღქვავდა, რომ სულ დაძაბული იყო…..

……

ნიკასაც სიცილი აუტყდა ტასუნა, რომ დაინახა…რამდენიმე წამი სახეზე ხელი ჰქონდა აფარებული ისე ეცინებოდა….

–ბოდიში რომ გალოდინე, მაგრამ იმ ფეხსაცმლით ჭკუიდან გადავიდოდი…. უთხრა და ლოყაზე აკოცა ნიკამ…

–წარმომიდგენია რა გადაიტანე….

–არ გინდა…ძლივს შეიკავა თავი სიცილისგან….

–გამიკვირდებოდა ასეთი რამე რომ არ მომხდარიყო გეფიცები….

–ჩემს ჩვევებზე სხვა დროს ვიცინოთ ახლა მემგონი ქორწილი გაქვს…

–ხელი მომკიდე, ისეთი ქუსლები აქვს ამ ფეხსაცმელს ძლივს დავდივარ…..

–არ დამაბიჯო საყვარელო, თორემ კიდევ გადაგვედება ქორწილი….

–მე იცი რა გამიკვირდა, შენ, რომ სხვა ფეხსაცმელი არ გქონდა წამოღებული ყოველიშემთხვევისთვის ადრე გახსოვს ესე დადიოდი…..

–საყვარელო ვღელავ და ამიტომ ესე მკაცრად ნუ განმსჯი……ჩაეცინა ნიკას….

გაბუსხული მეჯვარეები იმ დღეს, რომ გაიგეს ამის შესახებ….ძლივს შეკავებული სიცილი მათი დანახვისას…დემეტრეს და ანასტასიას გაბრწყინებული თვალები…..ყველა ახლობლის სევდანარევი სიხარული…ისევ შეგრძნება, რომ მეორე ნახევარია…..ისევ განცდა რომ ერთმანეთთან უფლებები და მოვალეობები აქვთ….სიუცხოვის წაშლილი საზღვრები…..სიმშვიდე სიჩუმეში გამჯდარი და და ძლეული შფოთი…. ტაძრიდან გვიან გამოვიდნენ…..გულმხურვალე მადლობა უფალს შემწეობისთვის იმ სიმშვიდისთვის რაც მათ სულებში იდგა…..

..

–ეს რა დარბაზია? მშვიდად იკითხა თამაზმა მანქანაში…

–აქ გვაქვს ქორწილი გაეცინა ელენეს..

–ახალია ? აქამდე არ ვყოფილვარ…..ძალიან დიდი და ლამაზი შენობაა….

–მოგეწონა თაზო? მაია შენ? მხარზე ხელი დაადო ნიკამ…..

–ძალიან ლამაზია, თან ნახე მარჯვენა ფასადზე თამაზ მეკარის ხელთათმანია გამოსახული…..ისე თქვა თვალი არ მოუშორებია შენობისთვის მაიას….ელენემ და ნიკამ თვალი

გააპარეს ერთმანეთისკენ და მალევე გადმოვიდნენ მანქანიდან….ყველაფერი ძალიან გემოვნებით იყო, არაფერი გადაჭარბებული და არც უბრალო….

–მხოლოდ ქორწინებისთვისაა ეს დარბაზი……

–რა ქვია ნიკა? აქ ხშირად უნდა მოვიდე ხოლმე გაეცინა ბელთაურს..

–მოგიწევს…ჩაიდუდღუნა ნიკამ…..რომ შევალთ სახელს გეტყვით…..

…

–მადლობა ყველას დღეს აქ ყოფნისთვის…იმისთვის, რომ გულწრფელად შეგიძლიათ გაიზიაროთ ჩვენი სიხარული…..მე და ელენე ვამაყობთ იმით, რომ გვყავხართ…მთელი ამ ხნის განმავლობაში ვგრძნობდით რომ თქვენ ჩვენს გვერდით იყავით….ძალიან დიდი მადლობა ამისთვის….არ მიყვარს ხოლმე ესეთი სიტყვების წარმოთქმა და ყურადღების ასე მიქცევა…ჯანდაბა!!!! რომ ვუკვირდები ყველაფერს ასე ვიწყებ, რომ არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი და მერე მაინც ბევრს ვლაპარაკობ…..თქვენ ძალიან ახლობლები ხართ და გამიგებთ….ყველას გაეცინა….

გამიგებთ იმას, რომ უნდა ვთქვა და უნდა ვთქვა ასე, თქვენთან ერთად ის „მადლობა“ რომელსაც არ ვათ დარწმუნებული გადავიხდით თუ არა, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის…..რამდენიმე თვე გავიდა რაც ეს გავიგეთ და ვფიქრობთ რა გავაკეთეთ ისეთი, რით დავიმსახურეთ რომ ორმა ადამიანმა ასე შეგვიყვარა….ყველაფერი გააკეთა, წარმოუდგენელი რაღაცები ჩაიდინა…. ხომ არის რაღაცები რაც ზუსტად იცი…. ახლა ზუსტად ვიცით,რომ მსოფლიოში საუკეთესო მეჯვარეები მე და ელენეს გვყავს! ეს შეგიძლიათ სუბიექტურ მოსაზრებად ჩათვალოთ, მაგრამ ობიექტურად ნამდვილად ასეა….მაიამ და თამაზმა დაბნეულად შეხედეს ერთმანეთს, ვერ მიხვდნენ რა ხდებოდა….

რთული ცხოვრება გვქონდა მე და ელენეს…ამას ისიც მოწმობს, რომ ჩვენს მეორე ქორწილზე ხართ! ღიმილი ვერ შეიკავეს…..იმდენად რთული იყო ჩემ გამო ყველაფერი არაფერს მოვყვები და თქვენმა უმრავლესობამ თუ არა ყველამ ეს ისედაც იცით! მე ყველა მეგობარი დავკარგე…ყველას ზურგი ვაქციე…ყველა გავანაწყენე და ახლა ყველას ბოდიშს გიხდით….. ძალიან ვეცადე, მაგრამ ვერაფერი ვაწყენინე ბელთაურს…არადა თუ ამ ადამიანს კარგად იცნობთ მიხვდებით, რომ ძალიან პატარა წყინს…მთელი ეს წლები ჩემს გარშემო იტრიალა საითაც შევტრიალდებოდი ისიც ისევე იქცეოდა, არაფრით მომცა უფლება ჩემს ზურგს უკან დარჩენილიყო…არ თქვა ის სიტყვები, რომელსაც ყველა იტყოდა…..ჩემი ნათესავების შემდეგ ერთადერთი კაცია ვისაც ხელი არ გაუშვია და ვისაც ბელთაურის თამაშისთვის გიყურებიათ იცით როგორი ძლიერი ხელები აქვს! მე სულ მქონდა მისი იმედი მოედანზე და თურმე ცხოვრებაში ის გაცილებით უფრო საიმედოა…..აქ ვგულისმობ უკრაინასთან გაშვებულ გოლებს……“მოგკლავ“ ჩაიდუდღუნა

–მაგ ბურთებს ვერ ავიღებდი!

–ასაღები ბურთები იყო ეგ თაზო!

–არ ყოფილა!

–შევთანხმდეთ, რომ ვერ ვთანხმდებით ბელთაური! (ეს ერთ–ერთი ლექტორის საყვარელი ფრაზაა!)……დაძაბული ჰაერი სიცილმა გააპო, მაგრამ მალევე ყველა გაჩერდა…..

უბრალოდ არ შეიძლება ვერ დააფასო….არ იყო ბედნიერი და მადლიერების გრძნობა არ გახრჩობდეს….მაია ალბათ ერთადერთი ადამიანი იყო ამ წლების განმავლობაში ვისთანაც ყველაზე ხშირად მახსენდებოდა როგორი ვიყავი ადრე…..სერიოზულად მასთან ვერ იქნებოდი…ან უნდა გეცინა ან გეკამათა….დაუფარავად მეუბნებოდა რომ საშინლად ვიყავი გასუქებული და ამის გამო ისე დამცინოდა თითქოს თვითონ არ ყოფილიყოს პუტკუნა…

–მემაბდე! მაიამ მთელ ხმაზე დაუყვირა…

–აი ზუსტად ასე…ყოველთვის ბრაზდება ამაზე, მიყვარს სტაბილური ადამიანები, რომლებიც გაბრაზების ობიექტსაც არ ცვლიან….ელენესთვის ვიცი რამდენს ნიშნავდა და ალბათ ამ მადლობას ვერ გადავიხდი უამრავი მცდელობის მიუხედავად….დარწმუნებული ვარ მისი იდეა იყო ის რასაც ასე ხმამაღლა ვერ ვიტყვი, მაგრამ ელენეს აქვს რაღაც იდეა….ნიკამ ელენეს ხელი მოკიდა და მიკროფონი მიაწოდა…..

–ამ დარბაზში პირველი ჩვენი ქორწილია…რამდენიმე თვის წინ დავიწყეთ მშენებლობა….სიმართლე გითხრათ მე და ნიკამ ძალიან ბევრი ვიფიქრეთ რა შეიძლებოდა გაგვეკეთებინა….მსოფლიო ჩემპიონატის საგზური იყო აქტუალური, მაგრამ მერე გადავწყვიტეთ, რომ იქ ისედაც მივდივართ! არ გვინდოდა მატერიალური ყოფილიყო ამით თითქოს გავაუბრალოებდით იმ მადლიერების შეგრძნებას რაც გვაქვს…თანაც არც თქვენთვის იქნებოდა ასეთ მნიშვნელოვანი……ამ დარბაზს ერთადერთი სახელი აკლია…თუმცა პირველი ეს ჰქონდა, უბრალოდ ბოლომდე გვინოდა „საიდუმლოდ“ შეგვენახა და ამიტომ შენობის წინა ფასადზე სახელი დაფარულია…..მატერიალური საჩუქარი მაინც გამოგვდის, მაგრამ ჩვენ უამრავი დრო დავხარჯეთ სასიამოვნოდ, რომ ის სიმბოლური დატვირთვა მიგვეცა რაც სულ ექნება…..

ამ დარბაზს „მეჯვარეები“ ჰქვია და მხოლოდ ქორწინებისთვის არის განკუთვნილი თუ ახალი მეპატრონეები დანიშნულებას არ შეუცვლიან….თუმცა იმ ჩუქების ხელშეკრულებაში, რომელიც ხელში მიჭირავს პირობადაა დათქმული, რომ ერთი წელი ამის გაკეთების უფლება არ აქვთ!

–ხომ ხედავთ დღეს მხოლოდ ჩვენ არ ვაწერთ ხელს…ნიკამ სიცილით ანიშნა ჩუქების ხელშეკრულებაზე მეჯვარეებს….

–ესენი აფრენენ! ჩაილაპარაკა თამაზმა…ორივეს ეტყობოდა, რომ დაბნეულები იყვნენ….ვერც ხალხის ტაშმა გამოარკვია მაია…..

–ხო ის იდეა რომელიც ელენეს აქვს და მე მხოლოდ მხარს ვუჭერ ცოტა დროშია გაწელილი, მაგრამ მაინც გვინდა ახლა ვთქვათ…..

–სინამდვილეში მე ერთხელ ვთქვი და იმის მერე ნიკა არ მასვენებს…..შეიძლება არც გამოვიდეს..

–გამოვა!

–ნიკა დამაცადე…გაეცინა ელენეს….გვინდა, რომ თაზოს შესახებ წიგნი გამოვიდეს…ფეხბურთზე იქნება…მათი თაობის ნაკრებზე…ნიკას ტრამვაზეც…

–ეგ ამბავი წიგნს პროფილურს გახდის და არ გვინდა….

–მხოლოდ ამაში არ მეთანხმება მენაბდე, მაგრამ მოუწევს შეგუება….

–მეორე ქორწინება ქალს უფრო კატეგორიულს ხდის, ყველას გირჩევთ არ გაეყაროთ ცოლებს თუ ოდნავ მაინც ფიქრობთ, რომ ისევ მისი პატარძლად „ატანა“ მოგიწევთ….

–იუმორი უმძაფრდება ჩემს ქმარს თადათან….ელენემ ნიკას ხელი წელზე მოხვია და მიეხუტა….

–მხოლოდ იმიტომ არ ვამბობ არაფერს, რომ „ქმარი“განსაკუთრებულად მესიამოვნა თორემ ხომ იცი ასეთ დროს არ ვჩერდები, ჩაჩურჩულა ნიკამ….

–ყველამ კარგად იცით, რომ მაია განსაკუთრებულად კარგად წერს…გვინდა რომ, თუ რა თქმა უნდა თანახმა იქნება თაზოსთან ერთად მან დაწეროს ეს წიგნი….ამ ყველაფერთან ძალიან ახლოს იყო….აქაც გვაქვს მოთხოვნა..ჩვენ არ ვერევით წიგნის სიუჟეტში, არც თანმიმდევრულობაში არც შინაარსში და მხატვრულ მხარეში…უბრალოდ მხოლოდ ერთი პირობა გვაქვს…წიგნში იქნება თავი, ძალიან მცირედი…რომელსაც ერქმევა მეჯვარეები და იქ აღწერილი იქნება თქვენი იდეა…..ბელთაურის ცხოვრება ამის გარეშე ვერ წარმომიდგენია……ელენეს გაეცინა იმათ სახეებს, რომ უყურებდა….

–ხო პირობას გავავრცობ…..მე რა ვქნა ალბათ ასათიანი დასანახად ვერ მიტანს, მაგრამ ვერაფრით ვპოულობ სიტყვას, რომჯელიც „პროფილურს“ ჩაანაცვლებს…ესე იგი…ეს თავი, რომ პროფილური არ გამოვიდეს ჩვენ არ ვიქნებით ნახსენები…მე და ელენე…ამ თავში ყველაფერი იქნება შეცვლილი იდეის გარდა და ნახსენებიც არ იქნება ელენე და ნიკა…..აქვე სანქციასაც მოვაყოლებ წიგნს სხვა შემთხვევაში არ დავბეჭდავთ! ვიცი ეს არ არის დამაბრკოლებელი გარემოება ამიტომ ქვე სანქციასაც დავამატებ, ბელთაურის ძალიან ბევრი ვიდეო ინახება….იქ სადაც საჭიროა…..უბრალოდ მინდოდა შემეხსენებინა, რომ მათი ბედი მასზეა დამოკიდებული…..

მაიას ცრემლები მოდიოდა…ბელთაური ადგილს ვერ პოულობდა…..საერთოდ არ მოელოდნენ…ოდნავ ვერ იფიქრებდნენ…..ზუსტად იცოდნენ, რომ ყველაზე მაგარი შეგრძნება დაფასებულობაა…იმის რასაც მთელი გულით აკეთებ…….არც უფიქრიათ, რომ სანაცვლოდ რამე მიეღოთ მათი ბედნიერების გარდა…..ვერც კი მიხვდნენ, როგორ იქცნენ მათი ცხოვრების „გმირებად“…… უანგარობა ჭეშმარიტებას ბადებს და ეს ჭეშმარიტება ყველაფერია, რადგან ყველა შეგრძნებას მისი სურნელი ასდის და სინამდვილის ეს განცდა შეუფასებელია…..

……

ელენემ არაფრით მისცა უფლება აუხდენელი ოცნებები ისევ ჰქონოდა….ბევრი უარის მიუხედავად მონპელიეში მაინც წავიდნენ…..დემეტრეს მკურნალობა ყველაზე მთავარი იყო….მამამის დაყვებოდა და უკვე საგრძნობლად მეტი იცოდა ფეხბურთის შესახებ…თითქოს მოედანს საჭადრაკო დაფად აღიქვავდა…თითქოს ხედავდა ყველაფერს რა როგორ უნდა ყოფილიყო და მიუხედავად იმ ორწლიანი უვარჯიშობისა იცოდა უკეთესი ფეხბურთელი დადგებოდა ვიდრე ამ ტრამვის გარეშე….ნიკას არ უნდოდა ელენეს ოცნებები მისას შეწირვოდა, თითქოს მიჩვეული იყო ამით ცხოვრებას და თვითონ უფრო გაუძლებდა….არ უნდოდა ის ცენტრი რომლის შექმნაზეც ამდენი იწვალა ელენემ დაეკარგა…მაგრამ ცოლმე ყველა გზა მოუჭრა……

–ნიკა მერე ხომ დავბრუნდებით? საბოლოოდ ხომ საქართველოში ვიცხოვრებთ… და მერე ისევ აღვადგენ…..

–არ შეიძლება, ელენე ასეთი წყვეტა უკან წევს ყველაფერს…..

–მე სულ მინდოდა დოქტორანტურაში მესწავლა…..უკვე საბუთები გავაგზავნე და მიმიღეს…

–მერე? ეგ რა შუაშია?

–მონპელიეს ერთ ერთ უნივერსტეტში….თვალმოუშორებლად უყურებდა ნიკა….ყოველთვის უკვირდა ამხელა ძალა როგორ ჰჰქონდა ელენეს….სულ აოცებდა, როგორ არასდროს ეტყობოდა ის ათი წელი…ამასაც ვერაფერში ტევდა, ვერ აქცევდა….ლოგიკის საზღვრებს სცდებოდა ელენეს საქციელი…..

–იქ უნდა ისწავლო?

–ხო შენთან ერთად უნდა წამოვიდეთ! იქ უნდა ვიყოთ, შენ უნდა აკეთო ის რაც გინდა და ეს ჩემთან ერთად უნდა გააკეთო, მე უნდა შეგიწყო ხელი, მე უნდა დაგეხმარო, მე უნდა გავაკეთო ყველაფერი…..შენ ისევ უნდა ნერვიულობდე თამაშის წინ, უფრო მეტადაც…ისევ უნდა შეიყვარო ეს მღელვარება და მე ისევ უნდა გელოდებოდე თამაშიდან მოსულს…ისევ უნდა ვუყურებდე თამაშს და ვცდილობდე გამოვიცნო როგორ ხასიათზე ხარ ამ თამაშის მერე….მე ყველაფერი უნდა გავაკეთო, რომ შენი აუხდენელი ოცნებები გაქრნენ…მხოლოდ შორეული ოცნებები გქონდეს და გეხმარებოდე მათ ასრულებაში…. შენ ისევ უნდა შეგეძლოს შენი ემოციები ნაკრებს დაუკავშირო…ისევ უნდა გქონდეს ის განცდა, რომ განუზომლად ბევრს აკეთებ მისთვის…. შენ ისევ უნდა განიცადო ევროპაზე გასვლა….მე ისევ ისე უნდა გამიხარდეს….. შენ ისეთი მწვრთნელი იქნები როგორიც ფეხბურთელი და ვიცი ყველაფერი კარგად იქნება….სანერვიულო მომემატება მხოლოდ რადგან ძალიან სიმპატიური მწვრთნელი იქნები, თანაც ახალგაზრდა და….

–ჩემთვის მხოლოდ შენ არსებობ….ჩახლეწილი ხმით თქვა ნიკამ…

–ვიცი….და იცოდე ჩემს ყველა საქციელში ამ ცოდნას დაინახავ…..აღარასოდეს იქნება ისეთი მომენტი, როცა ოდნავ მაინც შეგეპარება ეჭვი ჩემს ნდობაში….როგორც შენ მენდობი და ამით რამდენ ძალასაც მაძლევ გპირდები, რომ შენც….

–ელენე….ჩემო საყვარელო….ნიკა მთელი ძალით მოეხვია….შენ უბრალოდ ვერ ხვდები…არ შეიძლება ხვდებოდა რამდენი ხარ ჩემთვის…..

–არასოდეს მითხრა, რომ არ ხარ დარწმუნებული ნიკა როგორ მიყვარხარ, მაშინ, რომ მითხარი….ანასტასია შემოვარდა ოთახში…..

–მამიკო დემეტრეს უთარი გადამირთოს მაშა და დათვია…მაბრაზებს, ფეხბურთს უყურებს….

–შენ მოდი აქ უყურე მამა…

–არა იქ მინდა! გაჯიუტდა ტასო….. ორივემ სიცილით შეხედეს ერთმანეთს ანასტასიას სიჯიუტეზე..

–ვფიქრობ, რომ მშობლები შვილების ცხოვრებაში ზედმეტად არ უნდა ერეოდნენ!!! ჩაჩურჩლა ნიკამ ელენეს და მშვიდი სახით შეხედა თვალებგაფართოებულ ანასტასიას….

–მამიკო…..მოიღუშა ტასო…

–მოენატრე მამიკოს, მოდი ჩემთან რა….სულ დარბიხარ, სულ მოძრაობ და სულ არ მოდიხარ ჩემთან…..

–ბევრი საქმე მაქვს…..რატომ გეცინება მამა….მეც მაქვს ბევრი საქმეები და დემეტრე არ მაცდის….

–ამის ქმარი უკვე მეცოდება!…..თქვა ელენემ და ღიმილით ფეხზე წამოდგა…

–„ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია“.. მე სულაც არ მეცოდება გაიცინა ნიკამ….

…….

მონპელიეში ყიფიანიც წაიყვანა….განზრახ, ჯიუტად მოედნის ცენტრში ათამაშებდა სანამ ის ადგილი არ „იცნო“ ყიფიანმა….მერე იცოდა რომ ერთად დაბრუნდებოდნენ იმ ქვეყნისთვის, რომლისთვისაც არაფერი ენანებოდა…..

……

ეს არც ფეხბურთზეა და არც მის დაკარგვაზე….

უბრალოდ ძალიან ძნელია აუხდენელი ოცნებების სიმძიმე ჩენს გადაღვლეპილ მხრებზე….

ამოსუნთქვაც კი ძნელია…

როცა ოცნებასთან მიკარებასაც ვერ ბედავ…

ტვირთის სიმძიმით მოხრილი მხრები….

და ამ მუდმივობის აუტანლობა….

სულ ვფიქრობ მაინც…

ოცნების გარეშე ყოფნა უფრო ძნელია თუ აუხდენელი ოცნებების სიმძიმე…

აუტანელია ყველაფერი….

მაგრამ ყველაზე მეტად იმის რისი ატანაც მსუბუქად მარტივია….

ისევ დამძიმებული, დაჩაგრული და გულმოკლული სურვილები მასულდგმულებს…

ოცნების გარეშე დარჩენა კი უბრალოდ კლავს !!!!

წიგნი, რომელსაც ეს წარწერა ჰქონდა ბელთაურის დროინდელ ფეხბურთზე იყო…ერთი თავის გარდა……

….

შეიძლება ძალიან ბევრი ცოდვის გარშემო იდგე და სული მაინც არ დაგიბინძურდეს….მჯერა, რომ შეიძლება….

4Love.Ge